

**ზოგადი და არაორგანული ქიმია**



6. ლეკიშვილი, ქ. გიორგაძე, ზ. ფაჩულია

## ზოგადი და არაორგანული ქიმია

(პირველი ნაწილი, ფუნდამენტური პრინციპები და  
თეორიული საფუძვლები)

რედაქტორები: მაია რუსია  
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი  
გიული ანდრონიკაშვილი  
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

სახელმძღვანელო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის  
ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის

ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის 90-ე წლისთავს

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ISBN

## შინაარსი

წინასიტყვაობა .....	11
შესავალი. ქიმიის შესწავლის საგანი, მისი როლი და ადგილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის.....	13
1. ქიმიის ძირითადი ცნებები და განმარტებები.....	16
2. ქიმიის სტექიომეტრული (კლასიკური) კანონები .....	20
2.1. მასის მუდმივობის კანონი.....	20
2.2. შედგენილობის მუდმივობის კანონი.....	21
2.3. ჯერად ფარდობათა კანონი.....	23
2.4. მოცულობითი ფარდობების კანონი .....	23
2.5. ავოგადროს კანონი.....	23
2.6. ეკვივალენტი. ეკვივალენტის მოლური მასა. ეკვივალენტების კანონი .....	27
3. ატომის აღნაგობა .....	31
3.1. ატომის აღნაგობის ადრეული მოდელები .....	32
3.2. რეზერფორდის ცდა. ატომის აღნაგობის პლანეტარული მოდელი	33
3.3. ატომების გამოსხივების სპექტრები* .....	35
3.4. ბორის თეორია .....	38
3.5. ბორ-ზომერფელდის თეორიის ძირითადი ნაკლოვანებები.....	43
3.6. ატომის აგებულების კვანტური თეორიის ელემენტები. მიკრონანილაკების კორპუსკულურ-ტალლური დუალიზმი ჰაიზელბერგის განუსაზღვრელობის პრინციპი .....	45
3.7. შრედინგერის განტოლება. ტალლური ფუნქცია .....	47
3.8. კვანტური რიცხვები .....	49
3.9. შრეების, გარსებისა და ორბიტალების შევსების წესები.....	55
3.10. ატომების ელექტრონული კონფიგურაციები .....	55
3.11. ატომის ბირთვის აღნაგობა.....	66
3.11.1. ატომბირთვის მუხტი და ატომური ნომერი. მოზღლის კანონი....	66

3.11.2. ატომბირთვის აღნაგობის პროცენტულ-ნეიტრონული თეორია.	68
3.11.3. იზოტოპები, იზობარები და იზოტონები.....	69
3.11.4. რადიაქტიურობა.....	71
3.11.5. რადიაქტიური დაშლის ტიპები.....	73
3.11.6. რადიაქტიური გამოსხივების გაზომვა-შეფასების უმნიშვნელოვანესი მეთოდები .....	76
3.11.7. რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება .....	76
3.11.8. ატომბირთვების დაყოფა. ბირთვული რეაქტორები. ატომური ბომბის მოქმედების პრინციპი.....	77
3.11.9. რადიაქტიური იზოტოპების დაცილება .....	78
3.11.10. ბირთვული და თერმობირთვული სინთეზები. წყალბადის ბომბის მოქმედების პრინციპი .....	78
4.პერიოდულობის კანონი და პერიოდული სისტემა .....	80
4.1. ქიმიურიელემენტების პერიოდული სისტემის სტრუქტურა .....	81
4.2. პერიოდულობის კანონისა და პერიოდული სისტემის ფიზიკური საფუძვლები და მნიშვნელობა .....	87
4.3. ქიმიური ელემენტების თვისებათა პერიოდულობა .....	89
4.3.1. იონიზაციის ენერგია .....	90
4.3.2. სწრაფვა ელექტრონისადმი .....	92
4.3.3. ელექტროუარყოფითობა.....	92
4.4. ატომური რადიუსები .....	93
4.5. იონური რადიუსები .....	97
4.6. მეორადი და შინაგანი პერიოდულობა.....	97
5. ქიმიური ბმა. ქიმიური ბმის ბუნება .....	99
5.1. კოვალენტური ბმა .....	102
5.1.1. ვალენტური ბმების მეთოდი .....	102
5.1.2. მოლეკულური ორბიტალების მეთოდი .....	107
5.1.3. მოლეკულური ნაწილაკების ??? აღნაგობა; ატომური ორბიტალების ჰიბრიდიზაციის და სავალენტო ელექტრონული წყვილების განზიდვის თეორიები .....	114
5.1.4. დელოკალიზებული კოვალენტური ბმა .....	122
5.1.5. კოვალენტური ბმის თვისებები .....	123

5.1.6. კონტრპოლარიზაციის ეფექტი .....	127
5.1.7. კოვალენტური ბმის დონორულ-აქცეპტორული მექანიზმი .....	129
5.2. იონური ბმა .....	130
5.2.1. იონური ბმის წარმოქმნის მექანიზმი და ენერგია.....	130
5.2.2. იონური კრისტალური სტრუქტურის სრული ენერგია.....	133
5.2.3. იონური ბმის თვისებები .....	134
5.3. ნივთიერებათა აგრეგატული და ფაზური მდგომარეობა.....	134
5.3.1. ნივთიერებათა აგრეგატული მდგომარეობის ძირითადი ტიპები .....	134
5.3.2. ნივთიერების პლაზმური მდგომარეობა .....	137
5.4. კრისტალები. კრისტალური სტრუქტურის ტიპები.....	137
5.4.1. არაორგანულ ნაერთთა კრისტალური სტრუქტურის ძირითადი ტიპები*.....	140
5.4.2. სამელებენტიანი ნაერთების კოორდინაციული სტრუქტურები	146
5.4.3. იზომორფიზმი და პოლიმორფიზმი .....	146
5.5. წყალბადური ბმა .....	148
5.6. მეტალური ბმა .....	152
5.7. მოლეკულათშორისი ურთიერთქმედება. მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალები .....	155
6. კომპლექსური ანუ კოორდინაციული ნაერთები .....	159
6.1. კომპლექსური ნაერთების ზოგადი დახასიათება. ვერნერის თეორიის ძირითადი დებულებები .....	159
6.2. კომპლექსური ნაერთების კლასიფიკაცია.....	162
6.3. კომპლექსნაერთების ნომენკლატურა .....	166
6.4. კომპლექსნაერთების იზომერია.....	166
6.5. კომპლექსნაერთების მდგრადობა ხსნარში.....	171
6.6. ქიმიური ბმის ბუნება კომპლექსნაერთებში .....	173
6.6.1. კომპლექსნაერთების აღწერა ვალენტური ბმების თეორიის თვალსაზრისით .....	173
6.6.2. კრისტალური ველის თეორია .....	178
7. ქიმიური თემოდინამიკის საწყისები .....	185

7.1. თერმოდინამიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და განსაზღვრებები .....	185
7.2. თერმოდინამიკის კანონები .....	189
7.2.1. თერმოდინამიკის I კანონი .....	189
7.2.2. ენტროპია და თერმოდინამიკის II კანონი .....	190
7.2.3. ენტროპია და თერმოდინამიკური ალბათობა .....	191
7.2.4. თერმოდინამიკის III კანონი .....	192
7.2.5. ჯიბსისა და ჰელმჰოლცის ენერგიები პროცესის თავისთავად მიმდინარეობის კრიტერიუმები .....	193
8. თერმოქიმიის საფუძვლები .....	195
8.1. თერმოქიმიის კანონები. თერმოქიმიის პირველი კანონი .....	197
8.2. თერმოქიმიის მეორე კანონი .....	198
9. უანგვა-ალდგენითი რეაქციები .....	200
9.1. უანგვა-ალდგენითი რეაქციების კლასიფიკაცია .....	202
9.2. უანგვა-ალდგენითი რეაქციების განტოლებების შედგენა .....	203
9.3. არის, ტემპერატურის, კონცენტრაციის და კატალიზატორის გავლენა უანგვა-ალდგენითი რეაქციების მიმდინარეობაზე .....	208
9.3.1. რეაქციის არის გავლენა .....	208
9.3.2. ტემპერატურის გავლენა .....	210
9.3.3. კონცენტრაციის გავლენა .....	210
9.3.5. კატალიზატორის გავლენა .....	211
9.3.5. უანგვა-ალდგენითი რეაქციების მიმართულება. უანგვა- ალდგენითი პოტენციალები .....	211
10. დისპერსიული სისტემები. ხსნარები .....	217
10.1. ხსნარები. ხსნართა ტიპები. ნივთიერებათა გახსნის კანონზომიერებები. გამხსნელები. წყალი – უნიკალური გამხსნელი. ნივთიერებათა ხსნადობა, ხსნადობის რაოდენობრივი დახასიათება .	217
10.1.1. გახსნის პროცესის ძირითადი თეორიები და კანონზომიერებები ..	218
10.1.2. გახსნის პროცესის თერმოდინამიკა .....	219
10.1.3. ჰიდრატები და კრისტალჰიდრატები .....	220
10.1.4. ხსნადობა. ხსნადობის რაოდენობრივი დახასიათება .....	221

10.1.5. ხსნადობის დამოკიდებულება ნივთიერებათა ბუნებაზე, ტემპერატურასა და წნევაზე.....	222
10.2. აირადი ნივთიერებების ხსნადობა. ჰენრის კანონი. დალტონის კანონი.....	224
10.3. ხსნადობის ნამრავლი .....	226
10.4. ხსნარის შედგენილობის რაოდენობრივი გამოსახვის ხერხები... 227	
10.5. ხსნარების კოლიგატიური თვისებები .....	229
10.5.1. ოსმოსი და ოსმოსური წნევა .....	230
10.5.2. ხსნარის ორთქლის წნევა.....	233
10.4.3. ხსნარის დუღილის და გაყინვის ტემპერატურები. ებულიოსკოპია და კრიოსკოპია.....	234
10.6. კოლოიდური ხსნარები.....	237
11. ელექტროლიტური დისოციაციის თეორია. დისოციაციის მექანიზმი. დისოციაციის თეორიის ძირითადი დებულებები. დისოციაციის ხარისხი და დისოციაციის მუდმივა, ოსტვალდის განზავების კანონი. აქტივობის კოეფიციენტი. ....	240
11.1. ელექტროლიტური დისოციაციის მექანიზმი და იონთა ჰიდრატაცია.....	240
11.2. დისოციაციის ხარისხი .....	243
11.3. დისოციაციის მუდმივა .....	244
11.4. თეორიები ფუძეებისა და მუავების შესახებ .....	245
11.5. ჰიდროლიზი. ჰიდროლიზის მუდმივა, ჰიდროლიზის ხარისხი.....	248
12. ელექტროქიმიის საწყისები. ელექტროდული პოტენციალები. სტანდარტულ პოტენციალთა რიგი. მარილთა წყალსხნარების და ნალღობების ელექტროლიზი. ელექტროლიზის კანონები. ენერგიის ქიმიური წყაროები.....	253
12.1. სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგი .....	253
12.2. ელექტროლიზი.....	257
12.2.1. რაოდენობითი თანაფარდობანი ელექტროლიზის დროს.....	262
12.3. ენერგიის ქიმიური წყაროები. გალვანური ელემენტი, აკუმულატორი, აკუმულატორის მუშაობის პრინციპი .....	263
13. ქიმიური კინეტიკა და კატალიზი.....	269
13.1. ქიმიური რეაქციის სიჩქარე. რეაგენტების კონცენტრაციის გავლენა რეაქციის სიჩქარეზე .....	269

13.2. რეაქციის სიჩქარის მუდმივა.....	273
13.3. რეაქციის მოლეკულურობა და რეაქციის რიგი .....	274
13.4. რეაქციის მექანიზმის გავლენა.....	276
13.5. ტემპერატურის გავლენა ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე. ვანტ- ჰოფის წესი. აქტივაციის თეორიის საბაზო კონცეფციები. აქტივაციის ენერგია.....	277
13.6. წარმოდგენები პარალელურ, მიმდევრობით და შეუდლებულ რეაქციებზე .....	282
13.7. ქიმიური რეაქციების ინიცირების თანამედროვე ფიზიკური მეთოდები.....	283
13.8. თავისუფალი რადიკალები. თავისუფალ რადიკალური რეაქციები. თავისუფალრადიკალური ჯაჭვური რეაქციების ტიპები და მიმდინარეობის სპეციფიკა .....	287
13.9. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მექანიზმი.....	289
14. კატალიზი .....	292
15. ქიმიურ რეაქციათა შექცევადობა ქიმიური წონასწორობა .....	296
გამოყენებული ლიტერატურა .....	301

## ნინასიტყვაობა

„At present every aspects of world processes – even international potential relations – were influenced by chemistry“  
Linus Pauling

როგორც სასკოლო განათლების პრაქტიკაში, ისე საუნივერსიტეტო საბაკალავრო პროგრამებში, ქიმიის სწავლება ზოგადი და არაორგანული ქიმიის, კერძოდ მისი პირველი ნაწილის შესწავლით იწყება. ზოგადი ქიმია ქიმიის იმ ფუნდამენტურ საკითხებს მოიცავს (მაგალითად, ქიმიის ფუნდამენტური კანონები, ატომის აღნაგობა, ქიმიური ბმა, პერიოდულობის კანონი და პერიოდული სისტემა, თერმოდინამიკის და თერმოქიმიის საწყისები, კოორდინაციული ქიმიის საფუძვლები, ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები, წარმოდგენები ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის კანონზომიერებებზე და მათ რაოდენობრივ დახასიათებაზე და სხვ.), რომელთა შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შემდგომ კურსებზე ანალიზური ქიმიის, ორგანული ქიმიის, ქიმიური ტექნოლოგიის და სხვა დისციპლინების სილრმისეული შესწავლა. ამავე დროს, ის ცოდნა, რასაც ზოგადი ქიმია ქიმიის საფუძვლების დაუფლებისას იძლევა, კიდევ უფრო ღრმავდება და სრულყოფილი ხდება ფიზიკური ქიმიის შესწავლისას. ზოგადი ქიმიის შესწავლა ასევე აუცილებელია სხვა საბუნებისმეტყველო დარგების (ფიზიკის, ბიოლოგის, გეოლოგის) და მედიცინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, რომლის გარეშე ამ დარგების სრულყოფილი სპეციალისტების მომზადება ძნელი წარმოსადგენია. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა შეგვექმნა კომპაქტური, ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო, გამორიცხული არ არის, რომ წიგნში განხილული ზოგიერთი საკითხი მკითხველს რთულად მოეჩვენოს (მაგალითად, ბორის თეორია, შრედინგერის განტოლება და მისი ამოხსნის შედეგები, კვანტური რიცხვები, თერმოდინამიკის საწყისები). ავტორთა მიზანია სტუდენტს პირველი კურსიდანვე ნათლად დაანახოს ქიმიის, როგორც ერთ-ერთი წამყვანი საბუნებისმეტყველო დისციპლინის რეალური დონე და მისი შესწავლისადმი სერიოზული მიღების აუცილებლობა. მიგვაჩინა, რომ ასეთი მიღების შემუშავების გარეშე მისი სრულყოფილად დაუფლება შეუძლებელია.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო კარგ სამსახურს გაუწევს უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს ზოგადი ქიმიის საფუძვლების შესწავლაში, მით უმეტეს, რომ ქართულ ენაზე ამ ტიპის სახელმძღვანელო ფაქტიურად არ გამოცემულა, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნებოდა იმ საკრედიტო მოცულობასა და კვირეულ აკადემიურ დატვირთვასთან, რაც უმაღლესი სკოლის განათლების რეფორმის განხორციელების შემდეგ რეალურად იქნა შემოთავაზებული.

წიგნის შესავალი, I, II, VI, VII, VIII, IX, X, XII, XIII თავი დაწერილია პროფესორ ნოდარ ლეკიშვილის და ასისტენტ-პროფესორის, ქრისტინე გიორგაძის მიერ; III და V თავი – პროფესორ ნოდარ ლეკიშვილის და პროფესორ ზურაბ ფაჩულიას მიერ; XIV და XV თავი პროფესორ ნოდარ ლეკიშვილის მიერ; გახსნის პროცესების კანონზომიერებები, ელექტროლიტური დისოციაციის თეორია, ატომური ორბიტალების ჰიბრიდიზაცია – პროფესორ ნოდარ ლეკიშვილის ასისტენტ პროფესორის, ქრისტინე გიორგაძის მიერ ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის, გიული ანდრონიკაშვილის მიერ; ქვეთავი – დელოკალიზებული კოვალენტური ბმა, აგრეთვე კოორდინაციული ნაერთების დახასიათება კრისტალური ველის თეორიით – ასისტენტ პროფესორის, ქრისტინე გიორგაძის მიერ.

ავტორები დიდ მადლიერებას გამოხატავენ ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატების მაია რუსიას, გიორგი ლეკიშვილის და ზორა მაჩაიძის მიმართ წიგნის გულდასმით განხილვისა და საგულისხმო რჩევებისათვის. ასევე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულების დოქტორანტებს, ხათუნა ბარბაქაძეს და ოლიკო ლეკაშვილს, წიგნის ელექტრონული ვერსიის მომზადებაში განეული დახმარებისათვის.

ავტორები სიამოვნებით და დიდი გულისყურით გაიზიარებენ ყველა საგულისხმო შენიშვნას და წინადადებას, რომლებიც ხელს შეუწყობს წიგნის შემდგომ სრულყოფას.

პროფესორი ნოდარ ლეკიშვილი

## შესავალი. ქიმიის შესწავლის საგანი, მისი როლი და ადგილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის

ქიმია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა. მისი შესწავლის საგანია ნივთიერებები, მათი გარდაქმნები და გარდაქმნის თანმხლები მოვლენები. ნივთიერება მატერიის კონკრეტული გამოვლენა, მისი კონკრეტული სახეა. მატერიის არსებობის ფორმა არის მოძრაობა. მატერიის მოძრაობაში იგულისხმება ბუნებაში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილება – დაწყებული სივრცეში უბრალო გადაადგილებიდან, აზროვნებით დამთავრებული. ყოველი მეცნიერება უპირატესად მატერიის მოძრაობის ამა თუ იმ ფორმას შეისწავლის. ქიმიის შესწავლის ძირითადი ობიექტია მატერიის მოძრაობის ქიმიური ფორმა, ანუ ერთი სახის მოლეკულებისაგან მათი დაშლის, შეერთების ან ატომთა გადაჯდულებისა და ახალი ბმების დამყარების გზით ახალი, სხვა სახის ნივთიერებების წარმოქმნა.

სამყარო, რომელიც ჩვენ ვცხოვრობთ, ამოუწურავი, უსასრულოდ მრავალფეროვანი და განუწყვეტლივ ცვალებადია. ამ ცვლილებებს ბუნების მოვლენებს ვუწოდებთ. ადამიანები უხსოვარი დროიდან აკვირდებოდნენ ამ მოვლენებს, ცდილობდნენ მათი საიდუმლოების შეცნობას და თავის სამსახურში ჩაყენებას. ეს ცოდნა და გამოცდილება ათასწლეულების განმავლობაში გროვდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ასე ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ასტრონომია და სხვ. ყველა მათგანს შესაბამისი კვლევისა და შესწავლის საგანი აქვს.

სამყაროში ყველაფერი – ცოცხალიც და არა ცოცხალიც – ნივთიერებებისაგან შედგება. ყველა ნივთიერებას მისთვის დამახასიათებელი აღნაგობა აქვს, რომელიც მის თვისებებს განსაზღვრავს; ეს თვისებები კი განაპირობებს ნივთიერების მონაწილეობას სხვადასხვა პროცესში, რომელთა მიმდინარეობისას ისინი გარდაიქმნებიან სხვა ნივთიერებად. ამ გარდაქმნებს თან ახლავს სხვადასხვა მოვლენა. სწორედ ნივთიერებები, მათი აგებულება, თვისებები არის ქიმიის შესწავლის საგანი. ცოდნას ნივთიერების თვისებებისა და მათი გამოყენების შესახებ საფუძველი კაცობრიობის განვითარების ყველაზე ადრეულ საფეხურზე ჩაეყარა. როგორც ჩანს, საჭმლის მომზადება სითბოს მოქმედებით ადამიანის მიერ ჩატარებული პირველი „ქიმიური რეაქცია“ იყო, ხოლო გამოქვაბული, მისი პირველი „ქიმიური ლაბორატორია“. ალბათ, ამიტომაც ზუსტად არავინ იცის, პირველად სად და როდის წარმოიშვა ტერმინი ქიმია „და რას ნიშნავს იგი. ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი მეცნიერი ქიმიის სამშობლოდ ძველ ეგვიპტეს მიიჩნევს. სიტყვა „ქემი“ ეგვიპტის ძველი სახელწოდებაა და იგი „შავ მიწას“ ნიშნავს. ზოგიერთი მოსაზრებით „ქიმია“ ჩინური სიტყვა და „ქიმ“-იდან წარმოდგება, რაც ოქროს ნიშნავს, ზოგიერთი კი მას ბერძნულ სიტყვებს „ქემოს“ – წვენი, ან „ქიმია“ – ჩამოსხმა, „ქიმევსის“ – შერევა უკავ-

შირებს. ყველა ეს ვარაუდი ქიმიას, საბოლოოდ, მადანთან და მის გადამუშავების პროცესებთან აკავშირებს და გულისხმობს მეტალის დნობისა და ჩამოსხმის ხელოვნებას. პრაქტიკული ქიმია მაშინ ჩაისახა, როცა, ადამიანმა ცხოვრებისათვის აუცილებელი პროცესების ათვისება დაიწყო. სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში ტერმინი „ქიმია“ XVII საუკუნის დასაწყისიდან დამკვიდრდა.

ნივთიერების თვისებების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სათანადოდ გარდაქმნის მიზნით. ქიმიური გარდაქმნები ყოველთვის ფიზიკური პროცესების თანხლებით მიმდინარეობს, ამიტომ ქიმიის მიღწევები ფიზიკას ეხმარება და პირიქით, ფიზიკოსთა აღმოჩენები ქიმიის განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითად, წვა ქიმიური პროცესია, ხოლო მისი თანხმლები მოვლენა – სითბოს გამოყოფა – ფიზიკური. წვის შედეგად გამოყოფილ ენერგიას ადამიანი იყენებს გათბობისთვის, ავტომობილის ძრავის ასამუშავებლად, ელექტროენერგიის მისაღებად და ა.შ. ყველა ჩამოთვლილი ტექნიკური მიღწევა ქიმიკოსთა და ფიზიკოსთა ერთობლივი შრომის შედეგია. იგივეს თქმა შეიძლება ბიოლოგიაზეც. ცოცხალ ორგანიზმებში ურთულესი ქიმიური პროცესები მიმდინარეობს და მათი შესწავლის გარეშე ბიოლოგია ვერ განვითარდებოდა, შესაბამისად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების აგებულების სათანადოდ შესწავლა, პათოლოგიური პროცესების ზუსტად განსაზღვრა, ახალი სამედიცინო პრეპარატების დამზადება და სხვ. ქიმიის საფუძვლების ცოდნა ადამიანებს გარე სამყაროსთან ურთიერთობას უადვილებს, ეხმარება მათ წარმართონ სწორი ეკოლოგიური პოლიტიკა, დაიცვას დაბინძურებისგან უპირველესყოვლისა, ადამიანისა და საერთოდ ბუნებისათვის უმნიშვნელოვანესი – ჰაერი და წყალი. გააზრებულად გამოიყენონ მინერალური სასუქები და შხამ-ქიმიკატები; შექმნან ეკოლოგიური თვალსაზრისით უფრო მეტად უსაფრთხო საავტომობილო საწვავი; შეიმუშაონ ენერგიის ალტერნატიული წყაროები, რაც წარმატებით გადაჭრის ენერგეტიკულ პრობლემას ენერგიის ტრადიციული წყაროების მარაგის ამონურვის შემდეგ; აქტუალურია აგრეთვე, ჰაერის აზოგის რაც შეიძლება „რბილ“ პირობებში „ბმულ“ მდგომარეობაში გადაყვანა და ა.შ.

ექსპერიმენტული ფაქტების დაგროვებასა და მათ განზოგადებასთან ერთად გაღრმავდა დიფერენციაცია ცალკეულ მეცნიერებებში. დღეისათვის ქიმია ბუნებისმეტყველების იმდენად ფართო დარგია, რომ მისი ცალკეული ნაწილები ფაქტიურად დამოუკიდებელ, თუმცა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ დისციპლინებად ჩამოყალიბდა. ქიმია დაიყო არაორგანულ და ორგანულ, ანალიზურ, მაკრომოლეკულურ, მეტალორგანულ, კოორდინაციულ, ბიორგანულ ნაერთთა ქიმიად და ა.შ.

ქიმიის მიღწევები განაპირობებს ბიოლოგიური მეცნიერებების (ბიოქიმიის, უჯრედული ბიოლოგიის, გენეტიკის, მოლეკულური ბიოლოგიის და სხვ.), ფარმაციის და მედიცინის შემდგომ განვითარებას. ასევე წარმოუდგენელია ქიმიის გარეშე გეოლოგიური მეცნიერებების და პრაქტიკული გეოლოგიის განვითარება. ქიმია მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ტექნიკის თითქმის ყველა დარგის განვითარებისათვის.

ისევე როგორც ბუნებისმეტყველების სხვა დარგებში (ბიოლოგია, გეოლოგია და სხვ.) ფიზიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორ-

მატიკის დამკვიდრება მათი სრულყოფის და შემდგომი განვითარების საწინდარია. მათ გარეშე ქიმიის განვითარება, კერძოდ, ნივთიერებათა სტრუქტურის სრულყოფილი აღწერა, ახალი, მზიშვნელოვანი თვისებების მქონე ნაერთების პროგნოზირება და ქიმიური პროცესების შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ბუნების კანონები საყოველთაო და უნივერსალურია და ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერება მათ ერთნაირი წარმატებით იყენებს. მაგალითად, პერიოდულობის კანონი ქიმიკოსმა დ.ი. მენდელეევმა აღმოაჩინა, მაგრამ დღეს მას სახელმძღვანელოდ იყენებს არა მარტო ქიმიკოსი, არამედ ფიზიკოსი, ბიოლოგი, გეოლოგი და სხვა მრავალი დარგის სპეციალისტი. იგი ერთ-ერთი გზამკვლევი იყო ფიზიკოსებისათვის ატომის აღნაგობის შესწავლის პროცესში. ამასთან, სწორედ ატომის აღნაგობის შესწავლის შემდეგ გახდა შესაძლებელი პერიოდულობის კანონის არსის გარკვევა და სრულყოფა. პერიოდულობის კანონის თანამედროვე ფორმულირება სწორედ თეორიული ფიზიკის, კერძოდ კვანტური მექანიკის ფუნდამენტური აღმოჩენების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რამაც შნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქიმიის სწრაფ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ქიმიის განვითარების დონე გარკვეული თვალსაზრისით ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელია.

თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში ამა თუ იმ ბუნების მოვლენის შეცნობა, მაგალითად, ნივთიერების შესწავლა ორი ან რამდენიმე მეცნიერების მიღწევების კომპლექსური გამოყენებით ხდება, რის შედეგადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დიფერენციაციის გვერდით ადგილი აქვს მათ ინტეგრაციას. დიდი ხანია ფიზიკისა და ქიმიის ზღვარზე განვითარდა ფიზიკური ქიმია, რაც ქიმიური ობიექტებისა და მოვლენების ფიზიკური მეთოდებით შესწავლასა და ქიმიაში ფიზიკის კანონების გამოყენებასთან არის დაკავშირებული; ბიოლოგიის, ორგანული ქიმიისა და ფიზიკური ქიმიის მიჯნაზე კი ჩამოყალიბდა ბიოქიმია. შეიქმნა და ვითარდება ქიმიის მომიჯნავე, ახალი, პერსპექტიული დარგები – გეოქიმია, ოკეანოლოგია, პიდროქიმია, ეკოქიმია, რადიოქიმია, ნანოქიმია, კოსმოქიმია და სხვა.

## 1. ქიმიის ძირითადი ცნებები და განმარტებები

ქიმიის შესწავლის ძირითადი საგანი ნივთიერებაა. ნივთიერებები შედგებიან ატომებისაგან. წარმოდგენები ატომის შესახებ ძველი წელ-თაღრიცხვით VI საუკუნეში ძველ საპერძენეთში შემუშავდა (დემოკრიტე, ლევკიპოსი), მაგრამ ზუსტ ექსპერიმენტზე დამყარებულ, მეცნიერული საფუძვლების მქონე ატომურ-მოლეკულურ მიძღვნებას გაცილებით გვიან, კერძოდ, XVIII-XIX საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი.

ატომი არის ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი, მისი ქიმიური დაყოფის ზღვარი ან სხვაგვარად, ქიმიური ელემენტი ეს არის ატომების ერთობლიობა ერთნაირი ატომბირთვის მუხტით. ატომი ელექტრონებირალური ნაწილაკია, რომელიც შედგება დადებითად დამუხტული ბირთვისა და უარყოფითი მუხტის მქონე ელექტრონებისაგან. მოლეკულა ნივთიერების შემადგენელი უმცირესი ელექტრონებირალური ნაწილაკია, რომელიც ამ ნივთიერების ქიმიური თვისებების მატარებელია. მოლეკულა წარმოიქმნება ერთი და იგივე ან სხვადასხვა ელემენტის ატომების კოვალენტური ბმებით დაკავშირებისას. ამის მიხედვით ნივთიერებები ორგვარია – მარტივი და რთული.

ქიმიური ელემენტი ერთნაირი ატომბირთვის მუხტის, ე.ი პროტონების ერთნაირ რიცხვის მქონე ატომების ერთობლიობაა. ერთი და იგივე ელემენტის ატომბირთვებში ნეიტრონების რიცხვი და აქედან გამომდინარე მასური რიცხვი, შეიძლება განსხვავებული იყოს. ასეთ ატომებს იზოტოპები ეწოდება, ე.ი. იზოტოპები ერთი და იგივე ელემენტის მასით განსხვავებული ატომებია. მასების განსხვავება ბირთვებში ნეიტრონების რიცხვის განსხვავებით არის გამოწვეული. ყველა ქიმიური ელემენტი (და მარტივი ნივთიერება) დაყოფილია ორ ქვეჯგუფად: მეტალებად და არამეტალებად. ეს დაყოფა პირობითია, რამდენადაც ძალიან ცოტაა იმ მარტივ ნივთიერებათა რიცხვი, რომლებიც ავლენენ მხოლოდ მეტალურ ან მხოლოდ არამეტალურ თვისებებს. უმრავლესობას აქვს ორივე თვისება, მაგრამ რომელიმე მათგანისადმი მიკუთვნება იმის მიხედვით ხდება, თუ რომელი თვისებები ჭარბობს მასში.

არამეტალებს მიეკუთვნება 22 ქიმიური ელემენტი: წყალბადი, ბორი, ნახშირბადი, სილიკიუმი, აზოტი, ფოსფორი, დარიშხანი, უანგბადი, გოგირდი, სელენი, ტელური, ჰალოგენები და კეთილშობილი (ინერტული) აირები. დანარჩენი ელემენტები მეტალებია.

ზოგიერთი ელემენტის ატომებს (ძირითადად არამეტალებს) რამდენიმე მარტივი ნივთიერების წარმოქმნის უნარი აქვს. ამ მოვლენას ალოტროპია ეწოდება, ხოლო მარტივ ნივთიერებებს ალოტროპიული სახეცვლილებანი („ალოტროპია“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და სახეცვლილებას ნიშნავს. ალოტროპია გამოწვეულია ამ ნივთიერებათა განსხვავებული შედგენილობით და აღნაგობით, მაგალითად, უანგბადი და ოზონი, ალმასი და გრაფიტი, თეთრი და წითელი ფოსფორი და ა.შ.)

ერთნაირი თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობის, მაგრამ განსხვავებული აღნაგობის და აქედან გამომდინარე, განსხვავებული

თვისებების მქონე ნივთიერებებს იზომერები ეწოდება, ხოლო თვით მოვლენას – იზომერია. მაგალითად, ერთმანეთის იზომერებია ციანმჟავა და იზოციანმჟავა, ძმარმჟავა და ჭიანჭველმჟავას მეთილის ეთერი და ა.შ.

ნივთიერებათა შედგენილობას ნივთიერებათა ფორმულებით გამოსახავენ. ქიმიური ფორმულა არის ნივთიერების შედგენილობა გამოსახული ქიმიური სიმბოლოებითა და ინდექსებით. იგი ამ ნივთიერების შესახებ ბევრი ინფორმაციის მატარებელია: გამოსახავს ნივთიერების ერთ მოლეკულას, მის ერთ მოლს, მისი საშუალებით განისაზღვრება ნივთიერების თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობა, ფარდობითი მოლეკულური და მოლური მასები და ა.შ.

ცნობილია ქიმიური ფორმულების რამდენიმე ტიპი:

1. უმარტივესი ანუ ემპირიული ფორმულა, გამოსახავს ნივთიერების თვისობრივ შედგენილობას და იმ თანაფარდობებს, რომელიც ახასიათებს ამ ნივთიერების წარმომქმნელ ნაწილაკებს (ატომები, იონები, ატომთა ჯგუფები და ა.შ.). მაგალითად, ეთენის და პროპენის უმარტივესი ფორმულაა ( $\text{CH}_2$ ).


2. მოლეკულური ფორმულები გამოსახავს ნივთიერების თვისობრივ შედგენილობას და მისი შემადგენელი ნაწილაკების რიცხვს. ასე, მაგალითად, ეთენის მოლეკულური ფორმულაა  $\text{C}_2\text{H}_4$ , წყალბადის პეროქსიდისა –  $\text{H}_2\text{O}_2$  და ა.შ.

მოლეკულური ფორმულა არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, ამ ფორმულის შემადგენელი რომელი ელემენტის ატომებია ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული.

3. გრაფიკული ფორმულა გვიჩვენებს რომელი ელემენტის ატომებია ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული.


მაგალითად,  $\text{CO}_2$ -ის გრაფიკული ფორმულაა  $\text{O}=\text{C}=\text{O}$ ,

$\text{Fe}_2\text{O}_3$  -ის გრაფიკული ფორმულაა




4. სტრუქტურული ფორმულა გვიჩვენებს ატომთა შეერთების თანმიმდევრობასა და მოლეკულის გეომეტრიულ ფორმას.

მაგალითად,  $\text{SiO}_2$ -ის სტრუქტურული ფორმულაა  $—\text{O}—\text{Si}—\text{O}—\text{Si}—\text{O}—$



წყლის სტრუქტურული ფორმულაა

ცის-ბუტენის სტრუქტურული ფორმულაა



ქიმიური ფორმულების (მოლეკულური) და საჭიროების შემთხვევაში მათ წინ დასმული სტექიომეტრული კოეფიციენტების საშუალებით ქიმიური რეაქციის პირობით ჩაწერას ქიმიური განტოლება ეწოდება. თუ ქიმიურ განტოლებაში არის მითითებული რეაგენტის ან რეაქციის პროდუქტის ერთ მოლზე გაანგარიშებული რეაქციის სითბური ეფექტის მნიშვნელობა, მაშინ ის თერმოქიმიური განტოლებაა (იხ. ქვემოთ, მეცხრე თავი, თერმოქიმიის საფუძვლები).

იონურ ნაერთებს შორის წყალსნარებში მიმდინარე რეაქციები იონური განტოლებით გამოისახება.

ქიმიური განტოლებების საფუძველზე გაანგარიშებების საწარმოებლად ძალზე მოუხერხებელია ატომების და მოლეკულების აბსოლუტური მასებით სარგებლობა, რამდენადაც ისინი ძალზე მცირე რიცხვებია. თუმცა ამ მასების განსაზღვრა ამჟამად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგალითად,  $^{12}\text{C}$  იზოტოპის ატომის მასა  $1.993 \cdot 10^{-26}$  კგ-ს შეადგენს,  $^{16}\text{O}$ -ის –  $2.667 \cdot 10^{-26}$  კგ-ს, ხოლო ყველაზე მსუბუქი ატომის,  $^1\text{H}$ -ის მასა არის  $1.67 \cdot 10^{-27}$  კგ-ის ტოლი.

ქიმიაში ტრადიციულად იყენებენ ატომებისა და მოლეკულების მასის არა აბსოლუტურ, არამედ ფარდობით მნიშვნელობებს.

როგორც ცნობილია, ატომური მასის ცნება ქიმიაში ატომურ-მოლეკულური მოძღვრების ფუძემდებელმა ჯონ დალტონმა შემოიტანა, ერთეულად მიიღო წყალბადატომის მასა და განსაზღვრა კიდევ იმ დროს ცნობილი ზოგიერთი ელემენტის ატომური მასა. 1961 წლამდე ფიზიკოსები მ.ა.ე. იყენებდნენ  $^{16}\text{-იზოტოპის}$  ატომის მასის  $1/16$  ნაწილს, ქიმიკოსები კი ბუნებრივი იზოტოპური შედგენილობის ( $^{16}\text{O}$ ,  $^{17}\text{O}$ ,  $^{18}\text{O}$ ) ჟანგბადის ატომის საშუალო მასის  $1/16$  ნაწილს. ქიმიური მ.ა.ე.  $0.03\%$ -ით აღემატებოდა ფიზიკოსები, ე.ი. ფიზიკოსები და ქიმიკოსები სარგებლობდნენ ატომური და მოლეკულური მასების სხვადასხვა მნიშვნელობით. ამიტომ 1961 წელს ფიზიკოსებისა და ქიმიკოსების მიერ მიღებულ იქნა ერთი და იგივე ერთეული, კერძოდ,  $^{12}\text{C}$  იზოტოპის ატომის მასის  $1/12$  ნაწილი. 1 მ.ა.ე (დალტონი) =  $1/12\text{m}$  ( $^{12}\text{C}$ ) =  $1,66037 \cdot 10^{-27}$  კგ

სხვადასხვა ელემენტის ბუნებრივი იზოტოპური შედგენილობის ატომის საშუალო მასის  $^{16}\text{O}$  ატომის მასის  $1/12$  (მ.ა.ე) ნაწილთან შეფარდებით მიღებული რიცხვები ამ ელემენტის ფარდობით ატომურ მასებს წარმოადგენებ. ფარდობითი ატომური მასა ქიმიური ელემენტის ერთერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ალინიშნება სიმბოლოთი  $A_r$ .

ქიმიური ელემენტის ფარდობითი ატომური მასა არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება ბუნებრივი იზოტოპური შედგენილობის ელემენტის ატომის საშუალო მასა  $^{12}\text{C}$  იზოტოპის ატომის მასის  $1/12$  ნაწილს. იგი უგანზომილებო სიდიდეა:

$$A_r(E) = m_A(E)/1\text{მ.ა.ე.} = m_A(E)/1.66 \cdot 10^{-27} \text{ კგ}$$

მაგალითად, ჟანგბადისათვის:

$$A_r(O) = m_A(O)/1\text{მ.ა.ე.} = 2.667 \cdot 10^{-26} \text{ კგ} / 1.66 \cdot 10^{-27} \text{ კგ} = 16$$

ფარდობითი მოლეკულური მასა არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება მოცემული ნივთიერების ბუნებრივი

იზოტოპური შედგენილობის მოლეკულის საშუალო მასა  $^{12}\text{C}$  ატომის მასის  $1/12$  ნაწილს. ფარდობითი მოლეკულური მასაც ( $M_r$ ) უგანზომილები სიდიდეა.

მოლეკულური სტრუქტურის მქონე ნივთიერების ფარდობითი მოლეკულური მასა, მისი შემადგენელი ელემენტების ფარდობითი ატომური მასების ატომთა რიცხვზე ნამრავლის ჯამის ტოლია.

არამოლეკულური აღნაცობის ნაერთებისათვის ემპირიული (უმარტივესი) ფორმულის საფუძველზე გამოითვლება პირობითი ფარდობითი მოლეკულური მასა და მას ფორმულური მოლეკულური მასა ეწოდება. მაგალითად,  $M_r(\text{SiO}_2) = 28 + 2 \cdot 16 = 60$

ნივთიერების რაოდენობა განისაზღვრება ატომების, მოლეკულების ან ნივთიერების სხვა ფორმულური ერთეულების რაოდენობით. რამდენადაც ნივთიერებები ასეთი ნაწილაკების უამრავი რიცხვისაგან შედგება, ამიტომ ნივთიერების რაოდენობა მოსახერხებელია გამოისახოს ერთი ერთეულით, რომელიც ამ ნაწილაკების დიდ რიცხვს შეიცავს.

ერთეულთა საერთაშორისო (SI) სისტემაში ნივთიერების რაოდენობის ერთეულად მიღებულია მოლი. მოლი არის ნივთიერების ის რაოდენობა, რომელიც მისი ფორმულური ნაწილაკების (ატომი, მოლეკულა, იონი) იმ რაოდენობას შეიცავს, რამდენი ატომიცაა  $0.012$  კგ  $^{12}\text{C}$ -იზოტოპში.

$^{12}\text{C}$ - იზოტოპის  $0.012$  კგ-ში ნახშირბადის ატომთა რიცხვი:

$$N_A = 0.012 \text{ კგ} / 1.993 \cdot 10^{-26} \text{ კგ} = 6.023 \cdot 10^{23}$$

$1.993 \cdot 10^{-26}$  კგ არის  $^{12}\text{C}$ -იზოტოპის ერთი ატომის აბსოლუტური მასა, ე.ი. მოლი არის ნივთიერების ის რაოდენობა, რომელიც  $6.023 \cdot 10^{23}$  ფორმალურ ნაწილაკს შეიცავს. ამ რიცხვს ავოგადროს პატივსაცემად ავოგადროს რიცხვი უწოდეს.

ნივთიერების მასა და რაოდენობა ერთმანეთთან დაკავშირებულია ფორმულით  $M=m/v$ , სადაც  $M$  არის ნივთიერების მოლური მასა,  $m$  – ნივთიერების მასაა,  $v$  კი რაოდენობაა მოლებში. ამ ფორმულიდან გამომდინარე მოლური მასის განზომილებაა  $g/\text{მოლი}$  ან  $\text{კგ}/\text{მოლი}$ . მოლური მასა ერთი მოლი ნივთიერების მასაა, ე.ი.  $6.023 \cdot 10^{23}$  ნაწილაკის მასა. მოლური მასა შეიძლება გამოითვალოს შემდეგი ფორმულითაც:  $M=m_A \cdot N_A$ ,

სადაც  $m$  არის ცალკეული ატომის ან მოლეკულის აბსოლუტური მასა,  $N_A$  კი ავოგადროს რიცხვი.

მოლური მასა ( $M$ ) რიცხობრივად ნივთიერებათა ფარდობითი მოლეკულური ან ფარდობითი ატომური მასის ტოლია იმ განსხვავებით, რომ მას აქვს განზომილება  $g/\text{მოლი}$  ან  $\text{კგ}/\text{მოლი}$ . მაგალითები:  $A_r(\text{Cl}) = 35.5$ ;  $M_r(\text{H}_2\text{SO}_4) = 98$ ;  $M(\text{Cl}) = 35.5 \text{ გ}/\text{მოლი}; M(\text{H}_2\text{SO}_4) = 98 \text{ გ}/\text{მოლი}$ .

## 2. ქიმიის სტექიომეტრული (კლასიკური) კანონები

ქიმიის ნაწილს, რომელიც სწავლობს მორეაგირე ნივთიერებებს შორის მასურ და მოცულობით თანაფარდობებს სტექიომეტრია ეწოდება, რაც ბერძნულად „შემადგენელი ნაწილის გაზომვას“ ნიშნავს.

სტექიომეტრია ემყარება სტექიომეტრიულ კანონებს, რომლებსაც აგრეთვე ქიმიის კლასიკურ კანონებს უწოდებენ. ეს კანონებია: ნივთიერებათა მასის მუდმივობის, შედგენილობის მუდმივობის, ეკვივალენტების, ავოგადროს, ჯერად შეფარდებათა და მოცულობით შეფარდებათა კანონები.

### 2.1. მასის მუდმივობის კანონი

მასის მუდმივობის კანონი, რომელიც 1789 წელს აღმოაჩინა ფრანგმა მეცნიერმა ანტუან ლორან ლავუაზიერ, შემდეგში მდგომარეობს: **ქიმიურ რეაქციაში შესულ ნივთიერებათა საერთო მასა, რეაქციის შედეგად მიღებულ ნივთიერებათა საერთო მასის ტოლია.** ეს იმას ადასტურებს, რომ ნივთიერება უკვალოდ არ ქრება და არც არასდროს არაფრისაგან არ ნარმოიქნება. ეს კანონი ეფუძნება იმ ფუნდამენტურ მოსაზრებას, რომ ქიმიური რეაქციების დროს ატომები არ იცვლება, ამიტომ მიღებულ ნივთიერებათა მოლეკულები, მთლიანად, შედგებიან იმავე ელემენტის ატომებისაგან და იგივე რაოდენობით, რისგანაც შედგებოდა საწყისი ნივთიერებების მოლეკულები. სწორედ ეს არის მასის მუდმივობის საფუძველი. ქიმიური რეაქციის შედეგად უცვლელი რჩება ნივთიერებათა საერთო მასა, რადგან არ იცვლება თითოეული ელემენტის ატომის მასა.

როგორც ცნობილია, მასა და ენერგია ერთმანეთთან დაკავშირებულია განტოლებით  $E = mc^2$  (ალბერტ აინშტაინი). ამ განტოლებაში  $m$  არის მასა,  $E$  – ენერგია,  $c$  – სინათლის გავრცელების სიჩქარე ვაკუუმში. ამ განტოლების მიხედვით ენერგიის ცვლილება უნდა იწვევდეს მასის შეცვლას.

რადგან ქიმიური რეაქციების დროს ენერგია (სითბოს, სინათლის სახით) გამოიყოფა ან შთაინთქმება, ამიტომ თითქოს მოსალოდნელი იყო მასის ცვლილებაც (აინშტაინის განტოლება თითქმის ენინაალმდეგება მასის მუდმივობის კანონს). მაგრამ ქიმიური რეაქციების დამახასიათებელ ენერგეტიკულ ცვლილებებს  $c^2$ -ის დიდი მნიშვნელობის გამო, მასის იმდენად უმნიშვნელო ცვლილება შეესაბამება, რომლის დადგენაც ექსპერიმენტულად, პრაქტიკულად მისაწვდომი მეთოდებით, თითქმის შეუძლებელია. დადგენილია, რომ  $1 \text{ კჯ} / \text{სითბოს} = \text{შთანთქმას} / \text{ან გამოყოფას}$   $\approx 1.2 \cdot 10^{-11}$ ; ამ რიგის ცვლილები მხედველობაში არ მიიღება. ამიტომ მასის მუდმივობის კანონი (კლასიკური შინაარსით) ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. მაგალითად,

განვიხილოთ წყალბადისა და ჟანგბადისაგან წყლის წარმოქმნის რეაქციის დროს შესაძლო მასის ცვლილება. რეაქციის სითბო, რომელიც ამ დროს გამოიყოფა  $288.8 \text{ კჯ/მოლის}$  ტოლია. შესაბამისი მასის ცვლილება არის:

$$\Delta m = \Delta E/c^2 = \frac{288.8 \text{ კჯ}}{(3 \cdot 10^8 \text{ მ/წმ})^2} = 3.2 \cdot 10^{-12} \text{ კგ},$$






რაც ექსპერიმენტულად ვერ ისაზღვრება.

იგივეს ვერ ვიტყვით თერმობირთვულ რეაქციებზე, რომელთა მიმდინარეობაც ენერგიის უზარმაზარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული. 1 გრამ  $^{235}\text{U}$ -ის დაშლისას გამოიყოფა  $7,5 \cdot 10^7 \text{ კკალ ენერგია}$ , რაც 2ტ. ქვანახშირის წვის დროს გამოყოფილ ენერგიას აღემატება. ასეთ უზარმაზარ ენერგეტიკულ ცვლილებას მასის მნიშვნელოვანი დეფექტი შეესაბამება. მაგალითად, ატომურ ბომბში  $^{235}\text{U}$ -ის დაშლისას საწყისი მასის 0.1% გარდაიქმნება გამოსხივების ენერგიად.

მიუხედავად მასის მუდმივობის კანონის მიახლოებითი მნიშვნელობისა, ის ქიმიის ძირითად რაოდენობით კანონს და ქიმიური ანალიზის საფუძველს წარმოადგენს, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ქიმიური განტოლებების შედგენა და რაოდენობითი (სტექიომეტრული) გათვლების წარმოება.

## 2.2. შედგენილობის მუდმივობის კანონი

შედგენილობის მუდმივობის კანონი აღმოაჩინა ფრანგმა მეცნიერმა ჟოზეფ ლუი პრუსტმა (1799-1808 წ.წ.) მისი კლასიკური შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: **სხვადასხვა გზით მიღებულ ნებისმიერ სუფთა ნივთიერებას აქვს მუდმივი თვისებითი და რაოდენობითი შედგენილობა.** მაგალითად, ქიმიურად სუფთა წყალი, მიუხედავად მისი მიღების მეთოდებისა, ხასიათდება მუდმივი ელემენტური შედგენილობით:



ამ ხერხებით მიღებულ ქიმიურად სუფთა წყალს ერთი და იგივე, ზემოთმოტანილი ელემენტური შედგენილობა აქვს.

ამავე დროს, შედგენილობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ დროს ელემენტების იზოტოპური შედგენილობა არ უნდა იცვლებოდეს, რადგან ნივთიერების შედგენილობა მისი შემადგენელი ელემენტების იზოტოპურ შემცველობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, მძიმე წყალი ( $D_2O$ ) შეიცავს 20 % წყალბადს, მაშინ როცა ჩვეულებრივ წყალში წყალბადი 11.1 %-ია.

აღმოჩნდა, რომ შედგენილობის მუდმივობის კანონის კლასიკური ხასიათი მხოლოდ მოლეკულური სტრუქტურის ნაერთებისათვის არის სამართლიანი, როგორიცაა:  $H_2O$ ,  $HCl$ ,  $CH_3OH$ ,  $SO_2$ ,  $H_2S$  და ა.შ.

სტრუქტურული ანალიზის მეთოდების გამოყენებით, ნივთიერებათა აღნაგობის შესწავლამ დაადასტურა, რომ მყარ ნივთიერებათა მნიშვნელოვან უმრავლესობას (მაგალითად, ოქსიდები, სულფიდები, ქლორიდები, სილიკატები და ა.შ.) არა აქვს მოლეკულური სტრუქტურა და ისინი ცვლადი შედგენილობით ხასიათდებიან. მათი შედგენილობა სწორედ მიღების მეთოდებზეა დამოკიდებული. ეს მოსაზრება ექსპერიმენტულად დაადასტურა (XX საუკუნის დასაწყისში) (ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ნიკოლოზ სერგეის ძე კურნაკოვმა. მისი წინადაღებით, მოლეკულური სტრუქტურების მქონე ნივთიერებებს ენოდა დალტონიდები (ინგლისელი ფიზიკოსის და ქიმიკოსის ჯონ დალტონის პატივსაცემად), ხოლო არამოლეკულური სტრუქტურისას – ბერთოლიდები (ფრანგი ქიმიკოსის კლოდ ლუი ბერთოლეს პატივსაცემად).

დალტონიდების შედგენილობა მუდმივია და არ არის დამოკიდებული მიღების ხერხებზე, მათი შედგენილობა გამოისახება მთელრიცხვებიანი სტექიომეტრული ინდექსებით, მაგალითად,  $H_2O$ ,  $H_2SO_4$  და ა.შ., მაშინ როდესაც ბერთოლიდების ფორმულებში არის წილადი სტექიომეტრული ინდექსები. მაგალითად,  $Ti(II)$ -ის ოქსიდის ფორმულა არის  $TiO$ . სინამდვილეში მისი შედგენილობა იცვლება  $TiO_{0,7}$ -დან  $TiO_{1,3}$ -მდე. ხოლო  $TiO_2$ -ის –  $TiO_{1,9}$ -დან  $TiO_2$ -მდე. ასევე ცვლადი შედგენილობით ხასიათდება რკინა(II) ოქსიდის და სულფიდის შედგენილობაც. რკინა(II) ოქსიდის შედგენილობა იცვლება  $Fe_{0,89}O$ -დან  $Fe_{0,9}O$ -მდე, ხოლო რკინა(-III)-ის სულფიდისა  $Fe_{0,9}S$ -დან  $Fe_{1,1}S$ -მდე და სხვ. ამ ნაერთის შედგენილობის ცვლილების მიზეზი შეიძლება იყოს მათ კრისტალურ სტრუქტურებში დეფექტების არსებობა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ნივთიერებათა შედგენილობის მუდმივობის კანონი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: „ნებისმიერ ქიმიურად სუფთა მოლეკულური აღნაგობის ნივთიერებას აქვს მუდმივი თვისებითი და რაოდენობითი შედგენილობა, მიუხედავად მისი მიღების ხერხებისა, ხოლო არამოლეკულური ნაერთების შედგენილობა დამოკიდებულია მისი მიღების პირობებზე“.

### **2.3. ჯერად ფარდობათა კანონი**

ეს კანონი ეკუთვნის ჯონ დალტონს (1808 წ.) და მდგომარეობს შემდეგში: „თუ ორი ელემენტი ერთმანეთთან რამდენიმე ქიმიურ ნაერთს წარმოქმნის, მაშინ ამ ნაერთებში ერთ-ერთი ელემენტის ერთსა და იმავე მასასთან დაკავშირებული მეორე ელემენტის მასები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მცირე მთელი რიცხვები“. მაგალითად, ნახშირბადი ჟანგბადთან წარმოქმნის ორ ნაერთს: CO და CO<sub>2</sub>. გამოვთვალოთ ჟანგბადის მასა, რომელიც ამ ორ ნაერთში ნახშირბადის ერთსა და იმავე მასასთან არის დაკავშირებული. CO-ში 12 გრამ ნახშირბადთან დაკავშირებულია 16 გრამი ჟანგბადი, ხოლო CO<sub>2</sub>-ში იგივე 12 გრამ ნახშირბადთან დაკავშირებულია 32 გრამი ჟანგბადი, ე.ი. 16:32=1:2.

### **2.4. მოცულობითი ფარდობების კანონი**

ერთნაირ ფიზიკურ პირობებში რეაქციაში შესულ აირთა მოცულობები ისე შეეფარდებიან ერთმანეთს და რეაქციის შედეგად მიღებულ აირთა მოცულობებს, როგორც მცირე მთელი რიცხვები (ჟოზეფ ლუი გეი-ლუსაკი, 1805 წ.). წყალბადსა და ჟანგბადს შორის მიმდინარე რეაქციის დროს 2 მოცულობა წყალბადი ურთიერთქმედებს ერთ მოცულობა ჟანგბადთან 2 მოცულობა წყლის ორთქლის წარმოქმნით. ეს რიცხვები შეესაბამება რეაქციის ტოლობაში არსებულ სტექიომეტრულ კოეფიციენტებს.

### **2.5. ავოგადროს კანონი**

1911 წელს ამადეო ავოგადრომ გამოთქვა ჰიპოთეზა, რომელმაც ექსპერიმენტული მტკიცების შემდეგ კანონის სახე მიიღო. ეს კანონი, რომელიც ავოგადროს კანონის სახელწოდებით არის ცნობილი, შემდეგში მდგომარეობს: **სხვადასხვა აირის ტოლი მოცულობები ერთნაირ ფიზიკურ პირობებში (წნევა და ტემპერატურა) მოლეკულათა ტოლ რიცხვს შეიცავს.** ეს კანონი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ აირად ნივთიერებათა მოლეკულები, გარდა კეთილშობილი აირებისა (He, Ne, Ar, Kr, Xe), ორატომიანია (H<sub>2</sub>, Cl<sub>2</sub>, O<sub>2</sub>, N<sub>2</sub> და ა.შ.).

ავოგადროს კანონი სამართლიანია მხოლოდ აირადი ნივთიერებებისათვის, რადგან:

1) აირის მოლეკულებს შორის მანძილები (თავისუფალი განარბენის სიგრძეები) გაცილებით აღემატება საკუთრივ მოლეკულების ზომებს. ამიტომ აირის მიერ დაკავებული მოცულობა ძირითადად მოლეკულებს შორის მანძილებით განისაზღვრება.

2) მოლეკულათშორისი მანძილები დამოკიდებულია იმ ფიზიკურ პირობებზე (წნევა, ტემპერატურა), რომელშიც აირი იმყოფება და არა აირის ბუნებაზე.

ამიტომ ერთნაირ ფიზიკურ პირობებში აირების ტოლ მოცულობებში მოლეკულათა ერთნაირი რიცხვია. მაგრამ მყარ და თხევად მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებებში მოლეკულებს შორის მანძილები და ნივთიერების მიერ დაკავებული მოცულობა ძირითადად მოლეკულის ზომებზეა დამოკიდებული. ეს ზომები კი სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულებისათვის სხვადასხვაა. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ტოლ მოცულობებში (ერთნაირ პირობებშიც კი) მოლეკულების რიცხვი ტოლი არ არის. შესაბამისად, ავოგადროს კანონი მყარ და თხევად (კონდენსირებულ) მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებებზე არ ვრცელდება. უფრო მეტიც, აირებისთვისაც კი, ავოგადროს კანონი მხოლოდ დაბალი წნევის პირობებში არის სამართლიანი, რადგან მაღალი წნევის პირობებში, მოლეკულებს შორის მანძილის შემცირების გამო, მათი მოლეკულების საკუთარი ზომების გავლენა მნიშვნელოვანი ხდება.

ალსანიშნავია, რომ ავოგადროს კანონი ზუსტად მხოლოდ იდეალური აირებისათვის ხორციელდება. იდეალურია ჰიპოტეტური აირი, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მოლეკულების საკუთარი მოცულობა უგულვებელყოფილია;
  2. მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალები იმდენად მცირეა, რომ უგულვებელყოფილია;
  3. შეჯახება დრეკადია – მოლეკულების ჯამური კინეტიკური ენერგია ( $\frac{1}{2}mv^2$ ) და შეჯახების შემდეგ ( $\frac{1}{2}mv'^2$ ) უცვლელია.
- რეალური აირებისათვის, ისევე, როგორც ბოილ-მარიოტისა და გეილუსაკის კანონების შემთხვევაში, შეიმჩნევა ამ კანონიდან გადახრა.

ავოგადროს კანონიდან გამომდინარეობს ორი მნიშვნელოვანი შედეგი:

- 1) სხვადასხვა აირის ან აირთა ნარევების მოლეკულების ტოლი რიცხვი ერთნაირ ფიზიკურ პირობებში (წნევა, ტემპერატურა) ტოლ მოცულობებს იკავებს. რადგან ნებისმიერი ნივთიერების (აირის) ერთ მოლში მოლეკულების რიცხვი ტოლია, ამიტომ აირის ერთი მოლის ერთნაირ ფიზიკურ პირობებში დაკავებული მოცულობა ტოლი იქნება. ამ მოცულობას მოლური მოცულობა ეწოდება, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$V_m = V/v, \quad (2.1)$$

სადაც  $V$  არის აირის მოცულობა,  $v$  – შესაბამისი ნივთიერების რაოდენობა.

- (2.1) ფორმულით შესაძლებელია აირის მოცულობის ან მისი რაოდენობის განსაზღვრა, როცა ცნობილია  $V_m$ .

ექსპერიმენტულად იქნა განსაზღვრული სხვადასხვა აირის მოლური მოცულობა  $0^\circ\text{C}$  ტემპერატურისა და 1 ატმოსფერული წნევის პირობებში [ნორმალური პირობები (ნ.პ.)]:

$$V_m = m/\rho = M \left( \frac{\text{გ}}{\text{მოლი}} \cdot \frac{\text{ანუ}}{\text{კგ}} \cdot \frac{\text{კგ}}{\text{მოლი}} \right) \rho \left( \frac{\text{კგ}}{\text{ლ}} \cdot \frac{\text{ან}}{\text{გ/ლ}} \right),$$

სადაც  $m$  ნივთიერების მასაა,  $M$  მოლური მასაა,  $\rho$  – აირის სიმკვრივე ნორმალურ პირობებში.

სხვადასხვა აირის მოლური მოცულობა აღმოჩნდა ერთნაირი, კერძოდ, 22.4 ლიტრი.

წყალბადისათვის:

$$V_m(H_2) = \frac{2.016 \text{ გ/მოლი}}{0.09 \text{ გ/ლ}} \approx 22.43 \text{ ლ/მოლი.}$$

ჟანგბადისთვის:

$$V_m(O_2) = \frac{32 \text{ გ/მოლი}}{1.429 \text{ გ/ლ}} \approx 22.34 \text{ ლ/მოლი,}$$

ე.ი იკავებს ერთნაირ, კერძოდ, 22.4 ლიტრ მოცულობას. პირობების შეცვლით შეიცვლება აირის მოლური მოცულობის მნიშვნელობაც, რადგან შეიცვლება აირის სიმკვრივე. მაგალითად, 293K (20°C) ტემპერატურისა და 101.325 კპა წნევის პირობებში ნებისმიერი აირის მოლური მოცულობა დაახლოებით 24 ლ/მოლის ტოლია, ე.ი. ტემპერატურის 20°C-ით გაზრდამ მოლური მოცულობა 1.6 ლ/მოლით გაზარდა.

2) ავოგადროს კანონიდან მეორე მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს. რადგან ავოგადროს კანონის მიხედვით ერთნაირ ფიზიკურ პირობებში სხვადასხვა აირის ტოლ მოცულობებში მოლექულების რიცხვი ტოლია, ამიტომ ტოლი მოცულობით აღებული სხვადასხვა აირის მასა ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი მოლური მასები:

$$\frac{m_1}{m_2} = \frac{M_1}{M_2},$$

სადაც  $m_1$  და  $m_2$  ტოლი მოცულობის სხვადასხვა აირის მასაა.

რადგან  $m_1 = v_1 M_1$  და  $m_2 = v_2 M_2$ , პირობის თანახმად კი:  $v_1 = v_2$  ( $V_1 = V_2$ ), ამიტომ:

$$m_1/m_2 = v_1 M_1 / v_2 M_2 = M_1 / M_2 \quad (2.2)$$

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ  $m_1 = \rho_1 v_1$  და  $m_2 = \rho_2 v_2$  ( $\rho_1$  და  $\rho_2$  შესაბამისად პირველი და მეორე აირის სიმკვრივეებია):

$$m_1/m_2 = \rho_1 v_1 / \rho_2 v_2, \quad v_1 = v_2, \quad \text{ამიტომ } m_1/m_2 = \rho_1 / \rho_2 = D,$$

სადაც  $D$  არის პირველი აირის ფარდობითი სიმკვრივე მეორის მიმართ. თუ  $m_1/m_2$ -ის ნაცვლად ფორმულაში (2.2) შევიტანო  $D$ -ს, მივიღებთ:

$$M_1 = D \cdot M_2. \quad (2.3)$$

ავოგადროს კანონის ეს შედეგი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია უცნობი აირის მოლური მასის განსაზღვრა, როცა ცნობილია მისი ფარდობითი სიმკვრივე რომელიმე აირის მიმართ. მაგალითად, თუ ცნობილია რომელიმე აირის ფარდობითი სიმკვრივე წყალბადის მიმართ ( $D_{H_2}$ ), მაშინ მისი მოლური მასა გამოითვლება ფორმულით:

$$M_x = 2 \cdot D_{H_2}$$

ჰაერის მიმართ გაზომილი სიმკვრივის მიხედვით:

$$M = 2D_3 \text{ და } a \cdot \tilde{M}$$

პრაქტიკული მოსაზრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე ავოგადროს კანონიდან გამომდინარე შემდეგი შედეგი: აირებს შორის მიმდინარე ქიმიური რეაქციების დროს ნივთიერებათა რაოდენობის ფარდობა (რომელიც რეაქციის განტოლების სტექიომეტრული კოეფიციენტების ფარდობას შეესაბამება) მათი მოცულობის ფარდობის ტოლია):

$$v_1/v_2 = V_1/V_2,$$

სადაც  $V_1$  და  $V_2$  აირთა შეესაბამისი მოცულობებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ მოცემული იქნება აირის მოცულობა 6.პ.-ში, ამ ფორმულით შესაძლებელია მისი რაოდენობის განსაზღვრა. მაგალითად, თუ აირის მოცულობა 6.პ.-ში არის 44.8 ლიტრი, მისი რაოდენობა იქნება:

$$v = \frac{v(6.პ.)}{22.4 \text{ ლ/მოლ}} = \frac{44.8 \text{ ლ}}{22.4 \text{ ლ/მოლ}} = 2 \text{ მოლი}$$

პირიქით, თუ მოცემული აირის რაოდენობა  $v = 0.4$  მოლს, მის მიერ 6.პ-ში დაკავებული მოცულობა იქნება:

$$V = vV_m = 0.4 \text{ მოლი} \cdot 22.4 \text{ ლ/მოლი} = 8.96 \text{ ლ}$$

თუ აირის მოცულობა არ არის განსაზღვრული ნორმალურ პირობებში, შესაძლებელია მისი გადაყვანა ამ პირობებში შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$P_o V_o / T_o = P V / T,$$

აქედან:

$$V_o = P V T_o / P_o T,$$

სადაც  $P_o$  და  $V_o$  აირის წნევა და მოცულობაა 6.პ.-ში.  $P$  და  $V$  კი აირის წნევა და მოცულობა  $T$  ტემპერატურაზე ( $T = 273 + t^{\circ}\text{C}$ ).  $P_o V_o / T_o = R$  ( $R$  აირების უნივერსალური მუდმივა).

აირის უნივერსალური მუდმივას ( $R$ ) რიცხვითი მნიშვნელობა განისაზღვრება წნევისა და მოცულობის ერთეულების მნიშვნელობით.

თუ წნევა მოცემულია პასკალებში, მოცულობა  $\theta^3$ -ში, მაშინ:

$$R = \frac{101.325 \text{ J} + 22.414 \cdot 10^3 \text{ J}^3 / \text{Мол} \cdot \text{K}}{273 \text{ K}} = 8.31 \text{ J} / \text{Мол} \cdot \text{K}$$

(წნევისა და მოცულობის ნამრავლს აქვს ენერგიის განზომილება  $\text{Дж} \cdot \text{м}^{-3}$  კვ; R არის 1 მოლი აირის გაფართოების მუშაობა მუდმივი წნევის პირობებში ტემპერატურის 1 გრადუსით გაზრდისას).

თუ წნევა მოცემულია ატმ.-ში, მოცულობა ლიტრებში, მაშინ:

$$R = \frac{1 \text{ Атм} \cdot 22.414 \text{ л} / \text{Мол} \cdot \text{К}}{273 \text{ К}} = 0.08 \text{ л} \cdot \text{Атм} / \text{Мол} \cdot \text{К}$$

პრაქტიკული გამოთვლებისათვის გამოიყენება კლაპეირონ-მენდელეევის განტოლება:

$$PV = \frac{m}{M} RT \quad (2.3),$$

სადაც P აირის წნევაა, V – მოცულობა, m – მასა, M – მოლური მასა, R – აირების უნივერსალური მუდმივა, T – ტემპერატურა (К).

(2.3) განტოლებით შესაძლებელია აგრეთვე აირადი ნივთიერების მოლური მასის განსაზღვრა:

$$M = \frac{mRT}{PV} \quad (2.4)$$

## 2.6. ეკვივალენტი. ეკვივალენტის მოლური მასა. ეკვივალენტების კანონი

გერმანელმა მეცნიერმა იერემია ბენჯამენ რიხტერმა 1793 წელს დაადგინა, რომ ქიმიური ელემენტები ერთმანეთს მკაცრად განსაზღვრული მასური თანაფარდობით უერთდება. კვლევის შედეგების საფუძველზე მან ჩამოაყალიბა კანონი, რომელიც ცნობილია ეკვივალენტების კანონის სახელწოდებით: „მორეაგირე ნივთიერებათა მასები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი ეკვივალენტების მოლური მასები“:

$$\frac{m_1}{m_2} = \frac{M_{\text{ელ}(1)}}{M_{\text{ელ}(2)}} \quad (2.5),$$


სადაც  $m_1$  და  $m_2$  მორეაგირე ნივთიერებათა მასებია,  $M_{\text{ელ}(1)}$  და  $M_{\text{ელ}(2)}$  კი მათი შესაბამისი ეკვივალენტის მოლური მასები.

ქიმიური ეკვივალენტი აღინიშნება Eq-თი. ელემენტის ქიმიურ ეკვივალენტს, ფარდობით ატომურ მასასა და მოცემულ ნაერთში ამ ელემენტის ვალენტობას (W) შორის ასეთი დამოკიდებულება არსებობს:

$$Eq = \frac{A_r}{W}$$


ქიმიური ეკვივალენტი, ან უბრალოდ ეკვივალენტი არის ნივთიერების რეალური ან პირობითი ნაწილაკი, რომელსაც შეუძლია (მიმოცვლის რეაქციებში) შეიერთოს, ჩაანაცვლოს ან რაიმე სხვა გზით იყოს ეკვივალენტური (ტოლფასი) ნყალბადის ატომის (ან იონის) ერთი მოლის, ხოლო უანგვა-ალდგენით რეაქციებში – ელექტრონის ერთი მოლის.

მაგალითად, განვიხილოთ გოგირდმჟავას და ნატრიუმის ტუტეს შორის მიმდინარე ნეიტრალიზაციის რეაქცია:



მჟავა მარილის ნარმოქმნისას გოგირდმჟავას მოლეკულა ტუტეს-თან ერთი პროტონით შედის რეაქციაში. ამიტომ გოგირდმჟავას ეკვივა-ლენტი ამ შემთხვევაში რეალური ნაწილაკი, მისი მოლეკულაა.

ხოლო რეაქციაში:



გოგირდმჟავას მოლეკულა მონაწილეობს 2 პროტონით, ე.ი. მისი მოლეკულა 2 პროტონის ეკვივალენტურია (ტოლფასია). ერთის ტოლ-ფასი იქნება მოლეკულის ნახევარი ( $1/2$  მოლეკულა), რომელიც „პირობითი“ (ნარმოსახვითი) ნაწილაკია, ე.ი. ამ რეაქციაში  $H_2SO_4$ -ს ეკვივა-ლენტი არის პირობითი ნაწილაკი, მოლეკულის ნახევარი. რიცხვებს, რომლებიც გვიჩვენებენ მოლეკულის (ან ატომის) რა ნაწილია ტოლფასი  $H^+$ -ის ერთი მოლის ან ელექტრონის ერთი მოლის, ეკვივალენტობის ფაქტორი ეწოდება.

**ეკვივალენტობის ფაქტორის ნამრავლი ნივთიერების მოლურ მასაზე არის ამ ნივთიერების ეკვივალენტის მოლური მასა.**


აქედან გამომდინარე,  $H_2SO_4$ -ის ეკვივალენტის მოლური მასა, იმაზე დამოკიდებულებით, თუ მოცემულ კონკრეტულ რეაქციაში, როგორია მისი ეკვივალენტობის ფაქტორი, იქნება:

$$1. \text{ როდესაც } f_{\text{ფ}}=1, M_{\text{ფ}}(H_2SO_4)=98 \text{ გ/მოლი ეკვ}$$

$$2. \text{ როდესაც } f_{\text{ფ}}=1/2, M_{\text{ფ}}(H_2SO_4)=98 \text{ გ/მოლი} \cdot 1/2=49 \text{ გ/მოლიერე}$$


$$3. \text{ როდესაც } f_{\text{ფ}}=1/8, M_{\text{ფ}}(H_2SO_4)=98 \text{ გ/მოლი} \cdot 1/8=16.2 \text{ გ/მოლიერე}$$

განვიხილოთ რეაქცია კალციუმის ტუტესა და მარილმჟავას შორის:



$Ca(OH)_2$  რეაქციაში შევიდა ერთ პროტონთან, ამიტომ მისი მოლეკულა ერთი პროტონის ტოლფასია, აქედან გამომდინარე ეკვივალენტი მისი მოლეკულაა, ეკვივალენტობის ფაქტორი 1-ის ტოლია და ეკვივალენტის მოლური მასა:


$$M_{\text{ფ}}[Ca(OH)_2]=74 \text{ გ/მოლიერე.}$$



$\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის პირობითი მოლეკულა, როგორც ვხედავთ ორი ნყალბად-იონის ტოლფასია, ერთის ტოლფასი იქნება პირობითი ნაწილაკის  $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის მოლეკულის ნახევარი. ამიტომ ეკვივალენტობის ფაქტორი  $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის იქნება  $1/2$ , ხოლო მისი ეკვივალენტის მოლური მასა:


$$M_{\text{ე}}[\text{Ca}(\text{OH})_2] = 74 \text{ г}/\text{მოლი.ეკვ} \cdot 1/2 = 37 \text{ г}/\text{მოლი.ეკვ}$$

განვიხილოთ  $\text{KMnO}_4$ -ის ეკვივალენტი, როცა ის ნივთიერებებს უანგავს მჟავა გარემოში:



ამ შემთხვევაში  $\text{Mn}^{+7}$  იძენს 5 ელექტრონს. აქედან გამომდინარე  $\text{KMnO}_4$ -ის პირობითი მოლეკულა (ის იონური ნაერთია) ტოლფასია ხუთი ელექტრონის, ხოლო ერთი ელექტრონის ტოლფასი იქნება არარეალური ნაწილაკი – მოლეკულის მეხუთედი, სწორედ ეს ფორმალური ნაწილაკია მჟავა გარემოში დაუჯანგვისას  $\text{KMnO}_4$ -ის ეკვივალენტი. ეკვივალენტობის ფაქტორი  $1/5$ -ია და  $M_{\text{ე}}(\text{KMnO}_4) = 157 \text{ г}/\text{მოლი} \cdot 1/5$ .



თუ  $\text{KMnO}_4$  ნივთიერებებს უანგავს ნეიტრალურ გარემოში:



$\text{Mn}^{+7}$  იძენს 3 ელექტრონს, ე.ი. ამ შემთხვევაში მისი ეკვივალენტურია  $\text{KMnO}_4$ -ის  $1/3$  მოლეკულა:

$$f_{\text{ე}} = 1/3, M_{\text{ე}}(\text{KMnO}_4) = 157 \text{ г}/\text{მოლი} \cdot 1/3.$$

ტუტე გარემოში უანგვისას:



ამიტომ  $\text{KMnO}_4$ -ის ეკვივალენტი ამ შემთხვევაში მისი პირობითი მოლეკულაა:

$$f_{\text{ე}} = 1, M_{\text{ე}}(\text{KMnO}_4) = 157 \text{ г}/\text{მოლი.ეკვ}$$

როგორც ვხედავთ, ნივთიერებების ეკვივალენტების მოლური მასები, იმის მიხედვით თუ რომელ რეაქციაში მონაწილეობენ, განსხვავებულია. თუმცა ცნობილია ნივთიერებები, რომელთა ეკვივალენტის მოლური მასები მუდმივია. მაგალითად,  $\text{NaOH}$  და სხვა ერთმუდმივური ფუძეების ეკვივალენტის მოლური მასები რეაქციაში მისი მოლური მასის ტოლია. რადგან  $\text{NaOH}$ -ის მოლეკულა ყოველთვის ერთი  $\text{OH}^-$ -იონით შედის რეაქციაში, რომელიც ერთი  $\text{H}^+$ -ის ტოლფასია:

$$M_{\text{ე}}(\text{NaOH}) = 40 \text{ г}/\text{მოლი.}$$

ასევე შეიძლება ითქვას ყველა ერთფუძიან მჟავაზეც, როდესაც ისინი ფუძე-მჟავურ რეაქციებში მონაწილეობენ.

ნივთიერების მასის ამ ნივთიერების ეკვივალენტის მოლურ მასასთან ფარდობით განისაზღვრება ეკვივალენტების რაოდენობა:

$$n_{\text{ж}} = m/M_{\text{ж}} \quad (2.6)$$

სადაც  $m$  ამ ნივთიერების მასაა,  $M_{\text{ж}}$  – ეპოვალენტის მოლური მასა.

აღსანიშნავია, რომ მოლისაგან განსხვავებით, მორეაგირე და მიღებულ ნივთიერებათა ეკვივალენტების რაოდენობა ყოველთვის ტოლია. აქედან გამომდინარე, საკმარისია ერთი რომელიმე მორეაგირე ან მიღებული ნივთიერების ეკვივალენტის რიცხვის განსაზღვრა, რადგან ყველა დანარჩენის იგივე იქნება, ეს კი რაოდენობრივ გათვლებს საგრძნობლად აადვილებს.

მაგალითად, დავუშვათ, ქლორში დავწვით 1.5 გ უცნობი ნივთიერება და მივიღეთ ნაერთი მასით 3.8 გ.  $3.8 - 1.5 = 2.3$  გ. იქნება ქლორის მასა. ქლორის ეკვივალენტის მოლური მასა არის 35.5 გ/მოლი. აქედან გამომდინარე,  $n_{\text{ж}}(\text{Cl}) = 2.3/35.5$ . უცნობი ნივთიერების ეკვივალენტის მოლურ მასას განვსაზღვრავთ ფორმულით:

$$M_{\text{ж}}(X) = m(X)/n_{\text{ж}}(X), \text{ რადგან } n_{\text{ж}}(X) = n_{\text{ж}}(\text{Cl}) = 2.3/35.5$$

ამიტომ  $M_{\text{ж}}(X) = 1.5 \cdot 3.5/2.3 = 23$  გ/მოლი, ე.ი. უცნობი ნივთიერება არის ნატრიუმი, რადგან მისი ეკვივალენტის მოლური მასა 23 გ/მოლის ტოლია. ნებისმიერი ბინალური ნაერთის გამოყენებით შეიძლება ელემენტის ეკვივალენტის მოლური მასის განსაზღვრა, როცა იგივე სიდიდე მეორე ელემენტისათვის ცნობილია. მაგალითად,  $\text{HCl}$ ,  $\text{H}_2\text{S}$ ,  $\text{NH}_3$ ,  $\text{CH}_4$ . ვიცით რა წყალბადის ეკვივალენტის მოლური მასა ( $1$  გ/მოლი), ქლორის, გოგირდის, აზოტის და ნახშირბადის ეკვივალენტის მოლური მასები აღნიშნულ ნაერთებში შესაბამისად იქნება:

$$M_{\text{ж}}(\text{Cl}) = 35 \text{ გ/მოლი}; M_{\text{ж}}(\text{S}) = 32 \text{ გ/მოლი} \cdot 1/2;$$

$$M_{\text{ж}}(\text{N}) = 14 \text{ გ/მოლი} \cdot 1/3; M_{\text{ж}}(\text{C}) = 12 \text{ გ/მოლი} \cdot 1/4;$$

ეკვივალენტის მოლური მასის ცნებასთან ერთად ზოგჯერ აირადი ნივთიერებებისათვის იყენებენ ეკვივალენტის მოლურ მოცულობასაც, რომელიც განისაზღვრება მოლური მოცულობის ეკვივალენტობის ფაქტორზე გაყოფით.

ნორმალურ პირობებში წყალბადის ერთი ეკვივალენტის მოცულობა 11.2 ლიტრის, ხოლო ჟანგბადის 5.6 ლიტრის ტოლია.

### 3. ატომის აღნაგობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენები ატომების შესაძლო არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში გაჩნდა (დემოკრიტე, ლევკიპოსი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისამდე მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ატომს ნივთიერების დაყოფის ზღვრად მიიჩნევდა („ატომი“ – განუყოფელი). დაახლოებით 2500 წელი გახდა საჭირო ატომის რთული აღნაგობის დასადგენად. მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს იქნა დაგროვებული ექსპერიმენტული ფაქტები, რომლებიც ატომის რთულ აღნაგობას ამტკიცებდა, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კათოდური სხივების, ელექტროლიზისა და რადიაქტიურობის აღმოჩენა.

პირველი ორი მოვლენა დაედო საფუძვლად ელექტრონის აღმოჩენას, რომელმაც არსებითი როლი შესარულა არა მარტო ატომის რთული აღნაგობის შესახებ წარმოდგენების ფორმირებაში, არამედ საერთოდ, ხელი შეუწყო ტექნიკური პროგრესის ნახტომისებურ განვითარებას.

ელექტრონის აღმოჩენა უშუალოდ უკავშირდება აირებსა და სითხეებში დენის გატარებისას მიმდინარე პროცესების შესწავლას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გაიშვიათებულ აირებში დენის გავლის შედეგები (უილიამ კრუქსი, 1879 წ.). დადგენილ იქნა, რომ გაიშვიათებულაირიან მინის მილში (კრუქსის მილი) მოთავსებული ელექტროდენის მაღალი ძაბვის წყაროსთან (~ 1500 ვ) შეერთებისას, კათოდიდან ანოდისაკენ ვრცელდება გამოსხივება, რომელსაც კათოდური სხივები უწოდეს. ეს გამოსხივება არ იყო დამოკიდებული აირისა და იმ მეტალის ბუნებაზე, რომლისგანაც კათოდი მზადდებოდა. ამ გამოსხივების ვიწრო კონის ელექტრული კონდენსატორის ფირფიტებს შორის გატარებისას შეამჩნიერს მისი გადახრა დადებითად დამუხტული ფირფიტისაკენ, რაც კათოდური ველის შემადგენელი ნაწილაკების უარყოფით მუხტზე მიუთითებდა. კათოდური სხივები გადაიხრებოდა აგრეთვე მაგნიტური ველის მოქმედებითაც.

ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯოზეფ ჯონ ტომსონმა დაამტკიცა, რომ კათოდური სხივები არის უმცირესი უარყოფითი მუხტის მქონე თვალით უხილავი ნაწილაკების ნაკადი. ამ ნაწილაკებს ელექტრონები უწოდეს (1891 წელი).

1897 წელს ჯ. ტომსონის მიერ დადგენილ იქნა ელექტრონის მუხტის თანაფარდობა მის მასასთან ( $e/m$ ), რამაც ცოტა მოგვიანებით (რობერტ ენდრუს მილიკენი, 1909 წ.) შესაძლებელი გახადა ელექტრონის მუხტის ( $q_e = 1.6 \cdot 10^{-19}$  კ) და მასის განსაზღვრა ( $m_e = 9.11 \cdot 10^{-31}$  კგ).

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევა იყო, აგრეთვე, დადებითად და უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების – კატიონებისა და ანიონების არსებობის დადგენის შესაძლებლობა, რომლებიც შესაბამისად დადებითად და უარყოფითად დამუხტული ატომები აღმოჩნდნენ. ამასთან, იონის მინიმალური მუხტი ელექტრონის მუხტის

ტოლი აღმოჩნდა. ჩათვალეს, რომ ეს არის ელექტრული მუხტის უმცირესი რაოდებობა და იგი მუხტის ფარდობით ერთეულად მიიჩნიეს.

სითხეებში ელექტრული დენის გატარებისას მიმდინარე პროცესების შესწავლამ კიდევ უფრო განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ ელექტრონი ატომის შემადგენელი ნაწილია. ამის დადასტურება რთული არ აღმოჩნდა (თუმცა უდავოდ გენიალური აღმოჩენა იყო). მაგალითის სახით შეიძლება მოვიტანოთ მარილმჟავას სსნარში დენის გატარების პროცესების შესწავლის შედეგები. კერძოდ, აღნიშნულ სსნარში 96500კ ელექტრობის გავლისას კათოდზე გამოიყო წყალბად-ატომების 1 მოლი (0.5 მოლი მარტივი ნივთიერება), ხოლო ანოდზე ქლორის ატომების 1 მოლი (0.5 მოლი მარტივი ნივთიერება). აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წყალბადის თითოეული იონი (კატიონი) იყავშირებს 96500კ :  $6.02 \cdot 10^{23} = 1.6 \cdot 10^{-19}$  კ მუხტის (იხ. ზემოთ მიღიკენის აღმოჩენა). ეს აღმოჩენები უმნიშვნელოვანესი დასკვნის წინაპირობა გახდა – ატომში უარყოფითი ნაწილაკებია ელექტრონის სახით, ატომი კი ელექტრონეიტრალური ნაწილაკია, ე.ი. ის დადებითად დამუხტულ ნაწილაკებსაც უნდა შეიცავდეს. ყოველივე ეს შემდგომში ექსპერიმენტულადაც დადასტურდა. ამ ექსპერიმენტების ჩატარების წინაპირობას რადიაქტიურობის მოვლენა ნარმოადგენდა, რომელიც ამ პერიოდში უკვე აღმოჩენილი და შესწავლილი იყო.

### 3.1. ატომის აღნაგობის ადრეული მოდელები

ატომის აგებულების რამდენიმე მოდელი მე-20 საუკუნის დასაწყისშივე დამუშავდა (ჟ. პერენი, ფ. ლენარდი. ვ. ტომსონი, ჯ. ტომსონი, ჰ. ნაგაოკა). ფრანგი პერენისა და იაპონელი ნაგაოკას მიხედვით, ატომები შეიცავს დადებითად დამუხტულ ბირთვს, რომლის გარშემო მოძრაობს ელექტრონები. პერენის მიხედვით, ორბიტებზე ელექტრონების მოძრაობის სიჩქარე შეესაბამება ძირითადი სპექტრული ხაზების სიხშირეს. ნაგაოკას მოდელში ელექტრონები ნარმოების პლანეტა სატურნის ანალოგიურ რგოლებს. ამრიგად, ვარაუდი ატომის პლანეტარული აგებულების შესახებ გამოითქვა რეზერფორდამდე გაცილებით ადრე. მაგრამ მაინც, რეზერფორდის პრიორიტეტი ამ საკითხში ეჭვგარეშეა, რადგან მისი მოდელი, განსხვავებით პერენისა და ნაგაოკას მოდელებისაგან, ემყარებოდა მტკაცედ დადგენილი ექსპერიმენტული ფაქტების ანალიზს. ამ დროის მოდელებიდან ყველაზე მეტი პოულარობა ხვდა ჯონ ტომსონის სტატიკურ მოდელს. ჯონ ტომსონის მიხედვით ატომი დადებითად დამუხტული სფეროა. ამ სფეროს ერთ სიბრტყეში თავსდება ელექტრონები, რომლებიც იმყოფება რხევით მოძრაობაში. როცა ელექტრონები ბევრია, ისინი ლაგდება ცალკეული გარსების (შრეების) სახით. ჯ. ტომსონი შეეცადა ატომის აგებულება დაეკავშირებინა ქიმიური თვისებების პერიოდულობასთან. ატომში ელექტრონული გარსების სხვადასხვა კონფიგურაციის განხილვის საფუძველზე ტომსონმა გა-

მოთვალა, რომ ამ კონფიგურაციების მდგრადობა იცვლება პერიოდულად ელექტრონების რიცხვის ზრდასთან ერთად.

ანალოგიური მოდელი უფრო ადრე წამოაყენა ინგლისელმა ვილიამ ტომსონმაც. ამ მოდელის მიხედვით დადებითად დამუხტულ სფეროში ელექტრონები დაჯგუფებულია გარკვეული მდგრადი კონფიგურაციების სახით.

### 3.2. რეზერფორდის ცდა. ატომის აღნაგობის პლანეტარული მოდელი

არსებული მოსაზრებების შესამონებლად და ატომის აღნაგობის უფრო ზუსტი მონაცემების მისაღებად ცდების სერია ჩაატარა ერნესტ რეზერფორდმა და მისმა მონაცემებმა (ჰ. გეიგერი და ვ. მარსდენი, 1909 წ.), ისინი აკვირდებოდნენ ა ნაწილაკების გაბნევას მეტალის თხელ ფირფიტაში გატარებისას (ა-ნაწილაკები გამოიტყორცნება რადიაქტიური ნივთიერების დაშლისას, მისი მასა არის 4 მ.ა.ე. და მუხტი +2, α, სიჩქარე 20000 კმ/წმ). გამოყენებული იყო სპეციალური ხელსაწყო, ე.ნ. სპინტარისკოპი („სპინტარის“ ბერძნულად ნაპერნკალს ნიშნავს, „სკოპეო“-ვხედავ). ეს ხელსაწყო შექმნა კრუქსმა 1903 წელს. სპინტარისკოპი შედგება ეკრანისაგან, რომელიც დაფარულია ფლუორესცენციის ანუ სინათლის შთანთქმით გამოწვეული ხანმოკლე ( $\sim 10^{-10}$  წმ) ნათების უნარის მქონე ნივთიერებით, კერძოდ, თუთის სულფიდით. ა-ნაწილაკის ეკრანთან შეხებისას ადგილი აქვს წერტილოვან ნათებას, რომელიც კარგად შეიმჩნევა მიკროსკოპში და მისი ეკრანთან შეხების ადგილს ხილულს ხდის.

ა-ნაწილაკების წყაროს ათავსებდნენ ტყვიის ჭურჭელში, რომელიც ამ ნაწილაკების შთანთქმის უნარით ხასიათდება. ჭურჭელს ჰქონდა ხვრელი, საიდანაც ვრცელდებოდა ნაწილაკები, ე.ი. ჭურჭლიდან გამოდიოდა ნაწილაკების განსაზღვრული მიმართულების ნაკადი. ტყვიის ჭურჭელსა და ეკრანს შორის მოთავსებული იყო ოქროს მინიმალური სისქის ფირფიტა (ოქრო ყველა მეტალზე პლასტიკურია და მისგან ყველაზე თხელი ფირფიტის დამზადება შეიძლება). დაკვირვებამ აჩვენა, რომ ა ნაწილაკების უდიდესი ნაწილი ამ ფირფიტაში გადიოდა მიმართულების შეუცვლელად (თუმცა ფირფიტის სისქე ასეულ ათასობით ატომის დიამეტრის ტოლი იყო), მცირე ნაწილი განიცდიდა გადახრას სხვადასხვა კუთხით, ხოლო იშვიათად – საშუალოდ ყოველი 8000 ა ნაწილაკიდან ერთი უკან „აირეკლებოდა“.

ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით რეზერფორდმა შემდეგი დასკვნა გააკეთა: დადებითი მუხტის მქონე ნაწილაკების მიმართულების მნიშვნელოვანი ცვლილება და მით უმეტეს, უკან დაბრუნება მხოლოდ დადებითად დამუხტულ ნაწილაკს შეუძლია, რომელსაც ატომში უნდა ეკავოს მცირე მოცულობა, რადგან ასეთი გზის გამრუდება ა-ნაწილაკების მხოლოდ მცირე ნაწილმა განიცადა. რაც უფრო ახლოს მოხვდება ა-ნაწილაკი ატომის შემადგენელ დადებით ნაწილაკთან და რაც

უფრო მაღალია ამ დადებითი ნაწილაკის მუხტი, მით უფრო დიდია გადახრის კუთხე, ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით გავრცელება ანაწილაკის დადებით ნაწილაკთან უშუალო შეჯახების შედეგია. ასეთი შემთხვევების სიმცირე იმაზე მიანიშნებს, რომ ატომში დადებით ნაწილაკს უკავია ძალიან მცირე მოცულობა, მაგრამ ატომის მასა თითქმის მთლიანად მასშია თავმოყრილი, ე.ი. ატომში არის დადებითი მუხტის მატარებელი, დიდი მასის და მცირე მოცულობის ნაწილაკი, რომელსაც ატომგული უნიდეს. სხვადასხვა ელემენტის ატომშირთვთან მოქმედებისას ა-ნაწილაკების გავრცელების გზა სხვადასხვა კუთხით იცვლება. რეზერფორდმა ა-ნაწილაკების გაბნევის კუთხეების გაზომვით გაიანგარიშა ზოგიერთი ელემენტის ატომგულის მუხტის სიდიდე, მაგალითად, Cu, Ag, Pt. ნაპოვნი სიდიდეები შესაბამისად არის 77.4, 46.3 და 29.3, რომლებიც თითქმის ემთხვევა ამ ელემენტების რიგით ნომრებს.

ჩატარებული ცდების საფუძველზე რეზერფორდმა შექმნა ატომის აღნაგობის პლანეტარული მოდელი. ატომი შედგება დადებითად დამუხტული ბირთვისა და მის გარშემო მოძრავი ელექტრონებისაგან, მსგავსად მზის გარშემო მოძრავი პლანეტებისა. რეზერფორდის მოდელი ემყარებოდა ექსპერიმენტულ მტკიცებას, რასაც ყველა მისი წინამორბედის მოდელი მოკლებული იყო. ამდენად, ის წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას ატომის აღნაგობის შეცნობის მიმართულებით. ამ მოდელის ძრითადმა პრინციპმა, რომ ატომში არის დადებითად დამუხტული ბირთვი და მის გარშემო მოძრავი ელექტრონები, დროს გაუძლო და დამტკიცებულია ექსპერიმენტით. მაგრამ, ამავე დროს, ეს მოდელი მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს შეიცავს. კერძოდ, რეზერფორდის თეორიას არ შეუძლია ახსნას ატომის მეტად მნიშვნელოვანი თვისება – მისი მდგრადობა. ელექტრონი, რომელიც ბრუნავს ბირთვის გარშემო, ელექტრომაგნიტური თეორიის თანახმად, ენერგიას უნდა ასხივებდეს, ამის შედეგად, კი დაირღვევა წონასწორობა ელექტრონის მოძრაობით გამოწვეულ ცენტრიდანულ ძალასა და ბირთვსა და ელექტრონს შორის არსებულ ცენტრისკენული მიზიდულობის ძალას შორის. წონასწორობის აღსადგენად ელექტრონმა უნდა გადაინაცვლოს ბირთვისაკენ. ამგვარად, ელექტრონი, რომელიც განუწყვეტლივ გამოასხივებს ენერგიას, წონასწორობის აღდგენის მიზნით, თანდათანობით მიუახლოვდება ბირთვს და ამონურავს რა თავის ენერგიას, ბოლოს უნდა დაეცეს მას, რა შემთხვევაშიც ატომი შეწყვეტს არსებობას. ყოველივე ეს კი ენინააღმდეგება ატომის რეალურ თვისებას, რომ ის წარმოადგენს მდგრად სისტემას და ძალზე დიდი ენერგიის მოქმედების გარეშე, შეუძლია დაუშლელად არსებობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში.

გარდა ამისა, რეზერფორდის თეორიას არ შეუძლია ახსნას ატომური სპექტრების ხაზოვანი ხასიათი. ამ თეორიის მიხედვით ატომური სპექტრები უნდა იყოს უწყვეტი, რამდენადაც ბირთვის გარშემო მოძრავი ელექტრონი თანდათან უახლოვდება რა ბირთვს, განუწყვეტლივ უნდა იცვლიდეს მოძრაობის სიჩქარეს, რის გამოც, მის მიერ გამოსხივებული ტალღის სიხშირე, რომელიც განისაზღვრება ელექტრონის ბრუნვის სიჩქარით, აგრეთვე უნდა იცვლებოდეს განუწყვეტლივ. გამომდინარე

აქედან, ატომების გამოსხივების სპექტრი უნდა ყოფილიყო უწყვეტი, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.


### 3.3. ატომების გამოსხივების სპექტრები\*

სპექტრებს, რომლებიც მიიღება სხეულების მიერ გამოსხივებული სხივების დამლით, ენოდება ემისიური. ისინი არიან უწყვეტი, ხაზოვანი და ზოლიანი. უწყვეტი სპექტრი აქვს გავარვარებულ მყარ და თხევად სხეულებს. აირების გამოსხივება გვაძლევს ხაზოვან სპექტრს, რომელიც შედგება ცალკეული ხაზებისაგან ან ზოლიან სპექტრს, რომელიც შედგება ზოლებისაგან. ხაზოვანი სპექტრი მიიღება ატომების გამოსხივებით, ხოლო ზოლიანი – მოლეკულებისა ????. ბევრი ხაზი ატომურ სპექტრებში შედგება რამდენიმე ერთმანეთთან ახლოს განლაგებული ხაზებისაგან – წარმოადგენენ მულტიპლეტებს. თუ მოვათავსებთ გამოსხივების წყაროს მაგნიტურ ველში, მოხდება ცალკეული ხაზების გახლეჩა – ერთი ხაზის ნაცვლად სპექტრში აღმოჩნდება რამდენიმე ახლოს განლაგებული ხაზი (ზემანის ეფექტი). ელექტრულ ველში ანალოგიურ მოვლენას ეწოდება შტარკის ეფექტი.

ყველაზე მარტივია წყალბადის სპექტრი (ნახ. 3.1). ხილულ უბანში მასში არის მხოლოდ ოთხი ხაზი. მიმდებარე ულტრაიისფერ უბანში არის კიდევ რამდენიმე ხაზი, რომლებიც აღნიშნულ ოთხ ხაზთან ერთად ქმნიან ბალმერის სერიას. რომ ამ სერიის ტალღური რიცხვები  $\bar{v}$  დალიან ზუსტად გამოისახება ფორმულით:

$$\bar{v} = R_{\infty} \left( \frac{1}{2^2} - \frac{1}{n^2} \right) \quad (3.1),$$

სადაც  $R_{\infty} = 109678 \text{ სმ}^{-1}$ . მას რიდბერგის მუდმივა ენოდება.  $n = 3, 4, 5, \dots$



ნახაზი 3.1. წყალბადის ატომური სპექტრი ხილულ და ახლო ულტრაიისფერ უბნებში (ბალმერის სერია)

შორეულ ულტრაიისფერ და ინფრანითელ უბანში აღმოჩენილ იქნა რამდენიმე სერია. მათი ხაზებისათვის ტალღური რიცხვის ზოგადი ფორმულა შემდეგია:

$$\bar{v} = R_{\infty} \left( \frac{1}{n_1^2} - \frac{1}{n_2^2} \right), \quad (3.2)$$

სადაც  $n_1, n_2 = 1 - \infty$ , ამასთან  $n_2 > n_1$ .

სერიას, რომლისთვისაც  $n_1=1$ , ენოდება ლაიმანის სერია (შორეული ულტრაიისფერი უბანი). სერიას, რომლისთვისაც  $n_1=2$ , ენოდება ბალმერის სერია (ხილული და ახლო ულტრაიისფერი უბანი). სერიას, რომლისთვისაც  $n_1=3$ , ენოდება პაშენის სერია (ინფრანითელი უბანი). სერიას, რომლისთვისაც  $n_1=4$ , ენოდება ბრეკეტის სერია (ინფრანითელი უბანი). სერიას, რომლისთვისაც  $n_1=5$ , ენოდება პფუნდის სერია (ინფრანითელი უბანი).

ტალღური რიცხვი  $\bar{v}$  არის ტალღის სიგრძის შებრუნებული სი-დიდე:  $\bar{v} = \frac{1}{\lambda}$ , ის იზომება  $s^{-1}$ -ებში. ტალღური რიცხვი ახასიათებს რხევის სიხშირეს  $v = c \bar{v}$ , სადაც  $c$  სინათლის სიჩქარეა.

ამ დროისათვის უკვე (ცნობილი იყო, რომ წებისმიერი სპექტრული ხაზის (ატომის გამოსხივების სპექტრში) შესაბამისი რხევის სიხშირე (ან ტალღური რიცხვი  $v=s^{-1}$ ) შეიძლება გამოისახოს ორი სიდიდის  $T(n_1)$  და  $T(n_2)$  სხვაობით (1899 წ., რიდერგი).  $T$ -ს უნიდეს სპექტრული თერმი, რომელიც შესაბამისი ფუნქციების რიცხობრივ მნიშვნელობებს წარმოადგენს (სიტყვა „თერმი“, ზოგადად, ალგებრული განტოლების წევრს აღნიშნავს; სიმბოლო  $T(n)$  აღნიშნავს  $n$ -ის ფუნქციას).  $n_1$  და  $n_2$  მთელი რიცხვებია; ამასთან,  $n_2 > n_1$ .

წყალბადის ატომისათვის ( $H$ ),  $He$ -ის ერთმუხტიანი იონისათვის ( $He^+$ ), ლითიუმის ორმუხტიანი იონისათვის  $Li^{2+}$  და სხვა ამ ტიპის ნაწილაკებისათვის თერმი შეიძლება შემდეგი განტოლებით გამოვსახოთ:

$$T = \frac{R_{\infty} Z^2}{(n + \alpha)^2}, \quad (3.3)$$

სადაც  $\alpha < 1$  და მოცემული სერიის ხაზებისათვის მუდმივია.

სხვადასხვა სერიისათვის შესწორება  $\alpha$  აღნიშნება  $s, p, d, f$  ასოებით. ეს აღნიშვნები წარმოადგენს სერიების ინგლისური სახელწოდების პირველ ასოებს: „sharp“ – მკვეთრი, „principal“ – მთავარი, „diffuse“ – დიფუზური, „fundamental“ – ფუნდამენტური (იხ. ზემოთ, ელექტრონული გარსები). აქაც, ნეიტრალური ატომების სერიებისათვის  $Z=1$ , ერთმუხტიანი იონებისათვის  $Z=2$  და ა.შ.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ სპექტრული ხაზების უსასრულოდ დიდი რიცხვი აიწერება შედარებით მარტივი დამოკიდებულებით, რომელთა

დამახასიათებელი თავისებურებაა მთელრიცხვა პარამეტრების არსებობა.

გახურებული სხეულების სპექტრებში, ტალღის სიგრძისაგან სხივური ენერგიის განაწილების დამოკიდებულების ასახსნელად, 1900 წელს გერმანელმა ფიზიკოს-თეორეტიკოსმა მაქს პლანკმა განავითარა თეორია, რომლის თანახმად მყარ სხეულებში რხევადი ატომების მიერ ენერგია გადაიცემა არა უწყვეტად, არამედ ცალკეული უმცირესი განუყოფელი ულუფებით – კვანტებით. კვანტის ენერგია  $E$  დამოკიდებულია გამოსხივების  $v$  სიხშირეზე შემდეგნაირად:

$$E = hv, \quad (3.4)$$

სადაც  $h = 6.626 \cdot 10^{-34}$  ჯ·ნმ. მას ეწოდება პლანკის მუდმივა, განტოლებას კი პლანკის განტოლება.

შემდგომში ალბერტ აინშტაინმა პლანკის შეხედულებები ენერგიის დისკრეტულობაზე გაავრცელა ელექტრომაგნიტურ გამოსხივებაზე (იხ. ზემოთ, ელექტრონის ორბუნებოვნება), აღნიშნა რა, რომ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც კვანტების (ფოტონების) ნაკადი.

რამდენადაც ყოველი სპექტრული ხაზი ხასიათდება მკაცრად განსაზღვრული ტალღის სიგრძით და აქედან გამომდინარე განსაზღვრული სიხშირით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ატომებს შეუძლიათ გამოასხივონ მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული ენერგიის სინათლის კვანტი.

გამოასხივებს რა სინათლის კვანტს, ატომი გადადის ერთი ენერგეტიკული მდგომარეობიდან, ენერგიით  $E_2$ , მეორეში, ენერგიით  $E_1$ . პლანკის განტოლების თანახმად:

$$hv = E_2 - E_1 \quad (3.5)$$

ან

$$\frac{v}{\nu} = \frac{E_2}{hc} - \frac{E_1}{hc} \quad (3.6)$$

თუ შევადარებთ მე-(3) განტოლებას, ვნახავთ, რომ ისინი ანალოგიურია. აქედან გამომდინარეობს, რომ ატომში ელექტრონის ენერგია დაკავშირებულია თერმთან თანაფარდობით:

$$E = -hcT, \text{ აქედან: } -T = \frac{E}{hc} \quad (3.7)$$

ამგვარად, სპექტრული თერმები ახასიათებს ელექტრონების ენერგიას ატომებში. ყოველი ატომის სპექტრს აქვს თავისი თერმების წყება, და აქედან გამომდინარე, მოცემულ ატომში ელექტრონებს შეუძლიათ ჰქონდეთ არა ნებისმიერი, არამედ მკაცრად განსაზღვრული ენერგიები. როდესაც რომელიმე სიდიდეს აქვს მკაცრად განსაზღვრული, დისკრეტული მნიშვნელობების რიგი, ამბობენ, რომ ის დაკვანტულია (იკვანტება). ატომის აღნაგობის თეორიამ უნდა ახსნას ატომებში ელექტრონების  $E$  ენერგიის დაკვანტვა, რომელიც დიდი სიზუსტით განისაზღვრება სპექტრული მონაცემებიდან მე-(3.7) თანაფარდობით.


ნიშანი „მინუსი“ იმიტომაა, რომ ნულოვანი ენერგიის მდგომარეობად მიღებულია ისეთი მდგომარეობა, როცა ელექტრონი ნულოვანი კინეტიკური ენერგიით დაშორებულია ატომიდან უსასრულოდ დიდ მანძილზე. ატომის ბირთვთან ელექტრონის მიახლოებისას მისი ენერგია მცირდება, ე.ი. ხდება უარყოფითი სიდიდე, რომლის აპსოლუტური მნიშვნელობა იზრდება ბირთვსა და ელექტრონს შორის მანძილის შემცირებისას.

წყალბადის ატომისათვის მიიღება:

$$E = -\frac{hcR_{\infty}}{n^2} \quad (3.8).$$

რადგანაც ელექტრონების ენერგია ატომებში იკვანტება, ამბობენ, რომ ატომებში არსებობენ ელექტრონების განსაზღვრული ენერგიის დონეები (ან ენერგეტიკული დონეები). მოლეკულური სპექტრების შესწავლა მიუთითებს, რომ მოლეკულებშიც არის ელექტრონების დასაშვები ენერგიის დონეების წყება. წყალბადის ატომში ენერგიის დონეები გამოსახულია ნახ. 3.2, რომელიც ხსნის აგრეთვე სპექტრული ხაზების წარმოშობას ელექტრონების გადასვლისას ენერგიის ერთი დონიდან მეორეზე.

სპექტრული მონაცემების გარდა, არის კიდევ ბევრი სხვა ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ ატომში ელექტრონებს აქვთ მკაცრად განსაზღვრული ენერგიები.



ნახაზი 3.2. ელექტრონის ენერგეტიკული დონეები წყალბადის ატომში

### 3.4. ბორის თეორია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერების მიერ ატომის აღნაგობის რამდენიმე მოდელი იქნა მოწოდებული, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია რეზერფორდის პლანეტარული მოდელი, რამდენადაც

ის ზუსტ ექსპერიმენტულ მონაცემებს ეფუძნებოდა. ამავე დროს, ეს მოდელი მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს მოიცავდა, რომელთა ახსნა შეძლო დანიელმა შეცნიერმა ნილს ბორმა. 1913 წელს მან შეიმუშავა თეორია, რომელშიც ერთმანეთს დაუკავშირა ატომის ბირთვული მოდელი და მაქს პლანკის სინათლის კვანტური თეორია. ამ უკანასკნელის თანახმად, სხეულის მიერ სინათლის ენერგიის შთანთქმა ან გამოსხივება ხდება არა უწყვეტად, არამედ წყვეტილად – დისკრეტულად, ცალკეული ულუფების – კვანტების სახით. ბორმა, რომელიც ემყარებოდა გამოსხივების დისკრეტულ ხასიათს, ჩათვალა, რომ ელექტრონის ენერგია ატომში იცვლება არა უწყვეტად, არამედ დისკრეტულად. ამდენად, ატომში შესაძლებელია ელექტრონის მხოლოდ გარკვეული მდგომარეობები, ან სხვა სიტყვებით – ატომში ელექტრონის ენერგეტიკული მდგომარეობები დაკვანტულია. თავისი თეორიის ძირითადი დებულებები ბორმა ჩამოაყალიბა პოსტულატების სახით, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

1. ელექტრონი ბირთვის გარშემო ბრუნავს არა ნებისმიერ, არამედ მკაცრად განსაზღვრულ, ე.წ. სტაციონარულ წრიულ ორბიტებზე.
2. სტაციონარულ ორბიტაზე მოძრაობისას ელექტრონი არ ასხივებს და არ შთანთქავს ენერგიას.
3. ელექტრონის მიერ ენერგიის გამოსხივება ან შთანთქმა ხდება ნახტომისებურად, ერთი სტაციონარული ორბიტიდან მეორეზე გადასვლისას. ბირთვთან ახლო მდებარე ორბიტიდან უფრო დაცილებულ ორბიტაზე გადასვლა ხორციელდება ენერგიის შთანთქმის შედეგად და პირიქით – დაცილებული ორბიტიდან ბირთვთან უფრო ახლო მდებარე ორბიტაზე გადასვლა დაკავშირებულია ენერგიის გამოსხივებასთან. ელექტრომაგნიტური გამოსხივების კვანტის ენერგია ტოლია საწყის და საბოლოო მდგომარეობებში ატომის ენერგიების სხვაობებისა.  $E = h\nu$ -დან:

$$E = E_2 - E_1 = h\nu_2 - h\nu_1 \\ (h = 6.626 \cdot 10^{-34} \text{ Js.ნმ პლანკის მუდმივა}).$$

ბორმა სტაციონარული ორბიტის მდგრადობის და ელექტრონის სტაციონარულ ორბიტაზე სრული ენერგიის გამოთვლის პირობების გათვალისწინებით გამოიყვანა სტაციონარული ორბიტის რადიუსის, მასზე ელექტრონის მოძრაობის სიჩქარისა და ენერგიის გამოთვლის ფორმულები:

$$r = \frac{n^2 h^2}{k m e^2};$$

$$v = \frac{k e^2}{n h};$$

$$E = -\frac{m k^2 e^4}{2 n^2 h^2}$$

როგორც შემდეგ დადასტურდა, ენერგიის ეს მნიშვნელობა კარგ შესაბამისობაში მოდის წყალბადის ატომისათვის შრედინგერის განტოლების ამოხსნის გზით მიღებულ გამოსახულებასთან (იხ ქვემოთ, 3.37).

### ბორის პოსტულატების მათემატიკური აღწერა

კლასიკური მექანიკის მიხედვით ცენტრის გარშემო რაიმე ნაწილაკის ბრუნვა განისაზღვრება მოძრაობის რაოდენობის მომენტით  $mvr$ , სადაც  $m$  ნაწილაკის მასაა,  $v$  – სიჩქარე,  $r$  – ბრუნვის რადიუსი. წინსვლითი (გადატანითი) მოძრაობის ენერგია გამოისახება იმპულსით – სხეულის მოძრაობის სიჩქარის ნამრავლით მის მასაზე. ბრუნვითი მოძრაობის დროს იმპულსის როლს ასრულებს მოძრაობის რაოდენობის (იმპულსის) მომენტი  $mvr$ . როგორც აღვნიშნეთ, ბორმა დაუშვა, რომ ელექტრონის ენერგია ატომში იცვლება ნახტომისებურად, ცალკეული ულუფებით – კვანტებით. მაშინ იმპულსიც (ამ შემთხვევაში მოძრაობის რაოდენობის მომენტი) უნდა შეიცვალოს ნახტომისებურად. ბორმა ივარაუდა, რომ იმპულსის შეცვლა ხდება ისეთნაირად, რომ იგი შეიძლება უდრიდეს მხოლოდ მთელ რიცხვჯერ აღებულ  $h/2\pi$ -ს, სადაც  $h$  პლანკის მუდმივაა. მაშინ ბორის პირველი პოსტულატის მათემატიკური გამოსახულება იქნება:

$$mvr = m_e vr = n \frac{h}{2\pi} \quad (3.9)$$

$$\hbar = \frac{h}{2\pi}, \text{ ე.ი. } m_e vr = n\hbar$$

$$r = n\hbar/m_e v \quad (3.10)$$

(3.10) განტოლების შესაბამისად წყალბადის ელექტრონის ბრუნვის მინიმალური რადიუსი და, მაშასადამე, მინიმალური ენერგიაც, შესაბამება  $n = 1$ . ელექტრონის ამ მდგომარეობას ენოდება ნორმალური ანუ ძირითადი. თუ წყალბადის ატომში ელექტრონი გადავა უფრო დაშორებულ ორბიტაზე, რომელსაც შესაბამება  $n = 2, 3$  და ა.შ., ატომის ასეთ მდგომარეობას ენოდება აღზნებული.

იმისათვის, რათა ორბიტა, რომელზედაც ელექტრონი მოძრაობს, იყოს მდგრადი – სტაციონარული, საჭიროა, რომ ბირთვსა და ელექტრონს შორის მიზიდულობის ძალა, რომელიც ცენტრისკენული ძალის როლში გამოდის, გაუტოლდეს ცენტრიდანულ ძალას. ცენტრიდანული ძალა გამოისახება ფარდობით:

$$E_{ცენტ.} = \frac{m_e V^2}{r},$$

სადაც,  $m_e$  – ელექტრონის მასაა,  $v$  – მისი სიჩქარე,  $r$  – ბრუნვის რადიუსი.

კულონის კანონის თანახმად, ატომის ბირთვსა და ელექტრონს შორის მიზიდულობა გამოისახება ფორმულით  $E_{\text{მა}} = ke^2/r^2$ , სადაც  $e$  – ელექტრონის მუხტია, რომელიც წყალბადის ატომის ბირთვის მუხტის ტოლია. ორბიტის მდგრადობის პირობა მათემატიკურად ასე ჩაინერება:

$$\frac{mv^2}{r} = \frac{ke^2}{r^2}$$

$$mv^2 = ke^2/r, \quad (3.11)$$

სადაც  $k$  არის პროპორციულობის კოეფიციენტი და ის ტოლია:  $k = \frac{1}{4\pi\varepsilon_0}$  ( $\varepsilon_0$ -ს ენოდება ვაკუუმის დიელექტრული შეღწევადობა და მისი მნიშვნელობა  $8.854 \cdot 10^{-12}$  ფ/მ-ის ტოლია).

(3.10) და (3.11) განტოლებების შეპირისპირებით მივიღებთ ტოლობებს, რომლებიდანაც შეიძლება ელექტრონის ბრუნვის სიჩქარისა და ბრუნვის რადიუსის გამოთვლა:

$$r = \frac{nh}{mv} \quad (3.12),$$

ხოლო (3.11)-დან:

$$r = \frac{ke^2}{mv^2} \quad (3.13)$$

(3.12)-ს და (3.13)-ს შეპირისპირებით ატომის სტაციონარულ ორბიტაზე ელექტრონის ბრუნვის სიჩქარე იქნება:

$$\frac{nh}{mv} = \frac{ke^2}{mv^2}$$

$$v = \frac{ke^2}{nh} \quad (3.14)$$

(3.13)-ის ჩასმით (3.10)-ში მივიღებთ  $r$ -ის გამოსათვლელ ფორმულას:

$$r = \frac{n^2 h^2}{k m e^2} \quad (3.15)$$

$n$  სიდიდეს მთავარი კვანტური რიცხვი ენოდა. როცა  $n = 1$ , მაშინ წყალბადის ატომში ბორის პირველი სტაციონარული ორბიტის რადიუსია  $0.529 \cdot 10^{-8}$  სმ, ხოლო ელექტრონის მოძრაობის სიჩქარე ამ ორბიტაზე  $2200$  კმ/წმ ( $r = 0.529 \cdot 10^{-8}$  სმ  $\approx 0.529 \text{ \AA}$  პმ;  $1 \text{ პმ} = 10^{-12} \text{ მ}$ ).

რადგანაც ვიცით ორბიტის მდგრადობის პირობა, შეგვიძლია გამოვთვალოთ ამ ორბიტაზე მოძრავი ელექტრონის ენერგია. ელექტრონის სრული ენერგია მისი კინეტიკური ( $T$ ) და პოტენციური ენერგიების ( $U$ ) ჯამის ტოლია. მოძრავი ელექტრონის კინეტიკური ენერგია  $T = \frac{mv^2}{2}$ , ხოლო პოტენციური  $U = -\frac{ke^2}{r}$ . პოტენციური ენერგია

უარყოფითია, რადგან ურთიერთმოქმედ ნაწილაკებს აქვს საწინააღმდეგო ნიშნის მუხტები. მაშინ:

$$E = \frac{mv^2}{2} - \frac{ke^2}{r} \quad (3.16)$$

(3.11)-ს ჩასმით (3.16)-ში მივიღებთ:

$$E = 1/2 \frac{ke^2}{r} - \frac{ke^2}{r} = -1/2 \frac{ke^2}{r} \quad (3.17)$$

(3.17)-ში (3.15)-ს ჩასმით მივიღებთ:

$$E = -\frac{mk^2e^4}{2n^2h^2} \quad (3.18).$$

ეს თეორიული ფორმულა ეთანხმება წყალბადის ატომისათვის ექსპერიმენტით მიღებულს:

$$E = -\frac{hcR_\infty}{n^2} \quad (3.19)$$

მათი ერთობლივი ამოხსნა გვაძლევს ე.წ. რიდგერგის მუდმივას ( $R_\infty$ ) თეორიულ გამოსახულებას:

$$R_\infty = \frac{2\pi^2 mk^2 e^4}{ch^3}, \quad (3.20)$$

რომელიც იძლევა ცდით მიღებულ სიდიდესთან ძალიან მიახლოებულს. სრული თანხვდენა ბორის თეორიით გამოვლილისა ექსპერიმენტთან მიღება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ელექტრონი და ბირთვი ბრუნავს საერთო მასების ცენტრის ირგვლივ. მაშინ  $R_\infty$ -ის გამოსახულებაში  $m$ -ის ნაცვლად უნდა ვისარგებლოთ ელექტრონის დაყვანილი მასით  $m^*$ , რომელიც ტოლია:

$$m^* = \frac{m}{1 + \frac{m}{M}}, \quad (3.21)$$

სადაც  $M$  არის ბირთვის მასა.

(3.18) არის ბორის მეორე პოსტულატის მათემატიკური გამოსახულება. ამ ტოლობაში ყველა სიდიდე, გარდა  $n$ -ისა, მუდმივია. ამიტომ ცხადი ხდება, რომ ელექტრონის ენერგია ატომში განისაზღვრება მთავარი კვანტური რიცხვის მნიშვნელობით.

ბორის პოსტულატები მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა კლასიკური ფიზიკის წარმოდგენებს, მაგრამ მისმა თეორიამ მაშინვე ჰპოვა დიდი აღიარება. ბორის გამოთვლები წყალბადის ატომისათვის ბრწყინვალედ დაემთხვა ექსპერიმენტის შედეგებს. უფრო მეტიც, თავისი თეორიის

საფუძველზე იწინასწარმეტყველა წყალბადის უცნობი სპექტრული სერიების არსებობა, რაც მომავალში მართლაც დადასტურდა (რიდბერგის მუდმივას გამოთვლის შედეგები დაემთხვა ექსპერიმენტის შედეგებს).

მაგრამ ბორის თეორიის ტრიუმფი მაინც სრული არ იყო. მალე გა-მოიკვა, რომ იგი ზუსტად ხსნის მხოლოდ წყალბადის ატომის აგებულებას. უფრო რთული ატომებისათვის თეორია იძლეოდა მხოლოდ თვი-სებრივად მიახლოებით სურათს.

1916 წელს გერმანელმა არნოლდ ზომერფელდმა დაუშვა, რომ ელექტრონები მოძრაობს არა მხოლოდ წრიულ, არამედ ელიფსურ ორ-ბიტებზეც. ასეთი სრულყოფის მიუხედავად ბორ-ზომერფელდის თეორია მაინც უძლური აღმოჩნდა მთელი რიგი საკითხების გარკვევაში.

### 3.5. ბორ-ზომერფელდის თეორიის ძირითადი ნაკლოვანებები

ბორ-ზომერფელდის თეორიას, მისი უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად გააჩნია მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

1. ამ თეორიაში კლასიკური ფიზიკის, კერძოდ, ნაწილაკების მოძრაობის კანონები, მექანიკურად არის შერწყმული დაკვანტვის წესებთან, ე.ი. იგი არის „ჰიბრიდი“ შეუთავსებელი დებულებებისა.

2. წყალბად-ატომის უმარტივეს შემთხვევაშიც კი, ამ თეორიის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ განისაზღვროს გამოსხივების სიხშირე ან სპექტრული ხაზის შესაბამისი ტალღის სიგრძე; რაც შეხება მათ ინტენსიურობას, მისი გამოთვლა, შესაბამისი მოდელის ფარგლებში, ვერ ხერხდება.

3. ბორ-ზომერფელდის თეორიას არ ძალუს მრავალელექტრონიანი ატომების სტრუქტურის აღნერა, კერძოდ, უკვე ჰელიუმის შემთხვევაში იგი აწყდება გადაულახავ ნინააღმდეგობას.

4. ეს თეორია ვერ ხსნის წყალბადის ატომის გამოსხივების (ემისიური) სპექტრის ზენტრიდა სტრუქტურას (ზეემანის ანომალურ ეფექტს, რომლის თანახმად მაგნიტურ ველში ადგილი აქვს სპექტრული ხაზების „დახლეჩას“ ანუ ზენტრიდა სტრუქტურის გამოვლენას);

5. ბორ-ზომერფელდის თეორიის ფარგლებში შეუძლებელია ქიმიური ბმის ბუნების რაოდენობრივი ახსნა. მაგალითად,  $H_2^+$  (მოლეკულური იონის) ბმის გახლეჩის ენერგია ამ თეორიის მიხედვით უარყოფითად მაშინ, როდესაც ამ ბმის გახლეჩის ენერგია  $+255 \text{ кJ}/\text{მოლის}$  ტოლია.

მიუხედავად ამ თეორიების პროგრესული ხასიათისა, მათ ვერ შეძლეს სრულყოფილად დაეხასიათებინათ ატომის აღნაგობა.

ბორ-ზომერფელდის თეორია არის იმის დამადასტურებელი, რომ ბუნების კანონების (რომელიც სამართლიანია მაკროსამყაროსათვის) მექანიკური გადატანა მიკროსამყაროში მართებული არ არის. მიკრონანილაკები: ატომები, ელექტრონები, ფოტონები არ ექვემდებარებიან

მაკროსხეულებისათვის არსებულ კანონებს; ამიტომ დღის წესრიგში დადგა ახალი, უფრო სრულყოფილი თეორიის შექმნის აუცილებლობა. ეს თეორია აღმოჩნდა კვანტური ანუ ტალღური მექანიკა.

### 3.6. ატომის აგებულების კვანტური თეორიის ელემენტები. მიკრონანილაკების კორპუსულურ- ტალღური დუალიზმი

ბორის თეორიისაგან განსხვავებით კვანტური მექანიკა უარყოფს ელექტრონების მოძრაობას ფიქსირებულ ორბიტებზე. ის ელექტრონების მოძრაობას ანიჭებს ალბათურ (სტატისტიკურ) ხასიათს. ამავე დროს კვანტური მექანიკა გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ელექტრონს ახასიათებს როგორც ნაწილაკის, ისე ტალღური ბუნება (ტალღის თვისებები აიწერება ტალღური ფუნქციით – სინუსოდით). ამ მოვლენას კორპუსკულურ-ტალღური დუალიზმი (ორბუნებოვნება) ეწოდება. პირველად ასეთი ორბუნებოვნება დადგინდა სინათლისათვის. სინათლის ტალღურ ბუნებაზე მიუთითებდა დიფრაქციისა და ინტერფერენციის მოვლენები; კორპუსკულურზე კი – ფოტოეფექტის (მაგალითად, მეტალების მიერ ელექტრონების გამოსხივება მათი განათებისას) მოვლენა (გეორგ ჰერცი).

ფოტოეფექტი ეწოდება მეტალებისა და ნახევარგამტარების მიერ ელექტრონების გამოსხივებას მათი განათებისას, დასხივებისას. სინათლის ტალღური თეორიის თანახმად, გამოტყორცნილი ელექტრონების ენერგია  $E$  პროპორციული უნდა იყოს განათებულობისა. მაგრამ ცდა აჩვენებს, რომ  $E$  არ არის დამოკიდებული განათებულობაზე. აღმოჩნდა, რომ ელექტრონების მაქსიმალური ენერგია  $E_{\max}$ . შეესაბამება აინშტაინის კანონს ფოტოეფექტისათვის:

$$E_{\max} = h\nu - A, \quad (3.22)$$

სადაც  $A$  არის მეტალიდან ელექტრონის გამოსვლის მუშაობა.

ეს განტოლება მიიღება, თუ დაუშვებთ, რომ ფოტონი არის ნაწილაკი, რომელიც ფლობს  $h\nu$  ენერგიას და რომელსაც იგი გადასცემს ელექტრონებს მეტალში.

ამგვარად, ფოტოეფექტი სრულიად განსაზღვრულად მიუთითებს გამოსხივების კორპუსკულურ ბუნებაზე, ხოლო ინტერფერენცია და დიფრაქცია ასევე განსაზღვრულად მიუთითებს სინათლის ტალღურ ბუნებაზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფოტონების მოძრაობა ხასიათდება განსაკუთრებული კანონებით, რომლებშიც შერწყმულია როგორც კორპუსკულური, ისე ტალღური მახასიათებლები.

კვანტურმა თეორიამ გააერთიანა და ახსნა სინათლის ორბუნებოვნება. ამ თეორიის მიხედვით სინათლის გამოსხივება ხდება ელექტრომაგნიტური ტალღების სახით, მაგრამ არა უწყვეტად, არამედ წყვეტილად, ცალკეული ულუფების, ანუ კვანტების სახით, რომლის ენერგია ( $E$ ) გამოსხივების სიხშირეზე (v) დამოკიდებული:  $E = hv$  (მაქს პლანკის განტოლება). ალბერტ აინშტაინმა დაამტკიცა, რომ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას აქვს როგორც ტალღის, ისე ნაწილაკის (კორპუსკულის) თვისებები.

ელექტრომაგნიტური გამოსხივების ნაწილაკს ეწოდება ფოტონი, რომლის ტალღური თვისებები აიწერება განტოლებით:

$$\lambda\nu = c$$

ხოლო კორპუსკულური – მაქს პლანკის განტოლებით:

$$E = h\nu$$

ალბერტ აინშტაინის ცნობილი ( $E = mc^2$ ) განტოლების და მაქს პლანკის ზემოთ მოტანილი განტოლების შეპირისპირებით ვიღებთ:

$$h\nu = mc^2$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ  $v = c/\lambda$ , მაშინ:

$$hc/\lambda = mc^2,$$

$$\text{საიდანაც: } \lambda = h/mc \quad (3.23)$$

ტოლობა (3.23) მიღებულია იმ ვარაუდით, რომ ფოტონს ახასიათებს როგორც კორპუსკულური, ისე ტალღური თვისებები. ამ განტოლებაში ჩადებულია სინათლის ორბუნებოვნება.

ფრანგმა მეცნიერმა ლუი დე ბროილმა გააკეთა გენიალური ალმოჩენა, როდესაც დაუშვა, რომ კორპუსკულურ-ტალღური ბუნება აქვს ნებისმიერ მიკრონანილაკს და კერძოდ, ელექტრონსაც. თუ მის მოძრაობას განვიხილავთ როგორც ტალღურ პროცესს, მისთვის გამოიყვანება განტოლება, სადაც ერთმანეთთან დაკავშირებულია ელექტრონის, ზოგადად ნაწილაკის მასა (კორპუსკულური თვისება) და ტალღის სიგრძე (ატალღური თვისება):

$$\lambda = h/m_e v_e, \quad (3.24)$$

სადაც  $m_e$  ელექტრონის მასაა,  $\lambda$  – ტალღის სიგრძე,  $v_e$  – მოძრაობის სიჩქარე.

ტალღებს, რომელიც შეესაბამება მოძრავ მიკრონანილაკებს, დებროილის ტალღები უწოდეს.

დებროილის ვარაუდი შემდგომში დადასტურდა. 1927 წელს ამერიკელმა ფიზიკოსებმა კლინტონ ჯოზეფ დევისონმა და ლესტერ პალბერტ ჯერმერმა აღმოაჩინეს ელექტრონების დიფრაქცია, რაც ელექტრონების ტალღურ ბუნებაზე მიუთითებდა. შემდეგში დადგინდა, რომ სხვა ნაწილაკებსაც (მაგალითად, ნეიტრონები, წყალბადის მოლეკულები, ჰელიუმის ატომები და ა.შ.) ახასიათებს დიფრაქცია, რომლებიც სხვადასხვა სტრუქტურული გამოკვლევებისათვის გამოიყენება. ამგვარად, მიკრობიერების ორმაგი – კორპუსკულურ-ტალღური ბუნება ნარმოადგენს საიმედოდ დადგენილ ფაქტს.

თუ გამოვითვლით სხვადასხვა ობიექტებისათვის  $\lambda$ -ს მნიშვნლობას, მაშინ აღმოჩნდება, რომ მაკროობიერებისათვის ეს მნიშვნელობები უსასრულოდ მცირეა. ასე, მაგალითად, 1 გ მასის ნაწილაკისათვის, რომელიც მოძრაობს 1 სმ/წმ სიჩქარით,  $\lambda = 6.6 \cdot 10^{-27}$  სმ. მაკროობიერების ტალღური თვისებები არაფერში არ მულავნდება. თუ ტალღის სიგრძე მნიშვნელოვანდ მცირეა ატომის ზომაზე ( $\sim 10^{-8}$ ), მაშინ შეუძლებელია ავაგოთ დიფრაქციული მესერი ან სხვა რომელიმე ხელსაწყო, რომელიც აღმოაჩენს ნაწილაკის ტალღურ ბუნებას. სხვა საქმეა მიკრონანილაკები. მაგალითად, 1 ვ პოტენციალით აჩქარებული ელექტრონისათვის, როცა  $V = 5.92 \cdot 10^7$  სმ/წმ,  $\lambda = 1.23 \cdot 10^{-7}$  სმ.

ელექტრონების (ან სხვა მიკრონანილაკების) ნაკადის დიფრაქციულ მესერში გავლის შედეგად ამ ნაკადის ინტენსივობა ერთი მიმართულებით იზ-

რდება, ხოლო მეორე მიმართულებით მცირდება, როგორც ეს დამახასიათებელია ტალღებისათვის, რომელთა ტალღის სიგრძე შეესაბამება დე ბროილის განტოლებას. ელექტრონების ნაკადის ინტენსივობა განსაზღვრავს ეკრანის სხვადასხვა უბანზე ელექტრონების მოხვედრის ალბათობას.

ამგვარად, სივრცეში მიკრონანილაკების მოძრაობის ხასიათი, ყოფნის ალბათობის განაწილება აღინიშნება კანონზომიერებით, რომლებიც ანალოგიურია ტალღური მოძრაობის კანონზომიერებისა. ამაში ვლინდება მიკრონანილაკების ორმაგი – კორპუსკულურ-ტალღური ბუნება, ანუ მათი კორპუსკულურ-ტალღური დუალიზმი, რაც კვანტური მექანიკის ერთ-ერთ ძირითად დებულებას წარმოადგენს.

კვანტური მექანიკის **მეორე ძირითადი დებულებაა** ე.ნ. განუზღვრელობის პრინციპი (ვერნერ კარლ ჰაიზენბერგი, 1927 წ.).

ეს პრინციპი შემდეგში მდგომარეობს. შეუძლებელია ერთდროულად ზუსტად განისაზღვროს მიკრონანილაკის მოძრაობის სიჩქარე (იმპულსი) და ადგილმდებარეობა (კოორდინატი). რაც უფრო ზუსტად განისაზღვრება მიკრონანილაკის კოორდინატი (x), მით უფრო განუზღვრელი ხდება მისი იმპულსი და პირიქით, რაც უფრო ზუსტად არის ცნობილი იმპულსი, მით უფრო განუსაზღვრელია კოორდინატი. განუზღვრელობის თანაფარდობას აქვს შემდეგი სახე:

$$\Delta x \Delta P_x > \hbar \text{ ან } \Delta x \Delta V_x > \hbar/m, \quad (3.25)$$

სადაც  $\Delta x$  არის ნაწილაკის მდებარეობის კოორდინატის განუზღვრელობა,  $\Delta P_x$  და  $\Delta V_x$  – იმპულსისა და სიჩქარის მდგრენლების ( $x$  კოორდინატის მიმართულებით) განუზღვრელობა,  $m$  – მიკრონანილაკების მასა.

რამდენადაც სიდიდე ჩი, რომელიც შედის განუზღვრელობის თანაფარდობაში, ძალიან მცირეა,  $m$  კი დიდი, მაკროობიექტებისათვის კოორდინატებისა და იმპულსების მნიშვნელობების განუზღვრელობა სრულად უმნიშვნელოა, მათ მიერ განპირობებული ეფექტები ვერც ერთი ხელსაწყოთი ვერ გამოვლინდება. მაკროობიექტების მოძრაობის აღნერისას საჭიროა განვიხილოთ მათი ზუსტი ტრაექტორია და ვისარგებლოთ კლასიკური მექანიკით.

### 3.7. შრედინგერის განტოლება. ტალღური ფუნქცია

1925-1926 წლებში ჰაიზენბერგმა და შრედინგერმა შეიმუშავეს ახალი მექანიკა, რომელიც აღნერდა მიკრონანილაკების მოძრაობას. მიკროობიექტების მექანიკამ მიიღო სახელწოდება: „კვანტური მექანიკა“. ნიუტონის კანონებზე დამყარებულ მექანიკას, რომელიც აღნერს მაკროსხეულების მოძრაობას, უწოდებენ კლასიკურ მექანიკას.

ბორ-ზომერფოელდის თეორიისაგან განსხვავებით კვანტური მექანიკა არ წარმოადგენს კლასიკური მექანიკის კანონების დაკვანტვის წესებთან ხელივნურ შეერთებას. ეს არის მწყობრი თეორია, დამყარებული ცნებების სისტემაზე, რომელიც არ შეიცავს წინააღმდეგობებს. ყველა შედეგი, მიღებული კვანტური მექანიკის საფუძველზე, სრულ შესაბამისობაშია ექსპერიმენტთან.

მიკრონაზილაკების მოძრაობა კვანტურ მექანიკაში აინტერეპა შრედინგერის განტოლებით, რომელიც ასრულებს იგივე როლს, რასაც კლასიკურ მექანიკაში ნიუტონის კანონები. როგორც ნიუტონის კანონები, ისე ეს განტოლება, შეუძლებელია გამოვიყვანოთ რომელიმე სხვა ფუნდამენტური დებულებებიდან. ის მიღებულ იქნა შრედინგერის მიერ კლასიკური მექანიკისა და ოპტიკის კანონზომიერებებს შორის ანალოგის ანალიზის საფუძველზე.

შრედინგერის განტოლება წარმოადგენს დიფერენციალურ განტოლებას კერძო წარმოებულებში. ერთი ნაწილაკის სტაციონარული მდგომარეობისათვის მას აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{\partial^2 \Psi}{\partial x^2} + \frac{\partial^2 \Psi}{\partial y^2} + \frac{\partial^2 \Psi}{\partial z^2} + \frac{8\pi^2 m}{h^2} (E - U) \Psi = 0 \quad (3.26),$$

სადაც  $\Psi$  არის ცვლადი სიდიდე,  $U$  – პოტენციური ენერგია,  $E$  – სრული ენერგია,  $x, y, z$  – კოორდინატები.

ხშირად ამ განტოლებას წერენ კომპაქტური ფორმით:

$$H\Psi = E\Psi \quad (3.27).$$

$H$  სიმბოლოთი, რომელსაც ენოდება ჰამილტონის ოპერატორი ან ჰამილტონიანი, აღნიშნავენ ყველა მათემატიკურ მოქმედებას, რომელსაც ანარმობენ მარცხენა ნაწილში  $\Psi$  სიდიდეზე.

ცვლად  $\Psi$  სიდიდეს ენოდება ტალღური ფუნქცია. აქვს განსაზღვრული ფიზიკური აზრი: ნამრავლი  $\Psi^2 dV$  ტოლია მოცულობის  $dV$  ელემენტში განსახილველი ნაწილაკის ყოფნის ალბათობისა.  $\Psi^2$  სიდიდეს ენოდება ალბათობის სიმკვრივე, ხოლო თუ საუბარია ელექტრონზე, ელექტრონული სიმკვრივე.

ტალღური ფუნქციის ფიზიკური არსის შესაბამისად, ის უნდა იყოს დასრულებული, უწყვეტი და ცალსახა, ასევე უნდა გადაიქცეს ნულად სივრცის იმ ადგილებში, სადაც ნაწილაკს არ შეუძლია ყოფნა. მაგალითად, ატომში ელექტრონის მოძრაობის განხილვისას  $\Psi$  უნდა გახდეს ნულის ტოლი ბირთვიდან უსასრულოდ დიდ მანძილზე.

შრედინგერის განტოლებიდან პოულობენ სისტემის სრულ  $E$  ენერგიას და  $\Psi$  (და  $\Psi^2$ ) ფუნქციის დამოკიდებულებას კოორდინატებისაგან, ე.ი. ელექტრონული სიმკვრივის განაწილებას ატომებისა და მოლეკულებისათვის. შრედინგერის განტოლების ამოხსნას ყოველთვის მიყყავართ ენერგიის დასაშვები მნიშვნელობების წყებამდე. ამგვარად, თეორიულად გამოიყვანება ცდიდან ცნობილი ენერგიის დაკვანტვა. ალსანიშნავა, რომ ეს შედეგი მიიღება განტოლებიდან, რომელიც თვითონ არ შეიცავს რომელიმე რიცხვების წყებას. ვიპოვით რა  $E$ -სა და  $\Psi(x,y,z)$ -ს, შეიძლება გამოვითვალოთ განსახილველი სისტემის ნებისმიერი ექსპერიმენტულად განსაზღვრული მახასიათებელი.

შრედინგერის განტოლების ზუსტი ანალიზური ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ ერთეულექტრონიანი სისტემებისათვის. უფრო რთულ ამოცანებში იყენებენ მიახლოებით მეთოდებს, რომლებითაც სარგებლობს კვანტური ქიმია.

კვანტური მექანიკის ცნებების სისტემა მკვეთრად განსხვავდება კლასიკური მექანიკის ცნებებისაგან. კვანტური მექანიკა განიხილავს

ნაწილაკების ყოფნის ალბათობას და არაფერს ამბობს ნაწილაკების ტრაექტორიაზე, მის კოორდინატებზე და სიჩქარეზე დროის ამა თუ იმ მომენტში. ამ ცნებას (ტრაექტორია) კვანტურ მექანიკაში არ აქვს აზრი. მაგრამ მასში ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობებს მასის, ენერგიისა და ნაწილაკის იმპულსის მომენტის ცნებები. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ნარმოდგენა მოძრაობაზე კვანტურ მექანიკაში მკვეთრად განსხვავდება კლასიკურისაგან, სადაც ნაწილაკების მოძრაობის დახასიათებისას ზე-მოაღნიშნულ კატეგორიებს გვერდს ვერ ავუკლით. კვანტურ მექანიკაში ხშირად გამოთქმის „ელექტრონის მოძრაობა“ (ატომში, მოლეკულაში და ა.შ.) ნაცვლად იყენებენ ტერმინს „ელექტრონის მდგომარეობა“.


### 3.8. კვანტური რიცხვები

წყალბადის ატომს აქვს ყველაზე მარტივი აღნაგობა. მასში არის მხოლოდ ერთი ელექტრონი, რომელიც მოძრაობს ბირთვის ველში. ასეთი სისტემისათვის პოტენციური ენერგიის ფუნქციას, რომელიც შედის შრედინგერის განტოლებაში, აქვს შემდეგი სახე:

$$U = -\frac{e^2}{r} \quad (3.28),$$

სადაც  $r$  არის მანძილი ბირთვსა და ელექტრონს შორის.

მოცემულ შემთხვევაში შრედინგერის განტოლების ამოხსნისას სარგებლობენ კოორდინატების პოლარული სისტემით, რომლის ცენტრი ემთხვევა ატომის ბირთვს (ნახ. 3.3).



ნახაზი 3.3 კოორდინატთა პოლარული სისტემა. ლია ფერის ისარი წარმოადგენს რადიუს-ვექტორის პროექციას  $x$  სიბრტყეზე.

თუ კოორდინატების მართკუთხა (დეკარტის\*) სისტემაში ნაწილაკის მდებარეობა აინერება  $x$ ,  $y$ ,  $z$  კოორდინატებით, პოლარულ სისტემაში ის განისაზღვრება  $r$  რადიუს-ვექტორით (მანძილით ნაწილაკსა და კოორდინატთა სისტემის ცენტრს შორის)  $\theta$  (განედით – რადიუს-ვექტორის პროექციით  $z$  ღრებთან) და  $\varphi$  (გრძედის – რადიუს-ვექტორის პროექციით  $xy$  სიბრტყეზე  $x$  ღრებთან) კუთხეებით. სწორკუთხოვანი

კოორდინატები პოლარულთან დაკავშირებულია შემდეგი თანაფარდობებით:

$$\begin{aligned}x &= r \sin \theta \cos \varphi; \\y &= r \sin \theta \sin \varphi; \\z &= r \cos \varphi.\end{aligned}$$

ტალღური  $\Psi$  ფუნქციის ამონახსნს სამი ფუნქციის ნამრავლის სახე აქვს. ყოველი ფუნქცია შეიცავს მხოლოდ ერთ ცვლადს:

$$\Psi(r, \theta, \varphi) = R(r)\Theta(\theta)\Phi(\varphi) \quad (3.29).$$

გამოსახულებას  $R(r)$  ენოდება ტალღური ფუნქციის რადიალური ნაწილი, ნამრავლი  $\Theta(\theta)\Phi(\varphi)$  კი შეადგენს მის კუთხურ ნაწილს.

**შრედინგერის განტოლების ამონაში ჩნდება სამი სიდიდე,** რომელთაც შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ მთელრიცხვა მნიშვნელობები – სამი კვანტური რიცხვი. ისინი აღინიშნება ასობით  $n, \ell$  და  $m_l$ . ეს სიდიდეები შედიან ტალღური ფუნქციის როგორც რადიალური, ისე კუთხური მდგრენლების გამოსახულებაში.

უფრო ზოგადი სახით შრედინგერის განტოლების ამონაშის შედეგი წყალბადის ატომისათვის შეიძლება გამოისახოს ქვემოთ მოტანილი ფუნქციების სახით:

$$R(r) = f_1(n, \ell) \quad (3.30),$$

$$\Theta(\theta) = f_2(\ell, m_l) \quad (3.31),$$

$$\Phi(\varphi) = f_3(m_l) \quad (3.32).$$

კვანტურ რიცხვებს  $n, \ell$  და  $m_l$  შეუძლიათ მიიღონ შემდეგი მნიშვნელობები:

$$n = 1, 2, 3, \dots \quad (3.33),$$

$$\ell = 0, 1, 2, \dots, (n-1) \quad (3.34),$$

$$m_l = 0, \pm 1, \pm 2, \dots, \pm \ell \quad (3.35).$$

კვანტური რიცხვები  $n, \ell$  და  $m_l$  ახასიათებენ ელექტრონის მდგომარეობას არა მარტო წყალბადის ატომში, არამედ ნებისმიერ სხვა ატომში.

ბორ-ზომერფელდის თეორიისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვით ელექტრონი მოძრაობს განსაზღვრულ ორბიტებზე, კვანტური მექანიკა გვიჩვენებს, რომ ელექტრონს შეუძლია იმყოფებოდეს ატომის ნებისმიერ ნერტილში, მაგრამ მისი ყოფნის ალბათობა მოცულობის სხვადასხვა უპასში არ არის ერთნაირი.

ატომში ელექტრონის მოძრაობაზე თანამედროვე წარმოდგენებს შეესაბამება ცნება ელექტრონული ღრუბლის შესახებ (ნახ. 3.4), რომლის სიმკვრივე მოცულობის სხვადასხვა ნერტილში განისაზღვრება სიდიდით  $\Psi^2$ . ელექტრონული ღრუბლი არის სივრცის ნაწილი, სადაც ელექტრონის მდებარეობის ალბათობა მაღალია. ელექტრონულ ღრუბელს გრაფიკულად გამოსახავს პოლარული დიაგრამა (იხ. ქვემოთ), რომელიც სხვადასხვა მდგომარეობათა ერთობლიობაა. ელექტრონული ღრუბლის შესაბამისი მონაკვეთების სიმკვრივე პროპორციულია იქ ელექტრონის მდებარეობის ალბათობისაა.

ამჟამად გამოთქმის „ორბიტა“ ნაცვლად სარგებლობენ ტერმინით „ორბიტალი“, რომელიც მოცემული კვანტური რიცხვების პირობებში,


იძლევა გარკვეულ სივრცეში ელექტრონის ყოფნის (მდებარეობის) ალბათობის განაწილებას. ტალღურ ფუნქციას, რომელიც ახასიათებს ორბიტალს, ხშირად სიმოკლისათვის უწოდებენ აგრეთვე ორბიტალს. სასაზღვრო ზედაპირის ფორმა და ზომა მიღებულია ჩაითვალის შესაბამისი ორბიტალის ფორმად და ზომად. ორბიტალი მოიცავს შესაბამისი ელექტრონული ღრუბლის 90%-ს.

ატომში ელექტრონების მდგომარეობის დახასიათების ჩასაწერად სარგებლობენ შემდეგი აღნიშვნებით: კვანტური რიცხვი  $n$  აღინიშნება ციფრებით, ხოლო  $l$ -ს აღნიშნავენ ლათინური ანბანის პატარა ასოებით შემდეგი ცხრილის (ცხრილი 3.1) შესაბამისად:

ცხრილი 3.1

l-ის მნიშვნელობა	0	1	2	3	4	5
აღნიშვნა	s	p	d	f	g	h

პირველი ოთხი ასო ემთხვევა სპექტრული სერიების აღნიშვნებს. [s – sharp (მკვეთრი), p – principal (მთავარი), d – diffuse (დიფუზური), f – fundamental (ფუნდამენტური)]. ამ სერიების წარმოშობა განპირობებულია ელექტრონების გადასვლებით, რომლებიც შეესაბამებიან კვანტური რიცხვის l-ის განსაზღვრულ მნიშვნელობებს.



ნახაზი 3.4. ატომებში ელექტრონების სხვადასხვა მდგომარეობების ელექტრონული ღრუბლების ფორმები (პოლარული დიაგრამები  $\Psi^2$ ).

არსებობს ტალღური ფუნქციების გრაფიკული წარმოსახვის სხვადასხვა ხერხი. **ელექტრონული ღრუბლის ფორმას** მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ტალღური ფუნქციის კუთხური მდგენელი  $\Theta(\theta)\Phi(\varphi)$ . მისი გამოსახვისათვის ხშირად სარგებლობენ პოლარული დიაგრამებით. თუ კოორდინატთა სისტემის ცენტრიდან (ატომის ბირთვი) ყველა შესაძლებელი კუთხით ავაგებთ უსასრულოდ ბევრ მონაკვეთს, რომლებიც განისაზღვრება  $\Theta(\theta)\Phi(\varphi)$ -ის მნიშვნელობებით, მაშინ ამ მონაკვეთების ბოლო წერტილები წარმოქმნიან განსაზღვრულ ზედაპირს, რომელიც ახასიათებს ორბიტალის ფორმას. პოლარული დიაგრამა არის ამ ზედაპირის გამოსახულება. ხშირად იყენებენ პოლარულ დიაგრამებს, რომლებიც წარმოადგენენ არა თვით  $\Theta(\theta)\Phi(\varphi)$  სიდიდეს, არამედ მის კვადრატს. ნახ. 3.4-ზე წარმოდგენილია  $\Psi^2$  პოლარული დიაგრამები, რომლებიც გვიჩვენებენ ელექტრონული ღრუბლის ფორმას ელექტრონის ზოგიერთი მდგომარეობისათვის.

კვანტურ რიცხვებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ქიმიური ელემენტების თვისებებისა და ქიმიური ბმის ბუნების გასაგებად. კვანტური რიცხვები  $n$ ,  $\ell$  და  $m$  განსაზღვრავენ ელექტრონული ღრუბლის გეომეტრიულ თავისებურებებს. ისინი აგრეთვე დაკავშირებულია ელექტრონის მოძრაობის ფიზიკურ მახასიათებლებთან.

თუ ვიცით ატომში ელექტრონული სიმკვრივის განაწილება, შეიძლება გამოვითვალოთ ბირთვიდან ელექტრონის სამუალო მანძილი  $r_{\text{aa}}$ , რომელიც ახასიათებს ორბიტალის ზომას.  $r_{\text{aa}}$  სიდიდე განისაზღვრება  $n$ -ისა და  $\ell$ -ის მნიშვნელობებით. წყალბადის ატომსა და წყალბადის მსგავს იონებში ( $\text{He}^+$ ,  $\text{Li}^{2+}$ , ...) ელექტრონისათვის  $r_{\text{aa}}$  გამოისახება თანაფარდობით:

$$r_{\text{aa}} = \frac{a_0 n^2}{Z} \left\{ 1 + \frac{1}{2} \left[ 1 - \frac{\lambda(\lambda+1)}{n^2} \right] \right\}, \quad (3.36)$$

სადაც  $Z$  არის ბირთვის მუხტი,  $a_0$  – ბორის პირველი ორბიტის რადიუსი ( $r_1$ ),  $[r_1, [r_1, f(n^2, Z, \ell)] (24^{\circ})]$ .

ატომის კვანტურ მდგომარეობას უმცირესი ენერგიის მნიშვნელობით  $E_1$ , ეწოდება ძირითადი მდგომარეობა, ხოლო  $E_i > E_1$  ენერგეტიკულ მდგომარეობებს – აღგზნებული მდგომარეობები; ატომი ძირითად მდგომარეობაში იმყოფება განუსაზღვრელ დროს, ხოლო აღგზნებულში – ძალზე მცირე ხანს ( $10^{-8}$ – $10^{-10}$  ნმ). ატომი აღგზნებულ მდგომარეობაში გადადის ენერგიის შთანთქმით. აღგზნებული მდგომარეობიდან ძირითად მდგომარეობაში დაბრუნებისას ატომი ენერგიას გამოასხივებს.

3.36 განტოლებიდან ჩანს, რომ  $r_{\text{aa}}$  სიდიდე დაახლოებით  $n^2$ -ის პროპორციულია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კვანტური რიცხვი  $n$  განსაზღვრავს ელექტრონის ორბიტალის ზომას.

წყალბადის ატომში ელექტრონის ენერგია დამოკიდებულია მხოლოდ  $n$  რიცხვზე. შრედინგერის განტოლების ამოხსნა გვაძლევს თანაფარდობას:

$$E = -\frac{1}{2} \frac{mk^2 e^4}{n^2 \eta^2} \quad (3.37).$$

როგორც ჩანს, მიიღება ისეთივე გამოსახულება, როგორც ბორის თეორიაში, მაგრამ უკანასკნელისაგან განსხვავებით კვანტური მექანიკა მიდის ამ შედეგამდე შრედინგერის განტოლების ამოხსნის გზით და არა თვითნებური დაშვებით, რომ ელექტრონები მოძრაობენ განსაზღვრულ წყება ორბიტებზე, რომლებიც მთელი რიცხვების რიგის მეშვეობით გამოიანგარიშება.

იმის გამო, რომ  $n$  განსაზღვრავს წყალბადის ატომში ელექტრონის ძირითად მახასიათებელს – მის ენერგიას, ამ სიდიდემ მიიღო მთავარი კვანტური რიცხვის სახელწოდება. კვანტურ რიცხვს  $\ell$ -ს უწოდებენ ორბიტალურს. ის განსაზღვრავს ელექტრონის იმპულსის ორბიტალურ მომენტს –  $M$ -ს:

$$M = \eta \sqrt{\lambda(\lambda+1)} \quad (3.38)$$

იმპულსის მომენტი წარმოადგენს ვექტორს. მისი მიმართულება განისაზღვრება კვანტური რიცხვით  $m_l$ -ით, ე.ი.  $m_l$  ახასიათებს ორბიტალის განლაგებას (ორიენტაციას) სივრცეში. ვექტორის მიმართულება შეიძლება განსაზღვროს პროექციის სიდიდემ რომელიმე ღერძზე, მაგალითად,  $z$  ღერძზე. შეიძლება მოინახოს იმპულსის ორბიტალური მომენტის პროექცია მხოლოდ ერთ ღერძზე, სხვა პროექციების მონახვა დაუშვებელია განუზღვრელობის თანაფარდობით. თუ  $\hbar$  ჩვენ გვეცოდინება სამი პროექცია ( $x$ ,  $y$ , და  $z$  ღერძებზე), მაშინ ცნობილი იქნებოდა ელექტრონის მოძრაობის ტრაექტორია. ელექტრონის იმპულსის ორბიტალური მომენტის პროექცია განისაზღვრება თანაფარდობით:

$$M_z = \eta m_l \quad (3.39)$$

კვანტურ რიცხვს  $m_l$  ეწოდება მაგნიტური, რადგანაც მისგანაა დამოკიდებული ელექტრონის ორბიტალური მაგნიტური მომენტის პროექცია.

კვანტური რიცხვები  $n$ ,  $\ell$  და  $m_l$ , რომლებიც მიიღება წყალბადის ატომისათვის შრედინგერის განტოლების ამოხსნით, სრულად ვერ ახასიათებენ ელექტრონის მოძრაობას ატომებში. სპექტრების შესწავლამ აჩვენა, რომ ამ მახასიათებლებს უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი. როგორც ცდა აჩვენებს, ელექტრონს აქვს ფუნდამენტური თვისება (ისეთივე როგორც მასა, მუხტი და სხვ.), რომელსაც **სპინი** ეწოდება. სპინი მულავნდება ელექტრონის იმპულსის საკუთარი მომენტისა და მასთან დაკავშირებული მაგნიტური მომენტის არსებობაში. გამარტივებულად სპინი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საკუთარი ღერძის გარშემო ელექტრონის ბრუნვა. როგორც ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა აჩვენა, ელექტრონის იმპულსის საკუთარი მომენტის პროექციამ შეიძლება მიიღოს მხოლოდ ორი მნიშვნელობა  $+\frac{1}{2}\hbar$  და  $-\frac{1}{2}\hbar$ . ნიშნები „პლუსი“ და „მინუსი“ შეესაბამება ელექტრონის ბრუნვის სხვადასხვა მიმართულებას. ამიტომ ატომის აღნაგობის თეორიაში შემოტანილია კიდევ სპინური კვანტური რიცხვი  $m_s$ , რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ

$\pm \frac{1}{2}\hbar$  მიიღოს მხოლოდ ორი მნიშვნელობა  $+\frac{1}{2}\hbar$  და  $-\frac{1}{2}\hbar$ . ნიშნები „პლუსი“ და „მინუსი“ შეესაბამება ელექტრონის ბრუნვის სხვადასხვა მიმართულებას. ამიტომ ატომის აღნაგობის თეორიაში შემოტანილია კიდევ სპინური კვანტური რიცხვი  $m_s$ , რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ

ორი მნიშვნელობა  $+\frac{1}{2}$  და  $-\frac{1}{2}$ , ე.ი. როგორც დანარჩენი კვანტური რიცხვები, განსხვავდებიან ერთით.

ოთხი კვანტური რიცხვი  $n, l, m_l$  და  $m_s$  მთლიანად ახასიათებენ ატომში ელექტრონის მოძრაობას. არავითარი სხვა კვანტური რიცხვებისაგან დამოუკიდებელი მახასიათებლები ამ მოძრაობას არ შეიძლება ჰქონდეს.

რამდენადაც წყალბადის ატომში ელექტრონის ენერგია განისაზღვრება სიდიდით  $n$  და არ არის დამოკიდებული დანარჩენ კვანტურ რიცხვებზე, ცხადია, შეიძლება იყოს ერთნაირი ენერგიის ელექტრონის სხვადასხვა მდგომარეობა. **ეს მდგომარეობები წარმოადგენენ გადაგვარებულს.** გადაგვარება ქრება ატომში ელექტრონზე გარე ელექტრული ან მაგნიტური ველის ზემოქმედებით. ელექტრონი  $n$ -ის ერთი და იგივე, მაგრამ  $m_l$ -ისა და  $m_s$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობის მდგომარეობებში სხვადასხვაგვარად მოქმედებს გარე ველთან, რის შედეგად ელექტრონის ენერგიები ამ მდგომარეობებში ხდება არაერთნაირი. ამით აიხსნება სპექტრული ხაზების გახლება გამოსხივების წყაროს ელექტრულ ან მაგნიტურ ველში მოთავსებისას (შტარკისა და ზეემანის ეფექტები).

წყალბადის ატომზე ნათქვამი სრულად გამოიყენება სხვა ანალოგიური ერთეულექტრონიანი სისტემებისათვის – იონებისათვის  $\text{He}^+$ ,  $\text{Li}^{2+}$  და ა.შ. ელექტრონის ენერგია ამ შემთხვევაში გამოისახება თანაფარდობით:

$$E = -\frac{1}{2} \frac{mk^2 e^4 Z^2}{n^2 \eta^2} \quad (3.40).$$

როგორც წყალბადის ატომში, ისე მრავალელექტრონიან ატომებში ყოველი ელექტრონის მდგომარეობა განისაზღვრება ოთხი კვანტური რიცხვის  $n, l, m_l$  და  $m_s$  მნიშვნელობებით. ამ რიცხვებს შეუძლიათ მიიღონ ისე-თივე მნიშვნელობები, რაც დამახასიათებელია წყალბადის ატომისათვის.

მრავალელექტრონიან ატომებში ელექტრონი მოძრაობს არა მხოლოდ ბირთვის ველში, არამედ სხვა ელექტრონების ველშიც. ამ ფაქტორის გავლენას მივყავართ იქამდე, რომ ენერგია ელექტრონებისა, რომლებსაც აქვთ ერთნაირი  $n$ , მაგრამ სხვადასხვა  $l$ , ხდება სხვადასხვა. ამგვარად, მრავალელექტრონიან ატომებში ელექტრონების ენერგია განისაზღვრება ორი კვანტური რიცხვის  $n$ -ისა და  $l$ -ის მნიშვნელობებით. ამასთან ენერგია იზრდება როგორც  $n$ -ის, ასევე  $l$ -ის გაზრდასთან ერთად. ენერგიის დამოკიდებულება  $l$ -ისაგან ხდება მით უფრო შესამჩნევი  $n$ -ისაგან დამოკიდებულებასთან შედარებით, რაც უფრო მეტ ელექტრონს შეიცავს ატომი.

ატომში ელექტრონთა ერთობლიობას, რომელთაც აქვთ  $n$ -ის ერთნაირი მნიშვნელობა და რომელიც განსაზღვრავს ბირთვისაგან ელექტრონის საშუალო მანძილს, ენოდება ელექტრონული შრე (დონე). ელექტრონული შრეები აღინიშნება ლათინური ანბანის დიდი ასოებით ქვემოთ მოტანილი ცხრილის (ცხრილი 3.2) შესაბამისად:

ცხრილი 3.2

$n$	1	2	3	4	5	6	7
შრის ალნიშვნა	K	L	M	N	O	P	Q

ელექტრონები  $n$ -ისა და  $l$ -ის ერთნაირ მდგომარეობებში შეადგენენ ელექტრონულ გარსს (ქვედონე). არჩევენ  $s$ -გარსს,  $p$ -გარსს და  $d$ . ელექტრონებზე, რომელთაც აქვთ ერთნაირი  $n$ ,  $l$  და  $m_l$ , ამბობენ, რომ ისინი იკავებენ განსაზღვრულ ორბიტალს. ერთ ორბიტალზე შეიძლება იმყოფებოდეს ორი ელექტრონი სანინაალმდევო სპინებით. გარსზე ელექტრონების მაქსიმალური რიცხვი ტოლია  $2(2l+1)$ , შრები კი  $2n^2$ .

### 3.9. შრების, გარსებისა და ორბიტალების შევსების წესები

ორბიტალი პირობითად აღინიშნება უჯრედით (კვადრატით), რომელსაც ენოდება კვანტური უჯრედი:



ელექტრონი აღინიშნება ისრით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მიმართულება ქვემოდან ზემოთ  $\uparrow$  (პირობითად  $m_s = +\frac{1}{2}$ ) ან ზემოდან ქვე-

მოთ  $\downarrow$  (პირობითად  $m_s = -\frac{1}{2}$ ). ორბიტალი შეიძლება იყოს თავისუფალი,

დასახლებული ერთი ან ორი ელექტრონით. როგორც უკვე აღინიშნა, შრები (დონეები) შედგებიან გარსებისაგან (ქვედონებისგან), ხოლო ეს უკანასკნელი – ორბიტალებისაგან. პირველ ანუ  $K$  შრეს ( $n = 1$ ) აქვს ერთი გარსი –  $s$ -გარსი ( $l = 0$ ), რომელსაც თავის მხრივ, აქვს მხოლოდ ერთი ორბიტალი ( $m_l = 0$ ). მეორე ანუ  $L$  შრეს ( $n = 2$ ) აქვს ორი გარსი –  $s$ -გარსი ( $l = 0$ ) და  $p$ -გარსი ( $l = 1$ ), რომელსაც თავის მხრივ აქვს სამი ორბიტალი ( $m_l = -1, 0, +1$ ). მესამე ანუ  $M$  შრეს ( $n = 3$ ) აქვს სამი გარსი –  $s$ -გარსი ( $l = 0$ ),  $p$ -გარსი ( $l = 1$ ) და  $d$ -გარსი ( $l = 2$ ), რომელსაც თავის მხრივ აქვს ხუთი ორბიტალი ( $m_l = -2, -1, 0, +1, +2$ ). მეოთხე ( $n = 4$ ), მეხუთე ( $n = 5$ ), მეექვსე ( $n = 6$ ) და მეშვიდე ( $n = 7$ ) შრებს აქვთ ოთხ-ოთხი გარსი –  $s$ -გარსი ( $l = 0$ ),  $p$ -გარსი ( $l = 1$ ),  $d$ -გარსი ( $l = 2$ ) და  $f$ -გარსი ( $l = 3$ ), რომელსაც თავის მხრივ აქვს შვიდი ორბიტალი ( $m_l = -3, -2, -1, 0, +1, +2, +3$ ). ამჟამად ცნობილი ქიმიური ელემენტებისათვის მერვე და უფრო მაღალი დონის შრეების ( $n \geq 8$ ), აგრეთვე  $g$ - და  $s$  სხვა გარსების ( $l \geq 4$ ) არსებობა ნორმალურ (აღუგზნებელ) მდგომარეობაში საჭიროებას არ წარმოადგენს. მოცემული ელემენტის ატომში ელექტრონული შრეების რაოდენობა იმ პერიოდის ნომრის ტოლია, რომელშიც ეს ელემენტი არის მოთავსებული. ელექტრონული გარსი აღინიშნება არაბული ციფრითა და ლათინური ანბანის პატარა ასოთი. მაგალითად, ჩანაწერი  $1s$  ნიშნავს პირველი შრის  $s$ -გარსს,  $2p$  – მეორე შრის  $p$ -გარსს და  $a.s.$  ელექტრონების რაოდენობა გარსზე აღინიშნება ზედა მარჯვენა კუთხეში არაბული ციფრით. მაგალითად,  $3d^7$ , რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე შრის  $d$ -გარსზე იმყოფება შვიდი ელექტრონი.

ელექტრონებით შრების, გარსების და ორბიტალების შევსება ექ-  
ვემდებარება შემდეგ წესებს:

I. უმცირესი ენერგიის პრინციპი – „**ელექტრონი თავისუფალ ორ-  
ბიტალებს შორის პირველყოვლისა იმას დაიკავებს, რომლის ენერ-  
გია უფრო ნაკლებია**“.

ორბიტალების ენერგია განისაზღვრება კლეჩკოვსკის 2 წესით:

I. ორბიტალების ენერგია იზრდება მთავარი და თანაური კვანტური  
რიცხვების ჯამის ( $n + \ell$ ) ზრდასთან ერთად.

II. მთავარი და თანაური კვანტური რიცხვების ჯამის ( $n + \ell$ ) ერთნაი-  
რი მნიშვნელობის შემთხვევაში იმ ორბიტალების ენერგია არის ნაკლე-  
ბი, რომლის მთავარი კვანტური რიცხვიც ნაკლებია.

ამ წესების გათვალისწინებით მიღებულია ორბიტალების ენერგიის  
ზრდის შემდეგი თანმიმდევრობა:

$$1s < 2s < 2p < 3s < 3p < 4s < 3d < 4p < 5s < 4d < 5p < 6s < 4f < \dots$$

(1s,  $n = 1$ ,  $\ell = 0$ ,  $n + \ell = 1$ ; 2s,  $n = 2$ ,  $\ell = 0$ ,  $n + \ell = 2$ ; 2p,  $n = 2$ ,  $\ell = 1$ ,  $n + \ell = 3$ ;  
3s,  $n = 3$ ,  $\ell = 0$ ,  $n + \ell = 3$ ; 3p,  $n = 3$ ,  $\ell = 1$ ,  $n + \ell = 4$ ; 3d,  $n = 3$ ,  $\ell = 2$ ,  $n + \ell = 5$ ; 4s,  $n = 4$ ,  $\ell = 0$ ,  $n + \ell = 4$ ; 4p,  $n = 4$ ,  $\ell = 1$ ,  $n + \ell = 5$ ; 4d,  $n = 4$ ,  $\ell = 2$ ,  $n + \ell = 6$  და ა.შ.).

კლეჩკოვსკის პირველი წესის თანახმად **ელექტრონული გარსების შევსება ხდება მთავარი  $n$  და ორბიტალური  $\ell$  კვანტური რიცხვების  $n + \ell$  ჯამის ზრდის შესაბამისად**. ამ წესის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მე-19 ელექტრონის (კალიუმის ატომში) მიერ ქვედონის შევსების შემთხვევა. მე-18 ელექტრონი ამთავრებს მესამე შრის p-გარსის შევსებას. ამასთან ვაკანტური რჩება ამავე შრის d-გარსის ხუთივე ორბიტალი და მთლიანად მეოთხე შრე (კალიუმი არის მეოთხე პერიოდის ელემენტი). შევადაროთ  $n + \ell$  ჯამი 3d-, 4s-, 4p-, 4d- და 4f-გარსებისათვის (ცხრილი 3.3):

ცხრილი 3.3

	3d	4s	4p	4f
n	3	4	4	4
$\ell$	2	0	1	3
$n + \ell$	5	4	5	7

4<5, 6, 7, ამიტომ მე-19 ელექტრონი იწყებს მეოთხე შრის s-გარსის შევსებას და კალიუმის ელექტრონული ფორმულა იქნება არა  $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^1$ , არამედ  $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 4s^1$ .

კლეჩკოვსკის მეორე წესის თანახმად, ორი გარსისათვის ამ ჯამე-  
ბის ტოლობისას თავდაპირველად ივსება გარსი  $n$ -ის ნაკლები მნიშ-  
ვნელობით.

ამ წესთან პირველად შეხება აქვს 21-ე ელექტრონს (სკანდიუმის ატომში). მე-20 ელექტრონი ამთავრებს მეოთხე შრის s-გარსის შევსებას. ამასთან ვაკანტური რჩება ნინა შრის d-გარსი და ამავე შრის დანარჩენი p-, d- და f-გარსები. შევადაროთ  $n + \ell$  ჯამი 3d-, 4p-, 4d- და 4f-გარსები-  
სათვის (ცხრილი 3.4):


	3d	4p	4d	4f
n	3	4	4	4
l	2	1	2	3
n + l	5	5	6	7

$5 < 6, 7$ , ამიტომ 21-ე ელექტრონი იწყებს მესამე შრის d-გარსის შევსებას ( $3 < 4$ ) და სკანდიუმის ელექტრონული ფორმულა იქნება არა  $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 4s^2 4p^1$ , არა  $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 4s^2 3d^1$ .

ელექტრონული გარსების შევსების დროს აუცილებელია ორბიტალის ტევადობის განსაზღვრა (რადგან ზღვრულელექტრონიანი ორბიტალი შევსებულად ითვლება), რაც ემყარება პაულის აკრძალვის პრინციპს. პაულის პრინციპის თანახმად ატომში არ შეიძლება არსებობდეს ორი ელექტრონი ოთხივე კვანტური რიცხვის ერთნაირი მნიშვნელობით. რადგან ერთ ორბიტალზე მყოფ ელექტრონებს სამი კვანტური რიცხვი ( $n, l, m_l$ ) უკვე ერთნაირი აქვს, მეოთხე კვანტური რიცხვი  $m_s$  (ან უბრალოდ,  $s$ ) უნდა ჰქონდეს განსხვავებული (საპირისპირო). გამომდინარე აქედან, მესამე ელექტრონის სპინი უკვე არსებულ-თაგან რომელიმეს დაემთხვევა. ე.ი. ერთ ორბიტალზე მაქსიმუმ შეიძლება იმყოფებოდეს ორი ელექტრონი საპირისპირო სპინით.

პაულის პრინციპი განვიხილოთ 2s-გარსის მაგალითზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ელექტრონების განლაგების ოთხი ვარიანტი:


I.



პირველი (მარცხენა) ელექტრონისათვის  $n = 2, l = 0, m_l = 0, m_s = +\frac{1}{2}$

მეორე (მარჯვენა) ელექტრონისათვის  $n = 2, l = 0, m_l = 0, m_s = +\frac{1}{2}$


II.



პირველი (მარცხენა) ელექტრონისათვის  $n = 2, l = 0, m_l = 0, m_s = -\frac{1}{2}$

მეორე (მარჯვენა) ელექტრონისათვის  $n = 2, l = 0, m_l = 0, m_s = -\frac{1}{2}$


III.



პირველი (მარცხენა) ელექტრონისათვის  $n = 2, l = 0, m_l = 0, m_s = +\frac{1}{2}$

მეორე (მარჯვენა) ელექტრონისათვის  $n = 2, l = 0, m_l = 0, m_s = -\frac{1}{2}$

IV.



პირველი (მარცხენა) ელექტრონისათვის  $n = 2$ ,  $\ell = 0$ ,  $m_\ell = 0$ ,  $m_s = -\frac{1}{2}$

მეორე (მარჯვენა) ელექტრონისათვის  $n = 2$ ,  $\ell = 0$ ,  $m_\ell = 0$ ,  $m_s = +\frac{1}{2}$


როგორც ვხედავთ, I და II ვარიანტებში ორივე ელექტრონს ოთხივე კვანტური რიცხვი ერთნაირი აქვს, ამიტომ ასეთი განლაგება აკრძალულია. რაც შეეხება III და IV ვარიანტებს, ერთი კვანტური რიცხვი ( $m_s$ ) განსხვავებული აქვთ, ამიტომ ორივე განლაგება დასაშვებია.

ერთნაირი ენერგიის რიცხოტალებზე (გადაგვარებულ ორბიტალებზე) ელექტრონების განაწილება ექვემდებარება ჰუნდის წესს.


ჰუნდის წესი: ელექტრონული გარსების შევსება ხდება იმგვარად, რომ ჯამური სპინის აბსოლუტური მნიშვნელობა იყოს მაქსიმალური.

ეს წესი განვიხილოთ  $2p$ -გარსის მაგალითზე. ორი ელექტრონის შემთხვევაში შესაძლებელია მინიმუმ ექვსი ვარიანტი:


$$\text{I. } |(+\frac{1}{2}) + (-\frac{1}{2})| = 0$$




$$\text{II. } |(-\frac{1}{2}) + (+\frac{1}{2})| = 0$$




$$\text{III. } |(+\frac{1}{2}) + (-\frac{1}{2})| = 0$$




$$\text{IV. } |(-\frac{1}{2}) + (+\frac{1}{2})| = 0$$



$$\text{V. } |(+\frac{1}{2}) + (+\frac{1}{2})| = 1$$



$$\text{VI. } |(-\frac{1}{2}) + (-\frac{1}{2})| = 1$$



როგორც ვხედავთ, ჯამური სპინის მაქსიმალური მნიშვნელობა მიიღება მეხუთე და მეექვსე ვარიანტებში, ამიტომ შესაბამისი გარსისათვის, როდესაც მასზე განიხილება ორი ელექტრონი ყოფნა, შესაძლებელია მხოლოდ მეხუთე ან მეექვსე ვარიანტები.

**განსაკუთრებული მდგრადობით ხასიათდება გარსი, რომელიც შევსებულია მთლიანად ან ნახევრად.** ეს წესი ძირითადად ვრცელდება პირველი ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტებისათვის ( $\text{Cu, Ag, Au}$ ), რომელთა უკანასკნელისწინა და უკანასკნელი შრეების ელექტრონული ფორმულა არის  $(n-1)d^9ns^2$ , არამედ  $(n-1)d^{10}ns^1$  და მეექვსე ჯგუფის B ქვეჯგუფის ელემენტებისათვის  $\text{Cr}$  და  $\text{Mo}$ , რომელთა უკანასკნე-

ლისწინა და უკანასკნელი შრეების ელექტრონული ფორმულა არის არა  $(n-1)d^4ns^2$ , არამედ  $(n-1)d^5ns^1$ , სადაც  $n$  არის მთავარი კვანტური რიცხვი. აქ ადგილი აქვს ერთი ელექტრონის „ჩავარდნას“ („გადახტომას“) მაღალი დონის შრის  $s$ -გარსიდან ნინამდებარე შრის  $d$ -გარსზე, სადაც ელექტრონების რაოდენობა ერთით ნაკლებია  $s$ -რულ (10) ან ზუსტად ნახევარ (5) ტევადობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია აგრეთვე ორი ელექტრონის „ჩავარდნა“ (იხ. ქვემოთ, პალადიუმი (Pd). ელექტრონების „ჩავარდნას“  $s$  სხვა ელემენტების შემთხვევაში მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ.

### 3.10. ატომების ელექტრონული კონფიგურაციები

პაულის პრინციპის, უმცირესი ენერგიის პრინციპისა და ჰუნდის ნესის გაცნობის შემდეგ განვიხილოთ ქიმიური ელემენტების ელექტრონული კონფიგურაციები. ელექტრონული კონფიგურაცია შეიძლება გამოვსახოთ ელექტრონული ფორმულით, გრაფიკული ხერხით (ე.წ. კვანტური უჯრედების საშუალებით – ელექტრონულ-გრაფიკული ფორმულა), ატომური ორბიტალების ჩვენებით. ატომის ელექტრონული ფორმულა გვიჩვენებს ელექტრონების განანილებას ქვედონებზე (გარსებზე), მაგალითად,  $He: 1s^2 2s^2$ ; ელექტრონულ-გრაფიკულ ფორმულაში უჯრედებში ნაჩვენებია სპინები.

უფრო ხშირად გამოიყენება I და II ხერხი. განვიხილოთ ქიმიური ელემენტების კონფიგურაციები, გამოსახული ორივე ხერხით.

**წყალბადის ატომი.** წყალბადის ატომში ერთი ელექტრონია. უმცირესი ენერგიის პრინციპის თანახმად ეს ერთი ელექტრონი წყალბადის არაალგზნებულ ატომში მოთავსებული იქნება  $1s$  ქვედონებზე. ამრიგად, წყალბადის ატომის ელექტრონული ფორმულაა  $1s^1$ .  $s$ -ელექტრონი წარმოქმნის სფეროსებრ ღრუბელს. ატომური ორბიტალი (აო) სქემატურად შეგვიძლია გამოვსახოთ უჯრედით (კვანტური უჯრედი), რომელშიც მოვათავსებთ ისარს, რაც პირობითად ელექტრონს გამოსახავს, ისრის მიმართულება კი – ამ ელექტრონის სპინის მიმართულებას. მაშინ წყალბადის ელექტრონული კონფიგურაცია, გამოსახული ორივე (I და II) ხერხით, ასე წარმოდგება:




პაულის პრინციპის თანახმად ერთ ორბიტალზე შეიძლება მო-თავსდეს ანტიპარალელური სპინის მქონე ორი ელექტრონი. ამიტომ წყალბადის შემდგომი ელემენტის – ჰელიუმის ელექტრონული კონფიგურაცია იქნება:




ატომის ელექტრონული ფორმულა გვიჩვენებს ელექტრონების განაწილებას ქვედონეებზე (გარსებზე), მაგალითად, He:  $1s^2 2s^2$ ; ელექტრონულ-გრაფიკულ ფორმულაში უჯრედებში ნაჩვენებია სპინები.

ჰელიუმის ატომში მთავრდება პირველი (K) ენერგეტიკული დონის შევსება. ეს არის პირველი „ჩაკეტილი“ (შევსებული) გარსი.


ლითიუმი მეორე ჰერიოდის ელემენტია. მისი სამი ელექტრონიდან ორი (ანტიპარალელური სპინების მქონე) მოთავსდება  $1s$  ორბიტალზე (ჰელიუმის ანალოგიურად), ხოლო მესამე უმცირესი ენერგიის პრინციპის შესაბამისად დაიკავებს  $2s$  ორბიტალს.




მომდევნო ელემენტის – ბერილიუმის ატომში მეოთხე ელექტრონი (სანინაალმდეგო სპინის მქონე) პაულის პრინციპის თანახმად დაიკავებს იმავე  $2s$ -ორბიტალს:




შემდეგი ელემენტიდან – ბორიდან უმცირესი ენერგიის პრინციპის თანახმად იწყება  $2p$  ქვედონის შევსება:






პერიოდული სისტემის მეექვსე ელემენტის – ნახშირბადის ატომში მეექვსე ელექტრონი არ გაუწყვილდება  $2p_x$ -ელექტრონს და ჰუნდის წესის თანახმად მოთავსდება თავისუფალ  $2p_y$ -ორბიტალზე:



ანალოგიურად, ჰუნდის წესის თანახმად, აზოტის ატომში მეშვიდე ელექტრონი დაიკავებს თავისუფალ  $2p_z$ -ორბიტალს:




უანგბადიდან იწყება  $2p$  ორბიტალების გაწყვილება:



როგორც ვხედავთ, კეთილშობილი აირის, ნეონის ატომში მთავრდე-ბა მეორე (L) ენერგეტიკული დონის შევსება.


ნატრიუმით იწყება ახალი, მესამე პერიოდი და ამდენად, მესამე (M) ენერგეტიკული დონის შევსება. მესამე (M) ენერგეტიკული დონე, როგორც ვიცით, შედგება სამი ქვედონისაგან, რომლებსაც შეესაბამება ერთი s, სამი p და ხუთი d ორბიტალი. ამ სამი ქვედონიდან მესამე პერიოდის ელემენტებში შეივსება მხოლოდ 3s და 3p ქვედონები. მესამე პერიოდის ყველა ელემენტში პირველ და მეორე ენერგეტიკულ დონეებზე ელექტრონების განაწილება ისეთივეა, როგორც ნეონში. ამის საფუძველზე ქვემოთ მოცემულ გამარტივებულ (მოცემულია მხოლოდ გარე გარსის ელექტრონების განაწილება) გრაფიკულ ფორმულებში ნაჩვენებია მხოლოდ M ენერგეტიკული დონის შევსება:






როგორც ვხედავთ, კეთილშობილი აირის არგონის ატომი ღებულობს რვაელექტრონიან შრეს.

მეოთხე პერიოდი იწყება კალიუმით. ზემოთ ჩამოყალიბებული წარმოდგენების თანახმად, ამ პერიოდის ელემენტებში შეივსება  $4s$ -,  $3d$ - და  $4p$ -ქვედონეები.




ენერგეტიკული ქვედონეების შეფარდებითი ენერგიებიდან გამოდინარე (ცხრილი 3.5) და უმცირესი ენერგიის პრინციპის საფუძველზე სკანდიუმისა და მის მომდევნო ელემენტებში შეივსება  $3d$  ქვედონე. შევსება განხორციელდება ჰუნდის წესის მიხედვით:



ვანადიუმის მომდევნო ელემენტია ქრომი. ქრომის შემთხვევა ენინაალ-მდეგება ზოგად კანონზომიერებას – ნაცვლად  $[\text{Ar}] 4s^2 3d^4$  გვაქვს  $[\text{Ar}] 4s^1 3d^5$ . აქ ერთი ელექტრონი  $4s$  ქვედონიდან გადადის  $3d$  ქვედონეზე ( $4s \rightarrow 3d$ ):



n = 4



n = 3



s


n = 4



n = 3



p



d




n = 4



n = 3



p




d




n = 4



n = 3



s



d

ქრომის შემთხვევაში ხორციელდება ე.ნ. s → d გადასვლა, რომელიც ზოგადად შეგვიძლია ასე გამოვსახოთ:


ამ ტიპის გარდაქმნას განიცდის აგრეთვე სპილენძი, მოლიბდენი, ვერცხლი, ოქრო და სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს  $^{46}\text{Pd}$  – პალადიუმი, რომელიც 5s ქვედონიდან 4d ქვედონებზე გადადის ერთაშემავალი თრი ელექტრონი (ნაცვლად  $4d^8 5s^2$  გვაქვს  $4d^{10}$ ). ამიტომ პალადიუმი ერთადერთი ელემენტია, რომლის გარე შრეზე რვაზე მეტი (კერძოდ თვრამეტი) ელექტრონია და რომელშიც ენერგეტიკული დონეების რაოდენობა – 4 – ნაკლებია პერიოდის ნომერზე – 5-ზე.

გარდა s → d გადასვლისა, გვხვდება f → d გადასვლაც, რომელიც ზოგადად ასე გამოისახება:




$$(n - 2)f^a ns^2 \rightarrow (n - 2)f^{a-1}(n - 1)d^1 ns^2,$$

სადაც n მთავარი კვანტური რიცხვია, a – ელექტრონების რიცხვი.


აქ განხილულ გადასვლებს მოეძებნება ახსნა. კერძოდ, ქრომის, სპილენძისა და ოქროს შემთხვევაში ირკვევა, ისეთი ელექტრონული კონფიგურაციები, როცა ქვედონეები შევსებულია მთლიანად ან ზუსტად სანახევროდ, ხასიათდება გაზრდილი ენერგეტიკული მდგრადობით. s → d გადასვლის შედეგად ქრომში მიიღება ზუსტად სანახევროდ შევსებული d ქვედონე (ხუთივე d-ორბიტალზე მოთავსებულია თითო ელექტრონი), ხოლო სპილენძსა და ოქროში – მთლიანად შევსებული d ქვედონე (იხ. „ელექტრონის ჩავარდნა“). ქრომის მომდევნო ელემენტში – მანგანუმში გაწყვილდება 4s-ორბიტალი:




რკინის ატომში იწყება d-ორბიტალებზე ელექტრონების გაწყვილება:




მომდევნო ელემენტში – სპილენძის ატომში ქრომის ატომის ანალოგიურად ხდება ელექტრონის გადასვლა 4s-დან 3d-ზე, რის შედეგადაც მიიღება მთლიანად შევსებული 3d ქვედონე:



.....  
თუთიაში გაწყვილდება 4s-ორბიტალი:



გალიუმიდან იწყება  $4p$  ქვედონის შევსება, რომელიც განხორციელდება ჰუნდის წესის საფუძველზე:



ანალოგიურად შეივსება ენერგეტიკული ქვედონები მომდევნო პერიოდის ელემენტებში. შევსება განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით (იხ. ცხრილი 3.5)

მეტუთე პერიოდი:  $5s, 4d, 5p$

მეექვსე პერიოდი:  $6s, 4f, 5d, 6p$

მეშვიდე პერიოდი:  $7s, 5f, 6d$

გარსების შევსებისას ხდება ზემოთ აღნიშნული  $s \rightarrow d$  და  $f \rightarrow d$  გადასვლები.

### 3.11. ატომის ბირთვის აღნაგობა

მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ არამარტო ატომია რთული, არამედ მისი ბირთვიც, რომელიც შედგება უამრავი ნანილაკისაგან – ნუკლონებისაგან. ნუკლონებს შორის პირველად აღმოჩენილ ნანილაქს პროტონი ეწოდება („პროტონ“ ბერძნულად პირველს ნიშნავს). ის აღინიშნება  $\frac{1}{p}$ -ით (ან  $\bar{p}$ -ით,  $H^+$ ), სადაც ქვედა ინდექსი მის დაფებით მუხტს აღნიშნავს, ზედა კი მ.ა.ე.-ით გამოსახულ მის მასას.  $m = 1,00728$  მ.ა.ე. (ცხრილი 3.6).

ატომში პროტონების რიცხვი პერიოდულ სისტემაში ელემენტის რიგობრივი ნომრის ტოლია. ბუნებაში არსებულ ატომებში პროტონების რიცხვი არ აღემატება 92-ს.


#### 3.11.1. ატომბირთვის მუხტი და ატომური ნომერი. მოზღვის კანონი

ატომის შიგა ელექტრონების აღგზნებით აღიძვრება მოკლეტალლი-ანი გამოსხივება, რომელსაც რენტგენის გამოსხივება შეესაბამება ( $\lambda = 10^{-10}$  სმ) (რენტგენმა ეს გამოსხივება აღმოაჩინა კათოდური სხივების მინის მილის კედელთან შეჯახების პროცესის შესწავლისას).

რაც უფრო რთული აღნაგობისაა ატომი და მეტია მისი ბირთვის მუხტის მნიშვნელობა, მით მეტი იქნება შიგა ელექტრონების ელექტრონულ დონეებს შორის სხვაობა და უფრო მცირე იქნება გამოსხივებული ტალღის სიგრძე ( $\lambda$ ) (გამოსხივება იქნება უფრო მოკლეტალღიანი).

1913 წელს ინგლისელი ფიზიკოსი ჰენრი მოზღლი იკვლევდა ე.ნ. „კათოდურ მილში“ სხვადასხვა მეტალის (ელემენტის) მიერ გამოსხივებული (რენტგენული გამოსხივების, რენტგენის სხივების) ტალღის სიგრძი-დან კვადრატული ფესვის დამოკიდებულებას ელექტროდად გამოყენებული ელემენტის (მეტალის) რიგობრივ ნომერზე პერიოდულ სისტემაში (ნახ. 3.5).

ამ გამოკვლევების საფუძველზე მოზღლიმ დაადგინა, რომ ერთი ელემენტიდან რიგით შემდგომზე გადასვლისას მუხტის მნიშვნელობა კანონზომიერად (1 ერთეულით) იცვლებოდა. მან ელემენტის რიგობრივ ნომერს პერიოდულ სისტემაში უწოდა ატომური ნომერი და აღნიშნა Z-ით. მოზღლიმ შეძლო დაედგინა, რომ ატომური ნომერი ატომში ინტენსიური პროტონების რიცხვის (ე.ი. ატომბირთვის მუხტის) ტოლია.



ნახაზი 3.5.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალელექტრონიან სისტემაში ბირთვსა და რაიმე განსახილველ ელექტრონს შორის მოთავსებული ელექტრონები ამცირებს მათ ურთიერთქმედებას, ე.ი. ელექტრონის მიზიდვას ბირთვისაკენ, თერმის გამოსახულებაში (3.3) შევა  $b$  – ეკრანირების მუდმივა:

$$T = R_\infty [(z-b)^2/n^2] \quad (3.41)$$

მაშინ შეიძლება მოინახოს ტალღური რიცხვი  $\bar{v}$ , რომლისთვისაც სამართლიანია გამოსახულება:

$$\bar{v} = T(n_1) - T(n_2) = R_\infty (z-b)^2 \left( \frac{1}{n_1^2} - \frac{1}{n_2^2} \right) \quad (3.42)$$

თუ განვიხილავთ ელექტრონების გადასვლას ერთსა და იგივე შრეებს შორის სხვადასხვა ატომში, მაშინ სიდიდე  $R_\infty \left( \frac{1}{n_1^2} - \frac{1}{n_2^2} \right)$  იქნება მუდმივი და ალგორითმით ის  $A^2$ -ით. მაშინ მივიღებთ:

$$\bar{v} = A^2 (Z-b)^2, \quad (3.43)$$

საიდანაც:

$$\sqrt{\bar{v}} = A(Z-b) \quad (3.44)$$

მოზღვის კანონი საშუალებას იძლევა ექსპერიმენტალურად განისაზღვროს ელემენტების რიგობრივი ნომრები, რაც ინგლისელმა მეცნიერმა ჯეიმზ ჩედვიკმა გაზომვებით განახორციელა.

### 3.11.2. ატომბირთვის აღნაგობის პროცენტულ-ნეიტრონული თეორია

ნეიტრონის აღმოჩენამდე ბირთვის შედგენილობა აიწერებოდა პროცენტულ-ელექტრონული მოდელით. მისი მიხედვით ბირთვი შეიცავს იმდენ პროცონს, რამდენიც შეესაბამება A-ს. A არის ატომის მასური რიცხვი. დაახლოებით გამოხატავს ატომურ მასას. რადგანაც ბირთვის დადებითი მუხტი ტოლია რიგობრივი ნომრისა, თვლიდნენ, რომ ბირთვი უნდა შეიცავდეს (A-Z) რაოდენობის ელექტრონებს, ე.ი. ბირთვში არის პროცენტულ-ელექტრონის ნუკლები. 1925 წელს რეზერფორმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ნუკლეი შეიძლება ისე მჭიდროდ იყოს შეკავშირებული, რომ ის შეიძლება ჩაითვალოს ერთ ნეიტრალურ ნაწილაკად და უნდა მას ნეიტრონი („ნეუტრ“ ლათინურად ნიშნავს: „არც ის, არც სხვა“). დაიწყეს ამ ნაწილაკის „ძებნა“.

1932 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ჩედვიკმა აღმოაჩინა ნეიტრონი. ეს არის ელემენტარული ნაწილაკი, რომელიც აღინიშნება  $\frac{1}{0}n$ -ით და რომლის ფარდობითი მასა  $m_n = 1.00867 \text{ g.a.u.}$  და არ აქვს მუხტი. ნეიტრონების რაოდენობა ბირთვში აღინიშნება N-ით.

ამჟამად ბირთვის შედგენილობა აიწერება პროცენტულ-ნეიტრონული თეორიით, რომლის ავტორები არიან ივანენკო, გაბონი და ჰაიზენბერგი. ბირთვი ძირითადად შედგება პროცენტებისა და ნეიტრონებისაგან. მათი რაოდენობების ჯამს ეწოდება მასური რიცხვი და ის ტოლია:

$$A = Z + N , \quad (3.45)$$

საიდანაც

$$N = A - Z \quad (3.46).$$

ატომბირთვში შეიძლება მიმდინარეობდეს პროცენტების (ip) და ნეიტრონების (in) ურთიერთგარდაქმნის რეაქციები:

$ip \rightarrow in + e^+ + v$  (ნეიტრინო) და  $in \rightarrow ip + e^- + \bar{\nu}$  (ანტინეიტრინო). (ნეიტრინო და ანტინეიტრინო განსხვავდებიან მხოლოდ სპინებით).

ცხრილი 3.5. ატომის შემადგენელი ნაწილაკების მახასიათებლები

სახელწოდება	სიმბოლო	მასა		მუხტი	
		მ.ა.ე.	კგ	ფარდობით ერთეულებში	კ
პროცონი	p	1.007277	$1.673 \cdot 10^{-27}$	+1	$-1.6 \cdot 10^{-19}$
ნეიტრონი	n	1.008665	$1.675 \cdot 10^{-27}$	0	0
ელექტრონი	e	0.000548	$9.1 \cdot 10^{-31}$	-1	$-1.6 \cdot 10^{-19}$

### 3.11.3. იზოტოპები, იზობარები და იზოტონები

ცნობილია ბირთვების სამი ჯგუფი, რომლებიც განსხვავდებიან ბირთვის სამი მახასიათებლის (Z, N, A) სხვადასხვა კომბინაციით:

1.  $Z = \text{const}$ ,  $N \neq \text{const}$ ,  $A \neq \text{const}$ . ასეთ ბირთვებს იზოტოპები ეწოდება (იზოს – ერთი და იგივე, ტოპოს – ადგილი). იზოტოპები წარმოადგენენ მოცემული ქიმიური ელემენტის ატომთა სახესხვაობას, რომელთაც აქვთ ბირთვში პროტონების ერთნაირი რაოდენობა და აქედან გამომდინარე ბირთვის დადებითი მუხტის ერთი და იგივე მნიშვნელობა, მაგრამ ნეიტრონების სხვადასხვა რაოდენობა, რაც იწვევს მასური რიცხვების განსხვავებას. ელემენტი წყალბადი ბუნებაში არსებობს ორი იზოტოპის სახით: პროთოიუმისა (ბერძ. protos – პირველი)  ${}_1^1\text{H}$  (99,984 %) და დეიტერიუმის (ბერძ. deuteros - მეორე)  ${}_2^2\text{H}$  (0,016 %). ამ უკანასკნელს აქვს სპეციალური აღნიშვნა – D. ცნობილია წყალბადის ხელოვნური გზით მიღებული, რადიაქტიური იზოტოპი ტრიტიუმი (ბერძ. Tritos – მესამე)  ${}_3^3\text{H}$  (T). ბუნებაში ის უმნიშვნელო რაოდენობით არის გავრცელებელი, წარმოიქმნება კოსმოსური სხივების აზოტთან ურთიერთქმედების შედეგად.

ჰელიუმის იზოტოპებია:  ${}_2^3\text{He}$ ,  ${}_2^4\text{He}$ ,  ${}_2^5\text{He}$ ,  ${}_2^6\text{He}$  და  ${}_2^8\text{He}$ .

უანგბადის ბუნებრივი იზოტოპებია:  ${}_8^{16}\text{O}$ ,  ${}_8^{17}\text{O}$ ,  ${}_8^{18}\text{O}$ .

იზოტოპის მოვლენით არის განპირობებული ის, რომ არც ერთი ელემენტის ფარდობითი ატომური მასა არ არის მთელი რიცხვი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ელემენტის იზოტოპების მასური რიცხვების საშუალოს მათი პროცენტული შემცველობის გათვალისწინებით. მაგალითად, ბუნებრივი ქლორი შედგება ორი იზოტოპისაგან:  ${}_{17}^{35}\text{Cl}$ -ისა ( $75\%$ ) და  ${}_{17}^{37}\text{Cl}$ -საგან ( $25\%$ ). აქედან გამომდინარე ქლორის საშუალო ფარდობითი ატომური მასა არის:


$$A_r(\text{Cl}) = \frac{35 \cdot 75 + 37 \cdot 25}{100} \approx 35,45 \text{ მ.ა.ე.}$$

საინტერესოა კალიუმის შემთხვევა, სადაც ბუნებრივ იზოტოპურ ნარევში ჭარბობს მსუბუქი იზოტოპი. არგონის შემთხვევაში ჭარბობს მძიმე იზოტოპი.

იზოტოპების დაყოფა პირველად განახორციელა ინგლისელმა ფიზიკოსმა ფრენსის უილიამ ასტონმა.


2.  $Z \neq \text{const}$ ,  $N \neq \text{const}$ ,  $A = \text{const}$ . ასეთ ბირთვებს იზობარები ეწოდება (იზოს – ერთი და იგივე, ბაროს – წონა). იზობარები წარმოადგენს სხვადასხვა ქიმიური ელემენტის ატომთა სახესხვაობას, რომელთაც აქვთ ბირთვში პროტონების სხვადასხვანაირი რაოდენობა და აქედან გამომდინარე, ბირთვის დადებითი მუხტის სხვადასხვა მნიშვნელობა და ნეიტ-

რონების სხვადასხვა რაოდენობა, მაგრამ მასური რიცხვების ერთნაირი მნიშვნელობა, მაგალითად:



**იზობარები ერთმანეთისაგან თვისებებით მკვეთრად განსხვავდება.**

3.  $Z \neq \text{const}$ ,  $N = \text{const}$ ,  $A \neq \text{const}$ . ასეთ ბირთვებს იზოტონები ენოდება. მაგალითად:



ყველა ეს ბირთვი შეიცავს სამ ნეიტრონს.

ცალკეული ნუკლონებისაგან ბირთვის წარმოქმნისას ადგილი აქვს საერთო მასის შემცირებას, რომელსაც მასის დეფექტი ეწოდება. ზოგადი სახით ის შეიძლება შემდეგნაირად ჩაიწეროს:

$$\Delta m = (Z \cdot m_p + N \cdot m_n) - A_r$$

მაგალითად,  ${}^4\text{He}$ -ის ერთი ბირთვის წარმოქმნისას პროტონებისა და ნეიტრონებისაგან მასის შემცირება შეადგენს:

$$\Delta m = (2 \cdot 1.00728 + 2 \cdot 1.00867) - 4.0026 = 0.03 \text{ მ.ა.ე.}$$

ერთი მოლი ატომების შემთხვევაში მასის დეფექტი შეადგენს  $\Delta m = 0.03 \text{ გ} = 3 \cdot 10^{-5} \text{ კგ-ს}$ . აინშტაინის კანონის თანახმად, ამ დროს გამოყოფილი ენერგიის მნიშვნელობა ტოლია:

$$E = 3 \cdot 10^{-5} \text{ კგ} \cdot (2.998 \cdot 10^8 \frac{\partial}{\partial E})^2 = 2.7 \cdot 10^{12} \text{ ჯ.}$$

ამ სიდიდის ენერგიას გამოიმუშავებს ერთი საათის განმავლობაში ევროპის ერთ-ერთი დიდი ჰიდროელექტროსადგური – დნეპრპოესი (უკრაინა).

ენერგიის სიდიდეს, რომელიც გამოიყოფა პროტონებისა და ნეიტრონებისაგან მოცემული ბირთვის წარმოქმნისას, ეწოდება ბირთვის ბმის ენერგია და ახასიათებს მის მდგრადობას: რაც უფრო მეტია გამოყოფილი ენერგიის სიდიდე, მით უფრო მდგრადია ბირთვი. ამასთან უფრო მდგრადია და გავრცელებულია ბირთვები პროტონებისა და ნეიტრონების ლუწი რიცხვით. მდგრადობის მიხედვით ბირთვები შეიძლება განვალაგოთ შემდეგ რიგში:

$$(N_p) \quad (N_n) \quad (N_p) \quad (N_n) \quad (N_p) \quad (N_n)$$

$$\text{ლუწი} - \text{ლუწი} > \left[ \begin{array}{l} \text{ლუწი} - \text{კენტი} \\ \text{კენტი} - \text{ლუწი} \end{array} \right] > \text{კენტი} - \text{კენტი}$$

ცნობილია ბოლო ჯგუფის მხოლოდ ოთხი მდგრადი ბირთვი:  ${}^2\text{H}$ ,  ${}^6\text{Li}$ ,  ${}^{10}\text{B}$ ,  ${}^{14}\text{N}$ .

განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევა ბირთვები, რომლებიც შეიცავენ 2, 8, 20, 50, 82 და 126 პროტონს ან ნეიტრონს. მაგალითად,  ${}^4\text{He}$ ,  ${}^{16}\text{O}$ ,  ${}^{40}\text{Ca}$ ,  ${}^{120}\text{Sn}$ ,  ${}^{208}\text{Pb}$ . ამ რიცხვებს ეწოდებათ მაგიური (ჯადოსნური) რიცხვები, ხოლო ბირთვებს – მაგიური (ჯადოსნური) ბირთვები. პირველ სამ ბირთვს, რომლებიც შეიცავენ ჯადოსნური

რიცხვების ტოლ როგორც პროტონების, ასევე ნეიტრონების რაოდენობას, ენოდება ორგზის მაგიური (ჯადოსნური) ბირთვები.

ბირთვის შემადგენლობაში მყოფ ყველა ნაწილაკს შორის მოქმედებს ორი სახის ძალა: დადებითად დამუხტული პროტონების ურთიერთგანზიდვის ელექტროსტატიკური ძალები და მიზიდვის ძალები, რომელთაც ბირთვული ძალები ენოდება (ეს ძალები მოქმედებს  $10^{-15}$  მ მანძილზე). ურთიერთმოქმედ ნაწილაკებს შორის მანძილის გაზრდისას ბირთვული ძალები უფრო მკვეთრად მცირდება, ვიდრე ელექტროსტატიკური ურთიერთქმედების ძალები. ამიტომ მათი მოქმედება შესამჩნევად ვლინდება მხოლოდ ძალიან ახლოს განლაგებულ ნაწილაკებს შორის. მაგრამ ატომის ბირთვის შემადგენლ ნაწილაკებს შორის უსასრულოდ მცირე მანძილებზე მიზიდვისას ბირთვული ძალები აღემატება განზიდვის ძალებს, რომლებიც გამოწვეულია ერთნიშნიანი მუხტების ყოფნით, რაც განაპირობებს ბირთვების მდგრადობას.

### 3.11.4. რადიაქტიურობა

ქიმიური რეაქციების დროს იცვლება ატომთა ელექტრონული კონფიგურაციები, ბირთვი კი უცვლელი რჩება, ცნობილია პროცესები, როდესაც გარდაქმნას განიცდიან ატომბირთვები. მათ ბირთვული რეაქციები ენოდება. ბირთვული რეაქციების დროს ერთი ელემენტის არამდგრადი იზოტოპიდან სხვა ელემენტის იზოტოპი მიიღება. ცნობილია ბუნებრივი და ხელოვნური ბირთვული რეაქციები.

რადიაქტიურობა ენოდება ერთი ელემენტის არამდგრადი იზოტოპის მეორე ქიმიური ელემენტის იზოტოპად თავისთავად გარდაქმნის პროცესს, რომელსაც თან ახლავს ელემენტარული ნაწილაკების ან ბირთვების გამოყოფა. რადიაქტიურობას, რომელსაც ამჟღავნებს ელემენტის ბუნებრივი იზოტოპი, ენოდება ბუნებრივი რადიაქტიურობა.


რადიაქტიურობის მოვლენა აღმოჩენილი იქნა ფრანგი მეცნიერის ანტუან ანრი ბეკერელის მიერ 1896 წელს. ბეკერელი სწავლობდა ფლუორესცენციის უნარის მქონე ნივთიერებათა გამოსხივების ბუნებას. მას აინტერესებდა ხომ არ იყო ეს გამოსხივება რენტგენის სხივების მსგავსი. ამ მიზნით მან ფლუორესცენციის უნარის მქონე ბეკერელი ნივთიერება შეისწავლა, მათ შორის ურანის შემცველი პრეპარატიც და დაამტკიცა, რომ ამ ნაერთს თვალით უხილავი გამოსხივების უნარი ჰქონდა (ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე). ამ მოვლენას, ნარმოშობით პოლინელი მეცნიერის – მარია სკლოდოვსკა-კიურის და მისი მეუღლის, ფრანგი პიერ კიურის ნინადადებით, რადიაქტიურობა უნოდეს (ლათინურად „რადიუს“ – სხივი, „აქტივუს“ – მოქმედი), გამოსხივებას კი – რადიაქტიური.

ანრი ბეკერელის აღმოჩენამ თავდაპირველად მეცნიერთა მხოლოდ ვინრო წრის ყურადღება მიიქცია, მათ შორის იყვნენ მარია სკლოდოვსკა-კიური და პიერ კიური. მათ, ინგლისელ რეზერფორდთან და ფრედერიკ სოდისთან ერთად, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით რადიაქტიურობის მოვლენის შესწავლაში.

1897 წელს გერმანელმა მეცნიერმა შმიდტმა დაადგინა, რომ რადიაქტიურობა მთელი რიგი ქიმიური ელემენტების უნარია და ურანის ნაერთების გარდა, თოროუმსაც ახასიათებს. ამავე პერიოდში მარია და პიერ კიურების მიერ აღმოჩენილ იქნა ორი ახალი რადიაქტიური ელემენტი, რომელსაც პოლონიუმი და რადიუმი უწოდეს.

პოლონიუმისა და რადიუმის აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა რადიაქტიურობის დარგში ფართო მეცნიერულ კვლევა-ძიებას. მოკლე დროში გაირკვა რადიაქტიურობის არსი, აღმოაჩინეს ახალი რადიაქტიური ელემენტები, ჩამოყალიბდა რადიაქტიური დაშლის თეორია. რადიაქტიურობის მოვლენის შესწავლა მჭიდროდ დაუკავშირდა ატომის აგებულების პრობლემას და საერთოდ განაპირობა მეცნიერული და ტექნიკური დონის არსებითი ამაღლება.

რადიაქტიური გამოსხივება არაერთგვაროვანია. ელექტრულ და მაგნიტურ ველში რადიაქტიური სხივები იშლება სამ შემადგენელ ნაწილად: α, β და γ სხივებად (ნახ. 3.6). α და β სხივები აღმოაჩინა რეზერფორდმა, γ გამოსხივება – ფრანგმა ვილარმა.



ნახაზი 3.6. რადიაქტიური გამოსხივების დაყოფა ელექტრულ ველში

როგორც ატომის აღნაგობის შესავალში აღვნიშნეთ, α-სხივები დადებითად დამუხტული ნაწილაკების ნაკადია, რომელთა მუხტია +2, ხოლ მასა 4 მ.ა.ე. (ცხადია, რომ α-ნაწილაკი შედგება ორი პროტონისა და ორი ნეიტრონისაგან და ამდენად იგი არის ჰელიუმის ატომბირთვი (ორჯერ იონიზებული ჰელიუმი). α-ნაწილაკები მოძრაობს დაახლოებით 20000 კმ/წმ სიჩქარით, ჰაერში იძენს ორ ელექტრონს და ჰელიუმის ატომებად გარდაიქმნება.

B-სხივები კათოდური სხივების ანალოგიურია, ე.ი. B-სხივები ელექტრონების ნაკადია. β-სხივების სიჩქარეა 290000 კმ/წმ.

Γ-სხივები არ იხრება არც მაგნიტურ და არც ელექტრულ ველში და ამრიგად, ელექტრონეიტრალურია. γ-სხივები ელექტრომაგნიტური ტალღებია. γ-სხივების ტალღის სიგრძე მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებია, ვიდრე რენტგენის სხივებისა.

γ-სხივები ხასიათდება ძალიან დიდი შელწევადობით (1000-ჯერ მეტი, ვიდრე α-ნაწილაკებისა და 100-ჯერ მეტი, ვიდრე β-სხივებისა). ისინი თავისუფლად აღნევენ რამდენიმე მილიმეტრი სისქის მეტალის ფირფი-

ტაში. B-სხივების შეღწევადობა ნაკლებია. კიდევ უფრო ნაკლები შეღწევადობა აქვს A-სხივებს.

რადიაქტიურობის მოვლენა აიხსნება **ატომური დაშლის თეორიით**, რომელიც რეზერფორმა და სოდიმ შეიმუშავეს (1903 წელი). ამ თეორიის თანახმად რადიაქტიური ელემენტის ატომები თავისთავად იშლება. დაშლისას ნარმოქმნილი ატომები, თავის მხრივ, ასევე რადიაქტიურია. ამიტომ ისინიც იშლება. ასეთი დაშლა გრძელდება მანამდე, ვიდრე არ მიიღება სტაბილური ატომები (ამჟამად ეწოდება სტაბილური იზოტოპები).

რადიაქტიური გამოსხივების ინტენსივობა დროთა განმავლობაში თანდათან მცირდება. დროს, რომლის განმავლობაშიც რადიაქტიური ელემენტის გამოსხივების ინტენსივობა შემცირდება ორჯერ, ანუ სხვა სიტყვებით – დაიშლება ატომების საწყისი რაოდენობის ნახევარი, ეწოდება ნახევარდაშლის დრო (პერიოდი,  $\tau$ ). რადიაქტიური დაშლის პროცესს ექსპონენტური ხასიათი აქვს და გამოისახება განტოლებით:

$$N = N_0 e^{-kt}, \quad (3.47)$$

სადაც  $N_0$  არის რადიაქტიური ელემენტის (ნივთიერების) ატომთა საწყისი რიცხვი;  $N$  – ამავე ატომების რიცხვი  $\tau$  დროის შემდეგ;  $k$  – რადიაქტიური დაშლის სიჩქარის კონსტანტა; ფორმალურად, როცა  $\tau = \infty$ ,  $N = 0$ .

რადიაქტიური იზოტოპის დაშლის სიჩქარე დამოკიდებულია მხოლოდ იზოტოპის ბუნებაზე (თუ რომელია) და დროის მოცემულ მომენტში მის რაოდენობაზე, ე.ი. ის პროპორციულია ჯერ კიდევ დაუშლელი ატომების რიცხვისა.


ნახევრადდაშლის დროის (პერიოდის) მნიშვნელობა სხვადასხვა რადიაქტიური იზოტოპისათვის იცვლება ძალიან ფართო ფარგლებში, ასე მაგალითად,  $^{232}\text{Th}$ -ის  $\tau = 1,39 \cdot 10^{10}$  წ.,  $^{226}\text{Ra-is}$  1617 წ.,  $^{210}\text{Po-is}$   $\tau = 138.401$  დღე,  $^{212}\text{Pb}$ -ის  $\tau = 3.04 \cdot 10^7$  წელი.

ისევე, როგორც ნახევარდაშლის სიჩქარე, **ნახევარდაშლის დრო** განისაზღვრება ელემენტის ატომის ბირთვის შინაგანი თვისებებით და არ არის დამოკიდებული არავითარ გარეგან ზემოქმედებაზე (ტემპერატურა, წნევა, რადიაქტიური ელემენტის ქიმიური მდგომარეობა). ნახევარდაშლის დრო რადიაქტიურობის მახასიათებელი მნიშვნელოვანი პარამეტრია.


### 3.11.5. რადიაქტიური დაშლის ტიპები

რადიაქტიური დაშლის ძირითადი ტიპებია: **ა-დაშლა, ბ-დაშლა, გალექტრონის „მიტაცება“** („ჩაჭერა“) და სპონტანური გაყოფა. პირველი სამი სახე ემორჩილება სოდისა და ფაიანსის გადანაცვლების წესს.

**1. ა-დაშლა.** როგორც ვიცით, ა-ნანილაკები ნარმოადგენს ჰელიუმის იონების ( $\text{He}^{2+}$ ) ნაკადს. ამ დროს ადგილი აქვს პერიოდულ სისტემაში გადანაცვლებას ორი უჯრედით მარცხნივ. მაგალითად:




ზემოაღნიშნული რეაქცია მოკლე ფორმით შეიძლება ასე ჩაიწეროს:




**2. ბ-დაშლა.** ცნობილია ბ-დაშლის ორი სახესხვაობა:  $\bar{\beta}$ - და  $\beta^+$ - დაშლა.


$\bar{\beta}$ -დაშლის ზოგადი სქემა შემდეგია:




ამ დროს ხდება პერიოდულ სისტემაში გადანაცვლება ერთი ადგილით მარჯვნივ. მაგალითად:




შემოკლებული ფორმით:



$\beta^+$ -დაშლის ზოგადი სქემაა:




ა-ნაწილაკს პოზიტრონი ეწოდება. მისი მასა ელექტრონის მასის ტოლია, მუხტი კი  $+1.602 \cdot 10^{-19}$  კულონისა. ამ დროს ხდება პერიოდულ სისტემაში გადანაცვლება ერთი ადგილით მარცხნივ. მაგალითად:




შემოკლებული ფორმით:  $^{48}\text{V}(-, e^+)^{48}\text{Ti}$ .


**3. ელექტრონის „მიტაცება“** („K-მიტაცება“). ბირთვთან ახლოს, K შრეზე მყისიერად მყოფმა ელექტრონმა შეიძლება იმოქმედოს პროტონთან ნეიტრონის წარმოქმნით:



ამ დროს ხდება გადანაცვლება ერთი ადგილით მარცხნივ. მაგალითად:




შემოკლებული ფორმით:



**4. სპონტანური გაყოფა.** გადანაცვლების ზოგადი წესები არ არსებობს.

ბუნებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს რადიაქტიური გარდაქმნები, რომელიც ბოლოს და ბოლოს მთავრდება რომელიმე სტაბილური იზოტოპის წარმოქმნით. რადიაქტიური გარდაქმნების სქემებში ისრის ზემოთ მითითებულია გარდაქმნის სახე, ხოლო ქვემოთ ნახევრადდაშ-


ლის პერიოდი. ცნობილია მიმდევრობითი გარდაქმნების ოთხი რიგი. ერთ-ერთი მათგანია ურანის რიგი, რომელიც მთავრდება ტყვიის მდგრადი იზოტოპით:




ცნობილია აგრეთვე Ac-ს, Th-ს და სხვა რიგები.

**ხელოვნურად განხორციელებული ბირთვული რეაქციების გზით** შესაძლებელია ახალი ელემენტების ან იზოტოპების მიღება. განვი-სილოთ ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო ზოგიერთი მათგანი.


პირველი ხელოვნური ბირთვული რეაქცია განახორციელა 1919 წელს რეზერფორდმა, რომელმაც აზოტის იზოტოპის,  $^{14}\text{N}$ -ის A-ნანილა-კებით დაბომბვით მიიღო უანგბადის იზოტოპი  $^{17}\text{O}$ :



შემოკლებული ფორმით:




1937 წელს  $^{98}_{42}$  Mo -ის დეიტერიუმით დაბომბვით მიიღეს პირველი ხელოვნური ელემენტი, რომელსაც, როგორც ატომბირთვული ტექნო-ლოგიის პირმშოს, ტექნეციუმი ეწოდა:



შემოკლებული ფორმით:  $^{98}\text{Mo} (\text{D}, \text{n}) ^{99}\text{Tc}$


1964 წელს რუსეთში, ქ. დუბნაში მიღებულ იქნა 104-ე ელემენტი, რომელსაც კურჩატოვიუმი ეწოდა (ცნობილი რუსი მეცნიერის ი.ვ. კურ-ჩატოვის პატივსაცემად. აღინიშნებოდა Ku-თი), მაგრამ შემდგომში მას IUPAC-ის (International Union Pure and Applied Chemistry) კონგრესის გა-დაწყვეტილებით ეწოდა რეზერფორდიუმი:



უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსურანული ელემენტების უმრავლესობა მიღებულია ამერიკელი მეცნიერების მიერ (1912-1999) გამოჩენილი ქი-მიკოსის და ფიზიკოსის გლენ თეოდორ სიბორგის ხელმძღვანელობით.

**ყველა ბირთვული რეაქცია კლასიფიცირდება როგორც მძიმე ბირთვების გაყოფის (დაშლის) და მსუბუქი ბირთვებიდან თერმობირ-თვული სინთეზის რეაქცია.** პირველი ბირთვული რეაქცია, ჩატარებული ენერგიის მისაღებად, იყო  $^{235}_{92} \text{U}$ -ის გაყოფის (დაშლის) რეაქცია. ერთი გრამი ამ იზოტოპის გაყოფის დროს გამოყოფილი ენერგია ტოლია ორი ტონა ქვანახშირის წვის შედეგად გამოყოფილი ენერგიისა. გარდა ურანის ამ იზოტოპისა, ბირთვული დაშლის რეაქციებში იყენებენ  $^{233}_{92} \text{U}$ -სა და  $^{239}_{94} \text{Pu}$ -ს. ბირთვული დაშლის რეაქციები ენერგიის მშვიდობიანი მიზნით მიღების გარდა გამოიყენება ატომურ ბომბებში (იხ. ქვემოთ).

თერმობირთვული სინთეზის რეაქციის მაგალითთა მზეზე განუწყვეტილივ მიმდინარე პროცესი:



ამ რეაქციის განსახორციელებლად საჭიროა მილიონ გრადუსზე მეტი ტემპერატურა. გამოყოფილი ენერგია ხუთჯერ მეტია, ვიდრე  $^{235}\text{U}$ -ის დაშლის დროს გამოყოფილი ენერგია, მაგრამ პროცესი ჯერჯერობით უმართავია. ამიტომ მშვიდობიანი მიზნით მისი გამოყენება ვერ ხერხდება. ძირითადად გამოყენებულია წყალბადის ბომბებში (იხ. ქვემოთ).

ქიმიის იმ დარგს რომელიც სწავლობს რადიაქტიურ ელემენტებს, მათ გარდაქმნებს და თვისებებს, რადიოქიმია ეწოდება.

### 3.11.6. რადიაქტიური გამოსხივების გაზომვა-შეფასების უმნიშვნელოვანესი მეთოდები

1. ვილსონის კამერა, სადაც შესაძლებელია (ცალკეული) მაიონიზირებელი გამოსხივების კვალის ფოტოგრაფირება.

2. გეიგერ-მიულერის მეთოდი – მისი დახმარებით შესაძლებელია დაითვალის რადიაქტიური დაშლის დროს გამოსხივებულ ნაწილაკთა რიცხვი მათ მიერ გამოწვეული ელექტრონული იმპულსის მიხედვით.

3. ფოტოეალდის (ფოტოგრაფიული ფირის) მეთოდი.

ფოტოგრაფიული ფირის გაშავება ხდება რადიაქტიური გამოსხივების ფოტოგრაფიულ ფენაზე ურთიერთექმედების გამო. გამუქების ინტენსიურობით ისაზღვრება დასხივების დოზა.

### 3.11.7. რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება

რადიაქტიური იზოტოპები გამოყენების ძირითადი სფეროებია:

I. სიმსივნური დაავადების ნინააღმდეგ, ავადმყოფობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გამოსხივების ახალი  $^{35}\text{Co}$ , მაგალითად,


II. ქირურგიული ინსტრუმენტების სტერილიზაცია.

III. მინისკევეშა წყლის და ნავთობის გაუზოვის კონტროლი მცირე სიცოცხლისუნარიანი რადიაქტიური იზოტოპებით; გაუზოვის შემთხვევაში, რადიაციული ფონი შეიძლება გამოვლინდეს იმ ზედაპირზე, სადაც გაუზოვა მოხდა.

IV. ძრავების ცვეთის ხარისხის და საპოხის ზეთების ხარისხის კონტროლი (დეუშის რგოლები მზადდება რადიაქტიური მასალისაგან და ცვეთის შემდეგ ზეთან შეხებისას, ზეთის რადიაქტიური ფონი იზრდება, რის იდენტიფიკაცია ძნელი არ არის).

## V. არქეოლოგიური ნიმუშების, მცენარეთა და ცხოველთა ნაშთების ასაკის დადგენა.

ნახშირბადის რადიოაქტიურ იზოტოპებს შორის პრაქტიკულად მნიშვნელოვანია  $^{14}\text{C}$ (ბირთვის ტიპი, მასის მიხედვით –  $4n+2$ ). მისი ნახევრადაშელის პერიოდი 5720 წელია, ამის გამო, მისი არსებობის ხანგრძლივობა დიდია. ის ხასიათდება ადგილად გასაზომი სუსტი ენერგიის β გამოსხივებით ( $0,16 \text{ M eV}$ ) და მუდმივად წარმოიქმნება ბუნებაში ჰაერის აზოტზე კოსმოსური სხივების ნეიტრონების მოქმედებით:



ატმოსფეროში წარმოქმნისთანავე იზოტოპი შეერევა  $^{14}\text{C}$  ნახშირბადის სტაბილურ იზოტოპებს, რომლებიც შედის ატმოსფეროს  $\text{CO}_2$ -ის შემადგენლობაში. უკანასკნელი, ორგანულ ცნობილია გამოიყენება ფოტოსინთეზის რეაქციის შედეგად ორგანული ნივთიერების მისაღებად. თუმცა მას შემდეგ რაც ორგანული ნივთიერება წარმოიქმნება, მასში  $^{14}\text{C}$  იზოტოპის ნილი თანდათან კლებულობს მისი რადიოაქტიური დაშლის გამო. რთულ ორგანულ ნივთიერებაში (ან არაორგანულში)  $^{14}\text{C}$  -ის შემდგომი მოხვედრა ატმოსფერულ  $\text{CO}_2$ -თან მიმოცვლის რეაქციის საშუალებით აღარ ხდება. ასეთი მიმოცვლის სიჩქარე ჰეტეროგენულ სისტემებში ძალიან მცირეა. ამიტომ ნახშირბადის სტაბილური იზოტოპის და ამა თუ იმ ორგანულ ნაერთში (წიაღისეულ ნახშირში, უძველესი ქალაქების ხის ნაკეთობებში და ა.შ.)  $^{14}\text{C}$ -ის იზოტოპის მასური ნილის ფარდობა საშუალებას იძლევა შევაფასოთ რა ზომით (რაოდენობით) მოხდა  $^{14}\text{C}$ -ის რადიოდაშლა და შესაბამისად, რამდენი საუკუნის წინ მოხდა ფოტოსინთეზი. ორგანული ნივთიერების ასაკის განსაზღვრის ეს მეთოდი ატარებს რადიონახშირბადული მეთოდის სახელს. იგი შეუცვლელია და ფართოდ გამოიყენება არქეოლოგიაში, გეოლოგიაში და სხვა მეცნიერებებში.

**VI. ნიშანდებული ატომების მეთოდი** – ამ დროს საგანგებოდ შეყვანილი რადიაქტიური იზოტოპის მეშვეობით აკონტროლებენ რეაქციის მექანიზმს ან ზოგიერთი ელემენტის (მაგალითად,  $\text{I}_2$ ) მოძრაობას ორგანიზმში. რადგან  $^{131}\text{I}$ -ის ნახევრად დაშლის დრო მხოლოდ 8 დღეა, რადიაქტიურობა სწრაფად მცირდება ძალიან დაბალ დონემდე.

**VII. ანალიზური ქიმია** – „იზოტოპური განზავების მეთოდი“


### 3.11.8. ატომბირთვების დაყოფა.

**ბირთვული რეაქტორები.**

**ატომური ბომბის მოქმედების პრინციპი**

ატომბირთვული გახლეჩის რეაქცია პირველად შეისწავლეს 1939 წელს (მანი). დადგინდა, რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც  $^{235}\text{U}$ -ის მასა რაიმე მნიშვნელობაზე (კრიტიკული მასა) ნაკლებია, ნეიტრონები

გამოიტყორცნება ნიმუშებიდან. ხოლო როდესაც  $^{235}\text{U}$ -ის მასა საკმაოდ დიდია, წარმოქმნილი ნეიტრონები ეჯახება  $^{235}\text{U}$ -ის სხვა ატომებს, რის შედეგად ხდება მათი დაყოფა. ნეიტრონების ურანის ატომებთან შეჯახების ალბათობა აღემატება მათი ნიმუშებიდან გამოტყორცნის ალბათობას. რადგანაც თითოეული ბირთვის დაყოფის დროს ნეიტრონის 2 ნაწილაკი წარმოიქმნება, მათი კონცენტრაცია სწრაფად იზრდება და აღიძვრება ჯაჭვური რეაქცია:



ურთიერთქმედების ყველა აქტის დროს წარმოქმნილი თითოეული ატომის მასა ერთი მ.ა.ე.-ით ნაკლები იქნება  $^{235}\text{U}$ -ის მასაზე. ამ პრინციპზეა დაფუძნებული ატომური ბომბის მოქმედება. ატომური ბომბი შეიცავს  $^{235}\text{U}$ -ის განსაზღვრულ მასას, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად მასის კრიტიკულ მასაზე ნაკლები მნიშვნელობით. ჩვეულებრივი „ქიმიური აფეთქებით“ ორი ნახევარი შეერთდება და მიღებული ნიმუშის მასა აღემატება კრიტიკულს.

### 3.11.9. რადიაქტიური იზოტოპების დაცილება

ბუნებრივი ურანი – ეს ორი იზოტოპის  $^{235}\text{U}$  და  $^{238}\text{U}$ -ის ნარევია: მეორე იზოტოპი, ბირთვული დაყოფისათვის მამუხრუჭებელია, ამიტომ საჭიროა  $^{235}\text{U}$ -ისაგან სხვა იზოტოპის მოცილება, რაც ხორციელდება აირადი დიფუზიის მეთოდით (მაგალითად, გრაფიტის ფენაში გატარებით).

### 3.11.10. ბირთვული და თერმობირთვული სინთეზები. ნეალბადის ბომბის მოქმედების პრინციპი

როდესაც  $^2\text{D}$  ( $^2\text{D}$ )-ის ორი ატომი ერთმანეთს ძალიან დიდი სიჩქარით ეჯახება, შესაძლებელია წარიმართოს შემდეგი რეაქციები:



(გამოიყოფა დიდი ენერგია, იხ. ქვემოთ).

მეორე რეაქციისათვის  $\Delta m = 3.01606 + 1.007825 - 2(2.01410) = 0.004325$  მ.ა.ე. გამოყოფილი ენერგია  $E = mc^2 = 0.004325 \cdot 1.6661 \cdot 10^{-27}$  კგ ( $2.998 \cdot 10^8$  მ/წმ) $^2 = 6.46 \cdot 10^{-13} \approx 3.89 \cdot 10^1$  ჯ (3.49) განტოლებაში შემავალ ნაწილაკთა 1 მოლზე გადაანგარიშებით. ეს ნიშნავს, რომ თერმობირთვულ სინთეზში

4კგ დეიტერიუმის მონანილეობით გამოიყოფა 389ტჯ =  $3.89 \cdot 10^8$  მ/ჯ (1 მ.ჯოული =  $10^6$  ჯოულის).

**თერმობირთვული რეაქციების მაგალითს წარმოადგენს მზის გულში (შიგნით) მიმდინარე რეაქციები (T = 10<sup>7</sup> K):**

დეიტერიუმის (<sup>2</sup>D) მონანილეობით მიმდინარე რეაქციები საფუძვლად დაედო ნყალბალის ბომბის შექმნას. ურანის მინიბომბის აფეთქებით <sup>2</sup>D ცხელდება ბირთვული სინთეზისათვის საჭირო ტემპერატურამდე (იხ. ზემოთ).

იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალურ რეაქტორებში (ატომურ რეაქტორებში) ბირთვულ რეაქციებს ატარებენ კონტროლირებად რეჟიმში, მაშინ ბირთვული ენერგიის, როგორც ენერგიის აღტერნატული ნყაროს გამოყენება მშვიდობიანი მიზნებითაც შეიძლება. ამ ტიპის რეაქტორებში შესაძლებელია ბუნებრივი ურანის იზოტოპების ნარევის (<sup>235</sup>U + <sup>238</sup>U) გამოყენება მათი გრაფიტის ფენაში გატარების შემდეგ. რეაქციის კონტროლის მიზნით გამოიყენება ბორის ლერო, რომელიც ნეიტრონებს აქტიურად შთანთქავს. რეაქტორების სილირეში ბორის ლეროს მოძრაობით არეგულირებენ პროცესის სიჩქარეს.

## 4. პერიოდულობის კანონი და პერიოდული სისტემა

დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევმა პერიოდულობის კანონი 1869 წელს აღმოაჩინა და ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში შექმნა პერიოდულობის კანონის გრაფიკული გამოსახულება – პერიოდული სისტემა, თავისი გრძელი და მოკლე ფორმების რამდენიმე ვარიანტით, რომლებიც ამჟამადაც გამოიყენება. მისი აღმოჩენა, ბუნებრივია, ეფუძვნებოდა მანამდე აღმოჩენილ საინტერესო შეხედულებებს. მათგან ზოგიერთი, გარკვეულ ასპექტში, მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, როგორებიცაა ქიმიური თვისებების მსგავსების მიხედვით ელემენტების დაყოფა ე.წ. „ტრიადებად“ (იოჰან ვოლფგანგ დობერეინერი), ატომური მასის ზრდის მიხედვით ელემენტების განლაგება (უილიამ ოდლინგმა, ალექსანდრ ემილ ბეგიე დე შანკურტუა), ისე, რომ ყოველი მერვე ელემენტი იმეორებდა პირველის თვისებებს (ჯონ ნიულენდსი), ატომურ მასებზე დაყრდნობით ისეთი ცხრილის შემოთავაზება, რომელშიც ელემენტთა რამდენიმე დამახასიათებელი ჯგუფისთვის ილუსტრირებული იყო ატომური მასების თანაფარდობები (ლოთარ იულიუს მაიერი). განსხვავებით მენდელეევის მიერ აღმოჩენილი კანონისგან, ზემოაღნიშნული დებულებები ვერ ამაღლდა სრულყოფილი მეცნიერული თეორიის დონემდე და მათ საფუძველზე რაიმე სერიოზული თეორიული განზოგადები არ გაკეთებულა.

**დ.ი. მენდელეევის პერიოდულობის კანონის ფორმულირება** ასეთია: მარტივ ნივთიერებათა თვისებები, ასევე ქიმიურ ელემენტთა ნაერთების ფორმები და თვისებები პერიოდულ დამკიდებულებაშია ატომური მასის სიდიდესთან. წინამორბედ მეცნიერთაგან განსხვავებით მენდელეევმა ერთმანეთთან დააკავშირა არა მარტო მსგავსი ელემენტები, არამედ ისეთებიც, რომელთაც, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან. მან აღმოაჩინა კანონი, რომელსაც ექვემდებარება ყველა ქიმიური ელემენტი, რაც უკვე ამ ელემენტთა დიალექტიკურ ურთიერთკავშირს ადასტურებდა.

**ატომური მასის ზრდის მიხედვით დალაგებულ ჰორიზონტალურ რიგებს** მენდელეევმა პერიოდი უწოდა. Li – ტიპური მეტალია, Be – ამფორული (ორმაგი თვისების მქონე) ელემენტი, B, C, N, O, F – არამეტალებია. რიგში არამეტალური თვისებები მატულობს და ყველაზე ძლიერად ვლინდება ფთორში. Ne – ინერტული ელემენტია. როგორც ვხედავთ, ატომური მასის ზრდასთან ერთად მეტალური თვისებები სუსტდება, არამეტალური თვისებები კი ძლიერდება. თვისებების ანალოგიური ცვლილება შეიმჩნევა შემდეგ რიგშიც. Na, ლითიუმის მსგავსად, ტიპური მეტალია, Mg – ასევე მეტალია, მაგრამ უფრო სუსტი, Al – ამფორული ელემენტია, Si, P, S, Cl – არამეტალებია, ამასთან ყველაზე აქტიურია ქლორი. ეს რიგიც თავდება კეთილშობილი აირით – Ar. ამგვარად, ელემენტთა გარკვეული რიცხვის შემდეგ თვისებები მეორდება.

პერიოდულად მეორდება ნაერთთა ფორმებიც. მსგავსი ელემენტები ერთნაირი ფორმის ნაერთებს წარმოქმნის. მაგალითად, ერთნაირი ფორმის ოქსიდებს წარმოქმნის ლითიუმი და ნატრიუმი ( $\text{Li}_2\text{O}$ ,  $\text{Na}_2\text{O}$ ), ბერილიუმი და მაგნიუმი ( $\text{BeO}$ ,  $\text{MgO}$ ) ბორი და სილიციუმი ( $\text{B}_2\text{O}_3$  და  $\text{SiO}_2$ ) და ა.შ. ელემენტების ნაერთთა თვისებების პერიოდული დამოკიდებულება ატომური მასის სიდიდესთან კარგად ჩანს ჰიდროქსიდების თვისებების შედარებისას.  $\text{LiOH}$  ძლიერი ტუტეა,  $\text{Be}(\text{OH})_2$  – ამფოტერული ჰიდროქსიდი,  $\text{H}_3\text{BO}_3$ ,  $\text{H}_2\text{CO}_3$  სუსტი მუავებია,  $\text{HNO}_3$  ძლიერი მუავაა (ფთორი და კეთილშობილი აირები ჰიდროქსიდებს არ წარმოქმნის). ანალოგიურად ხდება თვისებების ცვლილება შემდეგ რიგშიც:  $\text{NaOH}$ , ლითიუმის ჰიდროქსიდის მსგავსად, ძლიერი ტუტეა,  $\text{Mg}(\text{OH})_2$  – სუსტი ფუძე,  $\text{Al}(\text{OH})_3$  – ამფოტერული ჰიდროქსიდი,  $\text{H}_2\text{SiO}_3$  – სუსტი მუავა,  $\text{H}_3\text{PO}_4$  – სამუალო სიძლიერის მუავა,  $\text{H}_2\text{SO}_4$  – ძლიერი მუავა,  $\text{HClO}_4$  – ყველაზე ძლიერი მუავა ამ რიგში (და საერთოდ უანგბადიან მუავათა შორის). როგორც ვხედავთ, ჰიდროქსიდების თვისებები რიგში კანონზომიერად იცვლება – ფუძე ბუნება სუსტდება, მუავა ბუნება – ძლიერდება. მაშასადამე, გარკვეული ინტერვალის შემდეგ ნაერთთა თვისებებიც მეორდება.

დ.ი. მენდელეევმა მის მიერ შედგენილ პერიოდულ სისტემაში ვაკანტური ადგილები გაითვალისწინა არა მარტო იმ დროისთვის უკვე აღმოჩენილი ელემენტებისათვის, არამედ უცნობი ელემენტებისთვისაც, რომელთა არსებობასთან ერთად მათი თვისებებიც განჭვრიტა. მათგან ზოგიერთი ელემენტი (სკანდიუმი, გალიუმი და გერმანიუმი) მის სიცოცხლეშივე იქნა აღმოჩენილი.

ამუამად ელემენტთა პერიოდული სისტემა მოიცავს 115-ზე მეტ ქიმიურ ელემენტს, რომელთაგან ყველა ტრანსურანული ელემენტი ( $Z > 92$ ), აგრეთვე 43-ე ( $\text{Tc}$ ), 61-ე ( $\text{Pm}$ ), 85-ე ( $\text{At}$ ) და 87-ე ( $\text{Fr}$ ) მიღებულია ხელოვნურად.

#### 4.1. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის სტრუქტურა

როგორც ცნობილია, ფუნქციური დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს სამი ხერხით: განტილებით, გრაფიკულად ან ცხრილით. ამ სამი ხერხიდან პერიოდულობის კანონისათვის ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა მესამე ხერხი. ქიმიური ელემენტების ცხრილს, რომელიც პერიოდულობის კანონის გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს, პერიოდული სისტემა ეწოდება.

პერიოდულობის კანონის აღმოჩენიდან დღემდე მოწოდებულია პერიოდული სისტემის ოთხასზე მეტი ვარიანტი. თითოეულ ვარიანტში წინა პლანზეა წამოწეული თვისებათა პერიოდულობის გარკვეული ასპექტები.

ყველა პერიოდულ სისტემას საფუძვლად უდევს ელემენტების განლაგება რიგობრივი ნომრის (ატომბირთვის მუხტის) ზრდის მიხედვით.

ცნობილია პერიოდული სისტემის სამგანზომილებიანი მოდელები (სპირალური ან მოთავსებული სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურის, მაგალითად, ცილინდრის, პირამიდის და სხვ. ზედაპირზე). სამგანზომილებიანი მოდელები მართლაც იძლევა შესამჩნევად მეტ ინფორმაციას თვისებათა პერიოდულობის შესახებ, მაგრამ მათი პრაქტიკაში გამოყენება გაძნელებულია. ფართოდ გამოყენებული სისტემებიდან, ძირითადად, არჩევენ პერიოდული სისტემის ორ ვარიანტს – მოკლე და გრძელ ფორმას. მენდელეევი უპირატესობას ანიჭებდა მოკლე ფორმას და ამიტომაც ტრადიციის ზეგავლენით, უმაღლესი სკოლის ქიმიის ზოგიერთ და სასკოლო სახელმძღვანელოებში სწორედ ასეთი სისტემა მოცემული.

ელემენტთა პერიოდული სისტემა (მოკლე ფორმა) შედგება შვიდი პერიოდის, 10-რიგისა და რვა ჯგუფისაგან (ცხრილი 4.1).

პერიოდებში ელემენტები განლაგებულია ჰორიზონტალურ მნკრივში რიგობრივი ნომრის ზრდის მიხედვით, რომელიც იწყება ტუტე მეტალით და მთავრდება კეთილშობილი აირით.

ასეთი მიდგომა არ ვრცელდება პირველ და მეშვიდე პერიოდებზე (პირველი პერიოდი იწყება წყალბადით, ხოლო მეშვიდე პერიოდი დაუმთავრებელია).

პერიოდებში ელემენტების რიცხვი განსხვავებულია:

#### ცხრილი 4.1.

I	პერიოდები მოთავსებულია	2	ელემენტი
II	"	"	8 "
III	"	"	8 "
IV	"	"	18 "
V	"	"	18 "
VI	"	"	18 "
VII (დაუმთავრებელია)	"	19	"

ელემენტთა რიცხვის მიხედვით არჩევენ **მცირე და დიდ პერიოდებს**. მცირე ენოდება პერიოდს, რომელიც შეიცავს არაუმეტეს რვა ელემენტისა. მცირე პერიოდებია პირველი, მეორე და მესამე. დიდი ენოდება პერიოდს, რომელიც შეიცავს რვაზე მეტ ელემენტს. დიდი პერიოდებია მეოთხე და ყველა მომდევნო პერიოდი.

პერიოდული სისტემის მოკლე ფორმაში ათი რიგია. რიგი, მზარდი რიგობრივი ნომრის მიხედვით განლაგებულ ელემენტთა ჰორიზონტალური მნკრივია. მცირე პერიოდები შედგება ერთი რიგისაგან, დიდი პერიოდები – ორი რიგისაგან.

ელემენტები, რომლებიც გაერთიანებულია პერიოდული სისტემის ერთსა და იმავე ვერტიკალურ სვეტში, შეადგენენ ჯგუფს. თითოეული ჯგუფი იყოფა ორ ქვეჯგუფად – A და B. ქვეჯგუფებში შემავალი ქიმიური ელემენტების სიმბოლოები მათ მიერ დაკავებულ უჯრაში გადაწეულია მარცხნივ ან მარჯვნივ. ქვეჯგუფს, რომელიც აერთიანებს მცირე და დიდი პერიოდის ელემენტებს, მთავარი ანუ A ქვეჯგუფი ენოდება. მაგალითად, პირველ ჯგუფში მთავარია ის ქვეჯგუფი,

რომელიც მოიცავს წყალბადს და ტუტე მეტალებს (Li, Na, K, Rb, Cs და Fr). ქვეჯგუფს, რომელიც აერთიანებს მხოლოდ დიდი პერიოდის ელემენტებს, თანაური ანუ B ქვეჯგუფი ენოდება. მაგალითად, პირველ ჯგუფში თანაურ ანუ B ქვეჯგუფს წარმოქმნის Cu, Ag და Au.


პერიოდული სისტემის ცალკეულ უჯრაში ძირითადად მოთავსებულია მხოლოდ ერთი ქიმიური ელემენტი. უჯრაში ჩანერილია აგრეთვე ელემენტის ქიმიური სიმბოლო და რიგობრივი ნომერი, ბუნებრივი იზოტოპური შედგენილობის ელემენტის საშუალო ფარდობითი ატომური მასა (აღსანიშნავია, რომ რადიაქტიური ელემენტებისათვის მოცემულია მხოლოდ ყველაზე მდგრადი იზოტოპის ფარდობითი ატომური მასა); ხშირად უჯრაში ნაჩვენებია აგრეთვე ენერგეტიკულ დონეებზე ელექტრონების რიცხვი ან გარე ენერგეტიკული დონის ელექტრონული კონფიგურაცია.

ცალკეულ შემთხვევებში ერთი უჯრა ეკუთვნის რამდენიმე ელემენტს. მაგალითად, VIII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფი წარმოდგენილია ე. ნ. ტრიადებით – ერთ უჯრაში გაერთიანებულია სამ-სამი ელემენტი. ასევე, მეექვსე პერიოდში 57-ე ელემენტან – ლანთანთან ერთად ერთ უჯრაში მოთავსებულია თოთხმეტი ელემენტი, რომლებსაც ლანთანიდებს (ლანთანის მსგავს) ან ლანთანიდებს (ლანთანის მოძევნოს) უნიდებენ. მეტი თვალსაჩინოებისათვის ლანთანიდები მოთავსებულია ცალკე, პერიოდული სისტემის ქვემოთ. ანალოგიურად, მეშვიდე პერიოდში აქტინიუმთან (რიგობრივი ნომერი 90) ერთად ერთ უჯრაში მოთავსებულია თოთხმეტი ელემენტი, რომლებსაც აქტინიდებს (აქტინიუმის მსგავს) ან აქტინიდებს (აქტინიუმის მოძევნოს) უნიდებენ. ეს ელემენტებიც გამოტანილია ცალკე, პერიოდული სისტემის ქვემოთ.

ხშირად პერიოდული სისტემის ქვემოთ მოცემულია ელემენტების უმაღლესი უანგბადნაერთების და წყალბადნაერთების საერთო ფორმულები. ყველა ელემენტი (გარდა ჰელიუმისა, ნეონისა და არგონისა) წარმოქმნის უანგბადნაერთს. უანგბადნაერთებისათვის გამოიყენება რვა სახის ემპირული ფორმულა:  $R_2O$ ,  $RO$ ,  $R_2O_3$ ,  $RO_2$ ,  $R_2O_5$ ,  $RO_3$ ,  $R_2O_7$  და  $RO_4$ , სადაც  $R$  ელემენტის ატომია. ეს ფორმულები მოთავსებულია შესაბამისი ჯგუფის ქვემოთ და იგი სამართლიანია, როგორც მთავარი, ისე თანაური ქვეჯგუფის ელემენტებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ელემენტის უმაღლესი უანგვითი რიცხვი არ თანხვდება ჯგუფის ნომერს.

დანყებული IV ჯგუფიდან, მთავარი ქვეჯგუფის ელემენტები წარმოქმნის აქროლად წყალბადნაერთებს, რომლებისათვისაც აღინიშნება ოთხი სახის ემპირული ფორმულა:  $RH_4$ ,  $RH_3$ ,  $RH_2$  და  $RH$ , სადაც  $R$  ქიმიური ელემენტის ატომია. ეს ფორმულები ასევე მოთავსებულია შესაბამისი ჯგუფის ქვემოთ და იგი სამართლიანია მხოლოდ მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებისათვის.

გარდა იმ მსგავსებისა, რომელსაც ჯგუფებში განლაგებული ელემენტები იჩენენ, რასაც შეიძლება „ვერტიკალური მსგავსება“ ენოდოს, ზოგიერთი ელემენტისათვის დამახასიათებელია ე. ნ. დიაგონალური მსგავსება, მაგალითად:



ტუტე მეტალების კარბონატები და ფოსფატები წყალში კარგად ხსნადია, გარდა ლითიუმის კარბონატებისა და ფოსფატებისა. ამ თვისებით ეს უკანასკნელები მაგნიუმის კარბონატებსა და ფოსფატებს ემსგავსება.

მეორე ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის მეტალების ჰიდროქსიდები ძლიერი ფუძეებია. გამონაკლისია  $Be(OH)_2$ , რომელიც  $Al(OH)_3$ -ის მსგავსად ამფოტერულია.

ბორი თვისებებით ემსგავსება არა III ჯგუფის, არამედ IV ჯგუფის ელემენტებს, კერძოდ, სილიციუმს. ასე მაგალითად, ნაცვლად ამფოტერული ჰიდროქსიდისა, ბორი სილიციუმის მსგავსად სუსტ მჟავებს წარმოქმნის. ამას გარდა,  $B_2O_3$   $SiO_2$ -ის მსგავსად, მინებს წარმოქმნის. ასევე საყურადღებოა,  $B$ -ისა და  $Si$ -ის წყალბაზნაურთების მსგავსებაც.

ფართოდ გამოყენების მიუხედავად, პერიოდული სისტემის მოკლე ფორმას არსებითი ნაკლოვანება ახასიათებს, რაც გამოიხატება ერთ ჯგუფში მკვეთრად განსხვავებული თვისებების მქონე ელემენტების არსებობით (ანუ მთავარი და თანაური ქვეჯგუფის ელემენტების თვისებათა სხვაობით), რის გამოც ელემენტების თვისებათა პერიოდულობა თითქოს ირლვევა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს პერიოდული სისტემის გრძელ ფორმას, რომელიც უფრო სრულად გამოხატავს ელემენტების თვისებათა პერიოდულობას, ამავე დროს წარმოდგენას გვიქმნის პერიოდული სისტემის ფიზიკურ საფუძველზე – ელემენტების ატომების ელექტრონებით შევსების თანმიმდევრობაზე.

ელემენტების პერიოდული სისტემის გრძელი ფორმა, ისევე როგორც ჩვენ მიერ განხილული მოკლე ფორმა, შედგება შვიდი პერიოდისაგან. პერიოდულ სისტემაში არის ვერტიკალური სვეტები. თითოვეული სვეტის ელემენტები ჭრშმარიტი ანალოგებია. ამ სვეტებს ჯგუფები ენოდება და მათი აღნიშვნა ხდება რომაული ციფრებით და ასოებით – A ან B. პერიოდულ სისტემაში რვა A და ამდენივე B ჯგუფია. ლანთანიდებსა და აქტინიდებს ოჯახები ენოდება და ისინი არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნება. A ჯგუფებში გაერთიანებულია s- და p-ელემენტები, B ჯგუფებში – d-ელემენტები (ე.წ. გარდამავალი ელემენტები), ოჯახებში კი f-ელემენტები (ლანთანიდები და აქტინიდები).

პერიოდული სისტემის მეტი კომპაქტურობის მიზნით ლანთანიდებს და აქტინიდებს ცალკე გამოყოფენ და ათავსებენ სისტემის ქვემოთ. პერიოდული სისტემის ამ ვარიანტს ნახევრად გრძელი ენოდება.

პერიოდული სისტემის გრძელი ფორმის ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტია სისტემა, რომელიც დაამუშავა ბორმა და ტომსენმა (სქემა). სწორედ ამ სისტემის საფუძველზე გახდა შესაძლებელი იშვიათმინა მეტალების – ლანთანიდების ზუსტი რიცხვის დადგენა.

დასასრულ საინტერესოა აღვნიშნოთ პერიოდული სისტემის კიდევ ერთი ვარიანტი. 1956 წელს რუსმა ა. კაპუსტინკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ძალზე დიდი წნევის პირობებში, კერძოდ დედამიწის წიაღში,

დასაშვებია ელექტრონების გადასვლა პერიფერიული ენერგეტიკული დონეებიდან შიგა ენერგეტიკულ დონეებზე. ასეთ შემთხვევაში ატომთა ელექტრონული კონფიგურაციის ფორმირება განხორციელდება ე.წ. იდეალური სქემის მიხედვით, როცა ახალი დონის ელექტრონებით შევ-სება დაინყება წინა ენერგეტიკული დონის მთლიანად შევსების შემდეგ. მაშინ ელექტრონებით შევსების თანმიმდევრობა ასეთი იქნება:

$$1s^2 - 2s^2 - 2p^6 - 3s^2 - 3p^6 - 3d^{10} - 4s^2 - 4p^6 - 4f^{14} - 5s^2 - 5p^6 - 5d^{10} - 5f^{14}$$


და ა.შ.

ასეთ პირობებში მოხდება ჩვეულებრივი პერიოდული სისტემის გა-დაგვარება და თვისებათა პერიოდულობაც მიიღებს განსხვავებულ ფორმას.

კაპუსტინსკის მიხედვით პერიოდული სისტემა შედგება ხუთი პერი-ოდისაგან. გამოთვლილია, რომ ელექტრონების გადასვლა პერიფერიუ-ლი ენერგეტიკული დონეებიდან ბირთვთან უფრო ახლო მდებარე ქვე-დონეებზე მოსალოდნელია 1-10 მაგ წნევის პირობებში.

ამჟამად შექმნილია პერიოდული სისტემის ისეთი ელექტრონული ვერსია, რომელშიც ცხრილის ბოლო მოცემული ელემენტის ნებისმიერი ძირითადი თვისების დინამიურად მოძებნა შეიძლება.

## სექტა 4.1



## 4.2. პერიოდულობის კანონისა და პერიოდული სისტემის ფიზიკური საფუძვლები და მნიშვნელობა

პერიოდულობის კანონის აღმოჩენამ და პერიოდული სისტემის შექმნამ საფუძველი მოამზადა ატომის აღნაგობის დასადგენად. მან ხელი შეუწყო ატომის აღნაგობის შესახებ თანამედროვე მოძღვრების განვითარებას. ატომის აღნაგობის შესახებ მოღვრების სისწორე ხშირად მოწმდებოდა პერიოდულობის კანონით. მაგალითად, ბორბა იწინასწარმეტყველა, რომ 72 რიგითი ნომრის ელემენტს უნდა ჰქონოდა ცირკონიუმის ატომის ანალოგიური აღნაგობა, ამიტომ იგი უნდა ეძებნათ ცირკონიუმის მინერალებთან, რაც შემდგომში მართლაც დადასტურდა მისი ცირკონიუმის მადანში აღმოჩენით. ამ ელემენტს ჰაფნიუმი (აღმოჩენის ადგილის – კოპენჰაგენის ლათინური სახელწოდება) ეწოდა.

ატომის აღნაგობის თანამედროვე მოძღვრების შექმნის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა პერიოდულობის კანონისა და პერიოდული სისტემის მნიშვნელობა.

ატომის აღნაგობის დადგენის შემდეგ გაირკვა, რომ ელემენტის რიგითი ნომერი, რომელიც მანამდე მისი მხოლოდ მდებარეობის მაჩვენებელი რიცხვი ეგონათ, ღრმა ფიზიკური არსის მატარებელი რიცხვია. რიგითი ნომერი ამ ელემენტის ატომბირთვის მუხტის ტოლია. ატომბირთვის მუხტი კი ელემენტის რაობის, მისი ინდივიდუალობის განმსაზღვრელი სიდიდეა. ამიტომ განიმარტება ელემენტი, როგორც ერთნაირი ატომბირთვის მუხტის მქონე ატომები. ატომბირთვის მუხტის შეცვლა ქიმიური ელემენტის სხვა ელემენტად გარდაქმნას ნიშნავს. ბირთვული რეაქციების დროს ქიმიური ელემენტის ატომები გარდაიქმნება სხვა ელემენტის ატომებად. ქიმიური რეაქციების მიმდინარეობა კი მათი ელექტრონული სტრუქტურის შეცვლასთან არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, მენდელეევმა პერიოდულ სისტემაში ელემენტები დაალაგა ატომური მასის ზრდის მიხედვით, მაგრამ რამდენიმე ადგილას, ნაკლები ატომური მასის მქონე ელემენტები, მათი თვისებების გათვალისწინებით, განალაგა უფრო მეტი ატომური მასის მქონე ელემენტების შემდეგ: Ar-K, Co-Ni, Te-I, Th-Pa. ატომის აღნაგობის დადგენამ გაამართლა მენდელეევის დაშვების სისწორე, რადგან პერიოდულ სისტემაში ელემენტები ზუსტად დალაგებული აღმოჩნდა ატომბირთვის მუხტის ზრდის მიხედვით. ხოლო თუ რატომ არის მაგალითად,  $A_r(K) < A_r(Ar)$ , მაშინ, როცა კალიუმის ატომბირთვის მუხტი მეტია, ვიდრე არგონის, ამისი ახსნა მარტივია და მდგომარეობს იმაში, რომ კალიუმის ბუნებრივ იზოტოპურ ნარევში პროცენტულად უფრო მეტია მსუბუქი იზოტოპის შემცველობა, ხოლო არგონში პირიქით – მძიმე იზოტოპისა, რის გამო, არგონის ფარდობითი ატომური მასა აღემატება კალიუმისას.

ატომის აღნაგობის დადგენის შემდეგ პერიოდულობის კანონმა ასეთი ფორმულირება მიიღო:

მარტივ ნივთიერებათა თვისებები, ქიმიურ ელემენტთა ნაერთების ფორმები და თვისებები პერიოდულ დამოკიდებულებაშია ატომბირთვის მუხტის სიდიდესთან.

ნეიტრალურ ატომში რიგობრივი ნომერი, რომელიც ტოლია (არააღ-გზნებულ მდგომარეობაში) ელემენტის ატომში ენერგეტიკული დონეების რაოდენობისა და პერიოდის ნომრისა, ამავე დროს ტოლია ელექტრონების რიცხვისა და მთავარი კვანტური რიცხვის, ი-ის, უდიდესი მნიშვნელობისა.

დღეისათვის (ცნობილი ქიმიური ელემენტის ატომებში (არააღგზნებულ მდგომარეობაში) შეიძლება არსებობდეს მაქსიმუმ შვიდი ენერგეტიკული დონე. სწორედ ამიტომ პერიოდულ სისტემაში გვაქვს შვიდი პერიოდი. ასეთია პერიოდის ნომრის ფიზიკური არსი.

პერიოდის ტევადობა, ანუ ქიმიური ელემენტების რიცხვი განისაზღვრება ატომების ელექტრონული სტრუქტურების ფორმირების კანონზომიერებით. პირველი ენერგეტიკული დონე შედგება ერთი ორბიტალისაგან, ერთ ორბიტალზე კი პაულის აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება მოთავსდეს მაქსიმუმ ორი ელექტრონი. ამიტომ პირველი ენერგეტიკული დონის ელექტრონული ტევადობა ორის ტოლია და აქედან გამომდინარე, პირველი პერიოდი ორ ელემენტს მოიცავს. ეს ელემენტებია ნყალბადი და ჰელიუმი. მეორე ენერგეტიკული დონე შედგება ოთხი ორბიტალისაგან (2s, 2p), ამიტომ მისი ტევადობა რვის ტოლია და აქედან გამომდინარე, მეორე პერიოდი რვა ელემენტს შეიცავს.

**მესამე ენერგეტიკული დონე მოიცავს 3s, 3p, 3d-ორბიტალებს, რომლებზედაც განლაგებულია 2 3s-ელექტრონი, 6 3p-ელექტრონი. ენერგიის მინიმუმის პრინციპიდან გამომდინარე, 3d ორბიტალები ივსება 4s ორბიტალის შემდეგ (3d ორბიტალებისთვის  $(n+1)$  უდრის  $3+2=5$ , ხოლო 4s-თვის  $4+0=4$ ). თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ 3d ორბიტალები ივსება IV პერიოდის ელემენტებში, ე.ი. III პერიოდში ივსება 3s და 3p ორბიტალები, რომელთა ტევადობაც რვის ტოლია, ამიტომ ამ პერიოდშიც ელემენტების რიცხვი, მეორე პერიოდის ანალოგიურად, რვის ტოლია.**

მეოთხე ენერგეტიკული დონე შედგება **თექვსმეტი ორბიტალისა-გან – ერთი 4s, სამი 4p, ხუთი 4d და შვიდი 4f**. მაგრამ ამ ორბიტალები-დან ენერგიის მინიმუმის პრინციპიდან გამომდინარე, ივსება 4s და 4p ორბიტალები. 4d ორბიტალი ივსება მეხუთე პერიოდში, ხოლო 4f – VI პერიოდის ელემენტებში. მეოთხე პერიოდის ელემენტებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ივსება აგრეთვე 3d ორბიტალები, ე.ი. სულ ცხრა ორბიტალი, **ამიტომ თავსდება 18 ელემენტი.**

ანალოგიური მსჯელობით შეიძლება იმის დადგენა, რომ V პერიოდში ივსება ერთი 5s, სამი 5p, ხუთი 4d ორბიტალი, ე.ი. სულ ცხრა ორ-ბიტალი, ამიტომ V პერიოდშიც 18 ელემენტია.

VII პერიოდში ივსება ერთი 6s, სამი 6p, ხუთი 5d და შვიდი 4f ორბიტალი, ე.ი. 16 ორბიტალი, ამიტომ VII პერიოდში 32 ელემენტია.

VIII პერიოდი (დაუმთავრებელია) ანალოგიური მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცავდეს 32 ელემენტს.

ამრიგად, პერიოდის ტევადობა ცალსახად განისაზღვრება ატომების ელექტრონული კონფიგურაციის ფორმირების კანონზომიერებით.

ატომის აღნაგობის დადგენის შემდეგ გაირკვა აგრეთვე ჯგუფის ნომრის ფიზიკური არსიც.

**განვიხილოთ მადიფერენცირებელი ელექტრონის ცნება.** მადიფერენცირებელი იმ ელექტრონს ეწოდება, რომელიც ემატება მოცემული ელემენტის ატომს და ცხადია, არა აქვს წინ მდგომი ელემენტის ატომს. მაგალითად, Na-ის ატომში მადიფერენცირებელია 3s ელექტრონი, ფოსფორში – 3p, რკინაში – 3d, პრომეთიუმში (Pm) – 4f და ა.შ. ამის შესაბამისად, ქიმიური ელემენტები იყოფა s, p, d და f ელემენტებად. d და f ელემენტებს (ე.ი. ელემენტებს, რომლებშიც მადიფერენცირებელია d და f ელექტრონები) **გარდამავალი ელემენტები ეწოდება.**

პერიოდულ სისტემაში მთავარი ქვეჯგუფები ნარმოდგენილია s და p ელემენტებით, თანაური კი d და f ელემენტებით. ჯგუფის ნომერი მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებისთვის ბოლო ენერგეტიკულ დონეზე ელექტრონების რიცხვის ტოლია. ამავე დროს მთავარი და თანაური ქვეჯგუფის ელემენტებისთვის ჯგუფის ნომერი მიუთითებს ელექტრონების იმ მაქსიმალურ რიცხვს, რომლის გამოყენებაც მათ ქიმიური ბმების ნარმოქმნაში შეუძლიათ, ე.ი. აჩვენებს ელემენტის უმაღლესი უანგვის რიცხვს. ამაში გამოიხატება ჯგუფის ნომრის ფიზიკური არსი. ამ ელექტრონებს სავალენტო ელექტრონები ეწოდება. ამრიგად, მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებისთვის სავალენტოა გარე ენერგეტიკული დონის ელექტრონები, ხოლო თანაური ქვეჯგუფის ელემენტებისთვის – როგორც გარე, ისე ბოლოსნინა ქვედონის ელექტრონები (s და d); მაგალითად, გოგირდისთვის სავალენტოა გარე ენერგეტიკული დონის ექვსივე ელექტრონი (3s<sup>2</sup>, 3p<sup>4</sup>), ქრომისთვის სავალენტოა ბოლო ენერგეტიკული დონის (4s) ერთი ელექტრონი და ბოლოსნინა 3d<sup>5</sup> ორბიტალი, ე.ი. სულ 6 ელექტრონი.

ქიმიური ელემენტების ელექტრონული კონფიგურაციების ფორმირების კანონზომიერებათა შესწავლის შემდეგ, ცხადია, რაც უფრო ზუსტად ემორჩილება პერიოდული სისტემა ელექტრონული სტრუქტურების ფორმირების კანონზომიერებებს, მით უფრო სრულად გამოხატავს იგი პერიოდულობის კანონს.

რიგობრივი ნომრის, პერიოდისა და ჯგუფის ნომრების ფიზიკური არსის ცოდნა ცხადყოფს, რომ ქიმიური ელემენტების თვისებები ძირითადად განისაზღვრება გარე ელექტრონული შრის აღნაგობით. აქედან გამომდინარე, პერიოდულობის კანონის ფიზიკური არსი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ატომბირთვის მუხტის მონოტონურ ზრდასთან ერთად თვისებათა პერიოდული ცვლილება გამოწვეულია გარე ენერგეტიკული დონის ელექტრონული სტრუქტურის პერიოდული გამეორებით.

#### 4.3. ქიმიური ელემენტების თვისებათა პერიოდულობა

ქიმიური ელემენტების ყველა ის თვისება, რომელიც ატომის ელექტრონული სტრუქტურით განისაზღვრება, კანონზომიერად იცვლება პერიოდებისა და ჯგუფების მიხედვით. ამასთან, რამდენადაც ელემენტანალოგების ელექტრონული სტრუქტურები ერთმანეთის მსგავსია და

არა ერთნაირი, ჯგუფსა და ქვეჯგუფში შეიმჩნევა თვისებათა არა მარტივი გამეორება, არამედ მათი კანონზომიერი ცვლილება.

ელემენტის ქიმიური ბუნება იმით განისაზღვრება, გასცემს თუ შეიძენს იგი ელექტრონს. ეს უნარი კი რაოდენობრივად ფასდება **იონიზაციის ენერგიით** და მისი **ელექტრონისადმი სწრაფვით**.

#### 4.3.1. იონიზაციის ენერგია

მრავალელექტრონიანი ატომბირთვის იონიზაციის ენერგიები  $I_1$ ,  $I_2$ ,  $I_3, \dots$ ,  $I_n$  შეესაბამება პირველი, მეორე და ა.შ. ელექტრონის მოსახლეჩად საჭირო ენერგიებს. ამასთან,  $I_1 < I_2 < I_3 \dots$ , რადგან ელექტრონის მოხლეჩა ზრდის ატომბირთვის მუხტის მნიშვნელობას და, შესაბამისად, ელექტრონის მოსახლეჩად საჭირო ენერგიას.

**იონიზაციის პირველი ენერგია** ( $I_1$ ) ენოდება იმ ენერგიას, რომელიც საჭიროა პირთვთან ყველაზე სუსტად ბმული (ე.ო. ყველაზე დაშორებული) **არაალგზნებული ერთი ელექტრონის** მოსახლეჩად და მის უსასრულოდ დიდ მანძილზე გადასატანად. წარმოქმნილი ერთმუხტიანი იონისაგან შემდგომი ელექტრონის მოსახლეჩად საჭირო ენერგიას იონიზაციის მეორე ენერგია ენოდება და ა.შ. იონიზაციის ენერგია იზომება კჯ-ში ან ელექტრონ-ვოლტებში (ევ).

ატომის იონიზაციის ენერგია მის ელექტრონულ კონფიგურაციაზე არის დამოკიდებული. დასრულებულ ელექტრონულ გარსებს მაღალი მდგრადობა ახასიათებს და მათ იონიზაციის დიდი ენერგიები აქვთ. იონიზაციის ყველაზე მცირე ენერგიები აქვთ I ჯგუფის s-ელემენტებს (Li, Na, K და ა.შ.), თუმცა მათი იონიზაციის მეორე ენერგია უკვე შედარებით მაღალია, რაც განპირობებულია სავალენტო ელექტრონის დაკარგვის შემდეგ მიღებული (n-1) გარსის ( $s^2 r^n$ ) დიდი მდგრადობით.


II ჯგუფის s-ელემენტებში (Be, Mg, Ca) დასრულებული შრიდან  $ns^2 np^6$  (Be-თვის კი  $2s^2$ -დან) ელექტრონის დაკარგვა პასუხობს იონიზაციის ენერგიის მკვეთრ ზრდას.

მრუდს, რომელიც გამოსახავს პირველი ელექტრონის მოხლეჩვის ენერგიის დამოკიდებულებას ელემენტის რიგით ნომერთან, აქვს მკვეთრად გამოხატული პერიოდული ხასიათი (ნახ. 4.1). ყველაზე ნაკლები ენერგია შეესაბამება I ჯგუფის s-ელემენტებს, ხოლო ყველაზე მაღალი – VIII ჯგუფის s და p-ელემენტებს.

განვიხილოთ ენერგიის ცვლილების ხასიათი პერიოდული სისტემის პირველი ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფისა და მეორე პერიოდის ელემენტების მაგალითზე. პირველი ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტების იონიზაციის პირველი ენერგიის მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 4.2.

ცხრილი 4.2.

ელემენტი	Li	Na	K	Rb	Cs
I, ევ	5.39	5.14	4.34	4.18	3.89



ნახაზი 4.1. პირველი ელექტრონის მოხლეჩვის ენერგიის დამკაიდებულება ელემენტის ატომბირთვის მუხტის სიდიდეზე

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთავარ ქვეჯგუფში ატომბირთვის მუხტის ზრდასთან ერთად იონიზაციის პირველი ენერგიის მნიშვნელობები მცირდება, რაც კულონის კანონის თანახმად ( $F_{\text{მა.}} = kq_1q_2/r^2$ ) აიხსნება. რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, ზემოდან ქვემოთ,  $r$ -ის პირთვესა და მოსახლეები ელექტრონს შორის მანძილის გაზრდით (ელექტრონული შრების რაოდენობის გაზრდის გამო),  $q_2$ -ის ზრდის გამო, ზემოთმოტანილ გამოსახულებაში ამავე დროს იზრდება მრიცხველის მნიშვნელობა. მაგრამ მნიშვნელის ზრდით გამოწვეული ეფექტი სჭარბობს პირთვის მუხტის ზრდით გამოწვეულ ეფექტს და შედეგად ადგილი აქვს მიზიდვის ძალის შემცირებას.

მეორე პერიოდის იონიზაციის პირველი ენერგიები მოცემულია ცხრილში 4.3.

ცხრილი 4.3.

ელემენტი	Li	Be	B	C	N	O	F	Ne
I, ევ	5.39	9.32	8.30	11.26	14.53	13.61	17.43	21.56

ცხრილიდან ჩანს, რომ პერიოდებში მარცხნიდან მარჯვნივ იონიზაციის პირველი ენერგია იზრდება, რადგან მთავარი კვანტური რიცხვის ( $n$ ) უცვლელობის პირობებში  $r$ -ის ცვლილება უმნიშვნელოა, ხოლო  $q_2$ -ის ზრდის გამო, მრიცხველის ზრდა იწვევს „კულონის ძალის“ გადიდებას და, შესაბამისად, იონიზაციის ენერგიის ზრდას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ პირთვის მუხტის მონოტონურ ზრდას შეესაბამება იონიზაციის ენერგიის არამონოტონური ზრდა შინაგანი პერიოდულობის გამოვლენით. შედარებით მაღალი იონიზაციის ენერგიები აქვთ II ჯგუფის s-

ელემენტებს (Be, Mg, Ca) შევსებული  $n^2$  მდგომარეობის დიდი მდგრადობის გამო. აგრეთვე, იონიზაციის მაღალი ენერგიით გამოირჩევა V ჯგუფის p-ელემენტები (N, P, As), რაც ასევე მათი ელექტრონული კონფიგურაციიდან გამომდინარეობს და ერთხელ კიდევ ადასტურებს ნახევრადშევსებული სავალენტო ორბიტალების მდგრადობას, ე.ი. იონიზაციის პირველი ენერგია პერიოდებში მარცხნიდან მარჯვნივ იზრდება, ხოლო მთავარ ქვეჯგუფებში ზემოდან ქვემოთ მცირდება.

#### 4.3.2. სწრაფვა ელექტრონისადმი

ენერგიას, რომელიც გამოიყოფა ნეიტრალური ატომისა და ელექტრონისაგან ერთმუხტიანი უარყოფითი იონის წარმოქმნისას, ელექტრონისადმი სწრაფვა ენოდება. ეს იმ ენერგიის ტოლია, რომელიც საჭიროა ერთმუხტიანი იონისაგან ერთი ელექტრონის მოსაწყვეტად და მის უსასრულოდ დიდ მანძილზე გადასატანად. ელექტრონისადმი სწრაფვა აღინიშნება E-თი და ის ისევე, როგორც იონიზაციის ენერგია, იზომება ჯოულებში ან ელექტრონვოლტებში.

ელექტრონისადმი ყველაზე მაღალი სწრაფვა აქვთ VII ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ზედა ელემენტებს (F, Cl, Br), აგრეთვე VI ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ზედა ელემენტებს (მაგალითად, O, S).

#### 4.4.3 ელექტროუარყოფითობა

ელექტროუარყოფითობა შეიძლება განიმარტოს, როგორც ქიმიურად ბმული ელემენტის ატომის უნარი თავისეკნ მიიზიდოს მოლეკულაში სხვა ატომებთან მაკავშირებელი ელექტრონები. ელექტროუარყოფითობა აღინიშნება ბერძნული ასოთი  $\chi$  („ხი“). თუმცა ელექტროუარყოფითობის ცნება ფარდობითია. ატომთა ელექტროუარყოფითობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: ელემენტის ვალენტურ მდგომარეობაზე, ნაერთის ტიპზე, ამ ატომთან დაკავშირებული ატომების ბუნებაზე და ა.შ. ამიტომ ცნობილია ელექტროუარყოფითობის რამდენიმე სკალა (ელემენტების თანმიმდევრობა ამ სკალებში ერთნაირია, თუმცა მათი ელექტროუარყოფითობის მნიშვნელობები რამდენადმე განსხვავებულია), რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია პოლინგის მიერ შედგენილი სკალა. მასში ფთორის ფარდობითი ელექტროუარყოფითობის მნიშვნელობა ყველაზე დიდია. უმცირესია Cs-ის და Fr-ის ელექტროუარყოფითობის მნიშვნელობა (იხ. ელემენტების ფარდობითი ელექტროუარყოფითობის სკალა, ნახ. 4.2).

განვიხილოთ A და B ელემენტების ატომებს შორის ელექტრონის გადასვლის მიმართულების შესაძლებლობა. თუ ელექტრონი გადადის A ელემენტის ატომიდან B ელემენტის ატომზე, მაშინ უნდა გამოიყოს

( $E_B - I_A$ ) ენერგია, სადაც  $I_A$  არის **A** ელემენტის იონიზაციის ენერგია, ხოლო  $E_B - B$  ელემენტის სწრაფვა ელექტრონისადმი. საწინააღმდეგო გადასვლის შემთხვევაში გამოყოფილი ენერგია  $(E_A - I_B)$ , სადაც  $I_B$  არის **B** ელემენტის იონიზაციის ენერგია, ხოლო  $E_A - A$  ელემენტის სწრაფვა ელექტრონისადმი.

დავუშვათ, რომ სინამდვილეში ელექტრონი გადადის **A**-დან **B**-ზე. ამისათვის საჭიროა შესრულდეს პირობა:

$$(E_A - I_B) > (E_B - I_A)$$

თუ მოვახდენთ უტოლობის წევრების დაჯგუფებას ელემენტების მიხედვით, მივიღებთ:

$$(I_B + E_B) > (I_A + E_A)$$

ელექტროუარყოფითობა ( $\chi$ ) რიცხობრივად განისაზღვრება, როგორც იონიზაციის ენერგიისა და ელექტრონისადმი სწრაფვის ნახევარჯამი:

$$\chi = (I + E)/2 \quad (4.1)$$

ელექტროუარყოფითობა, ისევე როგორც სწრაფვა ელექტრონისადმი გაიზომება ჯოულებით ან ელექტრონვოლტებით.

H																			
2,1																			
Li	Be	B																	
1,0	1,5	2,0																	
Na	Mg	Al																	
0,9	1,2	1,5																	
K	Ca	Sc	Ti	V	Cr	Mn	Fe	Co	Ni	Cu	Zn	Ga	Ge	As	Se	Br			
0,8	1,0	1,3	1,5	1,6	1,6	1,5	1,8	1,9	1,9	1,9	1,6	1,6	1,8	2,0	2,4	2,8			
Rb	Sr	Y	Zr	Nb	Mo	Tc	Ru	Rh	Pd	Ag	Cd	In	Sn	Sb	Te	I			
0,8	1,0	1,2	1,4	1,6	1,8	1,9	2,2	2,2	2,2	1,9	1,7	1,7	1,8	1,9	2,1	2,5			
Cs	Ba	La	Hf	Ta	W	Re	Os	Ir	Pt	Au	Hg	Tl	Pb	Bi	Po	At			
0,7	0,9	1,0	1,3	1,5	1,7	1,9	2,2	2,2	2,2	2,4	1,9	1,8	1,9	1,9	2,0	2,2			

ნახაზი 4.2 ელემენტების ფარდობითი ელექტროუარყოფითობის პოლინგის სკალა

#### 4.4. ატომური რადიუსები

ელექტრონის მოძრაობის ტალღური ბუნების გამო ატომს არა აქვს მკაცრად განსაზღვრული საზღვრები. ატომთა აპსოლუტური ზომების განსაზღვრა შეუძლებელია. ატომის ზომის განსაზღვრის პირველი ცდა ეკუთვნის ლოთარ მაიერს, რომელმაც ატომური მოცულობების მრუდი ააგო, როგორც ატომური ფუნქცია. ამ მრუდს მკვეთრად გამოხატული პერიოდული ხასიათი აქვს.

რენტგენოსტრუქტურული და ელექტრონოგრაფიული გაზომვების შედეგად დაგროვდა მდიდარი ექსპერიმენტული მასალა, საიდანაც გა-

ნისაზღვრა მანძილები ატომებს შორის, აქედან კი განისაზღვრა ატომებისა და ონების რადიუსები.

**ცნობილია ატომური რადიუსების განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი.** თუ მარტივი ნივთიერების ატომებს წარმოვიდგენთ კრისტალურ მესერში ერთმანეთთან შეხებაში მყოფი არადრეკადი ბურთულების სახით, მაშინ მეზობელი ბურთულების ცენტრებს შორის მანძილი შეიძლება მივიჩნიოთ ატომების გაორმაგებულ რადიუსებად. ამიტომ კოვალენტური რადიუსი იქნება ორი ერთნაირი ატომის ბირთვებს შორის მანძილის ნახევარი. ამ მეთოდით განსაზღვრულ რადიუსებს ბრეგის ატომურ რადიუსებს უწოდებენ. სხადასხევა ელემენტის ატომების შემთხვევაში A–B მოლეკულაში ატომებს შორის მანძილი A–A და B–B მოლეკულებში არსებული მანძილების საშუალო არითმეტიკული უნდა იყოს. ასეთი კანონზომიერების დაშვება ბუნებრივია, რადგანაც ბირთვებს შორის მანძილი ადიტიური სიდიდეა. მაგალითად, C–C ბირთვებს შორის მანძილი მარტივი ბმის შემთხვევაში არის 154 პმ, ხოლო Si–Si-ის ბირთვებს შორის – 234 პმ. აქედან გამომდინარე, C–Si ბმის სიგრძე კარბორუნდში უნდა იყოს 194 პმ. ექსპერიმენტით მიღებულია 193 პმ, რომელიც კარგად ემთხვევა გამოთვლილს. თუმცა, ასეთი კარგი დამთხვევა ყოველთვის არ მიიღება. მრავალ შემთხვევაში გვხვდება გადახრები, რომელთაც, ზოგჯერ, ბმის ჯერადობას, ბმის ონურ ხასიათს ან ორბიტალების ჰიბრიდიზაციას მიაწერენ.

აღსანიშნავია მარტივი კავშირის არსებობა ბმის ენერგიასა და სიგრძეს შორის. კოვალენტური ნაერთების დიდი რიცხვისთვის შეიძლება შემოტანილ იქნას სიდიდე  $Z^*_{AB}$ , რომელსაც კოვალენტურ ენერგეტიკულ მანძილს უწოდებენ, ჭეშმარიტ  $Z_{AB}$  მანძილსა და  $E_{AB}$  ბმის ენერგიასთან ის შემდეგ კავშირშია:

$$Z^*_{AB} = Z_{AB} + 1/2 \lg E_{AB} \quad (3.51)$$

ეს ფორმულა გამოყვანილი იყო წყალბადისათვის, მაგრამ სხვა ელემენტებისთვისაც კარგ შედეგებს იძლევა.


ატომის რადიუსად შეიძლება მიჩნეულ იქნას მანძილი ბირთვსა და სავალენტო ელექტრონების სიმკვრივის მაქსიმუმს შორის. ასე გამოთვლილ რადიუსს სლეიტერის ატომურ რადიუსს უწოდებენ (ცხრილი 4.4).

ცხრილი 4.4. ატომური რადიუსები (პმ) სლეიტერის მიხედვით

Li	145	Be	105	N	65	O	60	F	50
Na	180	Mg	150	P	100	S	100	Cl	100
K	220	Ca	180	As	115	Se	115	Br	115
Rb	235	Sr	200	Sb	145	Te	140	I	140
Cs	260	Ba	215	Bi	160	Po	120		
		Ra	215						

ყველანაირი ნაერთებისთვის (როგორც მეტალური, ისე კოვალენტური ბმით) მიღებულია ატომების ორბიტალური რადიუსის გამოყენება – მანძილი ბირთვიდან ბოლო ორბიტალის ელექტრონული

სიმკვრივის მაქსიმუმამდე (ელექტრონების ყოფნის ალბათობის რადიალური განაწილების ფუნქციის მაქსიმუმამდე, ნახ. 4.3). მაგალითად, სპილენძის ატომისთვის ეს არის მანძილი ბირთვიდან 4s ორბიტალის ელექტრონული სიმკვრივის მაქსიმუმამდე.



ნახაზი 4.3. H-ის, Li-ის, B-ის და Ne-ის ატომებში რადიალური ელექტრონული სიმკვრივის განაწილება და ორბიტალური რადიუსები


მოლეკულის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია ატომებს შორის მანძილები და სავალენტო კუთხეები, რომლებიც განისაზღვრება ელექტრონოგრაფიული, რენტგენოსტრუქტურული და სპექტროსკოპული კვლევის მეთოდების გამოყენებით.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბრუნვით სპექტრებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მოლეკულები წყალბადის ატომებს შეიცავენ, რომლის ადგილმდებარეობის განსაზღვრა არც ელექტრონოგრაფიული და არც რენტგენოსტრუქტურული ანალიზით არ ხერხდება.

ატომის ორბიტალური რადიუსების ბირთვის მუხტზე ( $Z$ ) დამოკიდებულება პერიოდულ ხასიათს ატარებს (ნაზ. 4.4). ერთი პერიოდის ფარგლებში ელემენტის რიგობრივი ნომრის გადიდებისას ატომური რადიუსები მცირდება. ეს განსაკუთრებით მცირე პერიოდებში შეიმჩნევა (ცხრილი 4. 4).

ცხრილი 4.5. ატომური რადიუსების (პმ) ცვლილება მცირე პერიოდებში

Li	Be	B	C	N	O	F
145	105	85	77	65	60	50
Na	Mg	Al	Si	P	S	Cl
180	150	125	110	100	100	100



ნახაზი 4.4 ატომის ორბიტალური რადიუსის ატომბირთვის მუხტის სიდიდეზე დამოკიდებულების გრაფიკი

ერთსა და იმავე პერიოდში არ იცვლება მთავარი კვანტური რიცხვის მნიშვნელობა, მაგრამ იზრდება რა ატომბირთვის მუხტი, ძლიერდება ბირთვის მიერ ელექტრონების მიზიდვა, რაც ატომის რადიუსის შემცირებას იწვევს. უფრო ძლიერი შემცირება შეინიშნება სავალენტო შრეზე მეორე s ელექტრონის მომატებისას, ხოლო p, d და f ელექტრონების რიცხვის გაზრდისას, ატომური რადიუსები შედარებით ნაკლებად მცირდება.

მცირე პერიოდებში რადიუსები გაცილებით სწრაფად მცირდება, ვიდრე დიდ პერიოდებში (d და f ელემენტები). მაქსიმალური რადიუსები უნდა ჰქონდეთ ტუტე მეტალებს, ხოლო მინიმალური – კეთილშობილ აირებს. მინიმალური ორბიტალური რადიუსები მართლაც კეთილშობილ აირებს აქვთ. ხოლო ეფექტური ატომური რადიუსები თითოეულ პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ ჯერ კლებულობს, ხოლო შემდეგ იზრდება. მაგალითად, მეორე პერიოდში R (ატომური რადიუსი) მინიმალურია ფთორისთვის, მესამეში – ქლორისთვის და ა.შ. ასეთი კანონზომიერება გამოწვეულია ქიმიური ბმის თავისებურებით. კერძოდ, კეთილშობილ აირებში ატომური რადიუსების გადიდებული მნიშვნელობები გამოწვეულია კეთილშობილი აირების კრისტალებში ძალიან დაბალ ტემპერატურაზე ატომებს შორის არსებული სუსტი ურთიერთექმედებით, რის გამოც ატომებს შორის მანძილები დიდია, მაშინ, როცა იმავე პერი-

ოდის არამეტალის ატომებს შორის ძლიერი კოვალენტური ბმებია, რაც ატომბირთვებს შორის მანძილს ამცირებს.

ატომური რადიუსების შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ კანონზომიერ შემცირებას აქვს ადგილი ლანთანოიდების რიგში, რომელსაც „ლანთანოიდურ კუმშვას“ უწოდებენ. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ლანთანის მომდევნო ელემენტებისთვის, რომელთა რადიუსები უფრო მცირეა, ვიდრე მათ ექნებოდათ „ლანთანოიდური კუმშვის“ გარეშე.

მთავარ ქვეჯგუფებში ბირთვის მუხტის ზრდის მიმართულებით ატომის რადიუსი იზრდება, რაც ელექტრონული შრეების რიცხვის ზრდასთან არის დაკავშირებული. ამავე დროს მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებისათვის (s და p ელემენტები) რადიუსი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე თანაური ქვეჯგუფის ელემენტებისთვის (d და f ელემენტები). ეს დაკავშირებულია d- და f-ელექტრონების ნაკლებ მაეკრანირებელ მოქმედებასთან s- და p-ელემენტებთან შედარებით, რის გამოც ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბირთვსა და ელექტრონებს შორის მიზიდვის ძალა უფრო მეტია და, შესაბამისად, რადიუსი ნაკლებია.

მე-6 პერიოდის ლანთანის მომდევნო ელემენტებში მთავარი კვანტური რიცხვის ზრდით გამონვეული რადიუსის ზრდა კომპენსირდება ლანთანოიდური კუმშვით, ამიტომ ამ ელემენტების ატომური რადიუსები მეტე პერიოდის შესაბამისი ელემენტების ატომური რადიუსებისგან თითქმის არ განსხვავდება. ყოველივე ამან მათ თვისებებზე გავლენა მოახდინა. სწორედ ლანთანოიდური კუმშვის გამო Zr და Hf ელემენტების ყველაზე მსგავსი წყვილებია (მათი ატომური რადიუსები თითქმის ერთნაირია).

#### 4.5. ონური რადიუსები

როგორც ცნობილია, გარე შრის ელექტრონები ბირთვთან შედარებით სუსტად არის დაკავშირებული, ამიტომ შესაძლებელია მათი მოხლეჩა და სხვა ატომთან შეერთება. ატომი, რომელიც კარგავს ელექტრონებს, იმუხტება დადებითად (კატიონი), ხოლო რომელიც იერთებს – უარყოფითად (ანიონი). ონები იგივე სიმბოლოებით აღინიშნებიან, როგორც ატომები, მხოლოდ სიმბოლოს მარჯვნივ, ზედა კუთხეში აღინიშნება ონის მუხტის ნიშანი და სიდიდე. ელექტრონებიტრალურ ატომთან შედარებით ბირთვი ელექტრონის უფრო მცირე რიცხვზე მოქმედებს, ამიტომ კატიონების რადიუსები ყოველთვის უფრო მცირეა, ვიდრე შესაბამისი ნეიტრალური ატომის. ამავე დროს კატიონის რადიუსი მით უფრო მეტად მცირდება, რაც უფრო დიდია მისი მუხტი. მაგალითად,  $r(Mn) = 130$  პმ,  $r(Mn^{2+}) = 80$  პმ,  $r(Mn^{4+}) = 60$  პმ. ეს გასაგებიცაა, რადგან კატიონის მუხტის ზრდა იწვევს ბირთვის მიერ დარჩენილი ელექტრონების უფრო ძლიერ მიზიდვას და, ამდენად, ელექტრონული გარსების შეკუმშვას.

ანიონების რადიუსები, კი პირიქით, ყოველთვის აღემეტება ნეიტრალური ატომის რადიუსის მნიშვნელობას:

$$r_{\text{კატ.}} < r_{\text{ატომ.}} < r_{\text{ანიონი}}$$

რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად პერიოდებში და ქვეჯგუფებში ადგილი აქვს იონური რადიუსების კანონზომიერ ცვლილებას: იონური რადიუსები პერიოდებში მარცხნიდან მარჯვნივ მცირდება, ქვეჯგუფებში ზემოდან ქვემოთ იზრდება (ცხრილი 4.5).

ცხრილი 4.6. იონური რადიუსები პოლინგის მიხედვით (პმ-ით)

$\text{Li}^+$	60	$\text{Be}^{2+}$	31	$\text{O}^{2-}$	140	$\text{F}^-$	136
$\text{Na}^+$	95	$\text{Mg}^{2+}$	65	$\text{S}^{2-}$	184	$\text{Cl}^-$	181
$\text{K}^+$	133	$\text{Ca}^{2+}$	99	$\text{Se}^{2-}$	198	$\text{Br}^-$	195
$\text{Rb}^+$	148	$\text{Sr}^{2+}$	113	$\text{Te}^{2-}$	221	$\text{J}$	216
$\text{Cs}^+$	169	$\text{Ba}^{2+}$	135				

#### 4.6. მეორადი და შინაგანი პერიოდულობა

პერიოდული სისტემის ქვეჯგუფებში ატომბირთვების მუხტის მონოტონურ ცვლილებას შეესაბამება იონიზაციის ენერგიის, ელექტრონისადმი სწრაფვის, ატომური რადიუსების და ა.შ. არამონოტონური ცვლილება (ნახ. A, B, C, D).

პირველი ოთხი იონიზაციის ენერგიის ჯამის და ორბიტალური რადიუსების, ატომბირთვის მუხტის მონოტონურ ზრდასთან დაკავშირებით, ცვლილებების ამსახველ მრუდებზე ( $\text{C}, \text{Si}, \text{Ge}-\text{Sn}, \text{Pb}$ ) აღინიშნება შინაგანი მაქსიმებები და მინიმებები, რაც მათი ცვლილების არამონოტონური ხასიათის დამადასტურებელია. არამონოტონური ხასიათი შეინიშნება აგრეთვე ნივთიერებათა თვისებების ცვლილებაშიც, რომელიც ფაქტიურად ამის შედეგია. მაგალითად განვიხილოთ ჰალოგენების მოლეკულების დისოციაციის ენერგიების ცვლილება ატომბირთვის მუხტის ზრდასთან დაკავშირებით.

${}_{\text{9}}\text{F}$	${}_{17}\text{Cl}$	${}_{35}\text{Br}$	${}_{53}\text{I}$
$\text{F}_2$	$\text{Cl}_2$	$\text{Br}_2$	$\text{I}_2$
E კ.ჯ./მოლი	159	243	190

ქვეჯგუფში ელემენტების თვისებათა ცვლილების არამონოტონურ ხასიათს უწოდეს მეორადი პერიოდულობა.

როგორც ცნობილია ასევე არამონოტონურობა ახასიათებს იგივე თვისებების (იონიზაციის ენერგია, ელექტრონისადმი სწრაფვა, ატომური რადიუსები) ცვლილებას პერიოდში ატომბირთვის მუხტის ზრდის მიმართულებით. ამ სიდიდეების ცვლილება ხასიათდება შინაგანი პერიოდულობით, ამიტომ პერიოდებში ელემენტების თვისებათა არამონოტონურ ცვლილებას შინაგანი პერიოდულობა უწოდეს.

ელექტრონისადმი ყველაზე მაღალი სწრაფვა აქვს VII ჯგუფის p-ელემენტებს (ცხრილი 4.6) ელექტრონისადმი სწრაფვას არ იჩენს  $\text{S}^2$  და  $\text{s}^2\text{p}^6$  ( $\text{S}^2-\text{Be}, \text{Mg}, \text{Ca}$ )  $\text{s}^2\text{p}^6\text{-Ne}, \text{Ar}, \text{Kr}$ ) ელემენტები, აგრეთვე ელემენტები ნანილობრივად შევსებული p-ქვედონით ( $\text{N}, \text{P}, \text{As}$ ):

	Li	Be	B	C	N	O	F	Ne
	S <sup>1</sup>	S <sup>2</sup>	S <sup>2</sup> p <sup>1</sup>	S <sup>2</sup> p <sup>2</sup>	S <sup>2</sup> p <sup>3</sup>	s <sup>2</sup> p <sup>4</sup>	s <sup>2</sup> p <sup>5</sup>	s <sup>2</sup> p <sup>6</sup>
E <sub>e</sub> კჯ/მოლი	-59,8	0	-27	-122,3	7	-141,0	-327,9	0

ცხრილი 4.6. ერთატომიან ანიონებში\* ატომების ელექტრონისადმი სწრაფვა

Z	ატომი, ანიონი	E <sub>e</sub> , კჯ/მოლი	Z	ატომი, ანიონი	E <sub>e</sub> , კჯ/მოლი
1	H	-72,8	16	S	-200,4
2	He	0		S-	+590
3	Li	-59,8	17	Cl	-348,8
4	Be	0	18	Ar	0
5	B	-27	19	K	-48,4
6	C	-122,3	20	Ca	0
7	N	+7	21	Sc	0
	N <sup>-</sup>	+800	22	Ti	-20
	N <sup>2-</sup>	+1290	23	V	-50
8	O	-141,0	24	Cr	-64
9	O <sup>-</sup>	+780	25	Mn	0
10	Ne	0	26	Fe	-24
11	Na	-52,7	27	Co	-70
12	Mg	0	28	Ni	-111
13	Al	-44	29	Cu	-118,3
14	Si	-133,6			
15	P	-71,7			და ა.შ

\*E<sub>e</sub> – უარყოფითი ნიშანი(-) განპირობებულია იმით (აღნიშნავს იმას), რომ  
პროცესი ეგზოთერმულია (სითბოს გამოიყოფა), E<sub>e</sub> – დადგებითი ნიშანი(+) –  
პროცესი ენდოთერმულია (სითბო შთაინთქმება).

## 5. ქიმიური ბმა. ქიმიური ბმის ბუნება

ქიმიური ბმის ცნება ქიმიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა, ხოლო მოძღვრება ქიმიური ბმის შესახებ – ქიმიის ცენტრალურ პრობლემას ნარმოადგენს, ვინაიდან ნივთიერებათა მოლეკულებში ატომებს შორის ურთიერთქმედების და მათ შორის კავშირის ბუნების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ქიმიურ ნივთიერებათა, როგორც მრავალფეროვნების მიზე-ზების, ისე ნარმოქმნის და გარდაქმნების მექანიზმების, ნაერთთა რეაქციისუნარიანობის ზუსტი ნარმოდგენა, მათი თვისებების პროგნოზირება ექსპერიმენტის ჩატარების გარეშე.

ქიმიურად შეკავშირებული ატომების ერთობლიობა გარკვეულ მიმართებაში მყოფი ატომების ბირთვების და ელექტრონების რთულ სის-

ტემას ნარმოადგენს, სადაც ატომებს შორის ქიმიური პმა ხორციელდება ელექტრონების და ატომების ბირთვების ელექტროსტატიკური ურთიერთქმედებით. იმის ცოდნა, თუ როგორია შეკავშირებულ ბირთვებს შორის ელექტრონული სიმკვრივის განაწილების ხასიათი, ნაერთებში ქიმიური ბმების მათემატიკური აღწერის საშუალებას იძლევა.

ქიმიურად ბმულ ატომებს შორის ელექტრონული სიმკვრივის განაწილების მიხედვით ანსხვავებენ ბმის სამ ძირითად ტიპს:

1. კოვალენტური ბმა;
2. იონური ბმა;
3. მეტალური ბმა;

ცნობილია ასევე წყალბადური ბმა, კოორდინაციული ბმა (კოორდინაციულ ნაერთებში – იხ. ქვემოთ), ვან-დერ-ვაალსური კავშირები და სხვ.

ვიცით რა ნივთიერების მოლეკულაში ატომების ზუსტი სივრცითი განლაგება (განაწილება) და ბმის ხასიათი, შესაძლებელია მისი აღნაგობის სრულყოფილი დახასიათება. მოლეკულა ნივთიერების მიკრონაწილაკია, რომელიც შედგება ატომებისაგან და დამოუკიდებლად არსებობის უნარი გააჩნია. კვლევის თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოლეკულის ძირითადი პარამეტრები – ბირთვებს შორის მანძილი (ქიმიური ბმის სიგრძე), სავალენტო კუთხეები და მოლეკულის გეომეტრია, ატომებზე ეფექტური მუხტები, ქიმიური ბმის ენერგია და სხვ.

ქიმიურად შეკავშირებული ატომების ბირთვებზე (ბირთვების ცენტრებზე) გამავალ ნარმოსახვით წრფეთა შორის კუთხეს სავალენტო კუთხე ეწოდება.


ქიმიური ბმის ენერგია მის მნიშვნელოვან მახასიათებელს ნარმოადგენს, რაც ბმის სიმტკიცეს განსაზღვრავს. ქიმიური ბმის სიმტკიცის ზომად მიღებულია ენერგიის ის მნიშვნელობა, რომელიც ამ ბმის დასარღვევად არის საჭირო. ორატომიანი მოლეკულების შემთხვევაში ქიმიური ბმის ენერგია შესაბამისი მოლეკულების ატომებად დისოციაციის ენერგიის  $E_{\text{დის}}$  ტოლია. რაც მტკიცეა ატომებს შორის კავშირი, მით მაღალია  $E_{\text{დის}}$ : მაგალითად,  $EN \equiv N = 940$  კჯ/მოლი,  $E_{N-N} = 543,5$  კჯ/მოლი. მრავალატომიან მოლეკულებში (მაგალითად:  $AB_n$  ტიპის) A-B ატომებს შორის ბმის საშუალო ენერგია  $E_{AB}$  მოლეკულის ატომებად დისოციაციის ენერგიის  $1/n$  ნაწილს შეადგენს:

$$AB_n \rightarrow A + nB, \quad E_{AB} = E_{\text{დის}} / n. \quad (5.1)$$

მაგალითად, ენერგია, რომელიც იხარჯება წყლის მოლეკულის ატომებად დაშლაზე:  $(HOH \rightarrow 2H + O)$  ტოლია  $324$  კჯ/მოლი. წყლის მოლეკულაში კი ორივე H-O ბმა ტოლფასია, ამიტომ ბმის საშუალო ენერგია  $E_{O-H} = E_{\text{დის}} / 2 = 324/2 = 162$  კჯ/მოლი.

ქიმიური ბმა, ძირითადად, ე.წ. სავალენტო ელექტრონების ხარჯზე ხორციელდება. s- და p-ელემენტებისათვის სავალენტო ელექტრონებს ნარმოადგენს გარე შრის ორბიტალების ელექტრონები, ხოლო d-ელემენტებისათვის გარე შრის s-ორბიტალების და ბოლოსწინა შრის d-ორბიტალების ელექტრონები.


ქიმიური ბმის წარმოქმნის აუცილებელი პირობაა ატომების მიახლოების შედეგად სისტემის სრული ენერგიის შემცირება. ქიმიური ბმის ყველა თეორიას საფუძვლად უდევს პოსტულატი რვაელექტრონიანი შრის  $ns^2np^6$  (ოქტეტის) განსაკუთრებული მდგრადობის შესახებ. ასეთი სტრუქტურა აქვს კეთილშობილ აირებს. He-სათვის მდგრადია  $1s^2$  სტრუქტურა. ენერგიის მინიმიზაცია სწორედ მდგრადი სისტემის წარმოქმნის შედეგია და უმარტივეს შემთხვევაში, მაგალითად, წყალბადის მოლეკულური იონი,  $H_2^+$  (ასეთი მოლეკულური იონი წარმოქმნება წყალბადის მოლეკულის ელექტრონების ნაკადით დასხივებისას), როდესაც კავშირი  $H$  და  $H^+$ -ს შორის ერთი ელექტრონით ხორციელდება. ენერგიის ბირთვებს შორის მანძილზე დამოკიდებულების გრაფიკს აქვს შემდეგი სახე:



ნახაზი 5.1. მდგრადი  $H_2^+$  მოლეკულური იონისა (ა) და არაშეკავშირებული  $H$  და  $H^+$ -სგან შემდგარი სისტემის (ბ) ენერგიის მრუდები

ა მრუდი შეესაბამება  $H_2^+$ -ის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ელექტრონი ე.წ. ბირთვების შემაკავშირებელ უბანშია. მრუდზე გამოიხატება სამი მონაკვეთი: I მონაკვეთი შეესაბამება ბირთვებს შორის იმ მანძილებს, როდესაც ვლინდება განზიდვა (შედარებით მოკლე მანძილზე ადგილი აქვს პოტ.-ის სწრაფ ცვლილებას – გაზრდას); III მონაკვეთი შეესაბამება ბირთვებს შორის მიზიდვას. II მონაკვეთს გააჩნია მინიმუმი. ი. შეესაბამება  $H_2^+$ -ნანილაკში  $H$  და  $H^+$ -ს შორის განზიდვის და მიზიდვის ძალების ტოლობას, ე.ი. როდესაც მათ შორის ურთიერთგანზიდვა კომპენსირდება ელექტრონით ბირთვების მიზიდვით. ამ უკანასკნელის ეფექტურობა განისაზღვრება ელექტრონების ბირთვების მიმართ განლაგებით. ეს წონასწორული მანძილი შეესაბამება ბმის სიგრძეს, ხოლო  $E_{\text{პოტ.}} - D$  დისოციაციის ენერგიას. გ მრუდი შეესაბამება ელექტრონის ყოფნას ე.წ. „არაშემაკავშირებელ“ უბანში (არ აურიოთ „არაშემაკავშირებელ“ ელექტრონებში). ამ მდგომარეობას „გამთიშვი“ ეწოდება და ბირთვების შეკავშირებას ხელს არ უწყობს. სხვა სიტყვებით, თუ ელექტრონი „მოხვდება“ ე.წ. „შემაკავშირებელ“ უბანში, მაშინ ქიმიური ბმის წარმოქმნა შესაძლებელია, ხოლო თუ ის აღმოჩნდება გამთიშვი (არაშემაკავშირებელ) უბანში, ბმა არ წარმოიქმნება (გ მრუდზე ენერგეტიკული მინიმუმი არ გვაქვს). შემაკავშირებელი უბანი ჩნდება ორ ბირთვს შორის და ხასიათდება უარ-

ყოფითი მუხტის მაღალი სიმკვრივით, რაც დადებითად დამუხტული ბირთვების მიზიდვას განაპირობებს. ასეთი ურთიერთექმედება კი სისტემის ენერგიას ამცირებს და ქიმიური ბმის წარმოქმნას განაპირობებს.



## 5.1. კოვალენტური ბმა


კლასიკური წარმოდგენების თანახმად (ლუისის თეორია), კოვალენტური ბმა წარმოიქმნება საზიარო ელექტრონული ნევილების საშუალებით. დაახლოებით ერთი საუკუნის წინ მიღებული ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად კოვალენტური ბმის თანამედროვე თეორიის შემუშავებას. კოვალენტური ბმის აღწერის ამოცანა დაიყვანება ატომების შეკავშირების შემდეგ მოლეკულაში ელექტრონული სიმკვრივის ახალი განაწილების ფუნქციის პოვნამდე. რა თქმა უნდა, ამოცანა უშუალოდ უკავშირდება მოლეკულის შემთხვევაში შრედინგერის განტოლების ამოხსნის შესაძლებლობას; თუმცა ყველაზე მარტივ მაგალითზეც კი ( $H_2^+$ ), შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებითი ამონასნის პოვნა.

**ცნობილია შრედინგერის განტოლების ამოხსნის 2 მიახლოებითი მეთოდი:**

1. ვალენტური ბმების მეთოდი (ჰაიტლერი, ლონდონი).
2. მოლეკულური ორბიტალების მეთოდი (მალიკენი, ჰუნდი).

### 5.1.1. ვალენტური ბმების მეთოდი

**ვალენტური ბმების მეთოდი** შემუშავებულ იქნა 1927 წელს გერმანელი ფიზიკოს-თეორეტიკოსების, ვალტერ ჰერმანის ჰაიტლერისა და ფრიც ვოლფგანგ ლონდონის მიერ. მისი ძირითადი დებულებები განვიხილოთ წყალბადის მოლეკულის მაგალითზე, რომლის სქემა მოცემულია ნახ. 5.3.



ნახაზი 5.3. ნაწილაკებს შორის მანძილი წყალბადის მოლეკულაში

ვალენტური ბმების თეორია გამოდის იმ დებულებიდან, რომ ატომების ყოველი წყვილი მოლეკულაში „შეკავებულია“ ერთი ან რამდენიმე საზიარო ელექტრონული (ანტიპარალელური სპინებით) წყვილით. ამ თეორიით ქიმიური ბმა ორ ცენტრიანია და ორ ელექტრონიანია. მოლეკულაში ყველა ბმა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ორ ელექტრონიანი ბმების კომბინაცია.

მოკლედ წარმოვადგინოთ ვალენტური ბმების თეორიის მიხედვით კოვალენტური ბმის მათემატიკური აღნერა. აღვნიშნოთ იზოლირებული  $H_a$  ატომის ელექტრონის საკუთარი ფუნქცია  $\Psi_a$ -თი, ხოლო ასევე იზოლირებული  $H_b$  ატომის ელექტრონის საკუთარი ფუნქცია  $\Psi_b$ -თი, (1) და (2) სიმბოლოებით – პირველი და მეორე ელექტრონის სივრცითი კოორდინატები. მაშინ გამოსახულება  $\Psi_a(1)$  წარმოადგენს პირველი ელექტრონის  $H_a$  ატომის ბირთვის ველში ყოფნის კერძო ალბათობას, ხოლო  $\Psi_b(2)$  – მეორე ელექტრონის  $H_b$  ატომის ბირთვის ველში ყოფნის კერძო ალბათობის ერთდროულად განხორციელების ალბათობა მათი ნამრავლის ტოლია. ჩვენი შემთხვევისათვის ის სისტემის  $\Psi$  ტალღურ ფუნქციას წარმოადგენს:

$$\Psi = \Psi_a(1)\Psi_b(2) \quad (5.2)$$

ელექტრონების განურჩევლობის გამო მათ შეუძლიათ გაუცვალონ ერთმანეთს ადგილები, რის გამოც სისტემის  $\Psi$  ტალღური ფუნქცია მიიღებს სახეს

$$\Psi = \Psi_a(2)\Psi_b(1) \quad (5.3)$$

(5.2) და (5.3) გამოსახულებები ტოლფასია. სრული ტალღური ფუნქცია მიიღება მათი წრფივი კომბინაციით:

$$\Psi = c_1\Psi_a(1)\Psi_b(2) + c_2\Psi_a(2)\Psi_b(1), \quad (5.4)$$

სადაც  $c_1$  და  $c_2$  წრფივობის კოეფიციენტებია, რომლებიც ვარიაციული მეთოდით განისაზღვრება.

(ვარიაციული მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სრული ტალღური ფუნქციის სასინჯი სახე გამოიყენება მოლეკულის ენერგიისა და  $c_1$  და  $c_2$  კოეფიციენტების გამოსათვლელად. ვარიაციული მეთოდის მიხედვით ნებისმიერი ტალღური ფუნქციის გამოყენებით გამოთვლილი სისტემის ენერგია არ შეიძლება იყოს ზუსტ ენერგიაზე ნაკლები:

$$E \geq E_s$$

სადაც  $E$  არის სასინჯი ტალღური ფუნქციის საშუალებით გამოთვლილი ენერგია, ხოლო  $E_s$  – ენერგიის ზუსტი მნიშვნელობა. ენერგია არის  $c_1$  და  $c_2$  კოეფიციენტების ფუნქცია:

$$E = E(c_1, c_2)$$

სტაბილური სისტემის ძირითად მდგომარეობას შეესაბამება ენერგიის მინიმუმი, რომლის მნიშვნელობა უნდა მოიძებნოს პირობებიდან:

$$\left( \frac{\partial E}{\partial c_1} \right)_{c_2} = 0 \quad \text{და} \quad \left( \frac{\partial E}{\partial c_2} \right)_{c_1} = 0$$

მიღებული განტოლებათა სისტემის ამოხსნა გვაძლევს ენერგიისა და  $c_1$  და  $c_2$  კოეფიციენტების მნიშვნელობებს.

### ვარიაციული მეთოდის გამოყენება გვაძლევს ორ ამონასნის:


$$c_1 = c_2 \quad \text{და} \quad c_2 = -c_1$$

შესაბამისად შესაძლებელია სრული ანუ მოლეკულური ტალღური ფუნქციის ორი ვარიანტი:

$$\Psi_S = c_S [\Psi_a(1)\Psi_b(2) + \Psi_a(2)\Psi_b(1)] \quad (5.5),$$

$$\Psi_A = c_A [\Psi_a(1)\Psi_b(2) - \Psi_a(2)\Psi_b(1)] \quad (5.6)$$


ინდექსები  $S$  და  $A$  აღნიშნავენ სიმეტრიულსა და ანტისიმეტრიულს, ე.ი. მიიღება ორი მოლეკულური ტალღური ფუნქცია – სიმეტრიული და ანტისიმეტრიული. პირველ შემთხვევაში (სპინები ანტიპარალელურია) ელექტრონული სიმკვრივე წყალბადის ატომებს შორის იზრდება, ბირთვების შემაერთებელი ნარმოსახვითი ნრფის ცენტრში აღწევს მაქსიმუმს და ნარმოიქმნება ქიმიური ბმა (ნახ. 5.4ა). (მაქსიმალური გადაფარვის პრინციპი). მეორე შემთხვევაში (სპინები პარალელურია) კი ელექტრონული სიმკვრივე წყალბადის ატომებს შორის მცირდება, ბირთვების შემაერთებელი ნრფის ცენტრში ხდება ნულის ტოლი და ქიმიური ბმა არ ნარმოიქმნება (ნახ. 5.3ბ). აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კოვალენტური ბმის ნარმოქმნისათვის ორი ატომის ელექტრონებს უნდა ჰქონდეთ ანტიპარალელური სპინები.



ნახაზი 5.4. წყალბადის ატომების ელექტრონული ღრუბლები ელექტრონების სპინების გასხვავებული ურთიერთორიენტაციის დროს:  
ა – ანტიპარალელური სპინები – ატომები ერთდებიან მოლეკულად;  
ბ – პარალელური სპინები – ატომები განიზიდებიან.


ვალენტური ბმების თეორიის თანახმად კოვალენტური ბმის წარმოქმნა სქემატურად შეიძლება სხვადასხვანაირად გამოისახოს:

ა) საყოველთაოდ მიღებული წარმოდგენა – ბოლო შრის (ე.წ. სავალენტო) ელექტრონები აღინიშნება წერტილით ქიმიური ნიშნის გვერდით, ხოლო საერთო ელექტრონები – ელექტრონული წყვილის სახით, რომელიც შეკავშირებულ ატომებს შორის არის მოთავსებული. წყალბადის მოლეკულის შემთხვევაში გვექნება:




როგორც ვხედავთ, წყალბადის ორივე ატომის ბირთვების ველში იმყოფება ორი ელექტრონი, ე.ი. მიღწეულია დუბლეტური სტრუქტურა (განყვილებული ელექტრონები). საზიარო ელექტრონული წყვილი გრაფიკულად შეიძლება გამოვსახოთ პატარა ხაზით შესაბამისი ატომების ქიმიურ ნიშნებს შორის. მისი რაოდენობა განსაზღვრავს ბმის ჯერადობას (ერთმაგი, ორმაგი, სამმაგი). ამრიგად, წყალბადის მოლეკულაში არის ერთმაგი ბმა: H-H.

ბ) ორბიტალების მეშვეობით:



გ) ელექტრონული ღრუბლების საშუალებით (ნახ. 5.5).

ატომებს შორის ქიმიური ბმის წარმოქმნისას მათი სავალენტო ელექტრონული ღრუბლები ერთმანეთს გადაფარავენ. რაც მეტია მათი გადაფარვის ხარისხი, მით მტკიცეა კოვალენტური ბმა.




ნახაზი 5.5. წყალბადის მოლეკულაში 1s ელექტრონის ელექტრონული ღრუბლების გადაფარვის სქემა

სისტემის ენერგიის ცვლილებას ორივე შემთხვევაში აქვს იგივე ხასიათი (ნახ. 5.1).

ბმას, რომელიც წარმოიქმნება ელექტრონული ღრუბლების გადაფარვით ბირთვების ცენტრების შემაერთებელი წარმოსახვითი წრფის გასწვრივ ენოდება ს-ბმა. შემაერთებელი წრფე ს-ბმის სიმეტრიის ღერძს წარმოადგენს. ერთმაგი ბმა ყოველთვის არაჰიპორიდული ან ჰიბრიდული ორბიტალებით (იხ. ქვემოთ) დამყარებული ს-ბმაა.


წყალბადის მოლეკულის ნარმოქმნისას ელექტრონული ღრუბელების გადაფარვაში მონაწილეობს ორი s-ელექტრონული ღრუბელი, ამიტომ ბმას ენოდება  $\sigma_{s-s}$ -ბმა. საზიარო ელექტრონული წყვილი იმყოფება ბირთვების ცენტრების შემაერთებელი ნარმოსახვითი წრფის ცენტრში (ორივე ატომის ელექტრონულ არყოფთითობა ერთნაირია), რაც განაპირობებს ბმის არაპოლარობას (დანერილებით იხ. კოვალენტური ბმის თვისებები).

ფთორის მოლეკულის შემთხვევაში გვექნება:




როგორც ვხედავთ, ფთორის ორივე ატომის ბირთვების ველში იმყოფება რვა ელექტრონი, ე.ი. მიღწეულია ოქტეტური სტრუქტურა. ფთორის მოლეკულაში ბმა არის ერთმაგი: F–F.

ელექტრონული ღრუბლების საშუალებით ის ასე გამოისახება:



ნახაზი 5.6. ფთორის ატომების 2p-ელექტრონული ღრუბლების გადაფარვის სქემა σ -კავშირის ნარმოქმნისას  $\text{F}_2$ -ს მოლეკულაში.


s-ორბიტალი ნებისმიერ ორბიტალთან (მათ შორის ჰიბრიდულთან) მხოლოდ ს-ბმას ნარმოქმნის. p-ორბიტალს ნებისმიერ ორბიტალთან შეუძლია ს-ბმის ნარმოქმნა ბმის ნარმოქმნელი ბირთვების შემაერთებელი ნარმოსახვითი წრფის გასწვრივ გადაფარვისას (მაგალითად, HI და  $\text{I}_2$  მოლეკულებში. იხ. ნახაზი 5.7).



ნახაზი 5.7. იოდწყალბადისა (ა) და იოდის (ბ) მოლეკულების ნარმოქმნა

იმ შემთხვევაში ატომის ორი ან სამივე p-ორბიტალი მონაწილეობს ქიმიურ ბმაში, მაშინ ატომში p-ორბიტალების ერთმანეთის მიმართ  $90^\circ$ -იანი კუთხით განლაგების გამო, ნარმოქმნილ ბმებს შორის კუთხეც  $90^\circ$ -თან ახლოს უნდა იყოს.

როდესაც ატომებს შორის კავშირი ერთზე მეტი ელექტრონული წყვილით ხორციელდება, ნარმოქმნება ორმაგი ან სამმაგი ბმა. იგი დამახასიათებელია მრავალვალენტიანი ატომისაგან ნარმოქმნილი მოლეკულებისათვის ( $\text{N}_2$ ,  $\text{C} \equiv \text{C}$  და  $\text{S}_8$ ).



ნახაზი 5.8. ტელურნყალბადისა (ა) და სტიპინის (ბ) მოლეკულების წარმოქმნა

მართლაც,  $H_2S$  და  $PH_3$ -ში იგი  $92^\circ$ -ის, ხოლო  $H_2Te$  და  $SbH_3$ -ში  $90^\circ$ -ის ტოლია. (ნახ. 5.7)

### 5.1.2. მოლეკულური ორბიტალების მეთოდი

(სიმარტივისათვის განიხილება მხოლოდ პირველი და მეორე პერიოდის ელემენტების ჰომო- და ჰეტერობირთვული ორატომიანი მოლეკულები)

**მოლეკულური ორბიტალების მეთოდი** შემუშავებულ იქნა ამერიკელი ფიზიკოსის და ქიმიკოსის მალიკენის მიერ. ამ მეთოდის ძირითადი პრობლემაა ტალღური ფუნქციის პოვნა, რომელიც აღნერს ელექტრონების მდგომარეობას მოლეკულურ ორბიტალზე. მისი გავრცელებული ვარიანტია ატომური ორბიტალების წრფივი კომბინაცია (აონ). მიუხედავად მისა, რომ ვალენტური ბმების მეთოდი კარგი მიახლოებით და რაც მნიშვნელოვანია, თვალსაჩინოდ აღნერდა ქიმიურ ბმას ნარმთების უმრავლესობაში, ის უძლეური აღმოჩნდა აესნა, მაგალითად, ერთეულექტრონიანი ბმა წყალბადის მოლეკულურ იონში  $H_2^+$ . ვგვიჩვით ეს ნაწილაკი არ უნდა არ-სებობდეს მაშინ, როდესაც ბირთვებს შორის მანძილი  $r = 108 \text{ პმ}$ , ხოლო ბმის ენერგია  $E_{\text{ა}}$  შეადგენს  $2,65 \text{ ევ-ს}$ , ე.ი. ნარმოადების საკმაოდ მდგრად და რეალურ ნარმონაქმნს. ვერ აისნა აგრეთვე მდგრადობა იმ მოლეკულებისა, რომლებიც შეიცავენ გაუწყვილებელ ელექტრონებს –  $O_2$ ,  $NO$ ,  $NO_2$ ,  $ClO_2$ .

ვალენტური ბმის მეთოდით შეუძლებელია აისნას, თუ რატომ არის  $O_2^+$  მოლეკულურ იონში  $O_2$ -თან შედარებით ქიმიური ბმის უფრო მაღალი ენერგია, ან სხვაგვარად: რატომ გამოიწვია ბმის განმტკიცება  $O_2$ -ში ელექტრონის დაკარგვამ?

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თხევადი ჟანგბადის პარამაგნიტურმა თვისებებმა (პარამაგნიტურია ნივთიერება, რომელსაც აქვს გაუწყვილებელი ელექტრონი, რის გამოც ის მიზიდება მაგნიტის მიერ). ყველა აღნიშნული ნინაალმდეგობა მეტნაკლები წარმატებით დაძლეულ იქნა მოლეკულური ორბიტალების მეთოდის მიერ.

მოლექტრონული ელემენტის ბოლო ელექტრონული შრის ყველა ელექტრონი, ე.ი. მოლეკულური ტალღური ფუნქცია წარმოადგენს მოლეკულის წარმოქმნელი ყველა ატომის ბოლო ელექტრონული შრის ყველა ელექტრონის ტალღური ფუნქციის წრფივ კომბინაციას:

$$\Psi_{\text{ат}} = c_1 \varphi_1 + c_2 \varphi_2 + \cdots + c_n \varphi_n \quad (5.7),$$

სადაც  $\varphi_1, \varphi_2, \dots, \varphi_n$  არის იმ ატომების ელექტრონების ტალღური ფუნქციები (ატომური ორბიტალები), რომლებისგანაც წარმოქმნილია მოცემული მოლეკულა;  $c_1, c_2, \dots, c_n$  – ნრფივობის კოეფიციენტები (ორატომიანი მოლეკულის შემთხვევაში, გვიჩვენებს მოლეკულური ორბიტალების წარმოქმნაში 1 და 2 ატომების ათ-ის წილს).

ყველაზე მარტივია შემთხვევა, როდესაც მო წარმოადგენს ერთნაირი ატომების ორი ატომური ორბიტალის ნრფივ კომბინაციას. აღვნიშნოთ ატომები ციფრებით 1 და 2. მაშინ:

$$\Psi = c_1 \varphi_1 + c_2 \varphi_2 \quad (5.8)$$

ვარიაციული მეთოდის გამოყენება გვაძლევს განტოლებას:

$$c_1^2 = c_2^2 \approx \frac{1}{2} \quad (5.9),$$


რომელსაც აქვს ორი ამონახსნი:

$$c_1 = c_2 \approx \frac{1}{\sqrt{2}} \quad \text{და} \quad c_1 = -c_2 \approx -\frac{1}{\sqrt{2}} \quad (5.10)$$

ც კოეფიციენტების ამ მნიშვნელობებს შეესაბამება ორი მოლეკულური ტალღური ფუნქცია:

$$\Psi_1 = \frac{1}{\sqrt{2}} (\varphi_1 + \varphi_2) \quad \text{და} \quad \Psi_2 = \frac{1}{\sqrt{2}} (\varphi_1 - \varphi_2) \quad (5.11)$$

მო ს მეთოდი გვიჩვენებს, რომ ორი ატომისაგან მოლეკულის წარმოქმნისას შესაძლებელია ელექტრონის ორი მდგომარეობა – ორი მოლეკულური ორბიტალი: ერთი უფრო დაბალი  $E_1$  ენერგიით და მეორე უფრო მაღალი  $E_2$  ენერგიით, ვიდრე საწყისი ატომური ორბიტალების ენერგიაა. სქემატურად ყველაფერი ეს გამოისახება ე.წ. კორელაციური დიაგრამის საშუალებით:



ნახაზი 5.9. დიაგრამა, რომელიც ასახავს ენერგიის მოლეკულური დონეების წარმოქმნას ატომურებიდან.

მოლეკულური ორბიტალები აღინიშნება ატომური ორბიტალების ლათინური სიმბოლოების (s, p, d, f) შესაბამისი ბერძნული ანბანის ასოებით: σ, π, δ, ... მთ-ს, რომლის ენერგია ნაკლებია საწყისი ატომური ორბიტალების ენერგიაზე, ენოდება **მაკავშირებელი**, ხოლო მთ-ს, რომლის ენერგია მეტია საწყისი ატომური ორბიტალების ენერგიაზე, ენოდება **გამთიშავი**. მაკავშირებელი ორბიტალისაგან განსასხვავებლად გამთიშავი აღინიშნება ვარსკვლავით (\*). მთ-ს აღნიშვნის შემდეგ მიუთითებენ ატომურ ირბიტალს, რომლისგანაც ის არის ნარმოქმნილი. მოლეკულური ორბიტალებისათვის სამართლიანია ყველა ის წესი, რაც ატომური ორბიტალებისათვის არის ცნობილი (იხ. ატომის ელექტრონული გარსების და ორბიტალების შევსების წესები). ელექტრონების რაოდენობა მოცემულ **მთ-ზე** აღინიშნება ზედა მარჯვენა ინდექსით (მთ-სა და ატომური ორბიტალის აღნიშვნას ათავსებენ ფრჩხილებში). მაგალითად, ჩანაწერი ( $1s$ )<sup>2</sup> ნიშნავს, რომ შემაკავშირებელ მთ-ზე, რომელიც ნარმოქმნილია 1s ატომური ორბიტალებისაგან, იმყოფება ორი ელექტრონი, ხოლო, მაგალითად, ( $\pi^* 2p_x$ )<sup>1</sup> – გამთიშავ მთ-ზე, რომელიც ნარმოქმნილია  $2p_x$  ატომური ორბიტალებისაგან, იმყოფება ერთი ელექტრონი და ა.შ. მთ-ის ენერგია განისაზღვრება იმ ატომური ორბიტალების ტიპით, რომლებისგანაც აგებულია ის და მათ შორის გადაფარვის ხარისხით. ენერგიის მნიშვნელობის ზრდის მიხედვით მთ-ები განლაგებული არიან შემდეგ რიგში:

$$1s < \sigma^* 1s < 2s < \sigma^* 2s < 2p_x < \pi 2p_x = \pi^* 2p_x = \pi^* 2p_y < \sigma^* 2p_z$$

ელექტრონების ენერგიების მნიშვნელობები 2s < 2p და  $\pi 2p$  ორბიტალებზე ერთმანეთთან ახლოსაა და ზოგიერთი მოლეკულისათვის ( $B_2$ ,  $C_2$ ,  $N_2$ ) თანმიმდევრობა მათ შორის ზემოთმოყვანილის შებრუნებულია (ე.ი.  $\cdots < 2p_x = \pi 2p_y < \sigma 2p_z < \cdots$ ).


თუ ელექტრონების რაოდენობა მაკავშირებელ მთ-ებზე მეტია, ვიდრე გამთიშავ მთ-ებზე, ე.ი.  $\Sigma n_{\text{ფ.}} > \Sigma n_{\text{გ.}}$ , მაშინ მოლეკულა (ნანილაკი) მდგრადია, ხოლო თუ ელექტრონების რაოდენობა მაკავშირებელ მთ-ებზე ტოლია ან ნაკლებია, ვიდრე გამთიშავ მთ-ებზე, ე.ი.  $\Sigma n_{\text{ფ.}} \leq \Sigma n_{\text{გ.}}$ , მაშინ მოლეკულა (ნანილაკი) არამდგრადია (არ არსებობს).

მთ-ს მეთოდში ცნება ბმის ჯერადობის შესახებ შეცვლილია ცნებით ბმის რიგი (ბ.რ.), რომელიც განისაზღვრება როგორც მაკავშირებელი და გამთიშავი ელექტრონების ჯამშის ნახევარსხვაობა:

$$\text{ბ.რ.} = \frac{\Sigma n_{\text{ფ.}} - \Sigma n_{\text{გ.}}}{2} \quad (12)$$

მდგრადი მოლეკულებისათვის (ნანილაკებისათვის) მათი ფორმულების შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში აღინიშნება ელექტრონული ფორმულა მთ-ებისა მათზე ელექტრონების რაოდენობის მითითებით. შრეები, რომელთა ელექტრონები უშუალოდ არ მონაწილეობენ ქიმიური ბმის ნარმოქმნაში, შეადგენენ ე.წ. ჩონჩხს. განვიხილოთ ზოგიერთი მოლეკულა (ნანილაკი).

**H<sub>2</sub><sup>+</sup>**. ჰიპოთეტურად მისი ნარმოქმნა შეიძლება შემდეგნაირად ნარმოვიდებით: H + H<sup>+</sup> → H<sub>2</sub><sup>+</sup>.




ნახაზი 5.10. წყალბადის მოლეკულური იონის  $\text{H}_2^+$ -ის ნარმოქმნის ენერგეტიკული სქემა.

ელექტრონული ფორმულა:  $\text{H}_2^+[(1s)^1]$ .

$$\delta.\text{რ.} = \frac{1-0}{2} = \frac{1}{2}$$

**H<sub>2</sub>.** ჰიდოროტურად მისი ნარმოქმნა შეიძლება შემდეგნაირად ნარმოვიდგინოთ:  $2\text{H} \rightarrow \text{H}_2$ .




ნახაზი 5.11. წყალბადის მოლეკულის  $\text{H}_2$ -ის ნარმოქმნის ენერგეტიკული სქემა

ელექტრონული ფორმულა:  $\text{H}_2[(\sigma 1s)^2]$ .

$$\delta.\text{რ.} = \frac{2-0}{2} = 1$$

შევადაროთ 3ბ-ის მეთოდით მიღებულ ბმის ჯერადობას (ერთმაგი ბმა).


**He<sub>2</sub><sup>+</sup>.** ჰიდოროტურად მისი ნარმოქმნა შეიძლება შემდეგნაირად ნარმოვიდგინოთ:  $\text{He} + \text{He}^+ \rightarrow \text{He}_2^+$ .



ნახაზი 5.12. ჰელიუმის მოლეკულური იონის  $\text{He}_2^+$ -ის ნარმოქმნის ენერგეტიკული სქემა ელექტრონული ფორმულა:  $\text{He}_2^+ [(\sigma 1s)^2 (\sigma^* 1s)^1]$ .

$$\delta.\text{რ.} = \frac{2-1}{2} = \frac{1}{2}$$

**He<sub>2</sub>.** ჰელიუმის მისი ნარმოქმნა შეიძლება შემდეგნაირად ნარმოვიდგინოთ:  $2\text{He} \rightarrow \text{He}_2$ .



ნახაზი 5.13. ჰელიუმის მოლეკულის  $\text{He}_2$ -ის ნარმოქმნის ენერგეტიკული სქემა

$$\delta.\text{რ.} = \frac{2-2}{2} = 0$$

ჰელიუმის, ისევე როგორც სხვა კეთილშობილი აირების, ორატომიანი მოლეკულა არ არსებობს.


აზოტის მოლეკულაში ბმების ნარმოქმნა შეიძლება შემდეგი სქემით ნარმოვადგინოთ:



სადაც KK გამოსახავს მთლიანად შევსებულ  $(\sigma^* 1s)^2$  ორბიტალებს. აზოტის ენერგეტიკული სქემიდან და ელექტრონული ფორმულიდან ჩანს, რომ შესაბამის მოლეკულაში ექვსი ელექტრონი განლაგებულია სამ მაკავშირებელ ორბიტალზე ( $\sigma 2s$ ,  $\pi 2p_x$ ,  $\pi 2p_y$ ) (შესაბამება ერთი ს და ორი  $\pi$  ბმა, ე.ი. განიხილება, როგორც სამმაგი ბმა). 2 ელექტრონი მოთავსებულია  $\sigma 2s$  გამთიშავ ორბიტალზე ( $\sigma^* 2s$ ).


ანალოგიური მსჯელობით გამოისახება ჟანგბადის მოლეკულის ( $O_2$ ) ნარმოქმნის ენერგეტიკული სქემა.

$O_2$ -ის მოლეკულის ელექტრონული ფორმულა (კონფიგურაცია) ატომურიდან შემდეგნაირად მიიღება:



$N_2$ -ის მოლეკულაში ბმის რიგი (ბ.რ.) ტოლია სამის:


ბ.რ. =  $8-2/2 = 3$  (შესაბამისი ბმის ჯერადობას).



ნახაზი 5.14. აზოტის მოლეკულის ( $N_2$ -ის) მოლეკულური ორბიტალის ენერგეტიკული სქემა

როგორც ნახ. 5.15-დან ჩანს, უანგბადის მოლეკულაში სამი განყვილებული ელექტრონი  $[(\sigma 2p_z)^2, (\pi 2p_x)^2, (\pi 2p_y)^2]$  განლაგებულია სამ მაკავშირებელ მოლეკულურ ორბიტალზე – ნააგავს  $N_2$ -ის მოლეკულის სამმაგბმას.  $(\pi^* 2p_x)$  და  $(\pi^* 2p_y)$  გამთიშვავ ორბიტალებზე მოთავსებულია თითო გაუწყვილებელი ელექტრონი, რაც სავსებით შეესაბამება ჰუნდის წესს მოისათვისაც.  $O_2$ -ის მოლეკულის ამგვარი აღნაგობა კარგად ხსნის თხევად (კონდენსირებულ) მდგომარეობაში მის პარამაგნიტურ თვისებას.

$$\delta.r. = (8-4)/2 = 2$$



ნახაზი 5.15. უანგბადის მოლეკულის ( $O_2$ -ის) მოლეკულური ორბიტალის ენერგეტიკული სქემა


ანალოგიურად გამოვსახოთ ნახშირბადის და უანგბადის ამ-ებიდან  $CO$ -ს მოლეკულური ორბიტალის ელექტრონული ფორმულა და ენერგეტიკული სქემა.



$CO$ -ს მოლეკულაში ბმის რიგი უდრის 3-ს:

$$\delta.r. = (8-2)/2 = 3$$

იგივე შედეგი მიიღება ვალენტური ბმების მეთოდის გამოყენებისას, სადაც გათვალიწისებულია ჟანგბადის განუზოგადებელი ელექტრონული წყვილით ნახშირბადის ვაკანტური p-ორბიტალის ხარჯზე დონორულ-აქცეპტორული ბმის ნარმოქმნა.



ნახაზი 5.16. CO-ს მოლეკულური ორბიტალის ენერგეტიკული სქემა

### 5.1.3. ატომური ორბიტალების ჰიბრიდიზაცია


კოვალენტური ბმების ნარმოქმნაში ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი ელექტრონები (მაგალითად, s და p), რის გამოც, ნარმოქმნილი ბმები არატოლფასი უნდა იყოს. ისინი ერთმანეთი-საგან გადაფარვის ხარისხით და, აქედან გამომდინარე, ბმის თვისებებით (სიგრძე, ენერგია) უნდა განსხვავდებოდეს, რაც ექსპერიმენტულად არ დასტურდება.

ამ მოვლენის ასახსნელად ამერიკელმა მეცნიერმა ლაინუს პოლინგმა შეიმუშავა ნარმოდგენა ელექტრონული ორბიტალების ჰიბრიდიზაციის შესახებ. პოლინგის მიხედვით, ბმის ნარმოქმნაში მონაწილეობს საწყისი ორბიტალების „შერევით“ („კომბინაციით“) მიღებული ჰიბრიდული ორბიტალები. ნარმოქმნილი ჰიბრიდული ორბიტალების რიცხვი

ჰიბრიდიზაციაში მონაწილე საწყისი თრბიტალების რიცხვის ტოლია. ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობს ენერგიებით ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული ორბიტალები და შედეგად მათი ენერგიების გასაშუალება ხდება, რაც ელექტრონული ორბიტალის ფორმის შეცვლაში გამოიხატება. ჰიბრიდული ორბიტალი ასიმეტრიულია; მას აქვს ცალ მხარეს განელილი „მოცულობითი რვანის“ (პანტელის) ფორმა და, ბუნებრივია, ასეთი ორბიტალებით ბმის დამყარებისას, არაჰიბრიდულ ორბიტალებთან შედარებით, გადაფარვის ხარისხი მეტია. შედეგად, ჰიბრიდული ორბიტალებით უფრო მტკიცე ბმები მყარდება (უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი მოდელებია და არა რეალური ფიზიკური სისტემები).


ამ ჰიბრიდიზაციის დროს განსაზღვრული რაოდენობის განსხვავებული ფორმისა და ენერგიებით ახლოს მყოფი ატომური ორბიტალები ერთმანეთს „შეერევა“ („კომბინირდება“), იგივე რაოდენობის ერთნაირი ენერგიებისა და ფორმის ორბიტალების წარმოქმნით.

განვიხილოთ ბერილიუმის ქლორიდის მოლეკულა (ორთქლის მდგომარეობაში). ბერილიუმის აღვზნებულ ატომს (ალინიშნება \*-ით, რომელიც ინერება ქიმიური სიმბოლოს მარჯვნივ და მაღლა) ერთი გაუწყვილებელი ელექტრონი აქვს  $2s$ -, მეორე კი –  $2p$ -ორბიტალზე.



ვინაიდან  $p$ -ორბიტალი  $s$ -თან შედარებით უფრო განელილია, მისი გადაფარვა ქლორის  $p$ -ორბიტალით მეტი ხარისხით უნდა მოხდეს და ამ შემთხვევაში უფრო მტკიცე ბმა უნდა დამყარდეს. ბერილიუმის ქლორიდის ორთქლში მოლეკულის თვისებების შესწავლა ორივე ბმის იდენტურობას და მათი ერთმანეთის მიმართ  $180^\circ$ -ით განლაგებას ამტკიცებს. ბერილიუმის ქლორიდის მოლეკულის ხაზოვანი აღნაგობა აიხსნება ერთი  $s$ - და ერთი  $p$ -ორბიტალის ჰიბრიდიზაციით, რის შედეგად ერთმანეთის მიმართ  $180^\circ$ -ით განლაგებული (სავალენტო ელექტრონული ნივილების მაქსიმალური განზიდვის თეორიის შესაბამისად), ორი იდენტური ჰიბრიდული ორბიტალი მიიღება. ჰიბრიდიზაციის ამ სახეს (ნახ. 5.17)  $sp$ -ჰიბრიდიზაცია (დიაგონალური) ეწოდება.

ნახაზი 5.17.  $sp$ -ჰიბრიდიზაციის სქემა




ნახაზი 5.18.  $\text{BeCl}_2$ -ის ხაზოვანი მოლეკულა (სამბირთვიანი მოლეკულა)


ბორის აღგზნებულ ატომში სამი გაუწყვილებელი ელექტრონია – ერთი 2s- და ორი 2p-ორბიტალზე.



ამ სამი ორბიტალის კომბინაციით მიიღება სამი ჰიბრიდული ორბიტალი, რომლებიც ერთმანეთისაგან მაქსიმალური დაცილებით,  $120^\circ$ -იანი კუთხით განლაგდებიან ერთ სიბრტყეში. ჰიბრიდიზაციის ამ სახეს  $sp^2$ -ჰიბრიდიზაცია (ტრიგონალური) ეწოდება (ნახ. 5.19).



ნახაზი 5.19.  $sp^2$ -ჰიბრიდიზაციის სქემა




ნახაზი 5..20.  $BCl_3$ -ის მოლეკულის მოდელი (ოთხბირთვიანი მოლეკულა)

ამგვარი ჰიბრიდული ორბიტალებით მყარდება კოვალენტური ბმები  $BX_3$  ტიპის ნაერთებში. მათში ყველა ბმა ტოლფასია და მოლეკულას ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმა აქვს (ნახაზი 5.19).


ნახშირბადი ნაერთებში  $CH_4$ ,  $CCl_4$  და სხვ. ოთხ ტოლფას ბმას ამყარებს, რაც ასევე ჰიბრიდიზაციით შეიძლება აიხსნას.

ნახშირბადის აღგზნებულ ატომში ოთხი (ერთი 2s- და სამი 2p- ორბიტალზე) გაუწყვილებელი ელექტრონია:




ერთი s და სამი p ორბიტალის ჰიბრიდიზაციით მიღებული ასამეტრიული ორბიტალები მიმართულია ტეტრაედრის ნვეროებისაკენ. კუ-

თხე მათ შორის  $109^{\circ}28'$ -ია, რაც ორბიტალების მაქსიმალურ დაცილებას და სისტემის მინიმალურ ენერგიას (მინიმალური ურთიერთგანზიდვის გამო) შეესაბამება. ჰიბრიდიზაციის ამ სახეს  $sp^3$ -ჰიბრიდიზაცია (ტეტრაგონალური) ეწოდება (ნახაზი 5.20).



ნახაზი 5.20.  $sp^3$  ჰიბრიდიზაციის სქემა

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბმა პჴ-ების მაქსიმალური გადაფარვის მიმართულებით ნარმოიქმნება, ადვილი გასაგებია მეთანის მოლეკულის ტეტრაედრული ფორმა:




ნახაზი. 5.21 მეთანის მოლეკულის (5 ბირთვიანი მოლეკულა) მოდელი

ჰიბრიდიზაცია ვალენტური ატომური ორბიტალების „შერევაა“ („კომბინაცია“) და იგი ხორციელდება იმისდა მიუხედავად, ორბიტალებზე არის გაუწყვილებელი ელექტრონი, ელექტრონული ნივილი, თუ იგი ვაკანტურია (თავისუფალია). ამიტომ ნარმოქმნილი ბმებს რიცხვი ჰიბრიდული ორბიტალების რიცხვზე ნაკლები შეიძლება აღმოჩნდეს.

აზოტის ატომის გარე ენერგეტიკული დონის ელექტრონული კონფიგურაციაა:


$$N: 2s^2 2p^3$$



$2s \quad 2p$


აზოტის მოლეკულაში ატომებს შორის სამშაგი ბმაა. ითვლება, რომ მოლეკულის ნარმოქმნისას თითოეული ატომის ერთი  $s$  და  $p$  ვალენტური ორბიტალი განიცდის  $sp^3$ -ჰიბრიდიზაციას და მიღებული ორი ჰიბრიდული ორბიტალიდან ერთ-ერთის (რომელზეც გაუწყვილებელი

ელექტრონია) გადაფარვით ატომბირთვების შემაერთებელი წრფის გასწვრივ ატომთა შორის მყარდება ერთი ს-ბმა. ჰიბრიდიზაციის არსებობაზე მიუთითებს ექსპერიმენტულად განსაზღვრული ს ბმის ენერგიის მაღალი მნიშვნელობა (543.4 კჯ/მოლი) თეორიულად მოსალოდნელთან შედარებით. აზოტის თითოეულ ატომს რჩება ერთი ჰიბრიდული არაეკვივალენტური და ორი არაჰიბრიდული  $p_y$ - და  $p_z$ -ორბიტალი. აზოტის ატომების  $p_y$  და  $p_z$  ორბიტალების გვერდითი გადაფარვით ურთიერთმართობულ სიბრტყეში წარმოიქმნება ორი დამატებითი ბმა, რომელთაც  $\pi$ -ბმებს უწოდებენ (ნახაზი 5.22).




ნახაზი 5.22.  $\pi$ -ბმა

$\pi$ -ბმა ყოველთვის არაჰიბრიდული ელექტრონული ორბიტალების გადაფარვით მიიღება. დამაკავშირებელ ელექტრონულ ღრუბელს სიმეტრიის ღერძი არ გააჩნია, აქვს მხოლოდ სიმეტრიის სიბრტყე, რომელიც ატომთა პირთვებზე გადის.



ნახაზი 5.23. აზოტის მოლეკულის მოდელი

მაშასადამე, აზოტის მოლეკულაში ატომებს შორის ხორციელდება სამი ბმა: ერთი  $s_{p\cdot p}$  და ორი  $\pi_{p\cdot p}$  ბმა.



ნახაზი 5.24. ამიაკის მოლეკულის მოდელი

ამიაკის მოლეკულის წარმოქმნისას აზოტი წყალბადის სამ ატომთან ბმებს  $sp^3$  ჰიბრიდული ორბიტალებით ამყარებს. მეოთხე ჰიბრიდული ორბიტალი (5.24), თავისუფალი ელექტრონული წყვილით, ბმაში არ მონაწილეობს. ასეთ ორბიტალს არაეკვივალენტური ორბიტალი ენოდება (ნახაზი 5.24).

ამრიგად, ამიაკში, მეთანის მსგავსად, ვალენტური ორბიტალების  $sp^3$  - ჰიბრიდიზაცია ხორციელდება. მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ამიაკში ბმებს შორის კუთხე ტეტრაედრულ კუთხეზე ნაკლებია და  $107.3^\circ$ -ის ტოლია. მაშასადამე, ამიაკში აზოტის ჰიბრიდული ორბიტალები განლაგებულია დამახინჯებული ტეტრაედრის წვეროების მიმართულებით. არაეკვივალენტური ორბიტალი განსხვავებული ფორმისაა და კუთხეც, რომელსაც ბმის წარმოქმნელ ჰიბრიდულ ორბიტალებთან ქმნის, მეტია ჰიბრიდულ ორბიტალებს შორის კუთხესთან შედარებით. მოლეკულა პირამიდის ფორმისაა. ეს ფაქტი შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: ჰიბრიდიზაციაში 5 ორბიტალის ნილის გაზრდა იწვევს ბმებს შორის კუთხის გაზრდას.

ჰიბრიდიზაცია	$sp$	$sp^2$	$sp^3$	$p^3$ (არაჰიბრიდული)
კუთხე	$180^\circ$	$120^\circ$	$109^\circ 28'$	$90^\circ$


სამი არაჰიბრიდული  $p$ -ორბიტალი სივრცეში ორიენტირებულია ურთიერთმართობულად და მათ მიერ განხორციელებულ ბმებს შორის კუთხე  $90^\circ$ -ის ტოლია. იმის გამო, რომ ამიაკში კუთხე ტეტრაედრულზე ნაკლებია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში არ ხორციელდება ვალენტური ორბიტალების სრული  $sp^3$  ჰიბრიდიზაცია ( $sp^3$  ჰიბრიდიზაციის ხარისხი არ აღნევს 100%-ს),  $s$ -ორბიტალების ნილი ჰიბრიდიზაციაში რამდენადმე ნაკლებია, რაც, სავალენტო ტეტრაედრული კუთხის შემცირებას იწვევს.


ასეთ სტრუქტურას ადასტურებს ამიაკის ექსპერიმენტულად ნაპოვნი დიპოლური მომენტის მნიშვნელობა, რომელიც ტოლია  $4.8 \cdot 10^{-29}$  კ•მ.

თუ დავუშვებდით, რომ ამიაკის მოლეკულა  $p^3$  მდგომარეობაში მყოფი, ე.ი. არაჰიბრიდული ატომური ორბიტალების გადაფარვით მიიღება, მაშინ მისი დიპოლური მომენტი ნულის ტოლი უნდა იყოს (ტოლგვერდა სამკუთხედია).

აზოტის ქვეჯგუფის ელემენტების წყალბადნაერთებში ( $PH_3$ ,  $AsH_3$ ,  $SbH_3$ ) ატომური ნომრის ზრდასთან ერთად კუთხე ბმებს შორის თანდათან უახლოვდება  $90^\circ$ -ს, რაც ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბმები არაჰიბრიდული ორბიტალებით მყარდება.

უანგბადის ატომის გარე ენერგეტიკული დონის ელექტრონული კონფიგურაციაა:









ნახაზი 5.25. ნელის მოლეკულის მოდელი

ცალკე განვიხილოთ პოპულარული სტრუქტურული მომდევნობის კიდევ უფრო რთული, სპეციფიკური ტიპები. მესამე და მომდევნო პერიოდის ელემენტებში ჰიბრიდული ღრუბლების წარმოქმნაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ძ ორბიტალებსაც. ერთი s, სამი p და ერთი d ორბიტალების კომბინაციისას ადგილი აქვს  $sp^3d^2$  ჰიბრიდული ორბიტალების ორიენტაციას ტრიგონალური ბიპირამიდის წვეროებისაკენ (ნახ. 29დ).  $sp^3d^2$  ჰიბრიდიზაციის შემთხვევაში, ექვსი  $sp^3d^2$ -ჰიბრიდული ორბიტალები თანაბრძოლება აქტიური დროის წვეროებისაკენ (ნახ. 5.26ე); შვიდი ორბიტალის ორიენტაცია პენტაგონალური ბიპირამიდის წვეროებისაკენ (ნახ. 5.26ვ) შეესაბამება, მაგალითად, კომპლექსნაერთის მოლეკულის ცენტრალური ატომის სავალენტო ელექტრონების  $sp^3d^3$  ან ( $sp^3d^2f$ ) ჰიბრიდიზაციას.

დასასრულ, შევნიშნოთ, რომ ჰიბრიდული ორბიტალების (პო) შესაბამისი ტალღური ფუნქცია შედგება შესაბამისი (განსახილველი) ელექტრონების (პო) ტალღური ფუნქციისაგან, რომლებიც კოეფიციენტების გარკვეული მნიშვნელობით შედიან პო-ის ტალღური ფუნქციების ჯამურ გამოსახულებაში. მაგალითად, ნახშირბადის ატომის  $sp^3$  ჰიბრიდიზაციას (4 პო წარმოქმნას) შეესაბამება ტალღური ფუნქცია:

$$\varphi_{\text{ჰიბ.}} = a\varphi_s + b\varphi_{p_x} + c\varphi_{p_y} + d\varphi_{p_z} \quad (5.12)$$

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია  $sp^3d^2$  ჰიბრიდიზაცია, რომელშიც მონაწილეობს ერთი s, სამი p და ორი d ორბიტალი. ამ შემთხვევაში მიიღება აქტიური და ონის ( $SF_6$ ,  $[SiF_6]^{2-}$ ,  $[Fe(CN)_6]^{3-}$ ) ატომების ორბიტალი. ბევრი მოლეკულის და ონის ( $SF_6$ ,  $[SiF_6]^{2-}$ ,  $[Fe(CN)_6]^{3-}$ ) ატომების ორბიტალების  $sp^3d^2$ -ჰიბრიდიზაციით არის განპირობებული (ნახ. 5.26).



ნახაზი 5.26. ბმების სივრცითი განლაგება და მოლეკულათა კონფიგურაცია.  
ა – წრფივი; ბ – სამკუთხა; გ – ტეტრაედრული; დ – ტრიგონალურ-  
ბიპირამიდული; ე – ოქტაედრული; ვ – პენტაგონალურ-ბიპირამიდული

მოლეკულის გეომეტრიაზე არსებით გავლენას ახდენს ცენტრალუ-  
რი ატომის ბუნება და ჰიბრიდიზაციის ტიპი.

#### 5.1.4. დელოკალიზებული კოვალენტური ბმა


არსებობს ნაერთების საკმაოდ დიდი რიცხვი, რომელთა გეომეტრიული სტრუქტურა და თვისებები ორცენტრიანი, ლოკალიზებული კოვალენტური ბმის თეორიით ვერ აიხსნება. პირველ რიგში ასეთია ნახშირბადის ნაერთები მრავალჯერ განმეორებადი უჯერი ბმებით. არაორგანულ ნაერთთა შორის საკმაოდ ხშირად გვხვდება ბრტყელი სტრუქტურები დელოკალიზებული  $\pi$  ბმებით, როგორიცაა  $BF_3$ ,  $HNO_3$ , ნიტრატ- და კარბონატ-იონები,  $SO_3$  და ა.შ. ისინი ელექტრონთა დაბალი დელოკალიზაციის ხარისხის მქონე უბნებთან ერთად შეიცავენ უბნებს ელექტრონთა მაღალი დელოკალიზაციის ხარისხით.

განვიხილოთ  $HNO_3$ -ის მოლეკულის ელექტრონული სტრუქტურა. აზოტმჟავას აზოტი სამი ჰიბრიდული ( $sp^2$ ) ორბიტალით ერთ სიბრტყეში (სავალენტო კუთხე  $120^\circ$ ) უანგბადის სამ ატომთან წარმოქმნის სამ ს ბმას. სამიდან უანგბადის ერთ-ერთი ატომი მეორე ს ბმით წყალბადის ატომთან არის დაკავშირებული. ამ N-O ბმის სიგრძე ტოლია 0.141 ნმ-ის, რაც შეესაბამება ერთმაგ ბმას. აზოტის ატომი მეორე არაჰიბრიდული p-ორბიტალით უანგბადის დანარჩენი ორი ატომიდან ერთ-ერთს უნდა დაუკავშირდეს  $\pi$  ბმით. აქედან გამომდინარე, აზოტმჟავას მოლეკულის ელექტრონული აღნაგობა შეიძლება შემდეგი სქემით წარმოვიდგინოთ:




ამ სქემის ნაკლი  $\pi$  ბმის ლოკალიზება და აქედან გამომდინარე, N-O ბმების არაფოლფასოვნებაა, რაც ესპერიმენტს ეწინააღმდეგება. ორივე ბმის სიგრძე ერთნაირია და უდირის 0.121 ნმ-ს. ეს ადასტურებს  $\pi$  ბმის დელოკალიზაციას.  $\pi$  ბმა თანაბრად უნდა ეკუთვნოდეს უანგბადის ორივე ატომს, ის არის სამცენტრიანი და დელოკალიზებული.  $\pi$  ბმას, რომელიც აერთიანებს ორზე მეტ ატომს, ე.ი. არის მრავალცენტრიანი, დელოკალიზებული ენოდება.

დელოკალიზებული  $\pi$  ბმა არის ნიტრატ-იონშიც.  $\pi$  ბმის წარმომქმნელი ელექტრონული ლრუბელი თანაბრად არის განაწილებული ოთხ ატომს შორის. ამ შემთხვევაში  $\pi$  ბმა ოთხცენტრიანი და დელოკალიზებულია. ნიტრატ-იონში  $\pi$  ბმის დელოკალიზება სქემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ:




ანალოგიური მსჯელობით შეიძლება იგივე დასკვნამდე მივიდეთ კარბონატ-იონის შემთხვევაშიც. ნახშირბადის ატომი სამი  $sp^2$  ჰიბრიდული ორბიტალით ერთ სიბრტყეში (კუთხე  $120^\circ$ ) წარმოქმნის სამ ს ბმას

ჟანგბადის სამ ატომთან. ამ ჟანგბადიდან ერთ-ერთის კოვალენტურად გაჯერება მიიღწევა ა-ბმის ნარმოქმნით. დანარჩენი ორის კი – ელექტრონის მიერთებით. ვალენტური ბმის თეორიით ასეთი იონის ალნაგობა გამოისახება სქემებით:



ამ სქემებიდან გამომდინარე C-O ბმები უნდა იყოს არატოლფასოვანი, რაც ექსპერიმენტს ეწინააღმდეგება. ამ ფორმულის ნაკლიც კ ბმის ლოკალიზებაა. კარბონატ-იონში  $\pi$  ბმა დელოკალიზებულია, იგი თანაბრად ეკუთვნის ჟანგბადის სამივე ატომს, რაც სქემატურად ასე გამოისახება:



დელოკალიზებული ბმების ყველაზე მკვეთრი დამახასიათებელი თვისებები ვლინდება ელექტრონთა სამგანზომილებიანი დელოკალიზაციის დროს, რომელსაც ადგილი აქვს მეტალებში.

### 5.1.5 კოვალენტური ბმის თვისებები

კოვალენტური ბმა, ნებისმიერი ბმის ანალოგიურად, ხასიათდება ბმის ენერგიითა და ბმის სიგრძით. გარდა ამისა, როგორც ეს კოვალენტური ბმის ნარმოქმნის მექანიზმიდან და მისი ზოგადი დახასიათებიდან გამომდინარეობს, მას აქვს გეზურობა, ახასიათებს გაჯერებულობა, პოლარობა და პოლარიზებადობა. ყველა ეს მახასიათებელი კოვალენტური ბმის თვისებას გამოხატავს.

კოვალენტური ბმის ენერგია, იონური ბმის ენერგიის ანალოგიურად (იხ. ქვემოთ) მცირდება ელემენტის ატომური ნომრის ზრდისას (პერიოდული სისტემის ქვეჯგუფებში ეს კარგად ჩანს ჰალოგენების მაგალითზე):

**ბმა:** H-F    H-Cl    H-Br    H-I

**ბმის ენერგია, კჯ/მოლი:** 564.3    430.5    364.0    297.0

კოვალენტური ბმის ენერგია დამოკიდებულია ბმის ჯერადობაზეც. ამასთან, ს-ბმის ენერგია აღემატება  $\pi$ -ბმის ენერგიას.

**ბმა:** C-C    C=C    C≡C

**ბმის ენერგია, კჯ/მოლი:** 346    602    835

კოვალენტური ბმის სიგრძე მოლეკულაში (ან კრისტალში) ატომთა ბირთვების ცენტრებს შორის მახნილის ტოლია. ბმის სიგრძე (მაგალითად, ქვეჯ-გუფებში) მატულობს ატომური ნომრის ზრდასთან ერთად და მცირდება ბმის ჯერადობის გაზრდით:

<b>ბმა:</b>	H–F	H–Cl	H–Br	H–I	C–C	C=C	C≡C
<b>ბმის სიგრძე, კმ:</b>	91,7	127,4	140,8	160,9	154	134	120

კოვალენტური ბმა ყოველთვის მყარდება ამ-ის მაქსიმალური გადაფარვის მიმართულებით და ამიტომ მას ახასიათებს გეზურობა. კოვალენტური ბმის ეს თვისება განაპირობებს მოლეკულის სივრცით აღნაგობას, მის გეომეტრიულ ფორმას.

კოვალენტური ბმის გაჯერებულობაში (ეს თვისება სხვა ტიპის ბმებს არ ახასიათებს) იგულისხმება ატომის მიერ „სავალენტო“ ორბიტალების სრული გამოყენება, რის გამოც იგი დაამატებით ბმებს ვეღარ ამყარებს.


**როგორც უკვე ალვნიშნეთ, კოვალენტურ ბმას ახასიათებს პოლარობა და პოლარიზებადობა.** არაპოლარულისგან განსხვავებით, პოლარული კოვალენტური ბმის შემთხვევაში, საზიარო ელექტრონული წყვილებით წარმოქმნილი ელექტრონული ღრუბლის სიმკვრივე უფრო ელექტროუარყოფითი ელემენტის ატომისკენ არის წანაცვლებული. შედეგად, დადებითი და უარყოფითი მუხტების სიმძიმის ცენტრების სივრცითი დაცილება ხდება. მოლეკულაში განიხილება ელექტრული მუხტის „სიმძიმის“ ორი ცენტრი: დადებითი – ბირთვის სახით და უარყოფითი – ელექტრონების სახით. თუ ეს ორი ცენტრი ერთმანეთს ემთხვევა, მოლეკულა არაპოლარულია, თუ არ ემთხვევა – პოლარული. არაპოლარულ მოლეკულას პირობითად გამოსახავებ ნიშნით  $\pm$ , ხოლო პოლარულს - + -. ე.ი. პოლარული მოლეკულა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ორი ერთ-მანეთისგან განსაზღვრული მანძილით დაშორებული, აბსალუტური მნიშვნელობით ტოლი, მაგრამ საპირისპირო ნიშნის მქონე მუხტისგან შემდგარი სისტემა. ასეთ სისტემებს ელექტრული დიპოლები ეწოდება. მართალია, დიპოლის ჯამური მუხტი ნულის ტოლია, მაგრამ მის გარშემო წარმოქმნება ელექტრული ველი, რომლის დაძაბულობა მოლეკულის დიპოლური მომენტის პროპორციულია.

დიპოლური მომენტი ( $\mu$ ) ვექტორული სიდიდეა, რომელიც გამოითვლება ფორმულით  $\mu = \delta \cdot l$ , სადაც  $\delta$  ეფექტური მუხტია,  $l$  – კი დიპოლის სიგრძე. ვექტორი მიმართულია უარყოფითი მუხტის ცენტრიდან დადებითი მუხტის ცენტრისკენ. დიპოლური მომენტის განზომილებაა კლ. $\cdot$ მ., ზოგჯერ გამოიყენება არასისტემური ერთეული დებაი (D),  $1D=3.33 \cdot 10^{-30}$  კლ. $\cdot$ მ. ფორმულიდან გამომდინარე, მოლეკულა მით უფრო პოლარულია, რაც უფრო მაღალია ატომთა ეფექტური მუხტები ( $\delta$ ) და რაც უფრო მეტია დიპოლის სიგრძე  $l$ . ამიტომ მსგავსი აგებულების მქონე მოლეკულების დიპოლური მომენტები შემადგენელ ატომთა ელექტროუარყოფითობის სხვაობის ზრდის მიმართულებით იზრდება. მაგალითად, HCl, HBr და HI-ის მოლეკულების დიპოლური მომენტები შესაბამისად არის 0,347 კ.მ, 0,263 კ.მ და 0,127 კ.მ, რაც დაკავშირებულია აღნიშნული მიმართულებით ელექტროუარყოფითობის შემცირებასთან:



ორატომიანი მოლეკულები პოლარული ბმით ყოველთვის პოლარულია. მრავალატომიანი მოლეკულები პოლარული ბმით, შეიძლება იყოს როგორც პოლარული, ისე არაპოლარული. ეს დამოკიდებულია მათ სივრცით აღნაგობაზე. მოლეკულა-დიპოლის ელექტრული მომენტი ცალ-

კეული ბმების ელექტრული მომენტების ვექტორული ჯამის ტოლია. შეჯამება ძალთა პარალელოგრამის წესით ხდება (ნახ. 5.29).




ნახაზი 5.29. ძალთა პარალელოგრამის წესით ელექტრული მომენტების ვექტორული ჯამის განსაზღვრის სქემა

შეჯამებული დიპოლური მომენტი გამოითვლება ფორმულით:

$$\mu_f = \mu_1^2 + \mu_2^2 + 2\mu_1\mu_2\cos\theta \quad (5.13)$$

ამავე მიზეზის გამო, ჰალოგენების იონთა პოლარიზებადობის უნარი იზრდება შემდეგი თანმიმდევრობით:



დადებით იონებად ატომების გარდაქმნა ყოველთვის დაკავშირებულია მათი ზომების შემცირებასთან, ამასთან კატიონის დადებითი მუხტი აძნელებს გარე ელექტრონული ღრუბლების დეფორმაციას. უარყოფით იონებს ყოველთვის მეტი რადიუსი აქვთ შესაბამის ნეიტრალურ ატომებთან შედარებით. გარდა ამისა, უარყოფითი მუხტი იწვევს ელექტრონების განზიდვას და აქედან გამომდინარე, ბირთვთან მათი კავშირის შესუსტებას. ამ მიზეზების გამო, კატიონებთან შედარებით ანიონების პოლარიზებადობის უნარი მნიშვნელოვნად მაღალია.

იონთა მაპოლარიზებელი უნარი, ე.ი. მათი უნარი, მოახდინონ სხვა იონების მიმართ მადეფორმირებელი მოქმედება, დამოკიდებულია ასევე მათ მუხტზე და ზომებზე. რაც უფრო დიდია იონის მუხტი, მით ძლიერია მის მიერ შექმნილი ელექტრული ველი. აქედან გამომდინარე, უფრო ძლიერი მაპოლარიზებელი მოქმედება ახასიათებს დიდმუხტიან იონებს. ერთნაირი მუხტის შემთხვევაში კი მაპოლარიზებელი მოქმედება ძლიერდება იონების ზომის შემცირებასთან ერთად. მაგალითად, ტუტე მეტალთა კატიონების მაპოლარიზებელი მოქმედება მცირდება შემდეგი თანმიმდევრობით:




ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ანიონების რადიუსი საერთოდ აღემატება კატიონების რადიუსს, რის გამოც ანიონები იჩენენ კატიონებთან შედარებით ნაკლებ მაპოლარიზებელ მოქმედებას, ე.ი. ანიონები კატიონებთან შედარებით ხასიათდებიან ძლიერი პოლარიზებადობით და ნაკლები მაპოლარიზებელი მოქმედებით.


იონთა პოლარიზაცია დიდ გავლენას ახდენს მათი შემცველი ნაერთების თვისებებზე. განსაკუთრებულად მაღალი მაპოლარიზებელი მოქმედებით გამოირჩევა წყალბად-იონი ( $H^+$ ), რომელსაც აქვს ძალიან მცირე ზომა, ამასთან, საერთოდ არ გააჩნია ელექტრონი, რაც მას ანიონებთან მიახლოების საშუალებას აძლევს, რის გამოც შეუძლია გამოიწ-

ვიოს ძლიერი დეფორმაცია. მაგალითად,  $\text{Cl}^-$ -იონის რადიუსი 181 პმ-ია, ხოლო ქლორისა და ნიკალბადის ბირთვებს შორის მანძილი  $\text{HCl}$ -ის მოლეკულაში არის 127 პმ. მუავები ბევრი თვისებით ძლიერ განსხვავდება მათ მიერ წარმოქმნილი მარილების თვისებებისაგან, რისი ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ წყალბად-იონის ძლიერი მაპოლარიზებელი მოქმედება.

პოლარიზაციის შედეგად შეიძლება მოხდეს კოვალენტური ბმის სრული გახლეჩა მაკავშირებელი ელექტრონული წყვილის ერთ-ერთ ატომზე გადასვლით, რასაც მოყვება დადებითი და უარყოფითი იონების წარმოქმნა. კოვალენტური ბმის ასიმეტრიული გახლეჩისას საპირისპირო იონების წარმოქმნით ხდება ჰეტეროლიტური გახლეჩა:



როცა კოვალენტური ბმის გახლეჩისას ირღვევა მაკავშირებელი საზიარო წყვილი, წარმოიქმნება არამდგრადი ნანილაკები – რადიკალები, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს



დიპოლები შეიძლება იყოს მყისიერი და ინდუცირებული. მყისიერია მაგალითად, დიპოლი, რომელიც ალიძვრება ქლორის მოლეკულაში ( $\text{Cl:Cl}$ ) ქლორის რომელიმე ატომიდან მეორისკენ ეფექტური ელექტრონული მუხ-ტის ცვალებადი მყისიერი წანაცვლებით:  $\text{Cl}^{+0} \rightarrow \text{Cl}^{-0}$  და პირიქით,  $\text{Cl}^{-0} \rightarrow \text{Cl}^{+0}$ . ელექტრონების საშუალო განაწილება ნულოვან დიპოლურ მომენტს შეესაბამება.

პოლარიზებადობა არის კოვალენტური ბმის უნარი, გარე ველის ზემოქმედებით განიცადოს პოლარიზაცია. ამ დროს ადგილი აქვს საზიარო ელექტრონული ღრუბლის, ან უფრო ზუსტად, მოლეკულური ორბიტალის დეფორმაციას. გარე ველის ზემოქმედებით ალიძვრება დიპოლი, რომელსაც ინდუცირებული ენოდება. ველის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, ინდუცირებული დიპოლური მომენტი ნულის ტოლი ხდება. მაგალითად, ეთილენის მოლეკულის პოლარიზაცია  $\text{Br}^+$ -ის ველში ( $\text{CH}_2^{+0}=\text{CH}_2^{-0}$ ). ასეთ შემთხვევაში ვლინდება ბმის პოლარიზებადობის უნარი. ამ დროს ადგილი აქვს დადებითი და უარყოფით მუხტების „სიმძიმის“ ცენტრების დაცილებას და არაპოლარული  $\text{C}=\text{C}$  ბმა პოლარული ხდება, ხოლო რომელიმე პოლარული ბმა, მაგალითად,  $\text{C}-\text{Hg}$  კიდევ უფრო პოლარული ხდება, ე.ი. იზრდება მისი პოლარიზაციის ხარისხი.


პოლარიზებადობა დამოკიდებულია ბმის წარმომქმნელი ატომების ზომებზე. რაც უფრო დიდია ბმული ატომის რადიუსი, ანუ მცირეა ატომ-ბირთვის გარე ელექტრონული შრის ელექტრონთან ურთიერთქმედების ენერგია, მით უფრო დიდია მისი პოლარიზაციის უნარი. ამით აიხსნება, რომ C-I ბმის პოლარიზაციის უნარი საგრძნობლად აღემატება C-Cl ბმის პოლარიზაციის უნარს.

ცალკე აღნიშვნის ლირსია, რომ პოლარობა და პოლარიზებადობა არსებით როლს ასრულებს ქიმიურ ნაერთთა რეაქციისუნარიანობის, აგ-რეთვე მოლეკულათმორისის ურთიერთქმედების შეფასებისას.

შევნიშნოთ, რომ არ არსებობს პრინციპული განსხვავება პოლარულ-კოვალენტურ ბმასა და იონურ ბმას შორის. (იხ. ქვემოთ „იონური

ბმა“). ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლარულ-კოვალენტური ბმის ზღვრული პოლარიზაციის შედეგი. ასე, მაგალითად, ქლორის მოლეკულაში ( $\text{Cl:Cl}$ ) დამყარებული ბმა არაპოლარულ-კოვალენტურია,  $\text{HCl}$ -ში – პოლარულკოვალენტური (ბმის იონურობის ხარისხი 17 %-ია),  $\text{NaCl-Si}$  იონური (ბმის იონურობის ხარისხი 87 %-ა).

ხშირად ნაერთებში, რომლებიც სამი და მეტი ელემენტის ატომები-საგან შედგება, ერთდროულად ბმის სხვადასხვა სახეებია. მაგალითად, ნატრიუმის სულფატში  $\text{Na}_2\text{SO}_4$ ,  $\text{Na-O}$  იონური ბმაა, ხოლო სულფატ-იონში – გოგირდის და ჟანგბადის ატომებს შორის – კოვალენტური, ამიტომ ნატრიუმის სულფატის მოლეკულა წყალხსნარებში ნატრიუმის კატიონად და სულფატ-იონად დისოცირდება:



ზოგიერთ ქიმიურ ნაერთში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ე.ნ. კონტრპოლარიზაციის გამოვლენას (იხ. ქვემოთ), მაგალითად,  $\text{CaCO}_3$ , რის გამო, კალციუმის კარბონატს უნარი აქვს გახურებით დაიშალოს  $\text{CaO}$ -დ და  $\text{CO}_2$ -ად:



მაშინ როდესაც ნატრიუმის და კალციუმის კარბონატები ამ უნარს მოკლებულია.

### 5.1.6 კონტრპოლარიზაციის ეფექტი

ატომების, იონებისა და მოლეკულების ელექტრონული ღრუბლების დეფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს, რომელსაც მათი ურთიერთქმედებისას აქვს ადგილი, ნარმოადგენს ე.ნ. კონტრპოლარიზაციის ეფექტი. განვიხილოთ ალნიმული ეფექტის არსი და მისი გავლენა ნივთიერებათა თერმულ მდგრადობაზე მეტალთა კარბონატების მაგალითზე. კარბონატ-იონი იზოლირებულ მდგომარეობაში (როდესაც არ განიცდის რამე ველის ზემოქმედებას) ძალიან გამარტივებული სახით შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვიდგინოთ:




ნახაზი 5.29

ნახაზზე ჟანგბადის ატომები წარმოდგენილია დიპოლების სახით, რომელთა უარყოფითი პოლუსები ნახშირბადის ატომებისკენ არის მიმართული. კარბონატ-იონი კოვალენტური იონია და ელექტრონული სიმკვრივის მაქსიმუმი თავმოყრილია ნახშირბადისა და ჟანგბადის ატომებს შორის. წარმოვიდგინოთ, რომ იზოლირებულ კარბონატ-იონს მიუ-

ახლოვდა საკმაოდ მაღალი მუხტის მქონე კატიონი  $M^{n+}$ , მაშინ ჟანგბადის იმ ატომის პოლარიზაცია, რომელიც აღმოჩნდება დადებითი მუხტის მოქმედების არეში, შეიცვლება – მოხდება ელექტრონული სიმკვრივის გადანაცვლება კატიონისკენ, რის შედეგადაც ჟანგბადის ამ ატომის პოლარიზაცია აღმოჩნდება განსხვავებული, ვიდრე კარბონატიონების იმ ჟანგბადებისა, რომლებიც არ განიცდიან დადებითი მუხტის გავლენას. ჟანგბად-ატომის უარყოფითი პოლუსი უკვე მიმართული აღმოჩნდება გარე კატიონის მხარეს, ნახშირბადისკენ კი დადებითი პოლუსი ელექტრონული მინიმუმით. ე.ი. მოხდა პოლუსების შეცვლა, რასაც კონტრპოლარიზაცია ეწოდება. ამას შედეგად მოყვება ნახშირბადსა და ჟანგბადს შორის ელექტრონული სიმკვრივის შემცირება და შესაბამისად, ბმის შესუსტება, ამიტომ კონტრპოლარიზებული კარბონატი თერმულად ნაკლებად მდგრადია. რაც უფრო მეტია კატიონის მუხტი და ნაკლებია რადიუსი, მით უფრო დაბალ ტემპერატურაზე დაიშლება კარბონატი.

ტუტემინათა მეტალების კარბონატები, ტუტე მეტალთა კარბონატებთან შედარებით გაცილებით ადვილად იშლებიან, რადგან ტუტე მინათა მეტალები წარმოქმნიან მცირე რადიუსის ორმუხსტიან კატიონებს. ეს მოვლენა სხვა ოქსომჟავების მარილებისათვისაც არის დამახასიათებელი: ნიტრატები, სულფატები, პერქლორატები და ა.შ. თუმცა ყოველთვის კონტრპოლარიზაციასა და ნივთიერების თერმულ მდგრადობას შორის არ არის მარტივი დამოკიდებულება. ამას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როცა ნივთიერების დაშლის პროცესებზე ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. მაგალითად, ცეზიუმის კარბონატი, ტუტე მეტალების კარბონატებს შორის ყველაზე მდგრადი უნდა იყოს, რადგან Cs-ის ერთმუხსტიანი კატიონი დიდი რადიუსის გამო ნაკლები მაპოლარიზებელი მოქმედებით ხასიათდება. **თუმცა, ექსპერიმენტული მონაცემებიდან გამომდინარე, მისი დაშლის ტემპერატურა ლითიუმის კარბონატის დაშლის ტემპერატურაზეც კი უფრო დაბალია.**


ცხადია, კონტრპოლარიზაციის ეფექტი არ არის ოქსოანიონების დაშლის პროცესებზე მოქმედი ერთადერთი ფაქტორი. თუმცა შეიძლება ვთქვათ, რომ იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და თუ არ იარსებებს ასეთი თანამდევი მოვლენები, ამ კანონზომიერებაზე დაყრდნობით შეიძლება სწორად იქნას შეფასებული ერთი ტიპის აღნაგობის მქონე ნაერთების ამა თუ იმ ფიზიკური და ქიმიური თვისებების ცვლილების კანონზომიერება.




ნახაზი 5.30. კონტრპოლარიზებული კარბონატ-იონი

### 5.1.7 კოვალენტური ბმის დონორულ-აქცეპტორული მექანიზმი

ამონიუმის იონის წარმოქმნა ამიაკის მოლეკულისა და წყალბადის იონისაგან:




იგივე შეიძლება წარმოვადგინოთ ელექტრონული წყვილებისა და ორბიტალების საშუალებით:



წყალბადის იონის თავისუფალი ორბიტალისა (1s) და აზოტის შევსებული ორბიტალის (2s) გადაფარვით წარმოიქმნება მოლეკულური ორბიტალი, რომელზეც, ისევე როგორც სამ დანარჩენ მოლეკულურ ორბიტალზე, იმყოფება ორი ელექტრონი. მიღებულ ნაწილაკში ოთხივე ბმა ტოლფასოვანია (სიგრძისა და ენერგიის მიხედვით). წყალბადის იონის დადებითი მუხტი სიმეტრიულად არის გადანაწილებული წარმოქმნილ იონზე, ნაწილაკზე, რომელსაც ამონიუმის კატიონი ენოდება.


ატომს, მოლეკულას ან იონს, რომელიც კოვალენტური ბმის წარმოქმნისათვის გაიღებს ელექტრონულ წყვილს, ენოდება დონორი. ატომს, მოლეკულას ან იონს, რომელიც კოვალენტური ბმის წარმოქმნისათვის გაიღებს თავისუფალ ორბიტალს (ანუ შეიძენს ელექტრონებს), ენოდება აქცეპტორი. ასეთი მექანიზმით დამყარებულ ბმას კი დონორულ-აქცეპტორული (კოორდინაციული) ბმა. ეს უკანასკნელი აღინიშნება ისრით, რომელიც მიმართულია დონორიდან აქცეპტორისაკენ (ამ შემთხვევაში, აზოტიდან წყალბადისაკენ). კოვალენტური ბმის წარმოქმნის ასეთ მექანიზმს ენოდება დონორულ-აქცეპტორული.

განხილულ მაგალითში დონორს წარმოადგენს ამიაკის მოლეკულა (კონკრეტულად, აზოტის ატომი), ხოლო აქცეპტორს წყალბადის იონი. საზიარო ელექტრონული წყვილების კოვალენტური ბმის აღმნიშვნელი ხაზებით შეცვლისას მივიღებთ:



ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ იონში შეუძლებელია დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით წარმოქმნილი ბმის გარჩევა. ამ გზით წარმოქმნილი ბმა არაფრით არ განსხვავდება დანარჩენი კოვალენტური ბმებისაგან. განსხვავება მხოლოდ წარმოქმნის მექანიზმშია. ამრიგად, ამონიუმის იონში ითხივე კოვალენტური ბმა ტოლფასია.

ქლორის მოლეკულაში ბმის რეალური ენერგია ბევრად აღემატება შესაბამისი ერთმაგი ბმის თეორიულად გათვლილ ენერგიას, რაც მიანიშნებს დამატებითი ბმების წარმოქმნაზე. ეს კი შესაძლებელია ქლორის ორივე ატომის გაუზიარებელი ელექტრონული წყვილებისა და თავისუფალი ორბიტალებისაგან დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით ორი კოვალენტური ბმის აღძვრით.




თითოეული ატომი ერთდროულად წარმოადგენს დონორსა და აქცეპტორს:



ე.ი. ქლორის მოლეკულაში ფაქტურად სამმაგი ბმაა, რაც ინვევს შესაბამისი ბმის სტაბილიზაციას.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ნახშირბადის (II) ოქსიდისათვის მო მეთოდი იძლევა ბმის რიგის ისეთ მნიშვნელობას (3), რომელიც არ მიიღება ვალენტური ბმების ჩვეულებრივი მექანიზმით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უანგბადის ატომში გაუზიარებელი ელექტრონული წყვილისა და ნახშირბადის ატომში თავისუფალი ორბიტალის არსებობას, გასაგები გახდება დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით მესამე ბმის აღძვრა:



ამ მოლეკულაში დონორს წარმოადგენს უანგბადის ატომი, ხოლო აქცეპტორს – ნახშირბადის ატომი:




## 5.2 იონური ბმა

### 5.2.1 იონური ბმის წარმოქმნის მექანიზმი და ენერგია

ისევე როგორც კოვალენტური ბმის შემთხვევაში, იონური ბმის თეორიას საფუძვლად უდევს პოსტულატი რვაელექტრონიანი შრის  $nS^2np^6$  (ოქტეტის) განსაკუთრებული მდგრადობის შესახებ. ასეთი სტრუქტურა აქვთ კეთილშობილ აირებს ბოლო შრეზე. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი პერიოდის ელემენტი He, რომლისთვისაც მდგრადია  $1s^2$  სტრუქტურა.

იონური ბმა ხორციელდება საპირისპიროდ დამუხტული იონების ელექტროსტატიკური მიზიდვით.

იონური ბმის თეორია შემუშავებულ იქნა მაქს ბორნის მიერ. იონური ბმა აღიძვრება იმ ელემენტებს შორის, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ელექტროუარყოფითობის მნიშვნელობებით. ასეთებია ტუტე და ტუტემინათა მეტალები, ერთის მხრივ, და ჰალკოგენები და ჰალოგენები, მეორის მხრივ. განვიხილოთ აირად მდგომარეობაში მყოფი ნატრიუმისა ( $eNa = 0.9$ ;  $I = -5.14$  ევ) და ფთორის ( $\chi_F = 4.0$ ;  $E_F = 3.45$  ევ) ატომებისაგან ნატრიუმის ფტორიდის მოლეკულის ნარმოქმნის პროცესი:



$f_{\text{გა}}$ -ს ენერგეტიკური ბმის ენერგია. ეს არის ენერგია, რომელიც გამოიყოფა აირად მდგომარეობაში მყოფი ატომებისაგან ერთი მოლი ნივთიერების ნარმოქმნისას.

ნატრიუმის ( $Z = 11$ ) ელექტრონული ფორმულა  $1s^2 2s^2 2p^6 3s^1$ , ხოლო ფთორისა ( $Z = 9$ )  $1s^2 2s^2 2p^5$ . ნატრიუმია ელექტრონული ოქტეტის შესაქმნელად ან უნდა შეიძნოს შვიდი, ან კიდევ გასცეს ერთი ელექტრონი. მეორე შემთხვევაში მას მეორე შრეზე ექნება კეთილშობილი აირის ნეონის ელექტრონული სტრუქტურა. ფთორმა ოქტეტის შესაქმნელად ან უნდა შეიძნოს ერთი, ან კიდევ გასცეს შვიდი ელექტრონი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის მიიღებს ჰელიუმის ელექტრონულ სტრუქტურას. ენერგეტიკულად ნატრიუმისათვის ხელსაყრელია მეორე ვარიანტი, ხოლო ფთორისათვის პირველი:



ნარმოქმნილი დადებითად და უარყოფითად დამუხტული იონებისა-გან ელექტროსტატიკური მიზიდულობის ძალით მიიღება ნატრიუმის ფთორიდის მოლეკულა:



საპირისპიროდ დამუხტულ იონებს შორის ურთიერთმოქმედების სრული ენერგია ნარმოადგენს მიზიდვისა  $U_{\theta\text{იზ}}$ . და განზიდვის  $U_{\text{გან}}$ . ენერგიების ჯამს:

$$U_{\text{სრ}} = U_{\theta\text{იზ}} + U_{\text{გან}}. \quad (5.18).$$

უსასრულოდ დიდი მანძილიდან თ მანძილზე იონების მიახლოებისას მიზიდულობის ენერგია უდრის:

$$U_{\theta\text{იზ}} = -\frac{ke^2}{r} \quad (5.19).$$

ძალიან მცირე მანძილზე ელექტრონული გარსების ურთიერთ-მოქმედების შედეგად ვლინდება განზიდვის ენერგია. 1918 წელს ბორნმა და ალფრედ ლანდემ აჩვენეს, რომ პირველი მიახლოებით განზიდვის ენერგია ტოლია:


$$U_{\text{გან}} = \frac{B}{r^n}, \quad (5.20)$$

სადაც  $B$  ბორნის განზიდვის კოეფიციენტია,  $n$  არის ხარისხის მაჩვენებელი, რომელიც ლებულობს მნიშვნელობებს 5, 7, 9, 10 და 12.

В სიდიდე გამოირიცხება  $r_0$  წონასწორულ მანძილზე მიზიდვისა და განზიდვის ძალების ტოლობის პირობით და (5.20) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$U_{\text{გან.}} = \frac{e^2}{r_0 n} \quad (5.21).$$

ენერგია  $r_0$  წონასწორულ მანძილზე მინიმალურია. ენერგიების ცვლილება იონებს შორის მანძილზე დამოკიდებულებით ნაჩვენებია ნახ. 5.31.




ნახაზი 5.31 პოტენციალური ენერგიის მრუდები იონური მოლეკულისათვის

იონური ბმის ნარმოქმნის ზემოთ აღნერილი მექანიზმის სისწორეში დასარწმუნებლად გამოვითვალოთ ბმის ენერგია და შევადაროთ ის ექსპერიმენტით განსაზღვრულს. (5.14)-ში გავითვალისწინოთ შესაბამისი ენერგიები. მაშინ მივიღებთ:



(5.22-5.24) განტოლებების შეკრებით მივიღებთ:



თუ შევადარებთ ერთმანეთს (1) და (12) განტოლებებს, დავასკვნით, რომ:

$$f_{\text{გა}} = -I_{\text{Na}} + E_F + U_{\text{ზე}}. \quad (U_{\text{ზე}} - \text{მესრის ნარმოქმნის ენერგია}) \quad (5.26).$$

ამასთან:

$$U_{\text{ზე}} = -U_0 \quad (\text{კრასნოვი}), \quad (5.27)$$

სადაც  $U_0$  არის საპირისპიროდ დამუხტულ იონებს შორის ურთიერთქმედების ენერგია  $r_0$  წონასწორულ მანძილზე. (5.24) და (5.25) ტოლობების გათვალისწინებით (5.26) მიიღებს სახეს:

$$f_{\text{გა}} = -I_{\text{Na}} + E_F - U_0 = -I_{\text{Na}} + E_F - U_{\text{ზო}} - U_{\text{გან.}}. \quad (5.28).$$

$$r_0 = 1.93 \cdot 10^{-10} \text{ მ} \quad \text{მანძილისათვის} \quad U_{\text{ზო}} = -7.5 \text{ ევ}$$

ბორნის მიერ ნაჩვენები იყო, რომ პირველი მიახლოებით  $U_{\text{გან.}} = -0.1$   $U_{\text{ზო}}, \text{ ე.ი.}$   $U_{\text{გან.}} = 0.75 \text{ ევ.}$  (5.28) ტოლობაში შემავალი სიდიდეების მნიშვნელობების შეტანით მივიღებთ:

$$f_{\text{გა}} = -5.14 \text{ ევ} + 3.45 \text{ ევ} + 7.5 \text{ ევ} - 0.75 \text{ ევ} = +5.06 \text{ ევ.}$$

ექსპერიმენტით მიღებული მნიშვნელობა ტოლია  $+4.98$  ევ-ისა. როგორც ვხედავთ, დამთხვევა მაღალი რიგისაა, რაც ადასტურებს იონური ბმის ალძვრის ბორნის თეორიის ჭეშმარიტებას.

ამრიგად, იონური ბმა ეწოდება საპირისპიროდ დამუხტულ იონებს შორის ელექტროსტატიკური მიზიდულობის ძალებით დამყარებულ ბმას.

### 5.2.2 იონური კრისტალური სტრუქტურის სრული ენერგია

5.19, 5.20 და 5.21 ფორმულების შეპირისპირებით სისტემის სრული ენერგიისათვის ვდებულობთ:  $U_{\text{ს.}} = U_{\text{გან.}} + U_{\text{გან.}} = Z_1 Z_2 e^2 / r_{ij} + B / r_0^n$  (5.29).

ერთნაირმუხტიანი იონებისათვის  $Z_1 = Z_2 = 1$ . თუ გავითვალისწინებთ, რომ  $r_0$  წონასწორულ მანძილზე  $U_{\text{ს.}}$  მინიმალურია, შეიძლება დაიწეროს:

$$\left( \frac{\partial U_{\text{ს.}}}{\partial r} \right)_{r=r_0} = \frac{e^2}{r_0^2} - \frac{nB}{r_0^{n+1}} = 0 \quad (5.28)$$

ბორნის მიერ დადგენილ იქნა, რომ:

$$B = \frac{e^2 r_0^{n-1}}{n} \quad (5.29)$$

B-ს მნიშვნელობის ჩასმით (5.29)-ში მიიღება:

$$U_{\text{ს.}} = -\frac{e^2}{r_0} + \frac{e^2 r_0^{n-1}}{n r_0^n} = -\frac{e^2}{r_0} + \frac{e^2}{n r_0} = -\frac{e^2}{r_0} \left( 1 - \frac{1}{n} \right) \quad (5.30)$$

(5.30) გამოსახულების გამრავლებით იონების მთელ რიცხვზე და იმ შესაკრებების გათვალისწინებით, რომლებიც აღნერენ უფრო მაღალი რიგის მიზიდვა-განზიდვას, მიიღება მთელი იონური კრისტალის ენერგია (იხ. თეორიული არაორგანული ქიმიის სახელმძღვანელოები).

NaCl-ისათვის:

$$U = \frac{NM_{\text{NaCl}} Z^2 e^2}{4\pi\epsilon_0 r_0} \left( 1 - \frac{1}{n} \right)$$

$$( \epsilon_0 = 8,854 \times 10^{-12} \text{ C}^2 \text{ m}^{-1} \text{ J}^{-1} )$$

გამოთვლებისათვის მოსახურებელია განტოლება (ფორმულა):

$$U = -1,389 \cdot \frac{M_{\text{NaCl}}}{r_0} \left( 1 - \frac{1}{n} \right) \quad (5.31)$$

### 5.2.3 იონური ბმის თვისებები

კოვალენტური ბმისგან განსხვავებით იონურ ბმას არა აქვს **გეზურობა**. ეს იმით აიხსნება, რომ იონის ელექტრულ ველს აქვს სფერული სიმეტრია, ე.ი. მისი მოქმედება ნებისმიერი მიმართულებით ერთნაირი კანონზომიერებით ვლინდება და მანძილის გაზრდით მცირდება. იონებს შორის ურთიერთქმედება ხორციელდება მიმართულებისაგან დამოუკიდებლად.

როგორც ცნობილია, ორი აბსოლუტურად ტოლი და განსხვავებული მუხტის მქონე იონისაგან შედგენილი სისტემა გარემომცველ სივრცეში ქმნის ელექტრულ ველს. ეს ნიშნავს, რომ ერთმანეთთან მიზიდული ორი სხვადასხვა ნიშნიანი მუხტის იონი, ინარჩუნებს სხვა იონებთან ელექტროსტატიკური ურთიერთქმედების უნარს, ე.ი. იონურ ბმას არ ახასიათებს **გაჯერებულობა**, რაც კოვალენტური ბმის თვისებას წარმოადგენს. ამიტომ მოცემულ იონს შეუძლია შეუკავშირდეს საპირისპიროდ დამუხტული იონების მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვს (კოორდინაციული რიცხვი), რომელიც დამოკიდებულია იონების ფარდობით ზომებსა და ბუნებაზე.

იონების **გეზურობის და გაჯერებულობის** არქონით არის განპირობებული სნარებში იონური ბმის შემცველი მოლეკულების ასაციაციის უნარი (**მაღალ ტემპერატურაზე აირად მდგომარეობაში** იონური ნაერთები ამ უნარს მოკლებულია).

მყარ მდგომარეობაში ყველა იონურ ნაერთს აქვს არა მოლეკულური, არამედ იონური სტრუქტურა, რომელშიც თითოეული იონი გარემოცულია საპირისპირო იონების მაქსიმალურად განსაზღვრული რიცხვით (მაგალითად, NaCl-ის შემთხვევაში ეს რიცხვი უდრის 6), ასე რომ, მთელი იონური კრისტალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გიგანტური მოლეკულის კრისტალური სტრუქტურა.

## 5.3 ნივთიერებათა აგრეგატული და ფაზური მდგომარეობა

### 5.3.1 ნივთიერებათა აგრეგატული მდგომარეობის ძირითადი ტიპები

ჩვეულებრივ პირობებში ნივთიერებათა შემადგენელი ატომები, მოლეკულები და იონები, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური სახით არ არსებობენ. ისინი ნივთიერების უფრო მაღალი ორგანიზაციული ფორმის ე.ნ. აგრეგატული მდგომარეობის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ.

გარემო პირობები განსაზღვრავს ნივთიერებათა შემადგენელი ნაწილაკების პოტენციურ და კინეტიკურ ენერგიებს შორის თანაფარდობას, რაზეც არის დამოკიდებული ნივთიერებათა შემადგენელი ნაწილაკების ერთმანეთის მიმართ მოძრაობის ხასიათი, რის საფუძველზე ნივთიერებები შეიძლება იმყოფებოდეს მყარ, თხევად, აირად ან პლაზმურ მდგომარეობაში.

ნივთიერებათა მყარი აგრეგატული მდგომარეობისათვის დამახასი-ათებელია ნაწილაკების ურთიერთმოქმედების პოტენციური ენერგიის უფრო მაღალი მნიშვნელობა ამ ნაწილაკების მოძრაობის კინეტიკურ ენერგიისათან შედარებით:

$$E_{\text{ჰოტ.}} > E_{\text{ენ.}}$$

გამომდინარე აქედან, მყარ მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებებში ნაწილაკები გადატანით მოძრაობას ვერ ასრულებენ, მათ ერთმანეთის მიმართ უკავიათ განსაზღვრული მდებარეობა და მხოლოდ ირხევიან ამ მდებარეობათა მიმართ.

სითხეებში ნაწილაკების ურთიერთქმედების პოტენციური ენერგია დაახლოებით მათი მოძრაობის კინეტიკური ენერგიის ტოლია:

$$E_{\text{ენ.}} \approx E_{\text{ჰოტ.}}$$

თხევადი მდგომარეობა შუალედურს წარმოადგენს მყარ და აირად მდგომარეობებს შორის. რიგი თვისებებით სითხეები ჰგავს აირებს, რომლებიც ნაწილაკების მოუნესრიგებელი სტრუქტურით ხასიათდებიან და რიგი თვისებებით კი მყარ სხეულებს. აირებს ჰგავს ფორმის უქონლობით (სითხე იმ ჭურჭლის ფორმას იღებს, რომელშიც ასხია), ამასთან შედარებით მაღალი სიმკვრივით და შეკუმშვის დაბალი უნარით თხევადი მდგომარეობა მყარს ჰგავს. ის ფაქტი, რომ სითხეები ფორმას ადვილად იცვლიან, მიუთითებს მოლეკულათშორისი ძალების სისუსტეზე. ამავე დროს სითხეთა დაბალი კუმშვადობის და მოცემულ ტემპერატურაზე მუდმივი მოცულობის შენარჩუნების უნარი სითხეთა შემადგენელ ნაწილაკებს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების ძალების არსებობას ადასტურებს. აქედან გამომდინარე, ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: თხევადი ნივთიერების ნაწილაკებს შორის მოქმედი ძალები საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ასეთ ნივთიერებებში არსებული ნაწილაკების მოუნესრიგებელ მოძრაობას, მაგრამ სუსტია იმისათვის, რომ საერთოდ შეაკავოს მათი გადაადგილება ერთმანეთის მიმართ. ამიტომაც სითხეები დენადია.

თხევადი მდგომარეობის განსაკუთრებულ თვისებას შემადგენელი ნაწილაკების ახლო ზონაში მოწესრიგებული და შორეული მოუნესრიგებლობა წარმოადგენს. ახლო მოწესრიგებულობაში იგულისხმება მოცემული ნაწილაკის ირგვლივ პირველივე სფეროში განლაგებული ნაწილაკების რიცხვის და მათი ერთმანეთის მიმართ განლაგების შენარჩუნება.

უფრო მეტი მოწესრიგებულობა მიიღწევა (შორეულიც კი), როცა მოლეკულათშორის არსებულ უნივერსალურ მიზიდვის ძალებს ემატება დამატებითი სპეციფიკური ძალები – როგორსაც წარმოადგენს, მაგალითად, წყალბადური ბმები.

საერთოდ, მოწესრიგებულობის ხარისხი სხვადასხვა სითხეში განსხვავებულია. გარდა ამისა, იგი დამოკიდებულია აგრეთვე ტემპერატურაზე (ყველაზე მაღალია ლლობის ტემპერატურის მახლობლობაში), ტემპერატურის შემდგომი გაზრდით მცირდება და თანდათანობით უახლოვდება აირებისას. კრიტიკულ ტემპერატურაზე მათ შორის განსხვავება ქრება.

სითხეების მიმართ რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდის გამოყენებამ ცხადყო, რომ თხევადი მდგომარეობა სტრუქტურით ახლოს დგას ამორფულ სხეულებთან. შინაგანი სტრუქტურის მიხედვით თხევადი და ამორფული სხეულების მსგავსება იძლევა იმის საფუძველს,

რომ ამორფული სხეულები განვიხილოთ, როგორც ძალიან მაღალი სიმკვრივის მქონე სითხეები, ხოლო მყარ სხეულებს მივაკუთვნოთ მხოლოდ კრისტალურ მდგომარეობაში შემოფი ნივთიერებები.

რენტგენოსტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამორფული მდგომარეობა თხევადის მსგავსად ხასიათდება შემადგენელი ნაწილაკების არასრულყოფილი მონესრიგებულობით. ბერები სტრუქტურულ ერთეულებს შორის არ არის ტოლფასოვანი. ამიტომ ამორფულ სხეულებს არ ახასიათებთ ერთი განსაზღვრული ლღობის ტემპერატურა – გაცხელებისას ისინი თანდათან რბილდებიან და ლღვებიან.

მიღებულია აგრეთვე მეტალების მინისებური ფორმები. ამ მიზნით მეტალებს ალლობენ და ძალიან სწრაფად აცივებენ. სწრაფი გაცივების გამო მეტალებში ვერ ხერხდება მათი დამახასიათებელი კრისტალური სტრუქტურის ჩამოყალიბება და მიღება მინისებური მდგომარეობა. მეტალომინები ხასიათდებიან მაღალი სიმაგრით და კოროზისადმი მდგრადობით.

აირადი მდგომარეობა ხასიათდება შემადგენელი მოლეკულების უფრო მაღალი კინეტიკური ენერგიით მათი ურთიერთქმედების პოტენციურ ენერგიასთან შედარებით:

$$E_{\text{კინ.}} > E_{\text{პოტ.}}$$

ამიტომ აირის მოლეკულები (ატომები) თავისუფლად გადაადგილდებიან მთელ მის მოცულობაში. მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალების სისუსტე განაპირობებს აირების დაბალ სიმკვრივეს, მათ სწრაფვას გაფართოებისადმი, მათ უნარს მოახდინონ წნევა იმ ჭურჭლის კედლებზე, რომელშიც იმყოფებიან. მათი მოლეკულები სრულიად ქალისურად მოძრაობები, არ ახასიათებთ არც ახლო და არც შორეული მონესრიგებულობა.

აირის მდგომარეობა სამი პარამეტრით ხასიათდება: წნევა (P), მოცულობა (V) და ტემპერატურა (T). დაბალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში ყველა აირის ქცევა ერთნაირია (იდეალური აირი). მათი მდგომარეობა გამოისახება კლაპეირონ-მენდელეევის განტოლებით, რომელიც ამ სამ პარამეტრს ერთმანეთთან აკავშირებს:

$$PV = vRT, \quad (5.32)$$

სადაც  $v$  არის აირის რაოდენობა (მოლებით),  $T$  – ტემპერატურა კელვინის სკალით, რომელიც ცელსიუსის სკალით გამოსახულ ტემპერატურასთან ( $t$ ) დაკავშირებულია ფორმულით  $T = 273 + t$ .

გარეგანი წნევის გაზრდა და ტემპერატურის შემცირება იწვევს აირის მოლეკულების დაახლოებას, ამ შემთხვევაში უკვე თავს იჩენს მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალები, რომელთა სიდიდესაც უკვე აირების ინდივიდუალური თვისებები განსაზღვრავს. ასეთი აირების პარამეტრების გამოსათვლელად კლაპეირონ-მენდელეევის განტოლება უკვე გამოუსადეგარია.

არა მარტო ინდივიდუალური აირები, არამედ აირთა ნარევებიც შემადგენელ მოლეკულებს შორის სუსტი ურთიერთქმედების ძალებით ხასიათდებიან. აირადი ნარევის მაგალითია ჰერი, რომელიც წარმოადგენს მოცულობით 78 % აზოტის, 21.5 % ჟანგბადის, 1 % კეთილშობილი აირების, ნახშირბადის დიოქსიდის, ნილის ორთქლის და ზოგიერთი სხვა ნივთიერების ნარევს.

აირთა ნარევის მიერ წარმოებული საერთო წნევა წარმოადგენს მისი შემადგენელი აირების პარციალური წნევების ჯამს. მაგალითად, ჰაერის საერთო წნევიდან, რომელიც ტოლია  $1.01325 \cdot 10^5$  პა, აზოტის წილი არის  $101325/0.78 = 0.79034 \cdot 10^5$  პა, ხოლო უანგბადის –  $101325 \cdot 0.21 = 0.21278$  პა.

### 5.3.2 ნივთიერების პლაზმური მდგომარეობა

ნივთიერების ძლიერი გაცხელებისას რამდენიმე ასეული ათასი ან მილიონის რიგის გრადუსამდე, ძირეულად იცვლება მათი მდგომარეობა. ასეთ პირობებში ნივთიერება გადადის იონიზირებულ აირში – ე.ნ. პლაზმაში. პლაზმას, რომლის ტემპერატურა  $10-100$  ათასი გრადუსის რიგისაა, „ცივ“ უნიფერენც, ხოლო მილიონი გრადუსის რიგის პლაზმას – „ცხელს“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პლაზმაში ნეიტრალურ ატომებს არსებობა არ შეუძლიათ და ასეთი პლაზმა წარმოადგენს ელექტრონების, იონების და ატომბირთვების ნარევს. პლაზმა საერთოდ ელექტრონული და იონური გამტარობა. პლაზმა სპილენძთან შედარებით  $20\text{-ჯერ}$  უფრო კარგი გამტარია.


ჩვენს პლაზმაზე ბუნებაში პლაზმური მდგომარეობა წარმოიქმნება ჭექა-ქუხილისას, ტექნიკაში – ელექტრული შედუღებისას, ნეონის და არგონის ნათურების მანათობელ ნივთიერებებში და ა.შ.

პლაზმურ მდგომარეობაშია სამყაროს 99 %, დედამიწა ამ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისია. უდიდესი მასის პლაზმა არის მზე.

ამჟამად პლაზმის ფიზიკა და ქიმია მეცნიერების ერთ-ერთი განვითარებადი სფეროა გამომდინარე ამ სფეროში მიღწეული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობებიდან.

## 5.4 კრისტალები. კრისტალური სტრუქტურის ტიპები

მყარ ნივთიერებათა უმრავლესობას კრისტალური ალნაგობა აქვს. თითოეული მყარი ნივთიერება განსაზღვრული ფორმის კრისტალებს წარმოქმნის. მაგალითად, NaCl კუბური ფორმით (ა) კრისტალდება, შაბები – ოქტაედრული ფორმით (ბ), ნატრიუმის ნიტრატი – პრიზმის ფორმით (გ) და ა.შ.



ნახაზი 5.32

კრისტალური ფორმა ნივთიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და-მახასიათებელი თვისებაა. კრისტალის შინაგანი აღნაგობა განისაზღ-ვრება მისი შემადგენელი ნაწილაკების: მოლეკულების, იონების ან ატო-მების განლაგებით. ეს განლაგება შეიძლება წარმოვადგინოთ კრისტა-ლური მესრით ანუ ურთიერთგადამკვეთი სწორი ხაზებით წარმოქმნილი სივრცითი კარკასის სახით. გადაკვეთის წერტილებში იმყოფება შემად-გენელი ნაწილაკების ცენტრები.

ამასთან ალსანიშნავია, რომ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნურად მიღებული კრისტალები იშვიათად შეესაბამება ზუსტად თეორიულ ფორმებს. ჩვეულებრივ, გამლდვალი ნივთიერების გამყარებისას ადგი-ლი აქვს კრისტალების ერთმანეთთან შეზრდას, ამიტომ თითოეული მათგანის ფორმა აღარ არის სავსებით წესიერი. ხსნარიდან ნივთიერე-ბის სწრაფი გამოყოფისას აგრეთვე მეტნილად მიიღება არანესიერი კრისტალები, რომელთა ფორმაც დამახინჯებულია კრისტალიზაციის პირობებში არათანაბარი ზრდის შედეგად. მაგრამ როგორ არათანაბრა-დაც არ უნდა ხდებოდეს კრისტალის ფორმირება, რაც არ უნდა დამახინ-ჯებული იყოს მისი ფორმა, კუთხეები, რომლებსაც კრისტალის წახნაგე-ბი ერთმანეთთან წარმოქმნიან, მოცემულ ნივთიერებას მუდამ ერთნაირი რჩება. ეს კრისტალოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი კანონია – წახნაგა კუთხეების მუდმივობის კანონი. ამიტომ კრისტალში ორწახნაგა კუთხეე-ბის გაზიმვით ყოველთვის შეიძლება ზუსტად იმის დადგენა, რა კრისტა-ლურ სისტემას და რომელ კლასს ეკუთვნის მოცემული კრისტალი.

კრისტალური სხეულების თავისებურებანი მხოლოდ კრისტალების ფორმით არ ამოინურება, თუმცა კრისტალში ნივთიერება სავსებით ერ-თგვაროვანია, მაგრამ მის ფიზიკურ თვისებათავან ბევრი – სიმტკიცე, სითბოგამტარობა, სინათლისადმი მიმართება და სხვა, კრისტალის შიგ-ნით სხვადასხვა მიმართულებით ერთნაირი არ არის. კრისტალური ნივ-თიერებისა მთელი თავისებურებას ანიზოტროპიას უწოდებენ.

კრისტალების შინაგანი სტრუქტურების გამოკვლევა მოხერხდა XX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც 1912 წელს აღმოჩენილ იქნა რენტგენის სხივების დიფრაქციის მოვლენა, რაზეც არის დამყარებული რეზტგე-ნოსტრუქტურული ანალიზი. ამჟამად ამ მეთოდით შესწავლილია ასეულ ათასობით ნივთიერების აღნაგობა. ამავე მეთოდით ხორციელდება ცოცხალი ორგანიზმების შემადგენელი მექანიდრეობის მატარებელი ნივთიერებების მოლეკულური აღნაგობის დადგენა.

იმის მიხედვით, თუ როგორია კრისტალური მესრის კვანძებში მყო-ფი ნაწილაკების ბუნება და მოცემულ კრისტალში ამ ნაწილაკებს შორის მოქმედი ძალებიდან რომელს აქვს უპირატესობა, არჩევენ: მოლეკუ-ლურ, ატომურ, იონურ და მეტალურ სტრუქტურებს.

მოლეკულური მესრის კვანძები უკავია მოლეკულებს, ისინი ერთმანეთ-თან მოლეკულათშორისი ძალებით არიან დაკავშირებული. ატომური მეს-რის კვანძები ატომები იმყოფებიან, რომლებიც ერთმანეთთან კოვალენ-ტური ბმებით არიან დაკავშირებული. იონური მესრის კვანძებში მონაცვლე-ობით არიან განლაგებული დადებითი და უარყოფითი იონები, რომლებსაც ერთმანეთთან ელექტროსტატიკური მიზიდვის ძალები აკავშირებს. მეტა-ლური მესრის კვანძები უკავია მეტალის ატომებს ან იონებს, რომელთა შო-რის კავშირი არალოკალიზებული ელექტრონებით ხორციელდება.

მოლეკულური და ატომური მესრები ახასიათებს კოვალენტურ ნაერთებს. იონური – იონურ ნაერთებს, მეტალური – მეტალებს და მათ შენადნობებს. ატომური მესერი აქვს ალმასს, სილიციუმს, სილიციუმის კარბიდს – კარბორუნდს და სხვა არაორგანულ ნაერთებს, ეს ნივთიერებები ხასიათდებიან დიდი სიმაგრით, არიან ძნელლობადი და პრაქტიკულად უხსნადები თითქმის ყველა გამხსნელში.

მოლეკულური მესერი აქვს არაიონური ბმის მქონე ყველა ორგანულ ნაერთს, ბევრ არამეტალს (გარდა ნახშირბადისა და სილიციუმისა) და მრავალ არაორგანულ ნივთიერებას. მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალები კოვალენტური ბმის ძალასთან შედარებით გაცილებით სუსტია, ასეთი ნივთიერებები ადვილად ლლვება, ადვილად ქროლდება, მეტნაკლებად იხსნებიან სხვადასხვა გამხსნელში, აქვთ ნაკლები სიმაგრე.

იონური მესერი აქვთ მარილების უმრავლესობას და ფუძე ოქსიდების მცირე რიცხვს. სიმტკიცით იონური მესერი ჩამოუვარდება ატომურს, მაგრამ აღმატება მოლეკულურს. იონური ნაერთები ძნელლობადი და არააქროლადია მსგავსად ატომურისა, მაგრამ ატომური ნაერთებისაგან განსხვავებით ისინი წყალში, როგორც ჰოლარულ გამხსნელში მეტნაკლებად იხსნებიან მათ შემადგენელ იონებსა და წყლის დიპოლებს შორის წარმოქმნილი იონ-დიპოლური ურთიერთქმედების გამო, რის შედეგადაც მიიღება იონთა ჰიდრატები.

არსებობს ისეთი ნივთიერებებიც, რომელთა კრისტალებში ერთდროულად ნაწილაკებს შორის არსებობს სხვადასხვა ტიპის ურთიერთქმედების ძალები, მაგალითად, გრაფიტში, რომელსაც ფენოვანი სტრუქტურა აქვს, თითოეული ფენის ნახშირბადებს შორის ლოკალიზებული კოვალენტური ბმებია, მაგრამ სხვადასხვა ფენის ნახშირბადები ერთმანეთთან მეტალური ბმით (არალოკალიზებული ელექტრონებით) არიან დაკავშირებული. მრავალი არაორგანული ნაერთის მესერში, მაგალითად, ZnS, CuCl და A. ნანილაკებს შორის ბმა ნაწილობრივ იონური და ნაწილობრივ კოვალენტურია.

სხვადასხვა ნივთიერების კრისტალური მესრები ერთმანეთისგან არა მარტო შემადგენელი ნაწილაკების ბუნებით განსხვავდებიან, არამედ აღნაგობითაც. ყოველი მესერი შეიძლება დახასიათდეს თავისი ელემენტარული უჯრედით – კრისტალის უმცირესი ნაწილით, რომელსაც მოცემული მესრის სტრუქტურის ყველა თავისებურება გააჩნია. ნახ. 69 (ა და ბ).

NaCl-ის კრისტალურ სტრუქტურაში (მესერში) ყოველი იონი გარშემორტყმულია საპირისპირო ნიშნის ექვსი უახლოესი იონით, CsCl-ში კი – რვა იონით. მოცემულ ნაწილაკთან უშუალოდ დაკავშირებულ ნაწილაკთა რიცხვს ამ ნაწილაკის კომოდინაციული რიცხვი ეწოდება. NaCl-Si  $\text{Na}^+$  და  $\text{Cl}^-$  იონების კომოდინაციული რიცხვი ექვსის ტოლია. იონურ კრისტალურ სტრუქტურაში ყველა ბმა საპირისპირო ნიშნის მქონე უახლოეს იონთან ტოლფასია, ამიტომ იონურ ნაერთებში მოლეკულის ცნება პირობითა, ისევე, როგორც ატომური აღნაგობის ნაერთებში.

მეტალური სტრუქტურა განხილულია მეტალურ ბმასთან (გვ. 164).

### 5.4.1 არაორგანულ ნაერთთა კრისტალური სტრუქტურის ძირითადი ტიპები\*

კრისტალებში ატომთშორისი ან იონთშორისი მანძილების მიხედვით განასხვავებენ კუნძულოვან, ჯაჭვურ, ფენოვან და კოორდინაციულ სტრუქტურებს. კუნძულოვან, ჯაჭვურ და ფენოვან მესრებში შეიძლება გამოიყოს ატომთა ჯგუფები, რომლებიც წარმოქმნიან შესაბამისად იზოლირებულ კუნძულებს, უსასრულო ჯაჭვებს ან ფენებს (ეს სახელწოდებებიც აქვთ გამომდინარეობს). კუნძულების, ჯაჭვების და ფენების როლში გვევლინებიან მოლეკულები ან კომპლექსური იონები.

კუნძულოვანი სტრუქტურა შეიძლება ჰქონდეს მოლეკულურ და აგრეთვე რთული იონებისაგან შედგენილ იონურ მესრებს

მოლეკულები ან რთული იონები ასრულებს ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულების როლს, რომლებიც იკავებენ კრისტალური მესრის შემადგენელ კვანძებს.


მაგალითად,  $K_2[SiF_6]$  და  $[Ni(NH_3)_6]Cl_2$ -ის კრისტალებში კუნძულების როლს ასრულებენ ოქტაედრული კომპლექსური იონები  $[SiF_6]^{2-}$  და  $[Ni(NH_3)_6]^{2+}$ .

განვიხილოთ ჯაჭვების და ბადეების ზოგიერთი ტიპი. ვთქვათ, A ატომისათვის დამახასიათებელია კოორდინაციული რიცხვი 6 და B ატომთან წარმოქმნის AB<sub>6</sub> ოქტაედრულ დაჯგუფებას. თუ ოქტაედრული ერთეულები ერთმანეთთან დაკავშირდებული არ არიან, მაშინ მიიღება კუნძულოვანი სტრუქტურა. მაგალითად, V ჯგუფის ელემენტებისათვის დამახასიათებელია კოორდინაციული რიცხვი 6, რაც შეესაბამება ოქტაედრულ სტრუქტურულ ერთეულს.


6 სავალენტო ელექტრონის მქონე ტელურის ატომისათვის კოორდინაციული რიცხვი 6 რეალიზდება  $TeF_6$ -ის ოქტაედრულ მოლეკულაში. ამიტომ ოქტაედრების კომბინაცია საჭირო არ არის და  $TeF_6$ -ს აქვთ გამომდინარე აქვს კუნძულოვანი სტრუქტურა. მაგრამ 5 სავალენტო ელექტრონის მქონე სტიბიუმისათვის იგივე კოორდინაციული რიცხვის რეალიზება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ოქტაედრების გაერთიანებით ჯაჭვურ პოლიმერად შედგენილობით  $SbF_5$ . კალისთვის, რომელსაც 4 სავალენტო ელექტრონი აქვს, აღნიშნული კოორდინაციული რიცხვი მიიღწევა  $SnF_4$  შედგენილობის პოლიმერის წარმოქმნით, ხოლო ინდიუმისათვის (სამი სავალენტო ელექტრონი)  $IF_3$  შედგენილობის სამგანზომილებიანი პოლიმერის წარმოქმნით. სტრუქტურების გართულებას ადასტურებს აღნიშნული ნაერთების თვისებათა მნიშვნელოვანი ცვლა:  $TeF_6$  ჩვეულებრივ პირობებში აირია,  $SbF_5$  ბლანტი სითხეა,  $SnF_4$  და  $IF_3$  კრისტალური ნაერთებია. სტრუქტურის გართულება განაპირობებს აგრეთვე წყალში ხსნადობის შემცირებას და ქიმიური აქტიურობის დაქვეითებას. ე.ი. მოცემული ატომების დამახასიათებელი კოორდინაციული რიცხვის მიღწევა მოითხოვს ჯაჭვური, ფენოვანი და ა.შ სტრუქტურე-

ბის ჩამოყალიბებას. ე.ი. ოქტაედრული სტრუქტურების ერთმანეთთან დაკავშირების სხვადასხვა ტიპია შესაძლებელი:


I. შესაძლებელია ოქტაედრული სტრუქტურული ერთეულების ერთმანეთთან ერთი წვეროთი გაერთიანება, წარმოიქმნება  $AB_5$  სტრუქტურული შედგენილობის უსასრულო ჯაჭვი:




II. მეზობელი ოქტაედრები ( $AB_6$ ) შეიძლება ორი წვეროთი (წიბოთი) გაერთიანდეს. მაშინ მიიღება  $AB_4$  სტექიომეტრული შედგენილობის უსასრულო ჯაჭვი:




III. თუ  $AB_6$  ოქტაედრული სტრუქტურული ერთეულები ერთიანდებიან ოთხ მეზობელ წვეროსთან, წარმოიქმნება ბრტყელი ორგანზომილებიანი ფენა (ბადე)  $AB_4$  სტექიომეტრული შედგენილობით:



IV.  $AB_6$  ოქტაედრული სტრუქტურული ერთეულები სამ მეზობელ წიბოსთან შეერთებით წარმოქმნიან  $AB_3$  სტექიომეტრული შედგენილობის ფენას:




V.  $AB_6$  ოქტაედრები წიბოებით ერთიანდებიან ექვს მეზობელთან  $AB_2$  სტექიომეტრული ფენის წარმოქმნით:




VI.  $AB_6$  ოქტაედრები ერთიანდებიან ექვს მეზობელთან ყველა წვეროთი (ანუ სამ განზომილებაში) გაერთიანებისას  $AB_3$  შედგენილობის კოორდინაციული მესერი (ნახაზი 5.33, B).

ანალოგიურად შეიძლება აიხსნას ჯაჭვების, ფენების და კოორდინაციული სტრუქტურების წარმოქმნა  $AB_4$  ტეტრაედრული სტრუქტურული ერთეულების ერთმანეთთან შეერთებისას.

მაგალითად,  $AB_4$  ტეტრაედრების ორ მეზობელთან წვეროთი ან წიბოთი გაერთიანებისას წარმოიქმნება  $AB_3$  და  $AB_2$  შედგენილობის ჯაჭვები:



$AB_3$




$AB_2$

თუ  $AB_4$  სტრუქტურული ერთეულები მეზობლებთან დასაკავშირებლად ორივე წვეროს იყენებენ. მიიღება სტერეომეტრული შედგენილობის კოორდინაციული მესერი.

ტეტრაედრული აღნაგობის ოქსიკომპლექსები დამახასიათებელია მესამე პერიოდის არამეტალებისათვის (ჟანგვის მაღალ ხარისხში).

შეიძლება იმის ვარაუდი, რომ  $\text{EO}_4$  სტრუქტურული ერთეულებით არის აგებული მათი უმაღლესი ოქსიდებიც და პოლიმერული ოქსიკომპლექსებიც. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ოქსიდების  $\text{Cl}_2\text{O}_7$ -ის,  $\text{SO}_3$ ,  $\text{P}_2\text{O}_5$ ,  $\text{SiO}_2$  და ასევე შესაბამისი ოქსიკომპლექსების აღნაგობის შესახებ ექსპერიმენტული მონაცემები. ქლორ(VII)-ის ოქსიდის მოლეკულა  $\text{Cl}_2\text{O}_7$  შედგენილია ორი ოქსიქლორატული  $\text{ClO}_4$  ტეტრაედრისაგან, რომლებიც შეერთებულია ერთი საერთო წვეროთი (ჟანგბადის ატომით). გოგირდ(VI)-ის ოქსიდში  $\text{SO}_4$ -ის ტეტრაედრები ბოგირული ბმის წარმოსაქმნელად იყენებენ ორ-ორ წვეროს, რასაც ჯაჭვური სტრუქტურის წარმოქმნამდე ( $\text{SO}_3$ ) მიყვავართ. ოქსოფოსფატური ტეტრაედრები ბოგირული ბმების წარმოქმნისას იყენებენ სამ წვეროს, რის გამოც მიიღება ფენოვანი სტრუქტურა ( $\text{P}_2\text{O}_5$ ).  $\text{SiO}_2$ -ის კოორდინაციული მესრის ( $\text{SiO}_2$ )<sub>3</sub> მისაღებად ბოგირული

ბმების ნარმოსაქმნელად სილიციუმუნგბადოვანი ტეტრაედრების –  $\text{SiO}_4$  დაკავშირება უანგბადის ოთხივე ატომით წარმოებს.





ნახაზი 5.33. კრისტალების კოორდინაციული მესრების უმნიშვნელოვანესი ტიპები  
 A - შედგენლობა  $\text{AB}$ , სტრუქტურა: a -  $\text{NaCl}$ , b -  $\text{CsCl}$ , c -  $\text{ZnS}$  (ფარელიტი);  
 B - შედგენლობა  $\text{AB}_2$ , სტრუქტურის ტიპი: a -  $\text{CaF}_2$  (ფლუორიტი),  
 b -  $\text{TiO}_2$  (რუტილი),  
 C - შედგენლობა  $\text{AB}_3$ , სტრუქტურის ტიპი: a -  $\text{ReO}_3$ ;  
 D - შედგენლობა  $\text{A}_2\text{B}_2$ , სტრუქტურის ტიპი -  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ერთი კლასის ნაერთებში სტრუქტურა თანდათან რთულდება, მასთან ერთად მკვეთრად იზრდება ლილბის ტემპერატურა და ეცემა ქიმიური აქტიურობა.  $\text{Cl}_2\text{O}_7$  უშუალოდ მოქმედებს წყალთან  $\text{HClO}_4$ -ის ნარმოქმნით. წყალთან ურთიერთქმედებისას საკმაოდ ადვილად წყდება ბოგირული ბმები ( $\text{SO}_3$ )-ის ჯაჭვურ მოდიფიკაციაში  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ის ნარმოქმნით, ხოლო  $(\text{P}_2\text{O}_5)_2$ -ის ფენოვანი მოდიფიკაციის წყალთან ურთიერთქმედება საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. ძლიერი მჟავების თანაობისას, ხანგრძლივი დუღილის პირობებში ხდება ფენოვან პოლიმერში ბმების დახლეჩა და  $\text{H}_3\text{PO}_4$ -ის ნარმოქმნა. ხოლო რაც შეეხება სამგანზომილებიან პოლიმერს ( $\text{SiO}_2$ ), ოქსოსილიკატურ ტეტრაედრებს შორის ბმების განცვეტა წყლით პრაქტიკულად არ ხდება, რის გამოც სილიციუმის დიოქსიდი წყალში პრაქტიკულად უხსნადია.



**კოორდინაციული სტრუქტურები.** კოორდინაციული ისეთ მესერს ეწოდება, რომელშიც ყოველი ატომი (ან იონი) გარშემორტყმულია მეზობელი ატომების გარკვეული რიცხვით (ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით და ქიმიური ბმის ერთნაირი ტიპით: იონური, კოვალენტური ან მეტალური). კოორდინაციული სტრუქტურით ხასიათდება  $\text{Na-is}$  და  $\text{Cs-is}$  ქლორიდები (ნახ. 5.34 და ნახ. 5.35), აღმასის (ნახაზი 5.36), მეტალების მესრები და ა.შ.

კოორდინაციული კრისტალური მესრის ზოგიერთი უმარტივესი და ფართოდ გავრცელებული სტრუქტურული ტიპები მოცემულია ნახ. 5.33-ზე.


AB სტექიომეტრული შედგენილობის ნივთიერებათა კრისტალებში, სადაც A და B ატომების (იონური) კოორდინაციული რიცხვები ტოლია, ყველაზე მეტად გავრცელებულია ატომების (იონების) კოორდინაციის ტიპები: ოქტაედრულ-ოქტაედრული კოორდინაცია  $\text{NaCl-is}$  სტრუქტურული ტიპი კუბურ-კუბური კოორდინაცია  $\text{CsCl-is}$  სტრუქტურული ტიპი, ტეტრაედროტეტრაედრული კოორდინაცია  $\text{ZnS}$ -ის სტრუქტურული ტიპი (ნახაზი 5.34, A).



ნახაზი 5.34.  
ნატრიუმის ქლორიდის  
სტრუქტურული ტიპი



ნახაზი 5.35. სპილენბის  
ლორიდის სტრუქტურული  
ტიპი



ნახაზი 5.36. ალმასის კოორდინაციული ტეტრაედრული სტრუქტურა

$AB_2$  სტექიომეტრული შედგენილობის ნაერთები, რომლებშიც ატომების (იონების) კოორდინაციულ რიცხვებს შორის თანაფარდობა არის 2:1, მათვის დამახასიათებელია კუბურ-ტეტრაედრული კოორდინაცია  $\text{CaF}_2$ -ის სტრუქტურული ტიპი (ნახაზი 5.33, B), ოქტაედრულ-სამკუთხედური კოორდინაცია  $\text{TiO}_2$ -ის სტრუქტურული ტიპი (ნახაზი 5.33, B), ტეტრაედრულ-ხაზოვანი (კუთხური) კოორდინაცია  $\text{SiO}_2$ -ის სტრუქტურული ტიპი (ნახაზი 5.33, B).

$AB_3$  სტექიომეტრული შედგენილობის ნაერთების კოორდინაციულ მესერში A და B-ს კოორდინაციული რიცხვების თანაფარდობა არის 3:1. ამ ნაერთების სტრუქტურა უმეტესად  $\text{ReO}_3$ -ის სტრუქტურული ტიპის ანალოგიურია (ნახ. 5.33).

A და  $AB$  შედგენილობის სტრუქტურული ტიპი: a –  $\text{NaCl}$ , δ –  $\text{CsCl}$ , b –  $\text{ZnS}$  (სფალერიტი); B –  $\text{AB}_2$  შედგენილობის: a –  $\text{CaF}_2$  (ფლუორიტი), δ –  $\text{TiO}_2$  (რუტილი), b –  $\text{SiO}_2$  (კრისტობალიტი); B –  $\text{AB}_3$  შედგენილობის,  $\text{ReO}_3$ -ის სტრუქტურული ტიპი; Γ –  $\text{A}_2\text{B}_3$  შედგენილობის (კორუნდი) α –  $\text{Al}_2\text{O}_3$  სტრუქტურული ტიპი. ე.ი.  $\text{A}_2\text{B}_3$  შედგენილობის ნაერთების კოორდინაციულ კრისტალებში ატომების (იონების) კოორდინაციული რიცხვების თანაფარდობაა 6:4, რაც პასუხობს ოქტაედრულტეტრაედრულ კოორდინაციას. ეს არის α –  $\text{Al}_2\text{O}_3$  სტრუქტურული ტიპი (ნახაზი 5.34).


სტრუქტურული ერთეულების დიმერებად, ჯაჭვებად, ფენებად, სამგანზომილებიან კარკასებად გამაერთიანებელი ბოგირების როლში უმეტესად გამოდის ჰალოგენების, ჟანგბალის, გოგირდის, აზოტის ატომები, აგრეთვე O-H, NH<sub>2</sub> და სხვა დაჯგუფებები. ბოგირი შეიძლება იყოს ერთმაგი, ორმაგი, იშვიათად სამმაგი. როცა B = F, O ნარმოიქმნება ერთმაგი ბოგირები, ხოლო როცა B = Cl, S ნარმოიქმნება ორმაგი ან სამმაგი.

## 5.4.2. სამელემენტიანი ნაერთების კოორდინაციული სტრუქტურები

სამი-ოთხი ელემენტისაგან ნარმოქმნილი კოორდინაციული ნაერთების სტრუქტურა შეიძლება ნარმოვიდინოთ ბინარული ნაერთების სტრუქტურის ანალოგიურად. მაგალითად, კორუნდის სტრუქტურის ნაწარმია მინერალ ილმენიტის  $\text{FeTiO}_3$ -ის სტრუქტურა, რომლის კრისტალები შეიძლება განვიხილოთ, როგორც  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის კრისტალი, რომელშიც ალუმინის ატომების ნაცვლად მორიგეობით განლაგებულია  $\text{Fe}$ -ისა და  $\text{Ti}$ -ის ატომები.

ილმენიტში  $\text{Fe}$ -ის ატომები შეიძლება ჩანაცვლებულ იქნას  $\text{Mg}$ -ის,  $\text{Mn}$ -ის,  $\text{Ni}$ -ის,  $\text{Co}$ -ის,  $\text{Cd}$ -ის ატომებით, ხოლო  $\text{Ti}$ -ის:  $\text{V}$ -ის,  $\text{Nb}$ -ის,  $\text{Rn}$ -ის,  $\text{Mn}$ -ის და სხვა ატომებით.

$\text{ReO}_3$ -ის სტრუქტურული ტიპის მონათესავე სტრუქტურა აქვს მინერალ პეროვსკიტს  $\text{CaTiO}_3$ -ს (ნახაზი 5.37). როგორც ნახაზიდან ჩანს,  $\text{Ti}$ -ის ატომები იყავებენ  $\text{Re}$ -ის ატომების მდებარეობას, ხოლო  $\text{Ca}$ -ის ატომები განლაგდებიან ელემენტარული კუბური უჯრედების ცენტრებში.  $\text{CaTiO}_3$ -ში  $\text{Ti}$ -ის თითოეული ატომი გარშემორტყმულია ოქტაედრის წვეროებში უანგბადის ექვსი ატომით, ხოლო  $\text{Ca}$ -ის ატომი – თორმეტით.



ნახაზი 5.37. პეროვსკიტის ( $\text{CaTiO}_3$ ) სტრუქტურა

პეროვსკიტის სტრუქტურულ ტიპად კრისტალდებიან  $\text{ABX}_3$  ტიპის ნაერთები.  $\text{ZnS}$ -ის სტრუქტურული ტიპის ნაწარმად შეიძლება განვიხილოთ მინერალ ქალკოპირიტის ( $\text{CuFeS}_2$ ) სტრუქტურა, რომელშიც  $\text{Zn}$ -ის ატომების ნაცვლად მორიგეობით არის განლაგებული  $\text{Cu}$ -ის და  $\text{Fe}$ -ის ატომები.

## 5.4.3. იზომორფული და პოლიმორფული მინერალები

ზოგიერთი ქიმიური ბუნებით მსგავსი, მაგრამ შედგენილობით განსხვავებული ნაერთი სრულიად ერთნაირი ფორმის კრისტალებს ნარმოქმნის, რომლებიც მათი სივრცითი მესრების ერთნაირი ან თითქმის

ერთნაირი მუდმივებით ხასიათდებიან. ასეთ ნივთიერებებს იზომორფულს (რაც ერთნაირი ფორმისას ნიშნავს), ხოლო მოვლენას, რომელიც სხვადასხვა შედგენილობის ნაერთების ერთნაირი კრისტალური ფორმის ნარმოქმნის უნარში გამოიხატება, იზომორფიზმს უწოდებენ.

იზომორფული ნივთიერებებისათვის დამახასიათებელია ხსნარებიდან ერთად გამოლექვა და შერეული კრისტალების ნარმოქმნა, რომლებიც ხასიათდებიან მათი შემადგენელი ნივთიერებების ცვლადი შედგენილობით, რაც დამოკიდებულია თითოეული მათგანის შემცველობაზე ხსნარში. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის ხსნარიდან სრულიად განსხვავებული ნივთიერების ერთდროული გამოლექვაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მიიღება არა შერეული კრისტალები, არამედ ხსნარში არ-სებული ნივთიერებების კრისტალების უბრალო მექანიკური ნარევი.

იზომორფული ნივთიერებების ტიპიურ მაგალითს ნარმოადგენს შაბები – ეს არის გოგირდმჟავას ორმაგი მარილები ერთვალენტიანი და სამვალენტიანი მეტალებით (ერთვალენტიანი მეტალი შეიძლება შეცვალოს ამონიუმის ჯგუფმა). მაგალითად, უფერო ალუმინის შაბს და მკვეთრ ისფერ ქრომის შაბს თუ გავხსნით წყალში და ხსნარს დავაყოვნებთ, გამოკრისტალდება შერეული კრისტალები, რომლის ფერიც ხსნარში თითოეული მათგანის შემცველობაზეა დამოკიდებული. შერეული კრისტალები სრულიად ერთგვაროვანია, თუმცა აქვს ცვლადი შედგენილობა, ამიტომ მათ მყარ ხსნარებსაც ეძახიან.

ერთმანეთის იზომორფულია აგრეთვე მარილები  $KMnO_4$  და  $KClO_4$ , რომლებიც რომბული ფორმის კრისტალებს ქმნიან ნახნაგებს შორის შესაბამისი კუთხეების თითქმის ერთხაირი მნიშვნელობით.

არც თუ ისე იშვიათად, ბუნებრივი მინერალებიც იზომორფულებია. მაგალითად,  $PbS$  იზომორფულია  $Ag_2S$ -ის.  $PbS$ -ის ბუნებრივი მინერალი ხშირად შეიცავს  $Ag_2S$ -ს. ასეთი მინერალები ფაქტოურად შერეულ კრისტალებს ანუ მყარ ხსნარებს ნარმოადგენენ.

იზომორფიზმის მოვლენა 1819 წელს იქნა ალმოჩენილი გერმანელი ქიმიკოსის **მიტჩერლინის** მიერ. იზომორფიზმის მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ ერთნაირი მუხტისა და დაახლოებით ერთნაირი რადიუსის იონები ერთმანეთს ცვლან კრისტალურ მესერში ამ მესრის ფორმის შეუცვლელად. თუ იონთა რადიუსები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, მათ კრისტალურ მესერში ერთმანეთის შეცვლა არ შეუძლიათ. მაგალითად,  $NaCl$  და  $KCl$ , რომლებიც ერთი და იგივე ტიპის მესრებს ნარმოქმნიან და ქიმიური თვალსაზრისითაც ძალიან მსგავსებია, შერეულ კრისტალებს ვერ ნარმოქმნიან, რადგან კალიუმის იონის რადიუსი მნიშვნელოვნად აღემატება ნატრიუმის იონის რადიუსს, ამიტომ მათი კრისტალური სტრუქტურის (მესრის) მუდმივები სრულიად განსხვავებულია და ისინი ერთმანეთის იზომორფული ნაერთები არ არიან.

სანინალმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ერთი და იგივე შედგენილობას, გამოკრისტალების პირობებისაგან დამოკიდებულებით, შეესაბამება სხვადასხვა კრისტალური ფორმა. ამ მოვლენას პოლიმორფიზმი ეწოდება. თვითონ ნივთიერებებს კი პოლიმორფული. პოლიმორფული ნივთიერებების თითოეული ფორმა მდგრადია წნევისა და ტემპერატურის განსაზღვრულ ინტერვალში.

პოლიმორფიზმის ერთ-ერთი კარგი მაგალითია გოგირდი. გამლლვალი გოგირდის სწრაფი გაცივებით მიიღება მონოკლინური სისტემის გრძელი, ნემსისებრი კრისტალები. ამ კრისტალებს დიდხანს არსებობა მხოლოდ  $96^{\circ}\text{C}$ -ის ზემოთ შეუძლიათ. უფრო დაბალ ტემპერატურაზე ეს ფორმა თანდათან გადადის რომბული სისტემის ფორმაში, რომლისგანაც შედგება ბუნებრივი გოგირდი. რომბული გოგირდიც თავის მხრივ  $96^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურამდე ნელი გაცხელებისას გადადის მონოკლინურ ფორმაში. რომბული და მონოკლინური გოგირდის მოლეკულები S8 შედგენილობისაა. განსხვავება მათ მიერ ნარმოქმნილ კრისტალურ ფორმებშია.

ბევრ მარილსაც აქვს სხვადასხვა პირობებში განსხვავებული კრისტალური ფორმის ნარმოქმნის უნარი. მაგალითად,  $\text{NH}_4\text{NO}_2$  ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ნარმოქმნის რომბული სისტემის კრისტალებს, ხოლო  $85^{\circ}\text{C}$ -ის ზემოთ ეს ფორმა იცვლება (ამ დროს სითბოც შთანთქმება) ჰექსაგონალური სისტემის ერთერთი ფორმით.

პოლიმორფიზმის მოვლენა ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაშიც, მაგალითად,  $\text{TiO}_2$  ბუნებაში გვხვდება მინერალების რუტილის, ბრუკიტის და ანატაზის სახით, რომლებიც კრისტალური ფორმებით არიან განსხვავებული.

პოლიმორფიზმის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია ელემენტ ნახშირბადის სამნაირი ფორმა: ალმასი, გრაფიტი და კარბინი. გრაფიტს აქვს ფენოვანი, კარბინს ჯაჭვური და ალმასს – კოორდინაციული მესერი. ზოგიერთ შემთხვევაში პოლიმორფული მოდიფიკაციები ქიმიური ბმის ტიპებითაც განსხვავდებიან: ალმასში კოვალენტური ბმებია, გრაფიტში – კოვალენტურ-მეტალური.

განსხვავებული კრისტალური სტრუქტურის გამო პოლიმორფული მოდიფიკაციები განსხვავდებიან (ზოგჯერ მკვეთრად) ფიზიკური თვისებებით – სიმკვრივით, სიმაგრით, პლასტიკურობით, ელექტროგამტარობით და ა.შ.

ზოგიერთ პოლიმორფულ მოდიფიკაციას აღნიშნავენ ბერძნული ასოებით: ა-თი აღნიშნავენ შედარებით დაბალ ტემპერატურაზე მდგრად მოდიფიკაციას, ბ-თი – უფრო მაღალ ტემპერატურაზე მდგრად მოდიფიკაციას, ხოლო γ და δ-თი – კიდევ უფრო მაღალ ტემპერატურულ მოდიფიკაციებს. მაგალითად, ა-Sn, რომელსაც ალმასის მსგავსი სტრუქტურა აქვს, მდგრადია  $13.2^{\circ}\text{C}$ -ზე დაბლა, ტეტრაგონალური სტრუქტურის ბ-Sn მდგრადია ჩვეულებრივი პირობებიდან ლლობის ტემპერატურამდე. დაბალტემპერატურული ფორმიდან მაღალტემპერატურულზე გადასვლა მიმდინარეობს სითბოს შთანთქმით, ხოლო შებრუნებული პროცესი სითბოს გამოყოფით. ამ პროცესების თანმხლებ სითბურ ეფექტებს პოლიმორფული გარდაქმნის სითბოს უწოდებენ.

## 5.5. წყალბადური ბმა


წყალბადური ბმა სპეციფიკური ტიპის ბმაა. ის აღიძვრება წყალბადისა და ძლიერ ელექტროუარყოფითი ელემენტების ატომებს (F, O, N, Cl და სხვ.) შორის. სქემატურად წყალბადური ბმა აღინიშნება სამი წერტილით

(“). Сიძლიერით мას შუალედური ადგილი უკავია ქიმიურ ძალებსა და მოლეკულათშორისი ურთიერთებულების ძალებს (ფიზიკური ბუნების ძალებს) შორის. თუ ჩვეულებრივი (კოვალენტური) ქიმიური ბმის ენერგია შეადგენს დაახლოებით 400 კჯ-ს, წყალბადური ბმის ენერგია მერყეობს 8-40 კჯ-ის ფარგლებში, ე.ი. ნაკლებია ერთი რიგით. ყველაზე ძლიერია ბმა (~ 40 კჯ). შემდეგ მოდის ბმა (~ 20 კჯ) და ბმა (~ 8 კჯ). ბმის ეს ტიპი დამახასიათებელია რა მხოლოდ „მოძრავი“ წყალბადის ატომის შემცველი ნაერთებისათვის, განპირობებულია წყალბადის ატომის უნიკალური თვისებებით – მისი მცირე ზომით და შიგა ელექტრონული შრეების უქონლობით. ეს საშუალებას აძლევს მეორე მოლეკულის ელექტროუარყოფითი ელემენტის ატომს მიუახლოვდეს წყალბადის ნაწილობრივ დადებითი მუხტის მქონე ატომს ისეთ მანძილზე, რომელზეც შეუძლებელია მიახლოება სხვა დადებითად დამუხტულ ნაწილაკებთან ურთიერთებულებისას.

**წყალბადური ბმა შეიძლება იყოს მოლეკულათშორისი და შიგამოლეკულური.**

მოლეკულათშორისი წყალბადური ბმა წარმოიქმნება, როცა წყალბადის ატომი ურთიერთებულებს მეორე მოლეკულის ელექტროუარყოფითი ელემენტის ატომთან, რომელსაც გააჩნია თავისუფალი ელექტრონული წყვილი. იმ შემთხვევაში, როდესაც წყალბადის ატომი ურთიერთებულებს იმავე მოლეკულის მასთან არაბმულ ელექტროუარყოფითი ელემენტის ატომთან, წარმოიქმნება შიგამოლეკულური წყალბადური ბმა.


წყალბადური ბმის წარმოქმნა აიხსნება დონორულ-აქცეპტორული და ელექტროსტატიკური მექანიზმებით. სქემატურად წყალბადური ბმის წარმოქმნის პროცესი შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:




რაც უფრო პოლარულია  $X-H$  ბმა, ე.ი. რაც უფრო მეტია  $X$  ელემენტის ელექტროუარყოფითობა, მით უფრო მტკიცე წყალბადური ბმა მყარდება. ხშირად  $X$  და  $Y$  ერთი და იმავე ელემენტის ატომებია. თავდაპირველად წყალბადური ბმა გააინხილებოდა როგორც პოლარული ჯგუფების ელექტროსტატიკური მიზიდულობა. მაგრამ ბმის სიმტკიცე, გეზურობა მონაბეჭდს, რომ, თუმცა წყალბადურ ბმაში ელექტროსტატიკური ურთიერთებულება ძირითადია, მხედველობაში მისაღებია დონორ-აქცეპტორული ურთიერთებულებაც. მოლეკულების (მოლეკულების ფრაგმენტების) მიახლოებისას, მათ შორის ხდება ურთიერთებულება – ურთიერთპოლარიზაცია. ბმის წარმოქმნელი ელექტრონული წყვილი წყალბადიდან უფრო მეტად გადაინაცვლებს  $X$  ატომისკენ და წყალბადის  $s$ -ორბიტალი მნიშვნელოვნად თავისუფლდება ელექტრონული ღრუბლის სიმკვრივისაგან. წყალბადის ბირთვის (პროტონის) დადებითი მუხტი კონცენტრირებულია მცირე მოცულობაში და წარმოიქმნება ელექტროსტატიკური ველი, რომელიც იწვევს  $Y$ -დან თავისუფალი ელექტრონული წყვილის წყალბადის  $s$ -ორბიტალზე ნაწილობრივ გადასვლას, რაც არსებით როლს ასრულებს წყალბადური ბმის დამყარებაში.

მაშასადამე, წყალბადურ ბმაში წყალბადის ატომი ერთდროულად დაკავშირებულია ორ ატომთან. ამავე დროს  $X-H$  და  $H \cdots Y$  ბმები ენერგიითა და

სიძლიერით არატოლფასი ბმებია. წყალბადური ბმის ნარმოქმნისას X-H ბმის სიგრძე იზრდება წყალბადის ატომის რამდენადმე Y-ისკენ გადაწევის გამო. მაგალითად, წყალში X-H ბმის სიგრძე 96 პმ-დან 99 პმ-დე იზრდება (ნახ. 5.38).



ნახაზი 5.38 წყლის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმის ნარმოქმნის სქემა



ნახაზი 5.39. წყალბადური ბმები ფტორნყალბადსა (ა) და ყინულში (ბ)

ზოგ შემთხვევაში, მაგალითად,  $[HF_2]^-$  იონში (ნახ. 5.40), ზემოაღნიშნული ორივე ბმა შეიძლება ერთი სიგრძისაც კი აღმოჩნდეს.


წყალბადური ბმის ენერგია ძირითადად 40-160 კჯ/მოლი-ს ფარგლებშია. იგი ერთი რიგით ნაკლებია კოვალენტური ბმის ენერგიაზე და ერთი რიგით მეტია მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ენერგიაზე.

წყალბადური ბმების ხარჯზე მოლეკულები ერთიანდება დიმერებად და უფრო რთულ ასოციატებად. თუ ფტორნყალბადის მოლეკულები წყალბადური ბმებით ზიგზაგისებურ ჯაჭვს ან ციკლებს ქმნის, ძმარმჟავა დიმერებს წარმოქმნის, ხოლო წყლის მოლეკულები ყინულში ტეტრაედრის ნვეროების მიმართულებით უკავშირდებიან ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელში უანგბადის თითოეული ატომი წყალბადის ოთხ ატომთანაა ბმული, ორთან – კოვალენტური, ორთან წყალბადური ბმით (ნახ. 5.40).

წყალბადური ბმა ინვევს ასოციატების წარმოქმნას. მაგალითად,  $(HF)_n$ ,  $(H_2O)_n$ , სადაც  $n$ -ს ეწოდება ასოციაციის ხარისხი და ღებულობს

მნიშვნელობებს 2-დან 6-მდე. ტემპერატურის გაზრდით წყალბადური ბმები თანდათანობით წყდება (მცირდება ასოციაციის ხარისხი n) და ეს პროცესი მთავრდება დულილის ტემპერატურაზე, როცა ყველა წყალბადური ბმა განყვეტილია.

წყალბადური ბმა იწვევს ნივთიერებათა ფიზიკური სიდიდეების ანომალიას. ეს კარგად ჩანს მე-6 და მე-7 ჯგუფების მთავარი ქვეჯგუფების ელემენტთა წყალბადნაერთების დულილის ტემპერატურის მოლურ მასაზე დამოკიდებულებიდან (ნახ. 5.40). ექსტრაპოლაცია (აღნიშნულია პუნქტირით) აჩვენებს, რომ წყალბადური ბმის არარსებობის შემთხვევაში წყლის დულილის ტემპერატურა იქნებოდა არა 100°C, არა-მედ (~ -80°C). რეალური დულილის ტემპერატურა მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა დამატებითი ენერგიის დახარჯვა ყველა წყალბადური ბმის გასაწყვეტად, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება „განთავისუფლებული“ მოლეკულების გადასვლა აირად ფაზაში.




ნახაზი 5.40. მეჟვსე და მეშვიდე ჯგუფების მთავარი ქვეჯგუფების ელემენტების წყალბადნაერთების დულილის ტემპერატურის დამოკიდებულება მოლურ მასაზე

მიუხედავად მცირე სიმტკიცისა, წყალბადური ბმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნივთიერების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე, განსაზღვრავს მის სტრუქტურას. მაგალითად, წყლის მოლეკულები წყალბადური ბმებით რომ არ იყოს ბმული, წყალი აირადი ნივთიერება იქნებოდა და სიცოცხლე დედამინაზე არსებული სახით ვერ ჩაისახებოდა. წყალბადური ბმების წყალობით ფთორწყალბადი 19.5°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე თხევადია. წყალბადური ბმები გავლენას ახდენს ფტორწყალბადის ქიმიურ თვისებებზეც. ფთორწყალბადმჟავა საშუალო ძალის მუავაა (აქ გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც – იხ. ქვემოთ, მუავების სიძლიერე), როცა დანარჩენი ჰალოგენური ბმები მუავებია. ამიაკის, სპირტების, კარბონმჟავების და სხვა ნივთიერებების ანომალური თვისებებიც მათი მოლეკულების ასოცირებითაა განპირობებული.

ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით ცოცხალ ბუნებაში, შიგამოლეკულური წყალბადური ბმები. შიგამოლეკულური წყალბადური ბმები ხორციელდება ცილებში.

წყალბადური ბმები დიდ როლს ასრულებს ცილების მეორეული სტრუქტურისა და დეზოქსირიბონუკლეინმჟავების „ორმაგი სპირალის“ ჩამოყალიბებაში.

შიგამოლეკულური წყალბადური ბმა დამახასიათებელია ორგანული ნაერთებისათვის. ის მყარდება 2,6-დიჰიდროქსიბენზოისმჟავის მოლეკულაში:



2,6-დიჰიდროქსიბენზოის მჟავის დისოციაციის მუდმივა ბევრად მეტია, ვიდრე მისი იზომერული 3,5-დიჰიდროქსიბენზოის მჟავისა, რაც გამოწვეულია პირველში წყალბადური ბმის წარმოქმნით კარბოქსილის ჯგუფის უანგბადის ატომებსა და ჰიდროქსილის ჯგუფის წყალბადის ატომებს შორის.

წყალბადური ბმები, მათი მცირე ენერგიის გამო, ადვილად წარმოიქმნება და ასევე ადვილად წყდება, რაც ბიოქიმიურ პროცესებში მონაწილე მრავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების სპეციფიკურ მოქმედებას უზრუნველყოფს.

## 5.6 მეტალური ბმა

როგორც ცნობილია, მეტალები იონური და კოვალენტური ნაერთებისაგან განსხვავებით ხასიათდებიან მაღალი სითბო- და ელექტროგამტარობით, რაც მეტალის კრისტალურ მესერში თავისუფლად გადაადგილების უნარის მქონე ელექტრონების არსებობის დამადასტურებელია.

მეტალის ატომებს გარე ელექტრონულ შრეზე აქვთ ელექტრონების მცირე რიცხვი (1, 2 ან 3), ამასთან ისინი ხასიათდებიან იონიზაციის დაბალი ენერგიით, რის გამოც სავალენტო ელექტრონები ადვილად გადაადგილდებიან მეტალის მთელ მოცულობაში და სწორედ მათი თავისუფალი მოძრაობის შედეგია მეტალთა ელექტროგამტარობა. მეტალის კრისტალში სავალენტო ელექტრონების რიცხვი ორბიტალების რიცხვზე გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, ტუტე მეტალების თითოეულ

ატომს ბმების დასამყარებლად შეუძლია ოთხი ორბიტალისა და მხოლოდ ერთი ელექტრონის გამოყენება. ამ ელექტრონებს შეუძლიათ ერთი ორბიტალიდან მეორეზე გადასვლა, მეორედან მესამეზე და ა.შ., რაც ამ ორბიტალების ენერგეტიკული სიახლოვით არის განპირობებული.

მოლეკულური ორბიტალების თეორიის წარმოდგენებით ორი ერთნაირი ატომის ურთიერთქმედებისას ორი ტოლფასოვანი ატომური ორბიტალიდან წარმოქმნება სხვადასხვა ენერგიის მქონე ორი მოლეკულური ორბიტალი. თუ სამი ატომის ურთიერთქმედებას აქვს ადგილი და მათი სავალენტო ორბიტალები ერთმანეთს გადაფარავს, მაშინ აღიძვრება სამი სხვადასხვა ენერგიის მქონე მოლეკულური ორბიტალი, რომელიც თანაბრად ეკუთვნის სამივე ატომს (დელოკალიზებული ორბიტალი). ატომთა რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება ნებადართული ენერგეტიკული მდგომარეობები, ხოლო მეზობელ ენერგეტიკულ დონეებს შორის მანძილი მცირდება. ურთიერთმოქმედ ატომთა მცირე რიცხვის შემთხვევაში ელექტრონის რომელიმე ენერგეტიკული დონიდან უახლოეს – შედარებით მაღალ ენერგეტიკულ დონეზე გადასაყვანად დიდი ენერგია არის საჭირო, მაგრამ ატომთა დიდი რიცხვის შემთხვევაში, როგორც ამას ადგილი აქვს მეტალებში, მეზობელი დონეები ენერგიით იმდენად მცირედ განსხვავდებიან, რომ პრაქტიკულად მიიღება უწყვეტი ენერგეტიკული ზონა. ამდენად, ელექტრონის გადასვლას უახლოეს მაღალ ენერგეტიკულ დონეზე სჭირდება ძალიან მცირე ენერგია. ამიტომ ადგილი აქვს ორბიტალების დელოკალიზაციას და ელექტრონებს მთელ მოცულობაში შეუძლიათ მოძრაობა მინიმალური ენერგიის სარჯვით.


ენერგეტიკული ზონის შემადგენელი მოლეკულური ორბიტალების შევსება ხდება ენერგიის ზრდის თანმიმდევრობით, ე.ი. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ენერგიის მინიმუმის პრინციპიდან გამომდინარე, თითოეულ მოლეკულურ ორბიტალზე შეიძლება მხოლოდ ორი ელექტრონის განთავსება.

ტუტე მეტალების შემთხვევაში შიდა შრეების ელექტრონების ატომური ორბიტალები პრაქტიკულად არ გადაიფარებიან. უწყვეტი ენერგეტიკული ზონა ამ შემთხვევაში იქმნება მხოლოდ გარე შრის ელექტრონებით. თუ კრისტალში არის N ატომი, გამოსავალი გარე შრის s-ატომური ორბიტალებიდან წარმოიქმნება M რაოდენობის ენერგეტიკული დონის შემცველი ზონა, რომელშიც თავსდება M რაოდენობის გარე შრის s-ელექტრონი, რომლებიც ავსებენ N/2 რაოდენობის ენერგეტიკულ დონეს. სავალენტო ელექტრონებით დაკავებული დონეების ერთობლიობას ჰქვია სავალენტო ზონა. ტუტე მეტალების შემთხვევაში სავალენტო ზონა შეადგენს ენერგეტიკული დონეების მხოლოდ ნახევარს, მეორე ნახევარი რჩება შეუვსებელი და წარმოადგენს ე.ნ. გამტარობის ზონას. ე.ი. ელექტრონებით დაკავებული დონეების უშუალო მახლობლობაში იმყოფება თავისუფალი დონეები, რომელზეც ელექტროული ველის მოქმედებით ელექტრონებს შეუძლია გადასვლა. სწორედ ეს აძლევს ელექტრონებს დენის გადატანის საშუალებას და განაპირობებს მეტალთა გამტარობას.

ატომთა სტრუქტურისა და კრისტალური მესრის სიმეტრიის ხასიათისგან გამომდინარე სავალენტო და გამტარობის ზონამ შეიძლება

გადაფაროს ან არ გადაფაროს ერთმანეთი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მათ შორის არის ე.წ. აკრძალული ზონა. დიელექტრიკული აკრძალული ზონის სიგანე  $\Delta E$  3 ევ-ზე მეტია. ნახევარგამტარებში 0.1-დან 3 ევ-მდე. მეტალებში კი აკრძალული ზონა არ არის. ამასთან, რა თქმა უნდა მკვეთრი საზღვარი სავალენტო და გამტარობის ზონას შორის არ არის. ელექტრონები სითბური მოძრაობის გამო ადვილად გადადიან სავალენტო ზონის მაღალი დონეებიდან გამტარობის ზონის დაბალ დონეებზე. სწორედ ამ ელექტრონების მეტალის კრისტალში თავისუფლად გადაადგილების უნარი (რასაც თან ახლავს ენერგიის გადატანა მისი უფრო ცხელი ნაწილიდან უფრო ცივ ნაწილში) განაპირობებს მეტალთა თბოგამტარობასაც. ე.ი. მეტალთა ელექტრო და სითბოგამტარობა განპირობებულია გამტარობის ზონაში ელექტრონების თავისუფლად გადაადგილების უნარით. სწორედ ამიტომ, საუკეთესო დენის გამტარები ამავე დროს მაღალი სითბოგამტარობით გამოიჩინება.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეტალთა სავალენტო ელექტრონებით განპირობებული ბმა ეკუთვნის კრისტალური მესრის შემადგენელ არა ორ ან რამდენიმე ატომს, არამედ მეტალის კრისტალური მესრის შემადგენელ ყველა ატომს. ამასთან ბმა არის ძლიერ დელოკალიზებული. იონური და კოვალენტური ნაერთებისგან განსხვავებით მეტალებში ელექტრონების მცირე რიცხვი ერთდროულად აკავშირებს ატომბირთვების ძალიან დიდ რიცხვს. ერთერთი თეორიის მიხედვით მეტალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისუფალი ელექტრონებით დაკავშირებული დადებითად დამუხტული იონების მჭიდრო ხყობა. ამ ელექტრონთა ერთობლიობას ელექტრონულ აირს უნდოებენ, ხოლო ბმას, რომელიც მეტალის დადებით იონებს შორის ამ ელექტრონებით ხორციელდება – მეტალური ბმა (ნახ. 5.41).



ნახაზი 5.41

მეტალური ბმა ახასიათებს მეტალებს, მეტალთა შენადნობებს და ინტერმეტალურ ნაერთებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტიპიური მეტალური ბმა ხორციელდება ტუტე და ტუტემინათა მეტალებში. გარდამავალი (d) მეტალების კრისტა-

**ლურ სტრუქტურებში სავალენტო ელექტრონების მხოლოდ მცირე რიცხვია განზოგადოებული.**

გარდა ზემოთაღნიშნულისა (ელექტრო- და სითბოგამტარობა), მეტალთა დამახასიათებელი სხვა თვისებებიც მეტალური ბმით არის განპირობებული. მაგალითად, პლასტიკურობა, გაუმჭვირვალობა, მეტალური ბზინვა.

მეტალზე მექანიკური მოქმედებისას კრისტალური მესრის შემადგენელი ცალკეული ფენების ერთმანეთის მიმართ მხოლოდ გადაადგილება არის შესაძლებელი. ელექტრონთა დელოკალიზაციის მაღალი ხარისხის გამო ერთმანეთთან დაკავშირებულ ატომებს შორის წარმოებს ელექტრონული სიმკვრივის რამდენადმე გადანაწილება ქიმიური ბმების გახლეჩის გარეშე. მეტალი არ იმსხვრევა, მხოლოდ დეფორმირდება.

გაუმჭვირვალობა და მეტალური ბზინვაც მეტალთა ენერგეტიკული დონეების სტრუქტურით არის გამოწვეული. დიდი რაოდენობით დაკავებული და თავისუფალი ორბიტალების ენერგეტიკული სიახლოვე არის იმის საფუძველი, რომ ხილული სინათლის ნებისმიერ კვანტს ენერგიით  $E = hv$ , მოექცენება მეტალის ენერგეტიკულ დონეებს შორის ისეთი წყვილი (ერთი სავალენტო და მეორე გამტარობის ზონიდან), რომელთა ენერგიების სხვაობა არის  $E$ . ელექტრონი შთანთქავს რა სინათლის კვანტს, სავალენტოდან გადავა გამტარობის ზონაში. სინათლის შთანთქმის უნარი მეტალს არაგამჭვირვალეს ხდის, მაგრამ ამავე დროს მეტალს ბზინვა ახასიათებს, რომელსაც შთანთქმული კვანტით აღგზნებული ელექტრონის უფრო დაბალ ენერგეტიკულ დონეზე დაბრუნებისას წარმოქმნილი გამოსხივება იწვევს.

მეტალურ ბმას კოვალენტურისაგან განსხვავებით არ ახასიათებს ნაჯერობა და მიმართულება, რომელთა მიზეზიც ისევ და ისევ მეტალებისათვის დამახასიათებელი ელექტრონთა მაღალი დელოკალიზაციის ხარისხია.

## 5.7 მოლეკულათშორისი ურთიერთქმედება. მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალები

ნეიტრალურ ატომებს ან მოლეკულებს შორის აირად, თხევად მდგომარეობაში, ან მოლეკულებს შორის მოლეკულურ კრისტალებში (მაგალითად, მყარი  $\text{CO}_2$ ) იმ მანძილებზე, რომელიც ალემატება თვით ნაწილაკების ზომებს და რომელზეც ჩვეულებრივი ქიმიური ურთიერთქმედება ქრება, მოქმედებს ძალიან სუსტი მიზიდვის ძალები. მათ მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ანუ ვან-დერ-ვაალსური ძალები ეწოდება, ვინაიდან ასეთი ძალების არსებობაზე აირებში პირველად მიუთითა ჰოლანდიელმა ფიზიკოსმა ი. ვან-დერ-ვაალსმა. მათი ბუნების გარკვევა შესაძლებელი გახდა ნივთიერების აღნაგობის შესწავლის შემდეგ. დადგინდა, რომ ისეთი მოლეკულების ურთიერთქმედება, რომლებშიც სავალენტო ორბიტალები მთლიანად გამოყენებულია ატომებს შორის ქიმიური ბმების წარმოქმნაზე, დაკავშირებული არ არის ელექტრო-

ნების გაცემა-შეძენასთან (იონური ბმის ანალოგიურად), ან საზიარო ელექტრო-ნული წყვილის წარმოქმნასთან (კოვალენტური ბმის ანალო-გიურად). იგი მოქმედებს მანძილებზე, რომელიც გამორიცხავს ელექ-ტრონული ორბიტალების გადაფარვას, ე.ი. ქიმიური ძალების გამოვლე-ნას. მაშასადამე, ვან-დერ-ვაალსური ძალები განსხვავდება ქიმიური ძა-ლებისაგან. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ვან-დერ-ვაალსური ძალებიც ელექტრონული ბუნებისაა, მაგრამ განპირობებულია მოლეკულის პო-ლარობით ან პოლარიზებადობით. ეს ძალები სამი ეფექტის – ორიენტა-ციულის, ინდუქციურისა და დისპერსიულის მოქმედების შედეგია. თი-თოვეული კი სხვადასხვა წარმოშობის დიპოლურ ურთიერთქმედებასთან არის დაკავშირებული.

$$E = E_{\text{თრ.}} + E_{\text{ინდ.}} + E_{\text{დისპ.}}$$

პოლარულ მოლეკულებში ვან-დერ-ვაალსური ძალები აღიძვრება დიპოლების ელეტროსტატიკური მიზიდვის შედეგად (ნახ. 5.42). დიპო-ლები ორიენტირდება ერთმანეთის მიმართ სანინაალმდეგო პოლუსე-ბით, ერთი დიპოლის დადებითი ბოლო მიზიდება მეორე დიპოლის უარ-ყოფითი ბოლოთი და პირიქით. რაც უფრო დიდია მოლეკულის პოლა-რობა, ე.ი. რაც უფრო დიდია დიპოლის ელექტრული მომენტი, და რაც უფრო მცირეა მანძილი დიპოლებს შორის, მით უფრო ძლიერია დიპოლ-დიპოლური ურთიერთქმედება. პოლარულ მოლეკულებს შორის აღ-ძრულ მიზიდვის ძალებს, რომლებიც განპირობებულია მუდმივი დიპო-ლების ურთიერთქმედებით, ორიენტაციულ ძალებს უნდოდებენ. ორიენ-ტაციული ძალები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლარული მოლე-კულების ( $H_2O$ ,  $NH_3$ ,  $HCl$  და სხვ.) მოლეკულათშორის ურთიერთქმედე-ბაში. ტემპერატურის გაზრდა მოლეკულების სითბური მოძრაობის გაძ-ლიერების გამო არღვევს დიპოლების ურთიერთორიენტაციას და ასუს-ტებს დიპოლ-დიპოლურ ურთიერთქმედებას.

პოლარულ მოლეკულებში ვან-დერ-ვაალსური ძალები აღიძვრება დიპოლების ელეტროსტატიკური მიზიდვის შედეგად. დიპოლები ორი-ენტირდება ერთმანეთის მიმართ სანინაალმდეგო პოლუსებით, ერთი დიპოლის დადებითი ბოლო მიზიდება მეორე დიპოლის უარყოფითი ბოლოთი და პირიქით. რაც უფრო დიდია მოლეკულის პოლარობა, ე.ი. რაც უფრო დიდია დიპოლის ელექტრული მომენტი, და რაც უფრო მცი-რეა მანძილი დიპოლებს შორის, მით უფრო ძლიერია დიპოლ-დიპოლური ურთიერთქმედება. პოლარულ მოლეკულებს შორის აღ-ძრულ მიზიდვის ძალებს, რომლებიც განპირობებულია მუდმივი დიპო-ლების ურთიერთქმედებით, ორიენტაციულ ძალებს უნდოდებენ. ორიენ-ტაციული ძალები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლარული მოლე-კულების ( $H_2O$ ,  $NH_3$ ,  $HCl$  და სხვ.) მოლეკულათშორის ურთიერთქმედებაში. ტემპერატუ-რის გაზრდა მოლეკულების სითბური მოძრაობის გაძლიერების გამო არღვევს დიპოლების ურთიერთორიენტაციას და ასუსტებს დიპოლ-დი-პოლურ ურთიერთქმედებას.

პოლარული და არაპოლარული მოლეკულების ურთიერთქმედება განსხვავებულია. პოლარული მოლეკულის გავლენით არაპოლარული მოლეკულა განიცდის პოლარიზაციას, მასში დადებითი და უარყოფითი მუხტების სიმძიმის ცენტრები სცილდება ერთმანეთს, რადგან ელექ-

ტრონული ღრუბელი და ატომბირთვი საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილდება. შედეგად, არაპოლარულ მოლეკულაში აღიძვრება ინდუცირებული დიპოლი, რომელიც ურთიერთექმედებს პოლარული მოლეკულის დიპოლთან (ნახაზი 5.42). მუდმივი და ინდუცირებული დიპოლების ურთიერთექმედებით განპირობებულ მიზიდვის ძალებს ინდუციურ ძალებს უწოდებენ. მაშასადამე, ინდუციური ეფექტი და-კავშირებულია გარემომცველი დიპოლებით მოლეკულის პოლარიზაციასთან. ანალოგიური მოვლენა შეიმჩნევა პოლარული მოლეკულებისთვისაც. ამ შემთხვევაში ინდუციური ეფექტი ემატება დიპოლ-დიპოლურ ურთიერთექმედებას, რის შედეგადაც იზრდება ურთიერთმიზიდვა. ინდუციური ურთიერთექმედების ენერგია მატულობს დიპოლის ელექტრული მომენტის და პოლარიზებადობის ზრდისას და მკვეთრად მცირდება დიპოლებს შორის მანძილის გაზრდით.

$$E_{\text{თრიენტ.}} = -2/3 (\mu_1 \cdot \mu_2 / kT), \quad (5.33)$$

სადაც  $\mu_1$  და  $\mu_2$  ორი მოლეკულის დიპოლური მომენტებია,  $k$  – ბოლცმანის მუდმივა,  $T$  – აბსოლუტური ტემპერატურა,  $r$  – ურთიერთექმედ მოლეკულებს შორის მანძილი.

ორიენტაციული ურთიერთექმედებისაგან განსხვავებით, ინდუციური ურთიერთექმედება დამოკიდებული არ არის ტემპერატურაზე, რადგან მას ადგილი აქვს სივრცეში მოლეკულების ნებისმიერი განლაგების დროს. ინდუციური ძალები  $10-20\text{-ჯერ}$  უფრო სუსტია ორიენტაციულ ძალებზე. შედარებით ძლიერი ინდუციური ურთიერთექმედება შეიმჩნევა ისეთი მოლეკულებისათვის, რომელთაც ძლიერი პოლარიზებადობა ახასიათებთ. წყლის დიპოლის ელექტრული მომენტი აღემატება ამიაკისას, მაგრამ ამ უკანასკნელის პოლარიზებადობა მეტია, ამიტომ ინდუციური ეფექტის ფარდობითი ნილი ჯადურ მოლეკულათმორის ურთიერთექმედებაში ამიაკისათვის მეტია, ვიდრე წყლისათვის.

ინდუციური ურთიერთექმედების ენერგია გამოითვლება ფორმულით:

$$E_{\text{ინდ.}} = 2/r^6 (\mu^2 \cdot \alpha), \quad (5.34)$$

სადაც  $\alpha$  არის პოლარიზაციის სიდიდე,  $\mu$  – დიპოლური მომენტი,  $r$  – ურთიერთექმედ მოლეკულებს შორის მანძილი.

არაპოლარულ მოლეკულებს არ გააჩნია მუდმივი დიპოლი და მათ შორის თითქოს არავითარი მიზიდვის ძალები არ უნდა არსებობდეს, მაგრამ მაშინ წნევის გაზრდით და ტემპერატურის შემცირებით ვერ მივალნევდით მათ გათხევადებას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ასეთ მოლეკულებს შორისაც მოქმედებს მიზიდვის ძალები.

თუ განვიხილავთ ატომს, როგორც ბირთვისა და ელექტრონისაგან შემდგარ სისტემას, მაშინ ყოველ მომენტში (მყისიერად) ბირთვისა და ელექტრონული ღრუბლის მუხტების სიმძიმის ცენტრების არათანხვედრის გამო წარმოიქმნება მყისიერი დიპოლი. ყოველი დიპოლი მოახდენს გავლენას მეზობელ ატომსა თუ მოლეკულაში ასეთივე მყისიერი დიპოლების ორიენტაციაზე (ნახაზი 5.43). მყისიერი დიპოლები არსებობს დროის მეტად მცირე მონაკვეთის განმავლობაში. დიპოლების მიმართულება ელექტრონების მოძრაობის მიმართულების შესაბამისად განუწყვეტლივ იცვლება, მაგრამ ყოველ მოცემულ მომენტში ადგილი ექნება

კვლავ შეთანხმებულ ორიენტაციას: დიპოლები კვლავ საწინააღმდეგო ნიშნის პოლუსებით განლაგდება ერთმანეთის ირგვლივ და ერთმანეთ-თან მიიზიდება (ნახაზი 5.43). მყისიერი დიპოლების ურთიერთქმედებით განპირობებულ ძალებს უნიფრენი დისპერსიულ ძალებს. რადგან ელექტრონების მოძრაობაზე ტემპერატურა არ ახდენს შესამჩნევ გავლენას, ამიტომ დისპერსიული ურთიერთქმედებაც არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. დისპერსიული ძალები იზრდება ატომსა თუ მოლეკულაში ელექტრონების რიცხვის გადიდებისას. სწორედ ამ მიზეზის გამო იზრდება მოლეკულათშორისი ურთიერთქმედება ატომური ნომრის ზრდასთან ერთად ჰალოგენების ქვეჯგუფში  $F_2$ -დან  $I_2$ -კენ, კეთილ-შობილ აირების ქვეჯგუფში –  $He$ -დან  $Xe$ -კენ (იმდი კრისტალურია,  $Xe$  უფრო ადვილად თხევადდება, ვიდრე  $He$ ,  $Ar$  და  $Kr$ ).

მაშასადამებ, მოლეკულათშორისი ურთიერთქმედება განპირობებულია ორიენტაციული, ინდუქციური და დისპერსიული ძალებით და თითოეული მათგანის ნილი განისაზღვრება ურთიერთქმედებაში მყოფი მოლეკულების თვისებებით (მაგალითად, პოლარობით და პოლარიზება-დობით).

მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დისპერსიულ ძალებს. დისპერსიული ძალების ურთიერთქმედების ენერგია გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$E = -3/2r^6 \cdot (I_1 \cdot I_2 / I_1 + I_2) \cdot \alpha_1 \alpha_2 , \quad (5.35)$$

სადაც  $\alpha_1$  და  $\alpha_2$  არის ორი ურთიერთქმედი მოლეკულის პოლარიზაციის სიდიდეები;  $I_1$  და  $I_2$  იონიზაციის პოტენციალები;  $r$  – ურთიერთქმედ მოლეკულების შორის მანძილი.

მიუხედავად იმისა, რომ დისპერსიული ძალები გაცილებით სუსტია, ვიდრე ორიენტაციული და ინდუქციური ძალები, მათ უნივერსალური ხასიათი აქვთ და მოქმედებენ ნებისმიერ ატომებსა თუ მოლეკულებს შორის, ამ უკანასკნელთა აღნაგობის მიუხედავად. ამასთან, არაპოლარული მოლეკულებისათვის (მაგალითად,  $N_2$ -ის, კეთილშობილი აირების, წყალბადის, უანგბადის, ჰალოგენების მოლეკულები) დისპერსიული ძალებით მიზიდვა მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ერთადერთი სახეა. სწორედ ამ ტიპის ურთიერთქმედების გამო ხდება შესაძლებელი ზემოაღნიშვნული აირების გარკვეულ პირობებში გათხევადება.

მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალის ფარდობით სიდიდეზე შეიძლება ვიმსჯელოთ აირების გათხევადების ტემპერატურის მიხედვით: რაც უფრო სუსტია მოლეკულათშორისი ურთიერთქმედება აირის მოლეკულებს შორის, მით უფრო ძნელად გადადის თხევად მდგომარეობაში. ყველაზე ძნელად თხევადდება კეთილშობილი აირები: ჰელიუმი – ძლიერ დაბალ ტემპერატურაზე, რომელიც უახლოვდება აბსოლუტურ ნულს –  $4K$  ( $-269^\circ C$ ), ნეონი –  $27K$  ( $-246^\circ C$ ), არგონი –  $88K$  ( $-185^\circ C$ ), კრიპტონი –  $121K$  ( $-152^\circ C$ ), ქსენონი –  $165K$  ( $-108^\circ C$ ). როგორც ვხედავთ, კეთილშობილ აირებში ატომური ნომრის ზრდასთან ერთად იზრდება მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალა, რაც აადვილებს მათ გათხევადებას.

## 6. კომპლექსური ანუ კოორდინაციული ნაერთები

### 67.1. კომპლექსური ნაერთების ზოგადი დახასიათება. ვერნერის თეორიის ძირითადი დებულებები


ცნობილია პირველი რიგის ნაერთები [ოქსიდები, ჰიდროქსიდები (ა-რაორგანული ფუძეები), მჟავები და მარილები –  $\text{SO}_2$ ,  $\text{HCl}$ , და სხვ.], სა-დაც ქიმიური ელემენტების ატომებს შორის კავშირი, ჩვეულებრივ, სა-ვალენტო ელექტრონებით ხორციელდება.

კომპლექსური (კოორდინაციული) ნაერთები უმაღლესი რიგის ნა-ერთებს მიეკუთვნება, რომლებიც ქიმიურ ნაერთებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი და პერსპექტიული ნაერთებია. პირველი კოორდინაციული ნაერთი აღმოჩენილ იქნა 1798 წელს, მაგრამ კოორდინაციული ქიმიის განვითარებას დასაბამი XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მიეცა (ალფრედ ვერნერი). კოორდინაციული ნაერთების უმარტივესი, კლასიკური ნარმომადგენელია ამონიუმ-იონი ( $\text{NH}_4^+$ ), რომელიც უმარტივესი კოორდინაციული ნა-ერთია. კომპლექსნაერთებს მიეკუთვნება საკმაოდ დიდი ხნის წინ ცნობილი ნაერთები (მეტალთა იონების ჰიდრატები და ამიაკატები) და ამავე დროს ახლახან მიღებული ტუტე მეტალების კომპლექსები მაკროციკლურ ლიგანდებთან, ე.წ. კრაუნერერებთან და სხვ.

კომპლექსნაერთები ბუნებაში ფართოდ არის გავრცელებული. ისი-ნი დიდ როლს თამაშობენ ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებში. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ხელატური კომპლექსები სისხლის ჰე-მოგლობინი (ჰემოგლობინის მონანილეობით ხდება სისხლის მიერ ცოცხალ ორგანიზმში უანგბადის გადატანა), მწვანე მცენარეების ქლო-როფილი (ნახ. 6.1) (მცენარეებში, მზის სინათლეზე, ქლოროფილის მო-ნაწილეობით მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი პროცესი, როგორიც არის ფოტოსინთეზი:  $6\text{CO}_2 + 6\text{H}_2\text{O} \rightarrow \text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6 + 6\text{O}_2$ ), ვიტამინი  $\text{B}_{12}$ , მრავა-ლი ფერმენტი, ანტიდიაბეტური პრეპარატი ინსულინი და ა.შ. ქიმიური ელემენტების უმრავლესობა ადამიანის ორგანიზმში კომპლექსური ნა-ერთების სახით არის. კომპლექსები ნარმატებით გამოიყენება ანალი-ზურ ქიმიაში, კატალიზმი, რადიოქიმიაში, მედიცინაში, ტექნიკაში და ა.შ. ძალიან საინტერესო პერსპექტივები ისახება კომპლექსნაერთების გამოყენების ახალი სფეროების თვალსაზრისითაც [მაგალითად, თანა-მედროვე საშიში დაავადებების საწინააღმდეგო ბიოაქტივური პრეპარა-ტების, ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრების, ანტიმიკრობული, ბაქ-ტერიციდული და სხვა ამ ტიპის საშუალებების დასამზადებლად,  $\text{C}-\text{H}$  და  $\text{C}-\text{C}$  ბმების გასააქტიურებლად (მაგალითად, ჰომოგენური კომპლექ-სური კატალიზატორები და ა.შ.], რაც მათი შესწავლას კიდევ უფრო აქ-ტუალურს ხდის.

განმავლობაში მიმდინარეობს. მეცნიერები დიდია ხანია იმ დასკვნამ-დე მივიღდნენ, რომ ხშირად კოვალენტურად გაჯერებული, დამოუკიდებ-ლად არსებობის უნარის მქონე ნაერთები ერთმანეთს უერთდება უფრო

რთული ნაერთების წარმოქმნით. მაგალითად, სპილენძის სულფატსა და ამიაკს შეუძლიათ ცალ-ცალკე არსებობა ნებისმიერი დროის განმავლობაში. ამავე დროს მათ ერთმანეთთანაც შეუძლიათ ურთიერთქმედება  $[Cu(NH_3)_4]SO_4$ -ის წარმოქმნით, რომლის ხსნარშიც  $Cu^{2+}$ -is იონების ალმოჩენა არ ხერხდება, რასაც ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ტუტის ხსნარის დამატებისას, გარკვეულ პირობებში,  $Cu^{2+}$ -ის ჰიდროქსიდი არ ილუქტება.



ნახაზი 6.1. ჰემინის და ქლოროფილის ბირთვის ზოგადი სტრუქტურა  $M = Fe$  (ჰემინი),  $Mg$  (ქლოროფილი)

კომპლექსნაერთების აღნაგობის შესახებ გამოკვლევები 150 წელზე მეტი დროის კომპლექსნაერთები ისეთი მოლეკულური ნაერთებია, რომლის კომპლექტების შეერთებით მიღებულია ძირითადად დადებითად და უარყოფითად დამუხტული რთული კომპლექსური იონები, რომელთაც როგორც კრისტალში, ისე ხსნარშიც არსებობის უნარი აქვთ. შეიძლება ამ რთული კომპლექსების მუხტი ნულის ტოლიც იყოს (მაგალითად,  $[Pt(NH_3)_2Cl_2]$ ).

ადრე კომპლექსური ნაერთები მხოლოდ იმ მოლეკულურ ნაერთებს ეწოდათ, რომლებიც კომპლექსური იონების საკმაოდ მაღალი მდგრადობით ხასიათდებოდა. ნაკლებადმდგრადი, ხსნარში ადვილად დისოცირებადი ნეართები კი ორმაგ მარილებად იწოდებოდა. შემდგომში ტერმინმა კომპლექსური ნაერთი ტრანსფორმაცია განიცადა. ამჟამად ორმაგ მარილებს განიხილავენ, როგორც ნაკლებადმდგრად კომპლექსურ ნაერთებს.

პირველი მეცნიერული თეორია, რომელმაც ვალენტურად გაჯერებული მარტივი მოლეკულების ურთიერთქმედებით კომპლექსური ნაერთების წარმოქმნის ახსნა შეძლო, იყო 1893 წელს მონოდებული შვეიცარიელი მეცნიერის ალფრედ ვერნერის კოორდინაციული თეორია. **ვერნერის თეორიის მიხედვით:**


- 1) ატომებს შეუძლიათ გამოამჟღავნონ არა მარტო ჩვეულებრივი ანუ მთავარი ვალენტობა, არამედ დამატებითი ანუ თანაური ვალენტობაც. სწორედ თანაური ვალენტობის გაჯერება ხდება კომპლექსური ნაერთის წარმოქმნისას, ამასთან თუ მეტალთა კატიონების მთავარი ვალენტობის გაჯერება ხდება მხოლოდ უარყოფითად დამუხტული იონებით, თანაური ვალენტობის გაჯერება შეიძლება მოხდეს როგორც უარყოფითი იონებით, ისე ნეიტრალური მოლეკულებით.

2) ცენტრალური ადგილი კომპლექსურ ნაერთში უკავია კომპლექსნარმომქმნელს – უფრო ხშირად, დადებითად დამუხტულ იონს (ჩვეულებრივ, მეტალის). მის გარშემო განლაგებულია მასთან კოორდინირებული საპირისპირო ნიშნის იონები ან/და ნეიტრალური მოლეკულები, ე.ნ. ლიგანდები.


3) კომპლექსნარმომქმნელს ახასიათებს განსაზღვრული კოორდინაციული რიცხვი (კ.რ.). კომპლექსნარმომქმნელის კოორდინაციული რიცხვი განისაზღვრება ბმების იმ საერთო რიცხვით, რომელიც დამყარებულია კომპლექსნარმომქმნელსა და ლიგანდს შორის. ყველაზე ხშირად გავრცელებული კოორდინაციული რიცხვებია 4 და 6. თუმცა მისი მნიშვნელობები სხვაც შეიძლება იყოს. კ.რ.-ის მინიმალური მნიშვნელობა ორის ტოლია. მაგალითად, განვიხილოთ კომპლექსნაერთი  $[Ag(NH_3)_2]OH$ , სადაც ვერცხლის კოორდინაციული რიცხვი ორის ტოლია,  $[La(H_2O)_9](NO_3)_3$ -ში ლანთანის კოორდინაციული რიცხვი ცხრის ტოლია და ა. შ.

4) კომპლექსნარმომქმნელი მასთან კოორდინირებულ საპირისპირო ნიშნის იონებთან (მაგალითად,  $Cl^-$ ,  $Br^-$ ,  $OH^-$ ,  $CN^-$ ,  $SCN^-$  ან ნეიტრალურ მოლეკულებთან, მაგალითად, ამიაკი –  $NH_3$ ,  $N_2H_4$  – ჰიდრაზინი, ეთილენ-დიამინი –  $H_2N-CH_2CH_2-NH_2$ ,  $CO$  – ნახშირბადის მონოოქსიდი და სხვა) – ლიგანდებთან ერთად ქმნის კომპლექსური ნაერთის რთულ, ე.ნ. კომპლექსურ ნაწილს ანუ შიგა სფეროს, რომელიც კომპლექსის ბირთვს ნარმოადგენს. შიგა სფერო კომპლექსური ნაერთის ჩანერისას კვადრატული ფრჩხილით გამოიყოფა. კომპლექსის ბირთვი შეიძლება იყოს ნეიტრალური, დადებითად ან უარყოფითად დამუხტული.

მაგალითად:



ნეიტრალური



როდესაც ბირთვი მუხტის მატარებელია, კომპლექსნაერთს აქვს გარე სფერო:  $[Co(NH_3)_6]^{3+}Cl_3$  (კომპლექსნაერთში კოორდინაციულ ბმებს ზოგჯერ წყვეტილი ხაზებით აღნიშნავენ).

კომპლექსნაერთის ბირთვსა და გარე სფეროს შორის კავშირი იონურია, ამიტომ მისი ხსნარი შეიცავს იონების სახით ბირთვსა და გარე სფეროს:



ე.ი. ზემოაღნიშნული კომპლექსნაერთი ხსნარში ოთხ იონს ნარმოქმნის. ასეთი დისოციაცია არ ითვალისწინებს ბირთვის იონებად დაშლას.

ვერნერისეული მთავარი და თანაური ვალენტობით კომპლექსნარ-მომქმნელსა და ლიგანდს შორის დამყარებული კავშირები ერთნაირია როგორც ბუნებით, ისე სიმტკიცით. მაგალითად,  $[PtCl_6]^{2-}$ -ში ქლორის ექ-ვსივე იონი ერთნაირად არის დაკავშირებული პლატინასთან.

ვერნერის კოორდინაციული თეორია წარმოადგენდა მნიშვნელოვან და საინტერესო მიდგომას კომპლექსური ნაერთების კვლევისა და სინთეზის მიმართულებით. თუმცა ის ვერ ხსნიდა და არც შეეძლო აეხ-სნა ქიმიური ბმის ბუნება (კავშირი კომპლექსნარმომქმნელსა და ლი-განდს შორის) აღნიშნულ ნაერთებში, რადგან იმ პერიოდში ამისთვის არც ექსპერიმენტული და არც თეორიული საფუძველი არ არსებობდა.

**არსებობს კომპლექსური ნაერთების კოორდინაციული ფორმუ-ლების დადგენის სხვადასხვა ხერხები და მეთოდები:**

1. მიმოცვლის რეაქციები. სწორედ ამ ხერხით იქნა დადგენილი  $PtCl_4 \cdot 6NH_3$ -ის სტრუქტურა. ამ ნაერთის ხსნარზე  $AgNO_3$ -ის დამატებისას მის შედგენილობაში შემავალი ქლორის ყველა ატომი ილექტრო ატომი გარე სფეროშია და ხსნარში იონურ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე ამ ნაერთის კოორდინაციული ფორმულაა  $Pt(NH_3)_6Cl_4$ .  $PtCl_4 \cdot 4NH_3$ -ის ხსნარიდან  $AgNO_3$ -ის ხსნარი ქლორის ატომების ნახევარს ლექავს, ე.ი. გარე სფეროში მხოლოდ ორი ქლორ-იონია  $[Pt(NH_3)_2Cl_2]Cl_2$ , ხოლო  $PtCl_2 \cdot 2NH_3 Cl^-$ -ზე  $AgNO_3$ -თან რეაქ-ციას არ იძლევა. აქედან გამომდინარე მისი კოორდინაციული ფორმუ-ლაა  $[Pt(NH_3)_2Cl_2]$ .

2. კომპლექსნაერთების (კომპლექსების) განზავებული ხსნარების მოლური ელექტროგამტარობის შესწავლა. კომპლექსნაერთთა ძლიერ განზავებული ხსნარების მოლური ელექტროგამტარობა განისაზღვრე-ბა ნარმოქმნილი იონების რიცხვით და მუხტით.

3. კრისტალურ მდგომარეობაში მყოფი კომპლექსების აღნაგობის დადგენის საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს რენტგენოსტრუქტურუ-ლი ანალიზი. მაგრამ ამისთვის საჭიროა კომპლექსის მიღება საკმაოდ მოზრდილი მონოკრისტალის სახით, რომელიც ყოველთვის არ არის შე-საძლებელი.

გარდა ზემოთ განხილული კლასიკური მეთოდებისა, არსებობს კი-დევ სხვა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებიც (იხ. კვლევის ფიზიკური მეთო-დების სახელმძღვანელოები).

## 6.2 კომპლექსური ნაერთების კლასიფიკაცია

კომპლექსნაერთების კლასიფიკაციას სხვადასხვა მეცნიერება საფუძვლად კომპლექსთა სხვადასხვა ნიშან-თვისებას უდებს, ამიტომ არსებობს კომპლექსნაერთთა კლასიფიკაციის რამდენიმე ტიპი:

I. „ვერნერისეული“ კომპლექსები;

II. მეტალთა კარბონილები და მეტალორგანული ნაერთები.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კომპლექსნაერთები, რომლებშიც თუნ-დაც ერთი მეტალ-ნახშირბად ბმა არის, დანარჩენები კი პირველ ჯგუფს

(მათ შორის მეტალთა ციანიდებიც). მაგრამ კომპლექსნაერთთა თითოეულ აღნიშნულ ჯგუფს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნაერთი მიეკუთვნება, რომლებიც კიდევ დამატებით კლასიფიკირავის საჭიროებს.

**ნაერთთა განსაზღვრული კლასისადმი მიკუთვნების მიხედვით განასხვავებები:**

- 1) კომპლექსურ მჟავებს  $\text{H}[\text{AuCl}_4]$ ,  $\text{H}_2[\text{SiF}_6]$ ,  $\text{H}_2[\text{PtCl}_4]$  და სხვ.
- 2) კომპლექსურ ფუძეებს, მაგალითად,  $[\text{Ag}(\text{NH}_3)_2]\text{OH}$ ,  $[\text{Cu}(\text{NH}_3)_4](\text{OH})_2$  და სხვ.
- 3) კომპლექსურ მარილებს, მაგალითად,  $[\text{Cr}(\text{H}_2\text{O})_6]\text{Cl}_3$ ,  $[\text{La}(\text{H}_2\text{O})_9](\text{NO}_3)_3$ ,  $\text{K}_4[\text{Fe}(\text{CN})_6]$  და სხვ.

**ლიგანდების ბუნების მიხედვით განასხვავებენ:**

- 1) აკვაკომპლექსებს, მაგალითად,  $[\text{Co}(\text{H}_2\text{O})_6]\text{SO}_4$ ;  $[\text{Cr}(\text{H}_2\text{O})_6]\text{Cl}_3$
- 2) ამინოკომპლექსებს (ამიაკატები) მაგალითად,  $[\text{Ag}(\text{NH}_3)_2]\text{Cl}$
- 3) აციდოკომპლექსებს, სადაც ლიგანდის როლში მჟაური ნაშთის ანიონებია  $\text{K}_3[\text{Fe}(\text{CN})_6]$ ,  $\text{K}_4[\text{Fe}(\text{CN})_6]$  და ა.შ.

ამასთან, ლიგანდს შეიძლება კოორდინაციულ სფეროში შეიძლება ეკავოს ერთი ან რამდენიმე ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიგანდი კომპლექსნარმომქმნელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე ატომით. **ლიგანდის იმ ატომს, რომელიც ახორციელებს კავშირს კომპლექსნარმომქმნელთან დონორულ ატომებს ეძახიან.** ლიგანდში არსებული დონორული ატომების რიცხვი (ე.ი. იმ ატომების რიცხვი, რომლებითაც ლიგანდი დაკავშირებულია კომპლექსნარმომქნელთან) განსაზღვრავს მის დენტანტობას (დენტატურობას).

ამის მიხედვით განასხვავებენ მონო-, ბი-, ტრი- და ა.შ. პოლიდენტანტურ (ამბიდენტურ) ლიგანდებს.

**მონოდენტატური ლიგანდებია  $\text{Cl}^-$ ,  $\text{F}^-$ ,  $\text{H}_2\text{O}$ ,  $\text{OH}^-$ ,  $\text{NH}_3$ , და ა.შ.**

**ბიდენტატურია** (როცა ლიგანდი ორი ატომით არის დაკავშირებული კომპლექსნარმომქმნელთან) ეთილენდიამინი  $\text{NH}_2\text{CH}_2\text{CH}_2\text{NH}_2$ . მისი მოლეკულა კომპლექსნარმომქმნელს აზოტის ორი ატომით უკავშირდება. **ლიგანდებს, რომლებიც 3 ან მეტი ატომით არის დაკავშირებული კომპლექსნარმომქმნელთან უზრდებენ პოლიდენტატურს** (მაგალითად, ეთილენდიამინტეტრამძარმჟავა).

**კომპლექსური იონის მუხტი** კომპლექსნარმომქმნელისა და ლიგანდების მუხტების ალგებრული ჯამის ტოლია. მაგალითად,  $[\text{Cu}(-\text{NH}_3)_4][\text{OH}]_2\text{-Si}$  კომპლექსური იონის მუხტი უდრის:  $(+2)+(4 \cdot 0)=+2$ . კომპლექსური იონი შეიძლება იყოს როგორც კატიონი, ისე ანიონი.

**კომპლექსური იონის მუხტის მიხედვით კომპლექსნაერთები შეიძლება იყოს:**

1. კატიონური  $[\text{Ag}(\text{NH}_3)_2]\text{Cl}$ ,  $[\text{Co}(\text{NH}_3)_6]\text{Cl}_3$ ,  $[\text{Cr}(\text{H}_2\text{O})_6]\text{SO}_4$ ,  $[\text{Cu}((\text{NH}_3)_4)\text{SO}_4$ , და სხვ.


2. ანიონური  $\text{K}[\text{Ag}(\text{CN})_2]$ ,  $\text{Li}\{\text{AlH}_4\}$ ,  $\text{K}_4[\text{Fe}(\text{CN})_6]$ ,  $\text{K}_2[\text{Zn}(\text{OH})_4]$  და სხვ.

არსებობს აგრეთვე ნეიტრალური კომპლექსნაერთები, მაგალითად,  $[\text{Pt}(\text{NH}_3)_2\text{Cl}_2]$ ,  $[\text{Co}(\text{NH}_3)_3\text{Cl}_3]$ ,  $[\text{Co}(\text{NH}_3)_3(\text{NO}_2)_3]$  და სხვ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნეიტრალურ კომპლექსნაერთებს გარე სფერო არა აქვთ. იონური ტიპის კომპლექსნაერთებიდან ერთი დისოცირდებიან, რო-

გორც მჟავები, მაგალითად,  $H_2[SiF_6]$ ; მეორენი, როგორც ფუძეები მაგალითად,  $[Cu(NH_3)_4](OH)_2$  და მესამენი, როგორც მარილები, მაგალითად,  $K[Ag(CN)_2]$ . იონური სტრუქტურა სხვა მეთოდებთან ერთად დასტურდება კომპლექსნაერთების ხსნართა ელექტროგამტარობის გაზომვით (იხ. ზემოთ, კომპლექსნაერთების ფორმულების დადგენის ხერხები და მეთოდები). ცნობილია კომპლექს-ნაერთები – არაელექტროლიტები, მაგალითად,  $Fe(CO)_5$ ;  $Ni(CO)_4$  და სხვ. (მეტალთა კარბონილები სანამლავებია!)


**კომპლექსნაერთებს, რომლებშიც კომპლექსნარმომქმნელი და პოლიდენტატური ლიგანდი ციკლს წარმოქმნის, ხელატური კომპლექსი ეწოდება.** ამასთან პილიდენტატური ლიგანდის კავშირი კომპლექსნარმომქმნელთან უფრო მტკიცეა, ვიდრე იმავე დონორული ატომით დამყარებული კავშირი მონოდენტატურ ლიგანდთან. ამ მიზეზით გაზრდილ კომპლექსნაერთის მდგრადობას – ხელატეფექტს უწოდებენ.

მაგალითად, კობალტის კომპლექსნაერთი ეთილენდიამინთან გაცილებით დიდი მდგრადობით ხასიათდება, ვიდრე კობალტის კომპლექსნაერთი ამიაკთან:




ხელატებს, რომლებშიც ლიგანდსა და კომპლექსნარმომქმნელს შორის ბძა დამყარებულია ერთდღროულად, როგორც გაუწყვილებელი, ისე წყვილი ელექტრონების ხარჯზე (დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით), შიგაკომპლექსური (ან შიდაკომპლექსური) ნაერთები ეწოდება.

უმარტივესი ხელატური ნაერთია ამინოძმარმჟავას (გლიცინის) კომპლექსი  $Cu^{2+}$ -თან:




შიგაკომპლექსურ ნაერთს მიეკუთვნება აგრეთვე ნიკელის დიმეტილგლიკოსიმატი (ალმოაჩინა რუსმა მეცნიერმა ჩუგაევმა 1905 წელს – გამოიყენება  $Ni^{2+}$  და  $Pd^{2+}$  რაოდენობრივი განსაზღვრისთვის – კომპლექსონომეტრია):



შიგაკომპლექსურ ნაერთებს მიეკუთვნება ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ჰემოგლობინი და ქლოროფილი. ისინი შეიცავენ ტეტრადენტა-ტურ მაკროციკლს – პორფირინულ დაჯგუფებას.


კომპლექსნაერთთა განსხვავებულ ტიპებს წარმოადგენს პოლიპალოგენიდები, პოლიმჟავები და მათი მარილები. პოლიპალოგენიდებში ცენტრალურ იონს წარმოადგენს ჰალოგენის ანიონი, რომელთანაც კოორდინირებულია იგივე ან სხვა ჰალოგენის მოლეკულები. მაგალითად, **K[J(J<sub>2</sub>)<sub>3</sub>]**. აღნიშნული კომპლექსი მიიღება J<sub>2</sub>-ის გახსნით KJ-ის ხსნარში (იოდი წყალში ცუდად იხსნება, მაგრამ კარგად იხსნება წყალში, რომელშიც KJ-ია გახსნილი). ამ შემთხვევაში J<sub>2</sub>-ის მოლეკულები როგორც ლუისის მჟავა (ელექტრონული წყვილის აქცეპტორი) მოქმედებს იოდიდ იონებთან, როგორც ლუისის ფუძესთან (ელექტრონული წყვილის დონორი).

პოლიმჟავები წარმოადგენს ანიონური ტიპის კომპლექსებს, რომლებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ჟანგბადიანი მჟავის ანიონთან, მჟავის ანჰიდრიდის მიერთების პროდუქტი. ხოლო იმის მიხედვით, იგივე თუ სხვა მჟავას ანჰიდრიდის შეერთების პროდუქტია, განასხვავებენ იზოპოლიმჟავებს და მის მარილებს და ჰეტეროპოლიმჟავებს და მის მარილებს. მაგალითად, ნატრიუმის დიქრომატი იზოპოლიქრომატია, ის არის Na<sub>2</sub>CrO<sub>4</sub>-თან CrO<sub>3</sub>-ის მიერთების პროდუქტი:




კომპლექსების განსხვავებულ სახეობას წარმოადგენს მრავალ-ბირთვიანი კომპლექსები, რომლებიც თავის მხრივ ორგვარია:

1. როდესაც კომპლექსში არის ერთზე მეტი კომპლექსნარმომქმნელი და ისინი ერთმანეთთან გარკვეული ატომებით ან ატომთა ჯგუფებით (ე. წ. „ხიდურებით“) არიან დაკავშირებული:



2. მრავალბირთვიანი კომპლექსები, სადაც მეტალის ატომები ერთმანეთთან უშეულოდ არიან ბმული, ასეთ მრავალბირთვიან კომპლექსებს კლასტერები ეწოდება (9.2). ისინი ჩვეულებრივი მონობირთვული კომპლექსებისაგან სრულიად განსხვავებული ნაერთებია.

კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებაში ცხადყო, რომ მათ მიმართ კოორდინაციული ნაერთების შესახებ არსებული თეორიის გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ კლასტერების ქიმია ახალ, დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა. ამ ნაერთების გამოყენების პერსპექტივები იმდენად მრავალმხრივია, რომ მათი გამოყენების გზების ძიებაში ბუნებისმეტყველების ყველა დარგის სპეციალისტია ჩართული.



ნახაზი 9.2. ზოგიერთი არაორგანული კლასტერის სტრუქტურა

### 6.3. კომპლექსნაერთების ნომენკლატურა

კომპლექსნაერთის სახელწოდების შედგენისას ჯერ მიუთითებენ ლიგანდებს, შემდეგ კი კომპლექსნარმომქმნელს, თუ კომპლექსი სხვა-დასხვა ლიგანდს შეიცავს. პირველად ანიონები აღინიშნება, შემდეგ კი ნეიტრალური მოლეკულები. ანიონების ჩამოთვლა ხდება ასეთი მიმართულებით: მარტივი, შემდეგ რთული.  $K_3[Fe(CN)_6]$  კალიუმის ჰექსაციანოფერატი – ანიონური კომპლექსი.

ანიონურ კომპლექსნაერთებში კომპლექსნარმომქმნელის სახელწოდებას ემატება დაბოლოება „ატი“.

$[Cr(NH_3)_6]Cl_3$  – კატიონური კომპლექსი ჰექსაამინოქრომის ქლორიდი  
 $[Pt(NH_3)_2Cl_2]$  – ნეიტრალური კომპლექსი დიქლოროდიამინოპლატინა

### 6.4. კომპლექსნაერთების იზომერია

კომპლექსნაერთა მრავალრიცხოვნების ერთ-ერთი მიზეზი მათი იზომერიის ტიპების სიმრავლეც არის.


კომპლექსებისთვის დამახასიათებელ იზომერთა ტიპები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაყყოთ: იზომერია, რომელიც დაკავშირებულია შეგა კოორდინაციულ სფეროს შედგენილობის შეცვლასთან (იონიზაციური, კოორდინაციული, ჰიდრატული და ა.შ.) და იზომერია, რომლის

დროსაც კომპლექსის შიდა სფეროს შედგენილობა და კოორდინირებულ ლიგანდთა აღნაგობა არ იცვლება (გეომეტრიული, ოპტიკური და ა.შ.).


**კოორდინაციული იზომერია** დამახასიათებელია კატიონურ-ანიონური კომპლექსებისთვის. ისინი ერთმანეთისაგან კომპლექსურ იონებში ლიგანდთა განაწილებით განსხვავდებიან:




შეიძლება ორივე კომპლექსურ იონში ერთიდაიგივე ელემენტი იყოს კომპლექსწარმომქმნელი:



კომპლექსური იონების ცენტრალურ იონებს შეიძლება ჟანგვის ხარისხები ჰქონდეთ განსხვავებული:



**კოორდინაციული პოლიმერები** ერთმანეთისაგან კომპლექსურ იონებში ლიგანდთა განაწილებით განსხვავდებიან, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია აგრეთვე კოორდინაციული იზომერებისთვის, მაგრამ მათგან განსხვავდებით, კოორდინაციული პოლიმერები ერთმანეთისაგან მოღური მასებითაც განსხვავდებიან. მაგალითად,  $[\text{Pt}(\text{NH}_3)_2\text{Cl}_2]$  მონომერი (ყვითელი ფერის):






კოორდინაციული პოლიმერების შედგენილობა და აღნაგობა გაინსაზღვრება მათი ქიმიური თვისებების, ორგანულ გამხსნელებში მოღური მასების, მოღური ელექტროგამტარობის შესწავლითა და ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით.

**ჰიდრატული იზომერები** განსხვავდებიან ნაერთის შედგენილობა-ში შემავალი წყლის მოლეკულების ფუნქციით, რაშიც იგულისხმება შიდა და გარე კოორდინაციულ სფეროებში წყლის მოლეკულების განსხვავებული განაწილება.

ჰიდრატული იზომერია – ეს ტერმინი ჰირველად ვერნერის მიერ იქნა გამოყენებული აკვაკომპლექსებისთვის. ამ ტიპის იზომერიის უფრო ზოგადი ტერმინია სოლვატური იზომერია.


$\text{CrCl}_3 \cdot 6\text{H}_2\text{O}$  – ამ ემპირიულ ფორმულას პასუხობს ფერით განსხვავებული სამი ჰიდრატული იზომერი:



ჰიდრატული იზომერებია აგრეთვე  $[\text{Co}(\text{NH}_3)_5\text{NO}_3](\text{NO}_3)2\text{eH}_2\text{O}$  და  $[\text{Co}(\text{NH}_3)_5\text{H}_2\text{O}](\text{NO}_3)_3$ . აღნიშნული იზომერების აღნაგობის შესახებ მსჯელობენ მიღების მეთოდების მიხედვით და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლის საფუძველზე.


იონიზაციური იზომერია. იზომერიის ეს სახე ძალიან ახლოს დგას ჰიდრატულ იზომერიასთან. ამ უკანასკნელისგან განსხვავდებით, იონი-

ზაციური იზომერები ერთმანეთისაგან შიდა და გარე სფეროებს შორის იონთა განაწილებით განსხვავდებიან:




**ბმის იზომერია.** ამ ტიპის იზომერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კომპლექსნარმომქმნელთან ლიგანდის, რომელიც რამდენიმე დონორულ ცენტრს შეიცავს, დაკავშირების ხერხით.

მაგალითად,  $\text{NO}_2^-$  (ნიტრიტ-იონი) კომპლექსნარმომქმნელთან შეიძლება კოორდინირდეს აზოტის ან ჟანგბადის ატომით. პირველ შემთხვევაში მიიღება ნიტროკომპლექსები, მეორე შემთხვევაში კი ნიტრიტოკომპლექსები:




**კონფორმაციული იზომერია** განპირობებულია ზოგიერთი კომპლექსის უნარით, შეიცვალოს კოორდინაციული პოლიედრის ფორმა, მაგალითად, ტეტრაედრიდან გადავიდეს „ბრტყელ“ კვადრატში:




**გეომეტრიული იზომერია.** ასეთი იზომერის არსებობისთვის აუცილებელი პირობაა ბრტყელკვადრატულ ან ოქტაედრულ კომპლექსებში სხვადასხვა ტიპის ჩამნაცვლებლების არსებობა (კომპლექსნაერთებში ერთნაირი ლიგანდებით ან ოთხიდან და ექვსიდან მხოლოდ ერთი განსხვავებული ლიგანდის შემთხვევაში, ასეთი იზომერია არ არსებობს).


გეომეტრიული იზომერია არ ახასიათებს ტეტრაედრულ კომპლექსებს. გეომეტრიული იზომერის ერთ-ერთი სახეობა არის ცის-ტრანს იზომერია. ცის-იზომერებში ერთნაირი ლიგანდები ერთ მხარეს არის (მეზობლად), ტრანს-იზომერებში კი – მოპირდაპირე მხარეს.

კომპლექსნაერთებში შედგენილობით  $[\text{MX}_3\text{Y}]^{n+}$  და  $[\text{MX}_5\text{Y}]^{n+}$  X-jgufis კიდევ ერთი Y-ით ჩანაცვლებას მივყავართ  $[\text{MX}_2\text{Y}_2]^{n+}$  და  $[\text{MX}_4\text{Y}_2]^{n+}$  შედგენილობამდე, რომლებიც არსებობენ ასეთი იზომერების სახით:







და





მაგალითად,  $[Pt(NH_3)_2Cl_4]$  არსებობს ორი იზომერული ფორმის სახით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფერითა და სხვა თვისებებით.





ასეთი ტიპის იზომერია დამახასიათებელია ძირითადად VIII ჯგუფის მეტალებისთვის, აგრეთვე ქრომის, სპილენდის და ა.შ. ზემოაღნიშნული კომპლექსები შეიძლება იყოს კატიონური, ანიონური და ნეიტრალურიც. ასეთ იზომერებში შეინიშნება ლიგანდთა ძლიერი ურთიერთგავლენა, განსაკუთრებით როცა ლიგანდები ერთმანეთის მიმართ ტრანს-მდგომარეობაშია. ეს მოვლენა აღმოჩენილ იქნა ჩერნიაევის მიერ და ცნობილია ტრანს-გავლენის სახელწოდებით. ამ მოვლენის არსი მდგომარეობს ლიგანდსა და კომპლექსნარმომქმნელს შორის ბმის გაძლიერებაში ან შესუსტებაში ამ ლიგანდის მიმართ ტრანს-მდგომარეობაში მყოფი სხვა მყოფი სხვა ლიგანდის გავლენით.

მაგალითად, განვიხილოთ  $Pt(II)$ -ის იზომერები. ტეტრაამინოპლატინა(II)-ის გაცხელებით კონც.  $HCl$ -თან მიღება ტრანს-იზომერი:






ხოლო  $K_2[PtCl_4]$ -ზე  $NH_3$ -ის მოქმედებით – ცის-იზომერი:



ცის-იზომერი

რაც შეიძლება აიხსნას  $\text{Cl}^-$ -იონის უფრო ძლიერი ტრანს-გავლენით  $\text{NH}_3$ -ის მოლეკულასთან შედარებით.



ტრანს-გავლენის ძალის მიხედვით მიღებულია ლიგანდთა ასეთი თანმიმდევრობა:




მარცხნიდან მარჯვნივ ტრანს-გავლენა მცირდება. ყოველი მარცხნივ მდგომი ლიგანდი ხელს უწყობს მის მიმართ ტრანს-მდგომარეობაში მყოფი, მარჯვენა ლიგანდის გააქტიურებას (მაგალითად, ჩანაცვლების რეაქციებში შესვლის უნარს), მარჯვნივ მდგომი ლიგანდი კი, პირიქით, აძლიერებს მის მიმართ ტრანს-მდგომარეობაში მყოფი ლიგანდის კავშირს კომპლექსნარმომქმნელთან, ე.ი. ასუსტებს მის რეაქციისუნარიანობას. ე.ი.  $\text{Cl}^-$ -იონი მის მიმართ ტრანსმდგომარეობაში მყოფი  $\text{NH}_3$ -ის მოლეკულას ააქტიურებს,  $\text{NH}_3$  კი პირიქით, მის მიმართ ტრანს-მდგომარეობაში მყოფ  $\text{Cl}^-$ -იონის კავშირს განამტკიცებს კომპლექსნარმომქმნელთან.

ტრანს-გავლენა ძირითადად Pt(II)-ის კომპლექსებისთვის იქნა შესწავლილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის დამახასიათებელია აგრეთვე Pt(IV), Cr(III), Fe(III), Co(III), Au(III) და ა.შ. კომპლექსებისთვის. ამასთან, თოთოეული კომპლექსნარმომქმნელისთვის (განსაზღვრული ჟანგვის ხარისხით) არსებობს ტრანს-გავლენის საკუთარი რიგი, რომელიც დაახლოებით ახლოსაა ზემოთ მოყვანილ რიგთან.

ტრანს-გავლენა არის ელექტრული ეფექტი და დაკავშირებულია კომპლექსურ იონში ელექტრონული სიმკვრივის ცვლილებასთან. როცა ლიგანდი ძლიერად იზიდავს ცენტრალურ ატომთან მაკავშირებელი ბმის  $\pi$ -ელექტრონულ სიმკვრივეს, მაშინ ტრანს-მდგომარეობაში მყოფ ლიგანდა და კომპლექსნარმომქმნელს შორის შესაბამისად მცირდება ელექტრონული სიმკვრივე და ამის შედეგად, M-L-ის  $\pi$ -კავშირი სუსტდება, რაც ლიგანდის რეაქციისუანარიანობის ზრდას იწვევს.

**ოპტიკური იზომერია.** ოპტიკური იზომერიის ცნების ქვემ გვესმის ნივთიერების მიერ პოლაზირებული სხივის სიბრტყის ბრუნვის უნარი. ოპტიკურ იზომერებს ყველა სხვა თვისება ერთნაირი აქვთ; მათ განსხვავებული აქვთ მხოლოდ პოლარიზებული სხივის სიბრტყის ბრუნვის მიმართულება (საათის ისრის ან მისი საწინააღმდეგო). ოპტიკური იზომერები „შეუთავსებელ“, ერთმანეთის სარკულ გამოსახულებებს წარმოადგენენ.


**კომპლექსნაერთებში ოპტიკური იზომერია ვლინდება მაშინ,** როდესაც კომპლექსნარმომქმნელი ოთხ სხვადასხვა ლიგანდთან ან ორ ასიმეტრიულ ბიდენტატურ ლიგანდთან არის დაკავშირებული (ასეთ სტრუქტურას ხირალური ენოდება):



ოპტიკური აქტიურობა დამახასიათებელია აგრეთვე ასიმეტრიული ლიგანდების მქონე შიდაკომპლექსური ნაერთებისთვის. ოპტიკური იზომერები შეუთავსებელ, ერთმანეთის სარკულ გამოსახულებებს წარმოადგენენ.

## 6.5. კომპლექსნაერთების მდგრადობა ხსნარში

როგორც ცნობილია, კომპლექსის გარე სფეროს ნაწილაკები შეგასფეროსთან იონური ბმით არის დაკავშირებული, ამიტომ მათი დისოციაცია წყალსნარებში ადვილად ხდება, დაახლოებით ისე, როგორც ძლიერ ელექტროლიტებში. ამ დისოციაციას პირველადს უწოდებენ. ეს პროცესი შეუქცევადია:




(პირველადი დისოციაცია)

მაგრამ ვინაიდან შიგა სფეროს ნაწილაკების (კომპლექსნარმომ-ქმნელის და ლიგანდების) კავშირი მნიშვნელოვნად მტკიცეა, ამიტომ შიგა სფეროს დისოციაცია უმნიშვნელო ხარისხით ხდება (საუბარია მდგრად კომპლექსებზე). ეს პროცესი




შექცევადია და ხასიათდება არადისოცირებულ კომპლექსურ იონებსა და წარმოქმნილ იონებს შორის წონასწორობით, ამ ხსნარზე რომელიმე ქლორიდის ხსნარის დამატებისას  $\text{AgCl}$ -ის ნალექი არ გამოიყოფა ( $\text{AgCl}$ -ის ხსნადობის ნამრავლია  $1,8 \cdot 10^{-10}$ ), რაც ამ ხსნარში  $\text{Ag}^+$ -ionebis უმნიშვნელო კონცენტრაციის მანიშნებელია. იგივე ხსნარზე  $\text{KJ}$ -ის ხსნარის დამატებისას გამოიყოფა  $\text{AgJ}$ -ის ნალექი (ხსნადობის ნამრავლი  $1 \cdot 10^{-16}$ ), ხოლო  $\text{H}_2\text{S}$ -ის გატარებისას  $\text{Ag}_2\text{S}$ -ის ნალექი (ხსნადობის ნამრავლი  $1 \cdot 10^{-51}$ ). მიმდინარე პროცესები შემდეგი განტოლებით გამოისახება:



ე.ო. თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მაინც არის ამ ხსნარში  $\text{Ag}^+$ -იონები.

$[\text{Ag}(\text{NH}_3)_2]^+$ -იონის დისოციაციის პროცესი, ამავე დროს შეიძლება განვიზილოთ, როგორც ამ კომპლექსური იონის წარმოქმნის რეაქცია:



მოქმედ მასათა კანონის საფუძველზე ამ სისტემის წონასწორობის კონსტანტა:

$$K = \frac{[\text{Ag}(\text{NH}_3)_2]^+}{[\text{Ag}^+] [\text{NH}_3]^2} \quad (6.1)$$

K-ს მნიშვნელობით შეიძლება მსჯელობა კომპლექსის მდგრადობაზე, ამიტომ აღნიშნულ მუდმივას კომპლექსის მდგრადობის მუდმივა უწოდეს. რაც უფრო გადახრილია წონასწორობა კომპლექსის წარმოქმნის მხარეს, მით უფრო მაღალი იქნება  $K_{\text{შდ}}$ -ის მნიშვნელობა:

$$K_{\text{შდ}} = \frac{1}{K_{\text{გდ}}} \quad (6.2)$$

$K_{\text{გდ}}$ -ის შეპრუნებულ სიდიდეს უმდგრადობის მუდმივას უწოდებენ. ის კომპლექსის დისოციაციის პროცესის წონასწორობის მუდმივას წამოადგენს.

რაც უფრო ნაკლებია უმდგრადობის მუდმივას მნიშვნელობა, მით უფრო მდგრადია კომპლექსი.

## 6.6. ქიმიური ბმის ბუნება კომპლექსნაერთებში

### 6.6.1. კომპლექსნაერთების აღწერა ვალენტური ბმების თეორიის თვალსაზრისით

კომპლექსური ნაერთების თვისებებისა და წარმოქმნის მექანიზმის ასახსნელად მრავალი თეორია გამოიყენება. მათ შორის ისტორიული თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველია ვალენტური ბმის (ვპ) მეთოდი, რომელიც კომპლექსებისთვის პირველად პოლინგმა გამოიყენა. ის წარმოადგენს ლუისი-ლანგმიური-სიჯვიკის კოორდინაციული თეორიის პირდაპირ განვითარებას. კომპლექსნაერთების აღნაგობის თეორია წარმოიშვა მცდელობიდან გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რატომ შეუძლია ბევრ მდგრად მოლექულას კომპლექსნარმომქმნელთან მიერთება.


ეს თეორია ამჟამადაც ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას კომპლექსნაერთების სტერეოქიმიის, მაგნიტური და ზოგიერთი სხვა თვისების ახსნისათვის.

ამ თეორიის მიხედვით, კომპლექსნაერთების წარმოქმნა კომპლექსნარმომქმნელებსა და ლიგანდებს შორის დონორულ-აქცეპტორული [ლუისის ფუძის (ლიგანდის), როგორც ელექტრონული წყვილების დონორისა და ლუისის მჟავას (კომპლექსნარმომქმელი), როგორც ელექტრონული წყვილების აქცეპტორის] ურთიერთებულების ხარჯზე, მიმდინარეობს. დაყყარებულ კოვალენტურ ბმებს შორის, მინიმუმ, ერთი მაინც უნდა იყოს წარმოქმნილი დონორ-აქცეპტორული მექანიზმით. ბმა ხორციელდება აქცეპტორის თავისუფალი ორბიტალებისა და დონორის ელექტრონული წყვილებით დასახლებული ორბიტალების გადაფარვით. ამასთან, კომპლექსნარმომქმნელის თავისუფალი ორბიტალები, რომლებიც ბმების წარმოქმნაში მონანილეობენ (ძირითადად ენერგეტიკულად არაექვივალენტური არიან), განიცდიან ჰიბრიდიზაციას. მიღებული ჰიბრიდული ორბიტალები ერთმანეთისაგან მხოლოდ სივრცეში მიმართულებით განსხვავდებიან. ცენტრალური ატომის კოორდინაციული რიცხვი ჰიბრიდული ორბიტალების რიცხვის ტოლია, ხოლო კომპლექსის სტრუქტურა ჰიბრიდული ორბიტალების რიცხვით განისაზღვრება.

განვიხილოთ ვპმეთოდით რამდენიმე კომპლექსის წარმოქმნა.

$[Ag(NH_3)_2]^+$ -ის წარმოქმნა:

$Ag^+$ -იონის ელექტრონული კონფიგურაცია თავისუფალ მდგომარეობაში ასეთია:





ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ცენტრალურ ატომის s და p ორბიტალების ჰიბრიდიზაციას ( $\text{sp}^3$ -ჰიბრიდიზაცია), რასაც შეესაბამება კოორდინაციული რიცხვი 2 და კომპლექსის ხაზოვანი აღნაგობა.


ოთხის ტოლი კოორდინაციული რიცხვის შემთხვევაში კომპლექსნა-ერთს შეიძლება ჰქონდეს ტეტრაედრული ან ბრტყელი კვადრატის ფორმა. განვიხილოთ ამონიუმის იონის ნარმოქმნა. ამიაკის აზოტი იმ-ყოფება  $\text{sp}^3$ -ჰიბრიდულ მდგომარეობაში, რომელსაც შეესაბამება ტეტრაედრის წვეროებისკენ მიმართული ოთხი ჰიბრიდული ორბიტალი, რომელთაგან ერთერთზე არსებული წყვილი ელექტრონის ხარჯზე ამიაკის აზოტი იერთებს  $\text{H}^+$ -იონს ამონიუმის იონის ნარმოქმნით  $[\text{NH}_4]^+$ , რომელ-საც ტეტრაედრის ფორმა აქვს. ასეთივე აღნაგობა აქვს  $[\text{BF}_4]^-$ -იონსაც, რომელშიც ელექტრონული წყვილების დონორი  $\text{F}^-$ -იონებია, ხოლო აქ-ცეპტორი -  $\text{sp}^3$ -ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი ბორის ატომი.

იგივე გეომეტრიული კონფიგურაცია აქვს **თუთიის ქვეჯგუფის ელექტრონების ზოგიერთ კომპლექსს**. მაგალითად,  $[\text{Zn}(\text{NH}_3)_4]^{2+}$ ,  $[\text{Cd}(\text{NH}_3)_4]^{2+}$ ,  $[\text{HgI}_4]^{2-}$  და ა.შ.


$\text{Zn}^{2+}$ -იონს თავისისუფალი აქვს 4s და 4p ორბიტალები, რომლებიც განიცდიან ჰიბრიდიზაციას, რასაც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, შეესაბამება ტეტრაედრის წვეროებისაკენ მიმართული ენერგეტიკულად ექვივალენტური ოთხი ორბიტალი, რომლებზეც ხდება ლიგანდის ელექტრონული წყვილების ჩასახლება. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ კომპლექსურ იონს ტეტრაედრული აღნაგობა აქვს:



$[BeF_4]^{2-}$  ტეტრაედრული იონის ნარმოქმნა შეიძლება შემდეგი სქემით ნარმოვადგინოთ:






$Be^{2+}$  იონს აქვს თავისუფალი  $2s$ - და  $2p$ -ორბიტალები (სქემა). ისინი ნარმოვადგენენ იმ ოთხი ელექტრონული წყვილის აქცეპტორს, რომელსაც იძლევა ფითორიდ-იონი:



$[BeF_4]^{2-}$  კომპლექსური იონის ტეტრაედრული აგებულება ეფუძნება ბერილიუმის ვალენტური ორბიტალების  $sp^3$ -ჰიბრიდიზაციას.


ოქტაედრული კომპლექსები ნარმოიქმნება აგრეთვე  $Cr^{3+}$  იონის ფითორიდ-, ჰიდროქსიდ- და სხვა ლიგანდებთან ურთიერთებით:



გაცილებით მტკიცე ბმები ნარმოიქმნება, როცა ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობს  $d$ -ორბიტალები, ამიტომ  $d$ -ელემენტები ტიპური კომპლექსების ნარმომქმნელებია.  $d$ -ორბიტალების ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობისათვის აუცილებელია ცენტრალურ ატომს ჰქონდეს თავისუფალი, ნაწილობრივ თავისუფალი ან არაგანყვილებული ელექტრონებით შევსებული  $d$ -ორბიტალები.

განვიხილოთ  $d$  ელემენტების (რომელთაც ორბიტალებიდან ელექტრონებით შევსებული აქვთ ოთხი) კომპლექსები ოთხის ტოლი კოორდინაციული რიცხვით. ისინი ღიგანდთა ელექტრონებისთვის იყენებენ ( $n-1$ ) $d$ ,  $ns$ ; ხოლო  $n p$  ორბიტალებიდან ორს. ე.ი. ადგილი აქვს კომპლექს-ნარმომქმნელის  $dsp^2$  ორბიტალების ჰიბრიდიზაციას. მაგალითად, განვიხილოთ კომპლექსი  $[Pt(NH_3)_4]^{2+}$ .


### $Pt^{2+}$ -ის ელექტრონული კონფიგურაცია




ალნიშნული ტიპის ჰიბრიდიზაციას შეესაბამება კვადრატული კო-ორდინაცია, ლიგანდები განლაგებულია კვადრატის ნვეროებში. კომპლექსი დიამაგნიტურია (არ არის გაუინტენციული ელექტრონები).

კომპლექსის მაგნიტური თვისებები განისაზღვრება ორბიტალებზე ელექტრონების ჩასახლების ხასიათით, გაუწყვილებელი ელექტრონების არსებობის შემთხვევაში კომპლექსი ჰარამაგნიტურია, ხოლო ასეთი ელექტრონების არარსებობისას – დიამაგნიტური.


ექვსის ტოლ კოორდინაციულ რიცხვს შეესაბამება ოქტაედრული აღნაგობა. განვიხილოთ კომპლექსი, რომელიც ოქტაედრულია და დიამაგნიტური.  $Co^{3+}$ -ს არააღზნებულ მდგომარეობაში შეესაბამება ელექტრონული კონფიგურაცია:



ღიგანდთა ოქტაედრული განლაგებისათვის საჭიროა  $Co^{3+}$ -ionis 3დ ქვედონიდან ორი ორბიტალის გამოთავისუფლება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას ორი საშუალებით: 1) 3d ორბიტალიდან ორი ელექტრონის ენერგეტიკულად უფრო მაღალ  $4s$ ,  $4p$  ან  $5s$  ორბიტალებზე გადაყვანის „პრომოუტირება“ ან 2) 3d ორბიტალებზე ელექტრონების განყვილება. ენერგეტიკულად უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა მეორე შემთხვევა. მართლაც მიღებული კომპლექსი აღმოჩნდა დიამაგნიტური, რაც ექსპერიმენტით დადასტურდა.



მაგრამ აღმოჩნდა, რომ  $\text{Co}^{3+}$ -ის ყველა ოქტაედრული კომპლექსი როდია დიამაგნიტური. მაგალითად, ოქტაედრული კომპლექსი პარა-მაგნიტურია. მასში შენარჩუნებულია გაუწყვილებელი ელექტრონები.




მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ერთიდაიგივე კომპლექსნარ-მომქმნელის შემთხვევაში, ლიგანდის ბუნებიდან გამომდინარე, კომპ-ლექსი შეიძლება იყოს პარამაგნიტური ან დიამაგნიტური.

ვალენტური ბმის მეთოდი ამ მოვლენის ასახსნელად ასეთ გამოსა-ვალს პოულობს: კომპლექსები დაიყო ორ ჯგუფად,  $[\text{CoF}_6]^{3-}$  ტიპის კომპ-ლექსები მიეკუთვნა იონურს, ხოლო  $[\text{Co}(\text{NH}_3)_6]^{3+}$  - კოვალენტურს.

იონურ კომპლექსებში არ ხდება ლიგანდისა და მეტალთა იონების ორბიტალების გადაფარვა, არამედ, მეტალსა და ლიგანდს შორის ადგილი აქვს მხოლოდ ელექტროსტატიკურ ურთიერთებას. ასე რომ, კომპლექსნარმომქმნელის ელექტრონული კონფიგურაცია ამ შემ-თხვევაში ცვლილებას არ განიცდის. აქედან გამომდინარე, თუ თავისუფალ იონში იყო გაუწყვილებელი ელექტრონები, მოხდება მისი შენარჩუნება.

მაგრამ ბევრი კომპლექსის აღნაგობის ახსნა ამ მიდგომითაც არ ხერხდება. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ  $\text{Ni}(\text{II})$ -ის ყველა ოქტაედრული კომპლექსი პარამაგნიტურია, ამავე დროს ყველა მათგანის „იონურისთვის“ მიკუთვნება შეუძლებელია, რადგან  $\text{Ni}^{2+}$ -ის კომპლექსები ბევრი კინეტიკურად „ინერტულია“ (ლიგანდების მი-მოცვლა ძნელად მიმდინარეობს, გაძნელებული მიმოცვლა კოვალენტური ძალების დამახასიათებელია, ამიტომ აუცილებელია ასეთი კომპლექსებისთვის დონორულ-აქცეპტორული ურთი-ერთეულების გათვალისწინება).

ვალენტური ბმების მეთოდს ასეთი შემთხვევებისთვის შემოაქვს შიგა და გარეორბიტალური კომპლექსების ცნება. ერთიც და მეორეც ნარმოიქმნება დონორულ-აქცეპტორული ურთიერთებებით, იმ გან-სხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობს (n-1)d ორბიტალები (შიგაორბიტალური), მეორე შემთხვევაში კი nd ორბი-ტალები (გარეორბიტალური), რომელთაც შიგა d ორბიტალებთან შე-დარებით მაღალი ენერგია აქვთ. თუმცა, ყველა წინააღმდეგობის ახსნა ამ მიდგომითაც შეუძლებელი აღმოჩნდა.



მათ შორის პირველი დიამაგნიტურია, მეორე – პარამაგნიტური.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ვალენტური ბმის მე-თოდს კომპლექსური ნაერთების ბევრი თვისების ახსნა არ შეუძლია. მაგალითად, ის ვერ ხსნის, თუ რატომ ხდება ზოგიერთ კომპლექსში გაუწყვილებელი ელექტრონების შენარჩუნება და მაღალსპინური კომპლექსების ნარმოქმნა. ეს მეთოდი ვერ ხსნის კომპლექსების შთანთქმის სპექტრებს, არ ითვალისწინებს კომპლექსნარმომქმნელსა და ლიგანდს შორის  $\pi$ -დატიური ურთიერთქმედების არსებობას, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის კომპლექსების მდგრადობას. ეს მეთოდი საერთოდ ვერ ხსნის „სენდვიჩური“ და ზოგიერთი სხვა რთული კომპლექსების აღნაგობას.

### 6.6.2. კრისტალური ველის თეორია

კრისტალური ველის თეორია ემყარება ცენტარლურ იონსა და ლიგანდებს შორის ურთიერთქმედების ელექტროსტატიკურ ხასიათს. ამ თეორიის მიხედვით, კომპლექსნამომქმნელსა და ლიგანდს შორის ბმა იონური ან იონ-დიპოლურია. ეს თეორია ითვალისწინებს ცენტარლური ატომის d-ორბიტალების განსხვავებულ სივრცით განლაგებას და აქედან გამომდინარე, მათი ენერგიების განსხვავებულად შეცვ-ლას ლიგანდის ელექტრონულ ლრუბლებთან ურთიერთქმედების შედეგად.


კრისტალური ველის თეორია თავდაპირველად გამოყენებულ იქნა კრისტალური ნივთიერებების თვისებათა ასახსნელად და სახელწოდებაც აქედან მიიღო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს თეორია თანაბრად მისა-დებია გეომეტრიულად სწორად განლაგებულ ელექტრულად მოქმედ ნანილაკებისგან აგებული ნებისმიერი სისტემის მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, კომპლექსური იონები.

ეს თეორია არ ითვალისწინებს ლიგანდთა ზომებს და ელექტრონულ აღნაგობას. ლიგანდები ამ შემთხვევაში განიხილებიან, როგორც ნერ-ტილოვანი უარყოფით მუხტები ან დიპოლები, რომლებიც სივრცეში ისე ორიენტირდებიან, რომ მათ შორის არსებული უართიერთგანზიდვის ენერგია იყოს მინიმალური. ექვსის ტოლი კოორდინაციული რიცხვის

შემთხვევაში, ეს პირობა ლიგანდთა ოქტაედრული განლაგებისას მიიღწევა, ხოლო 4 კ.რ. შემთხვევაში – ტეტრაედრული (ზოგჯერ კვადრატი) განლაგებისას.

გარდამავალი მეტალების დ ელექტრონები განაწილებულია (პაულის პრინციპის და ჰუნდის ნესების შესაბამისად) ერთიდაიმავე დონის 5d ორბიტალზე ( $d_{x^2}$ ,  $d_z^2$ ,  $d_{xy}$ ,  $d_{xz}$  და  $d_{yz}$ ), რომლებიც თავისუფალ ატომში ან იონში ენერგეტიკული თვალსაზრისით ტოლფასია. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ სივრცითი ორიენტაციით განსხვავდებიან. ასეთ ორბიტალებს გადაგვარებულს უწოდებენ. თუ წარმოვიდგენთ, რომ ლიგანდები ქმნიან თანაბარი განაწილების სფერულ ელექტროსტატიკურ ველს, რომლის ცენტრშიც არის ცენტრალური იონი, ამ შემთხვევაში  $d$ -ორბიტალების ენერგია ლიგანდების განძიდავი ძალის მოქმედებით იცვლება, მაგრამ ყველასი ერთნაირად, ისე რომ, მათი გადაგვარებულობა არ მოიხსნება. ყველა ქ მობიტალი რჩება ენერგეტიკულად ტოლფასი. მაგრამ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა იონი ლიგანდთა ოქტაედრულ, ტეტრაედრულ ან სხვა ტიპის გარემოცვაშია (ნაკლებ სიმეტრიულში, ვიდრე სფეროა). ამ შემთხვევაში სხვადასხვანაირად ორიენტაციებული დ ორბიტალების მიმართ ლიგანდთა ველის გავლენა ერთნაირი ვერ იქნება და, შესაბამისად, მათი ენერგიებიც განსხვავებულად იცვლება. მათი ენერგიები აღარ იქნება ენერგეტიკულად ტოლფასი. ასეთ პირობებში გადაგვარებულობა იხსნება. ლიგანდთა ოქტაედრული გარემოცვისას  $d$ -მეტალების იონთა ორბიტალები, რომლებიც ოქტაედრის ღერძების გასწვრივ არის მიმართული, რომლის წვეროებშიც ლიგანდებია, განიცდიან მეტ ელექტროსტატიკურ ურთიერთქმედებას, ვიდრე ეს  $d$  ორბიტალები ( $d_{xy}$ ,  $d_{xz}$  და  $d_{yz}$ ), რომლებიც ამ ღერძებს შორის არსებული კუთხის ბისექტრისას გასწვრივაა. ამიტომ  $d_{x^2-y^2}$  და  $d_z^2$  ორბიტალების ენერგია ოქტაედრულ კომპლექსებში აღმოჩნდება უფრო მაღალი, ხოლო  $d_{xy}$ ,  $d_{xz}$  და  $d_{yz}$  ორბიტალების კი უფრო დაბალი იმ ენერგიასთან შედარებით, რომელიც მათ აქვთ გადაგვარებულ მდგომარეობაში. ე.ი. თუ თავისუფალ ან ჰიპოთეტურ სფერული სიმეტრიის ველში გარდამავალი მეტალის ატომის ან იონის ყველა ხუთი ორბიტალი ენერგიით ერთნაირია, ოქტაედრულ ველში ისინი ორი განსხვავებული ენერგიის მქონე ჯგუფად იყოფა: ენერგეტიკულად ხელსაყრელი  $d_{xy}$ ,  $d_{xz}$  და  $d_{yz}$  ორბიტალები, რომლებსაც აღნიშნავენ  $t_{2g}$ -თი და ორი ენერგეტიკულად არახელსაყრელი ორბიტალი  $d_{x^2-y^2}$  და  $d_z^2$  რომელსაც  $e_g$ -თი აღნიშნავენ.

$t_{2g}$  და  $e_g$  ორბიტალების ენერგიათა სხვაობას გახლეჩის ენერგიას უწოდებენ და აღნიშნავენ  $\Delta$ -თი. მისი ექსპერიმენტული განსაზღვრა კომპლექსური ნაერთის შთანთქმის სპექტრის საფუძველზე ხდება. ოქტაედრულ კომპლექსებში გახლეჩის ენერგია  $t_{2g}$ -ორბიტალებზე მყოფი თითოეული ელექტრონისთვის, გადაგვარებული ორბიტალების ენერგიასთან შედარებით  $3/5\Delta_{\text{ოქტ}} - \text{ით}$  მაღალია, ხოლო  $e_g$ -ორბიტალებზე  $2/5\Delta_{\text{ოქტ}} - \text{ით}$  დაბალი. ნახ. 6.3 მოცემულია  $t_{2g}$  და  $e_g$  ორბიტალების გახლეჩის სქემა.



ნახაზი 6.3  $t_{2g}$  და  $e_g$  ორბიტალების გახლეჩის სქემა

Δ-ს მნიშვნელობა დამოკიდებულია კომპლექსის კონფიგურაციაზე, ლიგანდისა და კომპლექსნარმომქმნელის ბუნებაზე. კომპლექსის სხვადასხვა სივრცით კონფიგურაციას Δ-ს განსხვავებული მნიშვნელობა შეესაბამება.

ლიგანდთა ტეტრაედრული გარემოცვისას  $d_{xy}$ ,  $d_{xz}$  და  $d_{yz}$  ორბიტალები ლიგანდთა ველის უფრო ძლიერ გავლენას განიცდიან, ვიდრე  $d_{x^2-y^2}$  და  $d_2$  ორბიტალები. ამიტომ ელექტრონებს  $e_g$  ორბიტალებზე უფრო დაბალი ენერგია აქვთ, ვიდრე  $t_{2g}$ -ორბიტალებზე. ამასთან, ტეტრაედრული გარემოცვისას გახლეჩვის ენერგიის მნიშვნელობა ოქტაედრულთან შედარებით დაბალია. თუ ლიგანდები და მათი დაშორება კომპლექსნარმომქმნელისგან ერთნაირია, ტეტრაედრული გარემოცვის Δ-ს მნიშვნელობა ოქტაედრულის  $4/9$ -ს შეადგენს. ( $\Delta_{\text{ტეტ}} = 4/9 \Delta_{\text{ოქტ}}$ ). ტეტრაედრულ კომპლექსნართებში  $t_{2g}$ -ქვედონის თითოეული ელექტრონის ენერგია  $2/5 \Delta_{\text{ტეტ}} - \text{ით}$  უფრო მაღალია, ხოლო  $e_g$ -ზე  $3/5 \Delta_{\text{ტეტ}} - \text{ით}$  უფრო დაბალია სუთუერ გადაგვარებულ მდგომარეობასთან შედარებით.


გახლეჩის ენერგია გარდამავალ მეტალთა უანგვის ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება, რამდენადაც უანგვის ხარისხის ზრდასთან ერთად ცენტრალურ იონსა და ლიგანდს შორის მანძილი მცირდება და ურთიერთქმედება ძლიერდება.

გარდა ამისა, გახლეჩის ენერგია იზრდება  $3d$ ,  $4d$ ,  $5d$ -მიმართულებით გარდამავალ მეტალებში პერიოდის ნომრის ზრდასთან ერთად,  $\Delta = 30\text{--}35\%$ -ით იზრდება. ეს გამოწვეულია  $d$ -ორბიტალების სივრცითი განელილობის ზრდით, რაც აძლიერებს ლიგანდებთან ურთიერთქმედებას.

$$\begin{array}{lll} \text{მაგალითად, } [\text{Co}(\text{NH}_3)_6]^{3+} & \Delta_{\text{oqt.}} = 3000 \text{ სმ}^{-1} \\ [\text{Rh}(\text{NH}_3)_6]^{3+} & \Delta_{\text{oqt.}} = 34000 \text{ სმ}^{-1} \\ [\text{Ir}(\text{NH}_3)_6]^{3+} & \Delta_{\text{oqt.}} = 41000 \text{ სმ}^{-1} \end{array}$$

ერთიდაიგივე ცენტრალური იონისა (ერთნაირი უანგვის ხარისხით) და ერთნაირი კონფიგურაციის კომპლექსებისთვის Δ-ს მნიშვნელობა დამოკიდებულია ლიგანდის მიერ შექმნილი ველის სიძლიერეზე. კომ-

პლექსთა შთანთქმის სპექტრების ექსპრიმენტული და კვანტურ-მექანიკური გათვლების საფუძველზე მიღებულია ლიგანდთა სპექტროქიმიური რიგი. ლიგანდები, რომლებიც ამ მწკრივში ამიაკამდეა, ქმნიან ძლიერ ველს, ხოლო მარჯვნივ მდგომი – სუსტ ველს:




კრისტალური ველის თეორია საკმაოდ მარტივად და თვალსაჩინოდ ხსნის კომპლექსთა მაგნიტურ თვისებებს, შთანთქმის სპექტრებსა და რიგ სხვა თვისებებს. ამისათვის საჭიროა ლიგანდების ველში მოქცეული ცენტრალური ონბიტალებზე ელექტრონების განაწილების ცოდნა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია გახლეჩის ენერგიისა ( $\Delta$ ) და იმ ენერგეტიკულ დანახარჯს (ρ) შორის თანაფარდობაზე, რაც საჭიროა ელექტრონების გასაწყვილებლად.

როცა გახლეჩის ენერგიაზე მაღალი აღმოჩნდა ერთიდაიგივე ორბიტალის ელექტრონების განზიდვის ენერგია ( $\Delta > \rho$ ), ველის შემთხვევა), მაშინ ორბიტალები თანდათანობით შეივსება თითო ელექტრონით და შემდეგ დაინტება განყვილება. ამ შემთხვევაში მიიღება მაღალ-სპინური ( $\text{S}\pi\text{n}-\text{T}\pi\text{v}$ ), პარამაგნიტური კომპლექსები.  $d$ -ლიერი ველის შემთხვევაში ( $\Delta > \rho$ ), ჯერ ბოლომდე ივსება დაბალი ენერგიის ორბიტალები – ოქტაედრულ კომპლექსებში და მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავებს ელექტრონი მაღალი ენერგიის ორბიტალებს. ამიტომ მიიღება დიამაგნიტური, დაბალ-სპინური კომპლექსები.

ცენტრალური ონბიტალული ელექტრონული სტრუქტურებისა და სპექტროქიმიურ რიგში ლიგანდების მდებარეობის მიხედვით, კომპლექსნარმოქმნა დაკავშირებულია სხვადასხვა სიდიდის ენერგიის მოგებასთან. ამ ენერგიის კრისტალური ველის სტაბილიზაციის ( $\text{C}\cdot\text{H}\cdot\text{O}$ ) ენერგიას უწოდებენ. სტაბილიზაციის მიღწევა ხდება ლიგანდთა ველით გახლეჩილი მოცემული დონის ნაკლები ენერგიის ქვედონეზე, ცენტრალური ატომის ელექტრონების განთავსებით.

განვიხილოთ ლიგანდთა ოქტაედრულ გარემოცვაში მყოფი ცენტრალური ონბიტალული ელექტრონების განაწილება: ელექტრონები რა თქმაუნდა პირველ ყოვლისა დაიკავებს ნაკლები ენერგიის  $\text{eg}$ -ორბიტალებს.




ელექტრონები, ჰუნდის წესის შესაბამისად, რჩება გაუზენილებელი. ამასთან, ელექტრონების რიცხვის ზრდასთან ერთად, კრისტალური ველის სტაბილიზაციის ენერგია იზრდება ( $t_{2g}^1, t_{2g}^2, t_{2g}^3$ ).

$d^4$  კონფიგურაციის შემთხვევაში კი მეოთხე ელექტრონს ორი შესაძლებლობა აქვს. ლიგანდთა  $d$ -ლიერი ველის შემთხვევაში ( $\Delta > \rho$ ) გაგრძელდება  $t_{2g}$  ორბიტალებზე ელექტრონების ჩასახლება, ე.ი. მოხდება ელექტრონთა განყვილება და არ მოხდება ელექტრონის გადასვლა ენერგე-


ტიკულად არახელსაყრელ ეგ ორბიტალებზე. კ.ვ.ს.ე. მომდევნო ელექტრონების რიცხვის ზრდასთან თანდათან გაიზრდება  $t_{2g}^6$ -მდე. ამ დროს ეგ ვაკანტურია და კ.ვ.ს. ენერგია არის მაქსიმალური კ.ვ.ს.ე. =  $2/5 \Delta_{\text{ოქ}} \cdot 6 = 12/5 \Delta_{\text{ოქ}}$ . ეს არის ძლიერი ლიგანდის ოქტაედრულ ველში ენერგიის ყველაზე მაღალი მოგების შემთხვევა.

$\text{Co}^{3+}$  თავისუფალ იონში  $d$ -ელექტრონების განაწილება ასეთია:

$\text{Co}^{3+} (d^6)$



გათვლილია, რომ  $\text{Co}^{3+}$ -იონში ერთიდაიგივე ორბიტალების ელექტრონ-ელექტრონის განზიდვის ენერგია  $252 \text{ კ.ჯოული}/\text{მოლი}$  ტოლია, ხოლო  $3d$  ორბიტალების გახლეჩის ენერგია ამიაკის მოლეკულების ოქტაედრულ ველში –  $265 \text{ კ.ჯოული}/\text{მოლი}$  ( $\Delta > \rho$ ).



განხილული კომპლექსი დაბალსპინური და დიამაგნიტურია, მაგრამ  $d^6$ -ის ზემოთ  $d$ -ელექტრონების რიცხვის ზრდისას, ისინი იძულებული არიან დაიკავონ ენერგეტიკულად არახელსაყრელი ეგ ორბიტალები, რაც იწვევს კრისტალური ველის სტაბილიზაციის ენერგიის შემცირებას, ხოლო თუ ეგ მთლიანად შეიიღსება ( $e_g^4$ ), ეს ენერგია გახდება ნულის ტოლი.


$$t_{2g}^6 \quad \text{კ.ვ.ს.ე.} = 2/3 \Delta_{\text{ოქ}} \cdot 6 = 12/5 \Delta_{\text{ოქ}}. \\ e_g^4 \quad \text{კ.ვ.ს.ე.} = 3/5 \Delta_{\text{ოქ}} \cdot 4 = 12/5 \Delta_{\text{ოქ}}.$$

ე.ო. მოხდება ენერგიათა კომპენსირება და ჯამი ნულის ტოლი გახდება.

სუსტი ველის ლიგანდების ოქტაედრული გარემოცვისას ( $\Delta < \rho$ ), მეოთხე  $d$  ელექტრონი, რომელსაც არა აქვს ორბიტალზე მყოფი ელექტრონის გაზიდვის დასაძლევად საჭირო ენერგია, იკავებს ერთ-ერთ ეგ ორბიტალს და ამით ამცირებს კრისტალური ველის სტაბილიზაციის ენერგიას ( $t_{2g}^6, d^1_g$ ). მეხუთე  $d$  ელექტრონის შემთვევაში ( $d^2_g$ ) მოხდება  $d$  ორბიტალების სანახევროდ მთლიანი შევსება –  $t_{2g}^3 e_g^2$  და კ.ვ.ს.ე. გახდება ნულის ტოლი.

მაგალითისთვის განვიხილოთ კომპლექსი  $[\text{CoF}_6]^{3-}$ .

3d ორბიტალების გახლეჩის ენერგია  $F^-$ -იონების ოქტაედრულ ველში 156 კ.ჯ./მოლის ტოლია ( $\rho > \Delta$ ).



კომპლექსში ხორციელდება  $t_{2g}^6 e_g^2$  კონფიგურაცია. კომპლექსში თავისუფალ იონთან შედარებით ელექტრონების რიცხვი არ შეცვლილა. აქედან გამომდინარე,  $[CoF_6]^{3-}$  კომპლექსი მაღალსპინური და პარამაგნიტურია.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,  $Co^{3+}$  ( $d^6$ ) იონის ( $d$ -ლიერ ოქტაედრულ ველში), კ.ვ.ს.ე. =  $12/5\Delta_{oqt}$ .

$Co(II)$ -ის ( $d^7$ ) კ.ვ.ს.ე. =  $2/5\Delta_{oqt} \cdot 6 - 3/5\Delta_{oqt} = 9/5\Delta_{oqt}$ . ე.ი. უფრო ნაკლებია. ასეთივე ელექტრონული კონფიგურაცია აქვს  $Ni(III)$  -ს ( $d^7$ ).

კრისტალური ველის სტაბილიზაციის ენერგიის დაბალ მნიშვნელობებს ლაბილური კომპლექსები შეესაბამება და პირიქით.


კრისტალური ველის თეორიის მიხედვით ოქტაედრული კომპლექსები ენერგეტიკული თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ტეტრაედრული, თუმცა არის შემთხვევები, როცა ორივე კონფიგურაციის ნარმოქმნას დაახლოებით ერთნაირი ალბათობა აქვს.

მაგალითად, განვიხილოთ  $Co(II)$ -ის კომპლექსები.  $d$ -ელექტრონების განაწილება ლიგანდთა სუსტი օქტაედრული ველის შემთხვევაში შემდეგნაირად ხდება:  $t_{2g}^5 e_g^2$ .



$$\text{კ.ვ.ს.ე. (ოქტ.)} = 2/5\Delta_{oqt} \cdot 5 - 3/5\Delta_{oqt} \cdot 5 = 4/5\Delta_{oqt}$$


$$\text{კ.ვ.ს.ე. (ტეტრ.)} = 3/5\Delta_{tetr} \cdot 4 - 2/5\Delta_{tetr} \cdot 3 = 6/5\Delta_{tetr}$$



რამდენადაც  $\Delta_t = 4/9\Delta_{oqt}$ ,  $6/5\Delta_{tetr} = 6/5 \cdot 4/9\Delta_{oqt} = 3/5\Delta_{oqt}$ . ე.ი. ამ ენერგიათა მნიშვნელობები დაახლოებით ერთნაირია  $3/5\Delta_{oqt}$ . და  $4/5\Delta_{oqt}$ . ამიტომ  $Co(II)$ -ის კომპლექსებში (სუსტი ველი) ადგილი აქვს ამ ორი ფორმის ნონასწორული ნარევის ნარმოქმნას:



ასევე ამიაკურ კომპლექსებშიც:



$Ni(II)$ -ის იონში ( $d^8$ )  $d$ -ლიერი და სუსტი օქტაედრული ველის შემთხვევაში, ელექტრონების ერთნაირ განაწილებას აქვს ადგილი  $t_{2g}^6 e_g^2$ .

თუმცა კვადრატული სიმეტრიის ძლიერ ველში სუსტ ველთან შედარებით ენერგიის დამატებით მოგებას აქვს ადგილი. იმასთან დაკავშირებით, რომ კვადრატული სიმეტრია  $d$ -ორბიტალების გადაგვარებულობის დამატებით მოხსნას იწვევს.

აქედან გამომდინარე, თუ  $Ni^{2+}$ -იონი მოხვდება ძლიერი ველის ლი-განდების გარემოცვაში, რომელთა მოქმედებისას მიღებული გახლეჩის ენერგია აკომპენსირებს  $e_g$  ქვედონეზე ელექტრონების განყვილებისათვის საჭირო ენერგიას, შეიძლება ამ შემთხვევაში კვადრატული კონფი-გურაცია აღმოჩნდეს ყველაზე ხელსაყრელი.

კრისტალური ველის თეორიით შესაძლებელია კომპლექსთა არა მარტო მაგნიტური თვისებების, არამედ მათი სპეციფიური შეფერილობების ახსნაც. მაგალითად,  $Ti^{3+}$ -იონს აქვს ერთი და ელექტრონი ( $d^1$ ), რომელიც ნორმალური, არააღზნებული მდგომარეობისას იმყოფება ერთ-ერთ  $d$  ორბიტალზე.

კრისტალური ველის თეორიის თანახმად,  $d^1$  ელექტრონი ოქტაედრულ კომპ-ლექსში  $[Ti(H_2O)_6]^{3+}$  დაიკავებს დაბალი ენერგიის  $t_{2g}$  ორბიტალს ( $t_{2g}^1 e_g^0$ ). გარკვეული ენერგიის ( $\Delta=238$  კ.ჯოული/მოლი) დახარჯვით შესაძლებელია მისი აღგზნება და გადაყვანა  $e_g$  ორბიტალზე. ამ გადასვლის დროს შეთანთქმული ენერგიის შესაბამისი სინათლის ტალღის სიგრძე არის 500 ნმ. ეს განაპირობებს  $[Ti(H_2O)_6]^{3+}$  კომპლექს-იონის იის-ფერ შეფერვას. ასეთი განხილვა გასაგებს ხდის  $Cu^+$ ,  $Ag^+$ ,  $Zn^{2+}$  და  $Cd^{2+}$  იონების მიერ უფერო კომპლექსების წარმოქმნას. ამ იონებს აქვთ  $d^{10}$  კონფიგურაცია – როცა ყველა ორბიტალი შევსებულია. ასე რომ, ელექტრონების გადასვლა  $t_{2g}$ -დან  $e_g$ -ზე შეუძლებელია,  $Cu^{2+}$  იონი კი შეფერილ კომპლექსებს წარმოქმნის, რამდენადაც მას  $d^9$  კონფი-გურაცია აქვს და ამის გამო  $t_{2g}$ -დან  $e_g$ -ზე ერთი ელექტრონის გადასვლის შესაძლებლობა.

კრისტალური ველის თეორია, როგორც განხილული მაგალითები-დან ჩანს, თვისობრივად კარგად ხსნის კომპლექსებისთვის დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს, როგორიცაა სივრცითი სტრუქტურა, მაგნიტური და ოპტიკური თვისებები. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ეს თეორია კომპლექსნარმოქმნისას ემყარება მხოლოდ იონური ბმების დამყარებას, ამ თეორიით გაანგარიშებული სიდიდეები ექსპერიმენტულს მაშინ ემთხვევა კარგად, როცა ნამდვილად გვაქვს საქმე იონურ ბმებთან, ნინააღმდეგ შემთხვევაში კი არა. ამავე დროს ეს თეორიაც არ ითვალისწინებს  $\pi$ -დატიური ბმების წარმოქმნას კომპ-ლექსნარმოქმნელსა და ლიგანდს შორის.

## 7. ქიმიური თემოდინამიკის საწყისები

ქიმიური გარდაქმნები მიმდინარეობს ურთიერთმოქმედი ატომების, მოლეკულების თუ იონების ელექტრონული სტრუქტურების ცვლილებით, რასაც მოსდევს არსებული ქიმიური ბმების რღვევა და ახალი ბმების წარმოქმნა. უფრო ხშირად, ამ პროცესს თან სდევს ენერგიის გამოყოფა (როცა ურთიერთქმედების შედეგად ხდება არსებულთან შედარებით უფრო მტკიცე ქიმიური ბმების დამყარება) ან შთანთქმა (როცა არსებულთან შედარებით უფრო სუსტი ქიმიური ბმები წარმოიქმნება). ამიტომ ყველა ქიმიურ პროცესისათვის დამახასიათებელია არამარტო გარკვეული თვისებრივი ცვლილებები და რეაგენტების და რეაქციის პროდუქტების რაოდენობებს შორის მკაცრად განსაზღვრული სტექიომეტრიული თანაფარდობები, არამედ სრულიად განსაზღვრული ენერგეტიკული ეფექტებიც.

მატერიის ერთი ფორმის მეორეში გადასვლასა და მის თანმხლებ ენერგეტიკულ ეფექტებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთკავშირი დამახასიათებელია ბუნებაში მიმდინარე ყველა პროცესისათვის.

თერმოდინამიკა არის მეცნიერება იმ პროცესების მიმდინარეობის პირობების შესახებ, რომელთა განხორციელებაც დაკავშირებულია ენერგიის ცვლილებასთან სითბომიმოცვლის და სხვადასხვა სახის მუშაობის შესრულების ფორმით.

თერმოდინამიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ინდივიდუალურ ნივთიერებათა თერმოდინამიკური მახასიათებლების მნიშვნელობათა განსაზღვრა, რომელთა ცოდნაც ამა თუ იმ პროცესის განხორციელების პროგნოზის, მისი მიმდინარეობის პირობების, ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციების, ე.ი. რეაქციის პროდუქტების გამოსავლიანობის, განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

### 7.1 თერმოდინამიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და განსაზღვრებები

თერმოდინამიკის ძირითადი ცნებებია:

- სისტემა;
- პროცესი;
- წონასწორობა;
- შინაგანი ენერგია;
- სითბო;
- მუშაობა;
- ენტროპია;
- ენთალპია;

სისტემა წარმოადგენს ნივთიერებათა ნებისმიერად შერჩეულ ერთობლიობას, რომელიც გარემომცველი გარემოსაგან გამყოფი ზედაპირით არის გამოყოფილი. გარე სამყაროსთან დამოკიდებულების მიხედვით სისტემა არის ღია, ჩაკეტილი ან იზოლირებული. ღიაა სისტემა, რომელიც გარემოსთან ანარმონებს ნივთიერ და ენერგეტიკულ გაცვლას. სისტემა ჩაკეტილია, როდესაც გარემოსთან მხოლოდ ენერგეტიკული გაცვლა მიმდინარეობს, ხოლო იზოლირებული სისტემის შემთხვევაში გარემოსთან არ მიმდინარეობს არც ენერგეტიკული და არც ნივთიერი მიმოცვლა. საჭიროა აღინიშნოს, რომ რეალური სისტემები შეიძლება მხოლოდ მიახლოებით აკმაყოფილებდეს ამ პირობებს. მაგალითად, განვიხილოთ სისტემა: დიუარის ჭურჭელში მოთავსებული წყალი და მისი ორთქლი. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სისტემა რამდენად-მე უახლოვდება იზოლირებულს, რადგან სითბოს გაცვლა ამ დროს გარემოსთან არ ხდება და ამავე დროს ჭურჭლის კედლის ხსნადობაც წყალში უმნიშვნელოა. რეალური სისტემა არასდროს არ არის აბსოლუტურად იზოლირებული ან აბსოლუტურად ჩაკეტილი.

სისტემა შეიძლება იყოს ჰომოგენური ან ჰეტეროგენული. ჰომოგენურს უწოდებენ სისტემას, რომელიც ერთგვაროვანია და ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით განსხვავებულ მის შემადგენელ ნანილებს შორის არ არსებობს გამყოფი ზედაპირი (წარმოდგება ბერძნული სიტყვა „ჰომოს“, რაც ერთხაირს ნიშნავს). სისტემას, რომელიც შედგება თვისებებით განსხვავებულ და გამყოფი ზედაპირების მქონე შემადგენელი ნანილებისგან, უწოდებენ ჰეტეროგენურს (წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „ჰეტეროს“, რაც სხვადასხვას ნიშნავს).

ფაზა არის სისტემის ჰომოგენური ნანილი, რომელსაც აქვს ერთნაირი შედგენილობა და გამყოფილია სისტემიდან რაიმე (გამყოფი) ზედაპირით და აქვს (მოცულობის ნებისმიერ ერთეულში) ერთნაირი თერმოდინამიკური და ფიზიკური თვისებები. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ფაზის გამოყოფა სისტემის დანარჩენი ნანილიდან. ჰომოგენური სისტემა შედგება ერთი ფაზისაგან, ჰეტეროგენური კი რამდენიმე ფაზისაგან. ამის მიხედვით განასხვავებენ ორფაზიან, სამფაზიან და ა.შ. სისტემებს.

თერმოდინამიკაში სისტემის მდგომარეობა განისაზღვრება რამდენიმე ექსპერიმენტული პარამეტრის ერთობლიობით: ტემპერეტურა, წნევა, ენერგია, ნივთიერებათა მასები და ა.შ. აღნიშნულ პარამეტრებს მდგომარეობის კოორდინატებს უწოდებენ. განასხვავებენ ორი ტიპის მდგომარეობის პარამეტრს: ექსტენსიურს და ინტენსიურს. ექსტენსიური პარამეტრები პროპორციულია სისტემის შემადგენელ ნივთიერებათა რაოდენობისა (მოცულობა, მასა, ზედაპირის ფართობი და სხვ.), ინტენსიური კი დამოკიდებული არ არის ნივთიერებათა რაოდენობაზე (ტემპერეტურა, წნევა, მოლური მოცულობა და სხვ.).

სისტემა წონასწორულ მდგომარეობაშია, როცა პარამეტრები მასში თავისთავად მიმდინარე პროცესების შედეგად დროში არ იცვლება, ე.ი. არ იცვლება მთლიანად სისტემის მაკროსკოპული თვისებები. სისტემის მდგომარეობის თუნდაც ერთი პარამეტრის ცვლილებაც კი წარმოადგენს პროცესს. განასხვავებენ წონასწორულ, შექცევად და შეუქცევად პროცესებს. პროცესი წონასწორულია, როცა სისტემაში უწყვეტად მიმ-

დინარეობს წონასწორული მდგომარეობების თანმიმდევრული რიგი. შექცევადი პროცესი არის წონასწორული პროცესი, რომელიც პირდაპირი და შებრუნებული მიმართულებით შეიძლება ისე წარიშართოს, რომ გარემომცველ სამყაროში ამის შედეგად არ მოხდება არავითარი ცვლილება მუშაობის ან სითბოს ფორმით. შეუქცევადია პროცესი, რომლის მიმდინარეობაც დაკავშირებულია გარემოზე (ან პირიქით, გარემოდან სისტემაზე) ენერგიის გადაცემასთან – სითბოს, მუშაობის და სხვა სახით. სისტემაში გარემოს ზემოქმედების გარეშე მიმდინარე პროცესები თავისთავად მიმდინარეა. თავის მხრივ, ამ პროცესებმა შეიძლება გარემოს გადასცეს სითბო, შეასრულოს მუშაობა, ამიტომ ეს შეუქცევადი პროცესებია.


წონასწორული სისტემის კომპონენტებს უწოდებენ მის შემადგენელ დამოუკიდებელ ნაწილებს, რომელთა მინიმალური რიცხვით შეიძლება გამოსახული იქნას ნებისმიერი ფაზის შედგენილობა. თითოეული კომპონენტი წარმოადგენს ქიმიურად ინდივიდუალურ ნივთიერებას, რომელიც შეიძლება გამოყოფილ იქნას სისტემიდან და რომელსაც შეუძლია იზოლირებული სახით იარსებოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ფიზიკური სისტემების შემთხვევაში, როცა შეინიშნება რაიმე ქიმიური ურთიერთქმედება სისტემის შემადგენელ ნაწილებს შორის, კომპონენტების რიცხვი სისტემის შემადგენელი ინდივიდუალური ქიმიური ნაერთების რიცხვის ტოლია. ხოლო ქიმიური სისტემების შემთხვევაში ეს რიცხვი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

ქიმიურ სისტემებში კომპონენტების რიცხვი ტოლია ამ სისტემაში შემავალ ინდივიდუალურ ნაერთთა რიცხვს გამოკლებული სისტემაში მიმდინარე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რეაქციათა რიცხვი. მაგალითად, წონასწორული სისტემა, რომელიც წარმოადგენს  $KCl$ ,  $NaNO_3$ ,  $NaCl$  და  $KNO_3$ -ის ნყალხსნარს, შედგება ხუთი ინდივიდუალური ნივთიერებისა-გან (წყლის ჩათვლით), რომელთაგან ოთხი ერთმანეთთან შემდეგი რეაქციით არის დაკავშირებული:



კომპონენტთა რიცხვი ამ სისტემაში უდრის  $5-1=4$ -ს. ქიმიური წონასწორობა სისტემაში მაშინ დამყარდება, როცა პირდაპირი და შებრუნებული რეაქციის სიჩქარეები ერთმანეთს გაუტოლდება.

თუ წონასწორობაში მონაწილე ყველა რეაგენტი ერთ ფაზაშია, წონასწორული სისტემა ჰიმოგენურია, ხოლო თუ ერთი რეაგენტიც კი სხვა ფაზაშია, მაშინ წონასწორული სისტემა ჰეტეროგენურია.



ა. ა. ა.



თბ. თბ. თბ. თბ.

ჰეტეროგენური წონასწორული სისტემა  $CaCO_3$ -ის დაშლა დახურულ ჭურჭელში:



მყ. მყ. ა.

წონასწორული სისტემის თავისუფლების ხარისხთა რიცხვს უწოდებენ იმ პარამეტრების ანუ დამოუკიდებელი ცვლადების (ტემპერატურა, წნევა, კონცენტრაცია) რიცხვს, რომლის მნიშვნელობაც ცნობილ საზღვრებში შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერად, სისტემის წონასწორობის დაურღვევლად. ე.ი. მისი ბუნებისა და ფაზათა რიცხვის შეუცვლელად. სისტემას, რომელსაც არ გააჩნია თავისუფლების არც ერთი ხარისხი, ნონვარიანტულს (ინვარიანტულს) უწოდებენ. თუ სისტემას ერთი თავისუფლების ხარისხი აქვს, ის მონოვარიანტულია, თუ ორი – ბივარიანტული და ა.შ. მონოვარიანტული სისტემის მაგალითია ორფაზიანი წონასწორული სისტემა წყალი და მისი ორთქლი. ცნობილ საზღვრებში ნებისმიერად შეიძლება შეიცვალოს ერთერთი პარამეტრის მნიშვნელობა ტემპერატურის ან წნევის. ერთი პარამეტრის ცვლილება წონასწორობის შენარჩუნების პირობებში გამოიწვევს მეორე პარამეტრის ადექვატურ ცვლილებას.

ნონვარიანტული სისტემის მაგალითია სამფაზიანი და ერთკომპონენტიანი სისტემა ყინული-წყალი-წყლის ორთქლი. სამივე ფაზის თანაარსებობა ტემპერატურის და წნევის სრულიად განსაზღვრული მნიშვნელობებისათვის არის შესაძლებელი ( $T=273,16$ , ანუ  $0,01^{\circ}\text{C}$ ,  $P=6,104 \cdot 10^2 \text{Pa}$ ) ამ პარამეტრების შეცვლა წონასწორობის დაურღვევლად და ფაზათა რიცხვის შეუცვლელად შეუძლებელია. უფრო მაღალი ტემპერატურის ან უფრო მაღალი წნევის პირობებში, ვიდრე  $0,01^{\circ}\text{C}$  და  $6,104 \cdot 10^2 \text{ Pa}$  კასკალია, მყარი ფაზა ქრება და მიიღება ორფაზიანი სისტემა წყალი-წყლის ორთქლი. ამერიკელმა ფიზიკოსმა ჯიბსმა თერმოდინამიკურად დასაბუთა ფაზათა წონასწორობის კანონი, რომელსაც ჯიბსის ფაზათა წესი ეწოდა.

წონასწორულ თერმოდინამიკურ სისტემაში, რომელზეც მოქმედებს მხოლოდ ტემპერატურა და წნევა, თავისუფლების ხარისხთა (C) და ფაზათა რიცხვის (F) ჯამი ორით მეტია კომპონენტების რიცხვზე (K):

$$C + F = K + 2 \quad (7.1)$$

ამ ტოლობიდან გამომდინარე ერთკომპონენტიანი და ორფაზიანი სისტემის წყალი-წყლის ორთქლი თავისუფლების ხარისხთა რიცხვი ერთია ტოლია, ხოლო ერთკომპონენტიანი და სამფაზიანი სისტემის წყალი-ყინული-წყლის ორთქლი თავისუფლების ხარისხთა რიცხვი 0-ის ტოლია. ფაზათა წესს დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემათა ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევების პრაქტიკაში. თვითონ ეს წესი სისტემის თვისება-თაგან რომელიმეს განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ის არის ფიზიკურ-ქიმიური კვლევების სანყისი საფეხური, რომელიც ექსპერიმენტის უფრო მიზანდასაზულად დაგეგმვის საშუალებას იძლევა, რამდენადაც უკვე წინასწარ იქნება ცნობილი, რა პარამეტრები შეიცვლება, თუ სხვების მნიშვნელობათა უცვლელად შენარჩუნება (დასტაბილება) მოხდება.

სისტემების თერმოდინამიკური აღწერისას სარგებლობენ ე.ნ. მდგომარეობის ფუნქციებით, რომლებიც შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იქნას განსაზღვრული P, V, T პარამეტრების საშუალებით. აღნიშნულ ფუნქციათა მნიშვნელობები დამოკიდებულია სისტემის საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე და არ არის დამოკიდებული იმ გზაზე, რითაც სისტემა ამ მდგომარეობამდე მივიდა. სისტემის მდგომა-

რეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს შინაგანი ენერგია (U). ის წარმოადგენს სხვადასხვა ენერგიის ჯამს, რომელშიც შედის სისტემის შემადგენელი მოლეკულების, ატომების, იონების მოძრაობის და ურთიერთქმედების ენერგიები, ბირთვთაშორისი და შიგა-ბირთვული ენერგიები და ა.შ. შინაგანი ენერგიის ყველა შემადგენლის რაოდენობრივი აღრიცხვა შეუძლებელია და არც არის აუცილებელი. საკმარისია მხოლოდ მისი ცვლილების ცოდნა სისტემის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას.

## 7.2 თერმოდინამიკის კანონები

### 7.21. თერმოდინამიკის I კანონი

თერმოდინამიკის I კანონი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **სისტემის შინაგანი ენერგიის საერთო მარაგი რჩება მუდმივი, როდესაც არ არსებობს ენერგიის ცვლა გარემომცველ სამყაროსთან.** ე.ი. ენერგია, რომელიც მიენიჭება სისტემას, ხმარდება მისი შინაგანი ენერგიის ზრდას და გარეშე ძალების დასაძლევად შესრულებულ მუშაობას.

$$Q = \Delta U + A \quad (7.2)$$

ეს განტოლება წარმოადგენს თერმოდინამიკის I კანონის მათემატიკურ გამოსახულებას.

გარე ძალების დასაძლევად შესრულებული მუშაობის ფიზიკური არსის გასაგებად განვიხილოთ სისტემა – ცილინდრში მოთავსებული აირი, რომელიც გარემოსაგან გამოყოფილია ხახუნის გარეშე გადაადგილების უნარის მქონე დგუშით.

თუ დგუში დამაგრებულია უძრავად, მაშინ  $V = \text{const}$ . სისტემისათვის გადაცემული მთელი ენერგია ხმარდება მხოლოდ შინაგანი ენერგიის გაზრდას.

$$Q_v = \Delta U \quad (7.3)$$

ამ დროს გაფართოების მუშაობა არ სრულდება, რადგან ( $V=\text{const}$ ). მაგრამ, თუ დგუშს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას მივცემთ, აირი გაფართოვდება და შესრულდება მუშაობა  $A = F \cdot h = PSh$ , სადაც  $F$  – დგუშზე მოქმედი ძალაა,  $h$  – დგუშის გადაადგილების სიმაღლე,  $P$  – წნევა,  $S$  – დგუშის ზედაპირის ფართობი.

$$\Delta V = S \cdot h = V_2 - V_1, \text{ ამიტომ: } A = P\Delta V = P(V_2 - V_1); \Delta U = U_2 - U_1$$

$$\text{აქედან გამომდინარე, } Q_p = U_2 - U_1 + P(V_2 - V_1)$$

$$Q_p = (U_2 + PV_2) - (U_1 + PV_1) \quad (7.4)$$

$$U + PV = H, \quad (7.5)$$

სადაც  $H$  არის ენთალპია. ე.ი.  $Q_p = H_2 - H_1 = \Delta H$ .

ენთალპია, ისევე, როგორც შინაგანი ენერგია, მდგომარეობის ფუნქციაა და შინაგან ენერგიაზე მეტია გაფართოების მუშაობით. ე.ი.

იზობარულ პირობებში სისტემისათვის გადაცემული ენერგია იხარჯება ენთალპის გაზრდაზე.

ეგზოთერმული პროცესების დროს სისტემის შინაგანი ენერგია და ენთალპია მცირდება. ამიტომ ამ შემთხვევაში  $\Delta U$ -ს და  $\Delta H$ -ს აქვს უარყოფითი ნიშანი. ენდოთერმული რეაქციების შემთხვევაში სითბო შთაინთქმება. შესაბამისად, იზრდება სისტემის შინაგანი ენერგია და ენთალპია და მათ დადებითი ნიშნები აქვთ.

## 7.2.2 ენტროპია და თერმოდინამიკის II კანონი

თერმოდინამიკის I კანონი (რომელიც იგივე ენერგიის ჟანრია), ამტკიცებს იზოლირებულ სისტემაში ყველა სახის ენერგიათა ჯამის მუდმივობას. ენერგია არაფრისება არ წარმოიქმნება და უკვალოდ არ ქრება. ენერგიის სხვადასხვა ფორმები ურთიერთგარდაიქმნება მკაცრი, ეკვივალენტური რაოდენობით. მაგრამ თერმოდინამიკის I კანონი თავისთავად მიმდინარე პროცესების მიმართულების განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. თუმცა იყო მცდელობა, რომ ეს კანონი გამოეყენებინათ პროცესის მიმართულების დასადგენად. მაგალითად, თერმოდინამიკის I კანონიდან გამომდინარე პერთლოს პრინციპი, რომლის თანახმად, თავისთავად მიმდინარე პროცესები წარიმართება შინაგანი ენერგიისა და ენთალპიის შემცირების მიმართულებით (სითბოს გამოყოფით), ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილად იძლევა ქიმიური პროცესის მიმდინარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგრამ ეს ემპირიული წესი შეზღუდული აღმოჩნდა, რადგან ენდოთერმული რეაქციების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდინარეობს თავისთავად. გარდა ამისა, დადგინდა, რომ ზოგიერთი რეაქცია, რომელიც გარკვეულ პირობებში სითბოს გამოყოფით მიმდინარეობს, სხვა პირობებში შეიძლება სითბოს შტანთქმით წარიმართოს.

პასუხის გასაცემად კითხვაზე – შეიძლება თუ არა პროცესის თავისთავად მიმდინარეობა და რა მიმართულებით – შემოტანილია მდგომარეობის ახალი ფუნქცია – ენტროპია (S). ენტროპია მდგომარეობის ფუნქციაა. მისი მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული პროცესის მიმდინარეობის გზაზე, არამედ დამოკიდებულია სისტემის საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე. ამ ახალი ფუნქციის ფიზიკური არსის გასაგებად დაგააკვირდეთ ინდივიდუალური კრისტალური ნივთიერების ლლობის პროცესს. ლლობა მიმდინარეობს მუდმივი ტემპერატურის პირობებში ( $T = \text{const}$ ) და თან ახლავს სითბოს შთანთქმა. შთანთქმულ სითბოს უნდა გაეზარდა სისტემის შინაგანი ენერგია, რაც აისახებოდა სისტემის ტემპერატურის გაზრდაში. მაგრამ ლლობის პროცესში ტემპერატურა არ იცვლება. ე.ი. არ იცვლება სისტემის შინაგანი ენერგია. სად მიდის შთანთქმული ენერგია? რას ხმარდება ის? კრისტალური ნივთიერების ლლობისას მიმდინარეობს მონქსრიგებული კრისტალური სტრუქტურის რღვევა და ნივთიერების გადასვლა თხევად მდგომარეობაში, რომელიც ნაწილაკების მოუწესრიგებელი განლაგებით ხასიათდება. ე.ი. სისტემა-

ში ადგილი აქვს მოუწესრიგებლობის ხარისხის გაზრდას. სწორედ სისტემის მოუწესრიგებლობის ხარისხის გაზრდაზე იხარჯება კრისტალი-სათვის გადაცემული ენერგია:

$$\Delta H_{\text{ლლ}} = T_{\text{ლლ}} \cdot \Delta S_{\text{ლლ}} \quad (7.6)$$

$\Delta S$ -ის სიდიდე ახასიათებს სისტემაში მიმდინარე იმ პროცესს, რომელზეც შთანთქმული ენერგია იხარჯება. **S არის ენტროპია, სისტემის თვისება, მისი მოუწესრიგებლობის ზომა.**

შექცევადი პროცესების შემთხვევაში ენტროპიის ცვლილება ( $\Delta S$ ) პროცესის სითბოს ( $Q$ ) პროცესის ტემპერატურასთან ( $T$ ) შეფარდების ტოლია:

$$\Delta S = S_2 - S_1 \geq Q/T \quad (7.7)$$

აქედან გამომდინარე, ენტროპიის განზომილებაა  $J/\text{მოლ}\cdot\text{K}^{-1}$ .

ეს დამოკიდებულება **ნარმოადგენს თერმოდინამიკის II კანონის** მათემატიკურ გამოსახულებას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შექცევადი პროცესებისათვის განისაზღვროს ენტროპიის მნიშვნელობები.

თუ სისტემა იზობარული და შექცევადია ( $Q = \Delta H$ ), მაშინ:

$$\Delta S = \frac{\Delta H}{T}$$

შეუქცევადი პროცესებისთვის კი ყოველთვის სამართლიანია პირობა:

$$\Delta S > Q/T, \quad (7.8)$$

რაც იმას ნიშნავს, რომ თერმულად იზოლირებულ სისტემაში თავისთავად მიმდინარე პროცესების ენტროპია იზრდება. ე.ო. იზოლირებულ სისტემაში პროცესის მიმდინარეობის შესაძლებლობების პროგნოზირებისათვის აუცილებელია ენტროპიის ცვლილების განსაზღვრა:

$$\Delta S = S_{\text{საბ}} - S_{\text{საწყ}}$$

$$\text{თუ } \Delta S > 0$$

მაშინ პროცესი თერმოდინამიკურად შესაძლებელია; ხოლო, თუ  $\Delta S < 0$ , მაშინ პროცესი თერმოდინამიკურად შესაძლებელი არ არის.

წონასწორობის დროს სისტემის ენტროპია მაქსიმალურია.

### 7.2.3 ენტროპია და თერმოდინამიკური ალბათობა

ამერიკელმა ფიზიკოსმა **ბოლცმანმა** ენტროპია სისტემის მოცემული მდგომარეობის რეალიზაციის თერმოდინამიკურ ალბათობასთან ( $w$ ) დააკავშირა შემდეგი ფორმულით:

$$S = k \ln w, \quad (7.10)$$

სადაც,  $k$  – ბოლცმანის მუდმივაა ( $k = R/N_A$ ,  $R$  – აირების უნივერსალური მუდმივაა,  $N_A$  – ავოგადროს რიცხვია),  $w$  – თერმოდინამიკური ალბათობაა; ის იმ საშუალებების (მიკრომდგომარეობების) რიცხვის ტოლია, რომლითაც სისტემის ეს კონკრეტული მდგომარეობა მიიღწევა.

ბოლცმანის ჰიპოთეზის მიხედვით, პროცესი მაშინ წავა თავის-თავად და ამ პროცესის მიმდინარეობისას ენტროპია მაშინ გაიზრდება, როცა საბოლოო მდგომარეობა თერმოდინამიკურად უფრო საალბათოა, ვიდრე საწყისი. ე.ი. როცა საბოლოო მდგომარეობა საშუალებათა (მიკრომდგომარეობათა) უფრო მეტი რიცხვით მიიღწევა.

კრისტალური მდგომარეობა ხასიათდება ნაწილაკების მოწესრიგებული, ხოლო აირი მოუწესრიგებელი განაწილებით. აქედან გამომდინარე, კრისტალური მდგომარეობიდან აირადში გადასვლა უფრო საალბათოა, ვიდრე პირიქით. ნივთიერების ლილობა, აორთქლება, გახსნა – დაკავშირებულია ენტროპიის გაზრდასთან. ენტროპია იზრდება აგრეთვე იმ ქიმიური პროცესების მიმდინარეობისას, რომლებიც დაკავშირებულია აირების მოლოდა რიცხვის გაზრდასთან.

#### 7.2.4 თერმოდინამიკის III კანონი

აბსოლუტურ ნულზე წყდება კრისტალის წარმომქმნელი ნაწილაკების რხევითი მოძრაობა. ისინი თითქოს ჩერდებიან კრისტალური მესრის კვანძებში. ამიტომ იდეალურ კრისტალში აბსოლუტურ ნულზე თერმოდინამიკურ ალბათობას (w) მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს:

$w = 1$ . ასეთი კრისტალის ენტროპია ნულის ტოლია, ე.ი.:

$$S^0 = k \ln w = k \ln 1 = 0$$

თერმოდინამიკის III კანონის ფორმულირება შემდეგში მდგომარეობს: **აბსოლუტურ ნულზე იდეალურად სრულყოფილი კრისტალის ენტროპია ნულის ტოლია.** მაგრამ, თუ კრისტალის სტრუქტურა არ არის იდეალურად სწორად აგებული, მაშინ დარღვეული სტრუქტურა მხოლოდ ერთი საშუალებით არ მიიღწევა.  $w$  უკვე აღარ უდრის ერთს და აბსოლუტურ ნულზეც კი მისი ენტროპიის მნიშვნელობა ნულზე მეტი იქნება.

როგორც ცნობილია, სისტემის მდგომარეობა სტანდარტულად ითვლება, თუ  $T = 298K$  და  $P = 1$  ატმ (101.303 კპა). მაშინ ენტროპიის ცვლილება  $T = 0$ -დან  $T = 298K$ -ზე გადასვლისას ასე გამოისახება:

$$\Delta S^0 = S_{298}^0 - S_0^0 = S_{298}^0 - 0 = S_{298}^0$$

**სტანდარტული პირობების შესაბამის ენტროპიის მნიშვნელობებს სტანდარტულ ენტროპიებს უწოდებენ, რომლებიც შესაბამის ცხრილებშია მოცემული.**

## 7.2.5 ჯიბსისა და ჰელმშოლცის ენერგიები პროცესის თავისთავად მიმდინარეობის კრიტერიუმები

როგორც აღვნიშნეთ, იზოლირებულ სისტემაში პროცესის თავის-თავად მიმდინარეობის კრიტერიუმს ენტროპიის ზრდა წარმოადგენს. არაიზოლირებულ სისტემაში კი ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს გაფართოების ( $P\Delta V$ ) და ქიმიური მუშაობის ( $A_{\text{ქმ}}$ ) შესრულების შესაძლებლობა. ქიმიურ მუშაობაში იგულისხმება აღებულ ნივთიერებათა საბოლოო პროდუქტებად გარდასაქმნელი მუშაობა.

არაიზოლირებული სისტემისათვის თავისთავად მიმდინარე პროცესი საალბათოა თუ  $A_{\text{ქმ}} > 0$ .  $A_{\text{ქმ}}$ -ის სიდიდის შესაფასებლად განვიხილოთ თერმოდინამიკის I კანონი ისეთი შექცევადი პროცესისათვის, როდესაც შესაძლებელია სითბოს მიმოცვლა, ქიმიური და გაფართოების მუშაობის შესრულება:

$$\Delta U = Q - A_{\text{გაფ.}} - A_{\text{ქმ.}} \quad (7.11)$$

თუ (8.11) განტოლებაში შევიტანთ  $A_{\text{გაფ.}}$  და  $Q$ -ს მნიშვნელობებს, მივიღოთ:

$$-A_{\text{ქმ.}} = \Delta U - T\Delta S + P\Delta V = \Delta U + P\Delta V - T\Delta S = \Delta H - T\Delta S \quad (7.12)$$

იზოთერმული პროცესებისთვის, რომლებიც მუდმივი მოცულობის პირობებში ( $V = \text{const}$ ) მიმდინარეობს, უფრო მოხერხებულია  $A_{\text{ქმ.}}$  გამოისახოს ახალი ფუნქციის ( $F$ ) ცვლილებით ( $\Delta F$ ):

$$(-A_{\text{ქმ.}})_{V,T} = \Delta U - T\Delta S = (U_2 - U_1) - T(S_2 - S_1) = (U_2 - TS_2) - (U_1 - TS_1) = F_2 - F_1 = \Delta F \quad (7.13)$$

$$\text{ე.ი. } \Delta F = \Delta U - T\Delta S \quad (7.14)$$

**მდგომარეობის ფუნქცია  $F$  არის ჰელმშოლცის თავისუფალი ენერგია ( $F = U - TS$ );** ის ახასიათებს შინაგანი ენერგიის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება გარდაიქმნას მუშაობად.

აქედან გამომდინარე, შინაგანი ენერგია მთლიანად არ გარდაიქმნება მუშაობად. მისი გარკვეული ნაწილი იკარგება სითბოს სახით და მას ბმულ ენერგიას უწოდებენ.

თუ პროცესი მუდმივი ტემპერატურისა ( $T = \text{const}$ ) და წნევის ( $P = \text{const}$ ) პირობებში მიმდინარეობს, ე.ი. იზოთერმულ-იზობარულია, მაშინ:

$$(-A_{\text{ქმ.}})_{P,T} = \Delta H - T\Delta S = (H_2 - H_1) - T(S_2 - S_1) = (H_2 - TS_2) - (H_1 - TS_1) = \Delta G = G_2 - G_1 \quad (7.15)$$

$$\text{ე.ი. } \Delta G = \Delta H - T\Delta S \quad (7.16)$$

**მდგომარეობის ფუნქცია  $G$  არის ჯიბსის თავისუფალი ენერგია ( $G = H - TS$ ).** ჰელმშოლცისა და ჯიბსის თავისუფალი ენერგიის ცვლილება  $\Delta G$  და  $\Delta F$  არ არის დამოკიდებული პროცესის მიმდინარეობის გზაზე, არამედ დამოკიდებულია სისტემის საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე. ეს ფუნქციები ასახავს რეაქციის მიმდინარეობაზე როგორც შინაგა-

ნი ენერგიის შემცირების, ისე სისტემის უფრო საალბათო მდგომარეობაში გადასვლის ტენდენციების გავლენას. ამ ფუნქციების ნიშანი არის ამა თუ იმ რეაქციის თავისთავად მიმდინარეობის შესაძლებლობის კრიტერიუმი. ჯიბსისა და ჰელმინტოფის ენერგიების ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობები არის პროცესის ამ მიმართულებით თავის-თავად განხორციელების პირობა. ამასთან, რაც უფრო მეტია (-ისა და ΔG-ის უარყოფითი მნიშვნელობები, მით უფრო მეტია ამ პროცესის თა-ვისთავად მიმდინარეობის ალბათობა.

საჭიროა იმის ალნიშვნაც, რომ  $\Delta G$  და  $\Delta F$ -ის უარყოფითი მნიშვნელობები ამ პროცესის მხოლოდ მიმდინარეობის შესაძლებლობას მიუთითებს და არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მისი პრაქტიკულად განხორციელების აუცილებლობას. თუ პროცესის სიჩქარე ძალიან დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ  $\Delta G < 0$  ან  $\Delta F < 0$ , პროცესი პრაქტიკულად არ წავა და ამ შემთხვევაში რეაქციის განხორციელებისათვის საჭიროა კატალიზატორის შერჩევა. დაბალ ტემპერატურაზე  $T$ -სა და შესაბამისად,  $T\Delta S$ -ის მნიშვნელობები დაბალია. ამ შემთხვევაში:

$$|\Delta H| \gg |T\Delta S|$$

განტოლებაში  $\Delta G = \Delta H - T\Delta S$  მეორე წევრი შეიძლება უგულებელვყოთ, რის შედეგადაც მივიღებთ:

$$\Delta G \approx \Delta H$$

მაღალ ტემპერატურაზე კი საპირისპირო თანაფარდობა მიიღება:

$$|\Delta H| \ll |T\Delta S|$$

ამიტომ:

$$\Delta G \approx -T\Delta S$$

გამომდინარე აქედან, გარკვეული მიახლოებით შეიძლება ასეთი დასკვნის გაეთება: დაბალ ტემპერატურაზე შეიძლება თავისთავად წარიმართოს ეგზოთერმული რეაქციები, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე რეაქციები, რომელთა მიმდინარეობაც ენტროპიის გაზრდასთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ისეთი რეაქციების ჩატარებაც შეიძლება, როცა  $\Delta G > 0$ , მხოლოდ ასეთი რეაქციები თავისთავად არ მიმდინარეობს. მათი განხორციელებისათვის საჭიროა ენერგიის დახარჯვა. ასეთი რეაქციაა მაგალითად, წყლისგან წყალბადისა და ჟანგბადის მიღება, რაც წყლის ელექტროლიზით მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ენერგიის წყაროს შესაძლებელია წარმოადგენდეს აკუმულატორი.

## 8. თერმოქიმიის საფუძვლები

ქიმიური გარდაქმნების მიმდინარეობა დაკავშირებულია მორეაგირე ნივთიერებათა მოლეკულების შემადგენელი ატომებიდან ახალი მოლეკულების წარმოქმნასთან. ასე ვთქვათ, „ქრება“ აღებული და წარმოიქმნება ახალი ნივთიერებები. მიმდინარეობს აღებულ ნივთიერებებში არსებული ქიმიური ბმების რლვევა და ახალი ბმების წარმოქმნა, რასაც ახლავს ატომების, იონებისა და მოლეკულების ელექტრონული სტრუქტურების ცვლილება და რაც შესაბამისად ცვლის მათ ენერგიებს. ამიტომ ქიმიური პროცესები ყოველთვის მიმდინარეობს ენერგიის გამოყოფით ან შთანთქმით.


ქიმიური ენერგია ყველაზე ხშირად სითბურ ენერგიად გარდაიქმნება, თუმცა არის სხვა სახის ენერგიებად გარდაქმნის შემთხვევებიც, როგორცაა სხივური (მაგალითად, ნახშირის გავარვარება, მაგნიუმის წვაუნებადში, სტიბიუმის წვა ქლორში და ა.შ.), ელექტრული (გალვანური ელემენტი), მექანიკური და სხვა სახის ენერგიები.

ნახშირის წვისას სინათლის გამოყოფა დაკავშირებულია გამოყოფილი სითბოს ხარჯზე მის გავარვარებასთან. ე.ი. ნათება ამ შემთხვევაში სითბოს გამოყოფამ გამოიწვია, მაგრამ არის პროცესები, როცა შინაგანი ენერგია პირდაპირ გარდაიქმნება სხივურ ენერგიად. ეს არის ე.წ. ცივი ნათება ანუ ლუმინესცენცია. მეტად მნიშვნელოვანია შინაგანი და ელექტრული ენერგიების ურთიერთგარდაქმნების პროცესები. აფეთქების რეაქციების შემთხვევაში შინაგანი ენერგია მექანიკურ ენერგიად გარდაიქმნება.


შესაძლებელია პირიქით, სითბური ენერგიის ქიმიურ ენერგიად გარდაქმნა. მაგალითად, ვერცხლისწყლის ოქსიდის დაშლა მაღალ ტემპერატურაზე. ამ შემთხვევაში სისტემისთვის გადაცემული სითბო შთანთქმება რა მორეაგირე მოლეკულების მიერ, გარდაიქმნება რეაქციის პროცესების წარმოქმნისათვის საჭირო ენერგიად:





ელექტრული ენერგიის ქიმიურ ენერგიად გარდაქმნა ხორციელდება ელექტროლიზის დროს:



ხოლო სხივური ენერგიის გამოყენება ხორციელდება ფოტოქიმიური რეაქციების დროს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი ფოტოქიმიური რეაქცია არის ფოტოსინთეზი (გამოიყენება მზის სხივური ენერგია):



ასევე ფოტოქიმიური რეაქცია არის ვერცხლის ჰალოგენიდების დაშლა დასხივებისას, რაც ფოტოგრაფიული პროცესების საფუძველია:



ქიმიური რეაქციები მიმდინარეობს მუდმივი მოცულობის ( $V = \text{const}$ ), ან მუდმივი წნევის ( $P = \text{const}$ ) პირობებში, შესაბამისად პროცესი იზოქორული ან იზობარულია.

ქიმიური პროცესის ენერგეტიკული ეფექტს განაპირობებს სისტემის შინაგანი ენერგიის ( $U$ ) ან ენთალპიის ( $H$ ) ცვლილება.  $\Delta H$  ენთალპიის ცვლილებას ხშირად სითბურ შემცველობასაც უწოდებენ, რადგან იზობარული პროცესებისას  $\Delta H$  სითბური ეფექტის ტოლია. ე. ი. იზობარული პროცესების სითბური ეფექტი სისტემის ენთალპიის ცვლილებით განისაზღვრება:

$$Q_p = \Delta H \quad (8.1)$$

რამდენადაც ქიმიურ რეაქციათა უმრავლესობა მიმდინარეობს მუდმივი წნევის პირობებში, ენერგეტიკული ეფექტების შეფასება ხდება სისტემის ენთალპიის ცვლილებით.

ქიმიური რეაქციის დროს გამოყოფილ ან შთანთქმულ სითბოს რაოდენობას, გაანგარიშებულს მიღებული ნივთიერების ერთი მოლისოვის, რეაქციის სითბური ეფექტი ეწოდება. ქიმიური თერმოდინამიკის იმ ნაწილს, რომელიც ქიმიური რეაქციების სითბურ ეფექტს სწავლობს, თერმოქიმია ეწოდება. ქიმიური რეაქციების სითბური ეფექტების შესწავლა აუცილებელია სხვადასხვა პროცესის სითბური ბალანსის შესაძგენად, ქიმიური ბმების სიმტკიცისა და ნივთიერებათა რეაქციისუნარიინობის შესაფასებლად და ა.შ.

**სითბური ეფექტის მიხედვით ქიმიური რეაქციები დაყოფილია ორ ჯგუფად:** ეგზოთერმული და ენდოთერმული. სითბოს გამოყოფით მიმღი-ნარე რეაქციებს ეწოდება ეგზოთერმული, ხოლო სითბოს შთანთქმით მიმღინარეს – ენდოთერმული. სითბური ეფექტის განსაზღვრა შეიძლება ექსპერიმენტულად – კალორიმეტრული მეთოდით და თერმოქიმიური გათვლებითაც. მართალია, სისტემის შინაგანი ენერგიისა და ენთალპიის ზუსტი მნიშვნელობების განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ თერმოქიმიური გამოთვლებისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც საჭიროა მათი არა აბსოლუტური მნიშვნელობების, არამედ მათი მნიშვნელობების ცვლილების ცოდნა.


რადგან ეგზოთერმული რეაქციების დროს სითბო გამოიყოფა, სისტემის შინაგანი ენერგია და ენთალპია მცირდება, აქედან გამომდინარე, ასეთი რეაქციებისთვის  $\Delta U$ -სა და  $\Delta H$ -ს აქვთ უარყოფითი ნიშნები. ენდოთერმული რეაქციების შემთხვევაში კი, რამდენადაც სითბო შთაინ-თქმება,  $\Delta U$ -სა და  $\Delta H$ -ს დადებითი ნიშნები აქვთ.

იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სხვადასხვა პროცესის ენერგეტიკული ეფექტების შედარება, თერმოქიმიურ გამოთვლებს ანარმობენ მიღებული ნივთიერების ერთი მოლისოვის და სტანდარტულ პირობებში. სტანდარტულ პირობებად მიჩნეულია  $101.325$  კპა წნევა და  $25^\circ\text{C}$  ტემპერატურა ანუ  $298.15\text{K}$ . სტანდარტული სითბური ეფექტი აღინიშნება  $\Delta H^{\circ}\text{298-ით}$  ან  $\Delta U^{\circ}\text{298-ით}$ .


ქიმიურ განტოლებას, რომელშიც მითითებულია რეაქციის სითბური ეფექტი, თერმოქიმიური განტოლება ეწოდება. თერმოქიმიურ განტოლებებში კოეფიციენტებს შეიძლება წილადი მნიშვნელობებიც ჰქონდეთ, რამდენადაც რეაქციის სითბური ეფექტი განისაზღვრება მიღებული ნივთიერების ერთი მოლისოვის. გარდა ამისა, რადგან ნივთიე-

რების ერთი ფაზური მდგომარეობიდან მეორეში გადასცლა გარკვეულ სითბურ ეფექტთან არის დაკავშირებული, თერმოქიმიური განტოლებების შედგენისას უნდა აღინიშნოს რეაქციაში მონაწილე ნივთიერებების აგრეგატული მდგომარეობაც.


**მაგალითი** – წყლის სინთეზის რეაქციის თერმოქიმიური განტოლება:



მარტივი ნივთიერებებიდან  $\text{HCl}$ -ის სინთეზის რეაქციის თერმოქიმიური განტოლებაა:



ხოლო მარტივი ნივთიერებებიდან  $\text{NO}$ -ს წარმოქმნის რეაქცია ენდოთერ-მულია:





მარტივი ნივთიერებებიდან სითბოს გამოყოფით წარმოქმნილ ნაერთებს ეგზოთერმული ნაერთები ეწოდება. მაგალითად,  $\text{H}_2\text{O}$ ,  $\text{HCl}$  ეგზოთერმული ნაერთებია, ქიმიური ნაერთების უმრავლესობა ეგზოთერმულია. ხოლო მარტივი ნივთიერებებიდან სითბოს შთანთქმით წარმოქმნილ ნაერთებს ეწოდება ენდოთერმული. ისინი ნაკლები მდგრადობით ხასიათდებიან.

## 8.1 თერმოქიმიის კანონები. თერმოქიმიის პირველი კანონი

თერმოქიმიის კანონები ემყარება ენერგიის მუდმივობის კანონს. თერმოქიმიის კანონის (ლავუაზიე, ლაპლასი, 1780 წ.) თანახმად, ერთი მოლი ნივთიერების მარტივ ნივთიერებებად დაშლის სითბური ეფექტი მარტივი ნივთიერებებიდან იმავე პირობებში ამ ნივთიერების 1 მოლის წარმოქმნის სითბოს ტოლია საპირისპირო ნიშნით.

**მართლაც:**




ლავუაზიე-ლაპლასის კანონი სამართლიანია რთული ნივთიერებების ურთიერთქმედებით მიღებული ნაერთებისთვისაც. ამიტომ უფრო ზოგადი სახით თერმოქიმიის პირველი კანონი (ლავუაზიე-ლაპლასის კანონი) ასე გამოითქმება: პირდაპირი და შებრუნებული რეაქციების სითბური ეფექტები ერთმანეთის ტოლია, მაგრამ ნიშნით სანინაალმდეგო.

რაც უფრო მეტი ენერგია გამოიყოფა ამა თუ იმ ნივთიერების წარმოქმნისას, მით უფრო მეტი ენერგია დაიხარჯება მისი დაშლისას.

ამიტომ დიდი ენერგიის გამოყოფით წარმოქმნილი ნაერთები მტკიცეა და თერმულად მდგრადი.

თერმოქიმიურ გამოთვლებში ფართოდ გამოიყენება ნივთიერების წარმოქმნის სტანდარტული ენთალპია. წარმოქმნის სტანდარტული ენ-თალპიის ქვეშ იგულისხმება სტანდარტულ პირობებში მარტივი ნივთიერებებიდან 1 მოლი ნივთიერების წარმოქმნის რეაქციის სითბური ეფექტი. თვითონ მარტივი ნივთიერებების წარმოქმნის სტანდარტული ენ-თალპიები ნულის ტოლია.

საწვავად გამოყენებული ნივთიერებების მნიშვნელოვანი მახასიათებელია მათი წვის ენთალპია. ეს სიდიდეც 1 მოლი ნივთიერებების-თვის არის განსაზღვრული. მაგალითად, 1 მოლი აცეტილენის წვის ენ-თალპია არის – 1300 კჯ/მოლი:




## 8.2 თერმოქიმიის მეორე კანონი


თერმოქიმიის მეორე კანონის (1840 წ.) ჰესის კანონი ეწოდება. ამ კანონის თანახმად, რეაქციის სითბური ეფექტი დამოკიდებულია საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე და არ არის დამოკიდებული რეაქციის შუალედურ სტადიებზე, ე.ი. არ არის დამოკიდებული იმ გზაზე, რითაც სისტემა მივიდა საწყისიდან საბოლოო მდგომარეობამდე.

განვიხილოთ ჰესის კანონი შემდეგ მაგალითზე: ერთი მოლი  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ის შემცველი ხსნარი შეიძლება ორი გზით მოვამზადოთ:


1.  $\text{NaOH}$ -ის 2 მოლის შემცველი ხსნარი შევურიოთ  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ის 1 მო-ლის შემცველ ხსნარს:



2. ა)  $\text{NaOH}$  და  $\text{H}_2\text{SO}_4$  თითო მოლის შემცველი ხსნარები შევურიოთ, მიიღება მჟავა მარილი  $\text{NaHSO}_4$ :





ბ) მიღებული მჟავა მარილის ხსნარს კიდევ დავამატოთ  $\text{NaOH}$ -ის 1 მოლის შემცველი ხსნარი. მოხდება განეიტრალება ბოლომდე და მიიღება  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ის 1 მოლის შემცველი ხსნარი:




ჰესის კანონის თანახმად, სითბური ეფექტი ორივე შემთხვევაში უნდა იყოს ერთნაირი.

ჩვეულებრივი ქიმიური განტოლებების მსგავსად, შესაძლებელია თერმოქიმიური განტოლებების შეკრებაც:




ერთი მოლი  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ის ნარმოქმნის სითბური ეფექტი არ არის და-მოკიდებული იმ საფეხურებზე, რა გზითაც წავა მისი მიღების რეაქცია, მთავარია, იგი მივიღოთ ერთიდაიგივე ნივთიერებებიდან. ე.ი. სისტემის საწყისი და საბოლოო ნივთიერებები უნდა იყოს ერთნაირი.

ჰესის კანონი ისეთი რეაქციების სითბური ეფექტების განსაზღვრის შესაძლებლობასაც იძლევა, რომელთა უშუალოდ გაზომვა პრაქტიკუ-ლად თითქმის შეუძლებელია. ამის მაგალითად, განვიხილოთ გრაფიტიდან და უანგბადიდან  $\text{CO}$ -ს ნარმოქმნის ენთალპია:




ამ რეაქციის სითბური ეფექტის ექცერიმენტული განსაზღვრა ძა-ლიან ძნელია, რამდენადაც გრაფიტის წვისას უანგბადის თუნდაც შეზღ-უდეულ რაოდენობაში მიიღება  $\text{CO}$ -სა და  $\text{CO}_2$ -ის ნარევი. მაგრამ  $\text{CO}$ -ს ნარმოქმნის ენთალპიის გამოთვლა შესაძლებელია, რამდენადაც ექსპე-რიმენტულად შესაძლებელია  $\text{CO}_2$ -ის ნარმოქმნისა ( $\Delta H_1$ ) და  $\text{CO}$ -ს წვის ( $\Delta H_2$ ) ენთალპიების განსაზღვრა.

გრაფიტის სრული წვის თერმოქიმიური განტოლებაა:



$\text{CO}$ -ს ნარმოქმნის ენთალპიის გამოსათვლელად დავწეროთ გრაფი-ტიდან  $\text{CO}_2$ -ის ორ სტადიად ნარმოქმნის რეაქცია:




ამ ორი განტოლების შეკრებით მივიღებთ:



$$\text{ე.ი. } x - 283 = -393.5, x = -110.5 \text{ кДж/მოლი.}$$

აქედან გამომდინარე, შეიძლება შევადგინოთ გრაფიტის  $\text{CO}$ -მდე წვის თერმოქიმიური განტოლება:




ჰესის კანონიდან გამომდინარებს პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი შედეგი: ქიმიური რეაქციის სითბური ეფექტი ტოლია მიღებული ნივთიერებების ნარმოქმნის სტანდარტულ ენთალ-პიათა ჯამისა და საწყისი ნივთიერებების ნარმოქმნის სტანდარტულ ენ-თალპიათა ჯამის სხვაობისა. ეს შედეგი ექსპერიმენტის გარეშე რეაქცი-ათა სითბური ეფექტების გამოთვლის საშუალებას იძლევა.

თერმოქიმიური გამოთვლების საშუალებით შესაძლებელია განი-საზღვროს ქიმიური ბმისა და კრისტალური მესრის ენერგიები, გახსნის, ჰიდრატაციის, ფაზური გარდაქმნების სითბური ეფექტები და ა.შ.


## 9. ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები

ქიმიურ რეაქციებს, რომლებიც მიმდინარეობს მორეაგირე ნივთიერებებში ჟანგვალი ატომების ჟანგვის ხარისხის ცვლილებით, ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები ეწოდება. ამ რეაქციების დროს ადგილი აქვს ერთი ატომიდან, მოლეკულიდან, იონიდან მეორე ატომზე, მოლეკულასა და იონზე ელექტრონების გადასვლას. ატომის, მოლეკულის, იონის მიერ ელექტრონების გაცემის პროცესს ჟანგვა ეწოდება, ხოლო ელექტრონების მიერთების პროცესს – ალდგენა.

ელექტრონების გაცემისას, ე.ი. ჟანგვისას, დადებითად დამუხტული იონის ჟანგვის ხარისხის (ჟ.ხ.) მნიშვნელობა იზრდება, თუ 0-ია, დადებითი ხდება, ხოლო ჟარყოფითი იონისა, მცირდება ან ნულის ტოლი ხდება. მაგალითად, რეაქციებში ( $\text{Fe}^{+2}$ -ის ჟანგვა და  $\text{F}^-$ -ის ჟანგვა):



ელექტრონების შეძენისას, ე.ი ალდგენისას, ადგილი აქვს ატომის, მოლეკულის, იონის ჟანგვის ხარისხის (დადებითის) შემცირებას (თუ ჟანგვის ხარისხი ნულია, ჟარყოფითი ხდება):




ატომის, მოლეკულას, იონს, რომელიც გასცემს ელექტრონებს, ალმდგენი ეწოდება, ხოლო ატომს, მოლეკულას, იონს, რომელიც მიიერთებს ელექტრონებს – მჟანგავი.

ზემოთ განხილულ რეაქციებში ალმდგენია  $\text{CO}$ ; მჟანგავია  $\text{Cl}_2$  და  $\text{S}$ . უნდა შევნიშნოთ, რომ ჟანგვას ყოველთვის ახლავს ალდგენა და პირიქით. ჟანგვა-ალდგენით პროცესებში მჟანგავის მიერ შეძენილი და ალმდგენის მიერ გაცემული ელექტრონების რიცხვი ტოლია.

**მჟანგავი + ne  $\rightleftharpoons$  ალმდგენი (n ელექტრონების რიცხვია)**


ძლიერი მჟანგავებია ჰალოგენები (მათ შორის ყველაზე ძლიერი –  $\text{F}_2$ ), რომელთა ატომებიც გამოირჩევიან ელექტრონისადმი მაღალი სწრაფვით. ამასთან ჰალოგენები მაქსიმალურ მჟანგავ უნარს იმ ნაერთებში ავლენენ, რომლებშიც მათი ჟანგვის ხარისხის მნიშვნელობა მაქსიმალურია ( $\text{HClO}_4$ ,  $\text{HBrO}_4$ ). პირიქით, ნაერთებს, რომლებშიც მათი ჟანგვის ხარისხი

მინიმალურია ( $F^-$ ,  $Cl^-$ ,  $Br^-$ ,  $I^-$ ) მჟანგავი უნარი არ გააჩნიათ.  $Cl^-$ ,  $Br^-$ ,  $I^-$  (გარდა  $F^-$ ) მხოლოდ აღმდგენებია და მათი აღმდგენი უნარი ძლიერდება იონის რაციუსის ზრდასთან ერთად  $Cl^- < Br^- < I^-$ , ასე რომ მათ შორის ყველაზე ძლიერი აღმდგენი  $I^-$  იონია.  $Cl^-$  იონი კონცენტრირებულ გოგირდშავას ვერ აღადგენს, ამიტომ  $H_2SO_4$  HCl-თან რეაქციაში არ შედის.  $HBr$  და  $HI$ , გაიზარდა რა აღმდგენი უნარი, რეაქციაში შედიან კონცენტრირებულ გოგირდშავასთან, როგორც მჟანგავთან.  $HBr$ -ს  $SO_4^{2-}$ -იონის  $S^{+6}$  აღადგენს  $SO_2$ -მდე, ხოლო  $HI$ , როგორც უფრო ძლიერი აღმდგენი  $S^{2-}$ -მდე ( $H_2S$ ).




მეტნაკლებად მჟანგავი უნარი სხვა არამეტალებსაც ახასიათებთ ნაერთებში, სადაც მათი დაუანგვის ხარისხები არის დადებითი, ნულოვანი ან შუალედური. მჟანგავი თვისება მეტალთა დადებით იონებსაც ახასიათებთ, ამასთან რაც უფრო ძლიერი აღმდგენია მეტალი, მით უფრო სუსტი მჟანგავია მისი დადებითი იონი. მეტალები, მარტივი ნივთიერების სახით ყოველთვის აღმდგენებია და პერიოდებში ატომური ნომრის ზრდის მიმართულებით მათი აღდენი უნარი მცირდება (იონიზაციის ენერგია იზრდება), ხოლო მთავარ ქვეჯგუფებში ბირთვის მუხტის ზრდის მიმართულებით (იონიზაციის ენერგია მცირდება) იზრდება, არამეტალების ჟანგვითი უნარი პირიქით, პერიოდებში იზრდება, მთავარ ქვეჯგუფებში მცირდება, ყველაზე ძლიერი მჟანგავი და აღმდგენი ელექტრული დენია. მას შეუძლია დაუანგოს  $F^-$ , იონებიდან აღადგინოს ტუტე მეტალების კატიონები მათი ნაერთების ნალობიდან.

ზოგჯერ ორმაგი ბუნების მიზეზი ერთსა და იმავე მოლეკულაში შეიძლება ორი ისეთი ატომის არსებობა იყოს, რომელთაგან ერთი ავლენს მჟანგავ უნარს, მეორე აღმდგენს. მაგალითად, ქლორწყალბადი (და მისი ნყალესნარი – მარილმჟავა). მარილმჟავა მეტალებთან მოქმედებისას  $H^+$ -იონების ხარჯზე მჟანგავია:



ხოლო მარილმჟავას  $Cl^-$ -იონები ძლიერ მჟანგავებთან, მაგალითად,  $KMnO_4$ -თან აღმდგენია:




უნდა აღინიშნოს, რომ ნივთიერებები მჟანგავი ატომის მაქსიმალური დაუანგვის ხარისხით ყოველთვის მჟანგავია ( $KMnO_4$ ,  $K_2Cr_2O_7$ , ...), ხოლო აღმდგენი ატომის მინიმალური ჟანგვის ხარისხით ყოველთვის აღმდგენია. მაგრამ არის ნივთიერებები, რომელთაც შეუძლიათ პირობების მიხედვით გამოვიდნენ მჟანგავის და აღმდგენის როლშიც. ე.ი ეს ნივთიერებები ჟანგვა-აღდგენითი თვისებების მიხედვით ორმაგ ბუნებას ამჟღავნებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზია ნივთიერებაში ისეთი ატომის არსებობა, რომელსაც შუალედური უ.ხ. ახასიათებს, რის გამოც (გააჩ-

ნია, რომელ ნაერთთან შედის რეაქციაში) პირობების მიხედვით შეუძლია გასცეს ან შეიძინოს ელექტრონი.


მაგალითის სახით განვიხილოთ  $\text{SO}_2$ -ის დაჟანგვა კალიუმის პერმანგანატით წყალხსნარში.

$\text{S}^{+4}$ , ჟ.რ. ტოლია 4-ის, რომელიც გოგირდისთვის არც მინიმალურია (-2) და არც მაქსიმალურია (+6), ამიტომ მას ელექტრონის გაცემაც შეუძლია და შეძენაც.

$\text{KMnO}_4$ -თან ურთიერთქმედებისას (კალიუმის პერმანგანატი ყოველთვის მუანგავია),  $\text{SO}_2$  აღმდგენია (პერმანგანატის ხსნარი უფერულდება, წარმოქმნება უფერო  $\text{Mn}^{2+}$  იონები):



ხოლო  $\text{SO}_2$  რეაქციაში შედის  $\text{H}_2\text{S}$ -თან (ეს უკანასკნელი ყოველთვის აღმდგენია),  $\text{SO}_2$  გამოდის მუანგავის როლში (ხსნარი იმღვრევა გოგირდის გამოყოფის გამო):



ტექნიკური მნიშვნელობის უანგვა-აღდგენით რეაქციებში (პროცესებში) უმნიშვნელოვანესი აღმდგენებია: მეტალები ( $\text{Al}$ ,  $\text{Sn}$ ,  $\text{Zn}$  და სხვ.),  $\text{H}_2$ ,  $\text{CO}$ ,  $\text{SO}_2$ ,  $\text{SnCl}_2$ ,  $\text{NH}_3$ , ელექტრული დენი კათოდზე და ა.შ., ხოლო მუანგავებია: კონც.  $\text{HNO}_3$ ,  $\text{MnO}_2$ , კონც.  $\text{H}_2\text{SO}_4$ ,  $\text{KMnO}_4$ ,  $\text{Ag}_2\text{O}$ ,  $\text{PbO}_2$ ,  $\text{NaClO}$ ,  $\text{KClO}$ ,  $\text{Ca}(\text{ClO}_2)_2$ ,  $\text{H}_2\text{O}_2$ , ელექტრული დენი ანოდზე და სხვ.

## 9.1. უანგვა-აღდგენითი რეაქციების კლასიფიკაცია






**უანგვა-აღდგენითი რეაქციები სამ ძირითად ტიპად იყოფა:**

1. მოლეკულათშორისი (ატომთშორისი) – ზოგიერთი მარტივი ნივთიერების ურთიერთქმედებისას, მა.გ.,  $\text{Fe} + \text{S} \rightarrow \text{FeS}$

2. შიგამოლეკულური;

3. დისმუტაციის ანუ დისპროპორციონირების.

**მოლეკულათშორისი** უანგვა-აღდგენითი რეაქციების დროს მუანგვი და აღმდგენი სხვადასხვა ნივთიერებაა. ამასთან, როგორც მუანგვის, ისე აღმდგენის როლი შეიძლება შესარულოს სხვადასხვა უანგვის ხარისხის მქონე ერთი და იგივე ელემენტის ატომმა:




**იგამოლეკულური** უანგვა-აღდგენითი რეაქციების მიმდინარეობისას ერთი და იმავე ნივთიერების შემადგენელი ელემენტების ატომების

უანგვის ხარისხები იცვლება, ამასთან ნივთიერებაში შემავალი მაღალი უანგვის ხარისხის მქონე ელემენტის ატომი უანგავს ამავე ნივთიერებაში შემავალი დაბალი უანგვის ხარისხის მქონე ელემენტის ატომში:




ეს ატომები ან სხვადასხვა ელემენტისაა ან ერთი და იგივე ელემენტის სხვადასხვა უანგვის ხარისხებით:



**დისმუტაციის ანუ თვით უანგვა-ალდგენის (დისპროპონირების)** რეაქციების მიმდინარეობისას ერთდღროულად ადგილი აქვს ერთიდამავე ქიმიური ელემენტის უანგვის ხარისხის კლებას და მატებას.

მაგალითად:



### 9.6.2. უანგვა-ალდგენითი რეაქციების განტოლებების შედგენა

სხვადასხვა უანგვა-ალდგენითი რეაქციის ჩატარებისას და სათანა--დო რაოდენობრივი გაანგარიშებისას, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება უანგვა-ალდგენითი რეაქციების განტოლებების სწორად შედგენას, რაც რეაქციის მიმდინარეობის სწორად განსაზღვრასთან ერთად, მორეაგირე ნივთიერების და რეაქციის პროდუქტების წინ სტექიომეტრულ კოეფიციენტთა სწორად შერჩევაში მდგომარეობს.

საყოველთაოდ მიღებული შეთანხმებისამებრ, უანგვა-ალდგენის რეაქციების განტოლებების შედგენისას ჯერ იწერება ალმდგენის, შემდეგ მუანგავის და ბოლოს, რეაქციის შედეგად ნარმოქმნილი ნივთიერების (რეაქციის პროდუქტის) შესაბამისი ფორმულები. რეაქციის პროდუქტებში კი – ჯერ იწერება ალმდგენის დაუანგვის (უანგვის) პროდუქტი, შემდეგ მუანგავის ალდგენის პროდუქტი, ბოლოს ნებისმიერი სხვა პროდუქტი.

ცნობილია უანგვა-ალდგენითი რეაქციების განტოლებათა შედგენის ორი მეთოდი:

- I. ელექტრონული ბალანსის მეთოდი;
- II. ნახევარრეაქციების ანუ ელექტრონულ-იონური ბალანსის მეთოდი.

I. ელექტრონული ბალანსის მეთოდი ეფუძნება ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერებებში შემავალი იმ ელემენტების მიერ გაცემულ და მიერთებულ ელექტრონთა რიცხვის გათანაბრებას, რომელთა უანგვის

ხარისხი იცვლება. ელექტრონული ბალანსის მეთოდით კოეფიციენტების შესარჩევად მიმართავენ შემდეგ სტადიებს:

1) წერენ რეაქციის განტოლების შესაბამის სქემას, რომლის მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში (რეაგენტები და რეაქციის პროდუქტები) მიუთითებენ იმ ელემენტის უანგვის ხარისხს, რომლებიც რეაქციის მიმდინარეობისას იცვლება.


2) საზღვრავენ გაცემული და შეძენილი ელექტრონების რიცხვს;

3) ელექტრონულ განტოლებებში ახდენენ ისეთი კოეფიციენტების შერჩევას, როდესაც აღმდგენის შემადგენლობაში შემავალი ელემენტის ატომის მიერ გაცემული ელექტრონების რიცხვი გაუტოლდება მუანგვა-ვის შემადგენლობაში შემავალი იმ ელემენტის მიერ პირობითად მიერთებული ელექტრონების რიცხვს, რომლის უანგვითი ხარისხი შეიცვალა და ამას ჩანტერენ ელექტრონების გაცემის შემოკლებული სქემის სახით.


4) ახდენენ რეაქციის სხვა პროდუქტებისათვის კოეფიციენტის შერჩევას, რომლის დროსაც ეყრდნობიან მასის მუდმივობის კანონს, ან მატერიალური ბალანსის დაცვის პრინციპს.

5) უანგვა-აღდგენითი (ელექტრონების გაცემა-შეძენის) სქემის დახმარებით შერჩეული კოეფიციენტები გადააქვთ შესაბამისი რეაქციის განტოლებაში.


მაგალითად:




ე.ო. გვექნება:




ე.ო. გვექნება:




ე.ო. გვექნება:



ე.ო. გვექნება:





ელექტრონული ბალანსის მეთოდი საკმაოდ მოსახერხებელია უანგვა-ალდგენით რეაქციებში კოეფიციენტების შესარჩევად. მაგრამ უნაკლო არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ბალანსის შედგენისას იწერება ატომები ისეთი უანგვის ხარისხებით, რომელთაც სინამდვილეში დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიათ, ისინი რთული იონების ან მოლეკულების შემადგენლებია. ამავე დროს რეაქციის განტოლების დასრულება, როცა მხოლოდ მარცხენა ნაწილია მოცემული, ამ შემთხვევაში უფრო ძნელია. გარდა ამისა ბევრი უანგვა-ალდგენითი რეაქცია მიმდინარეობს წყალხსნარებში ძლიერი ელექტროლიტების მონაწილეობით, ამიტომ ელექტროლონების გადასვლა ხორციელდება არა ცალკეულ ატომებს ან მოლეკულებს შორის, არამედ იონებს შორის.

**II მეთოდი, ანუ ელექტრონულ-იონური ბალანსის (ნახევარრეაქციების) მეთოდი, განსხვავებით ელექტრონული ბალანსის მეთოდისაგან, გამოიყენება მხოლოდ წყალხსნარებში მიმდინარე რეაქციების განტოლებების შედგენისას, რომლებიც ასახავს წყალხსნარებში ელექტროლონების უანგვა-ალდგენითი პროცესების იონურ ხასიათს. ამ ხერხის გამოყენებით უანგვა-ალდგენითი რეაქციის განტოლების შედგენისას უანგვა და ალდგენა ცალკე, დამოუკიდებელ პროცესად განიხილება, რომლებსაც მთლიანად პროცესის ნახევარი ასახავს (აქედან, „ნახევარრეაქციების“ მეთოდი).**

თითოეული ნახევარრეაქციის დაწერისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები (ცხრილი 9.1):

- თუ საწყისი იონი (მოლეკულა) უფრო მეტ უანგბადს შეიცავს, ვიდრე რეაქციის პროდუქტი, გამონთავისუფლებული უანგბადის ატომები მჟავა არები უკავშირდება წყალბად-იონებს წყლის მოლეკულების წარმოქმნით;

ნეიტრალურ და ტუტე არები „იბოჭება“ იმავე რაოდენობის წყლის მოლეკულებით ორჯერ მეტი ჰიდროქსიდ-იონების წარმოქმნით;

- იმ შემთხვევაში, როდესაც საწყისი (რეაგენტი) იონი ან მოლეკულა უფრო ნაკლებ უანგბადს შეიცავს, ვიდრე რეაქციის პროდუქტები, დანაკლისის შევსება მჟავა და ნეიტრალურ არები ხორციელდება იმავე რაოდენობის წყლის მოლეკულების, ხოლო ტუტე არები - ორჯერ მეტი ჰიდროქსიდ-იონების ხარჯზე.

- თითოეულ ნახევარრეაქციაში მორეაგირე იონების მუხტების ჯამური ცვლილება რეაქციაში მონაწილე (გაცემული და შეძენილი) ელექტროლონების რიცხვის ტოლი უნდა იყოს. ამავე დროს, ალმდგენის და მჟანგავის მიერ შესაბამისად გაცემული და მიერთებული ელექტროლონების რიცხვი ერთმანეთს უნდა გაუტოლდეს.

ელექტრონული ბალანსის მეთოდთან შედარებით ელექტრონულ-იონური ბალანსის (ნახევარრეაქციების) მეთოდს შემდეგი უპირატესობა აქვს:

1. თითოეული ნახევარრეაქციის შედგენისას მხედველობაში მიიღება არა ჰიპოტეტური, არამედ, სარეაქციო ხსნარში რეალურად არსებული იონები (შევნიშნოთ, რომ მცირედ დისოცირებული, უხსნადი ან აირადი ნაერთები გამოსახულია მოლეკულური ფორმით);

2. ნათლად არის გამოვლენილი რეაქციის არის (მჟავა, ტუტე, ნეიტრალური) როლი პროცესის წარმართვისას;

3. საჭირო არ არის რეაქციის ყველა პროდუქტის ცოდნა, მათი დადგენა ხდება ქიმიური განტოლების შედეგისას.

ცხრილი 9.1.


არე	n – მოსაცილებელი ჟანგბადის ატომების რიცხვი	გამონთავისუფლებული ჟანგბადით წარმოიქმნება	n – მისამატებელი ჟანგბადის ატომების რიცხვი	ჟანგბადის მიმატების შემძეგრჩება
მჟავა	$2n \text{ H}^+$	$n \text{ H}_2\text{O}$	$n \text{ H}_2\text{O}$	$2n \text{ H}^+$
ნეიტრალური	$n \text{ H}_2\text{O}$	$2n \text{ OH}^-$	$n \text{ H}_2\text{O}$	$2n \text{ H}^+$
ტუტე	$n \text{ H}_2\text{O}$	$2n \text{ OH}^-$	$2n \text{ OH}^-$	$n \text{ H}_2\text{O}$

### მაგალითები:


**მაგალითი 1.** მეტალური ალუმინის ურთიერთქმედება კალიუმის ნიტრატთან ტუტე არეში. რეაქციის სქემა:



ნახევარრეაქციებს ვადგენთ შემდეგი მსჯელობით: ჟანგვის ხარისხი ეცვლება აზოტს და ალუმინს. მეტალური ალუმინი გარდაიქმნება  $\text{AlO}_2^-$ -ად. დაჟანგვის ნახევარრეაქციის გათვალისწინებით ვადგენთ სქემას:




ტუტე არეში რეაქციის წარმართვისას ჟანგბადის ატომების წყაროდ გვევლინება კალიუმის ტუტის ჰიდროქსიდ-იონები ( $\text{OH}^-$ ). ერთი ატომი ალუმინის  $\text{AlO}_2^-$ -ად გარდაქმნისათვის საჭიროა ჰიდროქსიდის ოთხი იონი ( $4\text{OH}^-$ )




განტოლების სქემის მარცხენა ნაწილში 4 ჟარყოფითი მუხტია, ხოლო მარჯვენა ნაწილში -1. მაშასადამე, პროცესის მსვლელობისას გაიცემა სამი ( $4 - 1 = 3$ ) ელექტრონი:



აღდგენის პროცესის შესაბამისი ნახევარრეაქციის გათვალისწინებით ვადგენთ სქემას:




ამ პროცესის მიმდინარეობისას  $\text{NO}_3^-$ -ში არსებული აზოტის ატომი „ცილდება“ ჟანგბადის 3 ატომს და უერთდება წყალბადის სამ ატომს. ტუტე არეში ეს შესაძლებელია სარეაქციო ნარევში არსებული წყლის მოლეკულების მონაწილეობით. წყლის სამი მოლეკულა იქნება საჭირო  $\text{NO}_3^-$ -ის ჟანგბადის სამი ატომის შესაკავშირებლად და კიდევ  $\text{H}_2\text{O}$ -ს სამი მოლეკულა  $\text{NH}_3$ -ის ნარმოსაქმნელად:




რეაქციის სქემის მარჯვენა ნაწილის ჯამური მუხტი +9-ის ტოლია, ხოლო მარცხენა ნაწილისა -1. მაშასადამე, პროცესში მონაწილეობს 8e (წერენ მარცხენა მხარეს):




დაუანგვის პროცესში „გამოთავისუფლებული“ ელექტრონების რიცხვის შეფარდება აღდგენის პროცესში მიერთებული ელექტრონების რიცხვთან ტოლია 3:8. შესაბამისად, ჯამური რეაქციის განტოლების მისაღებად აუცილებელია შევკრიბოთ აღდგენისა და დაუანგვის რეაქციების შესაბამისი განტოლებები, ამასთან, პირველი გავამრავლოთ 8-ზე, ხოლო მეორე 3-ზე:




მოლეკულური ფორმით:




**მაგალითი 2.** შევადგინოთ ნახევარრეაქციების და იონური განტოლებები პროცესისათვის:




როგორც ცნობილია, სპილენძი განზავებულ აზოტმჟავაში  $\text{Cu}^{2+}$  იუანგება. მჟანგავია  $\text{NO}_3^-$  იონი, რომელიც აზოტ(II) ოქსიდამდე ( $\text{NO}$ ) აღდგება. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ ორი ნახევარ-რეაქცია – პირველი, მეტალური სპილენძისაგან 2ე-ის დაკარგვით სპილენძის(II) იონების –  $\text{Cu}^{2+}$  ნარმოქმნა (I) და  $\text{NO}_3^-$ -დან  $2\text{O}^{2-}$ -ის ჩამოცილებით  $\text{NO}$ -ს ნარმოქმნა.  $\text{NO}_3^-$ -დან უანგბადის ორი იონის  $-\text{O}^{2-}$  „მოსახლეჩად“ საჭიროა ოთხი  $\text{H}^+$ , რომელსაც  $\text{NO}_3^-$  3ე-ის მიერთებასთან ერთად განახორციელებს (II):



აღმდგენის მიერ გაცემული და მჟანგავის მიერ მიერთებული ელექტრონების რიცხვის ტოლობის და შესაბამისად კოეფიციენტების გათვალისწინებით (იხ. I და II განტოლებები). თუ ამ ორ ნახევარრეაქციას შევაჯამებთ, მივიღებთ მიმდინარე უანგვა-აღდგენითი რეაქციის შემოკლებულ იონურ განტოლებას:




რეაქციის განტოლების მოლეკულური ფორმით ჩასაწერად შემოკლებული იონური განტოლების მარცხენა მხარეს ყოველ იონს მის საპირისპირო იონს მივუწერთ; ეს უკანასკნელი უცვლელად გადადის მიღებული პროდუქტების შემადგენლობაში:








ან მოლეკულური ფორმით:



ანალოგიურად შეიძლება, ნახევარრეაქციების მეთოდის გამოყენებით, კალიუმის პერმანგანატის ხსნარში გოგირდნყალბადის დაუანგვის რეაქციის განატოლებაში მორეაგირე ნივთიერებებისათვის კოეფიციენტების შერჩევა (თუ ვიცით რეაქციაში შესული ნივთიერებები და რეაქციის პროცესში მჟავა არეს პერმანგანატის ხსნარში გოგირდმჟავას დამატებით ქმნიან):






ვადგენთ ორ ნახევარრეაქციას:



(გოგირდის გამოყოფის გამო ხსნარი იმღვრევა)

ან შეჯამებულად (5-ზე და 2- ზე „გამრავლების“ გათვალისწინებით):



### 9.3 არის, ტემპერატურის, კონცენტრაციის და კატალიზატორის გავლენა ჟანგვა-ალდგენითი რეაქციების მიმდინარეობაზე

#### 9.3.1 რეაქციის არის გავლენა

ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები შეიძლება მიმდინარეობდეს მჟავა ( $\text{H}^+$ -იონების სიჭარბისას), ნეიტრალურ ( $\text{H}_2\text{O}$ ) და ტუტე არეში (ჰიდროქსიდ-იონების სიჭარბისას).

სარეაქციო არე არსებით გავლენას ახდენს:

1. რეაქციის მიმდინარეობის ხასიათზე;


2. მორეაგირე ნივთიერების შემადგენელი ატომების ჟანგვის ხასიათის ცვლილებაზე;

3. ცალკეულ შემთხვევებში, სარეაქციო ნარევის ფერის ცვლილებაზე.

$\text{KMnO}_4$ , როგორც მჟანგვავი, მრავალ რეაქციაში გამოიყენება. ზოგიერთ მათგანს არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შესაბამისი რეაქციების მიმართულება დამოკიდებულია არა მარტო რეაქციის ისეთ პირობებზე, როგორიცაა კონცენტრაცია და ტემპერატურა, არამედ, ძირითადად არეზე. კერძოდ, დადგენილია, რომ  $\text{MnO}_4^-$ -ის იონი მჟავა არეში ალდგება  $\text{Mn}^{+2}$ -მდე, ნეიტრალურში –  $\text{MnO}_2$ -მდე, ხოლო ტუტე არეში –  $\text{MnO}_4^{-2}$ -მდე, რასაც, სათანადოდ, სარეაქციო ნარევის ფერის ცვლილება

მოსდევს. რეაქციის არის გავლენის ზოგადი სქემა შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ (პერმანგანატის შემთხვევა).

### დაუანგული ფორმა: აღდგენილი ფორმა:






### (სქემა)

პერმანგანატის ან სხვა ძლიერი (ენერგიული) მუანგავების გამოყენების შემთხვევაში, მჟავა არის შესაქმნელად ძირითადად ხმარობენ გოგირდმჟავას, ვინაიდან აზოტმჟავას გამოყენება შეზღუდულია მისი ძლიერი მუანგავი უნარის გამო, ხოლო მარილმჟავა თვითონ იუანგება აირადი ქლორის გამოყოფით.

ჩვეულებრივ, ტუტე არის შესაქმნელად გამოიყენება ნატრიუმის და კალიუმის ჰიდროქსიდების წყალსნარები.


განვიხილოთ კონკრეტული რეაქციები, რომელთა მიმართულების ხასიათზე არსებით გავლენას ახდენს სარეაქციო არე:



ასევე სარეაქციო არეზეა დამოკიდებული წყალბადის პეროქსიდის მონაწილეობით მიმდინარე უანგვა-აღდგენის რეაქციები:





კოეფიციენტების შერჩევას ვახდეთ ნახევარრეაქციების (ელექტრონულ-იონური ბალანსის) მეთოდით:



ე.ო.:




ან მოლეკულური ფორმით:



### 9.3.2 ტემპერატურის გავლენა

ტემპერატურის გავლენა უანგვა-ალდგენითი რეაქციის მიმართულებაზე ნათლად ჩანს შემდევი მაგალითიდან. ტუტის განზავებულ ხსნარზე ქლორის მოქმედებისას ოთახის ტემპერატურაზე წარმოიქმნება ჰიპოქლორიტი და ქლორიდი:




გაცხელებისას, ძლიერ ტუტე არეში ქლორის გატარებისას მიიღება ქლორატი და ქლორიდი:




### 9.3.4 კონცენტრაციის გავლენა

კონცენტრაციის გავლენა განვიხილოთ მეტალებზე აზოტმჟავას მოქმედების მაგალითზე.


განვიხილოთ, როგორ რეაგირებს კონცენტრირებული და განზავებული აზოტმჟავა ვერცხლთან. სქემის თანახმად კონცენტრირებული აზოტმჟავა მძიმე მეტალებთან უნდა ალდგეს  $\text{NO}_2$ -მდე. გარდა ამისა, წარ-მოიქმნება მარილი  $\text{AgNO}_3$  და წყალი. მაშინ რეაქციის სქემა იქნება:





რეაქციის განტოლებაში კოეფიციენტებს ვპოულობთ ნახევარრეაქციის მეთოდით:



ანუ




განზავებული აზოტმჟავა ვერცხლთან (მძიმე მეტალთან) ურთიერთქმედების დროს აღდგება  $\text{NO}$ -მდე და წარმოიქმნება მარილი  $\text{AgNO}_3$  და წყალი:



ჟანგვა-აღდგენითი პროცესების როლი ქიმიაში, ტექნოლოგურ პროცესებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში ფასდაუდებელია. ეს პროცესები უდევს საფუძვლად მეტალებისა და შენადნობების მიღებას, წყალბადის, ჰალოგენების, აზოტოვანი სასუქების, ტუტების, სამკურნალო პრეპარატების მიღებას და ა.შ. უამრავ პროცესს. ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების მიმდინარეობა მჭიდრო კავშირშია ბიოლოგიური მემბრანების ფუნქციონირებასთან, სუნთქვასა და საჭმლის მონელების პროცესებთან. აკუმულატორების მუშაობა, მეტალთა ნაკეთობების დაფარვა მდგრადი მეტალური საფარით, მეტალთა გასუფთავება და სხვა უამრავი მნიშვნელოვანი პროცესი ჟანგვა-აღდგენითია.

### 9.3.5. კატალიზატორის გავლენა

ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის მიმართულებაზე არსებით გავლენას ახდენს კატალიზატორი. ის არა მარტო აჩქარებს რეაქციას, არამედ განსაზღვრავს მის მიმართულებას. მაგალითად, კალიუმის ქლორატი (ბერთოლეს მარილი) კატალიზატორების თანდასწრებით იშლება კალიუმის ქლორიდის და ჟანგბადის წარმოქმნით, მაშინ როდესაც უკატალიზატოროდ ორი ახალი მარილი – კალიუმის პერქლორატი და კალიუმის ქლორიდი მიღება:



### 9.3.5. ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების მიმართულება. ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალები


ჟანგვა-აღდგენითი პროცესების განხილვისას ხშირად გამოიყენება გამოთქმები: ძლიერი მჟავანგავი, აქტიური აღმდგენი. მაგალითად, კალიუმის პერმანგანატი მჟავა არეში უფრო ძლიერი მჟავანგავია ვიდრე ტუტე

და ნეიტრალურში. მაგრამ ეს შეფასების მხოლოდ თვისებრივი მხარეა და არა რაოდენობრივი. საჭიროა ამა თუ იმ ჟანგვა-ალდგენითი წყვილის ძალა შეფასდეს რაოდენობრივად და შესაძლებელი გახდეს ჟანგვა-ალ-დგენითი რეაქციების მიმართულების განსაზღვრა. ასეთ სიდიდეს ჟანგვა-ალდგენითი პოტენციალი ნარმოადგენს.

ჟანგვა-ალდგენითი რეაქციების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა რეაქციის მიმართულება განისაზღვრება იზოთერმულ-იზობარული პოტენციალის ცვლილებით. მაგრამ გარდა ამისა ხსნარში ან ხსნართან შეხებისას მიმდინარე ჟანგვა-ალდგენითი რეაქციებში მონაწილე ნივთიერებების აქტივობის რაოდენობრივი დახასიათება ხდება ე.წ. ელექტრო-დური პოტენციალების, ანუ როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჟანგვა-ალ-დგენითი პოტენციალების გამოყენებით.

სტანდარტულ პირობებში მიმდინარე რეაქციებისთვის ჯიბსის ენერგიის ცვლილებასა და ელექტროდურ პოტენციალს შორის კავშირი გამოისახება განტოლებით  $-\Delta G = nFE^{\circ}$  სადაც  $\Delta G$  - ჯიბსის ენერგიის ცვლილებაა,  $F$ -ფარადეის რიცხვი,  $n$  - ჟანგვა-ალდგენით პროცესებში მონაწილე ელექტრონების რაოდენობაა მოლებით,  $E^{\circ}$  - კი სტანდარტული ელექტროდური პოტენციალი. გახსნილ ნივთიერებათა სტანდარტული ელექტროდური პოტენციალები (ისევე როგორც  $\Delta G$ ) განისაზღვრება ხსნარებისათვის გახსნილი ნივთიერების კონცენტრაციით 1მოლ/ლ, აირადინივთიერებების შემთხვევაში, ნევით 101325 პა. ტემპერატურა სტანდარტული პირობებისათვის მიღებულია  $25^{\circ}\text{C}$  ანუ 298K.

რა არის ელექტროდური პოტენციალი და როგორ ხდება პრაქტიკულად მისი განსაზღვრა? ნებისმიერი მეტალის მოთავსებისას მისივე იონების შემცველ ხსნარში მეტალ-ხსნარის გამყოფ ზედაპირზე აღიძვრება პოტენციალთა სხვაობა, რომელსაც მეტალის ელექტროდური პოტენციალი ეწოდება.



მეტალსა და ხსნარს შორის აღძრული პოტენციალთა სხვაობის უშუალოდ გაზიარება ძალიან ძნელია, მაგრამ გაცილებით ადვილია გაზომვა ორ ასეთ სისტემას შორის, რომლებიც გალვანური ელემენტის სახით იქნებიან შეერთებული. ნებისმიერი გალვანური ელემენტი შედგება ორი ნახევარელემენტისაგან, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ჟანგვა-ალდგენით წყვილს ე.ი. სისტემას, რომელიც შედგება ქიმიური ელემენტის ან იონის დაუანგული და ალდგენილი ფორმებისაგან.



ჟანგვა-ალდგენითი პოტენციალების განსაზღვრისას საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მათი მნიშვნელობები გარდა ამ წყვილში შემავალი მუანგვავისა და აღმდგენის ძალისა დამოკიდებულია ხსნარში მისი იონების კონცენტრაციასა და ტემპერატურაზე. ამიტომ მიღებული შედეგების შედარების შესაძლებლობისათვის აუცილებელია ერთნაირი კონცენტრაციის (აქტივობის) ხსნარების გამოყენება (კონკრეტულად ერთი მოლ-ის ტოლი კონცენტრაციებით); ტემპერატურა –  $25^{\circ}\text{C}$  ანუ 298K. ასეთ პირობებში მიღებული პოტენციალების მნიშვნელობები წარმოადგენს სტანდარტულ ელექტროდურ პოტენციალებს (აღინიშნება  $E^{\circ}$ -ით).

უფრო ზუსტად, რომ ვთქვად სტანდარტული ის პოტენციალია, რომელიც აქვს მოცემულ ჟანგვა-ალდგენით სისტემას პროცესში მონაწი-

ლე ყველა კომპონენტის ერთეულის ტოლი აქტივობის შემთხვევაში 298K ტემპერატურის პირობებში. ამასთან შესადარებელი შედეგების მისაღებად აუცილებელია სხვა და სხვა უანგვა აღდგენითი წყვილის კომბინირება ერთსა და იმავე სტანდარტულ წყვილთან. ამისთვის გამოიყენება ე.ნ. წყალბადის ნორმალური ელექტროდი ნარმოდგენილი  $2H^+/H_2$  წყვილით, წყალბადიონების კონცენტრაციით 1 მოლ/ლ, აირადი წყალბადის წნევით 1 ატმ. წყალბადის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის მნიშვნელობა პირობითად ნულის ტოლად არის მიჩნეული.

წყალბადის ნორმალური ელექტროდის მოწყობილობა მოცემულია ნახ. 9.1.

დისპერსიული პლატინის ფენით (პლატინის შავა) დაფარული პლატინის ფირფიტა მოთავსებულია გოგირდმუავას წყალხსნარში წყალბადიონების ერთი მოლ/ლ კონცენტრაციით. ხსნარში ფირფიტის გასწვრივ ქვემოდან ზემოთ ტარდება სუფთა წყალბადის ნაკადი ატმოსფერული წნევის პირობებში. ფირფიტის ზედაპირზე მიმდინარე პროცესები ასე გამოისახება:



ნახაზი 9.1 წყალბადის ნორმალური ელექტროდის მოწყობილობა

როდესაც დაუანგული და აღდგენილი ფორმების აქტივობები სხნარში ერთეულის ტოლია და გაზომვა წარმოებს  $25^\circ C$ -ზე. წყალბადის სტანდარტული ელექტროდის მიმართ – მიღებული უანგვა-აღდგენითი პოტენციალები არის სტანდარტული.

ზოგიერთი უანგვა-აღდგენითი სისტემის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 9.2.


რომელიმე წყვილის, მაგალითად,  $Fe^{3+}/Fe^{2+}$ , სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის განსაზღვრის მიზნით მისი წყალბადის ელექტროდთან კომბინირებით ღებულობენ გალვანურ ელემენტს, რომლის ე.მ.ძ. იქნება ამ წყვილის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი. ამ ელემენტის ე.მ.ძ. აღმოჩნდა 0.77 ვოლტის ტოლი, ამიტომ:

$$\text{ე.მ.ძ.} = E_{Fe^{3+}/Fe}^0 - E_{2H^+/H_2}^0 = 0.77 \text{ ვოლტი}$$

რადგან  $E_{2H^+/H_2}^0$  პირობითად ნულის ტოლია, ამიტომ  $E_{Fe^{3+}/Fe}^0 = +0.77$  ვოლტს, რაც, იმას ნიშნავს, რომ წყალბადის სტანდარტულ ელექტროდთან მიმართებაში ის ითამაშებს დადებითი პოლუსის როლს, ხოლო პოტენციალი უარყოფითი მნიშვნელობის შემთხვევაში იქნებოდა უარყოფითი პოლუსი და ელემენტის მუშაობისას ელექტრონებს გადასცემდა წყალბადიონებს  $H_2$  - მდე აღსადგენად.

$\text{Fe}^{3+}/\text{Fe}^{2+}$  ნყვილის მიღებული მნიშვნელობა  $+0.77$  ვოლტი არის ნყალბადის მოლეკულებისაგან – იონების მიერ ელექტრონების წართმევის უნარის საზომი. ე.ი. იონები ჟანგავს ნყალბადის მოლეკულებს.

თუ  $\text{Fe}^{3+}/\text{Fe}^{2+}$  ნყვილს შეუწყვილებთ ნყალბადის სტანდარტულ ელექტროდის ნაცვლად  $\text{Cl}_2/2\text{Cl}^-$ , მიღებული ელემენტის მუშაობა გამოისახება სქემით:



ცხრილი 9.2. ზოგიერთი ჟანგვა-ალდგენითი სისტემის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების მნიშვნელობები

დაჟანგული ფორმა	ელექტრონების რიცხვი	ალდგენილი ფორმა	$\Phi_{298}^0$ <sup>b</sup>
$\text{Li}^+$	$1\bar{e}^-$	$\text{Li}$	-3,05
$\text{Ca}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Ca}$	-2,87
$\text{Na}^+$	$1\bar{e}^-$	$\text{Na}$	-2,71
$\text{H}_2$	$2\bar{e}^-$	$2\text{H}^+$	-2,25
$\text{Al}^{3+}$	$3\bar{e}^-$	$\text{Al}$	-1,66
$\text{Mn}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Mn}$	-1,18
$\text{Zn}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Zn}$	-0,76
$\text{Fe}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Fe}$	-0,44
$\text{Cd}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Cd}$	-0,44
$\text{Zn}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Zn}$	-0,14
$\text{Pb}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Pb}$	-0,13
$2\text{H}^+$	$2\bar{e}^-$	$\text{H}_2$	0,00
$\text{SO}_4^{2-} + 2\text{H}^+$	$2\bar{e}^-$	$\text{SO}_3^{2-} + \text{H}_2\text{O}$	0,22
$\text{Cu}^{2+}$	$2\bar{e}^-$	$\text{Cu}$	0,34
$\text{I}_2$	$2\bar{e}^-$	$2\text{I}^-$	0,54
$\text{Fe}^{3+}$	$1\bar{e}^-$	$\text{Fe}^{2+}$	0,77
$\text{Ag}^+$	$1\bar{e}^-$	$\text{Ag}$	0,80
$\text{Hg}^+$	$2\bar{e}^-$	$\text{Hg}$	0,85
$\text{NO}_3^- + 4\text{H}^+$	$3\bar{e}^-$	$\text{N}_2 + 2\text{H}_2\text{O}$	0,96
$\text{Br}_2$	$2\bar{e}^-$	$2\text{Br}^-$	1,07
$\text{MnO}_2 + 4\text{H}^+$	$2\bar{e}^-$	$\text{Mn}^{2+} + 2\text{H}_2\text{O}$	1,23
$\text{Cr}_2\text{O}_7^{2-} + 14\text{H}^+$	$6\bar{e}^-$	$2\text{Cr}^{3+} + 7\text{H}_2\text{O}$	1,33
$\text{Cl}_2$	$2\bar{e}^-$	$2\text{Cl}^-$	1,36
$\text{ClO}_3^- + 6\text{H}^+$	$6\bar{e}^-$	$\text{Cl}^- + 3\text{H}_2\text{O}$	1,45
$\text{MnO}_4^- + 8\text{H}^+$	$5\bar{e}^-$	$\text{Mn}^{2+} + 4\text{H}_2\text{O}$	1,51
$\text{MnO}_4^- + 4\text{H}^+$	$3\bar{e}^-$	$\text{MnO}_2 + 2\text{H}_2\text{O}$	1,68
$\text{F}_2$	$2\bar{e}^-$	$2\text{F}^-$	2,87

$\text{Cl}_2/2\text{Cl}^-$  ნყვილის სტანდარტული პოტენციალი მეტია, ვიდრე  $\text{Fe}^{3+}/\text{Fe}^{2+}$  ნყვილისა:

$$E^0 \text{Cl}_2/2\text{Cl}^- = +1,36 \text{ ვოლტს}$$

ცხადია, რომ  $\text{Cl}_2$ -ის, როგორც მუანგავის აქტივობა,  $\text{Fe}^{3+}$ -იონების მუანგავ აქტივობაზე გაცილებით მაღალია. შესაბამისად,  $\text{Cl}^-$  უფრო სუსტი აღმდგენია ვიდრე  $\text{Fe}^{3+}$ , ე.ი. რაც უფრო მაღალია მოცემული ნყვილის

სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის მნიშვნელობა მით უფრო ძლიერი მჟანგავია მისი დაუანგული ფორმა და მით უფრო სუსტი აღმდგენია მისი აღმდგენილი ფორმა. ყველაზე ძლიერი მჟანგავია ფთორი ( $E^0 = +2.87$  ვოლტს) ძლიერი მჟანგავების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე  $MnO_4^-$  - იონები მჟავა გარემოში ( $E^0 = +1.53$ ).  $Cr_2O_7^{2-}$  მჟავა გარემოში ( $E^0 = +1.36$  ვოლტს) და ა.შ. ძლიერი აღმდგენებია ტუტე და ტუტემინათა მეტალები, აგრეთვე  $Mg$ ,  $Al$ ,  $Zn$  და სხვ. ძლიერი აღმდგენია  $AsH_3$ , აგრეთვე  $V^{2+}$ ,  $Ti^{3+}$  და ა.შ.  $F^-$  პრაქტიკულად არ არის აღმდგენი, რადგან არ არსებობს მჟანგავი, რომელიც ელექტრონს დააკარგვინებს. იონებისაგან ელექტრონების დაკარგვა მხოლოდ ელექტროლიზის გზით შეიძლება როცა კომბინირებულია ორი ჟანგვა-ალდგენითი წყვილი, ორიდან უფრო ძლიერი მჟანგავი ელექტრონები ართმევს ყფრო ძლიერ აღმდგენს, რის შედეგადაც მიღებიან უფრო სუსტი აღმდგენი და მჟანგავი. მაგალითად, ორი წყვილიდან  $Cl_2/2Cl^-$  და  $Fe^{3+}/Fe^{2+}$  უფრო ძლიერი მჟანგავია  $Cl_2$  ( $E^0 = +1.36$  ვ) და უფრო ძლიერი აღმდგენია  $Fe^{2+}$  იონები ( $E^0 = +0.77$  ვ), ამიტომ შესაბამისად, რეაქცია ამ ორ წყვილს შორის შემდეგი მიმართულებით მიდის:

$$Cl_2 + 2Fe^{2+} \rightarrow 2Cl^- + 2Fe^{3+}$$

რეაქცია წავა გამოსავალთან შედარებით უფრო სუსტი აღმდგენის ( $Cl^-$ ) და წარმოქმნის მიმართულებით. ამრიგად, უფრო სუსტი მჟანგავის ( $Fe^{3+}$ )-is სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების მნიშვნელობების საშუალებით შესაძლებელია ხსნარებში მიმდინარე სხვადასხვა ჟანგვა-ალდგენითი რეაქციების მიმართულების განსაზღვრა. მაგრამ ელექტროდული პოტენციალების მნიშვნელობები არ არის უცვლელი. ისინი დამოკიდებულია ხსნარში დაუანგული და ალდგენილი ფორმების კონცენტრაციებზე

(აქტივობაზე), ტემპერატურაზე, გამხსნელის ბუნებაზე, არის pH-ზე და ა.შ. ალდგენილი ფორმების ელექტროდული პოტენციალის დამოკიდებულება დაუანგული და კონცენტრაციაზე და ტემპერატურაზე გამოისახება ნერნსტის განტოლებით:

$$E = E^0 + \frac{RT}{nF} \ln \frac{[C_{\text{მჟანგავი}}]}{[C_{\text{აღმდგენი}}]},$$


სადაც  $E^0$  არის წყვილის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი,  $R$  – აირების უნივერსალური მუდმივაა ( $8.31 \text{ J/mol}/\text{K}$ ),  $T$  – აბსოლუტური ტემპერატურა კელვინით,  $F$  ფარადეის რიცხვია ( $96\,500 \text{ Ампер-Кельвین}/\text{Вольт}$ ). თუ ამ განტოლებაში შევიტანო მუდმივების რიცხვით მნიშვნელობებს და ნატურალური ლოგარითმიდან გადავალთ ათობითზე, ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს ( $20^\circ\text{C}$ ):

$$E = E^0 + \frac{0.058}{n} \lg \frac{[C_{\text{მჟანგავი}}]}{[C_{\text{აღმდგენი}}]}$$

მაგალითად,  $Fe^{3+}/Fe^{2+}$  წყვილისათვის:

$$E_{Fe^{3+}/Fe^{2+}} = 0,77 + \frac{0,058}{n} \lg \frac{[Fe^{3+}]}{[Fe^{2+}]}$$

თუ მაგალითად,  $[Fe^{3+}] = 1\text{მოლ/ლ}$  და  $[Fe^{2+}] = 0.0001\text{ მოლ/ლ}$ , მაშინ  
რეაქციისთვის:



$$E_{MnO_4^-/Mn^{2+}} = 1.51 + \frac{0,058}{n} \lg \frac{[MnO_4^-][H^+]^8}{[Mn^{2+}]}$$

მხედველობაში ვღებულობთ, რომ წყვილის კონცენტრაცია მუდმი-  
ვია. სტანდარტული პირობებისათვის, ე.ი როცა

$$[MnO_4^-] = [Mn^{2+}] = [H^+] = 1\text{ მოლ/ლ}$$

მივიღებთ  $E = E^0 = 1.51\text{ გოლტს.}$

## 10. დისპერსიული სისტემები. ხსნარები

### 10.1 ხსნარები. ხსნართა ტიპები.

ნივთიერებათა გახსნის კანონზომიერებები.  
გამხსნელები. წყალი – უნიკალური გამხსნელი.  
ნივთიერებათა ხსნადობა,  
ხსნადობის რაოდენობრივი დახასიათება

ხსნარები დისპერსიულ სისტემებს წარმოადგენს. დისპერსიული ენოდება მიკროპეტეროგენულ სისტემებს, რომელშიც ერთი ნივთიერების ნაწილაკები განაწილებულია მეორე ნივთიერების ნაწილაკებს შორის. ამ ნივთიერებას დისპერსიული ფაზა ენოდება, ხოლო დისპერსიული სისტემის იმ ნაწილს, რომელშიც დისპერსიული ფაზა არის განაწილებული – სადისპერსიო არე.

დისპერსიული ფაზის ნაწილაკების ზომის მიხედვით განასხვავებენ სამი ტიპის დისპერსიულ სისტემას: უხეში დისპერსიული სისტემები: სუსპენზიები და ემულსიები ნაწილაკების ზომით 1 მკ ( $10^{-4}$  სმ)-ზე მეტი, კოლოიდური ხსნარები (დისპერსიული ფაზების ნაწილაკები 1 – 0.1 მკ-ის რიგისაა) და ჭეშმარიტი ხსნარები – დისპერსიულობის მაქსიმალური ხარისხით. გახსნილი ნივთიერება დანაწილებულია მოლეკულებამდე ან იონებამდე.

განვიხილოთ ჭეშმარიტი ხსნარები.

ჭეშმარიტი ხსნარი არის ჰომოგენური სისტემა, რომელიც შედგება ორი ან მეტი კომპონენტისაგან, რომელთა რაოდენობრივი თანაფარდობა საკმაოდ ფართო ზღვრებში შეიძლება შეიცვალოს.

ყველა ხსნარი შედგება გამხსნელისა და გახსნილი ნივთიერებისაგან. გამხსნელს ჩვეულებრივ იმ კომპონენტს ეძახიან, რომელიც იგივე აგრეგატულ მდგომარეობაშია, როგორშიც ხსნარი, ხოლო როცა ორივე ერთსა და იმავე აგრეგატულ მდგომარეობაშია, მაშინ გამხსნელი ის ნივთიერებაა, რომელიც უფრო დიდი რაოდენობით არის აღებული.


ერთგვაროვნებით ხსნარი ქიმიურ ნაერთს გავს. გარდა ამისა, ხსნარის დამზადებისას, ისევე როგორც ნაერთის წარმოქმნისას, ადგილი აქვს სითბურ ეფექტს, რაც გამხსნელისა და გახსნილი ნივთიერების ქიმიური ურთიერთქმედების დამადასტურებელია. აღსანიშნავია, რომ ხსნარებსა და ნაერთებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არის. ხსნარები ხასიათდება ცვლადი შედგენილობით, მაშინ, როცა ნაერთებს, ძირითადად, მუდმივი შედგენილობა აქვს. ცვლადი შედგენილობით ხსნარი მექანიკურ ნარევს მოგვაგონებს, თუმცა მისგან ერთგვაროვნებით განსხვავდება. აქედან გამომდინარე, ხსნარი არც ნაერთია და არც ნარევი, მას უკავია შუალედური მდგომარეობა ქიმიურ ნაერთებსა და მექანიკურ ნარევებს შორის.

### 10.1.1. გახსნის პროცესის ძირითადი თეორიები და კანონზომიერებები

გახსნის პროცესის შესახებ ორი ძირითადი თეორია არსებობს: ფიზიკური და ქიმიური. ფიზიკური თეორიის მიხედვით (ვანტ-ჰოფი, არენიუსი) გამხსნელი განიხილება ინერტულ არედ, რომელშიც თანაბრად არის განაწილებული გახსნილი ნივთიერების ნაწილაკები, მათ შორის ქიმიური ურთიერთქმედების გარეშე.


გახსნის ქიმიურ თეორიას საფუძველი დ.ი. მენდელეევმა ჩაუყარა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით მან წამოაყენა თეორია ხსნარებში გამხსნელი და გახსნილი ნივთიერებების ქიმიური ურთიერთქმედების პროდუქტების არსებობის შესახებ. ურთიერთქმედების პროდუქტები კომპლექსებია, რომელთაც ზოგადად სოლვატებს უწოდებენ, ხოლო წყალსხნარების შემთხვევაში – ჰიდრატებს.

ჰიდრატაცია, როგორც საერთოდ, სოლვატაცია, გამხსნელისა და გახსნილი ნივთიერების ბუნებისაგან დამოკიდებულებით სხვადასხვა გზით ხორციელდება: დონორულ-აქცეპტორული, იონ-დიპოლური, დიპოლ-დიპოლური, შეიძლება წყალბადური ბმების წარმოქმნასაც ჰექსადეს ადგილი. მაგალითად, პროტონისა და ამიაკის ჰიდრატები მიიღება დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით.



იონ-დიპოლურ ურთიერთქმედებას ადგილი აქვს წყალში იონური ნაერთების გახსნისას, ხოლო დიპოლ-დიპოლურ ურთიერთქმედებას წყალში პოლარული ნაერთების გახსნისას.

გარდა ენერგეტიკული ფაქტორისა, გახსნის პროცესის ქიმიურ ხასიათზე სხვა ფაქტორებიც მიუთითებენ. მაგალითად, ეთოლის სპირტის წყალში გახსნისას ხსნარის მოცულობა აღებული ნივთიერების (სპირტი და წყალი) საერთო მოცულობის 3.5 %-ით მცირდება, რაც ჰიდრატების წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. ამჯერად სპირტისა და წყლის მოლეკულების დაკავშირება წყალბადური ბმებით ხორციელდება:



ზოგჯერ გახსნას ფერის ცვლილებაც ახლავს. მაგალითად თეთრი ფერის  $\text{CuSO}_4$ -ის წყალში გახსნისას  $\text{CuSO}_4$ -ის ცისფერი ხსნარი მიიღება, რაც სპილენძის აქვაკომპლექსის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ხსნარებს შეიძლება ასეთი განმარტება მივცეთ: ხსნარი არის ორი ან მეტკომპონენტიანი ჰომოგენური სისტემა, რომელიც შედგება გამხსნელის, გახსნილი ნივთიერებისა და მათი ურთიერთქმედების პროდუქტებისაგან.

### 10.1.2. გახსნის პროცესის თერმოდინამიკა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ხსნარის დამზადებას ახლავს სითბური ეფექტი. ზოგიერთი ნივთიერების წყალში გახსნისას სითბო გამოიყოფა, რის შედეგადაც სისტემის ენთალპია მცირდება.

ენთალპის ცვლილებას, რომელსაც აქვს ადგილი 1 მოლი ნივთიერების გახსნისას, ამ ნივთიერების გახსნის ენთალპია ენთალპია. თუ გახსნის პროცესი ეგზოთერმულია, გახსნის ენთალპიას აქვს უარყოფითი მნიშვნელობა,  $\Delta H < 0$ . ტუტეების ( $\text{NaOH}$ ,  $\text{KOH}$ ) წყალში გახსნის ენთალპია უარყოფითია.  $\Delta H_{\text{გახ}}(\text{KOH}) = -55.6 \text{ kJ/mol}$ .

ამონიუმის ნიტრატის წყალში გახსნა ენდოთერმული პროცესია, ე.ი. მისი გახსნის ენთალპია დადებითია.  $\Delta H_{\text{გახ}}(\text{NH}_4\text{NO}_3) = 26.4 \text{ kJ/mol}$ .

კრისტალური ნივთიერების გახსნა პირობითად შეიძლება ნარმოვიდებინოთ, როგორც რამდენიმე საფეხურად მიმდინარე პროცესი: პირველ ეტაპზე ხდება კრისტალური სტრუქტურის (მესრის) რღვევა, რაზეც გარკვეული ენერგია იხარჯება. ეს საფეხური ყველა შემთხვევაში მიღის ენერგიის ხარჯვით, ე.ი. ენდოთერმულია ( $\Delta H_{\text{ერ}} > 0$ ), ნარმოქმნილი ნაწილაკები (მოლეკულები ან იონები, ატომური სტრუქტურის ნაერთები წყალში პრაქტიკულად უსხსნადია) ურთიერთქმედებენ გამხსნელის მოლეკულებთან კომპლექსების – ე.წ. სოლვატების (წყლის შემთხვევაში ჰიდრატების) ნარმოქმნით. ეს საფეხური სითბოს გამოიყოფით მიმდინარეობს. სოლვატაცია ეგზოთერმული პროცესია ( $\Delta H_{\text{ჰიდ}} < 0$ ), გარდა ამისა, ადგილი აქვს აგრეთვე გახსნილი ნივთიერების ნაწილაკების დიფუზიას გამხსნელში, რაზეც ენერგია იხარჯება ( $\Delta H_{\text{დიფ}}$ ).

გახსნის სრული ენთალპია ( $\Delta H_{\text{გახ}}$ ), შეიძლება გამოვთვალოთ ამ სამი წევრის ჯამის სახით:  $\Delta H_{\text{გახ}} = (+)\Delta H_{\text{ერ}} + (-)\Delta H_{\text{ჰიდ}} + (\Delta H_{\text{დიფ}})$ ,  $\Delta H_{\text{დიფ}}$  იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის შეიძლება უგულებელყოფით:

$$\Delta H_{\text{გახ}} = (+)\Delta H_{\text{ერ}} + (-)\Delta H_{\text{ჰიდ}} \quad (10.1)$$

გახსნის პროცესი სითბოს გამოყოფით წავა თუ შთანთქმით, ამ ორი წევრის თანაფარდობაზე არის დამოკიდებული.

თუ კრისტალური სტრუქტურის დაშლაზე მეტი ენერგია დაიხარჯა, ვიდრე გამოიყო, ჰიდრატაციის დროს გახსნა მიმდინარეობს სითბოს შტანთქმით ( $\text{NH}_4\text{NO}_3$ ), პირიქით, თუ ჰიდრატაციის სითბო კრისტალური სტრუქტურის რღვევისათვის საჭირო ენერგიისას გადააჭარბებს, მაშინ მყარ ნივთიერებათა (მაგალითად,  $\text{NaOH}$ ,  $\text{KOH}$ ) გახსნისას ადგილი ექნება სითბოს გამოყოფას:

$$|\Delta H_{\text{ერ}}| < |\Delta H_{\text{ჰიდ}|}$$

გახსნის პროცესი შეიძლება იყოს ენდოთერმული, როდესაც  $|\Delta H_{\text{ერ}}| > |\Delta H_{\text{ჰიდ}|}$  (მაგალითად,  $\text{NH}_4\text{NO}_3$ ).

აირების გახსნა ერთ საფეხურად მიმდინარეობს (მისი მოლეკულების დაშორებაზე ენერგია არ იხარჯება). ეს საფეხური მისი მოლეკულების

ჰაერის გახსნა უოველთვის სითბოს გამოყოფით მიმდინარეობს ( $\Delta H < 0$ ).

გახსნის პროცესის დროს ენტროპიის ცვლილებასაც აქვს ადგილი. კერძოდ, ნივთიერებათა გახსნა მიმდინარეობს სისტემის ენტროპიის ზრდით, რადგან ერთი ნივთიერების (გახსნილის) მეორე ნივთიერებაში (გამხსნელში) თანაბარი განაწილებისას მკეთრად იზრდება სისტემის მიკრომდგომარეობების რიცხვი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კრისტალური ნივთიერების გახსნა ენდოთერმული პროცესია ( $\Delta H > 0$ ), გახსნისას სისტემის ჯიბსის თავისიუფალი ენერგიის ცვლილებას აქვს უარყოფითი მნიშვნელობა ( $\Delta G < 0$ ), რის გამო გახსნის პროცესი თავის-თავად მიმდინარეობს.

### 10.1.3. ჰაერის განვითარების და კრისტალჰაერის განვითარები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გახსნა ერთდროულად მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური პროცესების ერთობლიობაა. გახსნის პროცესის ქიმიურ ხასიათს პირველ რიგში პროცესის დამახასიათებელი ენთალპიის ცვლილება ამტკიცებს. გამხსნელის და გახსნილი ნივთიერების ურთიერთქმედების პროდუქტები სოლვატებია, წყლის შემთხვევაში კი ჰაერატები.

ჰაერატები, როგორც წესი, არამდგრადი ნაერთებია, ბევრ შემთხვევაში გამხსნელის აორთქლებისას ისინი იშლებიან, მაგრამ ზოგიერთი ჰაერატი მტკიცეა და ხსნარიდან გახსნილი ნივთიერების გამოყოფისას, წყლის მოლეკულების განსაზღვრული რაოდენობა რჩება ამ ნივთიერების კრისტალის შედგენილობაში. მყარ ნივთიერებებს, რომელთა კრისტალები წყლის მოლეკულებს შეიცავენ, კრისტალჰაერის ენოდებათ, ხოლო მათ შედგენილობაში შემავალ წყალს კრისტალიზაციური წყალი. მაგალითად, სპილენძის (II) სულფატის კრისტალჰაერის (შაბიამნის შედგენილობა გამოისახება ფორმულით  $\text{CuSO}_4 \cdot 5 \text{H}_2\text{O}$ , რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ კრისტალჰაერის  $\text{CuSO}_4 \cdot 5 \text{H}_2\text{O}$  უოველ ერთ მოლზე მოდის ხეთი მოლი წყალი. ნატრიუმის სულფატის კრისტალჰაერის, ე.წ. გლაუბერის მარილის ფორმულა  $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10 \text{H}_2\text{O}$ , კალცინირებული (სარეცხი) სოდის –  $\text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10 \text{H}_2\text{O}$  და ა.შ.

კრისტალჰაერის მარილისა და წყლის მოლეკულებს შორის კავშირის სიმტკიცე განსხვავებულია. ზოგიერთი მათგანი ოთახის ტემპერატურაზეც კი კარგავს კრისტალიზაციურ წყალს, მაგალითად,  $\text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10 \text{H}_2\text{O}$ . ზოგიერთი კრისტალჰაერის გასაუწყლოებლად საკმაოდ მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებაა საჭირო. მაგალითად,  $\text{AlCl}_3 \cdot 6 \text{H}_2\text{O}$ -დან საერთოდ არ ხერხდება წყლის გამოყოფა.

## 10.1.4 ხსნადობა. ხსნადობის რაოდენობრივი დახასიათება

ხსნადობა არის ნივთიერების უნარი გაიხსნას წყალში ან სხვა გამ-  
ხსნელში. წყალი იაფი და უნიკალური გამხსნელია. თხევად გამხსნელში  
კრისტალური ნივთიერების გახსნა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგი-  
ნოთ: როცა გასახსნელი ნივთიერების კრისტალი თხევად გამხსნელში შეგ-  
ვაქვს, მისი ზედაპირიდან ხდება ცალკეული მოლეკულების (ან იონების)  
მოწყვეტა, რომელებიც დიფუზიის გამო თანაბრად ნაწილდება ხსნარის  
მთელ მოცულობაში. კრისტალიდან ნაწილაკების ჩამოცილება ერთის  
მხრივ, მათი საკუთარი რხევითი მოძრაობით და მეორეს მხრივ, გამხსნე-  
ლის მოლეკულებთან ურთიერთქმედებით არის განპირობებული. ეს პრო-  
ცესი ამ ნივთიერების სრული გახსნით დამთავრდებოდა, რომ არა ხსნარში  
მიმდინარე მეორე, მისი საწინააღმდეგო პროცესი – კრისტალიზაცია.

ხსნარში გადასული ნივთიერების ნაწილაკები მოძრაობისას ეჯახება  
რა ჯერ კიდევ გაუხსნელი კრისტალის ზედაპირს, მიიზიდება მის მიერ და  
ბრუნდება ამ კრისტალის შედგენილობაში – კრისტალურ სტრუქტურას  
„მიშენდება“. ამასთან, თავდაპირველად, ხსნარში გადასული ნაწილაკების  
რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე გახსნის შემდგომ ეტაპებზე. მაგრამ  
გახსნილი ნაწილაკების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება ხსნარიდან  
გამოყოფილი ნაწილაკების რიცხვიც და ბოლოს დადგება მომენტი, როცა  
ხსნარში გადასული და ხსნარიდან გამოყოფილი ნაწილაკების რიცხვი გა-  
ტოლდება. ამ მოვლენას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც გახსნის სიჩქარე გა-  
უტოლდება გამოკრისტალების სიჩქარეს. ამ დროს მყარდება დინამიკური  
წონასწორობა ნივთიერების გახსნილ და გაუხსნელ ნაწილებს შორის.

**ხსნარს, რომელიც დინამიკურ წონასწორობაშია გახსნილ ნივ-  
თიერებასთან, ნაჯერი ხსნარი ეწოდება.** ე.ი ნივთიერების გახსნა მიმ-  
დინარეობს ხსნარის გაჯერებამდე. ცნობილია ნაჯერი ხსნარის სხვაგვა-  
რი განმარტებაც: **ნაჯერია ხსნარი, რომელშიც მოცემული ნივთიერე-  
ბა, მოცემულ ტემპერატურაზე მეტად აღარ ისხნება.**

ხსნარი უჯერია, თუ იმავე ტემპერატურაზე მასში კიდევ შეიძ-  
ლება იგივე ნივთიერების გახსნა. ხსნარი შეიძლება გახსნილი ნივთიე-  
რების მიმართ იყოს ზენაჯერი. ხსნარს, რომელიც უფრო მეტ გახსნილ  
ნივთიერებას შეიცავს, ვიდრე ნაჯერი ხსნარი იმავე ტემპერატურა-  
ზე, ზენაჯერი ეწოდება. ზენაჯერი ხსნარების მისაღებად ამზადებენ  
ცხელ ნაჯერ ხსნარებს და შემდგომ მათ ფრთხილად აცივებენ. თუ გა-  
ცივების დროს არ მოხდა ნივთიერების გამოკრისტალება, ამ შემთხვევა-  
ში ცივი ხსნარი იქნება ზენაჯერი. ზენაჯერ ხსნარებს იყენებენ მყარ  
ნივთიერებათა გასასუფთავებლად. ამ მეთოდს გადაკრისტალებას უწო-  
დებენ. ზენაჯერი ხსნარები არამდგრადია, მასში იგივე ნივთიერების ან  
იზომორფული ნივთიერების მცირე ზომის კრისტალის (კრისტალიზა-  
ციის ცენტრი) შეტანა საჭმარისია ნივთიერების გამოსაკრისტალებლად.  
ამ დროს კრისტალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ხსნარის მთელ მო-

ცულობაში. ამასთან, გამოკრისტალებული ნივთიერება სუფთაა, მინარევი რჩება ხსნარში, რადგან მინარევისათვის ხსნარი უჯერია.

ნივთიერების ხსნადობის რაოდენობრივ მახასიათებელს წარმოადგენს ხსნადობის კოეფიციენტი, რომელიც არის მოცემულ ტემპერატურაზე ნაჯერი ხსნარის დასამზადებლად საჭირო ნივთიერების მასის ფარდობა გამხსნელის მოცულობასთან (V). მას უბრალოდ ხსნადობასაც უწოდებენ (S). ხსნადობის განზომილებაა გ/ლ:

$$S = m_{\text{ნივთ}} / V_{\text{გ/ლ}} \quad (10.2)$$

თუ გამხსნელის მოცულობა არის ერთი ლიტრი, მაშინ  $S = m_{\text{ნივთ}} / V_{\text{ლ}} = m_{\text{ნივთ}} / 1$ , ე.ი. ხსნადობა გვიჩვენებს მოცემულ ტემპერატურაზე გახსნილი ნივთიერების ზღვრულ (მაქსიმალურ) მასას გამხსნელის 1 ლიტრში.

ხსნადობის მიხედვით განასხვავებენ კარგად ხსნად, მცირედ ხსნად და პრაქტიკულად უხსნად ნივთიერებებს. თუ 100 გრამი გამხსნელი (მაგალითად, ნყალი) 10 გრამზე მეტი ნივთიერებას ხსნის, ეს ნივთიერება კარგად ხსნადია. ასეთი ნივთიერებებია: NaOH, KOH, NH<sub>4</sub>NO<sub>3</sub>, NH<sub>3</sub>, HCl, სპირტი და ა.შ. თუ 100 გრამ ნყალში 1 გრამზე ნაკლები ნივთიერება იხსნება, იგი მცირედ ხსნადია. მცირედ ხსნადი ნივთიერებებია: NaHCO<sub>3</sub>, Ca(OH)<sub>2</sub>, N<sub>2</sub>, O<sub>2</sub>, CaSO<sub>4</sub> და ა.შ. ხოლო თუ 100 გრამ ნყალში 0.01 გრამზე ნაკლები ნივთიერება იხსნება, ის პრაქტიკულად უხსნად ნივთიერებად ითვლება. პრაქტიკულად უხსნადია მინა, ვერცხლი, ნავთი, მცენარეული ზეთი, კეთილშობილი აირები და ა.შ. არ არსებობს აბსოლუტურად უხსნადი ნივთიერება. არსებობს პრაქტიკულად უხსნადი ნივთიერება.

ატომური კრისტალური სტრუქტურის მქონე ნივთიერებები (ალმასი, გრაფიტი და ა.შ.) პრაქტიკულად უხსნადია. რადგან არცერთ გამხსნელს არ შეუძლია ნახშირბადის ან სილიციუმის ატომებთან წარმოქმნას ისეთი სოლვატები, რომელთა წარმოქმნის ენერგია (მაგალითად, ალმასში და გრაფიტში) C-C ან Si-O ბმებს დაარღვევდა.

### 10.1.5. ხსნადობის დამოკიდებულება ნივთიერებათა ბუნებაზე, ტემპერატურასა და წნევაზე

ნივთიერებათა ბუნებაზე ხსნადობის დამოკიდებულების შესახებ უძველესი დროიდან ცნობილია ემპირიული (ცდაზე დამყარებული) წესი, რომლის თანახმადაც „მსგავსი იხსნება მსგავსში“. იონური და პოლარული ნაერთები უკეთესად იხსნება პოლარულ გამხსნელებში (წყალი, სპირტი, თხევადი ამიაკი და ა.შ.), ხოლო არაპოლარული ნაერთები არაპოლარულ გამხსნელებში. თუმცა, ზემოთ ფორმულირებული ემპირიული წესი აბსოლუტური არ არის და ცნობილია გამონაკლისები (მაგალითად, ზოგიერთი ნივთიერების ხსნადობა ბენზოლში).

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არ არსებობს ნივთიერებათა ბუნებაზე ხსნადობის დამოკიდებულების შესახებ მწყობრი თეორია. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ დამოკიდებულებას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი. პირველ რიგში, ქიმიური ბმის ბუნება, როგორც გასახსნელ, ისე


გახსნილ ნივთიერებაში. წყალი პოლარული გამხსნელია, ამიტომ წყალში უკეთესად უნდა გაიხსნას იონური და პოლარული ნივთიერებები, რადგანაც, ორივე შემთხვევაში, გამხსნელის და გახსნილი ნივთიერების ნაწილაკებს შორის აღიძვრება ელექტროსტატიკური ურთიერთქმედება: იონური ნაერთების შემთხვევაში – იონ-დიპოლური, პოლარული ნაერთების შემთხვევაში კი – დიპოლ-დიპოლური. ამ ურთიერთქმედების შედეგია მყარი ნივთიერების კრისტალიდან მისი შემადგენელი ნაწილაკების გადასვლა ხსნარში. უნდა აღიზრუნოს, რომ, ყველა იონური ნაერთი წყალში ერთნაირად არ იხსნება. ამ შემთხვევაში, უკვე მნიშვნელობა აქვს იონების მუხტსა და რადიუსს. რაც უფრო ნაკლებია იონების მუხტი და მეტია რადიუსი, კულონური ურთიერთქმედება იონებს შორის ნაკლებია და წყლის დიპოლები უფრო ადვილად ახდენს ამ იონების დაშორებას. მაგალითად, შევადაროთ ტუტეების ხსნადობა წყალში. მათი ხსნადობა იზრდება ასეთი თანმიმდევრობით:  $\text{Ca(OH)}_2 < \text{Sr(OH)}_2 < \text{Ba(OH)}_2$ .

$\text{Ca(OH)}_2$  მცირედ ხსნადია,  $\text{Ba(OH)}_2$  კარგად ხსნადი ტუტეა: იონთა მუხტები ამ შემთხვევაში ერთნაირია, განსხვავება არის კათიონების რადიუსებში: რადიუსების ზრდა ამცირებს იონებს შორის კულონურ ურთიერთქმედებას, რაც ინვევს ხსნადობის გაზრდას.

როგორც ავლნიშნეთ, არაპოლარული ნაერთები კარგად იხსნებიან არაპოლარულ გამხსნელებში. მაგალიოთად, ნახშირწყალბადები ერთმანეთში. მაგრამ ეთილენური ნახშირწყალბადები გოგირდმჟავაშიც იხსნება, რაც მათი ქიმიური ურთიერთქმედებით არის გამოწვეული. ე.ი. თუ გასახსნელი ნივთიერება და გამხსნელი ერთმანეთთან ქიმიურად ურთიერთქმედებს, ეს ნივთიერება ამ გამხსნელში გაიხსნება. როგორც ცნობილია, მეტალები არც ერთ გამხსნელში არ იხსნებიან, გარდა მუჟავებისა. მუჟავებში მათი გახსნა ქიმიური ურთიერთქმედებით და წყალში ხსნადი ნაერთების ნარმოქმნით არის გამოწვეული.

კრისტალური ნივთიერების შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თანაფარდობას, რომელიც არსებობს კრისტალური ნივთიერების შემადგენელ ნაწილაკებს შორის არსებულ ბმის ენერგიასა და ჰიდრატაციის ენერგიას შორის. რაც უფრო აღემატება ჰიდრატაციის ენერგია გასახსნელი ნივთიერების შემადგენელ ნაწილაკთა შორის ბმის ენერგიას, მით უფრო მაღალი იქნება ამ ნივთიერების წყალში ხსნადობა.

ნივთიერებათა ხსნადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. მყარი ნივთიერების ხსნადობა თხევად გამხსნელში ყოველთვის შეზღუდულია და უმეტეს შემთხვევაში ტემპერატურის ანევისას იზრდება. ტემპერატურაზე ხსნადობის დამოკიდებულება სხვადასხვა მყარი ნივთიერებისათვის განსხვავებულია და ყველაზე მოხერხებულად ეს დამოკიდებულება გამოისახება გრაფიკულად, ე.წ. ხსნადობის მრუდებით. ამ მრუდების ასაგებად აბსცისთა ღერძზე იზომება ტემპერატურა, ორდინატთა ღერძზე კი – ამ ტემპერატურის შესაბამისი ხსნადობა. ხსნადობის მრუდებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მყარ ნივთიერებათა ხსნადობის ცვლილება ტემპერატურის მიხედვით სხვადასხვა ნივთიერებისთვის განსხვავებულია. ასე, მაგალითად, კალიუმის, ვერცხლის, ტყვიის ნიტრატების ხსნადობა ტემპერატურის ზრდით მნიშვნელოვნად იზრდება,  $\text{NaCl}$ -ის ხსნადობის მრუდი კი თითქმის პარალელურია აბსცისთა ღერძისა (ნახ. 10.1).



ნახაზი 10.1 მყარი ნივთიერებების ხსნადობის მრუდები

ცნობილია ისეთი მყარი ნივთიერებებიც, რომელთა ხსნადობა ტემპერატურის გაზრდით მცირდება. ასეთია ტუტეები, ზოგიერთი მარილი, მაგალითად,  $\text{Li}_2\text{CO}_3$  და ა.შ. რთული ფორმა აქვს  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ის ხსნადობის მრუდს (ნახ. 10.2.). ტემპერატურის გაზრდისას მისი ხსნადობა მკვეთრად იზრდება,  $32^{\circ}\text{C}$ -ზე აღწევს მაქსიმუმს და შემდეგ იწყებს შემცირებას.  $32^{\circ}\text{C}$ -ზე  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ის ხსნადობა მაქსიმალურია.  $32^{\circ}\text{C}$ -მდე ნაჯერ ხსნართან წონასწორობაში იმყოფება  $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10 \text{ H}_2\text{O}$ , რომლის გახსნაც სითბოს შთანთქმით მიმდინარეობს, ამიტომ ტემპერატურის გაზრდით ხსნადობა იზრდება.  $32^{\circ}\text{C}$ -ის ზემოთ ხსნართან წონასწორობაში მყოფი მყარი ფაზა არის უწყლო მარილი  $\text{Na}_2\text{SO}_4$ , რომლის გახსნა სითბოს გამოყოფით მიმდინარეობს. ამიტომ მცირდება ხსნადობა.

მყარი ნივთიერების წყალში გახსნისას სისტემის მოცულობა უმნიშვნელოდ იცვლება, ამიტომ მყარი ნივთიერებების ხსნადობა წნევაზე პრაქტიკულად დამოკიდებული არ არის.

## 10.2. აირადი ნივთიერებების ხსნადობა. ჰენრის კანონი. დალტონის კანონი

აირის წყალში გახსნა ეგზოთერმული პროცესია. ტემპერატურის აწევისას აირების ხსნადობა სითხეში მცირდება. მართლაც, ყოველდღიური ცხოვრებიდან ცნობილია, რომ თბილ ოთახში ცივი წყლით სავსე ჭიქის კედლებზე შეინიშნება აირის ბუშტები, რაც გამოწვეულია ტემპერატურის აწევის შედეგად ხსნარში არსებული აირების ხსნადობის შემცირებით.

ამავე დროს ცნობილია ცალკეული გამონაკლისებიც. მაგალითად, წყალბადის ხსნადობა თხევად ამიაკში და ზოგიერთი აირებისა თრგანულ გამსხნელებში ტემპერატურის აწევისას იზრდება. ასეთ შემთხვევაში გახსნას თან ახლავს ენდოთერმული პროცესები. წყლისათვის ამგვარი ფაქტები არ არის ცნობილი. წყალში აირის ხსნადობა ტემპერა-

ტურის ანევისას ყოველთვის მცირდება, რადგან ჰიდრატაცია ყოველ-  
თვის ეგზოთერმული პროცესია.

სითხეში აირის გახსნისას მისი მოცულობა მნიშვნელოვნად მცირ-  
დება. ამის გამო სითხეში აირის ხსნადობა დამოკიდებულია წნევაზე. ეს  
დამოკიდებულება გამოისახება ჰენრის კანონით: მუდმივ ტემპერატუ-  
რაზე გახსნილი აირის მასა **აირის წნევის პირდაპირპროპორციულია:**

$$\rho = kP, \quad (10.3)$$

სადაც  $\rho$  აირის მასური წილია (მასური წილი) ხსნარში,  $k$  – პროპორ-  
ციულობის კოეფიციენტი (ჰენრის კონსტანტა),  $P$  – აირის წნევა ხსნარს  
ზემოთ.  $k$  დამოკიდებულია აირისა და გამხსნელის ბუნებაზე და არა წნე-  
ვაზე. მართლაც, ვთქვათ,  $V$  მოცულობა წყალში იხსნება 1 მგ აირი, რო-  
მელიც  $t^{\circ}\text{C}$  და  $P$  წნევის პირობებში იკავებს  $V'$  მოცულობას. ჰენრის კა-  
ნონის თანახმად,  $2P$  წნევის პირობებში გაიხსნება 2 მგ აირი. წნევის ორ-  
ჯერ გადიდებისას აირის სიმკვრივე ასევე ორჯერ გაიზრდება, რის გა-  
მოც 2 მგ აირი დაიკავებს იგივე  $V'$  მოცულობას.

ამრიგად, მუდმივ ტემპერატურაზე ერთი და იმავე მოცულობის გამ-  
ხსნელში გახსნილი აირის მოცულობა მუდმივია და არ არის დამოკიდე-  
ბული წნევაზე. ამის გამო აირების ხსნადობას ჩვეულებრივ გამოხატა-  
ვენ არა მასის, არამედ მოცულობის ერთეულებით (უთითებენ 100 მლ  
გამხსნელში გახსნილი აირის მოცულობას).

სითხეში აირთა ნარევის ხსნადობა ემორჩილება **დალტონის კა-  
ნონს**, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ სითხის ზემოთ აირთა ნა-  
რევია, თითოეული აირი გაიხსნება პარციალური წნევის პროპორციუ-  
ლად. მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი. გავიხსენოთ, რომ ჰაერში  
ჟანგბადისა და აზოტის მოცულობითი წილებია შესაბამისად 21 % და 79  
%. თუ აირების საერთო წნევაა 1 ატმ ანუ  $P = 101.325$  კპა, მაშინ ჟანგბა-  
დის პარციალური წნევა იქნება  $P(\text{O}_2) = 21.278$  კპა, აზოტის  $P(\text{N}_2) = 80.046$   
კპა.  $20^{\circ}\text{C}$ -ზე 100 მლ წყალში იხსნება 3.1 მლ ჟანგბადი და 1.54 მლ აზოტი. მაშინ  
ზევით გამოთვლილი პარციალური წნევის მნიშვნელობის შესა-  
ბამისად,  $100 \cdot 3.1 \cdot 21.278 / 101.325 = 0.65$  მლ ჟანგბა-  
დი და  $1.54 \cdot 80.046 / 101.325 = 1.1$  მლ აზოტი.

ჰენრისა და დალტონის კანონები სამართლიანია განზავებული  
ხსნარებისათვის მცირე წნევისა და სითხის მიმართ აირის ქიმიური  
ინერტულობის პირობებში.

**ასევე სპეციფიკურია სითხეების გახსნა.** სხვადასხვა სითხე იხსნე-  
ბა ერთმანეთში, ზოგი შეუზღუდავად, მაგალითად, ეთილის სპირტი  
წყალში. ზოგიერთი სითხე მეორეს მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე ერე-  
ვა. მაგალითად, ფენოლის ხსნადობა წყალში შეზღუდულია. ასეთ შემ-  
თხვევაში, ნივთიერებათა შერევისას მიიღება ორფაზიანი სისტემა: ზე-  
და ფენა ფენოლის ნაჯერი ხსნარია წყალში, ქვედა ფენა კი – წყლის ნა-  
ჯერი ხსნარია ფენოლში. უმრავლეს შემთხვევაში ტემპერატურის ანე-  
ვისას ურთიერთხსნადობა იზრდება მანამდე, ვიდრე არ მიიღწევა სითხ-  
ეების შეუზღუდავი ხსნადობის შესაბამისი ტემპერატურა. ტემპერატუ-  
რას, რომლის დროსაც სითხეთა შეზღუდული ხსნადობა გადადის შე-  
უზღუდავში, გახსნის კრიტიკული ტემპერატურა ეწოდება.

თუ ორ, ერთმანეთში უხსნადი სითხის შემცველ სისტემაში, შევიტანთ მესამე ნივთიერებას, რომელიც თითეულ ამ სითხეში იხსნება, მაშინ მესამე ნივთიერება ამ სითხეში განაწილდება თითოეული კომპონენტის შესაბამისი ხსნადობის პროპორციულად. ეს მოვლენა ასახულია **განაწილების კანონში**, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ნივთიერება, რომელიც იხსნება ორ ერთმანეთში შეურევად გამხსნელში, მათ შორის განაწილდება ისე, რომ თანაფარდობა ამ სითხეებში მათ კონცენტრაციებს შორის მუდმივი ტემპერატურის პირობებში, იქნება მუდმივი და არ იქნება დამოკიდებული გახსნილი ნივთიერების საერთო რაოდენობაზე:

$$K_{D(X)} = C_{1(X)} / C_{2(X)}, \quad (10.4)$$

სადაც  $C_{1(X)}$  და  $C_{2(X)}$   $X$  ნივთიერების კონცენტრაციებია პირველ და მეორე გამხსნელში;  $K_{D(X)}$  არის ერთმანეთში უხსნად ორ სითხეშიპნივთიერების განაწილების კოეფიციენტი. მაგალითად, ქლოროფორმსა და წყალს შორის იოდის განაწილების კოეფიციენტი არის 130, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ იოდის წყალსხსნარს დავასხამთ ქლოროფორმს (რომელიც წყალს არ ერება), შევანჯლრევთ და დაგაყოვნებთ. წონასწორობის დამყარების შემდეგ იოდი ქლოროფორმში წყალთან შედარებით 130-ჯერ მეტი აღმოჩნდება, მიუხედავად გახსნილი იოდის საერთო რაოდენობისა, ე.ი ქლოროფორმის საშუალებით შესაძლებელია იოდის ექსტრაგირება წყალსხსნარიდან.

## 10.2. ხსნადობის ნამრავლი

ნაჯერი ხსნარი წარმოადგენს ჰეტეროგენულ წონასწორულ სისტემას, რომელსაც ნივთიერების გაუხსნელი კრისტალები მის გახსნილ ნაწილთან ქმნის. ელექტროლიტების, მაგალითად, მარილების წყალსხსნარების შემთხვევაში ხსნარში გადადის არა მოლეკულები, არამედ იონები. ამიტომ, მარილების ნაჯერ წყალსხსნარში წონასწორობა მყარდება მყარ მარილსა და მისი დისოციაციით ნარმოქმნილ იონებს შორის. მაგალითად,  $\text{CaSO}_4$ -ის წყალსხსნარში წონასწორულ სისტემას ქმნის გაუხსნელი და მისი დისოციაციით ნარმოქმნილ  $\text{Ca}^{2+}$  და  $\text{SO}_4^{2-}$  იონები.

როგორც ცნობილია, შექცევადი პროცესები რაოდენობრივად ხასიათდება წონასწორობის მუდმივათი ( $K$ ), რომელიც ტოლია მიღებულ და აღებულ ნივთიერებათა (ან იონების) წონასწორული კონცენტრაციების ფარდობისა:

$$K = [\text{Ca}^{2+}][\text{SO}_4^{2-}] / [\text{CaSO}_4]$$

(კვადრატული ფრჩხილებით გამოსახავენ წონასწორულ კონცენტრაციებს).

ამ წილადის მნიშვნელი – გახსნილი მყარი მარილის კონცენტრაცია ნაჯერ ხსნარში მუდმივი სიდიდეა. ორი მუდმივას ნამრავლიც მუდმივაა, ამიტომ შეიძლება დავწეროთ:

$$K' = [\text{Ca}^{2+}][\text{SO}_4^{2-}]$$

ე.ი. ელექტროლიტების ნაჯერ წყალსხსნარში მისი იონების წონასწორული კონცენტრაციების ნამრავლი მოცემულ ტემპერატურაზე

მუდმივი სილიდეა. ეს სილიდე რაოდენობრივად ახასიათებს ელექტროლიტის გახსნის შესაძლებლობას, მას ხსნადობის ნამრავლს უწოდებენ და აღნიშნავენ სიმბოლოთ „ხხ“.

თუ K'-ს შევცლით  $\text{CaSO}_4$ -ით, მივიღებთ:

$$\text{CaSO}_4 = [\text{Ca}^{2+}][\text{SO}_4^{2-}]$$

ხსნადობის საშუალებით ადვილია ხსნადობის ნამრავლის რიცხვითი მნიშვნელობების დადგენა. მაგალითად,  $\text{CaSO}_4$ -ის ხსნადობა  $20^\circ\text{C}$  არის  $1.5 \cdot 10^{-2}$  მოლი/ლ. ეს იმას ნიშნავს, რომ  $\text{CaSO}_4$ -ის ნაჯერ ხსნარში  $\text{Ca}^{2+}$  და  $\text{SO}_4^{2-}$  იონების წონასწორული კონცენტრაციებია  $1.5 \cdot 10^{-2}$  მოლი/ლ. შესაბამისად, ამ მარილის ხსნადობის ნამრავლი იქნება:

$$\text{CaSO}_4 = [\text{Ca}^{2+}][\text{SO}_4^{2-}] = (1.5 \cdot 10^{-2})^2 = 2.25 \cdot 10^{-4}$$

იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტროლიტი შეიცავს ორ ან რამდენიმე ერთნაირ იონს, ხსნადობის ნამრავლის გამოთვლის დროს ამ იონების კონცენტრაცია აღებული უნდა იყოს შესაბამისი ხარისხის მაჩვენებლით, მაგალითად:

$$\text{PbI}_2 = [\text{Pb}^{2+}][\text{I}^-]^2$$

ხსნადობის ნამრავლის ფოდნა საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ქიმიურ რეაქციებში ნალექის წარმოქმნასთან ან მის გახსნასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანალიზური ქიმიისათვის. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ხსნადობის ნამრავლი, რომელიც გამოთვლილია აქტიურობის კოეფიციენტის გათვალისწინების გარეშე, წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს მხოლოდ მცირედხსნადი ელექტროლიტებისათვის იმ პირობით, რომ ხსნარში მყოფი სხვა იონების რაოდენობა არის მცირე. ეს იმით აიხსნება, რომ აქტიურობის კოეფიციენტი ერთთან ახლოსაა მხოლოდ ძლიერ განზავებული ხსნარებისათვის.

კარგად ხსნადი ელექტროლიტებისათვის იონების კონცენტრაციების ნამრავლი ნაჯერ ხსნარში შეიძლება ძლიერ შეიცვალოს სხვა ნივთიერებების თანამტკიცებისას. ეს გამოწვეულია იონების აქტიურობის კოეფიციენტის ცვლილებით. ამის გამო, ხსნადობის ნამრავლის გათვლებს, რომელიც გაანგარიშებულია აქტიურობის კოეფიციენტის გათვალისწინების გარეშე, მივყავართ არასწორ შედეგებამდე.

### 10.3. ხსნარის შედგენილობის რაოდენობრივი გამოსახვის ხერხები

ნებისმიერი ხსნარის მნიშვნელოვან მახასიათებელს მისი შედგენილობა წარმოადგენს. გახსნილი ნივთიერების რაოდენობას, რომელსაც შეიცავს ხსნარის ან გამხსნელის განსაზღვრული რაოდენობა, ხსნარის კონცენტრაციას უწოდებენ. ხსნარის კონცენტრაციის მიახლოებითი შეფასებისათვის პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ცნებები: კონცენტრირებული და განზავებული.

ხსნარი, რომელიც გახსნილი ნივთიერების მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს (გამომდინარე მისი ხსნადობიდან), ითვლება კონცენტრირებულად. მაგალითად, HCl-ის 37 %-იანი ხსნარი მაქსიმალურად კონცენტრირებულია, გოგირდმჟავას კონცენტრაცია კი მის კონცენტრირებულ ხსნარში 98 %-ს შეიძლება აღემატებოდეს. განზავებული ხსნარი კი გახსნილი ნივთიერების გაცილებით მცირე რაოდენობას შეიცავს.

არსებობს ხსნარის შედგენილობის გამოსახვის რამდენიმე ხერხი:

1. გახსნილი ნივთიერების მასური წილით (ა):

გახსნილი ნივთიერების მასური წილი გახსნილი ნივთიერების მასის ხსნარის მასასთან ფარდობის ტოლია:

$$\omega_{(გახსნ)} = \frac{m_{(გახსნ)}}{m_{(ხსნ)}} \quad \text{ან} \quad \omega_{გახსნ \%} = 100 \cdot \frac{m_{(გახსნ)}}{m_{(ხსნ)}} \quad (10.5)$$

გახსნილი ნივთიერების მასური წილი უგანზომილებო სიდიდეა. მაგალითად, 20 %-იანი შაქრის ხსნარი ნიშნავს, რომ ამ ხსნარის 100 გრამ შეიცავს 20 გრამ გახსნილ ნივთიერებას და 80 გრამ ანუ 80 მლ წყალს. ე.ი. პროცენტით გამოსახული გახსნილი ნივთიერების მასური წილი გვიჩვენებს 100 გრამ ხსნარში გახსნილი ნივთიერების მასას.

გახსნილი ნივთიერების მოლური წილი (φ) ტოლია გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვის ფარდობისა ხსნარში შემავალი ყველა ნივთიერების (მათ შორის გამხსნელისაც) მოლების რიცხვის ჯამთან:

$$\Phi_{(X)} = \frac{V_{(X)}}{V_{(X)} + V_{გამხ}} , \quad (10.6)$$

სადაც  $\Phi_x$  არის გახსნილი ნივთიერების მოლური წილი,  $V_{(X)}$  – მისი მოლების რიცხვი. გამხსნელის მოლური წილი, რომელიც აღნიშნება ბერძნული ასოთი ფ, შემდეგი განტოლებით გამოისახება:

$$\Phi_{გამხ} = \frac{V_{გამხ}}{V_X + V_{გამხ}} \quad (10.7)$$

სადაც  $X$  ხსნარის მოლების რიცხვია, ხოლო  $V_{გამხ}$  – გამხსნელისა.

2. ხსნარში ნივთიერების მოლური კონცენტრაცია ( $C_x$ ) განისაზღვრება გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვის ხსნარის მოცულობასთან ფარდობით:

$$C_x = \frac{V_x}{V_{ხსნ}} = \frac{m_x}{M_{(x)} V_{ხსნ}} , \quad (10.8)$$

სადაც  $V_x$  გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვია,  $m_x$  – მისი მასა (გ),  $M_x$  – ამ ნივთიერების მოლური მასა.

მოლური კონცენტრაციის განზომილება მოლი/ლ. ეს გვიჩვენებს, რომ 1 ლიტრ ხსნარში გახსნილი ნივთიერების მოლების რაოდენობას.  $C_{HCl} = 0.1$  მოლი/ლ ნიშნავს, რომ ამ ხსნარის 1 ლიტრი შეიცავს 0.1 მოლ ანუ 3.65 გ HCl-ს. მოლურ კონცენტრაციის M-ითაც აღნიშნავენ. მაგალითად, 0.1 M ნიშნავს, რომ ხსნარი არის 0.1 მოლური, ე.ი. მისი 1 ლიტრი შეიცავს 0.1 მოლ გახსნილ ნივთიერებას. 2 M ნიშნავს, რომ ხსნარი არის 2 მოლური, ე.ი. მისი 1 ლიტრი შეიცავს 2 მოლ გახსნილ ნივთიერებას და ა.შ.

3. ხსნარის მოლალობა ( $C_m$ ) განისაზღვრება გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვის ფარდობით გამხსნელის მასასთან:

$$C_{m(x)} = \frac{v_x}{m_{გამხ}} = \frac{m_x}{M_x m_{გამხ}}, \quad (10.9)$$

სადაც,  $v_x$  გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვია,  $m_x$  – ამ ნივთიერების მასა (გ),  $M_x$  – მისი მოლური მასა,  $m_{გამ}$  – გამხსნელის მასა.

ვთქვათ,  $HCl$ -ის ხსნარის მოლალობა არის 0.1, ეს ნიშნავს, რომ 1000 გრამ წყალში გახსნილია 0.1 მოლი ანუ 3.65 გრამ  $HCl$ .

4. ნივთიერების ეკვივალენტის მოლური კონცენტრაცია ( $C_{ექ}$ ) ანუ ხსნარის ნორმალობა განისაზღვრება გახსნილი ნივთიერების ეკვივალენტების რაოდენობის ფარდობით ხსნარის მოცულობასთან:

$$C_{ექ(x)} = \frac{v_{ექ}}{v_{ხსნ}}, \quad (10.10)$$

$Cek(NaOH) = 0.1$  ნიშნავს, რომ ამ ხსნარის 1 ლიტრი შეიცავს 0.1 ეკვივალენტს ანუ 0.1 მოლ  $NaOH$ -ს (ერთმუავური ფუძეებისათვის ეკვივალენტების და მოლების რიცხვია ტოლია), ე.ი. 4 გრამს. ნორმალობას  $N$ -თაც აღნიშნავენ.  $2N$  ნიშნავს, რომ ხსნარი ორნორმალურია, ე.ი. მისი ერთი ლიტრი შეიცავს გახსნილი ნივთიერების ორ ეკვივალენტს.

5. ხშირად ხსნარის კონცენტრაციას გამოსახავენ ტიტრით. ტიტრი გვიჩვენებს გახსნილი ნივთიერების მასას, გამოსახულს გრამებით, რომელსაც შეიცავს ხსნარის 1 მლ.

ტიტრი და მოლური კონცენტრაცია ერთმანეთთან დაკავშირებულია ფორმულით:

$$T_x = \frac{C_{(x)} M_{(x)}}{1000}, \quad (10.11)$$

სადაც  $C_{(x)}$   $x$  ნივთიერების მოლური კონცენტრაციაა,  $M_{(x)}$  –  $x$  ნივთიერების მოლური მასაა.

ხსნარის ტიტრი ნორმალობასთან დაკავშირებულია შემდეგი ფორმულით:

$$T_x = \frac{C_{(x)} M_{ექ(x)}}{1000}, \quad (10.12)$$

სადაც  $C_x$  არის ხსნარის ნორმალობა,  $M_{ექ(x)}$  არის  $x$  ნივთიერების ეკვივალენტის მოლური მასა.

#### 10.4. ხსნარების კოლიგატიური თვისებები

კოლიგატიური ხსნარების ისეთ თვისებებს ეწოდება, რომლებიც ხსნარში მხოლოდ ნაწილაკთა რიცხვზეა დამოკიდებული.

კოლიგატიურ თვისებებს მიეკუთვნება:

ოსმოსური წნევა, გამხსნელის ნაჯერი ორთქლის წნევა ხსნარის ზედა-პირზე, ხსნარის დუღილის ტემპერატურა, ხსნარის გაყინვის ტემპერატურა.

#### 10.4.1 ოსმოსი და ოსმოსური წნევა

როგორც ცნობილია, ხსნარი არის ერთგვაროვანი სისტემა, სადაც გახსნილი ნივთიერება სითბური მოძრაობის შედეგად თანაბრად არის განაწილებული მის მთელ მოცულობაში.

კალიუმის პერმანგანატის ხსნარს ფრთხილად დავასხათ წყალი (ისე, რომ არ მოხდეს ხსნარის და წყლის შერევა), წარმოქმნება ორფე-ნიანი სისტემა, რომელიც თანდათა გამხსნელისა და გახსნილი ნივთიე-რების ნაწილაკების ურთიერთშერევის გამო, მთელ მოცულობაში ერ-თნაირ შეფერილობას იღებს.

ქაოსურად მოძრავი გახსნილი ნივთიერების ნაწილაკები გადაად-გილდებიან როგორც უფრო კონცენტრირებული ხსნარიდან განზავე-ბულში, ისე პირიქით. ამასთან, დროის ერთეულში კონცენტრირებული-დან განზავებულში გადასული ნაწილაკების რიცხვი ყოველთვის მეტია, ვიდრე პირიქით – განზავებული ხსნარიდან კონცენტრირებულში გადა-სული წყლის მოლეკულების რიცხვი. განხილულ შემთხვევაში გახსნილი და გამხსნელი ნივთიერების ნაწილაკები დიფუნდირდებიან ურთიერ-თსაპირისპირო მიმართულებით, ე.ი. ადგილი აქვს ორმხრივ დიფუზიას. მისი შედეგია კონცენტრაციის გათანაბრება მთელ მოცულობაში, რა-საც შეესაბამება სისტემის ენტროპიის მაქსიმუმი.

დიფუზია ენოდება მოლეკულების სითბური მოძრაობის შედეგად ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციის გათანაბრების თავისთავად მიმ-დინარე პროცესს. დიფუზია განაპირობებს სისტემის სწრაფვა ენტრო-პიის მაქსიმუმისაკენ. დიფუზია წარმოადგენს მთელი რიგი ქიმიური პროცესის მალიმიტირებელ სტადიას. ის აგრეთვე განსაზღვრავს მრა-ვალი ბიოლოგიური პროცესის მიმდინარეობას, რამდენადაც ფერმენ-ტული რეაქციები მაღალი სიჩქარით მიმდინარეობს.


მაგრამ სრულიად განსხვავებულ პროცესებს აქვს ადგილი, თუ ორ სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარს ან ხსნარსა და გამხსნელს შორის მო-ვათავსებთ ტიხარს, რომელიც ატარებს გამხსნელს და არ ატარებს გახსნი-ლი ნივთიერების ნაწილაკებს. ასეთ ტიხრებს ნახევრადშელნევადს უწოდე-ბენ. ნახევრადშელნევადი ტიხრების მაგალითს წარმოადგენს მემბრანები. ცნობილია ბუნებრივი (მცენარეული და ცხოველური წარმოშობის), სინთე-ზური და ხელოვნური მემბრანები. ნახევრადშელნევადი ტიხრის როლი აგ-რეთვე შეიძლება შეასრულოს ნაწილობრივ გამომწვარმა თიხამ.

ნახევარგამტარი მემბრანის გავლით მხოლოდ გამხსნელის მოლე-კულები გადადიან ხსნარში ან უფრო განზავებული ხსნარიდან კონცენ-ტრირებულში, რის გამო, მაღალი კონცენტრაციის ხსნარის დონე აი-ნევს. **ამ მოვლენას ოსმოსი ენოდა.**

ნახევრადშელნევადი მემბრანის გავლით მიმდინარე გამხსნელის ცალმხრივ დიფუზიას ოსმოსი ენოდება. ოსმოსის მოვლენაში გასარკვე-

ვად ჩავატაროთ ცდა. გამოვიყენოთ ხელსაწყო, რომელიც აღნერილია ქვემოთ მოცემულ ნახაზზე (ნახ. 10.2).

ცდის დასაწყისში სითხის დონე ორივე ჭურჭელში ერთნაირია, მაგრამ ხელსაწყოს მოსვენებულ მდგომარეობაში დაყოვნებისას შეიმჩნევა წყლის მოლეკულების შაქრის ხსნარში გადასვლა ნახევრადშეღწევადი მემბრანის გავლით, რის გამოც ვინწრო მილში სითხის დონე თანდათან აიწევს და მიაღწევს რა გარკვეულ სიმაღლეს, შემდეგ უცვლელი რჩება. ამ დროს მილში ასული სითხის ჰიდროსტატიკური წნევა უტოლდება იმ ძალას, რომელიც გამხსნელის მოლეკულებს აიძულებს გადავიდეს ხსნარში. **წნევას, რომელიც წარმოიქმნება ჰიდროსტატიკური წნევის სახით და რომელიც წყვეტს ოსმოსის მოვლენას, ოსმოსური წნევა ეწოდება.** ე.ი. ოსმოსური ეწოდება წნევას, რომელიც მოქმედებს ნახევრადშეღწევად მემბრანაზე კონცენტრირებული ხსნარის მხრიდან და წყვეტს ოსმოსის მოვლენას.



ნახაზი 10.2. ოსმოსური წნევის ასახველი ცდის სქემა: 1 – ჭურჭელი გამხსნელი; 2 – ჭურჭელი ხსნარი; 3 – დგუში; 4 – ტვირთი.

როდესაც ჰიდროსტატიკური წნევა გაუტოლდება იმ ძალას, რომელიც აიძულებს გამხსნელის მოლეკულებს სუფთა გამხსნელიდან (ან განზავებული ხსნარიდან) გადავიდეს უფრო კონცენტრირებულში – დამყარდება წონასწორობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დროის ერთეულში განზავებული ხსნარიდან კონცენტრირებულში გადასული გამხსნელის მოლეკულების რიცხვი ტოლი ხდება კონცენტრირებული ხსნარიდან განზავებულში გადასული გამხსნელის მოლეკულების რიცხვის.

რა აიძულებს გამხსნელის მოლეკულებს გაიაროს ნახევრადშეღწევადი მემბრანა და გადავიდეს უფრო კონცენტრირებულ ხსნარში, რა იწვევს ოსმოსის მოვლენას? როგორც დადგინდა, ამისი მიზეზი არის გამხსნელის მოლეკულების სწრაფეა, რომელიც შეიძლება შევადაროთ აირის მოლეკულების თანაბარ განანილებას მის მიერ დაკავებულ მთლიან მოცულობაში.

სხვადასხვა ხსნარის ოსმოსური წნევის განსაზღვრის საფუძველზე დადგინდა, რომ ოსმოსური წნევის სიდიდე დამოკიდებულია ხსნარის კონცენტრაციაზე (პფეფერი) და ტემპერატურაზე (ვანტ-ჰოფი):

$$\pi_{\text{ოსმ}} = k_1 C, \\ \pi_{\text{ოსმ}} = k_2 T$$

ვანტ-ჰოფმა განაზოგადა მიღებული შედეგები (მან დაინახა ანალოგია აირებსა და ხსნარებს შორის, რის საფუძველზეც ხსნარებს

მიუყენა აირების კანონები) და არაელექტროლიტთა განზავებული ხსნარებისათვის ოსმოსური წნევის ხსნარის კონცენტრაციაზე და ტემპერატურაზე დამოკიდებულება გამოსახა ფორმულით:

$$\pi_{\text{მსმ}} = C_M RT, \quad (10.13)$$

სადაც,  $C$  ხსნარის მოლური კონცენტრაცია,  $T$  – აბსოლუტური ტემპერატურა,  $R$  – აირების უნივერსალური მუდმივა.

როგორც ცნობილია, მოლური კონცენტრაცია:  $C_M = n/V$  ( $V=1\text{ლ}$ ,  $C$  რიცხობრივად უდრის  $n$ -ს).

თავის მხრივ:

$$n = \frac{m}{M},$$

სადაც  $n$  არის გახსნილი ნივთიერების რაოდენობა (მოლების რიცხვი),  $m$  მოლების რიცხვს აღნიშნავენ ბერძნული ასოთი „შ“),  $V$  – ხსნარის მოცულობა,  $m$  – გახსნილი ნივთიერების მასა,  $M$  – გახსნილი ნივთიერების მოლური მასა.

შევიტანოთ ეს მნიშვნელობები (10.13) ფორმულაში. მაშინ გვექნება:

$$\pi_{\text{მსმ}} = \frac{mRT}{M}$$

ამ ფორმულით შესაძლებელია გახსნილი ნივთიერების (არაელექტროლიტის) მოლური მასის განსაზღვრა.

ოსმოსის მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების სიცოცხლისათვის. უჯრედული გარსები ნარმო-ადგენს მეგბრანებს, რომლებიც შეღწევადია წყლისათვის, მაგრამ არ ატარებს უჯრედშიგა სითხეში გახსნილ ნივთიერებებს. უჯრედში შეღწეული წყლის გამო ვითარდება ჰიდროსტატიკური წნევა (ოსმოსური წნევა), რომელიც განაპირობებს უჯრედის გარსის დაჭიმულობას და დრეკადობას, რაც უზრუნველყოფს ბიოლოგიური ქსოვილის ელასტიკურობას. ამავე დროს, უჯრედში და ქსოვილში წყლის შემცველობა აუცილებელია იქ მიმდინარე სხვადასხვა ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების მიმდინარეობისათვის.

ცოცხალ უჯრედს ნახევარშეღწევადობის უნარს პროტოპლაზმის გარსი ანიჭებს. მაგალითად, ერითროციტების პროტოპლაზმური გარსი შეუღწევადია რიგი კატიონებისათვის (მაგალითად,  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ ), თუმცა კარგად ატარებს ანიონებს და წყლის მოლექულებს. თუ მცენარეული ან ცხოველური უჯრედი მოხვდება წყლის გარემოში, უჯრედი შეიწოვს წყალს (ენდო-ოსმოსი), რაც გამოიწვევს უჯრედის გაჯირვებას. თუ ეს პროცესი გაგრძელდა, უჯრედის გარსი გაიხევა და შიგთავსი გადმოიღვრება. ამ მოვლენას ჰემოლიზი ეწოდება. მარილის კონცენტრირებულ ხსნარებში კი საპირისპირო მოვლენა აღინიშნება – უჯრედის შეკუმშვა (პლაზმოლიზი), რომელიც წყლის მოლექულების დაკარგვით არის გამოწვეული (ეგზოოსმოსი), ე.ი. მისი გადასვლით გარე კონცენტრირებულ ხსნარში.

ხსნარებს, რომელთა ოსმოსური წნევა სტანდარტული ხსნარის ოსმოსური წნევის ტოლია, იზოტონური ხსნარები ეწოდება („იზოს“ ბერ-

ძნულად ტოლს, ერთნაირს ნიშნავს), უფრო მაღალი ოსმოსური წნევის ხსნარებს ჰიპერტონული, უფრო დაბალისას კი ჰიპოტონური.

ადამიანის სისხლი, ლიმფა, ქსოვილური სითხეები მრავალი ნივ-თი-ერების მოლეკულებისა და იონების ხსნარებს წარმოადგენს. მათი ჯა-მური ოსმოსური წნევა  $37^{\circ}\text{C}$ -ზე  $7.4 - 7.8$  ატმ ტოლია. ასეთ წნევას ავი-თარებს  $0.86\%$ -იანი  $\text{NaCl}$ -ის ხსნარი, რომელიც სისხლის იზოტონურია. მას ფიზიოლოგიურ ხსნარს უწოდებენ.

მაღალორგანიზებულ ცხოველებსა და ადამიანს გააჩნიათ სისხ-ლის მუდმივი ოსმოსური წნევა, რასაც იზოოსმია ეწოდება. იზოოსმის დარ-ღვევა ორგანიზმისათვის მომაკვდინებელია.

როცა სამკურნალო მიზნით ორგანიზმში წყალხსნარების შეყვანა ხდება, ამ ხსნარებს უნდა გააჩნდეთ ისეთივე ოსმოსური წნევა, როგორც სისხლის პლაზმას, ე.ი. უნდა იყოს მისი იზოტონური.

### 10.2.2. ხსნარის ორთქლის წნევა

ცნობილია, რომ ყოველ ქიმიურად სუფთა გამხსნელს გააჩნია ნაჯე-რი ორთქლის წნევის განსაზღვრული მნიშვნელობა, რომელიც მოცე-მულ ტემპერატურაზე მუდმივი სიდიდეა. ტემპერატურის გაზრდისას ნაჯერი ორთქლის წნევა იზრდება. მაგალითად, წყლის ზედაპირზე  $0^{\circ}\text{C}$ -ზე ( $273\text{K}$ ) ორთქლის წნევა არის  $4.4$  მმ ვ. ს. ამ ტემპერატურაზე წყალი და ყინული ქმნიან წონასწორულ სისტემას. ტემპერატურის  $100^{\circ}\text{C}$ -მდე გაზრდი-სას წყლის ზედაპირზე ნაჯერი ორთქლის წნევა ტოლი ხდება  $P = 760$  მმ ვ. ს. (1 ატმ,  $101.325$  კპა). თუ წყალში გაცხსნით რაიმე არააქრო-ლად ნივთიერებას, მაგალითად, შაქარს, მაშინ იმავე ტემპერატურაზე ხსნარის ზედაპირზე არსებული ნაჯერი ორთქლის წნევა სუფთა წყალ-თან შედარებით უფრო ნაკლები აღმოჩნდება. ეს ერთის მხრივ გამოწ-ვეულია გახსნილი და გამხსნელი ნივთიერებების ურთიერთქმებით, რა-საც ახლავს ჰიდრატების წარმოქმნა და რის გამოც თავისუფალი, ე.ი. აქ-როლების უნარის მქონე წყლის მოლეკულების რაოდენობა მცირდება, მეორეს მხრივ, ხსნარის შემთხვევაში მცირდება აორთქლების ზედაპირი (ხსნარის ზედაპირის ნაწილი არააქროლადი გახსნილი ნივთიერების მო-ლეკულებს უკავია) და გამხსნელის აორთქლების სიჩქარე, რაც ავრცელებული ამცირებს ორთქლის მდგომარეობაში გადასული მოლეკულების რიცხვს.

დადგინდა, რომ სუფთა გამხსნელთან შედარებით ხსნარის ზედა-პირზე არსებული ორთქლის წნევა ყოველთვის უფრო დაბალია.

აღვნიშნოთ სუფთა გამხსნელის ზედაპირზე ნაჯერი ორთქლის წნე-ვა  $P_0$ -ით, ხსნარის ზედაპირზე  $P$ -თი. მაშინ ხსნარის ზედაპირზე არსებუ-ლი ორთქლის წნევის ფარდობითი დაწევა (დეპრესია) შემდეგი წილადით გამოისახება:

$$\frac{P_0 - P}{P_0}$$

სხვადასხვა არააქროლადი სითხეების და მყარი ნივთიერებების (არაელექტროლიტების) ხსნარების შესწავლის საფუძველზე ფრანგი მეცნიერის რაულის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა კანონი (რაულის კანონი), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არაელექტროლიტთა განზავებული ხსნარების ორთქლის წნევის ფარდობით დაწევას (დეპრესიას) და ხსნარის კონცენტრაციას.

ამ კანონის მიხედვით სუფთა გამხსნელთან შედარებით ხსნარის ორთქლის წნევის დაწევა გახსნილი ნივთიერების მოლური წილის პირდაპირპოპორციულია. აღვნიშნოთ სუფთა გამხსნელის რაოდენობა მოლებში  $n_0$ -ით, გახსნილი ნივთიერების –  $n$ -ით. ხსნარში არსებული მოლების საერთო რიცხვი იქნება ( $n_0 + n$ ) და რაულის კანონი მათემატიკურად ასე გამოისახება:

$$\frac{P_0 - P}{P_0} = \frac{n}{n_0 + n},$$

სადაც,  $(P_0 - P)/P_0$  ორთქლის წნევის ფარდობითი დაწევაა (დეპრესია), ხოლო  $n/(n + n_0)$  – გახსნილი ნივთიერების მოლური წილი:

$$\frac{P_0 - P}{P_0} = 1 - \frac{P}{P_0} = \frac{n}{n + n_0} \quad \text{აქედან}$$

$$\frac{P}{P_0} = 1 - \frac{n}{n + n_0} = \frac{n + n_0 - n}{n + n_0} = \frac{n_0}{n + n_0}$$

$$\frac{P}{P_0} = \frac{n_0}{n + n_0} \quad P = P_0 \frac{n_0}{n + n_0}$$

$n/(n + n_0)$  არის გამხსნელის მოლური წილი, აღვნიშნოთ  $\gamma_0$ -ით:

$$P = P_0 \gamma_0$$

ე.ო. ხსნარის ზედაპირზე არსებული ორთქლის წნევა სუფთა გამხსნელის ორთქლის წნევისა და გამხსნელის მოლური წილის ნამრავლის ტოლია.

ხსნარებს, რომლებიც ემორჩილებიან რაულის კანონს, იდეალური ხსნარები ეწოდება. ხსნარში გახსნილი ნივთიერების კონცენტრაციის ძლიერ შემცირებით შეიძლება მივაღწიოთ იდეალური ხსნარის მდგომარეობას, ამ შემთხვევაში გახსნილი ნივთიერების მოლექულებს ძორის მანძილები იმდენად დიდია, რომ მათ შორის ურთიერთქმედება შეიძლება უგულებელყოთ. მთელ რიგ რეალურ შემთხვევებში ადგილი აქვს რაულის კანონიდან გადახრას.

#### 10.4.3 ხსნარის დუღილის და გაყინვის ტემპერატურები. ებულიოსკოპია და კრიოსკოპია

ყოველი ინდივიდუალური ნივთიერება ხასიათდება ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის მკაცრად განსაზღვრული ტემპერატურით. მაგალითად, ნორმალური ატმოსფერული წნევის პი-

რობებში თხევადი წყალი მყარ მდგომარეობაში გადადის 0°C-ზე, ხოლო აირადში 100°C-ზე. წყალში არააქროლადი ნივთიერების გახსნისას დუღილის ტემპერატურა იზრდება, გაყინვის ტემპერატურა კი მცირდება.

უამრავი ექსპერიმენტული მონაცემი ამტკიცებს, რომ ხსნარის დუღილის ტემპერატურა ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე სუფთა გამხსნელის, გაყინვის ტემპერატურა კი უფრო დაბალი. მუდმივი წნევის პირობებში არაელექტროლიტთა განზავებული ხსნარების დუღილის ტემპერატურის ანევა და გაყინვის ტემპერატურის დაწევა ხსნარის კონცენტრაციის პროპორციულია. კონცენტრაციებსა მშემთხვევაში გამოსახავენ 1000 გრამ გამხსნელში გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვით, ე.ი. მოლალობით. ამასთან, კრისტალიზაციის და დუღილის პროცესში ხსნარის კონცენტრაცია იცვლება. აქედან გამომდინარე, ხსნარი დუღს და იყინება არა ერთ განსაზღვრულ ტემპერატურაზე, არამედ ტემპერატურის ინტერვალში. ხსნარის გაყინვის და დუღილის ტემპერატურებად მიღებულია კრისტალიზაციის და დუღილის დაწევების ტემპერატურები.


ხსნარის და გამხსნელის დუღილის ტემპერატურათა სხვაობას დუღილის ტემპერატურის ანევას უნიდებენ და ალნიშნავენ  $\Delta t_{\text{duR}} - iT$ , ხოლო გაყინვის ტემპერატურათა სხვაობას, გაყინვის ტემპერატურის დაწევას ალნიშნავენ  $\Delta t_{\text{gay}} - iT$ , ხსნარის დუღილისა და გაყინვის ტემპერატურებს შესაბამისად ალნიშნავენ  $t_{\text{დუღ}} \text{ და } t_{\text{გაყ}}$ . სუფთა გამხსნელებისას კი  $t^{\circ}_{\text{დუღ}} \text{ და } t^{\circ}_{\text{გაყ}}$ :

$$\Delta t_{\text{დუღ}} = t_{\text{დუღ}} - t^{\circ}_{\text{დუღ}},$$

$$\Delta t_{\text{გაყ}} = t^{\circ}_{\text{გაყ}} - t_{\text{გაყ}}$$

ხსნარი დუღილს იმ ტემპერატურაზე იწყებს, როცა მისი ნაჯერი ორთქლის წნევა ატმოსფერულ წნევას გაუტოლდება. მაგალითად, წყალი 101.325 კპა წნევის პირობებში დუღს 100°C-ზე. სწორედ ამ ტემპერატურებზეა წყლის ორთქლის წნევა 101.325 კპა. როდესაც წყალ-ში რაიმე არააქროლადი ნივთიერებაა გახსნილი, მის ზედაპირზე არსებული ნაჯერი ორთქლის წნევა უფრო დაბალია და ის რომ ატმოსფერულს გაუტოლდეს (101.325 კპა), საჭიროა ხსნარი 100°C-ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე გაცხელდეს. ანალოგიურად შეიძლება აიხსნას ხსნარის გაყინვის ტემპერატურის შემცირება.

სუფთა გამხსნელთან შედარებით ხსნარის დუღილის ტემპერატურის ანევა და გაყინვის ტემპერატურის დაწევა შეესაბამება ლე შატელიეს პრინციპს. განვიხილოთ ხსნარის გაყინვა. ვთქვათ, ნონასწორობაშია ყინული და წყალი 0°C-ზე.



წყალში ნივთიერებების გახსნისას წყლის მოლეკულების კონცენტრაცია ხსნარში მცირდება და ზემოთ აღნიშნული ნონასწორობა ლე შატელიეს პრინციპის თანახმად იმ მიმართულებით გადაინაცვლებს, რომელიც თხევადი წყლის კონცენტრაციას გაზრდის, ე.ი. ყინულის ლილობის მიმართულებით. ახალი ნონასწორობის დასამყარებლად აუცილებელი გახდება ტემპერატურის შემცირება.

ხსნარების დულილისა და გაყინვის პროცესების შესწავლის საფუძველზე რაულმა დაადგინა შემდეგი კანონზომიერება:

სუფთა გამხსნელთან შედარებით ხსნარის დულილის ტემპერატურის ანევა და გაყინვის ტემპერატურის დანევა გახსნილი ნივთიერების მოლალური კონცენტრაციის პროპორციულია:

$$\Delta t_{\text{დუ}} = EC_m(X)$$

$$\Delta t_{\text{გა}} = KC_m(X),$$

სადაც  $C_m$  არის  $X$  ნივთიერების მოლალური კონცენტრაცია,  $E$  – არის ებულიოსკოპიური მუდმივა,  $K$  – კრიოსკოპული მუდმივა.  $C_m = 1000 \frac{m_1}{m_2 M}$ , სადაც  $M$  გახსნილი ნივთიერების მოლური მასაა ( $\text{გ}/\text{მოლი}$ ),  $m_1$  – გახსნილი ნივთიერების მასაა (გ),  $m_2$  – გამხსნელის მასაა (გ).

$E$ -სა და  $K$  -ს ფიზიკური არსის გასაგებად დავუშვათ, რომ  $C_m(X) = 1$  მოლი/კგ, მაშინ  $\Delta t_{\text{დუ}} = E$  და  $\Delta t_{\text{გა}} = K$ .

ნარმოადგენს მოლალური ხსნარის დულილის ტემპერატურის ანევას, ე.ი. გვიჩვენებს, რა სიდიდით აინევს ხსნარის დულილის ტემპერატურა 1000 გ წყალში რომელიმე არაელექტროლიტის ერთი მოლის გახსნისას.  $K$  ნარმოადგენს მოლალური ხსნარის გაყინვის ტემპერატურის დანევას. ის გვიჩვენებს, რა სიდიდით მცირდება ხსნარის გაყინვის ტემპერატურა 1000 გრამ წყალში რომელიმე არაელექტროლიტის ერთი მოლის გახსნისას. მაგალითად, ხსნარი, რომელიც შეიცავს 1000 გრამ წყალში გახსნილ 34.2 გრამ შაქარს (0.1 მოლი), დულილს იწყებს  $100.052^{\circ}\text{C}$ -ზე. თუ შაქრის კონცენტრაცია გაორმაგდება ( $68.4$  გრამი), ხსნარი ადულდება  $100.104^{\circ}\text{C}$ -ზე. შარდოვანას 0.1 მოლის ( $6$  გრამი) 1000 გრამ წყალში გახსნით მიღებული ხსნარის დულილის ტემპერატურაც  $100.052^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო კონცენტრაციის გაორმაგების შემთხვევაში ისევ  $100.104^{\circ}\text{C}$ .

ანალოგიურად შეიძლება ხსნარების გაყინვის ტემპერატურების გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ საქაროზას, შარდოვანას, გლუკოზას და სხვა ნივთიერებების ერთნაირი კონცენტრაციის ხსნარები ერთნაირ ტემპერატურაზე დუღს და იყინება. მაგალითად, თუ 1000 გრამ წყალში გახსნილია 34.2 გ საქაროზა (0.1 მოლი), ხსნარი იყინება –  $0.186^{\circ}\text{C}$ -ზე. კონცენტრაციის გაორმაგებისას საქაროზას ხსნარი გაიყინება –  $0.372^{\circ}\text{C}$ -ზე. ე.ი. ებულიოსკოპიური და კრიოსკოპიული მუდმივები დამოკიდებულია მხოლოდ გამხსნელის ბუნებაზე და არ არის დამოკიდებული გახსნილი ნივთიერების ბუნებაზე. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ წყლისთვის კრიოსკოპიული მუდმივა  $K$  ტოლია 1.86, ებულიოსკოპიური  $E$  კი 0.52. ბენზოლისათვის  $K = 5.07$ ;  $E = 2.6$ .

ხსნარების დულილისა და გაყინვის ტემპერატურების გაზომვაზეა დამყარებული უცნობი ნივთიერებების მოლური მასის განსაზღვრის ებულიოსკოპიური და კრიოსკოპიული მეთოდები. ორივე მეთოდი ფართოდ გამოიყენება ქიმიაში. სხვადასხვა გამხსნელის გამოყენებით შესაძლებელია მრავალი ნივთიერების მოლური მასის განსაზღვრა. ბიოლოგიური სისტემებისათვის უფრო გამოსაყენებელია კრიოსკოპიული მეთოდი, რადგან დუღილისას მრავალი ბიოლოგიური სტრუქტურა იშლება.

ფორმულებში  $\Delta t_{\text{და}} = EC_m$  და  $\Delta t_{\text{გა}} = KC_m$  შევიტანოთ  $C_m$ -ის მნიშვნელობა, მივიღებთ მოლური მასის გამოსათვლელ ფორმულებს:

$$\Delta t_{\text{და}} = \frac{E m_1 \cdot 1000}{M m_2}$$

$$\Delta t_{\text{გა}} = \frac{K m_1 \cdot 1000}{M m_2},$$

ელექტროლიტების ხსნარებისათვის დუღილის ტემპერატურის აწევა და გაყინვის ტემპერატურის დაწევა თეორიულთან შედარებით ყოველთვის მეტია. მაგალითად,  $\text{NaCl}$ -ის 1 მოლალური ხსნარის გაყინვის ტემპერატურის დაწევა ( $\Delta t_{\text{გა}} = 3.36^\circ\text{C}$ ) თითქმის ორჯერ მეტია არაელექტროლიტის ანალოგიური კონცენტრაციის ხსნართან შედარებით. ეს მოვლენა ელექტროლიტების იონიზაციით აიხსნება, რომელიც ზრდის ხსნარში ნაწილაკების რიცხვს.

## 10.5 კოლოიდური ხსნარები

თხევად ხსნარებს შორის კოლოიდური ხსნარები გამორჩეულად მნიშვნელოვანია. შეიძლება ვთქვათ, რომ ბუნებაში კოლოიდური ხსნარები (ე.ი. ზოლები) უფრო გავრცელებულია, ვიდრე ჭეშმარიტი. ისეთი უმნიშვნელოვანესი ბიოლოგიური სისტემები, როგორიცაა სისხლი, ლიმფა, ცოცხალი უჯრედის პროტოპლაზმა და ა.შ. კოლოიდური ხსნარებია. ბიოლოგიური ხსნარების შედგენილობისა და თვისებების შესწავლა სამუალებას იძლევა შეემნილ იქნას მათი ხელოვნური ანალოგები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება მედიცინაში.

კოლოიდურ ხსნარებთან, მათ კოაგულაციასა და ლაბის (გელის) წარმოქმნასთან არის დაკავშირებული ისეთი სამრეწველო პროცესები, როგორიცაა არის ნების, ლაქების დამზადება, ქსოვილების ღებვა, ტყავის თრიმვლა, ხელოვნური ბოჭკოების წარმოება და ა.შ.

კოლოიდურ ხსნარებს გახსნილი ნივთიერების ზომის მიხედვით (1-0.1მ) შუალედური ადგილი უკავია უხეშ დისპერსიულ სისტემებსა და ჭეშმარიტ ხსნარებს შორის.

კოლოიდური ხსნარები – ზოლები (შეუიარაღებელი თვალით) ერთგვაროვანია და ჰგავს ჭეშმარიტ ხსნარებს, მაგრამ მათი ერთმანეთისაგან განსხვავება შეიძლება სინათლის სხივის გამოყენებით, რომელსაც არ ატარებს კოლოიდური ხსნარი და ატარებს ჭეშმარიტი ხსნარი. კოლოიდური ხსნარის ნაწილაკების ზომები ჭეშმარიტი ხსნარის ნაწილაკებთან შედარებით დიდია, ამიტომ მათ შეუძლიათ სინათლის სხივის გაბნევა, რის გამოც სინათლის სხივის გზა კოლოიდურ ხსნარში ჭეშმარიტისაგან განსხვავებით, თვალსაჩინოა. ამ მოვლენას ტინდალის ეფექტს უწოდებენ.

ზოლების მიღება შეიძლება დისპერგირების (დაწილადების) ან კონდენსაციის მეთოდით. კონდენსაციის მეთოდით კოლოიდური წარმოაქმნის ნაწილაკები წარმოიქმნება ატომების ან მოლეკულების გარკვეულ პირობებში ურთი-

ერთქმედებით. მაგალითად, წყალში ჩაშვებული პლატინის ელექტროდებს შორის დენის გატარებისას ელექტრულ რკალში წარმოქმნება პლატინის ორთქლი, რომელის კონდენსაციით მიიღება პლატინის ზოლი.


კოლოიდური ხსნარები მრავალი სხვადასხვა ქიმიური რეაქციის შედეგად მიიღება. მაგალითად,  $\text{Fe(OH)}_3$ -ის ზოლი მიიღება მდუღარე წყალში  $\text{FeCl}_3$ -ის ხსნარის წვეთობით დამატებისას. ხსნარი ლებულობს მუქი ჩაის ფერს, რაც  $\text{Fe(OH)}_3$ -ის კოლოიდური ხსნარის ფერია. სილიციუმმჟავას კოლოიდური ხსნარი მიიღება ნატრიუმის ან კალიუმის სილიკატების განზავებულ ხსნარზე მარილმჟავას მოქმედებით. მიიღება სილიციუმმჟავას ზოლი, რომელიც დაყოვნებისას გადადის გელის მდგომარეობაში, რაც სილიციუმმჟავას პოლიმერულ ფორმაში გადასვლასთან არის დაკავშირებული.

კოლოიდური ხსნარები მდგრადი სისტემებია, რაც კოლოიდურ ნანილაკებზე ერთსახელიანი მუხტების არსებობით აისხნება. ეს მუხტები ხელს უშლის კოლოიდური ნანილაკების დამსხვილებას და გამოლექვას. კოლოიდური ნანილაკების მუხტს განაპირობებს ხსნარიდან იონების ადსორბცია ან კოლოიდური ნანილაკების ნანილობრივი დისოციაცია. მაგალითად, სილიციუმმჟავას კოლოიდურ ნანილაკებს უარყოფითი მუხტი აქვს, რადგან ამ ნანილაკებიდან ხდება ნანილობრივ  $\text{H}^+$ -იონების დაკარგვა, ხოლო მეტალთა ჰიდროქსიდების კოლოიდურ ნანილაკებს აქვს დადებით მუხტი, კოლოიდური ნანილაკების მიერ  $\text{OH}^-$ -იონების დაკარგვის გამო. გამომდინარე აქედან, როცა საჭიროა კოლოიდური ხსნარიდან ნივთიერების გამოლექვა, ე.წ. კოაგულაცია, საჭიროა კოლოიდურმა ნანილაკმა დაკარგოს მუხტი, რაც მიიღწევა ელექტროლიტის დამატებით. ამასთან, საჭიროა ისეთი ელექტროლიტის დამატება, რომელიც კოლოიდური ნანილაკების მუხტის საპირისპირ ნიშნის დიდმუხტიან იონებს შეიცავს. მაგალითად, უარყოფითი მუხტის მქონე სისხლის ერითროციტების დალექვა გაადვილებულია ხსნარით, რომელიც შეიცავს  $\text{Fe}^{3+}$  და  $\text{Al}^{3+}$  იონებს. ბუნებაში კოაგულაცია შეინიშნება მდინარეთა შესართავებთან, სადაც მდინარის წყლის კოლოიდური ნანილაკები ილექტება ზღვის წყალში გახსნილი მარილების მოქმედებით, რაც მეჩეჩების წარმოქმნის მიზეზი ხდება.

ხსნარში მყოფ კოლოიდურ ნანილაკს მისი საპირისპირო ნიშნით დამუხტულ იონთან ერთად მიცელა ენოდება. კოლოიდურ ნანილაკს, რომელიც ატარებს გარკვეული ნიშნის მუხტს, გრანულა ენოდება. გრანულის იმ შემადგენელ ნანილს, რომელიც კოლოიდის თვისების მატარებელია, გრანულის გული (ბირთვი) ენოდება. გრანულის საპირისპიროდ დამუხტულ იონს ანგიონი ენოდება.

მაგალითის სახით განვიხილოთ სილიციუმმჟავას კოლოიდური ნანილაკის სტრუქტურა. მისი ბირთვი (გული)  $\text{H}_2\text{SiO}_3$ -ის მოლეკულებისაგან შედგება. ის ელექტრონეიტრალურია. თუ სილიციუმმჟავას კოლოიდური ხსნარი მიღებულია სილიკატზე (მაგალითად,  $\text{Na}_2\text{SiO}_3$ ) მარილმჟავას მოქმედებით, წარმოქმნილი სილიკატ-იონები  $\text{SiO}_3^{2-}$  ადსორბირდებიან ბირთვის ზედაპირზე. ეს იონები კი განაპირობებენ კოლოიდური ნანილაკების ელექტრულ პოტენციალს. მათი საპირისპირო იონების (ანტიონების) ნანილი ხსნარში რჩება და წარმოქმნის დიფუზიურ შრეს, ნანილი კი ადსორბირდება და წარმოქმნის ადსორბციულ შრეს. ე.ი. ბირ-

თვი და მის ზედაპირზე ადსორბირებული იონების შრე, ერთად აღებული, წარმოადგენს გრანულას, ხოლო გრანულა, მის იგვლივ მყოფი იონების დიფუზიურ შრესთან ერთად, არის მიცელა (იხ. ზემოთ). ამრიგად, მიცელა ხსნარში წარმოქმნის გრანულას და დიფუზიურ შრეს:



ცნობილია მოლეკულური კოლოიდური სისტემები, რომელთაც წარმოქმნის ორგანული და მაღალმოლეკულური ნაერთები, სადაც დისპერსიულ გარემოდ შეიძლება იყოს ნყალი ან სხვა გამხსნელი (მაგალითად, ორგანული გამსაზღვრელი). წყალში კოლოიდური ხსნარი შეიძლება მივიღოთ ცილების, სახამებლის და სხვა მაღალმოლეკულური ნაერთების შეტანით წყალში და განაწილებით. ამგვარი სისტემები წარმოადგენს ჰიდროფილურ კოლოიდებს (ზოგადად, ლიოფილური – „გამსაზღვრელის მოყვარული“). ცნობილია ლიოფილური („გამსაზღვრელის მოძღვა“), წყლის, როგორც დისპერსიული გარემოს, გამსაზღვრელის შემთხვევაში – ჰიდროფილური). ასეთი კოლოიდური სისტემები ლაბილურია და გაცხელებით ან მცირე რაოდენობა ელექტროლიტის (მაგალითად, მარილის ხსნარი) შეტანით ადვილად გამოიღება. ამ პროცესს კოლოიდური ხსნარის კოაგულაცია ეწოდება. კოლოიდური ნაწილაკების გამოლექვა შეიძლება გამოიწვიოს ხსნარის გაცივებამაც. ასეთ პირობებში მიღებულ ნალექს გელს უნდღებენ. გელი, როგორც წესი, დიდი რაოდენობით შეიცავს გამსაზღვრელს. აღსანიშნავია, რომ მოლეკულური კოლოიდური სისტემები შექცევადი კოლოიდებია, ე.ი. ისინი ხსნარიდან ერთხელ გამოყოფის შემდეგ, ისევ გამსაზღვრელთან შეხებით, შეიძლება კოლოიდურ მდგომარეობაში კვლავ გადავიყვანოთ.

კოლოიდური ნაწილაკების კოაგულაციისგან დაცვის შიზნით, კოლოიდურ ხსნარებს უმატებენ ე.ნ. დამცველ კოლოიდებს, რომლებიც ლიოფილური კოლოიდური ნაწილაკის ირგვლივ წარმოქმნის თხელ აფსეს და იცავს მათ შეერთებისა (აგრეგაციის) და კოაგულაციისაგან. დამცველ კოლოიდებად უფრო ხშირად იყენებენ ჟელატინს, გუმიარაბიკს, სახამებელს და სხვ. ლიოფილების (ლიოფილური კოლოიდების) ელექტროლიტებით კოაგულაციას ზოგჯერ გამომარილებასაც უნდღებენ.

**11. ელექტროლიტური დისოციაციის თეორია.**  
დისოციაციის მექანიზმი. დისოციაციის თეორიის  
ძირითადი დებულებები. დისოციაციის ხარისხი და დი-  
სოციაციის მუდმივა, ოსტვალდის განზავების კანონი.  
აქტივობის კოეფიციენტი.

### **11.1. ელექტროლიტური დისოციაციის მექანიზმი და იონთა ჰიდრატაცია**

გახსნილი ნივთიერების დამუხტულ ნაწილაკებად დაშლის იდეა  
ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორს გროტეკუსს ეკუთვნის, მოგვიანე-  
ბით (1833წ.), ამ დამუხტულ ნაწილაკებს ფარადებიმ იონები უწოდა (იონი  
ბერძნულად „მოხეტიალეს“ ნიშნავს). თუმცა ორივე მათგანი ნივთიერე-  
ბის დამუხტულ ნაწილაკებად დაშლას შეცდომით ელექტრული დენის  
მოქმედებას მიაწერდა. ეს აზრი მეცნიერებაში არენიუსის გამოკვლევე-  
ბამდე არსებობდა.

გასული საუკუნის 80-ანი წლები ის პერიოდია, როცა ინტენსიურად  
შეისწავლებოდა ხსნარების ფიზიკური და ქიმიური თვისებები. აღმოჩ-  
ნდა, რომ ბევრი ცნობილი ნივთიერების (მუავების, ფუძეების, მარილე-  
ბის) წყალხსნარები არ ექვემდებარებოდა ამ დროს უკვე ცნობილ ვანტ-  
ჰოფის და რაულის კანონებს. ეს წინააღმდეგობა შვედმა მეცნიერმა  
სვანტე არენიუსმა ელექტროლიტების „იონიზაციის“ თეორიით ახსნა.

ცნობილი იყო, რომ ზოგიერთი ნივთიერება წყალხსნარში გამ-  
ლდვალ მდგომარეობაში ელექტრულ დენს ატარებდა, მეორენი კი იგივე  
მდგომარეობაში არა. დენის გამტარ ნივთიერებებს ელექტროლიტები  
უწოდეს, არაგამტარს კი არაელექტროლიტები.

ელექტროლიტების გამტარობას წყალხსნარში ან ნალღობში მათი იო-  
ნებად დაშლა განაპირობებს. ე.ი ელექტროლიტების წყალხსნარში და ნალ-  
ღობში დენის გადამტანი იონებია, მათ იონური გამტარობა ახასიათებთ,  
განსხვავებით მეტალებისაგან, რომლებშიც დენის გადამტანი ელექტრონე-  
ბია. ხოლო მიზეზი, თუ რატომ იშლება ზოგიერთი ნივთიერების მოლეკულა  
იონებად და სხვების არა მათი ქიმიური აღნაგობით არის განპირობებული.

იონებად იშლება ნაერთები იონური ან ძლიერ პოლარულ კოვალენ-  
ტური ბმებით, ხოლო ნაერთები, არაპოლარული ან სუსტად პოლარული  
კოვალენტური ბმებით, არ დისოცირდება. ელექტროლიტებია ტუტები,  
მუავები და მარილები. ამასთან მარილებისა და ტუტებისაგან განსხვა-  
ვებით, რომლებიც იონური ნაერთებია, მუავები (როგორც ნაერთები  
ძლიერ პოლარულ კოვალენტური ბმებით) მხოლოდ წყალხსნარში გა-  
ნიცდის იონებად დაშლას. არაელექტროლიტია ორგანულ ნაერთა უმ-  
რავლესობა – ნახშირნყლები, ნახშირნყალბადები, სპირტები და ა.შ., აგ-  
რეთვე ბევრი არაორგანული ნაერთი.


წყალხსნარში ან ნალღობში ელექტროლიტების იონებად დაშლას  
ელექტროლიტური დისოციაცია ეწოდება, ხოლო თეორიას, რომელიც  
გამლოვალ ან გახსნილ მდგომარეობაში ელექტროლიტების ხსნარების

განსაკუთრებულ თვისებებს, მათი იონებას დაშლით ხსნის – ელექტროლიტური დისოციაციის თეორია. ამ თეორიის ძირითადი შინაარსი შეიძლება შემდეგი დებულებების სახით გადმოვცეთ:

1. ელექტროლიტები წყალში გახსნისას ან გალღობისას იშლებიან იონებად. წარმოქმნილ იონთა მუხტების ალგებრული ჯამი ნულის ტოლია, ამიტომ ელექტროლიტის ხსნარი ელექტრონებიტრალურია.

2. ელექტროლიტის წყალხსნარში და ნალღობში იონები ქაოსურად მოძრაობენ, მაგრამ დენის გატარებისას ქაოსური მოძრაობა იცვლება მონესრიგებულით: დადებითი იონები – კატიონები მოძრაობას იწყებენ უარყოფითი ელექტროდის კათოდისაკენ, ხოლო უარყოფითი იონები – ანიონები დადებითი ელექტროდის ანოდისაკენ. კატიონები კათოდზე აღდგებიან, ანიონები ანოდზე იუანგებიან. ელექტროლიტის ხსნარში ან ნალღობში დენის გატარებისას ელექტროდებზე მიმდინარე უანგვა-ალდენით პროცესებს ელექტროლიზი ეწოდება. ე.ი ელექტროლიზი დენის მოქმედით მიმდინარე ქიმიური (ელექტროქიმიური) პროცესია.


3. ძლიერი ელექტროლიტებისაგან განსხვავებით სუსტი და საშუალო ელექტროლიტების დისოციაცია შექცევადი პროცესია. ამიტომ ალნიშნული ელექტროლიტების დისოციაციის გამომსახველ ტოლობაში შექცევადობის ნიშანი იწერება:



ელექტროლიტების იონებად დაშლა მხოლოდ ძლიერ პოლარულ გამხსნელებში მიმდინარეობს მაგალითად წყალში, რადგან ელექტროლიტების იონებად დაშლა მათი იონების ან პოლარული მოლეკულების გამხსნელის დიპოლებთან ელექტროსტატიკური ურთიერთქმედების შედეგად მიიღწევა.

განვიხილოთ იონური და ძლიერ პოლარულკოვალენტურ ბმიანი ნაერთების ელექტროლიტური დისოციაციის მექანიზმი წყალხსნარებში.

იონური ნაერთის მაგალითად განვიხილოთ  $\text{NaCl}$ . იონური ნაერთის წყალში მოხვედრისას კრისტალის ზედაპირზე არსებულ იონებსა და წყლის დიპოლებს შორის წარმოქმნილი იონ-დიპოლური ურთიერთქმედების შედეგად ხდება იონებს შორის ბმების შესუსტება და ჰიდრატირებული იონების წარმოქმნა. იონთა ჰიდრატაცია ეგზოთერმული პროცესია, ხოლო იონების დაშორებაზე ენერგია იხარჯება. ელექტროლიტის გახსნას შეიძლება ახლდეს სითბოს გამოყოფა ან შთანთქმა რაც დამოკიდებულია იმ ენერგიათა თანაფარდობაზე, რომელიც გამოიყოფა ჰიდრატაციის შედეგად და რომელიც იხარჯება იონებს შორის ბმების დახლეჩვაზე (სქემა 11.1)




სქემა 11.1. წყალხსნარში ნატრიუმის ქლორიდის ელექტროლიტური დისოციაციის სქემა

ჰიდრატირებული იონები თავისი სტრუქტურით და თვისებებით არ-სებითად განსხვავდება არაჰიდრატირებული იონებისაგან. მაგალითად, შევადაროთ უწყლო  $\text{CuSO}_4$ -ის შემადგენელი  $\text{Cu}^{2+}$ -იონები და ჰიდრატირებული  $\text{Cu}^{2+}$ -იონები.  $\text{Cu}^{2+}$ -იონები უფეროა, ჰიდრატირებული კი – ცის-ფერი, სწორედ ამიტომ  $\text{Cu}^{2+}$ -ის მარილების წყალხსნარს, რომელთა ანიონებიც უფეროა, ყოველთვის ცისფერი შეფერილობა აქვს.

იონური ნაერთების წყალხსნარში, როგორც ვხედავთ ხდება არსებული იონების დაშორება და თავისუფალი მოძრაობის უნარის მქონე ჰიდრატირებული იონების ნარმოქმნა.


უწყლო მარილი და ტუტე მიუხედავად იმისა, რომ ისინი იონური სტრუქტურის ნაერთებია დენს არ ატარებს, რადგან ამ იონებს გადატანითი მოძრაობის უნარი არა აქვთ. ასეთი უნარი აქვს ჰიდრატირებულ იონებს და იონებს მარილისა და ტუტებს ნალლობში.

რაც შეეხება მუავებს, ისინი როგორც მოლეკულური სტრუქტურის ნაერთები მხოლოდ წყალხსნარში ატარებენ დენს. მუავისა და წყლის პოლარული მოლეკულების დიპოლ-დიპოლური ურთიერთქმედების შედეგად მუავის პოლარული მოლეკულა იხლიჩება იონებად, რომლებიც შემდეგ ერთმანეთს შორდება და საბოლოოდ ამ შემთხვევაშიც, ხსნარში თავისუფალი მოძრაობის უნარის მქონე ჰიდრატირებული იონები წარმოიქმნება:




სქემა 11.2 წყალხსნარში პოლარული მოლეკულის ლექტროლიტური დასოციაციის სქემა

წყალხსნარში ნარმოქმნილი პროტონიც ჰიდრატირებულ მდგომარეობაშია – უერთდება წყლის მოლეკულის ჟანგბადის ატომს დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით ჰიდროქსონიუმის იონის წარმოქმნით.



იონური და პოლარულ კოვალენტური ბმის ერთდროულად შემცველი ელექტროლიტები საფეხურებად დისოცირდება. პირველ ყოვლისა იონური ბმის დისოციაცია ხდება, შემდეგ კი პოლარულ კოვალენტურისა:



## 11.2. დისოციაციის ხარისხი

რადგან ელექტროლიტური დისოციაცია შექცევადი პროცესია, ელექტროლიტების წყალხსნარებში ჰიდრატირებულ იონებთან ერთად მეტ-ნაკლები რაოდენობით არის არადისოცირებული მოლეკულები აქედან გამომდინარე დისოციაციის პროცესის რაოდენობრივი დახასიათებისათვის შემოღებულია დისოციაციის ხარისხის ცნება.

დისოციაციის ხარისხი (a) ტოლია დისოცირებული მოლეკულების (მოლების) რიცხვის (n) ფარდობისა გახსნილი მოლეკულების (N)(მოლების) საერთო რიცხვთან:

$$a = n/N \quad (11.1)$$

დისოციაციის ხარისხი უგანზომილებო სიდიდეა. გამოისახება მოლის ნაწილებით ან პროცენტობით.  $a = 0.2$  ანუ 2% ნიშნავს, რომ ყოველი 100 მოლეკულიდან დისოცირებულია 20. თუ  $a=1$  ე.ი. 100% ელექტროლიტი მთლიანად არის დაშლილი.

დიცოციაციის ხარისხი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: გამხსნელისა და ელექტროლიტის ბუნებაზე, კონცენტრაციაზე, ტემპერატურაზე, სუსტი ელექტროლიტის შემთხვევაში თანამოსახელე იონებზე.

გამხსნელის ბუნებაში იგულისხმება მისი დიელექტრიკული შეღწევადობა. კულონის კანონის თანახმად  $F = q_1q_2 / \epsilon r^2$


საპირისპიროდ დამუხტულ ნაწილაკებს შორის არსებული მიზიდვის ძალა დამოკიდებულია მუხტების ( $q_1$ ;  $q_2$ ) სიდიდეზე, მათ შორის მანძილზე ( $r$ ) დ იმ გარემოს დიელექტრიკულ შეღწევადობაზე, რომელშიც ეს ნაწილაკებია. წყლის დიელექტრიკული შეღწევადობა  $\epsilon=80$ , რაც იმას ნიშნავს, რომ წყალში მოხვედრილ საპირისპირო იონებს შორის მიზიდვის ძალა 80 -ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე იგივე იონებს შორის ვაკუმში. ამის გამო ელექტროლიტები წყალხსნარში კარგად დისოცირდება, ხოლო ბენზოლში, რომლის დიელექტრიკული შეღწევადობა 2,3-ის ტოლია, იგივე ელექტროლიტი იონებად დაუშლელი რჩება.

რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ ელექტროლიტის ბუნებას. პირველ რიგში ადვილად დისოცირდება იონური ნაერთები. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იონების მუხტს და რადიუსს. რაც უფრო ნაკლებია იონების მუხტი და მეტია რადიუსი, მით უფრო მაღალია დისოციაციის ხარისხი. ხოლო პოლარულ კოვალენტური ნაერთების შემთხვევაში ბმის პოლარიზაციის ხარისხი. მაგალითად  $\text{CH}_2\text{Cl}-\text{COOH}$  ძლიერი ელექტროლიტია, ძმარმჟავა კი სუსტი, მონოქლორ-ძმარმჟავაში გაიზარდა O-H ბმის პოლარიზაციის ხარისხი ქლორის ატომების გავლენით და შესაბამისად გაიზარდა დისოციაციის ხარისხი.


დისოციაციის ხარისხი დამოკიდებულია ხსნარის კონცენტრაციაზე. ხსნარის განზავებისას  $a$  იზრდება (მაგრამ არა უსასრულოდ.) რადგან განზავებასთან ერთად საპირისპირო იონების შეხვედრის ალბათობა მცირდება.

დისოციაციის ხარისხი იზრდება აგრეთვე ტემპერატურის გაზრდისას. ამიტომ როცა ელექტროლიტების სიძლიერის შედარება არის საჭირო უნდა გამოყენებული იქნას ერთნაირი კონცენტრაციის ხსნარები, ერთ და იგივე ტემპერატურის პირობებში.

ხსნარში თანამოსახელე იონის შეტანა ამცირებს სუსტი ელექტროლიტის დისოციაციის ხარისხს – გამომდინარე ლე შატელიეს პრინციპიდან. მაგალითად განვიხილოთ ძმარმჟავას წყალსნარი, რომელიც სუსტი ელექტროლიტია. თუ ამ ხსნარში შევიტანოთ მისივე ნატრიუმის მარილს ( $\text{CH}_3\text{COONa}$  ნატრიუმის აცეტატი), რომელიც ძლიერი ელექტროლიტია და ხსნარში სრულად დისოცირდება:




ამით ხსნარში გაიზრდება რა აცეტატ-იონების კონცენტრაცია ძმარმჟავას დისოციაციის წონასწორობა (შექცევადია, როგორც სუსტი ელექტროლიტის)



გადაინაცვლებს ძმარმჟავას არადისოცირებული მოლეკულების მხარეს, ე.ი გაიზრდება ასეთი მოლეკულების რაოდენობა, რაც მისი დისოციაციის ხარისხის შემცირებას ნიმუშის გადაინაცვლებს.

### 11.3 დისოციაციის მუდმივა

როგორც აღვნიშნეთ სუსტი ელექტროლიტების დისოციაცია შექცევადი პროცესია და შექცევადი ტოლობით გამოისახება:



როგორც ყველა შექცევადი წონასწორული პროცესი ისიც შეიძლება დახასიათდეს წონასწორობის მუდმივათი, რომელსაც ამ შემთხვევაში (რადგან ეს სიდიდე დისოციაციის პროცესის წონასწორობას ასახავს) დისოციაციის მუდმივა ეწოდება.

$$K_{\text{დისოც}} = \frac{[\text{A}^+][\text{B}^-]}{[\text{AB}]}, \quad (11.2)$$

სადაც  $[\text{A}^+]$ ,  $[\text{B}^-]$  და  $[\text{AB}]$  იონებისა და არადისოცირებული მოლეკულების წონასწორული მოლური კონცენტრაცია.

დისოციაციის მუდმივას მნიშვნელობა დამოკიდებულია ელექტროლიტის ბუნებაზე, ტემპერატურაზე, მაგრამ დისოციაციის ხარისხისაგან განსხვავებით არ არის დამოკიდებული ხსნარის კონცენტრაციაზე. ამიტომ დისოციაციის ხარისხთან შედარებით იგი უფრო ზუსტად განსაზღვრავს ელექტროლიტის სიძლიერეს. რაც უფრო მაღალია დისოციაციის მუდმივას მნიშვნელობა მით უფრო ძლიერია ელექტროლიტი.

დისოციაციის ხარისხსა და დისოციაციის მუდმივას შორის კავშირი მყარდება ოსტვალდის განზავების კანონით.

განვიხილოთ ორ იონიანი სუსტი ელექტროლიტი, რომლის კონცენტრაცია ხსნარში აღვნიშნოთ C-თი, ხოლო დისოციაციის ხარისხი a-ი. ამ ელექტროლიტის ხსნარში არსებულ წონასწორულ ნარევში თითოეული იონის მოლური კონცენტრაცია იქნება Ca, ხოლო არადისოცირებული მოლექულების C-Ca=C(10a) აქედან გამომდინარე:

$$K_{\text{დისოც}} = \frac{(Ca)^2}{C(1-a)} = \frac{a^2}{1-a} C \quad (11.3)$$

ეს განტოლლება ნარმოადგენს ოსტვალდის განზავების კანონის მათე-მატიკურ გამოსახულებას. იგი ამყარებს დამოკიდებულებას დისოციაციის ხარისხს, ხსნარის კონცენტრაციასა და დისოციაციის მუდმივას შორის.

ძალიან სუსტი ელექტროლიტების შემთხვევაში  $a << 1$ , ამიტომ (1-a) გამოსახულებაში a შეიძლება უგულვებელვყოთ, რის გამოც განტოლება ასეთ სახეს მიიღებს.

$$K_{\text{დისოც}} = a^2 C; a = \sqrt{\frac{K}{C}}, \quad (11.4)$$

სუსტი ელექტროლიტია ორგანულ მჟავათა უმრავლესობა (გარდა HCOOH-ისა), ზოგიერთი მინერალური მჟავა:  $H_2S$ ,  $HClO$ ,  $H_2CO_3$ , სუსტი ელექტროლიტია აგრეთვე მრავალი მეტალის ჰიდროქსიდი, ამონიუმის ჰიდროქსიდი და ა.შ.

უანგბადიანი მჟავების სიძლიერის მიახლოვებათი შეფასება შეიძლება ჰიდროქსილისა და არაჰიდროქსილის სახით ბმული უანგბადის ატომების რიცხვის თანაფარდობით  $E(OH)_mO_n$  თუ  $n=0$  მჟავა სუსტია, თუ  $n \geq 0$  და  $m=1$  მჟავა ძლიერია. რაც უფრო მეტია არაჰიდროქსილის სახით ბმული უანგბადის ატომების რიცხვი, მით უფრო ძლიერია უანგბადიანი მჟავა. მაგალითად, შევადაროთ  $HClO$  ან  $Cl(OH)O_3$ ,  $H_2SO_4$  ან  $S(OH)_2O_2$ ,  $HNO_3$  ან  $N(OH)O_2$ ,  $H_3PO_4$  ან  $P(OH)_3O$ ,  $H_3PO_3$  ან  $P(OH)_3$ .


ამ მჟავებს შორის ყველაზე ძლიერია  $HClO_4$ , ძლიერი მჟავებია  $HNO_3$ ,  $H_2SO_4$ , საშუალო სიძლიერისაა  $H_3PO_4$  და სუსტია  $H_3PO_3$ .

უუანგბადონ მჟავების სიძლიერე კი განისაზღვრება მჟავური ნაშთის მუხტით და რადიუსით. რაც უფრო ნაკლებია მჟავური ნაშთის მუხტი და მეტია რადიუსი, მით უფრო ძლიერია უუანგბადონ მჟავა. მაგალითად, განვიხილოთ ჰალოგენნყალბადმჟავები  $HF$ ,  $HCl$ ,  $HBr$ ,  $HI$ . მათი სიძლიერე იზრდება შემდეგი თანმიმდევრობით:  $HF < HCl < HBr < HI$  (მჟავური ნაშთის რადიუსების ზრდის შესაბამისად). ჰალოგენნყალბადმჟავებს მჟავური ნაშთის მუხტი ერთნაირი აქვთ (-1).

#### 11.4. თეორიები ფუძეებისა და მჟავების შესახებ

როგორც ცნობილია, ამჟამად ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული ფუძისა და მჟავის ისეთი განსაზღვრებები, რომლებიც ამ თვისების მატარებელ ყველა ნივთიერებას გააერთიანებდა. ასე-

თი თეორიის შექმნის პირველი მცდელობა წყალხსნარებისთვის იყო ელექტროლიტური დისოციაციის თეორია, რომლის თანახმადაც მჟავა ისეთი ელექტროლიტია, რომელიც წყალხსნარებში ელექტროლიტური დისოციაციის შედეგად წარმოქმნის  $H^+$ -იონებს, ( $H_3O^+$ ), რომელებიც არის სწორედ მჟავის თვისებების მატარებელი, ხოლო ფუძე ელექტროლიტია, რომელიც წყალხსნარში დისოცირდება ფუძის თვისებების მატარებელ  $OH^-$  იონების წარმოქმნით. მაგრამ ეს განსაზღვრებები ერთის მხრივ მხოლოდ წყალხსნარებისათვის არის სამართლიანი და გარდა ამისა, ამ განმარტებას არ ექვემდებარება ფუძისა და მჟავის თვისებების მატარებელი ბევრი ნაერთი. მაგალითად, ამინებისა და ამიაკის მოლეკულური  $OH^-$ -იონს არ შეიცავენ, მაგრამ ისინი ფუძე ბუნების ნაერთებია და მჟავური ბუნების ნაერთებთან ურთიერთქმედებისას მარილებს წარმოქმნიან. ისევე, როგორც  $CO_2$  ამჟღავნებს მჟავა თვისებებს, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავს  $H^+$ -იონებს. ამასთან ზოგიერთი ნივთიერება, რომელიც წყალხსნარში მჟავა თვისებებს ამჟღავნებს, სხვა გამხსნელში შეიძლება ფუძის როლში გამოვიდეს, მაგალითად, ძმარმჟავა წყალხსნარში მჟავაა, რადგან დისოცირდება  $H^+$ -იონების წარმოქმნით:



მაგრამ გოგირდმჟავაში გახსნილი ძმარმჟავა ფუძის როლში გამოდის ისევე, როგორც აზოტმჟავა თხევად  $HF$ -ში ან უწყლო გოგირდმჟავაში გახსნილი ფუძის როლში გამოდის და ა.შ.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ფუძეებისა და მჟავეების შესახებ არსებულ თეორიების შეზღუდულობა და მისი შემდგომი **გაფართოვების აუცილებლობა**.

1923 წელს დანიელმა ბრენსტედმა და ინგლისელმა ლოურიმ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წამოაყენეს მჟავებისა და ფუძეების პროტონული თეორია, რომლის მიხედვითაც მჟავა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოლეკულა ან იონი, რომლებიც პროტონების დონორია, ხოლო ფუძე ასევე, ნებისმიერი მოლეკულა ან იონი რომელიც პროტონების აქცეპტორია. ფუძეებისა და მჟავების შესახებ აღნიშნული თეორია, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ნივთიერების ფუძე მჟაურ ბუნებას მისი პროტონისადმი დამოკიდებულებით საზღვრავს. პროტონული თეორია უწოდეს.

აქედან გამომდინარე ამიაკი წყალთან და მჟავეებთან დამოკიდებულებაში გამოდის ფუძის როლში, რადგან მათგან იერთებს პროტონს



ხოლო  $[NH_4]^+$  გამოდის მჟავის როლში, რადგან ის  $H^+$ -ის დონორია.  $CH_3COOH$  წყალხსნარში მჟავაა, რადგან პროტონების დონორია




ხოლო მისი ნაშთი  $CH_3COO^-$  ფუძეა, რადგან პროტონის აქცეპტორია. ყველა მჟავას შეესაბამება მისი შესაბამისი ფუძე და პირიქით. მჟავა გასცემს რა პროტონს გადაიქცევა ფუძედ, რომელსაც ამ მჟავის შეუღლებულ ფუძეს ეძახიან, ხოლო ფუძე შეიძენს რა პროტონს გარდაიქნება მჟავად, რომელიც მისი შეუღლებული მჟავაა. ამასთან რაც უფრო

ადგილად გასცემს მჟავა პროტონს, მით უფრო ძნელად იერთებს მისი შეუღლებული ფუძე მას. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო ძლიერია მჟავა, მით უფრო სუსტია მისი შეუღლებული ფუძე და პირიქით.

პროტონულმა თეორიამ, როგორც ვხედავ გააფართოვა წარმოდგენები ფუძეებისა და მჟავების შესახებ. გარდა ამისა ამ თეორიამ აჩვენა ნივთიერების მჟავებად და ფუძეებად დაყოფის ფარდობითობა. მაგალითად,  $\text{CH}_3\text{COO}^-$ -ხსნარში მჟავა ბუნებას ავლენს, რადგან ის ამ შემთხვევაში  $\text{H}^+$ -ის დონორია:



ხოლო უწყლო გოგირდმჟავა ფუძის როლში გამოდის, რადგან ამ შემთხვევაში  $\text{H}^+$ -ის აქცეპტორია.




მაგრამ მჟავა და ფუძე ბუნების მქონე ნაერთთა რიცხვი იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ ყველა მათგანი ამ თეორიამაც ვერ გამიჯნა.

არსებობს ნივთიერებები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული მჟავა ან ფუძე თვისებებით ხასათდებიან, მაგრამ ამ თეორიით მათ ვერც ერთს მივაკუთხებთ და ვერც მეორეს, რადგან არ შეიცავენ პროტონებს. ამიტომ ვერ გასცემენ მას და არც პროტონების შეერთება შეუძლათ. ასეთი ნივთიერებებია ბორის, ალუმინის, სილიციუმის, კალის ჰალოგენიდები და ა.შ. რომლებიც მჟავური ბუნებით ხასიათდებიან.

ამერიკელმა მეცნიერმა ნიუტონ ლუისმა კიდევ უფრო განაზოგადა თეორიები მჟავებისა და ფუძეების შესახებ და 1933 წელს ჩამოაყალიბა მჟავებისა და ფუძეების უფრო ფართო შიხარსის ცნებები.

ლუისის თეორიის თანახმად მჟავა ნივთიერებაა, რომლის შემადგენელ რომელიმე ატომს აქვს რა თავისუფალი ორბიტალი შეიძლება იყოს ელექტრონული წყვილის აქცეპტორი, ხოლო ფუძე არის ნივთიერება, რომელიც შეიძლება იყოს ელექტრონული წყვილების დონორი.



$\text{NH}_3$  ლუისის ფუძეა, წყალი კი ამ შემთხვევაში ლუისის მჟავა.

ნივთიერებები, რომლებიც ფუძეებისა და მჟავების რიცხვში, მხოლოდ ლუისის თეორიით გაერთიანდა ლუისის მჟავას და ლუისის ფუძეს უნიდებენ.

მაგალითად,  $\text{BF}_3$ ,  $\text{SiCl}_4$ , მეტალთა კატიონები და ა.შ. ლუისის მჟავებია.

მეტალთა კათიონები, როგორც ლუისის მჟავები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სასიცოცხლო პროცესებში მათი მონაწილეობით ხორციელდება ცოცხალ ორგანიზმებში მჟავური კატალიზის პროცესები. პროტონული კატალიზისაგან განსხვავებით, მეტალთა კატიონებს შეუძლით მრავალ ლიგანდთან ერთდროული კოორდინირება და მეორეს მხრივ, კატალიზი, რომელიც მიმდინარეობს მეტალთა კატიონების მონაწილეობით, შეიძლება წარიმართოს  $\text{PH}$ -ის ისეთი მნიშვნელობებისათვის რა პირობებშიც პროტონული კატალიზი შეუძლებელია.


## 11.5. ჰიდროლიზი. ჰიდროლიზის მუდმივა, ჰიდროლიზის ხარისხი

ნივთიერების წყლით დაშლას ჰიდროლიზი ეწოდება. ჰიდროლიზის რეაქციები მიმდინარეობს ნივთიერების შემადგენელი ელემენტების უანგვის ხარისხების ცვლილების გარეშე. ჰიდროლიზი სოლვოლიზის (გამხსნელების მოქმედებით ნივთიერების დაშლა) კერძო შემთხვევაა. ჰიდროლიზის მექანიზმი სხვადასხვა ტიპის ნაერთებისთვის განსხვავებულია. მაგალითად, იმ ნივთიერებათა ჰიდროლიზი, რომლებიც წყალსნარში იონებად არის დაშლილი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც იონთა მაპოლარიზებელი მოქმედების შედეგი მათ ჰიდრატულ გარსში არსებულ წყლის მოლეკულებზე. ამასთან, ამ რეაქციის ხასიათი და აღებული მოლეკულების დაშლის ხარისხი დამოკიდებულია კატიონისა და ანიონის ბუნებაზე. რაც უფრო მეტია ამ იონების მაპოლარიზებელი მოქმედება, მით უფრო მაღალია ჰიდროლიზის ხარისხი.

ჰიდროლიზის ერთერთი გავრცელებული და კარგად შესწავლილი ტიპია **მარილთა ჰიდროლიზი**. მარილთა ჰიდროლიზის რეაქცია ნეიტრალიზაციის რეაქციის შებრუნებული რეაქციაა. ნეიტრალიზაციის რეაქციის პროცესები მარილი და წყალია. მარილთა ჰიდროლიზის რეაქციებში მარილი და წყალი მოქმედებს ერთმანეთთან:




ამ პროცესებში გასარკვევად გავიხსენოთ, რომ მარილთა კათიონები წყალსნარებში დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით წარმოქმნილი აქვაკომპლექსების ( $\text{ზოგადად } \text{K-OH}_2$ ) სახით არის. მაგალითად,  $\text{Cr}^{3+}$ -ionebi წყალსნარში წარმოქმნის აკვაკომპლექსს  $[\text{Cr}(\text{H}_2\text{O})_6]^{3+}$ . თვითონ აკვაკომპლექსები თავისი მხრივ კიდევ არიან ჰიდრატირებული წყალბადური ბმებით. რაც უფრო მაღალია კატიონის მუხტი და ნაკლებია მისი რადიუსი, მით უფრო ძლიერია მისი აქცეპტორული შესაძლებლობა ( $\text{მტკიცეა } \text{K-OH}_2$ ), მით უფრო ძლიერად არის პოლარიზებული კოორდინირებულ წყლის მოლეკულებში  $\text{O}-\text{H}$  ბმა და მით უფრო მტკიცეა კოორდინირებულ და ჰიდრატული გარსის შემადგენელ წყლის მოლეკულებს შორის არსებული წყალბადური ბმები. ყოველივე ამის შედეგად სრულიად შესაძლებელია კოორდინირებულ წყლის მოლეკულებში  $\text{O}-\text{H}$  ბმის გახლეჩვა და  $\text{H}_2\text{O}^{\cdot-}\text{H}$  წყალბადური ბმის კოვალენტურად გარდაქ-მნა  $\text{H}_3\text{O}^+$ -სა და ჰიდროქსოაქვაკომპლექსების წარმოქმნით:




კატიონის აქცეპტორული უნარის თანმიმდევრობითი გაძლიერების (მათი მუხტის გადიდებით და რადიუსის შემცირებით) შესაბამისად შესაძლებელია ორი შემთხვევა:

1. ადგილი არა აქვს წყლის მოლეკულების შესამჩნევ დაშლას:




ასე იქცევიან ელექტრონული წყვილების სუსტი აქცეპტორული – ტუტე და ტუტემინათა მეტალების კატიონები ანუ კატიონები, რომლებიც ნარმოქმნიან ძლიერ ფუძეებს – ტუტეებს.

2. მიმდინარეობს წყლის მოლეკულების შექცევადი დაშლა ჰიდროქსო-აკვაკომპლექსების ნარმოქმნით:




ანუ



ჭარბი წყალბად-იონები ( $\text{H}_3\text{O}^+$ ) ხსნარს მუავა რეაქციას ანიჭებს. ასე-თი შემთხვევები დამახასიათებელია ორ და სამმუტიანი კატიონები-სათვის ( $\text{Cu}^{2+}$ ,  $\text{Fe}^{2+}$ ,  $\text{Fe}^{3+}$ ,  $\text{Cr}^{3+}$ ,  $\text{Al}^{3+}$ , ...). ასეთებია სუსტი ფუძის ნარმოქმნელი კატიონები.

მარილთა ანიონების ჰიდრატაცია წყალსნარში ხორციელდება წყალბადური ბმებით. კომპლექსნარმომქმნელსა (ანიონს) და წყლის მოლეკულებს შორის პოლარიზაციული ურთიერთქმედების შედეგად წყალბადური ბმა შეიძლება გადავიდეს კოვალენტურში. ამ შემთხვევაში წყლის მოლეკულიდან მოხლეჩილი პროტონი უერთდება კომპლექსურ ანიონს:





რაც უფრო მაღალია ანიონის უარყოფითი მუხტი და ნაკლებია მისი ზომა, მით უფრო ძლიერი ელექტრონების დონორია ეს ანიონი და მით უფრო ადვილად მოხდება წყლის მოლეკულებიდან  $\text{H}^+$ -ის მოხლეჩა.

მესამე პერიოდის p-ელემენტების ოქსოანიონები, მათ მიერ ნარმოქმნილი წყალბადური ბმების სიმტკიცის მიხედვით, ასეთი თანმიმდევრობით ლაგდება:




ანიონების ელექტრონოდონორულ აქტივობაზე დამოკიდებულების მიხედვით შესაძლებელია შემდეგი შემთხვევები:

1. ადგილი არა აქვს წყლის მოლეკულების შესამჩნევ დაშლას



ანალოგიურად იქცევიან ელექტრონული წყვილების სუსტი დონორები – ერთმუხტიანი ანიონები ( $\text{Br}^-$ ,  $\text{I}^-$ ,  $\text{ClO}_4^-$ ), ანიონების ამ რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე  $\text{SO}_4^{2-}$ ,  $\text{SiF}_6^{2-}$  და სხვა ძლიერი მჟავის ანიონები.


3. მიმდინარეობს წყლის მოლეკულების შექცევადი დაშლა:



წარმოქმნილი  $\text{OH}^-$  იონები ხსნარს ტუტე რეაქციას ანიჭებენ. ეს შემთხვევა დამახასიათებელია სუსტი და სამუალო სიძლიერის მჟავების ანიონებისთვის ( $\text{CO}_3^{2-}$ ,  $\text{PO}_4^{3-}$ ,  $\text{SO}_3^{2-}$ ,  $\text{S}^{2-}$ ,  $\text{CN}^-$ ).


ჰიდროლიზის ჯამური ეფექტი ხსნარში არსებული კათიონების და ანიონების ბუნებით განისაზღვრება.

1. თუ მარილი წყალხსნარში წარმოქმნის ჰიდრატული გარსის სუსტად მაპოლარიზებელ კატიონებსა და ანიონებს, ასეთი მარილი ჰიდროლიზის პრაქტიკულად არ განიცდის და ხსნარის  $\text{pH}$ -ის ცვლილებას ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. მაგალითად:




ეს შემთხვევა დამახასიათებელია ძლიერი მჟავისა და ძლიერი ფუძის მარილებისთვის, რომლებიც ჰიდროლიზს პრაქტიკულად არ განიცდიან და მათ წყალხსნარებს ნეიტრალური რეაქცია აქვთ.

2. თუ ნაერთი იონიზაციის შედეგად ხსნარში წარმოქმნის ჰიდრატულ გარსში არსებული წყლის მოლეკულების ძლიერ მაპოლარიზებელ ანიონებს, ამ შემთხვევაში ჰიდროლიზი მიმდინარეობს კატიონის ხარჯზე, ამიტომ ეს არის კატიონური ჰიდროლიზი, რის შედეგადაც თავისუფლდება  $\text{H}^+$  იონები, რომლებიც ხსნარს მჟავა რეაქციას ანიჭებს:




ანუ მოლეკულური ფორმით:




კატიონურ ჰიდროლიზს განიცდიან სუსტი ფუძის და ძლიერი მჟავას მარილები.

3. თუ ნაერთი იონიზაციის შედეგად ხსნარში წარმოქმნის სუსტად მაპოლარიზებელ კატიონებს და საშუალო ხარისხით მაპოლარიზებელ ანიონებს, ამ შემთხვევები ჰიდროლიზი მიმდინარეობს ანიონის მეშვეობით, ეს არის ანიონური ჰიდროლიზი და ხსნარი იძენს ტუტე რეაქციას:




მოლეკულური ფორმა:




ე.ო. ანიონური ჰიდროლიზი მიმდინარეობს ძლიერი ფუძისა და სუსტი მჟავისაგან წარმოქმნილი მარილების შემთხვევაში.

## მრავალფუძიანი მჟავების მჟავა მარილების შემთხვევაში:

თუ ნაერთი იონიზაციის შედეგად წარმოქმნის საშუალოდ მაპოლა-რიზებელ კატიონებს და ანიონებს, ჰიდროლიზი მიმდინარეობს როგორც კატიონის, ისე ანიონის მიხედვით. ამ დროს წარმოიქმნება მცირედ ხსნადი ფუძები და სუსტი მჟავები:



ამ შემთხვევაში ხსნარის რეაქცია განისაზღვრება წარმოქმნილი სუსტი ფუძისა და სუსტი მჟავის შედარებითი სიძლიერით (დისოციაციის კონსტანტით). ჰიდროლიზის ამ ტიპს ადგილი აქვს სუსტი ფუძისა და სუსტი მჟავის მარილების შემთხვევაში. თუ სუსტი ფუძისა და სუსტი მჟავის მარილების ჰიდროლიზის პროდუქტებს წარმოადგენს უხსნადი და აირადი ნივთიერებები, ჰიდროლიზი ამ შემთხვევაში შეუქცევია და ასეთი მარილები მარილთა წყალხსნარების ურთიერთებულებით (რომლებიც მარილების მიღების ერთ-ერთი მეთოდია) არ მიიღება, არამედ წარმოიქმნება ამ მარილის სრული ჰიდროლიზის პროდუქტები:




ე.ი. მარილთა ჰიდროლიზი არის მარილის შემადგენელ იონებსა და წყლის მოლეკულებს შორის მიმდინარე რეაქცია, რის შედეგადაც მიიღება სუსტი ელექტროლიტი.

## ჰიდროლიზის მუდმივა და ჰიდროლიზი ხარისხი

ჰიდროლიზი რაოდენობრივად ხასიათდება ჰიდროლიზის მუდმივით და ჰიდროლიზის ხარისხით.

**განვიხილოთ სუსტი მჟავისა და ძლიერი ფუძის მარილის, ნატრიუმის აცეტატის ( $\text{CH}_3\text{COONa}$ ) ჰიდროლიზი:**



მოცემული წონასწორული სისტემის წონასწორობის კონსტანტა გამოისახება ფორმულით:

$$K = \frac{[\text{CH}_3\text{COOH}][\text{OH}^-]}{[\text{CH}_3\text{COO}^-][\text{H}_2\text{O}]}$$

იმის გათვალისწინებით, რომ განზავებულ ხსნარში წყლის კონცენტრაცია პრაქტიკულად მუდმივი სიდიდეა, შეიძლება დავწეროთ:

$$\frac{[\text{CH}_3\text{COOH}][\text{OH}^-]}{[\text{CH}_3\text{COO}^-]} = K [\text{H}_2\text{O}] = K_1 \quad (11.5)$$

როგორც ცნობილია, წყლის იონური ნამრავლი:

$$K_{\text{H}_2\text{O}} = [\text{H}^+][\text{OH}^-]$$

აქედან:

$$[\text{OH}^-] = \frac{K_{\text{H}_2\text{O}}}{[\text{H}^+]}$$

თუ  $[\text{OH}^-]$ -ის ამ გამოსახულებას შევიტანთ ზემოთ მოტანილ განტოლებაში, მივიღებთ:

$$K_3 = \frac{[\text{CH}_3\text{COOH}] K_{\text{H}_2\text{O}}}{[\text{CH}_3\text{COO}^-][\text{H}^+]} \quad (11.6),$$

$$\frac{[\text{CH}_3\text{COOH}]}{[\text{CH}_3\text{COO}^-][\text{H}^+]} = \frac{1}{K_{\alpha_3}}$$

სადაც  $K_{\alpha_3}$ . არის მარილის ჰიდროლიზის შედეგად მიღებული სუსტი მჟავის დისოციაციის მუდმივა.

ე.ი. ჰიდროლიზის კონსტანტის მნიშვნელობა მით უფრო მაღალია, რაც ნაკლებია  $K_{\alpha_3}$ . ე.ი. რაც უფრო სუსტია მარილის ნარმომქნელი მჟავა, მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მარილის ჰიდროლიზი.

სუსტი მჟავისა და ძლიერი ფუძის მარილის ჰიდროლიზის მუდმივა ტოლია:

$$K_3 = \frac{K_{\text{H}_2\text{O}}}{K_{\alpha_3} K_{\text{ფუძ}}}$$

**სუსტი ფუძისა და სუსტი მჟავის მარილის შემთხვევაში ჰიდროლიზის მუდმივას ასეთი გამოსახულება აქვს:**

$$K_3 = \frac{K_{\text{H}_2\text{O}}}{K_{\alpha_3} K_{\text{ფუძ}}}$$

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ რაც უფრო მცირეა ჰიდროლიზის შედეგად მიღებული სუსტი ელექტროლიტის დისოციაციის მუდმივა, მით უფრო დიდია ჰიდროლიზის მუდმივა. ე.ი. მით უფრო ინტენსიურად წარიმართება მარილის ჰიდროლიზი.

ჰიდროლიზის საფეხურებად მიმდინარეობისას ყველაზე მაღალი ჰიდროლიზის კონსტანტა ახასიათებს ჰირველ საფეხურს, უფრო ნაკლები მეორეს, მესამე კი პრაქტიკულად არ მიმდინარეობს:

$$K_1 > K_2 > K_3$$

ჰიდროლიზის ხარისხი განისაზღვრება ჰიდროლიზებული მოლეკულების რიცხვის ფარდობით გახსნილი მოლეკულების საერთო რიცხვთან.

ჰიდროლიზის ხარისხი დამოკიდებულია იმ სუსტი მჟავის (ან სუსტი ფუძის) დისოციაციის ხარისხზე, რომელიც ჰიდროლიზის შედეგად წარმოიქმნება. რაც უფრო სუსტია ჰიდროლიზის შედეგად მიღებული მჟავა (ან ფუძე), მით უფრო მაღალია ჰიდროლიზის ხარისხი.





ჰიდროლიზის ხარისხი დამოკიდებულია ტემპერატურაზე. ტემპერატურის გაზრდით იზრდება წყლის ოთხური ნამრავლი, მასთან ერთად იზრდება ჰიდროლიზის ხარისხი. გარდა ამისა, დამოკიდებულია ხსნარის კონცენტრაციაზე. რაც უფრო განზავებულია ხსნარი, მით უფრო მაღალია მარილის ჰიდროლიზის ხარისხი.

12. ელექტროქიმიის საწყისები. ელექტროდული პოტენციალები. სტანდარტულ პოტენციალთა რიგი. მარილთა წყალხსნარების და ნალლობების ელექტროლიზი. ელექტროლიზის კანონები. ენერგიის ქიმიური წყაროები

### 12.1 სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგი

მეტალთა ატომები, იონიზაციის დაბალი ენერგიის გამო, ადვილად გასცემს სავალენტო ელექტრონებს და გარდაიქმნება დადებითად და-მუხტულ იონებად, ე.ი. ავლენს აღმდგენ ბუნებას. სწორედ ამაში მდგო-მარეობს მათი ძირითადი ქიმიური თვისება. ატომებიდან დადებითი იო-ნების წარმოქმნის უნარი განსაზღვრავს მეტალთა აქტივობას. ქიმიუ-რად უფრო აქტიურია ის მეტალი, რომლის ატომები ადვილად გასცემს ელექტრონებს, ე.ი. ადვილად იუანგება.

თავდაპირველად, მეტალთა აქტივობის თვისებითი დახასიათები-სათვის რუსმა ქიმიკოსმა ნ. ბეკეტოვმა გამოიყენა მარილთა ხსნარები-დან ერთი მეტალით მეორის გამოძევების რეაქციები. მაგალითად, რკი-ნა აძევებს სპილენძს მისი მარილის ხსნარიდან, ხოლო სპილენძი ვერ აძევებს რკინას, მაგრამ აძევებს ვერცხლს მისი მარილის ხსნარიდან:







მაშასადამე, რკინა უფრო აქტიურია, ვიდრე სპილენძი, ხოლო სპი-ლენძი უფრო აქტიურია, ვიდრე ვერცხლი.



ნახ.აზი 12.1. ელექტროდული პოტენციალის აღძვრის სქემა

როგორც ვხედავთ, რეაქციების დროს ელექტრონები უფრო აქტიუ-რი მეტალის ატომებიდან გადაინაცვლებს ნაკლებად აქტიური მეტალის იონებისაკენ. ანალოგიური რეაქციების შესწავლის საფუძველზე ბეკე-ტოვმა 1863 წელს მეტალები დაალაგა რიგში ქიმიური აქტივობის კლე-ბის მიხედვით. მეტალთა მიღებულ რიგს „გამოძევების რიგი“ ეწოდა. რიგში ჩართულია წყალბადი, ერთადერთი არამეტალი, რომელიც მე-ტალთა ანალოგიურად წარმოქმნის დადებითად დამუხტულ იონს (ჰიდ-


როქსონიუმ-იონს). მას შეუძლია ჩაანაცვლოს ზოგიერთი მეტალი მათ მარილებში და თვითონაც ჩაინაცვლოს მჟავებში მრავალი მეტალით:



მეტალთა ქიმიური აქტივობის რაოდენობითი დახასიათებისთვის გამოიყენება სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა მნიშვნელობები.


ნებისმიერი მეტალის ფირფიტის ჩაშვებისას მისი მარილის წყალ-ხსნარში შესაძლებელია ორი ერთმანეთის საპირისპირო ელექტროქიმიური პროცესის მიმდინარეობა (ნახაზი 12.1.):

1. შედარებით აქტიური მეტალის შემთხვევაში წყლის პოლარული მოლეკულები უარყოფითი პოლუსებით მოქმედებს მეტალის კრისტალურ სტრუქტურაში არსებულ დადებითად დამუხტულ იონებზე და გადაჰყავს ისინი ხსნარში:



ამასთან ჭარბი ელექტრონები ფირფიტის ზედაპირზე რჩება, რის გმოც ეს უკანასკნელი უარყოფითად იმუხტება. ხსნარში გადასული ჰადამდებული იონები მიიზიდება ფირფიტის დამუხტული ზედაპირის მიერ და განლაგდება მის ახლოს. ამრიგად, მიიღება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მუხტის მქონე შრე, ე.წ. ორმაგი ელექტრული შრე, რაც, თავის მხრივ, ინვევს პოტენციალთა სხვაობის წარმოქმნას. აღსანიშნავია, რომ მეტალის იონების ხსნარში გადასვლის პროცესი შექცევადია.

2. ნაკლებაქტიური მეტალის შემთხვევაში ადგილი აქვს სანინააღმდეგო პროცესს. ხსნარში არსებული მეტალის იონები კარგავს ჰადამდებულ გარსს, მეტალის კრისტალში არსებულ ელექტრონულ აირთან ურთიერთქმედების შედეგად გადადის ფირფიტის ზედაპირზე და მას დადებითად მუხტავს:




ხსნარი, მასში დარჩენილი ანიონების სიფარბის გამო, იმუხტება უარყოფითად. ამრიგად, აქაც წარმოქმნება ორმაგი ელექტრული შრე და, აქედან გამომდინარე, პოტენციალთა სხვაობა.


მეტალის ფირფიტას, ჩაშვებულს ელექტროლიტის ხსნარში, ელექტროდი ენოდება, ხოლო მეტალის და ხსნარის გამყოფ ზედაპირზე წარმოქმნილ პოტენციალთა სხვაობას – ელექტროდული პოტენციალი.

ამრიგად, მეტალთა ჩაშვებისას მათი მარილების ხსნარებში ერთნი (ნაკლებად აქტიურები) იმუხტებიან დადებითად, ხოლო მეორენი (შედარებით აქტიურები) – უარყოფითად. ყოველი ელექტროდის პოტენციალი დამოკიდებულია მეტალის ბუნებაზე, მათი იონების კონცენტრაციაზე ხსნარში და ტემპერატურაზე. უმუალოდ ცალკეული ელექტროდის პოტენციალის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. მას საზღვრავენ წყალბადის სტანდარტული ელექტროდის მიმართ, რომლის პოტენციალი პირობითად მიჩნეულია ნულის ტოლად ტემპერატურის ნებისმიერი მნიშვნელობის დროს. წყალბადის სტანდარტული ელექტროდი წარმოადგენს პლატინის შავით (ელექტროლიზური გზით მიღებული პლატინა) დაფარულ პლატინის ფირფიტას, ჩაშვებულს მჟავას (მარილმჟავას ან გოგირდმჟავას)


ხსნარში, რომელშიც წყალბად-იონთა კონცენტრაციაა 1 მოლი/ლ. ამასთან ფირფიტა („ირნუვება“ აირადი წყალბადით 101325 პა წნევის პირობებში. ელექტროდული პოტენციალის ნარმოემნა წყალბადის ელექტროდზე ასე შეიძლება აიხსნას: პლატინის ფირფიტა გაჯერდება წყალბადით, რასაც შემდეგ მოსდევს ამ უკანასკნელის მოლეკულების დაშლა ატომებად. ვინაიდან პლატინაში წყალბადი კარგად იხსნება (~ 700 მოცულობა წყალბადი ერთ მოცულობა მეტალში), გარკვეული მიახლოებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ელექტროდი დამზადებულია წყალბადისაგან, რომელიც მეტალთა ანალოგიურად მოქმედებს. ფაზათა გამყოფ ზედაპირზე მყარდება წონასწორობა:



თუ წყალბადის ელექტროდი უერთდება ელექტროდს, რომელიც უფრო ძნელად იუანგება, ვიდრე წყალბადი, მაშინ ნარიმართება პროცესი:




თუ წყალბადის ელექტროდთან შეერთებული ელექტროდი წყალბადზე უფრო ადვილად იუანგება, მაშინ ხდება ჰიდროქსონიუმ-იონის განმუხტვა:



ელექტროდებს, რომლებიც აგზავნიან ელექტრონებს წყალბადის ელექტროდისაკენ, აქვთ „-“ ნიშანი, ხოლო ელექტროდებს, რომლებიც ლებულობენ მისგან ელექტრონებს – „+“ ნიშანი.

თუ ნებისმიერი მეტალის ფირფიტას, რომელიც ჩაშვებულია მისივე მარილის 1 მოლი/ლ კონცენტრაციის ხსნარში, შევუერთებთ წყალბადის ელექტროდს, მივიღებთ გალვანურ ელემენტს (მონუობილობა, რომელშიც უანგვა-ალდეგენითი ქიმიური რეაციის საფუძველზე აღიძვრება ელექტრული დენი), რომლის ელექტრომამოძრავებელი ძალა (ე.მ.ძ.), გაზომილი სტანდარტულ პირობებში (101325 პა, 298K), რიცხობრივად აღებული მეტალის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის ( $E_0$ ) ტოლი იქნება (ნახ. 12.1.). უმეტეს მეტალთა სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი განისაზღვრება ექსპერიმენტულად, მაგრამ ტუტედა ტუტემინათა მეტალებისათვის  $E_0$ -ის მნიშვნელობა გამოითვლება თეორიულად, რადგან ეს მეტალები წყალთან ურთიერთქმედებს.

თუ მეტალებს დავალაგებთ მათი სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების ალგებრული მნიშვნელობების ზრდის მიხედვით, მივიღებთ მეტალთა სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა რიგს (ცხრ. 12.1). სწორედ ამ რიგს უძლვოდა წინ ისტორიულად 6. ბეკეტოვის ე.ნ. „გამოძევების რიგი“ („ელექტროქიმიურ ძაბვათა რიგი“).



ნახაზი. 12.2 ელექტროდული პოტენციალის გასაზომი გალვანური ელემენტი

ცხრილი 12.1 სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგი

<b>ლი</b> <b>E<sub>0.3</sub></b>	$\text{Li}^+$ $\text{K}^+$ $\text{Ca}^{2+}$ $\text{Na}^+$ $\text{Mg}^{2+}$ $\text{Al}^{3+}$ $\text{Mn}^{2+}$ $\text{Zn}^{2+}$ $\text{Cr}^{3+}$ $\text{Fe}^{2+}$ $\text{Ni}^{2+}$ $\text{Pb}^{2+}$ <b>2H<sup>+</sup></b> $\text{Cu}^{2+}$ $\text{Hg}^{2+}$ $\text{Ag}^+$ $\text{Pt}^{2+}$ <b>Au<sup>3+</sup></b> <b>Li K Ca Na Mg Al Mn Zn Cr Fe Ni Pb 2H Cu Hg Ag Pt Au</b>
	3.04 – 2.92 – 2.87 – 2.71 – 2.37 – 1.66 – 1.18 – 0.76 – 0.74 – 0.44 – 0.25 – 0.13 0 0.34 0.79 0.80 1.20 1.50

სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგი ახასიათებს მეტალების აქტივობას წყალხსნარებში მიმდინარე უანგვა-ალდგენით რეაციებში. რაც უფრო მარცხნივაა მეტალი სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგში, ე.ი. რაც უფრო ნაკლებია სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის ალგებრული მნიშვნელობა, მით უფრო აქტიურია მეტალი, მით უფრო დიდია მისი აღმდგენი უნარი და დაბალია მისი იონის მუნგავი უნარი. აქედან გამომდინარეობს, რომ ლითიუმი ყველაზე ძლიერი აღმდგენია, ოქრო – ყველაზე სუსტი, ხოლო ოქროს იონი ( $\text{Au}^{3+}$ ) ყველაზე ძლიერი მუანგავია, ლითიუმის იონი ( $\text{Li}^+$ ) კი – ყველაზე სუსტი.

ყოველი მეტალი, რომელიც რიგში წყალბადამდე მდებარეობს, ე.ი. რომლის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის მნიშვნელობა უარყოფითია, გამოაძევებს წყალბადს იმ მუავათა განზავებული ხსნარებიდან, რომელთა ანიონები არ ავლენს მუანგავ თვისებას. რიგში წყალბადის მარჯვნივ მდგომი მეტალები ვერ აძევებს მუავებიდან წყალბადს.

სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა რიგში ყოველი მეტალი აძევებს მის მარჯვნივ მდგომ მეტალებს მარილთა ხსნარებიდან, თვით კი გამოძევდება მის მარცხნივ მდგომი მეტალებით (ეს არ ეხება ტუტე და ტუტემინათა მეტალებს).

ერთი შეხედვით აშკარა შეუსაბამობა არსებობს მეტალური ელემენტის პერიოდულ სისტემაში მდებარეობის მიხედვით განსაზღვრულ აქტივობასა და სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა რიგში შესაბამისი მეტალის მდებარეობას შორის. მაგალითად, პერიოდულ სისტემაში მდებარეობის მიხედვით კალიუმი უფრო აქტიურია, ვიდრე ლითიუმი, სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგში კი ლითიუმი კალიუმის მარცხნივ მდებარეობს. ასევე, პერიოდული სისტემის მიხედვით ნაკლებაქტიური  $\text{Ca}$  რიგში მდებარეობს  $\text{Na}$ -ის მარცხნივ. სპილენძი და თუთია მომდევნო ელემენტებია პერიოდულ სისტემაში და მათ უნდა ჰქონდეთ დაახლოებით ერთნაირი აქტივობა, მაგრამ სტანდარტული ელექტროდული პოტენციალების რიგში  $\text{Zn}$  მოთავსებულია  $\text{Cu}$ -ზე მნიშვნელოვნად მარცხნივ. ასეთი შეუსაბამობა განპირობებულია იმით, რომ მეტალური ელემენტების აქტივობის საზომად პერიოდულ სისტემაში მიღებულია იონიზაციის ენერგია. ტუტე მეტალების იონიზაციის ენერგია ატომური ნომრის ზრდასთან ერთად მცირდება. აქედან გამომდინარე, კალიუმი უფრო აქტიურია, ვიდრე ნატრიუმი, ეს უკანასკნელი კი უფრო აქტიური, ვიდრე ლითიუმი. სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა რიგში მეტალთა აქტივობის საზომად მიღებულია ის მუშა-

ობა, რომელიც სრულდება მეტალების ჰიდრატირებულ იონებად გარდაქმნისათვის წყალხსნარებში. ეს მუშაობა შეიძლება წარმოვიდგინოთ სამი წევრის ჯამის სახით:

1. ენერგია (მუშაობა), რომელიც იხარჯება მეტალთა კრისტალური სტრუქტურის დარღვევაზე, ატომებად დაშლაზე (ატომიზაციის ენერგია);
2. ენერგია, რომელიც იხარჯება მეტალთა ატომების იონიზაციაზე (იონიზაციის ენერგია);
3. ენერგია, რომელიც გამოიყოფა წარმოქმნილი იონების ჰიდრატაციის დროს (ჰიდრატაციის ენერგია).

ატომიზაციის ენერგია დაკავშირებულია მეტალის კრისტალური სტრუქტურის სიმტკიცესთან, მეორე განისაზღვრება მეტალის მდებარეობით პერიოდულ სისტემაში, მესამე დამოკიდებულია მეტალის იონის თვისებებზე: რაც უფრო მცირეა იონის რადიუსი და დიდია მუხტი, მით უფრო მაღალია მისი ჰიდრატაციის ხარისხი.



რაც უფრო ნაკლებია პირველ ორ პროცესზე დახარჯული ენერგია და მეტია მესამე პროცესის დროს გამოყოფილი ენერგია, მით უფრო ადვილად ხორციელდება მთელი პროცესი და შით უფრო მარცხნივაა მეტალი სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა რიგში. მცირე ზომის ლითოუმის იონის მუხტის სიმკვრივე აღემატება დანარჩენი ტუტე მეტალების იონებისას, შედეგად მის გარშემო უფრო ძლიერი ელექტროსტატიკური ველი იქმნება, მაღალია ჰიდრატაციის ხარისხი და ამის გამო ლითოუმი უფრო ადვილად გადადის ხსნარში ჰიდრატირებული იონის სახით, ვიდრე სხვა იონები. ასევე  $\text{Ca}^{2+}$ -ის ჰიდრატაციის ხარისხი აღემატება  $\text{Na}^+$ -ისას, პირველის უფრო მაღალი მუხტის გამო. სპილენძისა და თუთიისათვის იონიზაციის ენერგია და იონთა ჰიდრატაციის ენერგია დაახლოებით ერთნაირია, მაგრამ პირველის კრისტალური სტრუქტურა უფრო მტკიცეა, ვიდრე მეორისა, ამიტომ ენერგიის დანახარჯი მთელ პროცესზე სპილენძისათვის უფრო მეტია, ვიდრე თუთიისათვის. ამით აიხსნება მათი განსხვავებული მდებარეობა სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა რიგში.

## 12.2. ელექტროლიზი


ელექტროლიზი ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული უანგვა-ალდგენითი პროცესია, რომლის დროსაც ადგილი აქვს ელექტროლიტის ხსნარებში იონების (კატიონების და ანიონების) სივრცით დაცილებას და ხსნარში ჩაშვებულ წრედში ჩართულ ელექტროდებზე განმუხტვას. ელექტროლიტის ხსნარი ან ნალღობი შეიცავს საწინააღმდეგოდ დამუხტულ იონებს, რომლებიც ქაოსურად მოძრაობენ. მათში მუდმივი ელექტრული დენის გატარებისას იონები იწყებს მიმართულ მოძრაობას: დადებითი იონები (კატიონები) ამოძრავდება კათოდისაკენ, უარყოფითი იონები (ანიონები) კი – ანიდისაკენ. ელექტროდებზე ხდება ამ იონთა განმუხტვა. კერძოდ, კატიონები კათოდიდიდან იძენს ელექტრონებს და აღდგება, ხოლო ანიონები ანოდს გადასცემს ელექტრონებს და იუანგება. მაშასადამე,

ელექტროდებზე წარიმართება ჟანგვა-ალდგენითი პროცესი: ანოდზე – ჟანგვის, კათოდზე – ალდგენის. ხელსაწყოს, რომელშიც ელექტროლიზი ფარდება, ელექტროლიზერი ან საელექტროლიზო აბაზანა ეწოდება.

ნალობის ელექტროლიზი ელექტროლიზის უმარტივესი შემთხვევაა. ეს პროცესი განვიხილოთ ნატრიუმის ქლორიდის ნალობის მაგალითზე. თუ მასში ელექტროდებს ჩავუშვებთ და გავატარებთ ელექტრულ დენს,  $\text{Na}^+$  (ნატრიუმის კატიონები) კათოდზე შეიძენს ელექტრონებს და ალდგება. ქლორის იონები ანოდზე კარგავს ელექტრონებს და იუანგება. საბოლოოდ კათოდზე გამოიყოფა მეტალური ნატრიუმი, ანოდზე კი – აირადი ქლორი. რადგან ელექტროლიზი ჟანგვა-ალდგენითი პროცესია, ამიტომ გაცემული და მიერთებული ელექტრონების რიცხვი ტოლი უნდა იყოს. ნატრიუმის ქლო-რიდის ნალღობის ელექტროლიზის სქემა ასეთია:




კალიუმის ჰიდროქსიდის ნალღობის ელექტროლიზის დროს კათოდზე ალდგება  $\text{K}^+$  იონები, ხოლო ანოდზე  $\text{OH}^-$  იონების ჟანგვისას წარმოიქმნება ჰიდროქსილის რადიკალები, რომლებიც არამდგრადებია და გარდაიქმნებიან წყლის მოლეკულებად ჟანგბადის გამოყოფით. ელექტროლიზის პროცესი შემდეგი სქემით გამოისახება:



მაშასადამე, ელექტროლიზის პროცესში ელექტრული დენის დახმარებით ხორციელდება ქიმიური რეაქცია. სწორედ ამაში მდგომარეობს ელექტროლიზის არსი.

ელექტროლიტების წყალხსნარების ელექტროლიზის დროს შედარებით რთული პროცესები მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ჟანგვა-ალდგენით რეაქციებში წყლის მოლეკულებიც ერთვება, წარიმართება კონკურენტული რეაქციები და პროცესის მიმართულება იცვლება.

ერთნაირ ჰირობებში კათოდზე მიმდინარე პროცესები დამოკიდებულია კატიონის ბუნებაზე. მეტათა წყალხსნარების ელექტროლიზის დროს კათოდზე ხდება წყალბად-იონების ალდგენა:



მარილების წყალხსნართა ელექტროლიზის დროს კათოდზე მიმდინარე პროცესები დამოკიდებულია მარილის შედგენილობაში შემავალი მეტალის მდებარეობაზე სტანდარტულ ელექტროდულ პოტენციალთა რიგში. რაც უფრო მცირეა მეტალის სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის ალგებრული მნიშვნელობა, მით უფრო დამახასიათებე-

ლია მისთვის იონური მდგომარეობა და მით უფრო ძნელად აღდგება მისი იონი კათოდზე.

შესაძლებელია სამი შემთხვევა:

1. მეტალთა კატიონები, რომელთა სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი აღემატება წყალბადისას ( $Cu^{2+} - Au^{3+}$ ), ელექტროლიზის დროს პრაქტიკულად სრულად აღდგება კათოდზე.


2. მეტალთა კატიონები, რომელთა სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის მნიშვნელობა დაბალია ( $Li^+ - Al^{3+}$ ), კათოდზე არ აღდგება, მათ ნაცვლად აღდგება წყლის მოლეკულები.

3. მეტალთა კატიონები, რომელთა სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი წყალბადისაზე მცირეა, მაგრამ აღუმინზე უფრო მეტი ( $H^+ -$ მდე), ელექტროლიზის დროს კათოდზე აღდგება წყლის მოლეკულებთან ერთად.

თუ წყალსნარი შეიცავს სხვადასხვა მეტალის კატიონებს, მაშინ ელექტროლიზის დროს კათოდზე მათი აღდგენა ხდება თანმიმდევრობით, სტანდარტული ელექტროდული პოტენციალის აღებრული მნიშვნელობის შემცირების რიგით. მაგალითად,  $Ag^+$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Cu^{2+}$  იონების შემცველ ხსნარში ელექტროლიზის ჩატარებისას ჯერ აღდგება  $Ag^+$ , შემდეგ  $Cu^{2+}$ , ბოლოს კი  $Zn^{2+}$ .

ანოდზე მიმდინარე პროცესები დამოკიდებულია როგორც ელექტროლიტის ბუნებაზე, ისე იმ ნივთიერების გვარობაზე, რომლისგანაც დამზადებულია ანოდი. არჩევენ ხსნად და უხსნად ანოდებს. პირველი მზადდება სპილენძის, თუთის, ვერცხლის, კადმიუმის, ნიკელის და სხვა მეტალებისაგან. ელექტროლიზის დროს ისინი იუანგებიან და იონების სახით გადადიან ხსნარში. უხსნადი ანოდების დასამზადებლად გამოიყენება გრაფიტი, პლატინა, ირიდიუმი, ოქრო და ზოგიერთი სხვა მეტალი, რომელთაც შედარებით მაღალი სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი გააჩნიათ და ელექტროლიზის პროცესში არ იუანგებიან.

უხსნად ანოდზე ხდება მჟავური ნაშთის ანიონების, პიდროქსიდ-იონების და წყლის მოლეკულების ჟანგვა. ამასთან, უჟანგბადო მჟავათა ანიონები (გარდა ფთორიდ-იონისა) მათი საქმარისი კონცენტრაციისას წყალზე ადვილად იუანგება, ჟანგბადიან მჟავათა ანიონების განმუხტვას კი წინ უსწრებს წყლის მოლეკულების დაჟანგვა. გამონაკლისია ორგანულ მჟავათა ანიონები, რომლებიც წყალზე ადვილად იუანგებიან:




აღმდგენი თვისებების ზრდის მიხედვით ანიონები შეიძლება განვალაგოთ რიგში:




განვიხილოთ ზოგიერთი მარილის წყალსნარის ელექტროლიზის პროცესი (ინერტული ელექტროდებით).

1. ნატრიუმის ქლორიდის წყალსნარში  $Na^+$  და  $Cl^-$  ჰიდრატირებული იონების გარდა არის წყლის მოლეკულებიც. ნატრიუმი ძლიერ აქტიური მეტალია, მისი იონიზაციის ენერგია მცირეა, ამიტომ ადვილად იუანგება, ხოლო მისი იონი ძნელად აღდგება. მაშასადამე,  $Na^+$  იონთან ელექტრონის მიერთება ენერგეტიკულად არახელსაყრელია. წყლის დისოცი-


აციით მიღებული წყალბად-იონთა კონცენტრაცია ძლიერ მცირეა, რის გამოც კათოდზე ხორციელდება წყლის მოლეკულების აღდგენის პროცესი. წყლის დიპოლური დადებითად დამუხტული ბოლოებით მიიჩიდება კათოდის მიერ და აღდგება მასზე, ხოლო ხსნარის კათოდურ სივრცეში გროვდება ჰიდროქსიდ-იონები. ამ დროს ანოდზე ხორციელდება  $\text{Cl}^-$  იონების უანგვის პროცესი.




2. სპილენის (II) სულფატის წყალხსნარის ელექტროლიზის დროს კათოდზე აღდგება სპილენის იონები. ხსნარში  $\text{OH}^-$  იონების კონცენტრაცია ძლიერ მცირეა, რის გამოც ანოდზე მიმდინარეობს წყლის მოლეკულების უანგვა. წყლის პოლარული მოლეკულები დიპოლის უარყოფითი ბოლოთი მიიჩიდება ანოდით, უანგბადი კარგავს ელექტრონებს, იუანგბა და გამოიყოფა ანოდზე, ხოლო ანოდურ სივრცეში გროვდება  $\text{H}^+$  იონები:



3. ნატრიუმის სულფატის წყალხსნარის ელექტროლიზის დროს კათოდ-სა და ანოდზე ხდება წყლის მოლეკულების უანგვა-აღდგენა.  $\text{Na}^+$  და  $\text{SO}_4^{2-}$  იონები ელექტროდებზე მიმდინარე პროცესებში არ მონაწილეობს, მაგრამ უზრუნველყოფს ხსნარში ელექტრული დენის გავლას. ხსნარში მარილის რაოდენობა ელექტროლიზის შემდეგ უცვლელი რჩება.




4. თუთიის ნიტრატის წყალხსნარის ელექტროლიზის პროცესში ანოდზე ხდება წყლის მოლეკულების უანგვა, ხოლო კათოდზე როგორც წყლის მოლეკულების, ისე  $\text{Zn}^{2+}$ -ის იონების აღდგენა:




ელექტროლიზის დროს კათოდზე გამოიყოფა თუთია და წყალბადი, ანოდზე – უანგბადი. კათოდზე გამოიყოლი პროდუქტების თანაფარ-დობა დამოკიდებულია ნივთიერების კონცენტრაციაზე ხსნარში (ასეთ

შემთხვევაში ელექტროლიზის შეჯამებული განტოლების დაწერა მიზანშენონილი არ არის).

5. სპილენდ (II)-ის სულფატის წყალსხნარის სპილენძის ელექტროდებით ელექტროლიზის დროს ანოდი იხსნება, სპილენძის ჟანგვით წარმოქმნილი  $Cu^{2+}$  იონები გადადის ხსნარში:



კათოდზე ხორციელდება ხსნარში არსებული სპილენძის იონების აღდგენა:



რა რაოდენობის სპილენძიც გაიხსნება ანოდზე, იმდენივე გამოიყოფა კათოდზე, ხოლო ხსნარში მარილის რაოდენობა უცვლელი რჩება.

ელექტრული დენის მუანგავი და ალმდგენი უნარი ქიმიურ მუანგავებთან და ალმდგენებთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერია. მაგალითად, არც ერთ ქიმიურ მუანგავს არ შეუძლია წაართვას ელექტრონი ფთორიდ-იონს. ფთორის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მისი მარილების ნალლობის ელექტროლიზით.

ელექტროლიტთა ხსნარებში ელექტროლიზის ჩატარება ენერგეტიკულად მომგებიანია, ვიდრე ნალლობში, ვინაიდან იონური წაერთები მაღალ ტემპერატურაზე ლაგვება. მაგრამ ყველა მეტალის მიღება არ შეიძლება მათი წაერთების წყალსხნართა ელექტროლიზით. ცხადია, ასეთი გზით ვერ მივიღებთ ტუტე მეტალებს, კალციუმს, ალუმინს და სხვ. მათ მისაღებად მიმართავენ ნალლობის ელექტროლიზს. ელექტროლიზი ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში არამეტალების ( $F_2$ ,  $Cl_2$ ,  $H_2$ ,  $O_2$ ) მისაღებადაც.

დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ნატრიუმის ქლორიდის წყალსხნარის ელექტროლიზის. იაფი წედლეულის – სუფრის მარილისა და წყლისაგან ელექტროლიზის შედეგად ღებულობენ ქიმიური მრეწველობისათვის ძვირფას სამ პროდუქტს – წყალბადს, ქლორსა და ნატრიუმის ჰიდროქსიდს.

ნატრიუმის სულფატის ან ნატრიუმის ჰიდროქსიდის წყალსხნარის ელექტროლიზით ლაბორატორიასა და მრეწველობაში ღებულობენ სუფთა ჟანგბადსა და წყალბადს.

ელექტროლიზის იყენებენ მეტალთა დასაცილებლად და გასასუფთავებლად (რაფინირებისთვის). მაგალითად, ელექტროტექნიკაში გამოყენებული სპილენძი ძალიან სუფთა უნდა იყოს. ამ მიზნით სპილენძის (II) სულფატის ხსნარში ჩაუშვებენ მინარევების შემცველი სპილენძის ფირფიტას (ანოდი) და სუფთა სპილენძის თხელ ფირფიტას (კათოდი). ელექტრული დენის გავლისას ხდება ანოდის გახსნა და სუფთა სპილენძის გადატანა კათოდზე. ანალოგიურად ხორციელდება სხვა მეტალების რაფინირებაც.

ელექტროლიზის იყენებენ მეტალის ზედაპირის დასაფარავად სხვა მეტალის (ქრომის, ნიკელის, ვერცხლის და სხვ.) თხელი ფენით. ამისათვის მეტალის ნაკეთობას კათოდის სახით ათავსებენ იმ მეტალის მარილის ხსნარიან საელექტროლიზო აბაზანაში, რომელიც უნდა დაილექს ამ ნაკეთობაზე. ანოდად იღებენ იმ მეტალს, რომლითაც იფარება ნაკეთობა. დენის გატარებისას ხსნარში არსებული მეტალის იონები მიემართება კათოდისაკენ (ნაკეთობისაკენ) და ხდება მათი აღდგენა კათოდის

ზედაპირზე. ამ დროს ანოდიდან ხსნარში გადადის მეტალის ახალი იონები. დენის გატარებას აგრძელებუნ მანამ, სანამ ნაკეთობაზე არ გამოილექება მეტალის საჭირო სისქის ფენა. ასეთი დამუშავება ხაკეთობას არა მარტო ლამაზ გარეგნულ სახეს ანიჭებს, არამედ იცავს კიდეც კოროზი-საგან. გამოყენებითი ქიმიის ამ დარგს **გალვანისტეგია** ეწოდება.

ფართოდ გამოიყენება ელექტროქიმიის მეორე დარგიც – **გალვა-ნოპლასტიკა**. ამზადებენ ნაკეთობის ასლს ცვილისაგან, შემდეგ მას გრაფიტის თხელი ფენით ფარავენ და მიღებულ კათოდს ათავსებენ მე-ტალის მარილის ხსნარში. ანოდის როლს კი იმავე მეტალის ფირფიტა ასრულებს. ელექტრული დენის გატარებისას ანოდი იხსნება, ხოლო კა-თოდი იფარება მეტალის ფენით. ამრიგად, მიიღება ნაკეთობის ზუსტი ასლი. ელექტროლიზის მეშვეობით რელიეფური ნაკეთობის ასლის მი-ღებას გალვანოპლასტიკა ეწოდება. იგი აღმოაჩინა რუსმა მეცნიერმა ბ. იაკობიმ 1838 წელს.

### 12.2.1 რაოდენობითი თანაფარდობანი ელექტროლიზის დროს

ელექტროლიზი ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული ჟანგვა-ალდგე-ნითი პროცესია. ელექტროლიზური პროცესები ექვემდებარება ფარა-დეის კანონებს (1883 წ.). პირველი კანონის თანახმად ელექტროდებზე გამოყოფილი (კათოდურ ან ანოდურ არეში წარმოქმნილი) ნივთიერებე-ბის მასები ხსნარში ან ნალლობში გავლილი ელექტრობის რაოდენობის პროპორციულია:

$$m = kQ, \quad (12.1)$$

სადაც კ არის პროპორციულობის კოეფიციენტი, რომელსაც ელექ-ტროქიმიურ ეკვივალენტს უწოდებენ, ხოლო – ელექტრობის რაოდენო-ბა (კულონი), რომელიც დენის ძალისა (I, ამპერი) და დროის (ტ, წამი) ნამრავლის ტოლია:

$$Q = I \cdot t \quad (12.2)$$

12.1-დან, როდესაც  $Q=1$  კულონს, თ რიცხობრივად ელექტროლიტ-ში 1 კულონი ელექტრობის გავლის შედეგად გამოყოფილი ნივთიერების მასის ტოლია.

ფარადეის მეორე კანონის თანახმად ელექტროლიზის დროს ერთი და იმავე რაოდენობის ელექტრობა ელექტროდებზე სხვადასხვა ნივთი-ერების ეკვივალენტების ტოლ რაოდენობას გამოყოფს. აქედან გამომ-დინარე, ერთი მოლი ეკვივალენტი ნებისმიერი ნივთიერების გამოსაყო-ფად საჭიროა ერთი და იმავე რაოდენობის ელექტრობის დააბარჯვა. ამ რიცხვს ფარადეის რიცხვი (F) ეწოდება და იგი დაახლოებით 96500 კუ-ლონის (26.8 ა•სთ) ტოლია.

ამრიგად, ნივთიერების ელექტროქიმიური ეკვივალენტი მისი ეკვი-ვალენტის მოლური მასისა და ფარადეის რიცხვის ფარდობის ტოლია:

$$K = \frac{M_{\text{მას}}}{F} \quad (12.3)$$

თუ K-ს მნიშვნელობას ჩავსვამთ ფარადეის პირველი კანონის გამომსახველ განტოლებაში, მივიღებთ:

$$m = \frac{M_{\text{მას}} Q}{F} \quad \text{ანუ} \quad m = \frac{M_{\text{მას}} It}{F} \quad (12.4)$$


ხშირ შემთხვევაში ელექტროლიზის დროს გამოყენებული ელექტრული დენი მთლიანად არ იხარჯება ელექტროდებზე სასურველ ნივთიერებათა გამოყოფაზე, რადგან შესაძლებელია თანაური რეაქციების მიმდინარეობაც (მაგალითად, ელექტროდებზე გამოყოფილი ნივთიერების ურთიერთქმედება ელექტროლიზის მასალასთან ან ელექტროლიტთან, მეტალთან ერთად წყალბადის გამოყოფა და სხვ.). ამიტომ ელექტროლიტში გავლილი ელექტრობის იმ ნაწილის აღრიცხვისათვის, რომელიც იხარჯება სასურველი პროდუქტის მიღებაზე, შემოტანილია ცნება – გამოსავლიანობა დენის მიხედვით (η). იგი ტოლია ელექტროლიზის დროს პრაქტიკულად მიღებული ნივთიერების მასის ფარდობისა, ფარადეის კანონის თანახმად, მისაღები ნივთიერების თეორიულად (რაექციის მიხედვით) გათვლილ მასასთან:

$$\eta = \frac{m_{\text{პრაქტ.}}}{m_{\text{თეორ}}} \cdot 100\% = \frac{m_{\text{პრაქტ.}} 96500}{M_{\text{მას}} It} \cdot 100\% \quad (12.5)$$


მიღებული ფარდობა საფუძვლად უდევს ელექტროლიზის პროცესებთან დაკავშირებულ ყველა გაანგარიშებას.

## 12.4 ენერგიის ქიმიური წყაროები. გალვანური ელემენტი, აკუმულატორი, აკუმულატორის მუშაობის პრინციპი


როგორც ცნობილია, ჩანაცვლების რეაქციის დროს რთულ ნივთიერებათა მოლეკულაში რომელიმე „მოძრავი“ (რეაქციის უნარიანი) ატომი ჩაინაცვლება სხვა ელემენტის ატომით. მაგალითად, განზავებული გოგირდმჟავას თუთიაზე მოქმედებისას მჟავას წყალბადის ატომები ჩაინაცვლება თუთიის ატომით. ამ ტიპის რეაქციის მიეკუთვნება მეტალთა წყალხსნარებიდან ერთი მეტალის მიერ მეორის გამოძევების რეაქციაც. მაგალითად:



ან იონური ფორმით




ამ რეაქციაში თუთია აღმდგენია (გასცემს ელექტრონებს), ხოლო სპილენის იონი ( $\text{Cu}^{2+}$ ) მჟანგავი. შესაბამისი ნახევარრეაქციები გამოისახება განტოლებით (სქემით):



განხილულ შემთხვევაში, ორივე ნახევარრეაქცია მიმდინარეობს თუ-  
თიის სპილენძის (II) სულფატის ხსნართან შეხების ადგილას (ჰეტეროგე-  
ნული პროცესი), ასე რომ, ელექტრონები თუთიის ატომიდან უძუალოდ  
გადადიან სპილენძის იონზე (მიუერთდებიან სპილენძის  $\text{Cu}^{2+}$  იონებს).


ზემოთ განხილული რეაქცია შესაძლებელია  $\text{Zn}$ -ის და  $\text{CuSO}_4$ -ის  
ხსნარის უშუალოდ შეხების გარეშეც წარიმართოს. კერძოდ, ნახევარ-  
რეაქციები დაცილებულ სივრცეში წარიმართება და ელექტრონები თუ-  
თიის ღეროდან (ფირფიტიდან)  $\text{Cu}^{2+}$ -ზე გადავა ელექტრონული გამტა-  
რების ანუ გარეგანი ჯაჭვის მეშვეობით, ანუ ხსნარში ელექტრული დე-  
ნის გატარებისას. ჟანგვა-ალდგენითი რეაქციის ამგვარად ჩატარებით  
რეაქციის დროს გამოყოფილი ენერგია (ქიმიური ენერგია), გარდაიქმნება  
ელექტრულ ენერგიად. ხელსაწყოს, რომელიც ზემოთ განხილული პრინ-  
ციიით მუშაობს (ქიმიური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად),  
გალვანური ელემენტი ენოდება. მას სხვანაირად, ელექტრული ენერგიის  
ქიმიურ წყაროს უწოდებენ. ელექტრული ენერგიის ისეთ ქიმიურ წყარო-  
ებს, სადაც პრაქტიკულად შეუქცევადი ანალოგიური პროცესები მიმდი-  
ნარეობს, აკუმულატორები ენოდება. გალვანური ელემენტისაგან გან-  
სხვავებით, შესაძლებელია მათი მრავალჯერადი გადამუხტვა.

ნებისმიერი გალვანური ელემენტის მოქმედება დაფუძნებულია  
მათში ჟანგვა-ალდგენითი რეაქციის წარმართვაზე. უმარტივესი გალვა-  
ნური ელემენტი სხვადასხვა ქიმიური ბუნების ორი ფირფიტისაგან შედ-  
გება, რომლებიც ჩაშვებული არიან ელექტროლიტის (მჟავა, ტუტე) ხსნარში. ამ შემთხვევაში ხორციელდება სივრცით დაცილებული ჟანგვა-  
ალდგენითი რეაქციები: დაუანგვის პროცესი მიმდინარეობს ერთ მეტალ-  
ზე, ალდგენისა – მეორეზე. ე.ი. ელექტრონები ერთი მეტალიდან მეორეზე  
გადადიან გარეგანი ჯაჭვის (მაგალითად, მავთულის სადენის) მეშვეო-  
ბით. ფართოდ გავრცელებულ გალვანურ ელემენტს წარმოადგენს სპი-  
ლენძ/თუთიის გალვანური ელემენტი (იაკობ/დანიელის ელემენტი), რო-  
მელიც შედგება  $\text{CuSO}_4$ -ის ხსნარში ჩაშვებული სპილენძის ფირ-ფიტისა-  
გან (სპილენძის ელექტროდი) და  $\text{ZnSO}_4$ -ის ხსნარში ჩაშვებული თუთიის  
ფირფიტისაგან (თუთიის ელექტროდი) (ნახ. 12.3.). ორივე ხსნარი ერთმა-  
ნეთს ეხება. მაგრამ მათი შერევისაგან თავის დაღწევის მიზნით, ისინი გა-  
მიჯნულია ფორმანი მასალისაგან დამზადებული ძგიდით (ტიხრით):



ნახაზი 12.3. სპილენძ/თუთიის გალვანური ელემენტის სქემა

ელემენტის მუშაობისას, ანუ ჩაკეტილ ჯაჭვში,  $Zn$  იფანგება:



$Zn^{2+}$ -ის იონები ჰიდრატირდებან, ხოლო ელექტრონები სადენის მეშვეობით მიემართებან სპილენძის ელექტროდისაკენ და ალადგენენ  $Cu^{2+}$ -ის იონებს სპილენძამდე:



(სპილენძის  
დეჰიდრატირებული  
იონები)  
(მეტალური  
სპილენძი)

ზემოთ მოყვანილი უანგვა-ალდგენითი პროცესები ნახევარეაქიბით გამოსახული ელექტროქიმიური განტოლებების სახით ჩაიწერება.

გალვანურ ელემენტში მიმდინარე რეაქციის ჯამური განტოლება ზემოთ მოტანილი ორივე ნახევარეაქციის შეჯამებით მიიღება, ელექტრონების გაცემა-შეძენა ხდება გარეგანი ჯაჭვის (სადენის) მეშვეობით ელექტროდებზე, ალმდგენიდან (უფრო მეტად ელექტროდადებით), აქტიური მეტალი, მაგალითად,  $Zn$ ) დამუშავნავამდე (უფრო პასიური მეტალი, მაგალითად,  $Cu$ ), ან სხვაგვარად, ელექტროქიმიური პროცესის შედეგად. ხსნარში კი ადგილი აქვს იონების რთულ მოძრაობას: თუთის ელექტროდთან შესაბამისი კატიონები (დადებითად დამუხხტული იონები) გადადიან ხსნარში, ქმნიან რა მასში ჭარბ დადებით მუხტს, ხოლო სპილენძის ელექტროდთან, ხსნარში, ხდება კატიონების დეფიციტის შექმნა (კატიონებით გაღარიბება – მათი კონცენტრაციის შეტკირება), რის გამოც, ხსნარი ამ ადგილას ლებულობს ჭარბ უარყოფით მუხტს (ნახ. 12.3). ამ პროცესების შედეგად, ალიძვრება ელექტრული ველი, სადაც ხსნარში მყოფი კატიონები ( $Cu^{2+}$  და  $Zn^{2+}$ ) მიემართებან  $Zn$ -ის ელექტროდიდან  $Cu$ -is ელექტროდისაკენ, ხოლო ანიონები ( $SO_4^{2-}$ ) – საპირისპირო მიმართულებით.

გალვანურ ელემენტში (დენის ნყაროში) თუთის ელექტროდი ანოდის (–) როლს ასრულებს, ხოლო სპილენძის – კათოდის (+). ანოდ-ზე მომდინარეობს დაუანგვის პროცესი, ხოლო კათოდზე – ალდგენის. გალვანურ ელემენტში (ხსნარში და გარე ნრედში) მიმდინარე პროცესები რთული პროცესებია. აქ, ელექტროდებზე მიმდინარეობს როგორც ატომების, იონების, მოლეკულების გარდაქმნა, ისე ელექტრონების და იონების გადატანა. ეს პროცესები შერწყმულია ერთმანეთთან და ერთნაირი სიჩქარით მიმდინარეობს. ამასთან  $Zn$ -ის მიერ დროის ერთეულში გაცემულ ელექტრონთა რიცხვი ტოლია ამავე დროში  $Cu^{2+}$  მიერ მიერთებული ელექტრონების რიცხვისა. ამიტომ გალვანურ ელემენტში მიმდინარე რეაქციის სიჩქარე (დროის ერთეულში გარდაქმნილი ნივთიერების რაოდენობა, კონცენტრაცია) იმ ელექტრონების რიცხვის პროპორციულია, რომელიც გარეგანი ჯაჭვით დროის ერთეულში გადაიტანება, ე.ი. დენის ძალისა. ამ დროს ალდრულმა ელექტრულმა დენმა შეიძლება შეასრულოს სასარგებლო მუშაობა. მაგრამ ქიმიური რეაქციის ხარჯზე შესრულებული მუშაობა ამ დროს მიმდინარე რეაქციის სიჩქარეზე დამოკიდებული – ის მაქსიმალურია რეაქციის უსასრულოდ მცირე სიჩქარით (უსასრულოდ ნელა), შექცევადად წარმართვისას (თერმო-

დინამიკიდან ცნობილია, რომ პროცესის სწრაფად წარმართვისას შესრულებული მუშაობა მცირეა). ამ დროს გამოყოფილი სითბო, პირიქით, იქნება მიზიმალური.

ელექტრული დენის მუშაობა ტოლია სისტემაში (ჯაჭვში) გავლილი ელექტრობის რაოდენობის ძაბვაზე ნამრავლისა: სპილენ/თუთიის ელემენტში 1 ეკვივალენტი Zn-ის დაუზანგვისას და ერთდროულად, სპილენის იონების 1 ეკვივალენტის აღდგენისას გაივლის (1 ფარადე, F = 96485 კულონი) ელექტრობა, ასე, რომ ელექტრული დენის მიერ შესრულებული მუშაობა ტოლი იქნება:

$$A' = F \cdot V, \quad (12.6)$$

სადაც V პოლუსებს (ელექტროდებს) შორის ძაბვაა.

რამდენადაც ეს მუშაობა დამოკიდებულია დენის ძალაზე, ელემენტის პოლუსებს შორის ძაბვაც დამოკიდებულია დენის ძალაზე (F მუდმივი სიდიდეა). ზღვრულ შემთხვევაში, რომელიც პასუხობს (ეთანადება) რეაქციის შექცევადად წარმართვას (მიმდინარეობას), ძაბვა მაქსიმალური იქნება. გალვანური ელემენტის ძაბვის მაქსიმალური მნიშვნელობას, რომელიც შეესაბამება რეაქციის შექცევადად წარმართვას, მოცემული ელემენტის ელექტრომამოძრავებელი ძალა (ე.მ.ძ.) ეწოდება. ამ ზღვრული მნიშვნელობისათვის სასარგებლო მუშაობა, რომელსაც Zn/Cu ელემენტში ელექტრული დენი ასრულებს (1 F) გამოისახება განტოლებით:

$$A'_{\text{მაქ}} = F \cdot V_{\text{მაქ}} = F \cdot E, \quad (12.7)$$

სადაც E = V<sub>მაქ</sub> – ელემენტის ე.მ.ძ.

ცხადია, რომ 1 მოლი Zn-ის ურთიერთქმედებისას 1 მოლ Cu<sup>2+</sup>-თან ზემოთ მოტანილი განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$A'_{\text{მაქ}} = 2 \cdot A'_{\text{მაქ}} = 2 F \cdot E, \quad (12.8)$$

ზოგადად, ერთი მოლი ნივთიერების გახსნისას, რომელთა იონებს Z მუხტი აქვთ, მაქსიმალური სასარგებლო მუშაობა ე.მ.ძ.-თან დაკავშირებულია განტოლებით:

$$A_{\text{მაქ}} = ZF \cdot E \quad (12.9)$$

მუდმივ ნევასა და ტემპერატურაზე მაქსიმალური სასარგებლო მუშაობა ტოლია ჯიბსის ენერგიის ( $\Delta G$ ) შებრუნებული სიდიდის:

$$\Delta G = - ZF \cdot E \quad (12.10)$$

თუ რეაქციაში მონაწილე ნივთიერების კონცენტრაცია (უფრო ზუსტად, აქტივობა) ერთის ტოლია (ერთეული კონცენტრაციები), მაშინ დაცულია სტანდარტული პირობები, ე.ი. ელემენტის ე.მ.ძ.-ას ენოდება სტანდარტული ე.მ.ძ. და აღინიშნება E<sup>0</sup>. ამასთან, უკანასკნელი განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:  $\Delta G = - ZF \cdot E^0$

ვითვალისწინებთ, რომ ჯიბსის ენერგიის ცვლილება რეაქციის წონასწორობის კონსტანტასთან (K) დაკავშირებულია განტოლებით:

$$\Delta G = - RT \ln K, \quad (12.11)$$


სადაც R აირის უნივერსალური მუდმივაა (თუ აირის მოცულობა გაზომილია ლიტრებში, ნევა ატმ-ებში, მაშინ R = 0.082 ლეატმ/მოლიე,

ხოლო თუ V გაზომილია ლიტრებში ( $\text{dm}^3$ ), ხოლო წნევა კპა-ებში, მაშინ R = 8.314  $\text{J}/\text{მოლიე}$ , მივიღებთ განტოლებას, რომელიც სტანდარტულ ე.მ.ძ.-ს გალვანურ ელემენტში მიმდინარე რეაქციის წონასწორობის კონსტანტასთან აკავშირებს:


$$\text{RTlnk} = \text{ZF} \cdot \text{E}^0 \quad (12.12)$$

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ გალვანური ელემენტი, სადაც ქიმიური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად. პრინციპში, ელექტრული ენერგიის მოცემა შეუძლია ნებისმიერ უანგვა-ალდგენით რეაქციას. თუმცა იმ რეაქციათა რიცხვი, რომლებიც ელექტრული ენერგიის ქიმიურ წყაროებში გამოიყენება, საკმაოდ მცირეა, ეს დაკავშირებულია იმას-თან, რომ არა ყველა უანგვა-ალდგენითი რეაქცია იძლევა საშუალებას, შევქმნათ ელექტრული დენის წყარო, რომელსაც კარგი ტექნიკური თვისებები ექნება (მაგალითად, პრაქტიკულად მუდმივი და მაღალი ე.მ.ძ., ხანგრძლივი მოხმარების უნარი, დიდი დენების გამომუშავების უნარი და სხვ.) გარდა ამისა, ბევრი უანგვა-ალდგენითი რეაქცია საჭიროებს ძვირადლირებული ქიმიური რეაქციების (ნივთიერების გამოყენებას). სპილენძ/თუთიის გალვანური ელემენტისაგან განსხვავდით, ამ ტიპის თანამედროვე დენის წყაროებში (მაგალითად, აკუმულატორებში) გამოიყენება არა ორი, არამედ ერთი ელექტროლიტი (მაგალითად,  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ის ან  $\text{KOH}$ -ის სხსარი). ანოდად გამოიყენება თუთია, კათოდად, ჩვეულებრივ გამოიყენება ნაკლებად აქტიური მეტალების ოქსიდები. გალვანური ელემენტის ტიპის დენის წყაროები გამოიყენება კატერინის (რადიო, სატელეფონო, ტელეგრაფული), ავტომობილებში, სასოფლო-სამეურნეო მობილურ ტექნიკაში და ა.შ. ცნობილია სხვა ტიპის ელემენტები. მაგალითად, მანგანუმ/თუთიის, ჰაერ/თუთიის, ტუტე და მუავა აკუმულატორები, თბური ელემენტები და ა.შ., რომელთაც ქვემოთ (თუთიის და ტყვიის გამოყენება) განვიხილავთ.


აკუმულატორის მუშაობის პრინციპი განვიხილოთ ტყვიის (მუავური) აკუმულატორის მაგალითზე:



აკუმულატორის მუშაობის დროს ადგილი აქვს დენის აღმძვრელ შემდეგ პროცესებს:




ჯამური რეაქციაა:



რეაქციის შედეგად ორივე ელექტროდი იფარება  $\text{PbSO}_4$ -ის ფენით, ანუ ორივე ელექტროდი ერთნაირი ხდება, რასაც თან მოსდევს ე.მ.ძ.-ის შემცირება და აკუმულატორის განმუხტვა.

აკუმულატორის თავიდან დამუხტვის მიზნით მასში ატარებენ დენს სანინააღმდეგო მიმართულებით. ორივე ელექტროდზე მიმდინარეობს იმისი შებრუნებული პროცესები, რასაც ადგილი ჰქონდა აკუმულატორის დენის წყაროდ მუშაობის პროცესში და ჯამური რეაქციაც (1)-ის შებრუნებულია:



განმუხტვა-დამუხტვის ამგვარი მონაცევლების საშუალებით ტყვიის აკუმულატორი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობს გამართულად.

**თბური ელემენტები** წარმოადგენს ელექტროქიმიურ სისტემებს, რომლებშიც მიმდინარეობს სანვავის ან მისი გადამუშავების პროდუქტების დაუანგვის რეაქცია. მაგალითისათვის განვიხილოთ წყალბადის წვის რეაქცია:



ამ რეაქციაზე აგებული თბოელემენტი შემდეგნაირად არის მოწყობილი: 2 აირის კამერა, რომელთაგან ერთში წყალბადია და მეორეში – ჟანგბადი, ერთმანეთისაგან გამოყოფილია ნახევრადშეღწევადი ტიხი-რით. ეს ტიხარი ატარებს  $\text{H}^+$ -ს, მაგრამ არ ატარებს  $\text{H}_2$ -სა და  $\text{O}_2$ -ს. ელექტროდები დაფარულია პლატინით.

წყალბადის კამერაში პლატინის კატალიზატორზე მიმდინარეობს რეაქცია:



ამ რეაქციაში წარმოქმნილ წყალბადის იონები ნახევრადშეღწევა-დი ტიხირის საშუალებით გადადიან ჟანგბადის კამერაში, სადაც ადგილი აქვს შემდეგ პროცესს:



(12.14) რეაქციაში მონაწილე ელექტრონები ჟანგბადის კამერაში წყალბადის კამერიდან გადადიან გამტარის საშუალებით, რომელიც აერთებს კამერათა პლატინის ელექტროდებს. ელექტრონების ეს გადასვლა განპირობებულია იმით, რომ (12.14) რეაქციის  $\Delta G < 0$ . ელექტრონების ნაკადი კი წარმოადგენს ელექტრულ დენს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. კერძოდ, ზემოთ აღნერილი თბური ელემენტი გამოიყენებოდა კოსმოსურ ხომალდებში.

## 13. ქიმიური კინეტიკა და კატალიზი

### 13.1 ქიმიური რეაქციის სიჩქარე. რეაგენტების კონცენტრაციის გავლენა რეაქციის სიჩქარეზე

ქიმიური კინეტიკა ეწოდება ქიმიის დარგს, რომელიც ქიმიური რეაქციების სიჩქარეებს და მექანიზმებს შეისწავლის. ქიმიური კინეტიკის ერთ-ერთი საბაზო ცნებაა ქიმიური რეაქციის სიჩქარის ცნება.

ნებისმიერი კინეტიკური გამოკვლევის მიზანია განსახილველი რეაქციის კინეტიკური განტოლების სახის დადგენა და მისი პარამეტრების პოვნა. მასთანავე დაკავშირებული რეაქციათა მექანიზმების დადგენა და სამრენველო მასშტაბით ნივთიერებათა მიღების ეკონომიური ეფექტურობა.

ალნიშნული საკითხი, თავისი ინფორმაციული ტევადობით მნიშვნელოვანია არა მარტო ქიმიის ყველა დარგისათვის, არამედ მეცნიერების სხვა დარგებისთვისაც (ფიზიკის, ბიოლოგიის, ბიოქიმიის, გეოქიმიის და სხვა).

ქიმიური რეაქციების სიჩქარე ფართო ზღვრებში იცვლება. ზოგი რეაქცია იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ დაწყებისთანავე მთავრდება. მაგალითად, ერთი მოცულობა წყალბადისა და ერთი მოცულობა ქლორის ნარევში ნაპერნეკლის შეტანით რეაქცია აფეთქებით წარიმართება. ასევე მყისიერად მიმდინარეობს ონური რეაქციები წყალხსნარებში. ალნიშნულ რეაქციათა საპირისპიროდ, ტენიან ჰაერში რკინის ნაკეთობებზე ოქსიდური ფენის ნარმოქმნას 2-3 დღე-ლამე სჭირდება, ფერმენტების მოქმედებით გლუკოზას დუღილის პროცესი რამდენიმე თვე გრძელდება, ხოლო ქანების გამოფიტვის პროცესი შეიძლება ნლების განმავლობაში გაგრძელდეს. ასევე ხანგრძლივია ზოგიერთი ელემენტის რადიაქტიური დაშლა.

ქიმიური რეაქცია შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც ერთგვაროვან ანუ პომოგენურ, ისე არაერთგვაროვან ანუ ჰეტეროგენურ სისტემებში, რის მიხედვითაც ასხვავებენ პომოგენურ და ჰეტეროგენულ რეაქციებს.

პომოგენურია რეაქციები, თუ ურთიერთქმედება ხორციელდება აირებს ან ერთმანეთში შერევად თხევად ნივთიერებებს შორის.

**პომოგენური რეაქციის სიჩქარე** მათემატიკურად ასე ჩაიწერება:

$$V_{\text{შობ}} = \frac{\Delta V}{V \Delta t}, \quad (13.1)$$

სადაც  $V_{\text{შობ}}$  პომოგენური რეაქციის სიჩქარეა,  $v$  – ერთ-ერთი მორეაგირე ნივთიერების (რეაგენტის) ან რეაქციის პროდუქტის რაოდენობა,  $V$  – სისტემის მოცულობა, ხოლო  $t$  – დრო.

**ე.ი. პომოგენური რეაქციის სიჩქარე განისაზღვრება ერთეულ მოცულობაში, დროის ერთეულში რეაქციაში შესული ან რეაქციის შედეგად ნარმოქმნილი ერთ-ერთი ნივთიერების რაოდენობით (მოლებში).**

რადგან ნივთიერების რაოდენობის ფარდობა სისტემის მოცულობასთან არის ამ ნივთიერების კონცენტრაცია, ამიტომ ერთეულ მოცულობაში ნივთიერების რაოდენობის ცვლილება შეიძლება კონცენტრაციის ცვლილებით შეიცვალოს და, აქედან გამომდინარე, პომოგენური რეაქციის

ის სიჩქარე შეიძლება აგრეთვე განიმარტოს, როგორც ერთ-ერთი მორეა-გირე ნივთიერების ან რეაქციის პროდუქტის კონცენტრაციის ცვლილება დროის ერთეულში სისტემის უცვლელი მოცულობის პირობებში. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, თუ რეაქციაში მონაწილე რომელ ნივთიერებაზეა საუბარი, რადგან ნივთიერების ერთმანეთთან რაოდენობრივად დაკავშირებულია ქიმიური განტოლებით და ერთ-ერთი ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილებით შეიძლება ვიმსჯელოთ დანარჩენების კონცენტრაციის შესაბამის ცვლილებაზე. კონცენტრაციის ერთეულია „მოლი/ლ“, რეაქციის სიჩქარისა – „მოლი/(ლლწმ)“. SI სისტემაში, „მოლი/(მ3ლწმ)“.

მათემატიკურად გამოვსახოთ სიჩქარე რეაქციისა, რომელიც აიწერება ქიმიური განტოლებით:


$$A + B = AB$$

დავუშვათ, რომ  $AB$  რეაქციის პროდუქტის კონცენტრაცია  $t_1$  დროის მომენტში არის  $C_1$ , ხოლო  $t_2$  დროის მომენტში –  $C_2$ , მაშინ  $\Delta t = t_2 - t_1$  დროის ინტერვალში კონცენტრაციის ცვლილება  $\Delta C = C_2 - C_1$ , ხოლო რეაქციის საშუალო სიჩქარე (ნახ. 13.1):

$$v_{\text{შომ}} = \pm \frac{C_2 - C_1}{t_2 - t_1} = \pm \frac{\Delta C}{\Delta t} \quad (13.2)$$

მინუსი ნიშანი იწერება მაშინ, როცა რეაქციის სიჩქარე ისაზღვრება  $A$  ან  $B$  რეაგენტის კონცენტრაციის ცვლილებით (მიუხედავად მისი კონცენტრაციის შემცირებისა და  $C_2 - C_1$  სხვაობის უარყოფითი მნიშვნელობისა, რეაქციის სიჩქარე შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი). ნახ. 13.1 ჩანს, რომ  $t_2 - t_1$  და  $t_4 - t_3$  დროის ინტერვალების ტოლობის მიუხედავად,  $t_4 - t_3$  მონაკვეთში უფრო მცირე რაოდენობის რეაქციის პროდუქტი მიიღება. ე.ი. რეაქციის საშუალო სიჩქარე რეაგენტის კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად თანდათანობით კლებულობს.

ქიმიური რეაქციის საშუალო სიჩქარის გამოთვლა შესაძლებელია გრაფიკული მეთოდით (ნახ. 13.1, მრუდი 1), რომელიც მიახლოებითა. რეაქციის საშუალო სიჩქარის გამოთვლის მიზნით აგებენ  $C=f(t)$  ან  $C_0 - C=f(t)$  გრაფიკს და სიჩქარეს საზღვრავენ  $t_1$ ,  $t_2$  დროში, როცა კონცენტრაცია იცვლება, შესაბამისად  $C_1$ ,  $C_2$ . მათი სხვაობების ფარდობით კი ღებულობენ საშუალო სიჩქარეს დროის მოცემულ მონაკვეთში:  $v = \Delta C / \Delta t$ .



ნახაზი 13.1. პროდუქტის (1) და რეაგენტის (2) კონცენტრაციის ცვლილება დროში. 3,4 – მხები  $t_1$  და  $t_2$  დროის შესაბამის ნერტილებზე

ქიმიური რეაქციის სიჩქარესა და მორეაგირე ნივთიერებათა მოლურ კონცენტრაციებს შორის დამოკიდებულება (რაოდენობითი თანაფარდობა) ექსპერიმენტულად დაადგინეს ნორვეგიელმა მეცნიერებმა კატონ მაქსიმილიან გულდბერგმა და პეტერ ვააგემ. ამ გამოკვლევების საფუძველზე მათ ჩამოაყალიბეს კანონი, რომელსაც მოქმედ მასათა კანონი ეწოდება და ქიმიური კინეტიკის ძირითად კანონს წარმოადგენს: მუდმივი ტემპერატურის პირობებში ქიმიური რეაქციის სიჩქარე პროპორციულია მორეაგირე ნივთიერებათა მოლური კონცენტრაციების ნამრავლისა. ეს კანონი, ზოგადად,  $nA + mB \rightarrow pD$  მარტივი (ელემენტარული) რეაქციისათვის ასე ჩაინტერება:

$$v = kC_A^n \cdot C_B^m \quad (13.3)$$

ხოლო  $A + B \rightarrow D$  რეაქციისათვის შემდეგი გამოსახულების სახით:

$$v = kC_A \cdot C_B \quad (13.4)$$

უმარტივესი შემთხვევისათვის:



სადაც  $C$  მორეაგირე ნივთიერების კონცენტრაციაა,  $k$  – რეაქციის სიჩქარის მუდმივა (იხ. ქვემოთ).

$k$ -ის მნიშვნელობა უტოლდება რეაქციის სიჩქარეს, როდესაც მორეაგირე ნივთიერებათა მოლური კონცენტრაციები ერთის ტოლია ან მათი ნამრავლი უდრის ერთს. რაც მეტია  $k$ -ს მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია რეაქციის სიჩქარე. ეს კანონი სამართლიანია მხოლოდ აირად და თხევად ფაზაში მიმდინარე რეაქციებისათვის.

მოქმედ მასათა კანონი ამყარებს რეაქციის სიჩქარის მორეაგირე ნივთიერებების მოლურ კონცენტრაციებზე დამოკიდებულებას, მაგრამ არაფერს ამბობს რეაქციის მექანიზმზე, რისი გათვალისწინებაც მთელ რიგ შემთხვევებში აუცილებელია (მაგალითად,  $HCl$ -ის წარმოქმნა წყალბადისა და ქლორის ურთიერთქმედებისას, იხ. არაორგანული ქიმია, ქლორის ქიმიური თვისებები).

რადგან რეაქციის მიმდინარეობისას სიჩქარე განუწყვეტლივ იცვლება, ქიმიურ კინეტიკაში, ჩვეულებრივ, განიხილავენ მხოლოდ რეაქციის ჭეშმარიტ სიჩქარეს. რეაქციის ჭეშმარიტი სიჩქარე ( $v$ ) გამოსავალი ნივთიერების მიმართ წარმოადგენს კონცენტრაციის უსასრულოდ მცირე ( $dC$ ) ცვლილების ფარდობას დროის უსასრულოდ მცირე ( $dt$ ) მონაკვეთში:

$$v = -dC/dt \quad (13.6)$$

განტოლების მარჯვენა მხარეს უარყოფითი ნიშანი განპირობებულია იმით, რომ ქიმიური რეაქციის დროს ადგილი აქვს გამოსავალი ნივთიერების კონცენტრაციის შემცირებას.

(13.5) და (13.6) ფორმულების შეჯერებით მივიღებთ:

$$-dC/dt = kC \quad (13.7)$$

ქიმიური რეაქციის კინეტიკური განტოლება წარმოადგენს მათემატიკურ გამოსახულებას, რომელიც აღნერს ქიმიური პროცესის სიჩქარის დამოკიდებულებას მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციაზე.

ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით ქიმიური რეაქციის სიჩქარეს ყველაზე ხშირად გამოსახავენ ზოგადი ფორმულით:

$$v = k [C_1]^{m_1} [C_2]^{m_2} \dots [C_x]^{m_x}, \quad (13.8)$$

სადაც  $k$  არის რეაქციის სიჩქარის მუდმივა;  $C_1, C_2, \dots, C_x$  – გამოსავალი ნივთიერებების კონცენტრაციები,  $m_1, m_2, \dots, m_x$  – კონცენტრაციათა გარკვეული ხარისხის მაჩვენებლები.

კონცენტრაციის ხარისხის მაჩვენებელს ენოდება კერძო რიგი მოცემული რეაგენტის მიმართ, ხოლო მათი ჯამით გამოისახება საერთო (ჯამური) კინეტიკური რიგი.

რეაქციის კინეტიკური რიგი ემპირიული (ე.ი. ცდისეული) სიდიდეა.

ხშირად რეაქციის კინეტიკური და სტექიომეტრული განტოლებანი ერთმანეთს არ ემთხვევა. განსხვავებას კერძო რიგსა და სტექიომეტრულ კოეფიციენტს შორის განაპირობებს ქიმიური რეაქციის მექანიზმის სირთულე.

რეაქციის ჭეშმარიტი სიჩქარე ანუ სიჩქარე მოცემულ წერტილში (დროის მოცემულ მომენტში) შეიძლება გამოითვალოს ასევე კუთხის ტანგენსით, მხოლოდ ამ შემთხვევაში აგებენ მხებს აღნიშნული წერტილისათვის და მიღებული კუთხის ტანგენსით გამოითვლიან სიჩქარეს მოცემული მომენტისათვის (ნახ. 13.1). ნახაზიდან ჩანს, რომ დროის სხვადასხვა მომენტისათვის გამოთვლილი სიჩქარე განსხვავებულია. და შეესაბამება  $C_{1,t_1}$  და  $C_{2,t_2}$  წერტილების გადაკვეთაზე გამავალი წრფის დახრილობის კუთხის ტანგენსის მნიშვნელობას. ამრიგად,  $v = tga$ .

ჰეტეროგენული რეაქციებისათვის კინეტიკურ განტოლებაში მარჯვენა მხარეს მამრავლად შედის შეხების (ორი ფაზის გამყოფი) ზედაპირის ფართობი  $S$ , რომელიც რეაქციის მიმდინარეობისას დროის გარკვეულ მონაკვეთში უცვლელი რჩება.

თუ რეაქცია მიმდინარეობს ჰეტეროგენულ სისტემაში, მაგალითად, მყარ და თხევად ნივთიერებებს შორის, მაშინ რეაქციის სიჩქარე დამოკიდებული იქნება მყარი ნივთიერების ზედაპირის ფართობზე. ამ ნივთიერებებს შორის რეაქცია მიმდინარეობს მხოლოდ მყარი ნივთიერების ზედაპირზე. ამიტომ, რაც უფრო მეტი იქნება ამ ზედაპირის ფართობი, მით უფრო სწრაფად წარიმართება რეაქცია. მაგალითად, რკინის ალმადანის გამოწვისას  $[4 \text{ FeS}_2(\text{მყ.}) + 11 \text{ O}_2(\text{ა}) \rightarrow 2 \text{ Fe}_2\text{O}_3(\text{მყ.}) + 8 \text{ SO}_2(\text{ა})]$  ამ რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მხოლოდ უანგბადის კონცენტრაციის ცვლილებაზე, ამიტომ შესაბამის კინეტიკურ განტოლებაში არ შედის მყარი ნივთიერების კონცენტრაცია. ჰეტეროგენული პროცესია აგრეთვე მარმარილოზე მარილმჟავას მოქმედება. მარმარილოს მსხვილი ნატეხები გაცილებით უფრო დაბალი სიჩქარით რეაგირებს მარილმჟავასთან, ვიდრე იგივე მასის წვრილი ნატეხები. ამავე მიზეზით ქიმიურ რეაგენტებს, როგორც ნესი, იყენებენ ფხვნილების და არა ნატეხების სახით. იგივე კანონზომიერებას ექნება ადგილი, როდესაც ჰეტეროგენული რეაქციები ხორციელდება თხევად და აირად, ორ მყარ ან ორ შეურევად თხევად ნივთიერებას შორის. ასეთი რეაქციები მიმდინარეობს ფაზათა (ფაზა არაერთგვაროვანი სისტემის ერთგვაროვანი ნაწილია) შეხების ზედაპირზე. აქედან გამომდინარე, ჰეტეროგენული რეაქციის

სიჩქარე ხშირად განისაზღვრება დროის ერთეულში ერთეულ ზედა-პირზე რეაქციაში შესული ან რეაქციის შედეგად მიღებული ერთ-ერთი ნივთიერების რაოდენობით (მოლებში):

$$V_{\text{შე}} = \pm \frac{\Delta v}{S \Delta t}, \quad (13.9)$$

სადაც  $V_{\text{შე}}$  ჰეტეროგენული რეაქციის სიჩქარეა,  $v$  – ერთერთი რეაგენტის ან რეაქციის პროდუქტის რაოდენობა,  $S$  – ფაზათა შეხების ზედაპირის ფართობი,  $t$  – დრო.

დასასრულ, შევნიშნოთ, რომ **და ჰეტეროფაზურობის ცნება დამოუკიდებელია პომო- და ჰეტეროგენულობის ცნებისაგან**. პომოგენურ-ჰომოფაზური პროცესის მაგალითია კალიუმის ტუტის ხსნარის მარილმჟავას განზავებული ხსნარით განეიტრალება, მაშინ როდესაც ამიაკის (აირადია საწყისი რეაგენტები – ნყალბადი და აზოტი, და საბოლოო პროდუქტი – ამიაკი) დაშლა პლატინის (მყარი) კატალიზატორზე ჰომოფაზურ-ჰეტეროგენულია. ჰომოგენურ-ჰეტეროფაზური პროცესის მაგალითია ოქტანის (თხევადი ნაჯერი ნახშირწყალბადი) დაუანგვა აირადი უანგბადით.

## 13.2 რეაქციის სიჩქარის მუდმივა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქიმიური კინეტიკის ძირითადი პოსტულატის გამოსახულებაში (13.8) პროპორციულობის  $k$  კოეფიციენტს ეწოდება რეაქციის სიჩქარის მუდმივა (რეაქციის სიჩქარის კოეფიციენტი), რომელიც რიცხობრივად უტოლდება ქიმიური რეაქციის სიჩქარეს, რადესაც გამოსავალ ნივთერებათა მოლური კონცენტრაციები 1-ის ტოლია.

ქიმიური რეაქციის მუდმივას მნიშვნელობა დამოკიდებულია ქიმიურ რეაგენტთა ბუნებაზე და რეაქციის მიმდინარეობის პირობებზე (მაგალითად, ტემპერატურა, გამხსნელი). თუ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, რეაქციის სიჩქარის მუდმივა არ არის დამოკიდებული მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციებზე.

რეაქციის სიჩქარის მუდმივა ნარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან კინეტიკურ მახასიათებელს, ვინაიდან იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქიმიურ რეაგენტთა რეაქციისუნარიანობის რიცხობრივი ზომა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კინეტიკური რიგის ქიმიურ რეაქციათა სიჩქარის მუდმივები წარმოადგენს განსხვავებულ ფიზიკურ სიდიდეებს და მათი მნიშვნელობათა ურთიერთშედარება დაუძვებელია.

რეაქციის სიჩქარის მუდმივას განზომილების დადგენის მიზნით გავიხსნოთ ქიმიური კინეტიკის ძირითადი პოსტულატის გამოსახულება (13.8). ვინაიდან რეაქციის სიჩქარის განზომილება (მისი კინეტიკური რიგისაგან დამოუკიდებლად) შეადგენს  $[C][t]^{-1}$ -ს, რეაქციის სიჩქარის მუდმივასათვის გვექნება:

$$[k] = [C]^{1-\Sigma_m} [t]^{-1},$$

სადაც [C] არის კონცენტრაციის განზომილება, ხოლო  $\Sigma m$  არის რეაქციის ჯამური კინეტიკური რიგი.

ცხრილში მოტანილია სხვადასხვა რიგის რეაქციისათვის სიჩქარის მუდმივების ერთეულები SI სისტემაში (ცხრ. 13.1).

ცხრილი 13.1

კინეტიკური რიგი, $\Sigma m$	სიჩქარის მუდმივას ერთეული (SI)
0	$m\text{mol}\cdot\text{m}^{-3}\cdot\text{s}^{-1}$
1	$\text{M}\text{s}^{-1}$
2	$\text{M}^2\text{mol}\text{mol}^{-1}\cdot\text{s}^{-1}$
3	$\text{M}^3\text{mol}\text{mol}^{-2}\cdot\text{s}^{-1}$


ქიმიური რეაქციის სიჩქარის მუდმივა ადვილად გამოიანგარიშება, როდესაც ცნობილია განსახილველი რეაქციის რიგი. ცნობილია რეაქციის სიჩქარის მუდმივას გამოვლის რამდენიმე მეთოდი:

1. **ჩასმის ხერხი.** მორეაგირე ნივთიერებების ან პროდუქტების კონცენტრაციებს, რომლებიც ანალიზური გზით მიიღება სხვადასხვა მომენტში, ჩასვამენ შესაბამის კინეტიკურ განტოლებაში. მიღებული სიჩქარის მუდმივას რიცხვითი მნიშვნელობის ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს 5 %-ს.

2. **გრაფიკული მეთოდი.** ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა კონცენტრაციებისა და მათი წარმოებულებების დროზე დამოკიდებულებანი მოხერხებულ გრაფიკულ ფორმებს დებულობს. გრაფიკული აგებისას მიზანშენონილია გამოვიყენოთ უმცირესი კვადრატების მეთოდი ისეთ შემთხვევაში, როცა ჩატარებულია კონცენტრაციის არა ნაკლებ 8-10 გაზომვა.

### 13.3 რეაქციის მოლეკულურობა და რეაქციის რიგი

ფორმალური კინეტიკა უშვებს, რომ ელემენტარულ სტადიაში მონაცილე მოლეკულათა რიცხვი მთელი რიცხვია და ემთხვევა რეაქციის სტექიომეტრულ კოეფიციენტებს (განტოლებაში ნივთიერებათა ფორმულების წინ დაწერილ კოეფიციენტს). ფორმალური ენოდება ქიმიური კინეტიკის იმ დარგს (ნაწილს), რომელიც მექანიზმების გარეშე განიხილავს რეაქციების ელემენტარული სტადიების კინეტიკურ განტოლებებს. ფორმალური კინეტიკური განტოლებების გამოყვანისას (შედგენისას) თითოეული მიმდინარე რეაქცია განიხილება იმგვარად, როგორც ერთსტადიური და ცალმხრივი (ერთ მხარეს წარმართული). ზემოთ განმარტებული ცნების ქვეშ ჩვენ გვესმის „მოლეკულურობა“. უფრო ხშირად, ქიმიურ პრაქტიკაში გვხვდება მონო და ბიმოლეკულური რეაქციები (მაგალითად,  $H_2 + J_2 \rightarrow 2 HJ$  რეაქცია ბიმოლეკულურია, რადგან რეაგენტების სტექიომეტრული კოეფიციენტების ჯამი ტოლია ორის ( $1+1=2$ ). მონომოლეკულურია ნ.ბუტანის იზომერიზაცია იზობუტანად:



ალსანიშნავია, რომ მოლეკულურობა ხშირად რეაქციის კინეტიკურ რიგს არ ემთხვევა.

ბიმოლეკულური რეაქციისათვის,  $\text{H}_2 + \text{J}_2 \rightarrow 2\text{HI}$ , რეაქციის სიჩქარე აიწერება კინეტიკური განტოლებით:

$$v = kC_{\text{H}_2}C_{\text{J}_2}$$

ან ზოგადად:  $A + B \rightarrow D$ ,  $[A] = C_A$ ,  $[B] = C_B$ .

$$v = kC_A C_B \text{ ან } v = k[A][B], \quad (13.10)$$

სადაც  $k$  ხვედრითი სიჩქარე ანუ სიჩქარის მუდმივაა. თუ  $[A] = [B] = 1$  მოლი/ლ ანუ  $C_A = C_B = 1$  მოლი/ლ, მაშინ  $k = v$  (იხ. „მოქმედ მასათა კანონი“).

ერთსტადიური მონომოლეკულური რეაქციისათვის  $A \rightarrow B$ , როცა  $t = 0$ , გვაქვს  $C = C_0$ , მაშინ

$$\begin{aligned} -\frac{dC}{dt} &= kC \\ -\frac{dC}{C} &= kdt \end{aligned} \quad \text{ან}$$

გამოსახულების ინტეგრირებით ვღებულობთ:

$$\int dC/C = \int kdt \text{ (ინტეგრების საზღვრები, შესაბამისად, } C_0 - C_t \text{ და } 0-t)$$

$$\begin{aligned} -\ln \frac{C_0}{C_t} &= kt \\ \text{ან:} \end{aligned} \quad (13.11)$$

$$\ln C_t = \ln C_0 - kt,$$

აქედან:

$$k = \frac{1}{t} \ln \frac{C_0}{C_t} \quad (13.12)$$

( $C_0$  საწყისი კონცენტრაციაა,  $C_t$  – კონცენტრაცია  $t$  დროის შემდეგ).

განტოლების ორივე მხარეს ყველა სიდიდის მნიშვნელობა განისაზღვრება ექსპერიმენტულად.  $C(t)$  დამოკიდებულება შეიძლება ექსპონენტური ფუნქციით გამოვსახოთ (რაც ხაზს უსვამს პროცესის ექსპონენტურ ხასიათს):

$$C_t = C_0 e^{-kt} \quad (13.13)$$

მონომოლეკულური რეაქციებისათვის  $k$ -ს ხშირად განსაზღვრავენ ნახევრადგარდაქმნის დროით ( $\tau_{1/2}$ ),  $t = \tau_{1/2}$ . ამ შემთხვევაში, რეაგენტის

კონცენტრაცია უდრის მისი საწყისი კონცენტრაციის ნახევარს, ე.ი.  $C_t = 1/2C_0$ . რამდენადაც:

$$k = \frac{1}{t} \ln \frac{C_0}{C_t} \quad (13.14)$$

შესაძლებელია ჩავწეროთ, რომ:

$$k = \frac{\ln 2}{\tau_{1/2}} = \frac{0.693}{\tau_{1/2}} \quad (13.15)$$

ე.ი.:

$$k = \frac{0.693}{\tau_{1/2}}$$

აღსანიშნავია, რომ  $\tau_{1/2}$  განისაზღვრება ექსპერიმენტულად.

ასეთივე მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ რადიაქტიური დაშლის რეაქციების შესწავლისას, რადგანაც ეს რეაქციები, როგორც წესი, განიხილება, როგორც მონომოლეკულური.

ცალმხრივი ბიმომოლეკულური რეაქციებისათვის ფორმალური კინეტიკა შემდეგ განტოლებას იყენებს:

$$k = \frac{1}{t} \cdot \frac{1}{C_1^0 - C_2^0} \ln \frac{C_2^0(C_1^0 - X)}{C_1^0(C_2^0 - X)}, \quad (13.16)$$

**სადაც  $C_1^0, C_2^0$  ე.ნ. რეაგენტების წონასწორული კონცენტრაციებია, როდესაც  $t=0$ .**

რეაქციის კინეტიკური პარამეტრების განსაზღვრა გაღრმავებულად შეისწავლება ფიზიკური ქიმიის კურსში (ქიმიური კინეტიკის განყოფილება).


### 13.4. რეაქციის მექანიზმის გავლენა

გარდა მორეაგირე ნივთიერებების კონცენტრაციისა, **რეაქციის სიჩქარეზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც**. მათგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

1. რეაგენტების ბუნება;
2. რეაქციის მექანიზმი;
3. ტემპერატურა სისტემაში;
4. კატალიზატორის მონაწილეობა;
5. რეაგენტების დაქუცმაცების (მყარი) და შერევის ხარისხი და სხვ.

იმის მიხედვით, თუ როგორ შეერწყმება რეალურად ზემოაღნიშნული ფაქტორები, ერთი და იგივე რეაქცია შეიძლება წარიმართოს ძალინდიდი სიჩქარით, მაგალითად, აფეთქების რეჟიმში ან ძალიან ნელა.

წყლის სინთეზის სარეაქციო ნარევს, მოლური თანაფარდობით 2:1, მგრვინავი აირი ენოდება:



მგრვინავი აირი ( $\text{VH}_2 : \text{VO}_2 = 2$  მოც. : 1 მოც.) შესაძლებელია არსებობდეს (ინახებოდეს) ოთახის ტემპერატურაზე რაგინდ დიდხანს ისე, რომ რეაგენტების რაიმე არსებითი გარდაქმნა წყლად არ შეინიშნება. მაგრამ როდესაც  $T=600^\circ\text{C}$  ( $873\text{K}$ ) ადგილი აქვს ნარევის აფეთქებას წყლის ნარმოქმნით. ამ შემთხვევაში ტემპერატურის გაზრდა ასტიმულირებს რეაქციის ჯაჭვურ მექანიზმს და მისი სიჩქარე ანომალურად იზრდება.

რეაქციის სიჩქარეზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს **პროცესის მექანიზმი**, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე თანმიმდევრული ან ზოგჯერ ერთდროული, მაგრამ სხვადასხვა სიჩქარით მიმდინარე რეაქციისაგან. ასეთ რეაქციებს მიეკუთვნება ე.წ. „პულსირებადი“ რეაქციები. მაგალითის სა-ხით შეიძლება მოვიტანოთ  $\text{H}_2\text{O}_2$ ,  $\text{HIO}_3$ , მალონის მჟავის  $\text{HOOC}-\text{CH}_2-\text{COOH}$  (ორთუძიანი კარბონმჟავა – დიკარბონმჟავა) და სახამებლის ნარევში მიმდინარე პროცესი, სადაც ინდუქციური პერიოდის გავლით (დრო, როდესაც ენერგეტიკული ზემოქმედების შემდეგ რეაქცია, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ არ დაწყებულა) ადგილი აქვს ე.წ. პულსაციის გამოვლენას, რაც მულავნდება იოდ-სახამებლის ცნობილი რეაქციის (ლურჯად შეფერვა) პერიოდულად წარმართვით (შეფერვა ხან წარმოიქმნება, ხან ქრება). პულსაცია გრძელდება რეაგენტების ამონურვამდე. ძალზე რთულია აგრეთვე ჯაჭვური რეაქციების მექანიზმები, რომელსაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

ზემოთ ნახსენები ფაქტორებიდან, რეაქციის მექანიზმისა და კონცენტრაციის გავლენასთან ერთად, განსაკუთრებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე ტემპერატურის გავლენას.

### 13.5. ტემპერატურის გავლენა ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე. ვანტ-ჰოფის წესი. აქტივაციის თეორიის საბაზო კონცეფციები. აქტივაციის ენერგია

ტემპერატურის გავლენა ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე პირველად შეისწავლა გამოჩენილმა დანიელმა მეცნიერმა იაკობ ვანტ-ჰოფმა, რომელმაც მდიდარი ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე დაადგინა ზოგადი ხასიათის წესი, რომლის თანახმად, ტემპერატურის ათი გრადუსით გადიდებისას რეაქციის სიჩქარე იზრდება  $2 \div 4$ -ჯერ. ამ რიცხვს რეაქციის სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი ენოდება. ამრიგად, ტემპერატურის ერთი გრადუსით გადიდება იწვევს რეაქციის სიჩქარის გადიდებას საშუალოდ  $10\% \cdot \text{ით}$ . ეს წესი არ არის ზუსტი. ყოველ რეაქციას გარკვეული სიდიდის ტემპერატურული კოეფიციენტი ახასია-

თებს. გარდა ამისა, ალსანიშნავია, რომ ძალიან ხშირად ეს თერმული კო-ეფიციენტი იცვლება ტემპერატურასთან დაკავშირებით.

ვანტ-ჰოფის წესით შეიძლება ვისარგებლოთ მხოლოდ მიახლოებითი გაანგარიშებისათვის, იგი შემდეგნაირად გამოისახება:

$$\gamma = k_{T+10}/k_T, \quad (13.17)$$

სადაც  $\gamma$  არის რეაქციის სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი. ამ განტოლების გალოგარითმებით მივიღებთ:

$$\lg\gamma = \lg k_{T+10} - \lg k_T, \quad (13.18)$$

მიღებული ტოლობის  $\Delta T = 10^\circ$ -ზე გაყოფა მოგვცემს:

$$\Delta \lg k / \Delta T = \lg\gamma/10, \quad (13.19)$$

სადაც,  $\Delta \lg k = \lg k_{T+10} - \lg k_T$ .

თუ დავუშვებთ, რომ  $T_1$  და  $T_2$  გრადუსის ინტერვალში  $\gamma$  უცვლელია, მაშინ ზღვარზე გადასვლით ზოგად შემთხვევაში გამოსახულება მიიღებს სახეს:

$$d \lg k / dT = \lg\gamma/10,$$

რომლის ინტეგრებით  $T_1$  და  $T_2$  ზღვრებში მიიღება საშუალო ტემპერატურული კოეფიციენტი:

$$\lg k_{T_2} / k_{T_1} = \lg\gamma/10 \cdot (T_2 - T_1). \quad (13.20)$$

13.20 განტოლებიდან ნათლად ჩანს, რომ ტემპერატურა თვალსაჩინო გავლენას ახდენს რეაქციის სიჩქარეზე. თუ დავუშვებთ, რომ რეაქციის სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი  $\gamma = 2$ , ადვილად შევადგენთ ცხრილს, საიდანაც დავინახავთ, თუ როგორაა დამოკიდებული რეაქციის სიჩქარე ტემპერატურაზე.

ტემპერატურა	სიჩქარის მუდმივა	
0°	k	
10°	2k	
20°	4k = 2 <sup>2</sup> k	
30°	8k = 2 <sup>3</sup> k	
100°	1024k = 2 <sup>10</sup> k	

განხილული მაგალითიდან ჩანს, რომ ტემპერატურის არითმეტიკული პროგრესიით გადიდებისას რეაქციის სიჩქარე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ვანტ-ჰოფის წესის მიხედვით, რეაქციის სიჩქარის მუდმივა ტემპერატურის ხარისხოვან ფუნქციას წარმოადგენს. ტემპერატურის ასეთი დიდი გავლენის ასახსნელად უნდა გავიხსენოთ, რომ რეაქციის ნარმართვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოლეკულების დაჯახება. შევნიშნოთ აგრეთვე, რომ მოლეკულების ყოველი დაჯახება არ არის საკმარისი რეაქციისათვის. თითო დაჯახება რომ საკმარისი ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ვერ შევძლებდით აირების შერევას, რადგან მყისვე დაინტებოდა რეაქცია, რომელიც ორი მოლეკულის დაჯახების ხანგრძლივობაში დასრულდებოდა, რაც ატმოსფერული წნევის პირობებში დაახლოებით  $10^{-10}$  წამის ტოლია. ამრიგად, მოლეკულათა დაჯახება რეაქციისათვის წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას.

ისმება კითხვა – რატომ არის რეაქციის სიჩქარე ტემპერატურის ფუნქცია? ე.ი. რატომ გამოისახება ზოგადად ეს დამოკიდებულება ფუნქციით:  $v = f(T)$ .

ტემპერატურის გადიდებით დაჯახებათა სიხშირე იზრდება. როგორც ვარაუდობდნენ და დადგინდა კიდეც, ტემპერატურის გაზრდით რეაქციაში მონაწილე მოლეკულათა შეჯახებების რიცხვი დროის ერთეულში პროპორციულია აბსოლუტური ტემპერატურიდან კვადრატული ფესვისა, მაშინ, როცა რეაქციის სიჩქარის ტემპერატურაზე დამოკიდებულება ატარებს ექსპონენტურ ხასიათს. მართლაც, თვით უმარტივესი გათვლებითაც კი დადგენილია, რომ ტემპერატურის  $100^{\circ}$ -ით გაზრდისას (მაგალითად, 273K-დან 373K-მდე) შეჯახებათა რიცხვი იზრდება მნიშვნელოვნად მცირე ხარისხით ( $\sqrt{373K} / \sqrt{273K} \approx 1.2$ ), ვიდრე ეს ვანტ-ჰოფის წესის მიხედვით არის გათვლილი. აღმოჩნდა, რომ მოლეკულათა (ნანილაკთა) ყველა შეჯახებას არ მოსდევს მათ შორის რეაქცია (ურ-თიერთქმედება). საჭიროა საკმაოდ დიდი ენერგია, რომ გადაილახოს ის პოტენციალური ბარიერი, რაც რეაქციის წარმართვისათვის არის საჭირო. ეს მაშინ ხერხდება, თუ მოლეკულებს (ატომებს, თავისუფალ რადიკალებს, ზოგადად, ნანილაკებს) საკმარისი ენერგია გააჩინიათ (მიენიჭებათ ენერგიის გადაცემის ხარჯზე) ან სხვაგვარად, ისინი ე.წ. „ცხელ“ მოლეკულათა რიცხვს მიეუთვნებიან. ასეთ მოლეკულებს “აქტიურსაც“ უწოდებენ. ნანილაკთა განაწილება მათი ენერგიის მიხედვით (მოცემულ ტემპერატურაზე რეგულირდება) ბოლცმანის სტატისტიკის კანონებით (მაქსველ-ბოლცმანის განაწილება):

$$N_{\text{აქტ}} = N_{\text{საერთო}} \cdot e^{-E/RT}, \quad (13.21)$$

სადაც  $R$  აირის უნივერსალური მუდმივა.

ამ განაწილების თანახმად, მხოლოდ მორეაგირე მოლეკულათა შედარებით მცირე ნაწილი მიეუთვნება ე.წ. “აქტიურ” ნანილაკებს (გააჩინიათ ენერგეტიკული ბარიერის ტოლი ან მასზე მეტი ენერგია). ტემპერატურის გაზრდა ინვევს აქტიური ნანილაკების რიცხვის ზრდას (უფრო მეტად, ვიდრე შეჯახებათა საერთო რიცხვს), რაც ზემოთ განხილულ კონცეფციას ადასტურებს.

მინიმალურ ჭარბ ენერგიას, რომელიც უნდა გააჩინდეს მორეაგირე მოლეკულებს, რომ რეაქცია წარიმართოს, აქტივაციის ენერგია ეწოდება და აღინიშნება Ea-ით. მისი ერთეულია კჯ/მოლი. ეს შეხედულებები 1889 წელს გამოჩენილმა შვედმა ქიმიკოსმა სვანტე არენიუსმა ჩამოაყალიბა თეორიის სახით, რომელსაც არენიუსის აქტიური მოლეკულების თეორია ეწოდა. ამ თეორიის ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს: რეაქციაში ჩვეულებრივი A მოლეკულები კი არ მონაწილეობენ, არამედ მათი სახესხვაობანი A\*, რომლებიც იჩენენ რეაქციაში შესვლის უნარს. არენიუსმა მათ აქტიური მოლეკულები უწოდა. აქტიური მოლეკულები ჩვეულებრივისაგან განსხვავდებიან ენერგიის მარაგით, რომელსაც აქტივაციის ენერგია ეწოდება. თუ A მოლეკულის აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად E სიდიდის ენერგიაა საჭირო, მაშინ აირების კინეტი-

კური თეორიის თანახმად, აქტიურ მოლეკულათა რიცხვი,  $A^*$ , მოცულობის ერთეულში იქნება:

$$[A^*] = [A]e^{-\frac{E}{RT}}, \quad (13.22)$$

სადაც  $E$  არის ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც უნდა ჰქონდეს 1 მოლ ნივთიერებას რეაქციაში მონაწილეობისათვის.

არენიუსის თეორიის თანახმად, აქტიური და არააქტიური (ჩვეულებრივი მოლეკულები ერთმანეთთან წონასწორობაშია. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, აქტივაციის ენერგიის სიდიდე შეიძლება გამოვიანგარიშოთ ე.წ. ვანტ-პოფის იზოქორით, რომლის თანახმად:

$$d\ln K/dT = -Q/RT^2 \quad (Q = -\Delta H), \quad (13.23)$$

რადგან წონასწორობის მუდმივა  $K$  წარმოადგენს მოპირდაპირე (პირდაპირი და შებრუნებული) რეაქციათა სიჩქარეების მუდმივათა ფარდობას ( $K = k_2/k_1$ ), შეიძლება იზოქორის განტოლება შემდეგნაირად ჩაიწეროს:

$$d\ln k_2/dT - d\ln k_1/dT = -Q/RT^2, \quad (13.24)$$

დავუშვათ, რომ სითბური ეფექტი  $Q$  წარმოადგენს ორი ენერგეტიკული სიდიდის სხვაობას:  $Q = E_2 - E_1$ , მივიღებთ:

$$d\ln k_1/dT = E_1/RT^2 + B \quad \text{და} \quad d\ln k_2/dT = E_2/RT^2 + B \quad (13.25)$$

არენიუსმა დაუშვა, რომ  $B = 0$ . აქედან მიიღება არენიუსის განტოლება:

$$d\ln k/dT = E/RT^2, \quad (13.26)$$

რომლის ინტეგრებით მივიღებთ:

$$\ln k = -E/RT + \ln A, \quad (13.27)$$

სადაც  $\ln A$  ინტეგრების მუდმივაა, აქედან:

$$k = Ae^{-\frac{E}{RT}} \quad (13.28)$$

ან ლოგარითმული სახით:

$$\ln k = \ln A - \frac{E_0}{R} \cdot \frac{1}{T} \quad (13.29)$$


სადაც  $k$  რეაქციის სიჩქარის მუდმივაა,  $E_0$  – აქტივაციის ენერგია,  $R$  – აირების უნივერსალური მუდმივა,  $T$  – ტემპერატურა ( $K$ ), ხოლო  $e$  – ნატურალური ლოგარითმის ფუძე (2.718),  $A$  – არენიუსის მუდმივა, ყოველი კონკრეტული რეაქციისათვის დამახასიათებელი მუდმივი სიდიდეა. იგი პირველი მიახლოებით რიცხვობრივად ტოლია დროის ერთეულში შეჯახებათა რიცხვისა, მოცულობის ერთეულზე გადაანგარიშებით, როდესაც ნივთიერებათა კონცენტრაცია 1-ის ტოლია.

(13.27) განტოლება  $y = a + bx$  ტიპის წრფის განტოლებას წარმოადგენს, რომლის გრაფიკული ამონახსნით შეიძლება  $A$ -ს და  $E_0$ -ის განსაზღვრა. ამ განტოლებიდან ჩანს, რომ გარდა აქტივაციის ენერგიისა, რეაქციის სიჩქარის დახასიათებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ექსპონენტნინა მამრავლს –  $A$ -ს, რომელიც დაჯახებათა ფაქტორს გამოსახავს. ვინაიდან რეაქციაში მხოლოდ აქტიური მოლეკულები იღებენ

მონაწილეობას, ამიტომ რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია აქტიურ მოლეკულათა დაჯახების სიხშირეზე.

ნახ. 13.2-ზე მოცემულია მორეაგირე სისტემის ენერგიასა და რეაქციის მიმდინარეობას შორის დამოკიდებულების მრუდი.


იმისათვის, რომ A და B ნივთიერებებმა წარმოქმნან რეაქციის AB პროდუქტი, მათმა მოლეკულებმა (ნაწილაკებმა) უნდა გადაბახონ ენერგეტიკული ბარიერი. ამაზე იხარჯება აქტივაციის ენერგია  $E_1$ . ამ სიდიდით იზრდება სისტემის ენერგია. ამასთან, რეაქციის მიმდინარეობისას მორეაგირე ნივთიერებათა მოლეკულებიდან (ნაწილაკებიდან) წარმოიქმნება შუალედური არამდგრადი დაჯგუფება, რომელსაც აქტივირებულ კომპლექსს უწოდებენ (K ნერტილი). ამ უკანასკნელის დაშლით კი მიიღება რეაქციის საბოლოო პროდუქტი AB. თუ აქტივირებული კომპლექსის დაშლისას გამოიყოფა მეტი ენერგია, ვიდრე საჭიროა მოლეკულათა (ნაწილაკთა) აქტივაციისათვის, მაშინ რეაქცია ეგზოთერმული იქნება, ნინაალმდეგ შემთხვევაში კი – ენდოთერმული. ენდოთერმული რეაქციის მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ საწინააღმდეგო პროცესი – AB ნივთიერებიდან A და B ნივთიერებათა მიღება. ამ შემთხვევაში სის-ტემის საწყის მდგომარეობას შეესაბამება N ნერტილი, ხოლო საბოლოოს – M. აქტივაციის ენერგია იქნება  $E_2$ , რომელიც ტოლია  $E_1 + \Delta H$  ( $\Delta H$  რეაქციის სითბური ეფექტია). ენდოთერმული რეაქციის მიმდინარეობისათვის საჭიროა ენერგიის განუწყვეტელი მიწოდება გარედან.



ნახაზი 13.2. სისტემის ენერგიასა და რეაქციის მიმდინარეობას (რეაქციის კოორდინატს) შორის დამოკიდებულების მრუდი

**ქიმიური რეაქციის აქტივაციის ენერგია ექსპერიმენტული გზით ისაზღვრება (ნახ. 13.3).** აქტივაციის ენერგიას ექსპერიმენტულად გამოთვლიან მას შემდეგ, რაც ცნობილია რეაქციის რიგის და სიჩქარის

მუდმივების მნიშვნელობები, გამოთვლილი სხვადასხვა (მინიმუმ 3) ტემპერატურაზე. ამისათვის აგებენ გრაფიკს, რომლის აბსცისათა ღერძზე გადაზომავენ ტემპერატურის (კელვინებში) შებრუნებულ მნიშვნელობათა სიდიდეებს, ხოლო ორდინატთა ღერძზე – რეაქციის სიჩქარის მუდმივას ლოგარითმის მნიშვნელობებს. მიღებული გრაფიკიდან გამოთვლიან აქტივაციის ენერგიის მნიშვნელობას, რომლის ერთეულია ჯ/მოლი.




ნახაზი. 13.3 აქტივაციის ენერგიის გრაფიკული განსაზღვრა

რეაქციის სიჩქარე უშუალოდ დამოკიდებულია აქტივაციის ენერგიაზე. თუ ეს უკანასკნელი მცირეა, მაშინ რეაქციის მიმდინარეობისას, გარკვეული დროის განმავლობაში, ენერგეტიკული ბარიერის გადალახვას მოლეკულათა (ნაწილაკთა) დიდი რიცხვი შეძლებს და რეაქციის სიჩქარეც, შესაბამისად, მაღალი იქნება. მაგრამ თუ აქტივაციის ენერგია დიდია, მაშინ პირიქით, მის გადალახვას მოლეკულათა მცირე რიცხვი „ახერხებს“ და რეაქციის სიჩქარე მცირეა. რაც დიდია E., მით უფრო „მგრძნობიარეა“ რეაქციის სიჩქარე ტემპერატურას ზრდის მიმართ (ან სხვაგვარად, ტემპერატურის ანევა ასეთ რეაქციებს უფრო მეტად აჩქარებს).


### 13.5 ნარმოდგენები პარალელურ, მიმდევრობით და შეუღლებულ რეაქციებზე

პარალელურ რეაქციებში ერთდღროულად მიმდინარეობს საწყისი რეაგენტების გადაქმნა სხვადასხვა მიმართულებით შემდეგი ზოგადი სქემით:




პარალელური რეაქციების მაგალითებია:

1. ბერთოლეს მარილის დაშლა:



მიმდევრობითია (თანმიმდევრული) რეაქცია, თუ ერთი რომელიმე რეაგენტიდან თანდათანობით მისი გარდაქმნის შედეგად მიიღება რამდენიმე სხვადასხვა პროდუქტი შემდეგი ზოგადი სქემის შესაბამისად:




თანმიმდევრულ რეაქციას მიეკუთვნება მაგალითად, ნაჯერი ნახშირწყალბადების (მეთანის და ა.შ.) ქლორირება (1), პოლიმერიზაციის რეაქციები (2) და სხვა:



შეუღლებულ რეაქციებში ერთ-ერთი ინდუცირდება მეორის საშუალებით შემდეგი ზოგადი სქემის თანახმად:



მაგალითად:



მეორე რეაქცია აინდუცირებს პირველს.

### 13.6. ქიმიური რეაქციების ინიცირების თანამედროვე ფიზიკური მეთოდები\*

როგორც ცნობილია, ქიმიური რეაქციების ძირითად მაინიცირებელ წყაროს სითბური ზემოქმედება (სარეაქციო ნარევის გაცხელება) ნარმოადგენს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სითბური ენერგიის ქიმიურ ენერგიად გარდაქმნის შედეგად არსებული ბმების დარღვევას და ახალი, უმეტესწილად უფრო მტკიცე ბმების ნარმოქმნას.

სითბური ზემოქმედების გარდა, ნივთიერების რეაქციისუნარიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხილული და ულტრაიისფერი სინათლე, ლაზერული და სხვადასხვა ტიპის მაიონიზირებელი გამოსხივება, მაღალი და ზემაღალი წნევები, მექანიკური ზემოქმედება და სხვ.

ქიმიურ რეაქციებზე სინათლის ზემოქმედებას (ხილულის და ულტრაიისფერის) შეისწავლის ქიმიის განსაკუთრებული დარგი – ფოტოქიმია. ფოტოქიმიური პროცესები ძალიან მრავალფეროვანია. ფოტოქიმიური მოქმედების დროს მორეაგირების ნივთიერების მოლეკულები, შთანთქავენ რა სინათლის კვანტებს, აღიგზნებიან ან გარდაიქმნებიან იონებად ან თავისუფალ რადიკალებად (იხ. არაორგანული ქიმიის კურსი, HCl-ის და HBr-ის სინთეზი მარტივი ნივთიერებებიდან). ფოტოქიმიური გამოკვლევები დიდ თეორიულ ინტერესს იწვევს. საკმარისია შევნიშნოთ, რომ ჯაჭვური პროცესების თეორია, თანამედროვე წარმოდგენები ჯაჭვური რეაქციების მექანიზმის, როგორც ელემენტარული პროცესების ერთობლიობის შესახებ, შემუშავდა ფოტოქიმიური რეაქციების შესწავლასთან დაკავშირებით.

ფოტოქიმიური პროცესები უდევს საფუძვლად ფოტოგრაფიას – სინათლის ზემოქმედებით შუქმერძნობიარე მასალებზე (მაგალითად, ვერცხლის ქლორიდსა და ბრომიდზე) გამოსახულების მიღებას.

მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება ფოტოქლორინების, ფოტოსულფოქლორინების და სულფოდაუანგვის ჯაჭვური რეაქციები. შემუშავებულია პოლიმერული ფისებისა და ბოჭკოების ფოტოქიმიური სინთეზის და მოდიფიცირების სამრეწველო ხერხები. ფოტოქიმია უშუალოდ დაკავშირებულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემასთან – ენერგიის ალტერნატიული წყაროს – მზის ენერგიის გამოყენებასთან.

რეაქციების სტიმულირებისათვის (ინიცირებისათვის) სხივური ენერგიის გამოყენების თანამედროვე, არატრადიციულ მეთოდებს მიეკუთვნება **ლაზერული გამოსხივების გამოყენება**. ლაზერი წარმოქმნის კოპერენცულ ოპტიკურ გამოსხივებას. ეს არის იძულებითი გამოსხივება, რომელიც ხასიათდება ერთი სიხშირის, ფაზის, პოლარიზაციის მქონე ფოტონების გამოსხივებით, რადგანაც ამ დროს ალძრული კოპერენცული გამოსხივების მახასიათებლები მთლიანად ემთხვევა გარეგანი აღმგზნები ტალღის მახასიათებელს.

ცნობილია სხვადასხვა ტიპის ლაზერები, რომლებიც ასხივებენ სინათლის სხვადასხვა უბნებში: ულტრაიისფერი (უი), ხილული, ინფრანითელი (ინ). მაგალითად, იმპულსური ლალის კრისტალზე მიღებული ლაზერი ასხივებს კოპერენცულ სხივს  $\lambda = 690$  ნმ (0.62 მკმ) (წითელი სინათლე), აირის ლაზერები ასევე სხვადასხვა უბაზზე ასხივებს:

ა) ჰელიუმ-ნეონის  $\lambda = 633$  ნმ (0.633 მკმ) (წითელი) და  $\lambda = 1150$  ნმ (1.15 მკმ) (ინფრანითელი).

ბ) არგონის  $\lambda = 488$  ნმ (0.488 მკმ) (ლურჯი) და  $\lambda = 510$  ნმ (0.510 მკმ) (მწვანე).

გ) ჰელიუმ-კადმიუმის  $\lambda = 440$  ნმ (0.440 მკმ) (იისფერი) და ა.შ.

ქიმიური პროცესების ლაზერული ინიცირება შეიძლება მოხდეს როგორც ლაზერული ფოტოქიმიური გზით, ისე წმინდა ლაზერული თერმული ზემოქმედებით. ამ მეთოდისათვის დამახასიათებელია მთელი

რიგი უნიკალური მხარეებისა, რასაც მოკლებულია სინათლის ჩვეულებრივი წყაროებით ფოტოქიმიური ინიცირების მეთოდები. ქიმიური რეაქციების ლაზერული ფოტოქიმიური ინიცირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა სინათლის ენერგიის ძლიერი ნაკადის გამოსხივება ვიწრო სპექტრულ ინტერვალში. განსაზღვრული სიგრძის ტალღის გამოსხივების გამოყენების დროს, რომელიც შთანთქმება რეაგენტებით, მაგრამ არ მოქმედებს მინარევებზე, შეიძლება გახვახორციელოთ შერჩევითი (კონკურენტული) რეაქცია. მაგალითად, მეთოლის და დეიტერიორებული მეთოლის სპირტისა და ბრომის ნარევის ლაზერული დასხივების დროს ხდება მხოლოდ  $\text{CH}_3\text{OH}$ -ის ბრომირება და არა  $\text{CD}_3\text{OD}$ -ის, ვინაიდან დასხივების შედეგად ხდება  $\text{CH}_3\text{OH}$ -ის მოლეკულების სელექტიური აღგზება, რომელებიც ადვილად შედიან ბრომთან რე-აქციაში, მაშინ როდესაც  $\text{CD}_3\text{OD}$ -ის მოლეკულები ამ პირობებში არ აღიგზნებიან და არ განიცდიან ფოტოქიმიურ გარდაქმნას. ე.ო. ამ მეთოდით შეიძლება დავაცილოთ  $\text{CH}_3\text{OH}$  და  $\text{CD}_3\text{OD}$ .

ლაზერული სინათლის იმპულსებით არაგამჭვირვალე მყარი სხეულების დასხივებისას ადგილი აქვს მათ ინტენსიურ, სწრაფ გაცხელებას, ნივთიერების ორთქლად ქცევას, ხოლო დიდი სიმძლავრის დასხივების დროს – პლაზმის ნარმოქმნას. ამრიგად, ლაზერული გამოსხივება შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალტემპერატურული და პლაზმო-ქიმიური პროცესების ინიცირებისათვისაც, არააქროლადი ნივთიერების აქროლებისათვის და დაშლისათვის და სხვა. მაგალითად, აღსანიშნავია წყალბადის და ქლორნახშირბადის ატმოსფეროში, სილიციუმსა და გერმანიუმზე ლაზერული სითბური ზემოქმედების დროს, შესაბამისად,  $\text{SiH}_4$ -ის,  $\text{GeH}_4$ -ისა და  $\text{CCl}_4$ -ის მიღება, რასაც ლაზერული ტექნოლოგიების და ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ დიდი პერსპექტივა გააჩნია.

შძლავრი ლაზერული გამოსხივების დახმარებით განხორციელებულია გრაფიტიდან და წყალბადიდან სხვადასხვა ნახშირწყალბადის სინთეზი. ინიცირების რეაქციების „ჩვეულებრივი“ მეთოდების გამოყენების დროს მსგავსი სინთეზები შეუძლებელია. ლაზერული გამოსხივების დროს განხორციელებულია აგრეთვე გრაფიტიდან ალმასის სინთეზი. გრაფიტის ალმასად გარდაქმნისათვის, როგორც ცნობილია, აუცილებელია საკმაოდ მაღალი ტემპერატურა და ზემაღალი წნევა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაზერული გამოსხივების გამოყენება სხვადასხვა ნივთიერების თვისებით და რაოდენობით ანალიზი მათი მონანილებით ქიმიური რეაქციების მექანიზმების შესწავლის დროს.

რენტგენის სხივები,  $\Gamma$ -სხივები, ნეიტრონების და ელექტრონების ნაკადი და სხვა მაღალენერგეტიკული გამოსხივება აგრეთვე იწვევს ნივთიერებაში ღრმა ფიზიკურ და ქიმიურ ცვლილებებს და ახდენს მრავალრიცხოვანი რეაქციის ინიცირებას.

ამრიგად, მაიონიზირებელი გამოსხივების მოქმედების დროს უანგბადი ნარმოქმნის ოზონს, ალმასი გადაიქცევა გრაფიტად, მანგანუმის ოქსიდები „გამოყოფება“ უანგბადს, უანგბადის არეში  $\text{SO}_2$  გარდაიქმნება  $\text{SO}_3$ -ად, ხორციელდება წყლის რადიოლიზი, რომლის შედეგადაც ნარმოქმნება მოლეკულური წყალბადი, უანგბადი და წყალბადის პეროქსიდი, თავისუფალი რადიკალები და მოლეკულური იონები, რომელთაც

თავის მხრივ, აგრეთვე შეუძლიათ გამოიწვიონ სხვა რთული ქიმიური გარდაქმნები.

ქიმიურ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს სხვადასხვა მაიონიზირებელი გამოსხივების ზემოქმედებით, სწავლობს რადიაციული ქიმია. რადიაციულ-ქიმიური რეაქციები ფართოდ გამოიყენება მაღალმოლეკულური ორგანული ნივთიერებების სინთეზისათვის და მათი სტრუქტურის მიზნობრივი შეცვლისათვის.

ქიმიურ გარდაქმნებს, რომელიც აღიძირება სხვადასხვა დინამიური მექანიკური ზემოქმედებით, შეისწავლის ქიმიის შედარებით ახალი დარგი – **ქიმიური მექანიკა**. ელემენტარული მექანიკურ-ქიმიური აქტი არის ნივთიერებაში ქიმიური ბმების რავევა მექანიკური ძალების ზემოქმედებით (ვალცირება, დაქუცმაცება და სხვ.). ამ დროს ნარმოქმნილი მოლეკულების „ნამსხვრევები“ ნარმოქმნიან ახალ პროდუქტებს. მაგალითად, ზოგიერთი მყარი მინერალის ან ექსიდის ( $V_2O_5$ ,  $P_2O_5$ ) დაფქვის დროს ადგილი აქვს მექანოლიზის სპეციფიკურ შემთხვევებს.

მექანიკურ-ქიმიური გარდაქმნები შეიძლება გამოიყენებულ იქნას აგრეთვე ზოგიერთი ნაერთის სინთეზში და ორგანული პოლიმერების სტრუქტურის და თვისებების მოდიფიკაციისათვის.

ნივთიერებები ასევე განიცდიან ძლიერ ცვლილებას ზემაღალი წნევის მოქმედებით. ამის მაგალითია უფრო მკვრივი და უფრო მტკიცე სტრუქტურული მოდიფიკაციების ნარმოქმნა, მაგალითად, გრაფიტის ალმასად გადაქცევა, ბორის ნიტრიდის ბორაზონად გარდაქმნა და სხვ.

შეიქმნა ახალი დარგი, ე.წ. **დარტყმითი კუმშვის** ქიმია. მკვრივი სხეულებისა და სითხეების ძლიერი დარტყმითი ტალღებით შეკუმშვის დროს, რომლებიც გენერირდება, მაგალითად, ზოგიერთი ფეთქებადი ნივთიერების დეტონაციით აფეთქების დროს, ნივთიერებაში ძალიან მაღალი წნევები ვითარდება. ამასთან, ნარმოიქმნება როგორც რადიკალური, ისე იონური ტიპის აქტიური ნანილაკები. ნივთიერებაში დარტყმითი ტალღების გატარების შედეგი შეიძლება იყოს სხვადასხვა ნივთიერების დაქუცმაცება-დაშლა შედარებით უფრო მარტივ ნანილაკებად, ან პირიქით, უფრო რთული სტრუქტურის (მაგალითად, სივრცე-ბადური) პოლიმერული ჯაჭვების ნარმოქმნით. ამის მაგალითია დარტყმითი ტალღის გავლის შემდეგ ნედლი კაუჩუკის სწრაფი გარდაქმნა (ვულკანიზაცია) რეზინად. ასევე საინტერესოა დარტყმითი ტალღების ზემოქმედების შედეგად ამინომჟავების სწრაფი გარდაქმნა პოლიპეტიდებად და სხვ.

დარტყმითი ტალღის ნივთიერებაში გავლის დროს მიღებული დიდი სითბური ეფექტი საშუალებას იძლევა განხორციელდეს ისეთი მეტალების შედუღება, რომლებიც მკეთრად განსხვავდებიან დწობის და დუღლილის ტემპერატურებით (მაგალითად, ვოლფრამი და მანგანუმი) და რომელთა შედუღება (მენადნობების მიღება) სხვა მეთოდებით ვერ ხერხდება.

სერიოზული პერსპექტივები ისახება სხვადასხვა სტრუქტურულ-ქიმიური გარდაქმნების განსახორციელებლად (მაგალითად, C-H და C-C გააქტიურება, იზომერიზაცია და სხვ.) ულტრაბგერების გამოიყენებით, რაც ძირითადად, შესაბამისი ტექნიკის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ახალი, პროგრესული, ე.ნ. ზესუფთა ტექნოლოგიების ძიებასთან დაკავშირებით მუშავდება ნივთიერების რეაქციისუნარიანობის მიზან-მიმართული რეგულირების პრინციპულად ახალი მეთოდები, ამიტომ სულ უფრო ინტენსიურად შეისწავლება პროცესები, რომლებიც ნივთიერებებზე სხვადასხვა ფიზიკური ზემოქმედების დროს მიმდინარეობს.

### 13.8. თავისუფალი რადიკალები.

**თავისუფალ რადიკალური რეაქციები.**


**თავისუფალრადიკალური ჯაჭვური რეაქციების  
ტიპები და მიმდინარეობის სპეციფიკა**

რეაქციები შეიძლება მიმდინარეობდეს:

- ა) მოლეკულებს შორის;
- ბ) იონებს შორის;
- გ) მოლეკულებსა და იონებს შორის;
- დ) მოლეკულებსა და თავისუფალ რადიკალებს შორის;
- ე) თავისუფალ რადიკალებს შორის.

თავისუფალი რადიკალები არამდგრადი ნაწილაკებია (ატომი ან ატომთა ჯგუფი გაუწყვილებელი ელექტრონით – Cl<sup>-</sup>, ·CH<sub>3</sub>, ·C<sub>2</sub>H<sub>5</sub>, ·OH და ა.შ.), რომლებიც წარმოიქმნება კოვალენტურ მოლეკულებზე სხვადასხვა ფიზიკური (თერმული, ულტრაიისფერი და ლაზერული სხივები ან ულტრაბგერები, -sxivebi, დიდი მექანიკური დატვირთვები და სხვ.) ან ქიმიური ზემოქმედებისას.

თავისუფალი რადიკალები (ან უბრალოდ რადიკალები), ქიმიური ბმის ჰომოლიტური დარღვევით წარმოიქმნება, მაგალითად:



თავისუფალ რადიკალებს აქვთ რა ჭარბი ენერგია, გამოირჩევიან მაღალი რეაქციისუნარიანობით და მთელ რიგ ქიმიურ რეაქციებში არსებით როლს ასრულებენ. რეაქციებს რადიკალების მონაწილეობით თავისუფალრადიკალური (ან უბრალოდ, რადიკალური) ენოდება. მისი მაგალითებია, წყალბადის უანგბადთან, ქლოროთან და ბრომთან ურთიერთქმედება, ეთილენის და პროპილენის პოლიმერიზაცია პერიქსიდების თანდასწრებით, ნახშირწყალბადების და მთელი რიგი მაღალმოლეკულური ნაერთების ფოტოექიმიური, რადიაციული, თერმული, მექანიკური და თერმომექანიკური დესტრუქცია და სხვ.

თავისუფალრადიკალურია თუ არა რეაქცია, შეიძლება დადგინდეს იმ პირობების შესწავლით, რომელშიც რეაქცია მიმდინარეობს. **თავისუფალრადიკალური რეაციები:**

1. კატალიზდება სხივადი ენერგიით (მაგალითად, ლაზერული ან Γ-სხივებით), მაღალი ტემპერატურით ან იმ ნივთიერებებით, რომლებიც რეაქციის პირობებში იშლება სხვა თავისუფალი რადიკალების წარმოქმნით.


2. მუხრუჭდება ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც ადვილად რეაგირებს თავისუფალ რადიკალებთან (ინჰიბიტორები).

3. ხშირად ავტოკატალიზური ხასიათისაა და აქვს ინდუქციის პერიოდი.


4. მიმდინარეობს აირად ფაზაში ან არაპოლარულ გამხსნელში.

**ქიმიური ბმის ჰეტეროლიტური დარღვევით იონები წარმოიქმნება.**

მაგალითად, C – J ბმის გახლეჩა პოლარულ გარემოში:



ბმის ჰეტეროლიტურ დარღვევას აქვს აგრეთვე ადგილი HCl-ის წყალში გახსნისას (იონიზაცია):



უშუალოდ ვალენტურად ნაჯერ მოლეკულებს შორის რეაქცია შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. რეაქციების უმრავლესობა, განსაკუთრებით აირად ფაზაში, თავისუფალი რადიკალების მონაწილეობით, ჯაჭვური მექანიზმით (**თავისუფალ რადიკალური ჯაჭვური რეაქციები**) მიმდინარეობს. ჯაჭვური რეაქციებისათვის საჭირო აქტივაციის ენერგია ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ვალენტურად ნაჯერი მოლეკულების რეაქციების შემთხვევაში.

**ჯაჭვურია რეაქციები,** რომლებიც ინიცირების სტადიაზე მინიჭებული ენერგიის ხარჯზე მიმდინარეობს, რის შედეგადაც ალიძერება ელემენტარული აქტების (რეაქციების) ჯაჭვი.

ჯაჭვური რეაქციის ძირითადი ელემენტარული სტადიებია:


1. აქტიური ცენტრების (თავისუფალი რადიკალების) წარმოქმნა ანუ ჯაჭვის ინიცირება;

2. ჯაჭვის ზრდა;



3. ჯაჭვის განვეტა

ჯაჭვური რეაქციის მაგალითია ქლორის ფოტოქიმიური შეერთება წყალბადთან, რომელიც შემდეგი მექანიზმით მიმდინარეობს:


**აქტიური ცენტრების წარმოქმნა ანუ ჯაჭვის ინიცირება:**



**ჯაჭვის ზრდა:**



**ჯაჭვის განვეტა:**



ჯაჭვის განვეტა შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებებმა, რომლებსაც თავისუფალი რადიკალების შეკავშირების უნარი გააჩნიათ, მაგალითად, ფენოლებმა, ამინებმა, ზოგიერთი ცვალებადი ვალენტობის მეტალის მარილებმა და ა.შ.

ჯაჭვური რეაქციები, ხშირ შემთხვევაში, უფრო რთულად მიმდინარეობს და შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვა ელემენტარული სტადიების მიმდინარეობასაც, მაგალითად, ჯაჭვის გადაცემის (სხვა მოლეკულებზე, გამხსნელზე, რადიკალების გენერაციის უნარის მქონე მინარევებზე და ა.შ.). ამიტომ ჯაჭვური რეაქციების კინეტიკური განტოლე-

ბები საკმაოდ რთულია და მასში აისახება ყველა იმ პროცესის წვლილი, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროცესის მიმდინარეობისას.

ზემოთ განხილული უმარტივესი შემთხვევებისათვის ჯაჭვის ზრდის რეაქციის კინეტიკურ განტოლებას ექნება შემდეგი სახე:



$$v_{\text{რ}} = k'[\text{Cl}^{\cdot}][\text{H}_2] + k''[\text{H}^{\cdot}][\text{Cl}_2]$$

რეაქციის მიმდინარეობისას  $\text{H}^{\cdot}$  შეიძლება მიუახლოვდეს  $\text{Cl}_2$ -ის მოლეკულას ქიმიური ბმის გასწვრივ და არა მის მართობულად.





იმ შემთხვევაში, როდესაც  $\text{H}^{\cdot}$  უახლოვდება  $\text{Cl}_2$ -ის მოლეკულას ქიმიური ბმის გასწვრივ, მაშინ  $\text{H}^{\cdot} + \text{Cl}_2 = \text{HCl} + \text{Cl}^{\cdot}$  თითქმის არ მოითხოვს აქტივაციის ენერგიას, ე.ი. ეს რეაქცია თითქმის ყოველი ასეთი დაჯახების დროს წავა. მონორადიკალსა და ვალენტურად წაჯერ მოლეკულას შორის ურთიერთქმედების შედეგად მიღებული პროდუქტები ჩვეულებრივად შეიცავს ახალ თავისუფალ რადიკალს. ამისი მიზეზი შემდეგია: თავისუფალი რადიკალი და ვალენტურად წაჯერი მოლეკულა წარმოადგენს სისტემას გაუწყვილებელი სავალენტო ელექტრონებით. ვინაიდან რეაქციის გამო ელექტრონების რიცხვი უცვლელი რჩება, ამიტომ თითო ელემენტარული რეაქციის პროდუქტები თითო თავისუფალ რადიკალს მაინც შეიცავენ. ამრიგად, რადიკალისა და მოლეკულის ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება თავისუფალი რადიკალი, რომელიც კვლავ ახალ რადიკალს წარმოქმნის და ა.შ. ამრიგად აღიძვრება ერთი და იმავე ელემენტარული აქტების თანმიმდევრული წყება და განვითარდება ჯაჭვური რეაქცია.

როდესაც ყოველი ელემენტარული აქტის შემდეგ თითო რადიკალის რეაქციაში შესვლის შედეგად ერთი რადიკალი მიღება, გვექნება მარტივი, არაგანშტოებული რეაქცია.




არაგანშტოებული ჯაჭვებია:




როდესაც რეაქციაში ერთი რადიკალის შესვლის შედეგად ორი ან სამი რადიკალი მიღება, სარეაქციო ჯაჭვი განშტოვდება. თუ განშტოება ყოველი მომდევნო ელემენტარული რეაქციის შედეგად მიღება, ჯაჭვური რეაქცია „ხშირად განშტოებული“ იქნება. ხშირად განშტოებული ჯაჭვის მაგალითია წყალბადის დაუანგვა დაბალ წნევაზე ( $500^{\circ}\text{C}$ ):



იმ შემთხვევაში, როდესაც განშტოება არა ყოველი მომდევნო ელემენტარული რეაქციის დროს მიღება, სარეაქციო ჯაჭვი “იშვიათად განშტოებული” იქნება. იშვიათად განშტოებული ჯაჭვის მაგალითია წყალბადის დაუანგვა მაღალ წნევაზე ( $500^{\circ}\text{C}$ ):



რეაქციის ზოგიერთი პროდუქტის მოლეკულები ადგილად იშლება რადიკალებად. როცა განშტოებას ასეთი ლაბილური მოლეკულური პროდუქტი განაპირობებს, მიიღება ე.წ. “გადაგვარებული განშტოება”. მაგალითად, გადაგვარებული განშტოებული ჯაჭვია:




ვინაიდან უფრო საალბათოა წარმოქმნილი პეროქსიდის სხვა გზით დაშლა, რომლის დროსაც არ მიიღება თავისუფალი რადიკალები, ამიტომ განშტოება მეტად იშვიათი იქნება, რაც გადაგვარებულ ჯაჭვებს განაპირობებს.

### 13.8 ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მექანიზმი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქიმიური რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მისი მიმდინარეობის მექანიზმზე. როგორც ვიცით, ქიმიური რეაქციების უმრავლესობა რთულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი წარმო-ადგენენ ელემენტარული რეაქციების რიგს. მაგალითად, აცეტალ-დეჰიდრიდის დაშლა მეთანისა და ნახშირბადის (II) ოქსიდად, სადაც თანაპროდუქტს წარმოადგენს ეთანი  $C_2H_6$ :



მიეკუთვნება რთულ რეაქციებს და მოიცავს შემდეგ ძირითად ელე-მენტარულ რეაქციებს (წერტილი ფორმულის ზემოთ აღნიშნავს რადიკალს):



აქტიური შუალედური ნაწილაკების –  $C\dot{H}_3$  და  $CH_3\dot{C}O$  რადიკალების დაგროვების სიჩქარეები ტოლია:

$$\frac{d[\dot{CH}_3]}{dt} = v_0 - v_1 + v_2 - 2v_3 = 0 \quad (13.37)$$

$$\frac{d[\dot{CH}_3CO]}{dt} = v_1 - v_2 = 0 \quad (13.38),$$

სადაც  $v_0 \div v_3$  არის შესაბამისი სტადიების სიჩქარეები. (13.37) და (13.38) ტოლობების შეკრებით მივიღებთ:

$$v_0 - 2v_3 = 0 \quad (13.39)$$

ნულოვანი სტადიის სიჩქარე უდრის:

$$v_0 = k_0 [CH_3COH] \quad (13.40)$$

ხოლო მესამე სტადიისა:

$$v_3 = k_3 [\overline{CH_3}]^2 \quad (13.41),$$

სადაც  $[\overline{CH_3}]$  არის მეთილის რადიკალის კვაზისტაციონარული კონცენტრაცია. 13.40-ისა და 13.41-ის ჩასმით 13.39-ში მივიღებთ:

$$k_0 [CH_3COH] = 2k_3 [\overline{CH_3}]^2 \quad (13.42)$$

(13.42) გამოსახულებიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ მეთილის რადიკალის კვაზისტაციონარული კონცენტრაცია:

$$[\overline{CH_3}] = \sqrt{\frac{k_0 [CH_3COH]}{2k_3}} \quad (13.43)$$

კონცენტრაციის მიღებული მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს გამოვთვალით აცეტალდეპიდის დაშლის ერთ-ერთი პროდუქტის – მეთანის წარმოქმნის კვაზისტაციონარული სიჩქარე:

$$\frac{d[CH_4]}{dt} = v_1 = k_1 [\overline{CH_3}] [CH_3COH] = k_1 \sqrt{\frac{k_0}{2k_3} \cdot [CH_3COH]^{3/2}} \quad (13.44).$$

(13.36) რეაქციის განტოლების მიხედვით მეთანის წარმოქმნის კინეტიკური რიგი ერთის ტოლი უნდა იყოს, მაგრამ აცეტალდეპიდის დაშლის მექანიზმის გათვალისწინებით ის, როგორც 13.44 გამოსახულებიდან ჩანს, 3/2-ის ტოლია.


## 14. კატალიზი

კატალიზი ქიმიის დარგია, რომელიც სწავლობს კატალიზატორების მონაწილეობით მიმდინარე პროცესებს. კატალიზატორია ნივთიერება, რომელიც ცვლის ქიმიური რეაქციის სიჩქარეს, თვითონ კი რეაქციის შედეგად როგორც თვისებითად, ისე რაოდენობითად უცვლელი რჩება. კატალიზატორების რიცხვი ძალას დიდია, ხოლო მათი კატალიზური აქტივობა – განსხვავებული. ქიმიურ რეაქციას, რომელიც მიმდინარეობს კატალიზატორის მეშვეობით, კატალიზური რეაქცია ეწოდება. რეაქციის სიჩქარის შეცვლას კატალიზატორის გავლენით ასევე კატალიზი ეწოდება. არჩევენ ჰომოგენურ და ჰეტეროგენურ კატალიზს. თუ საწყისი რეაგენტები და კატალიზატორი შეადგენს ერთ ფაზას, ე.ი. მათ შორის არ არის გამყოფი ზედაპირი, კატალიზი ჰომოგენურია. ჰომოგენური კატალიზის მაგალითს წარმოადგენს გო-გირდის(IV) ოქსიდის (აირი) დაჟანგვა გოგირდის(VI) ოქსიდად (აირი) აზოტის(II) ოქსიდის (აირი) თანაობისას.:



დადგენილია, რომ ჰომოგენური კატალიზის დროს ქიმიური რეაქციის სიჩქარე კატალიზატორის კონცენტრაციის პროპორციულია.

როდესაც საწყისი რეაგენტები და რეაქციის პროდუქტი (პროდუქტები) ერთ ფაზაშია, ხოლო კატალიზატორი მეორეში, ე.ი. მათ შორის გამყოფი ზედაპირია, კატალიზი ჰეტეროგენურია. ჰეტეროგენური კატალიზის მაგალითს წარმოადგენს ნიალბადის პეროქსიდის (თხევადი) დაშლა  $\text{MnO}_2$ -ის კატალიზური მოქმედებისას:




ზოგიერთი კატალიზატორი აჩქარებს რეაქციას. ასეთ პროცესს **დადებითი კატალიზი**, ან **უბრალოდ კატალიზი** ეწოდება. მაგალითად, ბერთოლეს მარილის დაშლა მანგანუმ(IV)-ის ოქსიდის თანაობისას ან რთული ეთერის სინთეზი მინერალური მუჟავას თანაობისას. **ზოგი კატალიზატორი ანელებს რეაქციას.** ასეთ პროცესს ინპიპირება ეწოდება, ხოლო თვით ნივთიერებებს, რომელიც ამცირებენ რეაქციის სიჩქარეს – ინპიპიტორები (კატალიზატორებისაგან განსხვავებით ინპიპიტორები იხარჯება). მაგალითად, ნიალბადის პეროქსიდის დაშლა გაცილებით ნელა მიმდინარეობს მცირე რაოდენობით გოგირდმუჟავას თანაობისას, ხოლო ჰაერის ჟანგბადით ნატრიუმის სულფიტის ხსნარის დაჟანგვის რეაქციის სიჩქარე საგრძნობლად კლებულობს ეთილის სპირტის თანაობისას. ინპიპიტორებით შესაძლებელია არასასურველი პროცესის თავიდან აცილება.

კატალიზატორებად იყენებენ ქიმიური ბუნებითა და შედგენილობით სრულიად განსხვავებულ ნაერთებს: მეტალებს (უფრო ხში-

რად გარდამავალ მეტალებს), მეტალთა და არამეტალთა ოქსიდებს, ჰიდროქსიდებს, მუჟებსა და ფუძეებს და ა.შ. განსაკუთრებით მაღალი აქტივობით გამოირჩევა ზოგიერთ ნივთიერებათა ნარევები – ე.წ. შერეული კატალიზატორები.

ცალკე აღნიშვნის ლირსია ფერმენტები ანუ ენზიმები, რომელთაც ხშირად ბიოკატალიზატორებს უწოდებენ. ისინი ცილოვანი ბუნების ნივთიერებებია და წარმართავენ ქიმიურ რეაქციებს ბიოლოგიურ სისტემებში ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო სიჩქარით.




ნახაზი. 14.1. კატალიზატორით (1) და უკატალიზატორიდ (2) მიმდინარე რეაქციების ენერგეტიკული დიაგრამა

კატალიზატორების მოქმედება დამყარებულია რეაქციის აქტივაციის ენერგიის ანუ ენერგეტიკული ბარიერის სიმაღლის შემცირებაზე.



ჰომოგენური კატალიზის დროს კატალიზატორის მოქმედების მექანიზმი აიხსნება ამ უკანასკნელსა და ერთ-ერთ რეაგენტს შორის შუალედური ნაერთის წარმოქმნით. მაგალითად, თუ  $A + B \rightarrow AB$  რეაქციას, რომელიც ნელა მიმდინარეობს, ჩავატარებთ კატალიზატორის თანაობისას, მაშინ კატალიზატორი შევა რეაქციაში ერთ-ერთ საწყის ნივთიერებასთან და წარმოქმნის არამდგრად შუალედურ ნაერთს:  $A + Cat \rightarrow ACat$  (1). ეს რეაქცია სწრაფად მიმდინარეობს, რადგან ამ პროცესის აქტივაციის ენერგია მცირეა (ნახ. 14.1). წარმოქმნილი შუალედური ნაერთი ურთიერთქმედებს მეორე საწყის ნივთიერებასთან და კატალიზატორი თავისუფალი სახით გამოიყოფა:





ამ პროცესის აქტივაციის ენერგია მცირეა და ის საკმაოდ სწრაფად წარმართება. თუ შევაჯამებთ (1) და (2) განტოლებებს, მივიღებთ:





მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი – გოგირდ(IV)-ის ოქსიდის გოგირდ(VI)-ის ოქსიდად დაუანგვა აზოტ(II)-ის ოქსიდის (კატალიზატორი) თანაობისას:



სარეაქციო არეში კატალიზატორის შეტანისას ხდება შუალედური ნაერთის წარმოქმნა:





და შემდეგ:



ჰეტეროგენული კატალიზის დროს მორეაგირე ნივთიერებები და კატალიზატორი სხვადასხვა ფაზაშია. მაგალითად, წყალბადის პეროქსიდის დაშლა მანგანუმ(IV)-ის ოქსიდის თანაობისას ან ამიაკის დაშანვა პლატინის კატალიზატორით.

ჰეტეროგენული კატალიზის ასახსნელად უფრო ხშირად იყენებენ კა-ტალიზის ე.ნ. ადსორბციულ თეორიას. ადსორბცია არის ფაზათა გამყოფ ზედაპირზე მოლეკულათა თავმოყრა. ანსხვავებენ ადსორბციის ორ ტიპს – ფიზიკურს და ქიმიურს. ფიზიკური ადსორბციის დროს ხდება მყარი ნივთიერების არაერთგვაროვან ზედაპირზე არსებული ე.ნ. აქტიური ცენტრების მიერ შთანთქმული მოლეკულების დაკავშირება ვანდერ-ვაალსური ძალებით, ქიმიური ადსორბციის ანუ ქემოსორბციის დროს კი მოლეკულათა დაკავშირება აქტიურ ცენტრებთან ხორციელდება ქიმიური ბმებით.

ჰეტეროგენული კატალიზის დროს კატალიზატორის აქტიურ ცენტრებზე ხდება მორეაგირე ნივთიერებათა მოლეკულების ფიზიკური ადსორბცია. აქტიურ ცენტრებზე მათი კონცენტრაციის ზრდა ინვერს რეაქციის აჩქარებას. მაგრამ სიჩქარის გაზრდის ძირითადი მიზეზი მაინც ადსორბირებული მოლეკულების ქიმიური აქტივობის ზრდაა. კატალიზატორის გავლენით ადსორბირებულ მოლეკულებში სუსტდება ატომებს შორის კავშირი და ისინი უფრო რეაქციისუნარიანნი ხდებიან. მეორე მხრივ, მიაჩნიათ, რომ პომოგენური კატალიზის ანალოგიურად, ზოგიერთი ჰეტეროგენული კატალიზის დროსაც ხდება არამდგრადი შუალედური ნაერთების წარმოქმნა. მაგალითად, გოგირდ(IV)-ის ოქსიდის დაშანვისას გოგირდ(VI)-ის ოქსიდად ვა-ნაციონალური პენტაოქსიდის კატალიზატორად გამოყენებისას მიმდინარეობს შემდეგი რეაქციები:



პროცესის დამთავრების შემდეგ ხდება წარმოქმნილი რეაქციის პროდუქტების დესორბცია კატალიზატორის ზედაპირიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ კატალიზური რეაქციების ასახსნელად მოყვანილი სქემები ძლიერ გამარტივებულია. სინამდვილეში პროცესები გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობს.


თუ რაიმე ნივთიერება ამცირებს ან სრულიად სპობს კატალიზატორის აქტივობას (ახდენს კატალიზატორის მოქმედების ბლოკირებას), ასეთ ნივთიერებას კატალიზურ შეამს უნივერსალურ მაგალითად, პლატინის კატალიზატორისათვის კატალიზური შეამებია დარიშხანის, ვერცხლისწყლისა და ტყვიის ნაერთები. რკინის კატალიზატორისთვის კა-

ტალიზურ შხამს ნარმოადგენს უანგბადი და გოგირდი. კატალიზატორის მონამვლა შეიძლება აიხსნას მისი ურთიერთქმედებით კატალიზურ შხამებთან: კატალიზური შხამი ადსორბირდება აქტიურ ცენტრებზე, მასთან უფრო მდგრად ნაერთს ნარმოქმნის, ვიდრე მორეაგირე ნივთიერებები. როცა ყველა აქტიური ცენტრი დაკავებული აღმოჩნდება კატალიზური შხამით, რეაქცია შეწყდება. სანარმოო პირობებში მორეაგირე ნივთიერებებს ნინასნარ ზედმიწევნით ასუფთავებენ კატალიზური შხამებისაგან, ხოლო კატალიზური შხამით გაჭუჭყიანებულ კატალიზატორებს რეგენერაციას უკეთებენ (აღადგენენ).

ზოგიერთი ნაერთი კატალიზატორის მოქმედებას აძლიერებს (კატალიზატორს აქტიურებს), თუმცა თვითონ მოცემული რეაქციის კატალიზატორს არ ნარმოადგენს. ასეთ ნივთიერებებს პრომოტორებს უწოდებენ. მაგალითად, რკინისა და ალუმინის დამატებით ზრდიან პლატინის კატალიზატორის აქტივობას, კალიუმისა და ალუმინის ოქსიდების დამატებით – რკინის აქტივობას; ტუტე მეტალების სულფატები მნიშვნელოვნად ზრდიან  $V_2O_5$ -ის კატალიზურ აქტივობას და ა.შ.

კატალიზური რეაქციების ნარმართვა ძალიან მაღალ ტემპერატურებზე არ შეიძლება. ამ დროს კატალიზატორში ხდება სტრუქტურული, ზოგ შემთხვევაში ქიმიური ცვლილებები. რაც შეეხება ფერმენტებს, მათი აქტივობა მაქსიმალურია ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე („ $37^{\circ}\text{C}$ ).  $50^{\circ}\text{C}$ -ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე ხდება მათი ინაქტივაცია.


**კატალიზატორისათვის დამახასიათებელია სპეციფიკურობა (შერჩევითობა).** ერთი და იმავე ნივთიერებებიდან განსხვავებული კატალიზატორების გამოყენებით შეიძლება სხვადასხვა პროდუქტის სინთეზი. მაგალითად, ნახშირბად(II)-ის ოქსიდის წყალბადთან ურთიერთქმედების დროს ნიკელის ( $\text{Ni}$ ) კატალიზატორის თანაობისას მიიღება მეთანი, ხოლო ქრომ-თუთიის ( $\text{Cr}_2\text{O}_3/\text{ZnO}$ ) კატალიზატორის გამოყენებით – მეთანოლი:



ერთი და იგივე რეაქცია შეიძლება სხვადასხვა კატალიზატორის გამოყენებით ნარიმართოს. მაგალითად, გოგირდ(VI)-ის ოქსიდის დაუანგვა გოგირდ(VI)-ის ოქსიდად მიმდინარეობს როგორც პლატინის, ისე რკინა(III)-ის ოქსიდის ან ვანადიუმ(V)-ის ოქსიდის თანაობისას. ამავე დროს, ერთი და იგივე ნივთიერება შეიძლება იყოს სხვადასხვა რეაქციის კატალიზატორი. მაგალითად, პლატინა გამოიყენება კატალიზატორად ორგანულ ნაერთთა ჰიდრირებისა და დეპიდრირების რეაქციებში, უანგვის რეაქციებში (ამიაკის კატალიზური უანგვა, გოგირდოვანი აირის უანგვა) და სხვა.


## 15. ქიმიურ რეაქციათა შექცევადობა ქიმიური ნონასწორობა

ქიმიური რეაქციები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად – შექცევად და შეუქცევად რეაქციებად. შეუქცევადია რეაქცია მხოლოდ ერთი მიმართულებით მიმდინარეობს და მთავრდება მორეაგირე ნივთიერებების რეაქციის პროცესში სრული გარდაქმნით,. მაგალითად, თუ კალიუმის ქლორატს (ბერთოლეს მარილს) გავახურებთ, იგი დაიშლება შემდეგი განტოლების მიხედვით:




ეს რეაქცია მხოლოდ მაშინ შეწყდება, როცა კალიუმის ქლორატი მთლიანად დაიშლება. კალიუმის ქლორიდის ხსნარში ჟანგბადის გატარებით ისევ კალიუმის ქლორატის მიღება შეუძლებელია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოცემული რეაქცია შეუქცევადია. შეუქცევადია რეაქციები, რომელთა მიმდინარეობისას:

ა) რეაქციის ერთ-ერთი პროცესი ტოვებს სარეაქციო არეს – გამოიყოფა ნალექის ან აირის სახით:



ბ) ნარმოიქმნება მცირედ დისოცირებული ნივთიერება:




გ) გამოიყოფა დიდი რაოდენობის ენერგია:



ქიმიურ რეაქციათა უმეტესობა შექცევადია (დამოკიდებულია სათანადო პირობების შერჩევაზე).

შექცევადია რეაქცია, რომელიც ერთსა და იმავე პირობებში, ერთდროულად, ორი ერთმანეთის სანინაალმდეგო მიმართულებით მიმდინარეობს. ასეთ რეაქციათა გამომსახველ განტოლებებში ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართულ ისრებს იყენებენ, რაც რეაქციის ორივე მიმართულებით მიმდინარეობს ნიშნავს. მაგალითად, A და B ნივთიერებებს შორის მიმდინარე შექცევადი რეაქციის განტოლება ასე დაიწერება:



შექცევადი რეაქცია მიმდინარეობს არა ბოლომდე, არამედ, ქიმიური ნონასწორობის დამყარებამდე. პროცესის დასაწყისში, როდესაც რეაგენტთა კონცენტრაციები მაღალია, პირდაპირი რეაქციის სიჩქარე მაქსიმალურია:

$$v_1 = k_1 C_A^a \cdot C_B^b \quad (15.1)$$

რეაქციის პროცესში საწყის ნივთიერებათა კონცენტრაციების შემცირებასთან ერთად პირდაპირი რეაქციის სიჩქარე თანდათან კლებულობს. ამასთანავე, რეაქციის პროდუქტების დაგროვებასთან ერთად შექცევადი რეაქციის სიჩქარე თანდათან იზრდება:

$$v_2 = k_2 C_D^d \cdot C_E^e \quad (15.2)$$

გარკვეულ მომენტში ორი ურთიერთსაპირისპირო რეაქციის სიჩქარე ერთმანეთს გაუტოლდება და დამყარდება ქიმიური წონასწორობა (ნახ. 15.4).

ქიმიური წონასწორობა მორეაგირე ნივთიერებათა სისტემის ისეთ მდგომარეობაა, როდესაც დროის ერთეულში თითოეული ნივთიერების იმდენივე მოლეკულა წარმოიქმნება, რამდენიც იხარჯება, რადგან ქიმიური წონასწორობის დროს  $v_1 = v_2$ , ამიტომ:


$$k_1[A]^a[B]^b = k_2[D]^d[E]^e$$

საიდანაც:

$$[D]^d[E]^e/[A]^a[B]^b = k_1/k_2 = K \quad (15.3)$$

ამ გამოსახულებებში  $[A]$ ,  $[B]$ ,  $[D]$  და  $[E]$  მორეაგირე ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია (ისინი განსხვავდებიან ამ ნივთიერებათა არაწონასწორული  $C_A$ ,  $C_B$ ,  $C_D$ ,  $C_E$  კონცენტრაციებისაგან), ხოლო  $K$  – წონასწორობის მუდმივა. მაშასადამე, წონასწორობის მუდმივა არის მიღებული და აღებული ნივთიერებების წონასწორული კონცენტრაციების წამრავლთა ფარდობა (სტექიომეტრული კოეფიციენტების გათვალისწინებით).

ყოველი ქიმიური წონასწორობა ხასიათდება გარკვეული მნიშვნელობის წონასწორობის მუდმივათი, რომელიც დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერებათა ბუნებაზე, ტემპერატურაზე და არა მათ კონცენტრაციაზე.



ნახაზი 15.1. პირდაპირი და შებრუნებული რეაქციების  
სიჩქარის ცვლილება დროში  
I – პირდაპირი რეაქცია; II – შებრუნებული რეაქცია; III – წონასწორობა

წონასწორობის მუდმივას კავშირს ჯიბსის სტანდარტულ ენერგიასთან აქვს შემდეგი უნივერსალური თანაფარდობის სახე:

$$\Delta G^{\circ} = -RT\ln K, \quad (15.4)$$

სადაც  $\Delta G^{\circ}$  სისტემის ჯიბსის ენერგიის ცლილებაა სტანდარტულ პირობებში, R – აირების უნივერსალური მუდმივაა (იხ. ზემოთ), T – ტემპერატურა (კელვინებით), K – ნონასწორობის მუდმივა.

როდესაც  $\Delta G^{\circ} \ll 0$ , K დიდ მნიშვნელობას დებულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ რეაქცია პრაქტიკულად ბოლომდე მიდის (სხვაგვარად, რეაგენტების გარდაქმნის სილრმე დიდია). პირიქით, თუ  $\Delta G^{\circ} \gg 0$ , K მცირე სიდიდეა და რეაქცია პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში, როდესაც  $\Delta G^{\circ} = 0$ , K = 1, რეაქცია ორივე მიმართულებით ერთნაირად მიმდინარეობს. (15.4) განტოლების გამოყენებით შესაძლებელია  $\Delta G^{\circ}$ -ს ექსპერიმენტულად განსაზღვრო.

მოცემული რეაქციის ნონასწორობის მუდმივა განსაზღვრავს ამ რეაქციის გამოსავალს. როცა  $K \gg 1$ , რეაქციის გამოსავალი დიდია, ხოლო როცა  $K \ll 1$  – მცირე.

ნონასწორობის მუდმივა, რომელიც გამოსახულია მორეაგირე ნივთიერებათა და რეაქციის პროცესებთა ნონასწორული კონცენტრაციებით ( $K_C$ ), გამოიყენება ხსნარები რეაქციების დროს. აირთა მონაწილეობით მიმდინარე რეაქციებში ნონასწორობის მუდმივა შეიძლება გამოისახოს აირების პარციალური წნევების საშუალებით ( $K_P$ ). აირის პარციალურ წნევაში გულისხმობენ იმ წნევას, რომელსაც შექმნიდა ნარევის შემადგენლობაში შემავალი ეს აირი, თუ იგი იმავე ტემპერატურაზე მარტო დაიკავებდა მთელი ნარევის მოცულობის ტოლ მოცულობას. რიცხობრივად იგი ტოლია მოცემული აირის მოლური წილის ნამრავლისა სისტემის საერთო წნევაზე. ამიაკის სინთეზის ( $N_2 + 3 H_2 \rightarrow 2 NH_3$ ) ნონასწორული პროცესისათვის:

$$K_P = P_{NH_3}^2 / P_{N_2} \cdot P_{H_2}^3. \quad (15.5)$$

როდესაც რეაქციის მიმდინარეობისას აირად ფაზაში ნივთიერებათა რაოდენობა (მოლების რიცხვი) არ იცვლება, მაშინ  $K_C = K_P$ . სხვა შემთხვევებში კი ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ჰეტეროგენური ნონასწორული პროცესის შემთხვევაში ნონასწორობის მუდმივას გამოსახულებაში არ შედის რეაქციაში მონაწილე მყარი ნივთიერებების კონცენტრაციები. მაგალითად, დახშულ ჭურჭელში მიმდინარე კალციუმის კარბონატის თერმული დისოციაციის ( $CaCO_3 \rightarrow CaO + CO_2$ ) ნონასწორული პროცესისათვის:

$$K_P = (P_{CO_2})_{\text{ნონა}}. \quad (15.6)$$

ნონასწორობის მუდმივა, მისი მათემატიკური გამოსახულებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს განზომილებიანი ან უგანზომილებო სიდიდე. თუ წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის განზომილებები ერთნაირია, მაშინ მუდმივა უგანზომილებო სიდიდეა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი განზომილებაა კონცენტრაციის ან წნევის ერთეულები.

ნონასწორობის მდგომარეობაში ერთმანეთის საპირისპირო ორივე რეაქცია უწყვეტად მიმდინარეობს, ამიტომ ქიმიური ნონასწორობა დინამიკურია – მოძრავია.

კონცენტრაციის, სისტემის ტემპერატურისა და წნევის ცვლილებისას წონასწორული სისტემის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას წონასწორობის გადახრა ეწოდება. ფრანგი ფიზიკოსის და ქიმიკოსის ანრი ლუი ლე შატელიეს მოძრავი წონასწორობის პრინციპის თანახმად, თუ მოცემულ სისტემაზე მოქმედი რაიმე გარე ფაქტორი არღვევს ქიმიურ წონასწორობას, მაშინ სისტემაში ალიძრება ისეთი პროცესი, რომელიც ამ დამრღვევი ფაქტორის მოქმედების შემცირების მიმართულებით წარიმართება.

თუ წონასწორულ სისტემაში შევცვლით ერთ-ერთი ნივთიერების კონცენტრაციას, წონასწორობა ირღვევა და გარკვეული დროის შემდეგ იგი კვლავ აღდგება. ახალ წონასწორულ მდგომარეობაში წონასწორული კონცენტრაციების მნიშვნელობები სხვა იქნება, მაგრამ წონასწორობის მუდმივა არ შეიცვლება.

ერთ-ერთი მორეაგირე ნივთიერების კონცენტრაციის გაზრდისას წონასწორობა გადაიხრება ამ ნივთიერების კონცენტრაციის შემცირების მიმართულებით, ხოლო კონცენტრაციის შემცირებისას – ამ ნივთიერების წარმოქმნის მიმართულებით.

წნევა გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთი რეაქციების წონასწორობის მდგომარეობაზე, რომელიც მიმდინარეობს აირად ფაზაში ნივთიერებათა რაოდენობის ცვლილებით. წნევის გაზრდისას წონასწორობა გადაიხრება წნევის შემცირების ანუ აირად ნივთიერებათა რაოდენობის შემცირების მიმართულებით, ხოლო წნევის შემცირებისას – წნევის გაზრდის ანუ აირად ნივთიერებათა რაოდენობის გაზრდის მიმართულებით. თუ რეაქცია მიმდინარეობს აირად წილით რებათა რაოდენობის შეუცვლელად, წნევა ასეთ წონასწორულ სისტემაზე გავლენას არ ახდენს.

ქიმიურ წონასწორობაზე ტემპერატურის გავლენის გასარკვევად აუცილებელია რეაქციის სითბური ეფექტის ნიშნის დადგენა. ტემპერატურის გაზრდისას წონასწორობა გადაიხრება ენდოთერმული რეაქციის მიმართულებით, ხოლო ტემპერატურის შემცირებისას – ეგზოთერმული რეაქციის მიმართულებით.

ტემპერატურის აწევა იწვევს ენდოთერმული რეაქციის წონასწორობის მუდმივას გაზრდას, ხოლო ტემპერატურის დაწევა ხელს უწყობს ეგზოთერმული პროცესის მიმდინარეობას და იწვევს K-ს გაზრდას. წონასწორობის გადახრის მიმართულება განისაზღვრება სითბური ეფექტის ნიშნით, მისი გადახრის ხარისხი – სითბური ეფექტის აბსოლუტური სიდიდით.

K-ს ტემპერატურული დამოკიდებულების რაოდენობრივი გამოსახულება გამოიყვანება თერმოდინამიკის ცნობილი განტოლებიდან:

$$\Delta H^0 - T\Delta S^0 = -RT\ln K \quad (15.7)$$

$$15.7\text{-დან გვექნება: } \ln K = \Delta S^0/R - \Delta H^0/RT, \quad (15.8)$$

სადაც  $\Delta H^0$  სისტემის ენთალპიის ცლილებაა ( $\Delta H = -Q$ ),  $\Delta S^0$  – სისტემის ენტროპიის ცლილებაა (სტანდარტულ პირობებში), R – აირების უნივერსალური მუდმივაა (იხ. ზემოთ), T – ტემპერატურა (კელვინებით), K – წონასწორობის მუდმივა.

InK-ს 1/T-ზე დამოკიდებულების გამომსახველი წრფის დახრილობის კუთხით შეიძლება ექსპერიმენტულად (გრაფიკული ხერხი) განისაზღვროს ΔH-ის მნიშვნელობა.

კატალიზატორი არ იწვევს წონასწორობის გადახრას, იგი ერთნაირად ზრდის ორგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული რეაქციის სიჩქარეს და სისტემა უფრო მოკლე დროში მიყავს წონასწორულ მდგომარეობამდე.

მაგალითად, ამიაკის სინთეზი შექცევადი, კატალიზური, ეგზოთერმული რეაქციაა, რომელიც მიმდინარეობს აირად ფაზაში მორეაგირე ნივთიერებათა რაოდენობის შემცირებით. აქედან გამომდინარე, ამიაკის გამოსავლიანობის გაზრდას (წონასწორობის მუდმივას გაზრდას) იწვევს წნევის გაზრდა, ტემპერატურის შემცრება, ხოლო კატალიზატორი წონასწორულ მდგომარეობაზე გავლენას არ ახდენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლე-შატელიეს პრინციპის გამოყენება, ქიმიური გარდაქმნების ანალოგიურად ფიზიკური გარდაქმნებისთვისაც შეიძლება.

წონასწორობის გადახრა, რომელიც დამყარებულია მოძრავი წონასწორობის პრინციპზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქიმიაში. მისი გამოყენებით შესაძლებელია მრავალი სამრეწველო პროცესის სასურველი მიმართულებით წარმართვა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Н.С. Ахметов. Общая и неорганическая химия. Москва, ВШ, 2004.
2. Дж. Хьюи. Неорганическая химия. Москва, Химия, 1987.
3. F. Cotton, G. Wilkinson, L. Gaus. Basic Inorganic Chemistry. John Wiley & Sons. New York-Chichester-Brisbane-Toronto-Singapore. 1995.
4. F. Cotton., G. Murilio, M. Bochmann. Advanced Inorganic Chemistry. Publ.: Willey-Interscience, 1999.
5. Synthetic coordination and organometallic chemistry. Ed.: by A.D. Garnovskii, B.I. Kharisov. New York. Marcel Dekker, 2003.
6. Н. Глинка. Общая химия. Л. Издательство «Интеграл-Пресс», 2005.
7. S.E. Mortimer. Modern Inorganic Chemistry. 2004.
8. ნ. ფირცხლავა. ზოგადი და არაორგანული ქიმიის შესავალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1985.
9. ზურაბ ფაჩულია. ზოგადი ქიმიის მოკლე კურსი. „უნივერსალი“, 2006.
10. გ. ანდრონიკაშვილი, ო. მუკბანიანი, ბ. არზიანი, ლ. ბერიძე. ქიმია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2004.
11. U. Kask, I.D. Rawn, General Chemistry. Wm C. Brown Communications, Inc. 1993.
12. В.И. Спицын, Л.И. Мартиненко. Неорганическая химия. Ч.1. Издательство Московского государственного университета им. М.В. Ломоносова. Москва, 1991.
13. ლ. ნადარეიშვილი. ზოგადი ქიმია. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი, 1991.
14. თ. წიგნივაძე. ზოგადი ქიმია. თბილისი, 1992.
15. Я.А. Угай. Общая и неорганическая химия. Москва, Высшая школа. 1997.
16. ო. გაბრიელიძე. ზოგადი ქიმია. თბილისი, 1998.
17. გიორგი ბეზარაშვილი, დავით ლორთქიფანიძე. ქიმიური კინეტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1999.
18. შ. სიდამონიძე, გ. სიდამონიძე, ნ. თაყაიშვილი. მოლეკულური კლასტერები. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005.
19. Synthetic coordination and organometallic chemistry. Ed.: by A.D. Garnovskii, B.I. Kharisov. New York. Marcel Dekker, 2003.
20. თ. ცეცხლაძე, ვ. კოკოჩაშვილი, გ. ცინცაძე. ზოგადი ქიმიის კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993წ.
21. ვ. კოკოჩაშვილი. ფიზიკური ქიმია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1974.
22. Ralph H. Petrucci, William S. Harwood, Geofr Harring. General Chemistry; Principles and Modern Applications. Eight Edition, 2008.
23. გოული ანდრონიკაშვილი და სხვ. ზოგადი და არაორგანული ქიმია. თელავის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თელავი, 2008.